Merab Ghaghanidze

Writer's Life in Time and Word

99 Sketches and Essays about Foreign Writers

Tbilisi
Memkvidreoba
2011

შერაბ ლალანიძე

მწერლის ცხოვრება დროში და სიტყვაში

99 მცირე და ვრცელი ჩანაწერი უცხოელ მწერალთა შესახებ

თბილისი
მემკვიდრეობა
2011

ქართული წიგნის მხარდაჭერის ფონდი
“მემკვიდრეობა”

ფონდის საქმიანობას ნივთიერად უზრუნველყოფს
გიორგი ლეჟავა

ყდის გასაფორმებლად გამოყენებულია
ჯორჯო დე კირიკოს
“მშფოთვარე მუზები” (1918)

დიზაინერი
გეგა პაქსაშვილი

© მერაბ ღაღანიძე, 2011
© “მემკვიდრეობა”, 2011

ISBN 978-9941-9106-5-4

სარჩევი

ჩანაწერების მკითხველს 9

ვინც ლათინურად წერდა 13

1. ერაზმუს როტერდამელის სიმშვიდე მღელვარე ხანაში 15

ვინც ფრანგულად წერდა 21

2. ჟან რასინი: სწრაფვა კლასიკური წონასწორობისაკენ 23
3. რენე დე შატობრიანი – რომანტიკოსი დიპლომატიურ სამსახურში 27
4. სიული პრიუდომი – პირველი ლაურეატი 32
5. ემილ ზოლა და ინტელექტუალთა საუკუნე 35
6. ანატოლ ფრანსის არამყარი სკეფსისი 39
7. მორის მეტერლინკი – პოეტი, დრამატურგი, ესეისტი 43
8. რომენ როლანის კეთილი თვალები 45
9. პოლ კლოდელის მყარი რიტმი 51
10. მეამბოხე კლასიკოსი ანდრე ჟიდი 54
11. მარსელ პრუსტი: უკვდავყოფილი წარსული 58
12. ჟიულ სუპერვილი: სიყვარული პამპებისა და სამყაროს მიმართ 64
13. ჟორჟ ბერნანოსის რწმენა და სევდა 66
14. გაბრიელ მარსელი – სოკრატელი ქრისტიანი 69
15. ანდრე ბრეტონი – სიურეალიზმის ფუძემდებელი 74
16. ტრისტან ცარა: დადაიზმიდან სიურეალიზმამდე 78
17. ჟაკ პრევერი: პოეზია ყველასათვის 81
18. სენტ-ეგზიუპერი: კეთილშობილების შუქი 85
19. ჟულიენ გრინი: ქრისტიანი მწერალი ვნებასა და განწმენდას შორის 88
20. ანდრე მალროს ადამიანური ხვედრი 97
21. მარგერიტ იურსენარი: ერთგულება სხვენის მიმართ 102
22. სიმონ ვეილის შეწყვეტილი გზა 107
23. ეჟენ იონესკოს აბსურდული სამყარო 109
24. ემილ ჩორანი: უიმედობის ფრაგმენტები 112
25. ალბერ კამიუ: ურწმუნო მორალის ძიება 118
26. მარგერიტ დურასი: ცხოვრება და მწერლობა შეუღლამაზებლად 121

27. რომენ გარი: რომანის მსგავსი ცხოვრება 126
28. მიშელ ტურნიე – ფილოსოფოსი პროზაში 133

ვინც გერმანულად წერდა 137
29. ფრიდრიხ ნიცშეს ულვაში 139
30. ჰოფმანსტალის პოეზიის მიმქრალი მშვენიერება 142
31. თომას მანის დიადი სამწერლო საქმე 146
32. ჰერმან ჰესე – თამაშის ოსტატი 149
33. მარტინ ბუბერი – დიალოგის ფილოსოფოსი 151
34. ალფრედ დებლინის ძიებანი და მოქცევა 157
35. რომანო გვარდინი თეოლოგიასა და ლიტერატურას შორის 164
36. ჰერმან ბროხი: მწერლობა ჭეშმარიტების შესამეცნებლად 169
37. ფრანც ვერფელი პრაჰიდან ბევერლი ჰილზამდე 183
38. ერნსტ იუნგერის საუკუნეზე ხანგრძლივი სიცოცხლე 190
39. ელიას კანეტის უცაბედი პრემია 196
40. კლაუს მანი – მწერლის მწერალი ვაჟი 198
41. პაულ ცელანის ენობრივი სამშობლო 202
42. სამშობლოსთან შეურიგებელი თომას ბერნჰარდი 205

ვინც ინგლისურად წერდა 211
43. ჯონ რესკინის გაუცვეთელი ქვები 213
44. ჯოზეფ კონრადი – ღირსებისა და ერთგულების კაპიტანი 215
45. იეიტსი, ირლანდია, ვარდი 218
46. კიპლინგი, აღმოსავლეთი და დასავლეთი 221
47. ჰერბერტ უელსის უხიფათო ოცნებები 227
48. ფორსტერის სამწერლო პაუზა 230
49. ლიტონ სტრეჩი – მშვიდი დამამხობელი 240
50. ტომას სტერნზ ელიოტი – მოდერნისტი კლასიკოსი 242
51. უილიამ ფოლკნერი თავის ქალაქში 247
52. სარწმუნოების სიხარულით გაოცებული კლაივ სტეიპლზ ლუისი 250
53. უშიშარი ჯორჯ ორუელი 255
54. ქრისტოფერ იშერვუდის უსწორმასწორო გზები 260
55. აიზაია ბერლინი ბეჯით შრომასა და ნებიერ განცხრომას შორის 263
56. ტომას მერტონი – მოწესე და მწერალი 266
57. სელინჯერი: ცხენის შემრჩევის მონატრება 271
58. სალმან რუშდის ჩასაფრებული საფრთხე 276

ვინც იტალიურად წერდა 279
59. ნიკოლო მაკიაველი – პოლიტიკოსი, თან მწერალი 281
60. ჯაკომო ლეოპარდი – უძლური პოეტი 286
61. გაბრიელე დ'ანუნციო – პოეტი და მეომარი 290
62. ბენედეტო კროჩე: ლიბერალიზმის ქომაგი ფაშიზმის ხანაში 295
63. ლუიჯი პირანდელო – ქაოსის შვილი 300
64. ჯუზეპე უნგარეტი – ალექსანდრიელი იტალიელი 302
65. სალვატორე კვაზიმოდო: სირაკუზის სიახლოვიდან უკვდავების ახლოს 305
66. ჩეზარე პავეზე: შეხვედრა სიკვდილთან, რომელსაც სატრფოს თვალები ჰქონდა 308
67. ჯორჯო ბასანი – ფერარის მწერალი 311
68. უმბერტო ეკოს მიუწვდომელი კუნძული 316

ვინც ესპანურად წერდა 323
69. სერვანტესიდან დონ კიხოტამდე 325
70. ტირსო დე მოლინა – თეოლოგი და დრამატურგი 330
71. კალდერონი: გამოცხადებისეულ ჭეშმარიტებათა გასცენიურების ცდა 333
72. მიგელ დე უნამუნო: ურწმუნოების ტვირთი 336
73. ანტონიო მაჩადო: ძმა ძმის წინააღმდეგ 338
74. გაბრიელა მისტრალის ერთგულება 342
75. ფედერიკო გარსია ლორკას სიკვდილის ახალი ვერსია 344
76. ხორხე ლუის ბორხესი და სამოთხე-ბიბლიოთეკა 349
77. ხულიო კორტასარის უხმაურო მშფოთვარება 356

ვინც პორტუგალიურად წერდა 365
78. ლუიშ დი კამოინში: ზღვის უწყების პოეტური ძეგლი 367
79. წერილი ფერნანდუ პესოას 380

ვინც ნორვეგიულად წერდა 391
80. ჰენრიკ იბსენი: დრამატურგის არადრამატული ცხოვრება 393
81. სიგრიდ უნდსეტი: მეოცე საუკუნის შუასაუკუნეობრივი საგა 396

ვინც შვედურად წერდა 401
82. აუგუსტ სტრინდბერგის დაუნდობელი მრისხანება 403
83. პერ ლაგერკვისტის შუალედური ბილიკი 408

ვინც რუსულად წერდა 411
84. ვლადიმირ სოლოვიოვის მისტიკური ხილვა 413
85. ვასილი როზანოვი ქრისტიანობის გალავანს მიღმა 416
86. ბორის პასტერნაკის მოპოვებული ნათელი 419
87. ვლადიმირ ნაბოკოვის ორი სარკე 421
88. "ნონსტოპ სოლუენიცინი" 425
89. იოსიფ ბროდსკის ხსოვნას 427

ვინც პოლონურად წერდა 433
90. პოლონელი ებრაელი ჰენრიკ გრინბერგი 435
91. ჰანა კრალის დასტური და მოწმობა 441

ვინც ჩეხურად წერდა 445
92. მილენა იესენსკას უწესრიგო ცხოვრება 447
93. ლუდვიკ ვაცულიკი: მწერლის გაბედულება 453
94. მილან კუნდერა ძველ და ახალ სამშობლოში 458

ვინც ბერძნულად წერდა 465
95. კონსტანტინოს კავაფისი: მეხსიერებით გამარადისებული გარდასული 467
96. გიორგიოს სეფერისის დაკარგული მშობლიური ქალაქი 470

ვინც რუმინულად წერდა 473
97. მიჰაი ემინესკუს რომანტიკული მღელვარება 475
98. მირჩა ელიადე: მსხვერპლობა სამყაროს საიდუმლოთა საძიებლად 477

ვინც იაპონურად წერდა 485
99. იასუნარი კავაბატა: სიკვდილის ჩაწვდომის მცდელობა 487

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 489

საძიებლები 499
პირთა საძიებელი 501
ადგილთა საძიებელი 509
ნაწარმოებთა საძიებელი 513

ჩანაწერების მკითხველს

მკითხველს ხელთ უპყრია ჩანაწერები, რომლებიც მიზნად ისახავს სხვადასხვა დროის უცხოელი მწერლების ცხოვრებათა მოკლე გადმოცემას, მოკლე მიმოხილვას, მაგრამ მათი ცხოვრება დანახულია, – საფიქრებელია, მართებულად, – იმ დროში, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ და იმ სიტყვაში, რომლითაც ისინი თავიანთ სათქმელს, თავიანთ უწყებას გამოხატავდნენ.

რაც უნდა ითქვას, მწერალი ისე არასოდეს მოსწყვეტია საკუთარ ხანას, რომ გარეშე მოვლენათა უგულებელყოფით, – ისტორიული გარემოცვის გაუთვალისწინებლად, – შესაძლებელი გახდეს პოეტისა თუ პროზაიკოსის, დრამატურგისა თუ ესეისტის მკაფიო და შესატყვისი პორტრეტის წარმოჩენა, ხოლო მწერლის პიროვნული ბედი კი თავისთავად იმდენადაა საყურადღებო, თუ რამდენად მოხერხდა, სიტყვაში, – ლიტერატურულ სიტყვაში, – განხორციელებულიყო და გამოვლენილიყო მწერლის ცხოვრების არსი, საზრისი, დანიშნულება.

მკითხველისათვის შეთავაზებული 99 ჩანაწერი, რომლებიც თხუთმეტი წლის (1995-2009) განმავლობაში – დროდადრო – იწერებოდა, ერთმანეთისაგან მოცულობითაც განსხვავდება, აგებულებითაც, სტილითაც, გამოთქმის სისრულითაც, და კიდევ, არა მხოლოდ ხედვის სხვადასხვა კუთხით, არამედ არაერთნაირი განზრახვითა და მისწრაფებითაც. წლების განმავლობაში დაგროვებული ყველა ამ ჩანაწერის გამოქვეყნებისა და ერთ წიგნად შეკრების სურვილი მხოლოდ ახლახან გაჩნდა, თორემ ამჟამად მოწოდებული 99-ისაგან აქამდე მხოლოდ 19 იყო დაბეჭდილი.

99 კი, გარდა წარმოდგენილ მწერალთა არა წინასწარ გააზრებული და არა საგანგებოდ ჩაფიქრებული ამორჩევისა, იმასაც მკაფიოდ მიანიშნებს, რომ კრებულში გაერთიანებული ტექსტების რაოდენობა, ისევე, როგორც თავად ეს რიცხვი, არც სისრულეს და არც ამოწურვას გამოხატავს და არც – მწერალთა შორის საგულდაგულოდ

გამოყოფილ საუკეთესოთა გუნდს. მნიშვნელოვანწილად ეს არჩევანი სწორედაც შემთხვევითია (ყურადღებამიპყრობილთა შორის თუნდაც მრავლად იყვნენ წიგნის ავტორისათვის პიროვნულად ძალზე ახლობელნი და მნიშვნელოვანნი!), მაგრამ თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას (რაც უნდა მოშორებულად აღიქვამდეს ზოგიერთი მწერლის სახელს ავტორი), ყოველი მათგანი მაინც ნიშნეული იყო და არის ან თანადროული, ან ეროვნული, ან საყოველთაო ლიტერატურისათვის.

ლიტერატურაში დიდი თუ მცირე სახელების განსაზღვრის საზომები მეტად მყიფე და მერყევია, რაც ყოველთვის დროზე, გარემოზე, განწყობაზე, საჭიროებაზეა დამოკიდებული. სიახლე არ იქნება იმის განცხადება, რომ მწერლის ღვაწლის ლიტერატურულ შეფასებათა კრიტერიუმების განსაზღვრისას (თუ არაფერს ვიტყვით ლიტერატურულ ნაწარმოებთა სულიერი, მეტაფიზიკური თუ რელიგიური დანიშნულების შესახებ), ამგვარი ხელმოსაჭიდი კრიტერიუმი ორად ორი შეიძლება აღმოჩნდეს: ერთი, მკითხველის პირადი, პიროვნული დამოკიდებულება, – მეტ-ნაკლებად დასაბუთებული, – ამა თუ იმ ავტორის, ამა თუ იმ ტექსტის მიმართ; და მეორე, რა გავლენა მოახდინა ამა თუ იმ ავტორმა, ამა თუ იმ ტექსტმა ლიტერატურულ, ან თუნდაც კულტურულ, ანდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ ცნობიერებაზე. ერთიცა და მეორეც ისეთი ფარდობაა, რომლის აღწერაც შეიძლება და გაზომვაც, მაგრამ მსჯელობა, – თუ ვინაა "დიდი" და ვინაა "არადიდი" მწერალი, – რამე სხვა საფუძველთა მოხმობით, სცილდება მკაცრი აკადემიური ლიტერატურისმცოდნეობის ფარგლებს და მხოლოდ ემოციების სფეროში აღმოჩნდება; ემოციური და განწყობისმიერი მიმართება კი შემფასებელს მის ადგილს აკადემიური კვლევიდან ესეისტიკაში გადაუნაცვლებს. ისიც უნდა ითქვას, არავინ შეეჭვდება, რომ წინამდებარე კრებული შორს დგას ყოველგვარი გამოწვლილვითი და მკაცრად დასაბუთებული კვლევებიდან, თუმცა, საგულვებელია, მასში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება შესაძლო ბიძგი გახდეს მომავალ მეცნიერულ ძიებათათვის.

ენა ყოველი ადამიანის სამშობლოა, მაგრამ მწერლის სამშობლო, ამავე დროს, ის ლიტერატურაცაა, რომელიც

ამ ენაზე შეიქმნა. ამიტომაც, როგორც მკითხველი ადვილად შენიშნავს, მწერლები წიგნში დაჯგუფებულია იმ ენების მიხედვით, რომელზეც ისინი წერდნენ. მაინც, ეს დანაწილება ზოგიერთ შემთხვევაში საჭოჭმანო აღმოჩნდა, რადგან ესა თუ ის მწერალი არ თავსდებოდა მხოლოდ ერთი ენის ფარგლებში, – გარდა მშობლიური ენისა, ზოგიერთი მათგანი კიდევ სხვა ენაზეც წერდა: კამოინში – ესპანურად, სტრინდბერგი და კუნდერა – ფრანგულად, პესოა, ნაბოკოვი და ბროდსკი – ინგლისურად; ამავე დროს, ბუბერი, გერმანულის გარდა, საკუთარი ებრაული ენითაც სარგებლობდა, ხოლო იონესკო და ჩორანი, სანამ სამწერლო ენა მათთვის ფრანგული გახდებოდა, მშობლიურ ენაზე, რუმინულად, წერდნენ...

ავტორის გულისტკივილს იწვევს, რომ კრებულს მიღმა აღმოჩნდნენ მწერლები, რომელთა ბევრი წიგნი უკითხავს მას, რომელთა ცხოვრების შესახებ დროში და სიტყვაში მას ბევრი უფიქრია, – იქნება ჰოპკინზი თუ ჩესტერტონი, ოდენი თუ ენთონი ბერჯესი, გერტრუდ ფონ ლე ფორტი თუ რობერტ მუზილი, შარლ პეგი თუ ჟან ჟენე, კონსტანტინ ლეონტიევი თუ ვიაჩესლავ ივანოვი, ტომაზი დი ლამპედუზა თუ ბიოი კასარესი... თუმცა ცხადად ნაგრძნობი ეს გულისტკივილი იმედს ბადებს, რომ მათი ცხოვრებისა და საქმის შესახებ, თუნდაც მოკლე ჩანაწერების სახით, თუნდაც სხვა გამოცემებში, ავტორს თავისი ნაფიქრის გამჟღავნება და თავისი სათქმელის ფურცელზე გადატანა როდისმე მაინც მოუწევს.

თუკი ჩანაწერების წინამდებარე ნაკრები რამდენიმე მკითხველს მაინც – ამ ფურცლების გაცნობის შემდეგ – რომელიმე მწერლის რომელიმე წიგნის წაკითხვის ან ხელახლა გადაკითხვის სურვილს გაუჩენს, კრებულის გამოსვლა და არსებობა სავსებით გამართლებული იქნება.

ამ იმედით ტოვებს ავტორი მკითხველს 99 უცხოელი მწერლის დროში და სიტყვაში გარდატეხილი ცხოვრების პირისპირ.

მერაბ ღაღანიძე

18 აგვისტო, 2010

ვინც ლათინურად წერდა

ერაზმუს როტერდამელი

1

ერაზმუს როტერდამელის სიმშვიდე მღელვარე ხანაში

დეზიდერიუს ერაზმუს როტერდამელი
Desiderius Erasmus Roterodamus
1466-1536

ერაზმუს როტერდამელს, ნებსითა და უნებურად, გზაჯვარედინზე დგომა ერგო, და ეს გზაჯვარედინი ისტორიულიც იყო და პირადულიც. შესაძლოა, საკუთარი თავისათვის დეზიდერიუს ერაზმუსი საცხოვრებლად, სამოღვაწეოდ, სამასწავლებლოდ ცოტა უკეთეს დროს, ცოტა უფრო მშვიდ და მყარ ეპოქას აირჩევდა (თუ ასეთი პერიოდების დაძებნა ჟამთამსვლელობაში ვისმე ადვილ საქმედ ეჩვენება), მაგრამ ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილი მეცნიერი, მწერალი, მოაზროვნე, მწიგნობარი მეთექვსმეტე საუკუნეში დაიბადა და მას იმათ გვერდით უწევდა ცხოვრება, რომლებიც ხუთი საუკუნით ადრე რელიგიურად ორად გაყოფილი ქრისტიანული კონტინენტის კიდევ ერთ გახლეჩას ამზადებდნენ: თუ მეთერთმეტე საუკუნის შუახანებიდან მოკიდებული სულ უფრო და უფრო შორდებოდა ერთმანეთს ქრისტიანული სამყაროს ორი ნაწილი – დასავლურ-რომაული და აღმოსავლურ-ბიზანტიური, იმ დროისათვის, როცა ერაზმუს როტერდამელი თავის ხელნაწერებს, თარგმანებსა და კომენტარებს უკირკიტებდა, თავად დასავლეთის საქრისტიანო იხლიჩებოდა ორად – კათოლიკურ და პროტესტანტულ მხარეებად, რომელთა შორის შეტაკებანი უკვე გამოსულიყო თეოლოგიური დისპუტების ფარგლებიდან და სისხლიან და დაუნდობელ შეტაკებებში გადაზრდილიყო (რომლებმაც, როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე გასტანა). სხვათა შორის, ჯერ კიდევ მაშინ, როცა კამათები თეოლოგიურ განზომილებებს არ გასცდენოდა, აღმოსავლეთის ქრისტიანებმა (და მათ

შორის, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა) უარი თქვეს, თავიანთი აზრი გამოეთქვათ და რომელიმე მხარეს მიმხრობოდნენ, რადგან პაპის საყდარსა და ლუთერის მომხრეთა შორის შეჯახებანი, ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანთა საჯარო განცხადებით, დასავლური ეკლესიის შინაური (და შინაურულად მოსაგვარებელი) საქმე იყო.

პარადოქსი ისაა, რომ ერაზმუს როტერდამელი ამ გაორებული ეპოქის, გაორებული ისტორიის პირობებში ორსავე დაპირისპირებულ მხარეს თავის კაცად მიაჩნდა და ორივე მხარე მის დიდ სახელს, ევროპის განათლებულ და მმართველ წრეებში აღიარებულ სიტყვას თავის სასარგებლოდ იმოწმებდა და იდასტურებდა. მაგრამ ინტელექტუალურად მომთხოვნმა და კულტურულად დახვეწილმა ერაზმუს როტერდამელმა, ავგუსტინელმა მოწესემ, რომელსაც მონასტერში თავისი ცხოვრების არცთუ მოზრდილი მონაკვეთი ჰქონდა გატარებული, ასევე ავგუსტინელი მოწესის, ოღონდ ყოფილი მოწესის, მარტინ ლუთერისაგან, შორს ყოფნა არჩია და რომის კათოლიკე ეკლესიის ერთგულებისათვის სიკვდილამდე არ უღალატია, თუმცა ცნობილია, რომ, ამავე დროს, მან უარი თქვა კარდინალის შეთავაზებულ ბერეტზე (მთლად ადვილი სათქმელი დღესაც არაა, რამ განაპირობა მისი ამგვარი ნაბიჯი – სიკვდილამდე სრულიად დამოუკიდებლად ყოფნის, სრულიად დამოუკიდებლად განსჯის დაუძლეველმა სურვილმა თუ ქრისტიანულმა თავმდაბლობამ და მოკრძალებამ, ოფიციალურ პოზიციათა დაკავებისა და გამოკვეთის უსურველობამ თუ ყოვლად უბრალო ყოფითმა მიზეზებმა, რომელთა წყაროები, შესაძლოა, არც არასოდეს გამჟღავნდეს).

დღევანდელი თვალსაწიერიდან კაცი იფიქრებდა, რომ ერაზმუსის ცხოვრება ყველაზე შესაფერი და შესაბამისი შვეიცარიაში იქნებოდა, სადაც, შვეიცარიულ სიმშვიდესა და დაუძაბველობისათვის თუნდაც მეოცე საუკუნის არაერთ პაციფისტსა და მწიგნობარს შეუფარებია თავი, – ჰერმან ჰესე იქნებოდა იგი თუ რომენ როლანი. ისტორიის მოდერნიზაციაში რომ არ დაგვედოს ბრალი, გავითვალისწინოთ, რომ ამ ქვეყნის ერთ-ერთი მყარი ხატი იქაურ 700 წლოვან მშვიდობიანობას, ტოლერანტობასა

და თავისუფალ მართვა-გამგებლობას გულისხმობს, მაგრამ თანამედროვე ხატები, მითები და ლეგენდები უმთავრეს შემთხვევებში საკმაოდ შორია ხოლმე სინამდვილისაგან. ამჯერადაც ნუ დავიზარებთ გავიხსენოთ, რომ სწორედ შვეიცარიული ბაზელის მიტოვება მოუხდა ერაზმუსს სიკვდილამდე არც ისე დიდი ხნით ადრე, სწორედ შეუწყნარებლობისა და პროტესტანტული შეურიგებლობის შედეგად, – მას შემდეგ, რაც ბაზელში საერთოდ აიკრძალა კათოლიკური ღმრთისმსახურება. თვალშისაცემი და ნიშანდობლივია, თუ რაგვარი არატოლერანტობისა და განსხვავებულ შეხედულებათა მიუღებლობის გარემოში უწევდა ცხოვრება ერაზმუსს, რომელიც თავისი საქმითა და ღვაწლით ყველგან და ყველასთან სიმშვიდეს, სიფართოვესა და გახსნილობას ამკვიდრებდა.

ერაზმუსის ცხოვრების შედეგთა კიდევ ერთი პარადოქსი ისიცაა, რომ იგი ისტორიული პერსპექტივით საეკლესიო რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს წამომწყებად და თავკაცად ჩანს, – და ისევ ორსავე მხარეს, ორივე მხარისათვის: ტრადიციული ტერმინოლოგიით, რეფორმაციისა და კონტრრეფორმაციისა ან, ამჟამად უფრო მიღებული სიტყვათხმარებით, პროტესტანტული რეფორმისა და კათოლიკური რეფორმისა. ფაქტი ისაა, რომ ორივე ამ ნაკადმა არსებითად უცვალა სახე ძველ კონტინენტს და, ალბათ, საერთოდ, ქრისტიანულ თუ მის მეზობელ სამყაროს, ხოლო ერაზმუსის წვლილი კი ამ ცვლილებებში სრულიად უეჭველია. ოღონდ საქმე ისაა, რა შეფასდეს შედეგებად და როგორ შეფასდეს: ბაროკული გზით, ღმრთისა და კაცის დამაკავშირებელი გზით სიარული ტრადიციულ ქრისტიანულ გარემოში თუ ახალი არჩევანის პროტესტანტულ ქვეყნებში ლიბერალიზმის პირველი მარცვლების ჩაყრა. შემთხვევითი, ალბათ, არც ისაა, რომ დეზიდერიუს ერაზმუსი ხშირად ევროპული ლიბერალიზმის ერთ-ერთ პიონერადაა ხოლმე მიჩნეული.

ერაზმუსი, ექიმის ქალიშვილისა და მღვდლის, როჟე გერარის, ვაჟი 1469 წელს დაბადებულა, მაგრამ რაკიღა ცელიბატის აღთქმის გამო კათოლიკე მღვდელს ცოლის ყოლა ეკრძალება, გასაგებია, რომ ერაზმუსი უკანონო შვილად იქნა მიჩნეული. ამ დამღას (როგორც ჩანს, ერაზ-

მუსის დროინდელ ევროპაში არც ისე თავზარდამცემად ხელისშემშლელს, – თუნდაც ლეონარდო და ვინჩის მაგალითი გავიხსენოთ, – როგორც მომდევნო, ეგრეთ წოდებულ უფრო ლიბერალურ ხანებში) ერაზმუსისათვის არც სიჭაბუკეში და არცთუ ხანმოკლე სამოცდაათი წლის განმავლობაში ხელი დიდად არაფერში შეუშლია, – ყოველ შემთხვევაში, არც შესანიშნავი განათლების შეძენაში, არც მოწესედ აღკვეცასა და მღვდლად ხელდასხმაში, არც უნივერსიტეტის პროფესორობის მოპოვებაში და არც საკმაოდ წარმატებულ საკარო-პოლიტიკურ კარიერაში. რომ აღარაფერი ვთქვათ რომის კათოლიკე ეკლესიაში ერაზმუსის უზარმარი გავლენისა და ავტორიტეტის შესახებ, რომის საყდართან მისი უშუალო და უშუამავლო დამოკიდებულების შესახებ, გავიხსენოთ, რომ იგი დანიშნეს თექვსმეტი წლის დიდი ჰერცოგის, კარლოსის, საპატიო კანცლერად, იმ კარლოსისა, რომელიც შემდგომში სახელგანთქმული იმპერატორი კარლოს V გახდა. სხვათა შორის, სწორედ მისი მეურვეობისა და აღზრდისას დაიწერა ერაზმუსის ერთი ყველაზე ცნობილი წიგნი – "ქრისტიანი მთავრის აღზრდა".

მაგრამ ერაზმუსის მთავარ დამსახურებათა შორის ევროპული კულტურის წინაშე არა მარტო მისი წიგნები უნდა მოვიხსენიოთ, – ერთი მხრივ, რენესანსული განწყობით აღსავსე "სიბრიყვის ქება" თუ "მოურიდებელი საუბრები" და, მეორე მხრივ, ისეთი ნაწერები, როგორიცაა, მაგალითად, "ქრისტიანი მხედრის ენქირიდიონი, ანუ დაშნა", რომელიც ქრისტიანული მორალის, ქრისტიანული აღზრდის უთუოდ საგულისხმო სახელმძღვანელოა, – არამედ, აგრეთვე, მისი საგანმანათლებლო-საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს ძველი ბერძნული ტექსტების მოძიებასა და გამოცემას და ერაზმუსის ტექსტოლოგიური მოღვაწეობის მწვერვალს – ახალი აღთქმის ბერძნული ორიგინალის გამოცემას ახალი ლათინური თარგმანისა და კომენტარების თანდართვით. შემთხვევითი არაა, რომ სხვა არაერთ საპატიო წოდებებთან ერთად, რომელიც ერაზმუსმა თანამედროვეთა და მოგვიანო მემკვიდრეთაგან მოიპოვა, ერთ-ერთია თანამედროვე ევროპული ფილოლოგიის ფუძემდებლის ტიტული.

პროტესტანტთაგან მრავალრიცხოვან მიწვევებზე უარის თქმისა და ბაზელის იძულებითი მიტოვების შემდეგ, იგი გადადის ფრაიბურგის კათოლიკურ უნივერსიტეტში. გაივლის წლები და ერაზმუსი კიდევ ერთხელ დაბრუნდება ბაზელში, რათა თვალყური მიადევნოს საკუთარი წიგნის ბეჭდვას, მაგრამ 1536 წლის 12 ივლისს ერთ დროს მისთვის აგრე ღვიძლ ქალაქში იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. როგორც მოწმეები ამბობენ, მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: "ჩემო ძვირფასო ღმერთო!".

ერაზმუსის ცხოვრება და ღვაწლი ამ ხუთი საუკუნის განმავლობაში არაერთხელ გამხდარა ევროპელ ინტელექტუალთა განსჯისა და ჩაფიქრების საგანი, ხშირად – საკუთარი სათქმელის დაზუსტების თუ გამოთქმის საშუალება. მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ერთი ამგვარი ნიმუშია შტეფან ცვაიგის სიკვდილისწინა წიგნი "ერაზმუს როტერდამელის ტრიუმფი და ტრაგედია", რომელიც მეორე მსოფლიო ომის ზღურბლზეა დაწერილი.

1999

ვინც ფრანგულად წერდა

ჟან რასინი
რენე დე შატობრიანი
სიული პრიუდომი
ემილ ზოლა
ანატოლ ფრანსი
მორის მეტერლინკი
რომენ როლანი
პოლ კლოდელი
ანდრე ჟიდი
მარსელ პრუსტი
ჟიულ სუპერვილი
ჟორჟ ბერნანოსი
გაბრიელ მარსელი
ანდრე ბრეტონი
ტრისტან ცარა
ჟაკ პრევერი
ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი
ჟულიენ გრინი
ანდრე მალრო
მარგერიტ იურსენარი
სიმონ ვეილი
ეჟენ იონესკო
ემილ ჩორანი
ალბერ კამიუ
მარგერიტ დურასი
რომენ გარი
მიშელ ტურნიე

2

ჟან რასინი:
სწრაფვა კლასიკური წონასწორობისაკენ

ჟან რასინი
Jean Racine
1639-1699

ჟან რასინი მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგული კლასიკური დრამის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს, – არაერთი თაობისათვის სწორედ მისი შემოქმედება განასახიერებს იმ ფართო და ერთ დროს მეტად გავლენიან მოვლენას, რომელიც მსოფლიო კულტურის ისტორიაში კლასიციზმის სახელით შევიდა. გავრცელებული საზოგადო აზრით, რასინი ყველა დროისა და ყველა ჟანრის ყველაზე დიდ ფრანგ პოეტად რჩება, ხოლო დრამატურგიული სიტყვიერების ფრანგ წარმომადგენელთა შორის მხოლოდ მას მიეკუთვნება ხოლმე ერთადერთი ჭეშმარიტი ტრაგიკოსის პატივი. მაგრამ რასინის ადგილი ფრანგული ლიტერატურის თუ ფრანგი საზოგადოების ისტორიაში გამორჩეულია პიროვნულადაც, – იგი თავისი ქვეყნის მწერალთა შორის პირველი იყო, რომელმაც, ყოველგვარი წოდების და ყოველგვარი ნივთიერი საფუძვლის გარეშე, თავის თანამედროვეთა შორის აღიარებას, დაფასებასა და გავლენას მიაღწია.

ჟან რასინი 1639 წლის 22 დეკემბერს საკმაოდ ღარიბი მოხელის ოჯახში, პარიზიდან 40 მილის მოშორებით, დაიბადა. დედამისი მაშინ გარდაიცვალა, როცა იგი ჯერ მხოლოდ ერთი წლისა იყო, ხოლო მამის გარეშე კი იგი მაშინ დარჩა, როცა ყმაწვილს სამი წელი შეუსრულდა. ობოლს მზრუნველებად პაპა და დიდედა მოევლინენ, მაგრამ მომავალი დრამატურგი ცხრა წლისა იყო, როცა დიდედაც დაქვრივდა. თუმცა ბედკრულ ჭაბუკს მაშინ კი უთუოდ გაუმართლდა, როცა იგი სწავლა-განათლების მისაღებად და საცხოვრებლად პორ-როიალის მონასტერში

აღმოჩნდა. სხვათა შორის, ეს სავანე არა მარტო იანსენიზმის უმთავრეს და უძლიერეს ცენტრად იყო მიჩნეული კათოლიკურ სამყაროში, არამედ მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან კერადაც (ამ მონასტერთანაა დაკავშირებული, მაგალითად, ერთი მხრივ, პორ-როიალის ლოგიკა და პორ-როიალის გრამატიკა, ხოლო, მეორე მხრივ, პასკალის რელიგიურ-მისტიკური აზროვნება, და, საერთოდ, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო ნახევარი). ჟან რასინს პორ-როიალის სკოლაში ლათინურის შესანიშნავი ცოდნა მოუპოვებია, და კიდევ, ისე დაუფლებია ბერძნულს, როგორც არავინ მის თანამედროვეთა შორის. მას სწორედ იქ ჩამოჰყალიბებია ლიტერატურული გემოვნება და შეხედულებები, იქ დაჰმეგობრებია არაერთ მომავალ გამოჩენილ მწერალსა და მსახიობს.

როცა, იანსენიზმის ოფიციალური საეკლესიო უარყოფის შემდეგ, პაპის გადაწყვეტილებით, პორ-როიალის სამონასტრო სკოლა დაიხურა, რასინი კიდევ ერთ ხანს დარჩენილა იქ, რადგან სხვაგან არსად ჰქონდა საცხოვრებელი. ამ დროს ის თურმე მთელ დღეებს ტყეში ატარებდა, სადაც ბერძნული წიგნები მიჰქონდა თან, – წასაკითხად, სასწავლოდ და ჩასაწვდომად. შემდგომში ჟან რასინი პარიზს მიაშურებს სამართლის შესასწავლად, მაგრამ მას მთელი ცხოვრების მანძილზე იმ შინაგან კონფლიქტთან უწევს გაწონასწორება, რომელიც სწორედ პორ-როიალში წარმოიშვა, – დაპირისპირება იანსენიზმის ასკეტურად მკაცრ მორალურ მოთხოვნებსა და ცხოვრების წარმართულ აღქმას შორის. ეს დამუხტულობა მისი დრამატურგიის მფეთქავ ძარღვადაც იქცევა.

მალე პარიზში მცხოვრები რასინი ლიტერატურულ სახელს მოიხვეჭს და მისი პოეტური შემოქმედება ცნობილი და დაფასებული ხდება არისტოკრატიულ თუ სამეფო წრეებში. როგორც ჩანს, ამ გარემოებამაც განაპირობა, რომ ობოლი ჭაბუკის სანათესაომ საბოლოოდ უარი თქვა თავდაპირველ ჩანაფიქრზე, პორ-როიალის აღზრდილი სამღვდელო გზას გაჰყოლოდა. მართალია, დრამატურგის პირველ ტრაგედიას, "თებაიდას", რომელიც მოლიერის თეატრში დაიდგა, წარმატება არ ხვდომია წილად, მაგრამ უკვე მეორე ტრაგედიის, "ალექსანდრე დიდის",

წარმოდგენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ახალგაზრდა მწერალი ადვილად გაიკვალავს გზას სამეფო კარისაკენ, სადაც იგი თვით სახელგანთქმულ კორნელისაც კი დაჩრდილავს. ოცაოთხი წლის რასინის ცხოვრებაში იწყება შემოქმედებითი აღმავლობის ათწლეული, სხვათა შორის, დაკავშირებული საფრანგეთის მეფის, ლუი მეთოთხმეტის, მონარქულ მფარველობასთან. რიგ-რიგობით იწერება და იდგმება მისი ყველაზე ცნობილი და ყველაზე აღიარებული დრამები: "ბაიაზეთი", "ანდრომაქე", "ფედრა", "მითრიდატე", "იფიგენია", "ბრიტანიკუსი". სიახლითაა აღსავსე ამ დროს რასინის პირადი ცხოვრებაც – იგი ცნობილი მსახიობის, ტერეზ დუ პარკის, სატრფო ხდება. მაგრამ მსახიობი ქალის მოულოდნელ გარდაცვალებას და პარიზში ხმების გავრცელებას, რომ რასინმა იგი მუხანათურად მოწამლა, დრამატურგის ჩრდილში გადგომა მოჰყვება: ოცდათვრამეტი წლის ასაკში იგი სრულიად ჩამოსცილდება საზოგადოებრივ ცხოვრებას, სამეფო კარს, თეატრს, მალე დაქორწინდება და მრავალშვილიან ოჯახს მოეკიდება. დღემდე გრძელდება კამათი, თუ რამ განაპირობა წარმატებული დრამატურგისა და კარისკაცის განდგომა და ესოდენ საყვარელი თეატრისათვის ზურგის შექცევა. მისი პირველი ბიოგრაფის, მისი ვაჟის, მტკიცებით, მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ "ფედრას" ავტორის სულიერ მოქცევაში, სულიერ გარდატეხაში უნდა ვეძიოთ.

მაგრამ საერო ცხოვრება ამჯერად თავად ერევა მის მშვიდ პირად ცხოვრებაში. სიცოცხლის ბოლოს მას მეფის აუხსნელი რისხვაც კი ელის. მიწიერი ცხოვრების მიწურულს თეატრს მოშორებული დრამატურგი სასულიერო გალობებს წერს.

ჟან რასინი 1699 წლის 21 აპრილს გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად, იგი პორ-როიალის მონასტრის სასაფლაოზე დამარხეს.

იმის წარმოსადგენად და გასაგებად, თუ რას ნიშნავდა თაობებისათვის ჟან რასინის დრამატურგია, მის "ფედრასა" თუ "ანდრომაქეზე" დასწრება, მით უმეტეს, სახელგანთქმული ფრანგი მსახიობების შესრულებით (ფრანგული – და არამარტო ფრანგული – სცენის სხვადასხვა

თაობის თითქმის ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი თავისი ოსტატობის დადასტურებას სწორედ რასინის სტრიქონების გაცოცხლებითა და განხორციელებით ცდილობდა), ალბათ, ღირს გახსენება მარსელ პრუსტის ეპოპეისა – "დაკარგული დროის საძებნელად", გახსენება იმ ფურცლებისა, სადაც სცენაზე რასინის პირველად ნახვის შემდეგ, შესანიშნავი ბერმას შესრულებით, ჭაბუკი მარსელი აღფრთოვანებისა და მღელვარებისაგან ავად გახდება.

1999

3

რენე დე შატობრიანი – რომანტიკოსი დიპლომატიურ სამსახურში

ფრანსუა რენე დე შატობრიანი
François-René de Chateaubriand
(François-Auguste-René, vicomte de Chateaubriand)
1768-1848

ვისაც სიყმაწვილეში სტერეოტიპულ (და, შესაბამისად, არცთუ მთლად აზრიან) სახელმძღვანელოებში ან ლექსიკონებში ჩაუხედავს, შესაძლოა, ახსოვდეს ერთი არაპატიოსანი და არაზუსტი განმარტება, რომ მეცხრამეტე საუკუნეში რომანტიზმი ორგვარი სახით არსებობდა: ერთი პროგრესული რომანტიზმი იყო, მეორე კი – რეაქციული, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ჭეშმარიტად სახალხო და ჰუმანისტურ იდეალებთან. ამგვარ რეაქციონერ რომანტიკოსთა სანიმუშო წარმომადგენლად კი, უპირველეს ყოვლისა, შატობრიანი მოიხსენიებოდა ხოლმე, – ტრადიციულ ფასეულობათა, შუასაკუნეობრივი კულტურისა და კათოლიკური ევროპის თაყვანისმცემელი.

ფრანსუა ოგიუსტ რენე შატობრიანი 1768 წლის 4 სექტემბერს მამაპაპისეულ კოშკში დაიბადა, ლამაზ და წყნარ პატარა სანაპირო ბრეტანულ ქალაქ სენ-მალოში, – კორსარების, ავანტიურისტებისა და მონებით მოვაჭრეთა ძველთაძველ თავშესაფარში. სწორედ აქ აღიზარდა მომავალი პოეტი, – მარტოსული, მეოცნებე, აღსავსე სევდითა და ჭმუნვით, – რომლისთვისაც ყველაზე მყუდრო სახლი ოცნებათა და წარმოდგენათა სამყარო იყო. მიუხედავად იმისა, რომ შატობრიანის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში საკმაოდ ძნელია ფაქტისა და წარმოდგენის გამიჯვნა, მაინც სავარაუდოა, რომ ბრეტანულმა ძირებმა და არისტოკრატიულმა წარმოშობამ სამუდამო კვალი დააჩნია მის ფიქრებსა და შეგრძნებებს. და, ამას გარდა,

ოჯახური გარემო: დედა – მოსიყვარულე, ღმრთისმოსავი და სულმუდამ ავადმყოფი; მამა – სიტყვაძუნწი, მკაცრი, თავის თავში ჩაკეტილი; უფროსი და – ძმის ერთგული და საიმედო თანამოსაუბრე, მისი რომანტიკული გატაცებების თანამგრძნობი და მხარდამჭერი, თავადაც პოეზიისა და ოცნებათა ტრფიალი.

ახალგაზრდა შატობრიანი მოწყენილობის გასაფანტავად, საოჯახო ტრადიციის კვალობაზე, ჯარს მიაშურებს, რათა, ლეიტენანტის უნიფორმას შეფარებულს, წერის, ფიქრისა და მოგზაურობის საშუალება ჰქონდეს. მაგრამ ოცი წლის ჭაბუკი, მალტის რაინდთა ორდენის ახალმიღებული წევრი, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის პირისპირ აღმოჩნდება და, რაკიღა ბარიკადების არც ერთ მხარეზე დადგომას არ ისურვებს, ახალ სამყაროს, ამერიკას მიაშურებს. 1791 წლის ივლისში ის გემი, რომელზეც იგი იმყოფება, ბალტიმორში ჩაუშვებს ღუზას და სულ მალე ფრანგი ოფიცერი და არისტოკრატი ფილადელფიისაკენ აიღებს გეზს. მოგონებათა წიგნი, რომელსაც იგი მოგვიანებით გამოსცემს, შეიცავს მის საუბარს პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონთან, თუმცა, რაკიღა მათი შეხვედრა სინამდვილეში არასოდეს შემდგარა, სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც (ისევე, როგორც ხშირად შატობრიანის ნაწერებში) მკითხველი მხატვრულ, პოეტურ გამონაგონს ეცნობა. ამერიკაში ყოფნისას იგი ხვდებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებსა თუ გადმოსახლებულებს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინდიელებთან მისი ურთიერთობანი სინამდვილეს შეეფერება, მისისიპის ოსტატური აღწერისას მწერალი წინამორბედ მოგზაურთა წიგნებს ეყრდნობა.

მაგრამ იმავე წელს შატობრიანი შეიტყობს, რომ საფრანგეთში მეფე ლუი XVI დაუტყვევებიათ და გადაწყვეტს, სამშობლოსაკენ გაეშუროს. დაბრუნებისთანავე მშობლები მის დაქორწინებას შეძლებენ. ახალგაზრდა ლეიტენანტიც უფროსების ნების მორჩილი აღმოჩნდება და უარს არ იტყვის მამულის პატრონ, ჩვიდმეტი წლის ასულზე, თუმცა მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მას ის უფროსი ქალბატონები უფრო იზიდავენ, რომლებიც, მისი მეუღლისაგან განსხვავებით, აღფრთოვანებით შეჰყურებენ მის ნიჭს, გონიერებასა და წარმტაც გარეგნობას.

ამ დროს პოეტი და მეომარი ემიგრანტულ მონარქისტულ არმიას შეუერთდება, მაგრამ საბოლოოდ, დაჭრილი და ავადმყოფი, სიმშვიდის ძიებაში, ნებაყოფლობით განდევნილობას ამჯობინებს, – თუნდაც გარდაუვალი სიღარიბის მიუხედავად. შვიდი წლის განმავლობაში იგი ლონდონში დარჩება, სადაც მასწავლებლობითა და თარგმანებით ირჩენს თავს. ინგლისში დაწერილ, დამთავრებულ თუ დაუმთავრებელ, გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ნაწერებში შატობრიანი, განმანათლებელთა კვალობაზე, ქრისტიანობისა და ქრისტიანული ეკლესიის საკმაოდ მკაცრ კრიტიკოსად ჩანს, მაგრამ მალე ყველაფერი იცვლება, – დედის სიკვდილი და პოეტის ღრმა და მტკივნეული განცდები ამის გამო მას კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტების აღიარებამდე მიიყვანს. "მე ვიქვითინე და მე ვირწმუნე", – დაწერს იგი შემდგომში.

იმ დროს, როცა საფრანგეთს სათავეში ნაპოლეონი ჩაუდგება, პოეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს სამშობლოში დაბრუნებას, სადაც რამდენიმე წელიწადში საბოლოო სახეს მიიღებს მისი უმთავრესი წიგნი "ქრისტიანობის გენია", – ნაშრომი, რომელიც ავტორმა ნაპოლეონს მიუძღვნა. იმპერატორიც ამ დროს პაპთან კონკორდატის დასადებად ემზადებოდა და საზოგადოებაც ნელ-ნელა (თუმცა მეტისმეტად ნელა და უნდომრად) თავისუფლდებოდა განმანათლებლურ-ვოლტერიანული საცდურისაგან. შატობრიანის "ქრისტიანობის გენია", თეოლოგიური თუ თეორიული თვალსაზრისით, არცთუ იშვიათად მოიკოჭლებს ხოლმე, თუმცა ემოციურად, პოეტურად შთამაგონებელი წიგნი მნიშვნელოვანწილად განმაპირობებელი აღმოჩნდა შემდგომი თაობების ცნობიერებისათვის, – ევროპული კულტურისათვის ქრისტიანულ ფასეულობათა პრიორიტეტის ნათელსაყოფად, შუასაუკუნეობრივი ლიტერატურისა თუ გოთური არქიტექტურის სიმშვენიერის მიმართ თვალის ასახელად, კონსერვატიულ-რომანტიკული თვალსაზრისისათვის გზის გასაკვალად.

მალე შატობრიანი, კათოლიკური სარწმუნოებისა და კათოლიკური კულტურის აპოლოგეტი, იღებს ნაპოლეონის შემოთავაზებას და დიპლომატიურ საქმიანობაში ჩაერთვება, – იწყებს სამსახურს იმპერატორის წარმო-

მადგენლად რომში, კათოლიკე ეკლესიის მეთაურის კარზე. რომიდან მოწერილი მისი წერილები აღსავსეა გოდებით მარადიული ქალაქისა და, საერთოდ, იტალიური მიწების დაცემისა და განადგურების გამო.

მაგრამ სულ მალე შატობრიანს მოქალაქეობრივი სიმამაცის გამოჩენა მოუწევს: როცა იმპერატორი რამდენიმე უსამართლო და უგუნური დასჯით გაისვრის ხელს, შატობრიანი პროტესტის ნიშნად მიატოვებს სახელმწიფო სამსახურს, საზოგადოებრივ ცხოვრებას და წიგნებისა და მომხიბლავი ქალბატონების გარემოცვაში განმარტოვდება.

ამავე ხანებში, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, იბეჭდება შატობრიანის ყველაზე ცნობილი პროზაული ნაწარმოებები – რომანტიკული პროზის სანიმუშო ქმნილებები, მოთხრობები: "ატილა", "რენე", "მოწამეები", მოთხრობები, სადაც, ავტორის შეხედულებათა კვალობაზე, წარმოჩენილია ყოველისდამძლევი, ყოვლისგადამლახავი რელიგიური რწმენის ძალა. ამ დროს შატობრიანს ფრანგი ინტელექტუალისათვის ყველაზე საპატიო აღიარება ელის: 1811 წელს მას საფრანგეთის აკადემიის – "უკვდავთა" აკადემიის – წევრად აირჩევენ.

ნაპოლეონის დაცემის შემდეგ, რომლის წინააღმდეგაც შატობრიანს არაერთი პამფლეტი ჰქონდა დაწერილი, ყოფილ მეომარსა და ყოფილ დიპლომატს, საზოგადოებრივ-იერარქიული აღიარება ელის, – მას პერთა პალატის წევრად მიიღებენ და ვიკონტ დე შატობრიანის ტიტულს მიანიჭებენ. მეფე ლუი XVIII მას სრულუფლებიან მინისტრად აგზავნის ჯერ ბერლინში და შემდგომ – ლონდონში, მოგვიანებით – საფრანგეთის წარმომადგენლად ვერონის კონგრესზე, ცოტა ხნით იგი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრიცაა, ხოლო უკანასკნელ სახელმწიფოებრივ მოვალეობას, მეფე კარლოს X-ის მეფობაში, ისევ რომში აღასრულებს, – საფრანგეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად.

შემდგომში კი ვიკონტ დე შატობრიანს ისევ განდგომა ელის, განდგომა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. სიცოცხლის ბოლო ოც წელიწადს იგი მადამ რეკამიეს გვერდით ატარებს, რომელიც ახალ,

მოულოდნელ ელვარებას სძენს მის მელანქოლიურ და გადაღლილ ყოველდღიურობას. ამ დროს პოეტი და მოაზროვნე თავის უკანასკნელ წიგნებს წერს, ხანდახან თუნდაც იმიტომ, რომ ხელგაშლილი ცხოვრების მიერ მოტანილი ნივთიერი შეჭირვება დაძლიოს, – წერს წიგნებს, რომელთა შორისაა, შესაძლოა, მისი საუკეთესო წიგნი, გამოცემული შატობრიანის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ – "მოგონებანი საფლავის მიღმიდან". წიგნი მოიცავს იმ ჩანაწერებს, რომელსაც პოეტი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში წერდა, – მოგონებები ბრიტანული სიჭაბუკის შესახებ, დაულეველი და დაუძლეველი აღფრთოვანება ქალის სიმშვენიერით, ტყეებისა და ზღვის იდუმალებით; ფურცლები, რომელთაც ფრანგულ ლიტერატურაში სიფაქიზითა და სიღრმით, ალბათ, მხოლოდ მარსელ პრუსტის მრავალტომიანი ეპოსი თუ შეედრება.

ოთხმოცი წლის ვიკონტი ფრანსუა ოგიუსტ რენე დე შატობრიანი 1848 წლის 4 ივლისს პარიზში გარდაიცვალა, მაგრამ მორიგ რევოლუციურ მღელვარებათა გამო იგი საოჯახო აკლდამაში, სენ-მალოში, უხმაუროდ დაკრძალეს.

1998

4

სიული პრიუდომი – პირველი ლაურეატი

სიული პრიუდომი
Sully Prudhomme
(René François Armand Prudhomme)
1839-1907

როცა 1901 წელს სტოკჰოლმში პირველად მოიყარა თავი ლიტერატორ აკადემიკოსთა საკრებულომ, რომელსაც გარდაცვლილი ფილანთროპის, ალფრედ ნობელის, ანდერძში გაცხადებული ნება-სურვილი უნდა აღესრულებინა და მისი სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი უნდა შეერჩია ლიტერატურაში, მათი არჩევანი (უნდა ითქვას, ისტორიულად უთუოდ საპატიო არჩევანი) ფრანგ პოეტ სიული პრიუდომზე შეჩერდა. ნობელის სურვილის თანახმად, ჯილდო ლიტერატურის დარგში ყოველწლიურად უნდა მინიჭებოდა იმას, ვინც კეთილშობილ იდეებს სიტყვიერად შეასხამდა ხორცს და ლიტერატურაში იდეალისტურ ანუ იდეალურ ღირებულებებს დაამკვიდრებდა. კომიტეტის პირველი გადაწყვეტილება თავად მიმნიჭებლებმა წარმოაჩინეს როგორც "სიული პრიუდომის დამსახურებათა აღიარება გამორჩეული პოეტური შემოქმედებისათვის, რომელიც განმსჭვალულია იდეალიზმით, მხატვრული ოსტატობით და გულისა და ინტელექტის შერწყმით", – ამგვარად, ცოტათი ძველმოდურად, მაგრამ უთუოდ ამაღლებულად ჟღერდა პატივსადებ აკადემიკოსთა პირველი და ისტორიული განჩინება.

სიული პრიუდომი ფრანგული პოეზიის ერთ დროს მნიშვნელოვანი მიმდინარეობის, პარნასიზმის, წამყვანი წარმომადგენელი იყო, იმ მიმდინარეობისა, რომელიც სიტყვიერ ხელოვნებაში ელეგანტურობის, დახვეწილობის, გაწონასწორებულობის შეტანას ცდილობდა და უპირატესობას, პირველ ყოვლისა, ესთეტიკურ კრიტერიუმებს ანიჭებდა.

სიული პრიუდომი ფსედონიმია რენე ფრანსუა არმან პრიუდომისა, რომელიც 1836 წლის 16 მარტს პარიზში დაიბადა. სამეცნიერო-ტექნიკური განათლების მოპოვების შემდეგ იგი აკადემიური კარიერის გზაზე აპირებდა შედგომას, მაგრამ თვალის მძიმე დაავადებამ მისი ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დატოვა. ფაბრიკაში ხანმოკლედ მოხელედ მუშაობას სამართლის შესწავლა და, საბოლოოდ, პროფესიონალი პოეტის ბედის არჩევა მოჰყვა. როგორც ბიოგრაფები ამბობენ, მნიშვნელოვანი ბიძგი მის პირველ, სევდითა და ჭმუნვით აღსავსე მელანქოლიურ-სანტიმენტალურ ლექსებს ჭაბუკის უიღბლო სიყვარულის მტკივნეულმა განცდამ მისცა. სხვათა შორის, ბევრი შემფასებლის აზრით, 1865 წელს დაბეჭდილი სიული პრიუდომის პირველი კრებული ავტორის საუკეთესო პოეტურ ქმნილებებს მოიცავს. მათგან ერთმა ლექსმა კი, "დამტვრეულმა ლარნაკმა", ფრანგული სკოლების არაერთ სახელმძღვანელოში დაიდო ბინა. შემდგომში პოეტი უარს ამბობს პიროვნული, სუბიექტური გრძნობების გაცხადებაზე და, როგორც პარნასული იდეების ერთერთი პირველი დამამკვიდრებელი, თავის ნაწარმოებებს განყენებული, ამაღლებული, ძირითადად, ფილოსოფიური თემატიკით ტვირთავს. მისი ორი გვიანდელი ცნობილი ლექსი "სამართლიანობა" და "ბედნიერება" სიყვარულისა და ცნობიერების ფაუსტურ ძიებებს ასახავს. ამასთანავე, იგი დიდ დროს უთმობს მოზრდილი, ნახევრად ლირიკული, ნახევრად დიდაქტიკური პოემის წერას, რომელშიც აღწერილია პოეტის მიერ წარმოსახული, ამ სოფელს გადაბიჯებული, მიღმიერი ცხოვრება.

სიული პრიუდომის უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებები კი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს, ხოლო მისი, ფრანგულად ლუკრეციუსის შესანიშნავი მთარგმნელის, ცოტათი გულუბრყვილო, ცოტათი მოძველებული მცდელობა – ფილოსოფიური მსჯელობა მკითხველს პოეტურ სამოსში წარმოუჩინოს, არცთუ ხშირად აღწევს სასურველ – პოეზიისათვის სასურველ – შედეგს.

ნახევარი საუკუნის გადაცილების შემდეგ სიული პრიუდომი მთელ დროს ფილოსოფიას უთმობს, რასაც

მისთვის ხელი არ შეუშლია გამხდარიყო საფრანგეთის სიტყვიერების აკადემიის წევრი და ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ლიტერატურის დარგში.

სიული პრიუდომი 1907 წლის 7 სექტემბერს პარიზში გარდაიცვალა.

1999

5

ემილ ზოლა
და ინტელექტუალთა საუკუნე

ემილ ზოლა
Émile Zola
1840-1902

იმ დროს, როდესაც ემილ ზოლამ ღია წერილით მიმართა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ფელიქს ფორეს, და ერთმნიშვნელოვნად დადგა ალფრედ დრეიფუსის მხარეს, თითქმის მთელი ფრანგი საზოგადოება ორ ნაწილად იყო გახლეჩილი: ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სამშობლოს ღალატისათვის ბრალდებული ებრაელი ოფიცრის დასჯას, მეორეს კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სასამართლო პროცესი თავიდანვე ფალსიფიცირებული იყო და მემარჯვენე კონსერვატორთა პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. ზოლას წერილის დაბეჭდვის შემდეგ, რომლის სათაური იყო "ბრალს ვდებ" და რომელიც გაზეთ "Aurore"-ს 1898 წლის 13 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა, გაჩაღდა ძალზე მასშტაბური, კარგად ორგანიზებული აქცია მწერლის პოზიციის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად, რომელსაც შედეგად ის მოჰყვა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დრეიფუსი ციხიდან გაათავისუფლეს და გაამართლეს, ხოლო ანტიებრაული გამოსვლები ჩაცხრა და შეწყდა.

ზოლას გამოსვლა მთელი გასული ასი წლის განმავლობაში მიჩნეული იყო ინტელექტუალთა წარმატებული კამპანიის ნიმუშად და მიბასაძ მაგალითად, იმ შემთხვევად, როცა ინტელექტუალთა ჩარევას სამართლიანობის აღდგენა და უსამართლოდ დასჯილთა გამართლება-გათავისუფლება მოჰყვება ხოლმე. ხშირად უთქვამთ, რომ ემილ ზოლას სტატია დაბადების მოწმობად იქცა ახალი, გავლენიანი პოლიტიკური კლასისათვის, ინტელექტუალებისათვის, სტატიის ირგვლივ გაჩაღებული სკანდალი

კი – ახლადგაჩენილი ჩვილის პირველ შეძახილად, რომელიც საკუთარი თავის შესახებ აუწყებდა ქვეყანას, იმ პირველ განცხადებად, რომელმაც გარშემომყოფთ ყოველგვარი იმედი უნდა გადაუწუროს, რომ ძველებური ცხოვრების უზრუნველად გაგრძელება მოხერხდება.

ფაქტია, რომ ფრანგულ გარემოში დრეიფიუსის სკანდალის შემდეგ ინტელექტუალი ეწოდა იმ გონებრივ მუშაკს, რომელიც პოლიტიკურადაა ანგაჟირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ვალდებულია, პოლიტიკის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატოს. შემთხვევითი, ალბათ, არც ისაა, რომ ზოლასთან ერთად ინტელექტუალთა სულიერ მამად უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკოსი და ჟურნალისტი ჟორჟ კლემანსო, რომელმაც დაარქვა ზოლას სტატიას ამგვარი, განგაშის შემომკვრელი სათაური – "ბრალს ვდებ". მისი დაბეჭდვიდან ათი დღის შემდეგ სწორედ კლემანსომ გამოიყენა პირველად სიტყვა "ინტელექტუალი", როცა თავადაც გამოეხმაურა მწერლის მხარდამჭერთა პეტიციას.

ტრაექტორია "მწერალი-ჟურნალისტი-პოლიტიკოსი" ინტელექტუალთა საქმიანობის სქემატურ მოდელად იქცა, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი პუნქტი მის უკიდურეს ლიმიტად უნდა მივიჩნიოთ: ისინი, ვინც თავიანთ საქმიანობას, კლემანსოს მსგავსად, მთლიანად პოლიტიკის სფეროში გადაიტანენ, ინტელექტუალებად აღარ არიან ხოლმე მიჩნეულნი.

გამოჩენილი ისტორიკოსის, მიშელ ვინოკის, ახლახან გამოცემული წიგნი "ინტელექტუალთა საუკუნე", რომელიც ზოლას გამოსვლის ასი წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა, საფრანგეთის ინტელექტუალური ცხოვრების ასწლეულს სამ პერიოდად ჰყოფს: პირველს ბარეს წლები ეწოდება (დრეიფიუსის სკანდალიდან პირველ მსოფლიო ომამდე), მეორეს – ანდრე ჟიდისა (ორ მსოფლიო ომს შორის), მესამეს კი – სარტრისა (მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან სამოცდაათიანი წლების დასასრულამდე). ამ სამმა ინტელექტუალმა, რომლებიც აგრერიგად განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს წარმოადგენენ, ისტორიკოსის აზრით, ყველაზე ღრმად ასახეს ამ საუკუნის საფრანგეთის ინტელექტუალური სცენა.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი კაპიტნის, დრეიფიუსის, გამართლებისა და მისი სამხედრო სამსახურში აღდგენის შემდეგ მემარცხენეები გამარჯვებას ზეიმობდნენ, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის საზოგადოებაში ნელ-ნელა ეროვნული და კონსერვატიული ნაკადი ძლიერდებოდა. ფასეულობათა ცვლის სიმბოლური გზა, – გზა სულიერ ღირებულებათაკენ, კათოლიკობისაკენ, კლასიკური ტრადიციებისაკენ, – მტკივნეულად გაირა შესანიშნავმა ფრანგმა პოეტმა, შარლ პეგიმ, რომელიც გმირულად დაეცა პირველი მსოფლიო ომის ველზე.

თუ ემილ ზოლას დრეიფიუსის დაცვა არა მარტო ათასფრანკიან ჯარიმად დაუჯდა, არამედ ერთწლიანი პატიმრობის განაჩენადაც, რასაც მწერალმა მხოლოდ ემიგრაციის წყალობით დააღწია თავი, ანდრე ჟიდს "სსრკ-დან დაბრუნება" (ასე ეწოდება მის გახმაურებულ წიგნს) ანუ საბჭოთა ტოტალიტარიზმის სისასტიკეთა გამომჟღავნება და მათი მწვავე კრიტიკა საზოგადოებრივ გაკიცხვასა და ზურგშექცევას უქადდა, – და არა მარტო საფრანგეთში: კომინტერნის მიერ გაჩაღებული საერთაშორისო ანტიჟიდური კამპანიის გამოძახილად ქართული ლიტერატურის მცოდნეთ უთუოდ პაოლო იაშვილის ლექსიც გაახსენდებათ – "ანდრე ჟიდს, მოღალატეს". მიუხედავად იმისა, რომ ჟიდის ლიტერატურულ საქმესა და მოქალაქეობრივ სიმამაცეზე ამ კამპანიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საფრანგეთში ათწლეულების განმავლობაში ბობოქრობდა პროსაბჭოთა და პროკომუნისტური სიმპათიები. რომ არაფერი ვთქვათ რომენ როლანზე, ამ მიმართულების ყველაზე შთამბეჭდავ წარმომადგენლად უთუოდ ნობელის პრემიის კიდევ ერთი ლაურეატი, ჟან-პოლ სარტრი, უნდა გავიხსენოთ, რომელმაც, როლანისა და ჟიდისაგან განსხვავებით, უარი თქვა ამ პრემიაზე, – იმის გამო, რომ, "გულისრევის" ავტორის აზრით, მას, ძირითადად, რეაქციული მწერლები იღებდნენ, რეაქციული კი, მისი გაგებით, ანტიკომუნისტურს ნიშნავდა. ჟან-პოლ სარტრი ხომ სიკვდილამდე, მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე, უმტკიცებდა ერთგულებას ყველაზე პირსისხლიან დიქტატორებს – ჩინელ თუ კუბელ კომუნისტებს! სხვათა შორის, ისიც

უნდა ითქვას, რომ მაშინ, პრემიის უარყოფის ამ შემთხვევისას, ნობელის კომიტეტი, ჩანს, გვარიანად შეშინდა და შემდგომ წელს შვედი მილიონერის მიერ დაწესებული პრემია ბოლშევიკ მწერალს, მიხაილ შოლოხოვს, მიანიჭა, – ალბათ, მისი "პროგრესული" ანუ კომუნისტური პოზიციისათვის პატივის მისაგებად...

რაც შეეხება ზოლას სტატიის ასი წლისთავს, საფრანგეთის საზოგადოება საკმაოდ ფართოდ და მღელვარედ გამოეხმაურა ამ თითქოს მივიწყებულ და გარდასულ ფაქტს: ზოგან დრეიფუსის სკანდალის დეტალები გაიხსენეს, რომლის პარალელების მოძებნა არცთუ ისე ძნელია მეოცე საუკუნის სხვადასხვა გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ მოვლენებში, ზოგი თავად ზოლას ბიოგრაფიის დეტალებს ჩაუღრმავდა, მაგრამ ყველაზე ხშირი იყო ზოლას პროტესტის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებასთან გადაჯაჭვის მცდელობები. სტატიის საიუბილეო დღეებში ახლანდელმა ფრანგმა ინტელექტუალებმა ამერიკული ტელეკომპანია სი-ენ-ენ-ის დაუნდობელი კრიტიკა გააჩაღეს, რომელიც, მათი აზრით, ცხოვრებისა და აზროვნების უნიფორმულ მოდელს ნერგავს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, ზოგიერთმა მათმა კოლეგამ კი ჩინეთის კომუნისტური ხელისუფლებისა თუ მწვანეთა მოძრაობის წინააღმდეგ წამოიწყო ახალი კამპანია, ზოგმა არაბი ტერორისტების ან ცხოველთა მტანჯველების დაგმობა და გაკიცხვა გადაწყვიტა. ინტელექტუალი ხომ აუცილებლად სამართლიანობის დასაცავად უნდა იმაღლებდეს ხმას! ყოველ შემთხვევაში, ასეა მას შემდეგ, რაც ამ ასი წლის წინათ გაზეთ "Aurore"-ში ემილ ზოლას საპროტესტო სტატია დაიბეჭდა.

1998

6

ანატოლ ფრანსის არამყარი სკეფსისი

ანატოლ ფრანსი
Anatole France
(François-Anatole Thibault)
1844-1924

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ანატოლ ფრანსი მთელი მსოფლიოს კულტურულ წრეებში ფრანგული ლიტერატურის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. საფრანგეთის ეგრეთ წოდებულ "უკვდავთა" აკადემიის ჭაღარა წევრი კლასიკოსის ყველა წარმოსადგენ მახასიათებელს განასახიერებდა, – და არა მარტო კლასიკური (პირველ ყოვლისა, ბერძნულ-რომაული) მემკვიდრეობის მიმართ ერთგულებას, არა მარტო უეჭველად ფართო განათლებას, არა მარტო აზროვნების რაციონალურ და რაციონალისტურ ორიენტაციას, სტილის გამჭვირვალობასა და სინატიფეს, სათქმელის სიცხადესა და სიმკვეთრეს, ირონიულობასა და სკეფსისს, არამედ ვოლტერისა და დიდროს ტრადიციათა გაყოლასაც, რაც თავისთავად გულისხმობდა ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლებისადმი სრულ სიუცხოვეს, უარის თქმას ყოველგვარ მეტაფიზიკურზე, მიწიერის მიღმა არსებულ მიღმიერზე, მებრძოლ ანტიკლერიკალიზმსა და გულწრფელ თუ ფრონდერულ სოლიდარობას ყველა ჯურის ანტიქრისტიანულ გამოვლინებათა მიმართ.

და მაინც, ანატოლ ფრანსისათვის კულტურა და შემწყნარებლობა ადამიანური ყოფის საძირკველი იყო. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, რომ მწერლის სკეფსისი არ იყო მაინცდამაინც მყარი, – შესაძლოა, იგი საკუთარი სკეფსისის მიმართაც სკეპტიკურად იყო განწყობილი. და კიდევ, რაც უნდა უცნაური იყოს, მისი შემოქმედებიდან ყოველთვის ჟონავდა სიყმაწვილიდან

შემორჩენილი მოკრძალება სოფლის უბრალო კათოლიკე მღვდლების, ძველი ტაძრების თუ ძველი ქრისტიანული ლეგენდების მიმართ. ალბათ, ისიც გასახსენებელია, რომ მისი საუკეთესო რომანის – "ღმერთებს სწყურიათ" – ყველაზე სიმპათიური გმირებიდან ერთი მორის ბროტოა, მარტოხელა ეპიკურეელი ათეისტი, სიბარიტი და სკეპტიკოსი, ხოლო მეორე – მოხუცი კათოლიკე მოწესე, მამა ლუი დე ლონგმარი, თავისი სარწმუნოებისათვის, ქრისტიანობის ერთგულებისათვის დევნილი და დასჯილი ღმრთისმებრძოლთა მიერ. ორივეს ერთნაირი სიკვდილი ელის: ერთმანეთის მხარდამხარ, ორივეს ერთად, – სხვათა შორის, ქუჩის მეძავთან ერთად, – გილიოტინაზე გაისტუმრებს "ძმობის, ერთობისა და თავისუფლების" მქადაგებელი სისხლიანი და სასტიკი რევოლუცია.

გულდასაწყვეტია, რომ, მეოცე საუკუნის მრავალი ინტელექტუალის მსგავსად, მყარი მორალური, რელიგიური და საზოგადოებრივი საფუძვლების უქონლობის გამო, ანატოლ ფრანსიც სიცოცხლის ბოლოს კომუნიზმის მომხრე და ლენინური ბოლშევიზმის მხარდამჭერი ხდება...

ანატოლ-ფრანსუა ტიბო, მომავალი აკადემიკოსი და ლიტერატურის ნობელის პრემიის ლაურეატი, სანამ მამისეული წიგნის მაღაზიის სახელწოდების დარად, თავის გვარად თუ ფსევდონიმად "ფრანსს" აირჩევდა, წიგნების გარემოში იზრდებოდა და ყალიბდებოდა. შემდგომშიც, სიცოცხლის ბოლომდე მას ხელიდან არასოდეს მოუშორებია წიგნი, ხოლო ინტელექტუალური მაძიებლობა, ნატიფი ხელოვნება, სილამაზე, მშვინვიერი და ხორციელი განცხრომა მისი ცხოვრების წამყვან და აზრისმიმცემ ფასეულობებად იქცა. მეუღლისა და ქალიშვილის მიტოვების შემდეგ, მან მდიდარი დ გონიერი ებრაელი ქალის, მადამ კაიავეს, გვერდით ცხოვრება არჩია, მწერლის სახელგანთქმული რომანების – "თაისისა" და "წითელი შროშანის" – შთამაგონებლის გვერდით; და ეს წლები, ამ ქალბატონის სიკვდილამდე, ანატოლ ფრანსის ლიტერატურული მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი და შედეგიანი პერიოდი აღმოჩნდა.

ანატოლ ფრანსის ლიტერატურული ქმნილებები – მისი რომანები და ნოველები – ევროპული კულტურის ფასეულობებს განეკუთვნება, მაგრამ, სავარაუდოა, დაძლეულ მემკვიდრეობას. ანატოლ ფრანსის წიგნების კითხვაც, განსაკუთრებით სიყმაწვილისა თუ სიჭაბუკის წლებში, უეჭველად სასარგებლო გაკვეთილებია, თუნდაც კლასიკური ტრადიციების მიმართ მოწიწების ჩამოსაყალიბებლად, თუნდაც სტილის გრძნობის დასახვეწად, თუნდაც ბანალური, ყალბი და გაცვეთილი სტერეოტიპების დასაძლევად და იმ უსაფუძვლო იმედებთან დროულად გამოსამშვიდობებლად, რომ უახლოეს ხანში ან საზოგადოების გაუმჯობესება ან ადამიანის დაჭკვიანებაა მოსალოდნელი.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ფრანსისეული გაკვეთილების ათვისების შემდეგ დასაძლევია კიდევ უფრო რთული, კიდევ უფრო მღელვარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გაკვეთილები...

დაბოლოს, უცნაურია, რომ დღემდე ანატოლ ფრანსის, "ანგელოსების აჯანყების" ავტორის, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნოველად რჩება "ღმრთისმშობლის ჟონგლიორი", – ნაწარმოები, რომელსაც შუასაუკუნეობრივი ლეგენდა უძევს საფუძვლად: მონასტერში მოწესედ აღკვეცილი უბირი ჟონგლიორი, ლოცვებისა და ღმრთისმსახურების ტრადიციათა უცოდინრობის გამო, გადაწყვეტს, ისე ეთაყვანოს ღმრთისმშობელს, როგორც თავად იცის და შეუძლია: წმიდა მარიამის ქანდაკების წინ ბურთებს ათამაშებს ან ყირაზე გადადის. და ერთ დღეს, – ერთ მშვენიერ დღეს, – გაოგნებული მოწესეები თვალს მოჰკრავენ, როგორ ჩამოდის კვარცხლბეკიდან ქალწული დედა, რათა ოფლი მოსწმინდოს ღმრთისმშობლის მოთაყვანე, ყირამალა მდგომ ჟონგლიორს.

ღმრთისაკენ მიმყვანელი გზები შეუცნობელია, და არავინ იცის, ვის სამსახურს როგორ იღებს ან როგორ სამსახურს იღებს სამყაროს შემოქმედი, – იგი, ვინც ყოველგვარ დაჭირვებაზე მარადიულად ამაღლებულია.

ანატოლ ფრანსი თავის თავს ქრისტიანული კულტურის თუ ქრისტიანული ისტორიის კარგ მცოდნედ მიიჩნევდა, მაგრამ ამ და ამგვარ კითხვებზე საპასუხოდ, რა თქმა

უნდა, არც ეს ცოდნაა საკმარისი და არც ფრანსისათვის ჩვეული, თან განსჯითი და თან ბრწყინვალე, მაგრამ მაინც არამყარი სკეპსისი... იქ, სადაც ძლიერი გონებაც კი დუმდება, პასუხის აღმოსაჩენად რწმენა და იმედია აუცილებელი, – თუნდაც ისეთი, როგორიც იმ უბრალო, უვიც, უწიგნურ ჟონგლიორს ჰქონდა.

1999

7

მორის მეტერლინკი – პოეტი, დრამატურგი, ესეისტი

მორის მეტერლინკი
Maurice Maeterlinck
(Maurice Polydore Marie Bernard, Count Maeterlinck)
1862-1949

მეოცე საუკუნის სახელგანთქმული პოეტი, დრამატურგი, ესეისტი მორის მეტერლინკი 1862 წლის 29 აგვისტოს ბელგიაში დაიბადა და როცა იგი სამოცდაათი წლისა შესრულდა, ბელგიის მეფემ მას გრაფის წოდება მიანიჭა, მაგრამ მისი შემოქმედება არა მარტო ენობრივად, არამედ კულტურულადაც უფრო ფრანგულ გარემოს ეკუთვნის, ვიდრე მის ფლანდრიულ სამშობლოს. კიდევ მეტი, მეტერლინკი ყოველთვის ფრანგული სიმბოლიზმის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლად იყო აღიარებული. რაც შეეხება მის დრამებს, რომლებიც, ალბათ, დედამიწის ყველა ენაზეა თარგმნილი, ნებისმიერ ცნობარსა თუ სახელმძღვანელოში ისინი სიმბოლისტური დრამატურგიის კლასიკურ ნიმუშებადაა მიჩნეული. თუმცა ისიც სათქმელია, რომ სიმწიფის ხანაში იგი თავად ამბობს უარს მოდერნისტული ხელოვნების ფასეულობებზე და თავის შემოქმედებითს ყურადღებას ტრადიციულ ანგლოსაქსურ დრამას, კერძოდ, შექსპირის შემოქმედებას მიაპყრობს.

მეტერლინკის სახელმა ფართო აღიარება უკვე მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდან მოიპოვა, მაგრამ პოეტი განსაკუთრებით სახელგანთქმული გახდა 1911 წლის შემდეგ, როცა მას ნობელის პრემია მიენიჭა. ამ დროს უკვე შექმნილია მისი დრამატურგიის აღიარებული შედევრები: "პელეასი და მელისანდა", რომელიც კიდევ უფრო ცნობილი გახადა კლოდ დებიუსის ბრწყინვალე მუსიკამ და იგავური დრამა "ლურჯი ფრინველი", რომელიც საყმაწვილო თეატრების რეპერტუარებში ზო-

გან დღემდე ინარჩუნებს ადგილს, – მიუხედავად მისი სანტიმენტალური შინაარსისა და ფორმისა, მიუხედავად მისი თვალშისაცემად გულუბრყვილო კონცეფციისა, რაც მეტერლინკის იმდროინდელ თეოსოფიურ გატაცებებს გამოხატავს.

მწერლის სიცოცხლეში თუ მისი სიკვდილის შემდეგ, – იგი 1949 წლის 6 მაისს გარდაიცვალა, – არაერთხელ გამოთქმულა შეხედულება, რომ მორის მეტერლინკის ესეისტური ნაწარმოებები ყველაზე მნიშვნელოვანია იმას შორის, რაც პოეტმა და დრამატურგმა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შექმნა სიტყვიერ ხელოვნებაში (სხვათა შორის, მხატვრული შემოქმედების გარდა, თანამედროვეთ შეუნიშნავი არ დაუტოვებიათ მისი წვლილი ენტომოლოგიისა და ბოტანიკის განვითარებაში და მისი რამდენიმე წიგნი ამ სფეროში).

მეტერლინკის პესიმიზმით განმსჭვალული ფილოსოფიურ-რელიგიური შეხედულებები ძნელია ქრისტიანული აზროვნების ჩარჩოებში მოთავსდეს, – მისი მსჯელობანი, სადაც აშკარად ჩნდება პლატონისა თუ რუისბრუკის, სვედენბორგისა თუ ემერსონის მისტიკურ გამოცდილებათა გავლენა, უფრო მეტად იმ სულიერი ძიებების ნაკვალევითაა აღბეჭდილი, რომლის მწველი განცდა ადამიანს რწმენის დაკარგვის ტრაგედიის შემდეგ და შედეგად ელის. მორის მეტერლინკს მიაჩნდა, რომ თეატრალური ქმედება საკრალური ცერემონიაა, იგი დარწმუნებული იყო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიურ საზოგადოებაში იდუმალისა და რელიგიურის განცდის გარეშე ადამიანის გადარჩენა შეუძლებელია.

1999

8

რომენ როლანის კეთილი თვალები

რომენ როლანი
Romain Rolland
1866-1944

რომენ როლანი, პირველ ყოვლისა, მწიგნობარი და მუსიკათმცოდნე იყო, წიგნისა და მუსიკის ტრფიალი. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე საწერ მაგიდასთან იჯდა და შრომობდა, – როგორც მისი მეგობრები იხსენებენ, დროს ვერც სეირნობისათვის იმეტებდა და ვერც ჭამისათვის, არც სვამდა და არც ეწეოდა, ოთხ ან ხუთ საათზე მეტი არასოდეს ეძინა და მისთვის ერთადერთი სულისმოთქმა ფორტეპიანოსთან მიჯდომა იყო. მემუარისტებს, ალბათ, ისიც უნდა დავუჯეროთ, რომ მან თითქმის ყოველი ტაქტი იცოდა, რაც კი ოდესმე დაუწერია ოდნავ მაინც ღირებულ კომპოზიტორს. მას ძალზე ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული და იმასაც ამბობენ, რომ იგი იცნობდა ყველა ქვეყნისა და ყველა ეპოქის ისტორიას, ფილოსოფიას, მწერლობას. იგი იყო ერნსტ რენანისა და ლევ ტოლსტოის მოწაფე და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ლამის ყველა სახელგანთქმული ადამიანის მეგობარი.

რომენ როლანი რამდენიმე ათეული ტომის ავტორია. მას დაწერილი აქვს რომანები და მოთხრობები, პიესები და ესეები, გამოკვლევები და სტატიები, ბიოგრაფიები და რეცენზიები. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ნობელის პრემიით აღინიშნა, რაც მეოცე საუკუნის მწერალთათვის თითქმის უკვდავების ტოლფასია. მაგრამ მისი ბელეტრისტიკის გადაკითხვის შემდეგ მკითხველი ძნელად თუ დაეთანხმება შვედ აკადემიკოსთა პატივცემული კომიტეტის განაჩენს, მით უმეტეს, თუ ამ მკითხველს ისიც ახსოვს, რომ იმავე კომიტეტს შეუმჩ-

ნეველი დარჩა როლანის რამდენიმე თანამედროვე და თანამემამულე, – მაგალითად, მარსელ პრუსტი, პოლ კლოდელი ან პოლ ვალერი. ნობელის ზემოხსენებული კომიტეტის გადაწყვეტილების მიუხედავად, ნამდვილი მწერლობის ნამდვილი მოყვარული ძნელად თუ მიუჩენს ადგილს როლანს მეოცე საუკუნის ნამდვილ ლიტერატურულ პანთეონში, თუმცა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ათწლეულობის მანძილზე არწმუნებდა ათასობით მკითხველს, ბიბლიოთეკარსა თუ სტუდენტს, რომ იმ ხანაში ევროპულ-ამერიკულ ლიტერატურულ სივრცეში ჯეკ ლონდონის, თეოდორ დრაიზერისა და რომენ როლანის რომანებზე უკეთესი ბევრი არაფერი დაწერილა, და ეს იმიტომ, რომ მათ კაპიტალისტური გარემოს დაძლევაც კი მოახერხეს და საკუთარ შემოქმედებას თითქმის სოციალისტური რეალიზმის პრინციპები დაუდეს საფუძვლად. მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, "ჟან-კრისტოფის" ავტორის მიმართ ნაფიც საბჭოთა იდეოლოგთა გულჩვილობას არა იმდენად ამ ბუნდოვანი "სოცრეალიზმისადმი" მისი ერთგულება განაპირობებდა, რამდენადაც ის უბრალო მიზეზი, რომ როლანი ევროპელ ინტელექტუალთა იმ ნუსხაში შედიოდა, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილნი. სასურველად არ იყო მიჩნეული ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ხანდახან ეს სიმპათია უბრალო დუმილითაც გამოიხატებოდა, – დუმილით ბოლშევიკურ სისასტიკეთა და სიმხეცეთა მიმართ. თუმცა არც ისაა დასავიწყებელი, რომ რომენ როლანი, – ჰუმანისტი და პაციფისტი, კაცი, რომელსაც, შტეფან ცვაიგის სიტყვებით, ყველაზე ნათელი და ყველაზე კეთილი თვალები ჰქონდა, – მართლაც ვერ ხედავდა საჩვენებელი სტალინური კოლმეურნეობა-ქარხნების მიღმა ყოვლისგამჭოლ სახელმწიფოებრივ ძალადობას, გულაგის საკონცენტრაციო ბანაკებს, შიშისა და დასმენის გამყინავ გარემოს. ერთ პირად წერილში იგი სანტიმენტალური გრძნობებით იხსენებს გენრიხ იაგოდას რომანტიკულ, ბავშვურად უმანკო მზერას. და ეს ის იგოდაა, ჩეკისტური მგზნებარებით რომ ხელმძღვანელობდა პროფესიონალი მკვლელებისა და სადისტების

ბანდას, რომელსაც მონაცვლეობით *ვე-ჩე-კა* ან *ო-გე-პე-უ* ანდა *ენ-კა-ვე-დე* ერქვა და რომელსაც იაგოდამდე ძერჟინსკი და მენჟინსკი, ხოლო მის შემდგომ ეჟოვი და ბერია ედგნენ სათავეში.

სწორედ იმ დროს გულაგის შემზარავი მანქანის მარწუხებში მოქცეული ოსიპ მანდელშტამი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, შეშლილობის ზღვარზე მისული, თავის აკვიატებულ აზრს ებღაუჭებოდა, რომ მის ადგილ-სამყოფელს რომენ როლანი მოიკითხავდა, მისი ბედ-იღბლით შეწუხდებოდა და ბარაკისაგან, შიმშილისაგან, ყინვისაგან დაიხსნიდა. მაგრამ რომენ როლანმა ამის შესახებ, შესაძლოა, არაფერი იცოდა. ამ დროს იგი, შესაძლოა, გენრიხ იაგოდას რომანტიკული, ბავშვურად უმანკო თვალების შესახებ ფიქრობდა.

მაგრამ ნუ ვიქნებით მკაცრი და დაუნდობელი წიგნებისა და მუსიკის მოთაყვანე მწერლის მიმართ, – იგი თავად არასოდეს ყოფილა არც მკაცრი და არც დაუნდობელი. განა უსამართლობა არ იქნება არ გავიხსენოთ, რომ იგი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, ხოლო იმ ბედკრულ ნახევარში კი (და შემდგომაც) მთელ დასავლურ ინტელექტუალურ სამყაროში მემარცხენეობის საყმაწვილო სენი ბობოქრობდა, განსაკუთრებით – ფრანგულ გარემოში, სადაც ანდრე ჟიდის ან ალბერ კამიუს ინტელექტუალური სიფხიზლე და ზნეობრივი ვაჟკაცობა იყო საჭირო საბჭოთა კომუნიზმის ხასხასა წითელ სამოსზე უზარმაზარი სისხლიანი ლაქების დასანახად. შესაძლოა, ტოტალიტარიზმთან შეთამაშების ეს ცოდვა გარდაუვალიც იყო, რადგან იმას, ვინც, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ ფასეულობებზე თქვა უარი, ხოლო, მეორე მხრივ, რელიგიური განცდის დაკარგვის შემდეგ სამყაროში მეტაფიზიკური აბსოლუტის არსებობა გამორიცხა, კომუნიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი. ამ ალტერნატივის მიღმა კი სოციალური და ინტელექტუალური სიმარტოვე და უნიადაგობა ილანდებოდა. არც ისაა დასავიწყებელი, რომ რომენ როლანი, ყველა მწიგნობრისა და ინტელექტუალის მსგავსად, არასრულფასოვნების გრძნობით იტანჯებოდა, რომელსაც, წიგნებისა და მუსიკის ყველა

მოყვარულის მსგავსად, ის ეჭვი ღრღნიდა, რომ თავად არასწორი და მანკიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო სწორი და სრულფასოვანი ცხოვრება კი უბრალო, ჩვეულებრივ, მშრომელ ადამიანებში ჩქეფდა, რომლებიც თავს არც რეფლექსებით იტკიებენ და არც სკეფსისით, თუმცა როცა თავად შექმნა ამგვარი უბრალო და ჩვეულებრივი პერსონაჟი, – კოლა ბრუნიონი, – ვერც იგი გაათავისუფლა ფიქრის, სევდისა და ეჭვისაგან.

და განა შეგვფერის სიმკაცრე მწერლის არჩევანის შეფასებისას, განა უსამართლობა არ იქნება, არ გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მკითხველი ათწლეულების მანძილზე მადლიერებით ფურცლავდა როლანის წიგნებს სიყვარულისა და ხელოვნების, თანალმობისა და შთაგონების შესახებ, კითხულობდა უზარმაზარ, მრავალტომიან "ჟან-კრისტოფს" და მთავარ გმირში არეკლილ პროტოტიპთა შორის წმიდა ქრისტეფორესაც ხედავდა, იმ ქრისტეფორეს, რომელსაც მგზავრები ერთი ნაპირიდან მეორეზე საკუთარი მხრებით გადაჰყავდა, რომელმაც ერთხელ, მისთვის მოულოდნელად, მაცხოვარსაც გაუწია სამსახური. როლანისეული გმირული ბიოგრაფიების კითხვისას კი, რომელიც საბჭოთა აუცილებელ სასკოლო საკითხავში შედიოდა, ადამიანს შეიძლება აღმოეჩინა, რომ მიქელანჯელო არა იმდენად შუასაუკუნეობრივ სიბნელეს შეჭიდებული ტიტანი იყო, რამდენადაც გენიალობისა და ტრფობის ხუნდებით სულდამძიმებული ოსტატი; რომ ბეეთჰოვენი არა იმდენად მასების მილიონიან მსვლელობათა მეხოტბე იყო (რის გამოც იგი კომუნისტებსაც და ნაციონალ-სოციალისტებსაც თავიანთ თანამოაზრედ მიაჩნდათ), რამდენადაც მარტოობითა და გაუგებრობით გათანგული მუსიკოსი; რომ ლევ ტოლსტოი არა იმდენად "რუსეთის რევოლუციის სარკე" იყო, რამდენადაც ცხოვრებისა და რწმენის ფუნდამენტური კითხვებით გაოცებული და დატანჯული მოაზროვნე.

განა უსამართლობა არ იქნება არ გავიხსენოთ, რომ მიქელანჯელოსა და ჰენდელის, სტენდალისა და ბეეთჰოვენის, ტოლსტოისა და მალერის შესახებ როლანისეული ფურცლების კითხვისას უსახურ და უგემურ საბ-

ჭოთა ბიოგრაფიებს შეჩვეულ მკითხველს თავისუფალი სუნთქვისა და ადამიანური შეხვედრის გადავიწყებული გრძნობა ეუფლებოდა; რომ მაჰატმა განდჰის შესახებ მისი წიგნიდან აშუქებდა აღტაცებული კალმით დახატული წმიდანი, რომელიც სიმართლისა და იმედის ზიგზაგ გზას მიუყვებოდა, და არა ბრიტანული იმპერიალიზმის აგენტი, როგორც საბჭოთა მოქალაქეების კომინტერნისდროინდელ თაობებს მოძღვრავდნენ და არც კოლონიალისტების წინააღმდეგ აჯანყებული რევოლუციონერი, როგორც ამავე მოქალაქეების შემდგომ თაობებს ასწავლიდა მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელო. ანდა როლანის შთაგონებული და მიმზიდველი წიგნები რამაკრიშნასა და ვივეკანანდას შესახებ განა თითქმის ერთადერთი საშუალება არ იყო, ადამიანს თვალი მაინც მოეკრა აღმოსავლური სულის ამ დიად მოციქულთათვის, იქ, სადაც ჰორიზონტს მარქსიზმ-ლენინიზმის ბერწი პლანტაციები ფარავდა და მაშინ, როცა კომუნისტური გვალვისაგან გადახრიოკებულ ტრამალებზე სულის ყოველგვარი შერხევა აკრძალული და დაუშვებელი იყო.

ამიტომ ვერც რომენ როლანი, საბჭოთა კავშირისა და მაქსიმ გორკის დიდი მეგობარი, გადაურჩა უშიშროების ორგანოთა ფხიზელ მზერას და მისი ნაწერებიც მოხვდა აკრძალულ წიგნთა ინდექსში. თუნდაც დღეს უკვე პენსიაში მყოფ თბილისელ ჩეკისტებს შეუძლიათ გაიხსენონ, რომ ამ ოცდახუთი-ოცდაათი წლის წინათ შინაური ჰიპებისა და კრიშნაიტების, იოგებისა და ანთროპოსოფების ბინათა ჩხრეკა-დარბევისას რომენ როლანის ტომები ინდური მისტიკისა და სულიერი ცხოვრების შესახებ საკონფისკაციო სიაში – მეტად საპატიო მეზობლობაში – აღმოჩნდებოდა ხოლმე. განა უსამართლობა არ იქნება, არ გავიხსენოთ, რომ რომენ როლანი იმგვარადვე უჭერდა მხარს სტალინსა და მის პარტიულ ამხანაგებს, როგორც კნუტ ჰამსუნი – გერმანელ ნაციონალ-სოციალისტებს, სარტრი – ჩინელ მაოისტებს, მარკესი – კუბელ კომუნისტებს. როლანი, მათგან განსხვავებით, ალბათ, დღევანდელ მკითხველს ნაკლებად აინტერესებს, იგი მათ, ალბათ, ტალანტითაც ჩამო-

რჩებოდა, – იგი წიგნებისა და მუსიკის მოყვარული იყო, რომელიც წიგნებისა და მუსიკის, სიყვარულისა და ტანჯვის შესახებ აღფრთოვანებით, განცდით, ცოდნითა და მოწიწებით წერდა. და კიდევ, როგორც ამბობენ, რომენ როლანს კეთილი თვალები ჰქონდა...

1996

9

პოლ კლოდელის მყარი რიტმი

პოლ კლოდელი
Paul Claudel
(Paul Louis Charles Marie Claudel)
1868-1955

პოლ კლოდელმა, მეოცე საუკუნის ევროპული კულტურის ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა, ღირსშესანიშნავმა და გავლენიანმა მოღვაწემ, თავის ვრცელ და ფართო შემოქმედებაში იმ წარუვალ სულიერ ღირებულებათა ერთგულება დაადასტურა, რომელიც ადამიანურ ცხოვრებასა და ქმედებას ვერტიკალურ განზომილებაში, ღმრთაებრივ წესრიგთან მიმართებაში განჭვრეტს და აფასებს.

მისი პოეზია და დრამატურგია, სამოგზაურო ჩანაწერები და ესეისტური ნარკვევები, რომლებიც ლიტერატურას, მუსიკასა და რელიგიას შეეხება, არა მარტო ახალი დროის ადამიანის აფორიაქებას, მიუსაფრობასა და საყრდენების ძიებას ასახავს, არამედ, პირველ ყოვლისა, იმ ნათელს ირეკლავს, რაც რელიგიური თუ ზნეობრივი სიმყარეების მიმართ ყურისმიგდებას, იმედს, რწმენას მოაქვს. კლოდელის შემოქმედება დასავლურქრისტიანული კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო და საყოველთაოდ აღიარებული გამოშუქებაა, მაგრამ ანტიკურ-ქრისტიანული ტრადიციების უეჭველობა და უცვლელობა მის პირად, შინაგანად დრამატულ ცხოვრებაშიც მკაფიოდ აისახა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტის ცხოვრების რიტმი სიჭაბუკიდანვე მიზანმიმართული იყო, ის არასოდეს ყოფილა არც მშვიდი, არც თანაბარი, არც ერთფეროვანი...

პოლ ლუი შარლ მარი კლოდელი შამპანის პროვინციაში, გლეხური წარმოშობის წვრილი მოხელის ოჯახში 1868 წლის 6 აგვისტოს დაიბადა. სიყმაწვილეშივე გაკე-

თებულმა ზნეობრივმა თუ ინტელექტუალურმა არჩევანმა, კლასიკური მემკვიდრეობის შესანიშნავმა და შინაგანმა ცოდნამ მას მთელი ცხოვრების განმავლობაში სულიერი სიმდიდრე და სიღრმე, პიროვნული გამძლეობა და მსოფლმხედველობრივი სიმყარე მიანიჭა. გამორჩეულმა სასწავლო წარმატებებმა კი მას მაღალი საზოგადოებისა და ბრწყინვალე დიპლომატიური კარიერისაკენ გაუკვალა გზა – თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში პოლ კლოდელი საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა: ოცდახუთი წლისა იგი კონსულად დაინიშნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორიოდ წლის შემდეგ კი ჩინეთის საელჩოში გააგზავნეს, სადაც იგი 14 წელი მსახურობდა, შემდეგ კი იყო დიპლომატიური პოსტები – პრაჰაში, ფრანკფურტში, ჰამბურგში, რომში, რიო დე ჟანეიროში, კოპენჰაგენში; საფრანგეთის სრულუფლებიან ელჩად სამსახური ტოკიოში, ვაშინგტონში, ბრიუსელში; საბოლოოდ, სამშობლოში დაბრუნება და "უკვდავთა" აკადემიის წევრობა; 1955 წელს სიკვდილი ოთხმოცდაექვსი წლის ასაკში და ეროვნული დაკრძალვა.

და მისი დაძაბული, მძაფრი, ინტენსიური რელიგიური ცხოვრება: იმთავითვე, სიჭაბუკიდანვე გამიჯვნა პარიზელ ხელოვანთა ბოჰემურ-მოუწესრიგებელი, ღმრთისაგან განმდგარი ყოფისაგან და უმნიშვნელოვანესი სულიერი გარდატეხა – მისი რელიგიური მოქცევა 1886 წლის შობა ღამეს, როცა თვრამეტი წლის ჭაბუკი პარიზის ნოტრდამის ტაძარში შინაგან გაცისკროვნებას იგრძნობს და მოწოდების ძახილს გაიგონებს.

შემდგომ კი: გარეგნულად – წარმატებული დიპლომატიური მოღვაწეობა, პოეტის შინაგანი ხედვით – ნებაყოფლობითი ექსორია, – შორეულ ქვეყნებში, შორეულ კონტინენტებზე; ცხოვრება განმარტოებით, პარიზის ინტელექტუალურ-არტისტული წრეებისაგან მოშორებით; ცხოვრება აღსავსე ლოცვითა და მედიტაციით; ბიბლიის, თომა აკვინელის, დანტეს მარადიული სტრიქონების ჩაღრმავებითა და წვდომით.

და კიდევ ერთი მკვეთრი შემობრუნების მცდელობა: ოცდაცამეტი წლის კლოდელი გადაწყვეტს, უარი თქვას

დიპლომატიურ სამსახურზე, საერო ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე და ბენედიქტელთა მონასტერში მოწესედ შედგეს, რასაც სულ მალე გაწბილება და ორდენის მიტოვება მოჰყვება. პოეტის მცდელობა, სამონაზვნო ჯვალოში გაეტარებინა დარჩენილი ცხოვრება, მარცხით დამთავრდა. ვერლენისა და კლოდელის ბიოგრაფიის ფურცლები აქ ერთმანეთს დაემთხვა...

და ისევ შორს საფრანგეთისაგან, – გზა ჩინეთისაკენ, გზა გემით. ამ გემზე კი იწყება კლოდელის ცხოვრების ყველაზე დრამატული, ყველაზე დაძაბული, ყველაზე აფორიაქებული გზისგასაყარი – დამეგობრება მომხიბლავ პოლონელ ქალთან, მათი ოთხწლიანი ფარული ტრფობა (იმიტომ, რომ ქალი გათხოვილია) და პოეტის ქრისტიანული სამშვინელის ქენჯნა. შემდგომ მტანჯველი უარი აკრძალულ სიყვარულზე და სამუდამოდ ჩარჩენილი სევდა, ტკივილი, იარა. ამიერიდან ღვივდება კლოდელის პოეზიისა და დრამატურგიის უმთავრესი, გამჭოლი მოტივი – ღმრთის მიმართ სიყვარულსა და ადამიანის მიმართ სიყვარულს შორის წარმოშობილი კონფლიქტი, უარის თქმა მიწიერზე და უპირატესობის მინიჭება სულიერისათვის.

მაგრამ ჩვენ არაფერი გვითქვამს პოლ კლოდელის პოეზიის შესახებ, – მისი უსასრულო, გრძელი, ურითმო სტრიქონების შესახებ, რომელთა რიტმი ადამიანის სუნთქვის რიტმზეა დაფუძნებული, ლოცვის რიტმზე, ღმერთთან საუბრის რიტმზე, რის შესახებაც რამის თქმას უთუოდ კლოდელის პოეზიისათვის სმენის მიპყრობა სჯობს.

1998

10

მეამბოხე კლასიკოსი
ანდრე ჟიდი

ანდრე ჟიდი
André Gide
(André Paul Guillaume Gide)
1869-1951

უღრმესი სიყმაწვილის მოგონებებიდან შეიძლება დავიმოწმოთ, რომ ანდრე ჟიდის სახელი პირველად ბედკრული ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის, სახელის გვერდით გახმიანდა. ძნელია ითქვას, სად იღებდა სათავეს ეს ლეგენდა, მაგრამ, – ყოველ შემთხვევაში, სადღაც 60-იანი წლების შუაგულში უეჭველად, – ქართველი საზოგადოების სხვადასხვა წრეებში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოში ანდრე ჟიდის სტუმრობისა და ამ სტუმრობის შედეგების მსხვერპლი გახდა (ცნობილია, რომ "ჯაყოს ხიზნების" ავტორი 1937 წლის კომუნისტურ ტერორს შეეწირა; როგორც თანამედროვენი გადმოგვცემდნენ, პოპულარული ქართველი პროზაიკოსი ჩეკისტებს სასტიკი ცემისას შემოჰკვდომიათ, ხოლო ამბის გამომტანნი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ორთაჭალის ციხეში, დასაკითხი კამერის კედელს კარგა ხანს აჩნდა ქართველი მწერლის სისხლში ამოთხვრილი ტვინი). საქართველოში სტუმრად ჩამოსული ანდრე ჟიდის ერთ-ერთი მეგზური სწორედ მიხეილ ჯავახიშვილი ყოფილა (თუნდაც ფრანგული ენის ცოდნის გამო) და, ზემორეხსენებული ლეგენდის თანახმად, ანდრე ჟიდი თავისი ეპოქალური, ფართოდ გახმაურებული წიგნის – "სსრკ-დან დაბრუნების" – წერისას სწორედ "დამპატიჟეს" ავტორის სიტყვებსა და მოწმობას უფრო დანდობია, ვიდრე ფრანგი მწერლისათვის საგანგებოდ მომზადებულ საჩვენებელ ღონისძიება-წარმოდგენებს, რომლებიც სტალინის განკარგულებით და ჩეკისტებისა

და მათი მოსამსახურე პერსონალის – საბჭოთა მწერალ-აგიტატორების – მონდომებით ჩატარდა. ძნელი სათქმელია, რის შესახებ ისაუბრეს მიხეილ ჯავახიშვილმა და ანდრე ჟიდმა თბილისსა თუ სიღნაღში, მაგრამ მეოცე საუკუნის მწერლობის უპირობო კლასიკოსს გულაგების უნახავადაც აღმოაჩნდა გონიერება, სიბრძნე, გამჭრიახობა, რათა კარგად ამოეცნო ლენინურ-სტალინური სოციალიზმის ყალბი მანჭვა.

თუ ქართველ ყმაწვილს ხელში პაოლო იაშვილის პოეზიის კრებული აუღია, უთუოდ თვალში მოხვდებოდა ქართველი პოეტის ერთ-ერთი უკანასკნელი, არცთუ საუკეთესო ლექსი "ანდრე ჟიდს, მოღალატეს". მაგრამ ნუ გავუმტყუნებთ პოეტს! მასზე უფრო თავისუფალ პირობებში მყოფი ევროპელი მწერლები აღშფოთებას არ მალავდნენ ჟიდის მიერ საბჭოთა რეჟიმის უარყოფის გამო, – თუნდაც, საბჭოთა კომუნისტების ერთგული მეგობარი, რომენ როლანი. კარგა ხნის განმავლობაში "მშრომელი მასებისა და მისი ავანგარდის ღალატის" გამო ანდრე ჟიდს სრული ბოიკოტი გამოეცხადა ევროპული კულტურის წარმომადგენელთა მხრიდან, რომელთა უდიდესი უმრავლესობა მემარცხენე ორიენტაციისა იყო და არის. პაოლო იაშვილის ლექსის მონათესავე სულისკვეთების, უკეთესი თუ უარესი, ჟიდის წინააღმდეგ დაწერილი ლექსები, სტატიები და გამოხმაურებანი იმჟამინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე შეიქმნა.

"იმორალისტის" ავტორის არა მარტო დადებითად, არამედ, საერთოდ, მოხსენიება – სხვადასხვა მიზეზთა გამო – სხვაგანაც და სხვა დროსაც იყო აკრძალული: ერთი ბრიტანელი პროფესორი იხსენებს საკუთარ გაკვირვებას, როცა 1968 წელს, ავსტრალიაში ჩასულმა, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ანდრე ჟიდის, ნობელის პრემიის ლაურეატისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, სახელის ხსენება სიდნის უნივერსიტეტის აუდიტორიაში აკრძალული ყოფილა (ოღონდ იმჯერად არა მწერლის ანტიკომუნიზმის, არამედ მისი დაუფარავი ეროტიკული ორიენტაციის გამო).

ისიც უნდა ითქვას, იმ ფრანგ თუ არაფრანგ ინტელექტუალთა წყებაში, რომლებიც სიმპათიით განეწყვნენ საბ-

ჭოთა კომუნიზმის მიმართ, ანდრე ჟიდი, – ვის შემთხვევაშიც ცდუნება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, – არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი (უკანასკნელები ჯერ არც კი ილანდებიან!), მაგრამ იგი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დათვალიერების შემდეგ, მრავალი უელსების, ბარბიუსების, როლანებისა და ცვაიგებისაგან განსხვავებით, აშკარად დაინახა ბოლშევიკური რეჟიმის შემზარავი სახე.

უცნაურად, და საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყოველი ყმაწვილისათვის საბედნიეროდ კი, ფრანგი მწერლის ამ ეგრეთ წოდებული "ღალატის" შემდეგაც, საბჭოთა ბიბლიოთეკებში ათწლეულების განმავლობაში აუკრძალავად და გადაუყრელად დარჩენილიყო ანდრე ჟიდის წიგნების სხვადასხვა გამოცემანი, – ისინი, რომლებიც მისი პროსაბჭოთა განწყობების პერიოდში სასწრაფოდ და უხვად დაბეჭდილიყო სტალინურ იმპერიაში და რომლებიც საბჭოთა ინტელექტუალურ-სულიერ დახშულ გარემოში მეოცე საუკუნის ევროპული ლიტერატურის ნამდვილ საუნჯეებთან მისვლის საშუალებას იძლეოდა. დაუჯერებელი იყო, რომ მაშინ, იმ შავბნელ ხანაშიც, როცა ბოლშევიკური ცენზურის მიერ აკრძალული იყო ბევრად უფრო "ვეგეტერიანული" ნაწერები, მკითხველს ბიბლიოთეკის თაროზე ანდრე ჟიდის "ყალბი ფულის მჭრელები" ელოდა, – ზნეობრივი, საზოგადოებრივი და ლიტერატურული წესრიგის ამაფეთქებელი წიგნი, ან თუნდაც მწერლის სხვა შედევრები – "იმორალისტი", "პასტორალური სიმფონია", "უძღები შვილის დაბრუნება", თუნდაც ანტიეკლესიური, ანტიმორალური, ანტიჰუმანური "ვატიკანის სარდაფები", მაგრამ ამ წიგნებისათვის – ეპოქის კულტურის განმსაზღვრელი და, ზოგადად, ლიტერატურის გარდამქმნელი ნაწარმოებებისათვის – თუნდაც თვალის ზერელე გადავლება განსაკუთრებულ ყურადღებას, განსაკუთრებულ გულისყურს, განსაკუთრებულ სიფაქიზეს მოითხოვს.

ამჯერად, უბრალოდ, გვსურდა, გაგვეხსენებინა ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი თავგადასავლებისა და ფათერაკების მაძიებელი კაცი, მეოცე საუკუნის ევროპული კულტურის ერთ-ერთი ბუმბერაზი, უშიშარი და გა-

ბედული ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი, რომელმაც, იშვიათ პირველთაგანმა, შეძლო არა მარტო დაუფარავად გაეცხადებინა საკუთარ ეროტიკულ სწრაფვათა შესახებ, არა მარტო ცხადად წარმოეჩინა საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლების მანკიერებანი და დანაშაულობანი აფრიკის ქვეყნებში, არა მარტო უკანმოუხედავად ეთქვა ასე თვალშისაცემი სიმართლე საბჭოთა კომუნიზმის შესახებ, არამედ რომელმაც, – დაჯერებულმა ინდივიდუალისტმა, მეამბოხემ, მოჯანყემ, – სიცოცხლის დაისისას, ომითა და ძალადობით მოცული ევროპის მიტოვების შემდეგ, მიაგნო დასკვნას, მისთვის მოულოდნელსა და მისი გარემოსათვის ძნელადმისაღებს, რომ აბსოლუტური, შეუზღუდავი თავისუფლება ანადგურებს პიროვნებასაც და საზოგადოებასაც, რომ თავისუფლება აუცილებლად, ყოველთვის, მყარად უნდა იყოს შებოჭილი ტრადიციის დისციპლინის მიერ.

1999

11

მარსელ პრუსტი: უკვდავყოფილი წარსული

მარსელ პრუსტი
Marcel Proust
(Valentin Louis Georges Eugène Marcel Proust)
1871-1922

მარსელ პრუსტის რომანების მრავალტომიანმა ციკლმა – "დაკარგული დროის საძებნელად" – არა მარტო გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ლიტერატურის განვითარებაზე, არამედ ბევრი მკითხველისათვის სიხარულისა და სამყაროს ახლებური დანახვის ამოუწურავ წყაროდაც იქცა. სამწუხაროდ, მისი ეს ქმნილება ქართულად ჯერჯერობით უთარგმნელია, თუმცა ქართველი მკითხველისათვის მწერლის სახელი უცნობი არაა, – თუნდაც იმის გამო, რომ მერაბ მამარდაშვილის გახმაურებული თბილისური ლექციები, რომლებიც წლების განმავლობაში მრავალრიცხოვან მსმენელს იზიდავდა, სწორედ პრუსტის ამ სახელგანთქმული ნაწარმოების ანალიზს ემყარებოდა.

მარსელ პრუსტს მიაჩნდა, რომ მკითხველი მწერალს მხოლოდ მისი წიგნების საშუალებით უნდა იცნობდეს. მართლაც, თუ მისი ცხოვრების მიხედვით ვიმსჯელებთ, გარეგნული ფაქტებითა და მოვლენებით მეტად ღარიბი მისი ბიოგრაფია ნამდვილად არ ჩანს მიმზიდველი. ოსკარ უაილდისაგან განსხვავებით, პრუსტს აშკარად არ ჰქონდა უფლება, ეთქვა, რომ მან თავის შემოქმედებაში საკუთარი ტალანტი ჩადო, ხოლო საკუთარი გენია კი – თავის ცხოვრებაში. რომ არა ის სულისშემძვრელი შოკი, რაც პრუსტისათვის აღმოჩნდა ჯერ დედის გარდაცვალება და შემდეგ მისი მეგობრის – ალფრედ აგოსტინელის დაღუპვა, რომ არა ამ სულიერი ტკივილისა და მიუსაფრობისაგან თავზარდაცემული პრუსტის განდგომა, საერო ცხოვრებაზე უარის

თქმა და საწოლ ოთახში შეკეტვა, მსოფლიო ლიტერატურა, ალბათ, მრავალწლიანი უძილო ღამეების განმავლობაში დაწერილი იმ წიგნის გარეშე დარჩებოდა, რომელსაც "დაკარგული დროის საძებნელად" ჰქვია. ამ შემთხვევაში ზეპური საზოგადოებების ხშირი სტუმრისა და საგაზეთო ქრონიკების მიმომხილველის, პატარ-პატარა ჩანახატებისა და მოთხრობების ავტორის, მარსელ პრუსტის, ბიოგრაფია ნაკლებად თუ დააინტერესებდა ვისმე.

მაგრამ ვისაც შვიდი რომანისაგან შემდგარი ამ ეპოსის კითხვაში ჩაძირვის განცხრომა სვდომია წილად, ვისაც რამდენიმე ასეული გვერდის შემდეგ შეუნიშნავს, რომ ნაწარმოების მთავარ გმირს მარსელი ჰქვია, თან თუ მკითხველი იმ თვალსაზრისს ემხრობა, რომ ვის შესახებაც და რის შესახებაც უნდა წერდეს მწერალი, იგი, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის შესახებ წერს, – ამგვარ მკითხველს უთუოდ იმის ეჭვიც გაუჩნდებოდა, რომ "დაკარგული დროის საძებნელად" ავტობიოგრაფიული, მემუარული ნაწარმოებია. ამ ეჭვს კი უცილოდ მწერლის ბიოგრაფიის გაგების სურვილი მოსდევს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ საყოველთაო ინტერესზე, რომელიც ხან უმანკო და ხან კი ანგარებიანი ცნობისმოყვარეობითაა განპირობებული – იქნებ ეს საყოველთაოდ აღიარებული დიდი ადამიანებიც არაფრით განსხვავდებიან ჩვენგან?

მაგრამ ამგვარ ცნობისმოყვარე მკითხველს აშკარა გაკვირვება და იმედის გაცრუება ელის. მართალია, ავტორსაც და მთხრობელსაც მარსელი ჰქვია, მართალია, რომანების დრო და გარემო მეტისმეტად ემთხვევა ავტორის დროსა და გარემოს, მაგრამ "დაკარგული დროის საძებნელად" ხელოვნებად გარდაქმნილი ცხოვრებაა, მწერლის ცხოვრების გარდასახვაა და არა ასახვა. რომანების ციკლი ცოტა რასმე გვეტყვის პრუსტის საანკეტო მონაცემების შესახებ, თუნდაც იმის შესახებ, რაც მთელი პარიზისათვის იყო ცნობილი, – მაგალითად, წიგნის საფუძველზე, შესაძლოა, მცდარი წარმოდგენა შეგვექმნას პრუსტის ეროვნული წარმოშობისა და ეროტიკული ორიენტაციის შესახებ. რომანის პერსონაჟი მარსელი, როგორც ცნობილია, ებრაული არაა და მისი სატრფოც მომხიბლავი ასულია, – ალბერტინა.

მარსელ პრუსტი კი 1871 წლის 10 ივლისს ებრაულ ოჯახში დაიბადა, თუმცა იგი მაშინვე კათოლიკურად მონათლეს და მამამისიც – ცნობილი ექიმი და პროფესორი – ფრანგული საზოგადოების მეტად პატივსაცემ და პატივცემულ ფენას განეკუთვნებოდა. როცა თხუთმეტი წლის მარსელი ყმაწვილებს შორის ყველა დროსა და გარემოში გავრცელებულ კითხვარს ავსებდა, იდეალური ცხოვრება, მისი წარმოდგენით, ამგვარად გამოიყურებოდა: "იცხოვრო ახლობლებისა და მშვენიერი ბუნების გარემოში, გქონდეს საკმარისი წიგნები და ნოტები და შორს არ იყოს თეატრი". მაშინვე მან ყველაზე დიდ უბედურებად დედისაგან მოშორება მიიჩნია. მრავალი წლის შემდეგ სწორედ დედის სიკვდილი აღმოჩნდა ის უმთავრესი ბიძგი, რომელმაც სუსტი და ავადმყოფი პრუსტი ამოუწურავი შთაგონებითა და სიბეჯითით აღჭურვა, რათა გაუჩინარებული დროის დაბრუნების, აღდგენისა და მოპოვების განმაცვიფრებელი შრომა წამოეწყო.

მანამდე კი იგი არც სკოლაში მეცადინეობით იტკიებდა მაინცდამაინც თავს, არც სამართლის ფაკულტეტზე სწავლა მიუყვანია ბოლომდე, სამსახურიც სულ მალე მიატოვა და მთელ დროს წიგნებს, მუსიკას, თეატრს, ეროტიკულ გატაცებებსა და სახელგანთქმულ სალონებს უთმობდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ჩაერთო – დრეიფიუსის ცნობილი საქმის განხილვისას – და მაშინ ემილ ზოლას პროცესშიც კი მიიღო მონაწილეობა. მას უფრო არისტოკრატიული და არტისტული გარემო, იქაური შეხვედრები და ურთიერთობანი იტაცებდა და მეგობრებსაც საგულდაგულოდ ირჩევდა: სკოლაში სწავლისას ჟორჟ ბიზეს ვაჟიშვილს დაუახლოვდა, შემდგომში ალფონს დოდეს ვაჟებთან ჰქონდა თბილი ურთიერთობა; კარგა ხანი გატაცებული იყო საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტის – ფელიქს ფორეს ქალიშვილებით და მათთან ერთად დასეირნობდა ელისეს მინდვრებზე; ესწრებოდა მიღებებს პარიზის ყველაზე რესპექტაბელურ, ყველაზე სახელგანთქმულ სალონებში; საღამოებს ატარებდა ღრმად მოხუცი მატილდა ბონაპარტისა და პრინცესა პოლინიაკის საზოგადოებაში; მჭიდრო სიახლოვე აკავშირებდა ბიზეს ქვრივთან – მადამ შტრაუს-

თან და ანატოლ ფრანსის მრავალწლიან სატრფოსთან – მადამ დე კაიავესთან. სხვათა შორის, სწორედ ანატოლ ფრანსს ეკუთვნის პრუსტის მოთხრობების, ჩანაწერებისა და ლექსების პირველი წიგნის წინასიტყვაობა.

პრუსტის გარე ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში, ალბათ, მეტი არაფერი ყოფილა აღსანიშნავი და საგულისხმო, ამის შემდეგ კი იწყება მკვეთრი მობრუნება, იწყება ცხოვრება შიგნით, იწყება შემოქმედება... და გატეხილ ღამეებში აკიაფდება დაძაბული, ინტენსიური მოგონება, გახსენება, ფიქრი. ახლობელთა დაკარგვით თავზარდაცემული, მანამდე დედის მზრუნველ კალთას შეფარებული ოცდათხუთმეტი წლის პრუსტი, რომელსაც პარიზულ სალონებში იცნობდნენ როგორც სნობსა და უსაქმურს, ჭორიკანასა და ფარისეველს, ასთმით ავადმყოფსა და განსაკუთრებული ეროტიკული ინტერესების პატრონს, ჩაჯდება შინ – უფრო ზუსტად, ჩაწვება ლოგინში, უარს იტყვის საერო ყოველდღიურობასა და გართობაზე, მოგზაურობებზე, სეირნობაზე, საჭმელზე და მოსვენებაზეც კი, რათა განცდილი და ნანახი გაიაზროს, გაიგოს, გაიცნობიეროს, რათა ფურცელზე გადატანის შემდეგ მკითხველს ცხოვრების უსასრულობა და უსაზღვრობა დაანახვოს, – შეახსენოს, თუ რა დაუვიწყარია სიყმაწვილეში ნაგემი ნამცხვრის გემო თუ ბაღში მოქროლილი ნიავის სურნელება, შეახსენოს ბედნიერების ის ჟრჟოლა, როცა გვერდით ოთახში კედელზე ბებიის ხელის შეხებას გრძნობ. როგორი ფერმკრთალი, უღიმღამო და მოსაწყენია ყოველგვარი კლასობრივი და არაკლასობრივი ბრძოლები, პოლიტიკური ბატალიები და სამთავრობო ინტრიგები ყოველივე იმასთან შედარებით, რაც მოაქვს ბალბეკის მცხუნვარე საღამოებს და თეატრში პირველ წასვლას, ძილის წინ დედის ამბორის მოლოდინს, პირველ მეგობრობასა და პირველ გატაცებებს, კეთილშობილი ქალბატონის სიმშვენიერის აღქმასა და საკუჭნაოდან მეზობელ ოთახში თვალთვალისას დაფარული საიდუმლოს აღმოჩენას. როცა პრუსტს უსაყვედურეს, რომ იგი მიკროსკოპით უყურებდა ცხოვრებას, მან ნაწყენმა უპასუხა, რომ მისი იარაღი მიკროსკოპი კი არა, ტელესკოპი იყო, რადგან იგი ცდილობდა, უზარმაზარი, მაგრამ თვალისათვის

ხშირად შეუნიშნავი ფაქტები, მოვლენები, მეხსიერების შორეულ კუნჭულებში ჩარჩენილი ფერები, გემო თუ სურნელებანი ახლოს მოეტანა და მათი განცდის ბედნიერება მკითხველისათვისაც გაეზიარებინა.

პრუსტი, რა თქმა უნდა, მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ მკითხველი მწერლის წიგნებს უნდა იცნობდეს და არა მის ბიოგრაფიას, მაგრამ თავად მის ცხოვრებას დიდაქტიკური, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მისი სიცოცხლის უკანასკნელი თხუთმეტი წელი ხელოვნების, ლიტერატურის, სიტყვის თავგანწირული სამსახურის ნიმუშია. ამ დროს იგი მხოლოდ იმისათვის გამოდიოდა გარეთ, რათა იმ საჭირო შთაბეჭდილებებით დატვირთულიყო, რაც წიგნისათვის იყო საჭირო, იმ გამოფენებსა და მიღებებს დასწრებოდა, რაც ღამით წიგნის ფურცლებად უნდა ქცეულიყო. განა საოცარი არ არის მისი მზარეული ქალის სიტყვები, რომ მთელი დღე ლოგინში მწოლი მისი ბატონი მხოლოდ იმდენს ჭამდა, რაც წერისათვის იყო აუცილებელი...

სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრეც, იგი უყურადღებოდ ტოვებს ექიმების დაჟინებულ რჩევებს და, სიცოცხლის გადარჩენის მაგიერ, კიდევ ერთხელ ასწორებს, ხვეწს, ანატიფებს იმ ფურცლებს, რომელთა მსგავსი – ფაქიზი და ღრმა – იშვიათად თუ დაუწერია კალამს.

მაგრამ პრუსტისათვის, რომელსაც პროფესორმა მამამ უნებისყოფობის დიაგნოზი დაუსვა, შემოქმედება თვითგადარჩენის, ანუ თვითგაცნობიერების ერთადერთ საშუალებად იქცა. მისი პიროვნება სისავსესა და მთლიანობას წიგნის წერის პროცესში იძენდა, თავისი ცხოვრების გასაგებად და გასაშინაარსებლად მისთვის აუცილებელი გახდა თავდაუზოგავი ასკეტიზმითა და ფანატიზმით რვეულებსა და ჩანაწერებს მისჯაჭვოდა, რათა თავისი ეპოპეის უსასრულო ფურცლები ეწერა.

როდესაც პრუსტმა თავისი ციკლის პირველი ტომი – "სვანის მიმართულებით" – შესთავაზა გამომცემლებს, ყველასაგან უარყოფითი გამოხმაურება მიიღო, გალიმარის ცნობილ გამომცემლობაში კი რეცენზენტი ანდრე ჟიდი აღმოჩნდა, რომელმაც უყოყმანოდ დაიწუნა ხელნაწერი. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჟიდს, რომელ-

მაც შემდგომში რომანს "სიამოვნებათა ტბა" უწოდა, არც კი გაუხსნია საქაღალდე. 1913 წელს რომანი ავტორის ხარჯით გამოვიდა, ერთი წლის შემდეგ კი ტრაგიკულად დაიღუპა პრუსტის შოფერი, მდივანი და განუყრელი მეგობარი ალფრედ აგოსტინელი, რამაც მთლიანად შეცვალა წიგნის მიმართულება, სულისკვეთება, განწყობა. პრუსტისათვის ცხოვრება უკვე ოდენ მოგონებაში არსებობდა, ერთადერთი სინამდვილე ახლა მისთვის მხოლოდ წარსულს ჰქონდა.

1922 წლის მაისში მან უკანასკნელად ისადილა რესტორან "რიტცში" ჯოისთან, პიკასოსთან, სტრავინსკისა და დიაგილევთან ერთად, ხოლო იმავე წლის 18 ნოემბერს თავად შეურთდა მოგონებათა და ხსოვნის სამყაროს.

პრუსტის უზარმაზარ ციკლს ხშირად ეპოსს ან ეპოპეას უწოდებენ ხოლმე, მაგრამ არა ზომების, მოცულობის გამო და, რა თქმა უნდა, არც იმის გამო, რომ მასში რამე ბრძოლები ან ომებია აღწერილი, – თუმცა ვინ იცის, იქნებ ის, რაც რომანის ფურცლებზე გათამაშდება: ბრძოლები და შეტაკებანი გმირის შინაგან ცხოვრებაში, არანაკლებ სასტიკი და წარმტაცია, ვიდრე ყველა ომი, გამარჯვება და დამარცხება. დაკარგული დროის ძიება უკვდავების ჟინიანი და დაუცხრომელი ძიებაა, ბრძოლაა დავიწყებასთან, გულმავიწყობასთან, უყურადღებობასთან, ბრძოლაა წარმავალობასა და სიკვდილთან, რომელიც ავადმყოფმა და სუსტმა მარსელ პრუსტმა უეჭველად და, ალბათ, სამუდამოდ მოიგო.

1996

12

ჟიულ სუპერვილი: სიყვარული პამპებისა და სამყაროს მიმართ

ჟიულ სუპერვილი
Jules Supervielle
1884-1960

ჟიულ სუპერვილი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ფრანგი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი იყო, – მწერალი, რომელიც ფრანგულად წერდა, მაგრამ რომელიც ტრადიციით უფრო ესპანურ ლიტერატურას, ესპანურ კულტურას, ესპანურენოვან გარემოს ეკუთვნოდა, თუმცა წარმოშობით იგი არც ესპანელი ყოფილა და მას არც ესპანეთში უცხოვრია არასდროს. მისი მშობლების ფრანგულ-ბასკური ოჯახი ურუგვაიში სახლობდა და მომავალი პოეტიც ურუგვაის დედაქალაქში, მონტევიდეოში, დაიბადა 1884 წლის 16 იანვარს. შემთხვევითი არაა, რომ სუპერვილის მთელი შემოქმედების გამჭოლ თემად იქცევა მარტოხელა, თუმცა ძმური გრძნობებით აღსავსე მამაკაცის დაუძლეველი სიყვარული პამპებისა და იმ უკიდეგანო სამხრეთამერიკული სივრცეების მიმართ, სადაც პოეტმა თავისი ბავშვობა გაატარა. ამ მიწის, სიყმაწვილისა და საყოველთაო კოსმოსური ძმობის ნოსტალგია ჟიულ სუპერვილის თითქმის ყველა ნაწარმოებში მჟღვანდება.

მეოცე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის მომავალი სახელგანთქმული წარმომადგენელი სულ პატარა დაობლდა და მისი აღზრდა საკუთარ თავზე ბიძამისმა აიღო. ბიძის ოჯახში, მას, როგორც ჩანს, ხალისიანი და წყნარი სიყმაწვილე ჰქონია. ათი წლისა კი იგი პარიზს გაუმწესებიათ სასწავლად, სადაც მოგვიანებით მას სორბონის უნივერსიტეტის ზღურბლიც გადაულახავს. თუ არ ჩავთვლით მეორე მსოფლიო ომის წლებს, რომელიც მან ურუგვაიში გაატარა, იგი სიცოცხლის ბოლომდე პარიზ-

ში დარჩა, თუმცა სამრეთამერიკულ სამშობლოშიც ხშირად ჩადიოდა ხოლმე.

სუპერვილის ყველაზე ცნობილი რომანი "ბავშვების გამტაცებელი", რომელიც პირველად 1926 წელს გამოიცა და რომელიც საოჯახო სიყვარულის სხვადასხვა განზომილებას, – დაძმურ, დედაშვილურ თუ მამაშვილურ სიყვარულს და მის სახელცვლილებებს, გარდაქმნებს, გამოვლინებებსა და გაცხადებებს აღწერს, სიზმრისა და სიცხადის, სურვილისა და სინამდვილის, სიცოცხლისა და სიკვდილის საზღვრებზე ვითარდება. თავად ბავშვები კი, რომლებიც რომანის მთავარ გმირებს წარმოადგენენ, იზრდებიან და მწიფდებიან, იცვლებიან და ქრებიან ურუგვაიული პამპებისა თუ პარიზის ქუჩების გარემოში.

და მაინც, სუპერვილი, უწინარეს ყოვლისა, პოეტი იყო, რომელიც თითქმის ყველა თავის ლექსში – იუმორით იქნებოდა ის გაჟღენთილი თუ თბილი, მოალერსე გრძნობით – ცდილობდა შეექმნა, დაეხატა, აღეწერა შინაგანი და გარეგანი ლანდშაფტი, სადაც პოეტი შუაგულში იყო აღმოჩენილი, – პოეტი, რომელიც იდუმალად აკავშირებდა ამ ორ სამყაროს, რომელიც აუქმებდა და ანადგურებდა ყოველგვარ კედლებსა და ყოველგვარ ბარიერებს. პოეტი თავის ქმნილებებში ღმერთს ადამიანურ ხმას ანიჭებს და, ძველ მისტიკოსთა მსგავსად, ეძებს არა მარტო ადამიანის დამოკიდებულებას ღმრთის მიმართ, არამედ ღმრთის დამოკიდებულებასაც ადამიანის მიმართ. ამავე დროს, იგი თავის კოსმოსურ თანამოძმედ, ახლობლად მიიჩნევს ყოველივეს, რაც ღმერთს შეუქმნია, – ამიტომაც ყველა ამ ქმნილებასთან იგი ჩვეულებრივ, ადამიანურ საუბარს მართავს.

სუპერვილის დრამატურგიული ნაწარმოებები კი – უპირველეს ყოვლისა, მისი პიესები "ტყის სილამაზე" და "რობინზონი" – კიდევ უფრო მძაფრი და უკანმოუხედავი მცდელობაა სინამდვილის სამყაროდან წარმოდგენის, ხილვისა და ფანტაზიის სამყაროში გასაქცევად.

ფრანგი პოეტი ჟიულ სუპერვილი 1960 წლის 17 მაისს პარიზში გარდაიცვალა.

2000

13

ჟორჟ ბერნანოსის რწმენა და სევდა

ჟორჟ ბერნანოსი
Georges Bernanos
1888-1948

ევროპული კულტურის მოყვარულთა და დამფასებელთათვის ჟორჟ ბერნანოსი მიჩნეულია თანამედროვე ქრისტიანული რომანის შემქმნელად და ფრანგულ ლიტერატურაში კათოლიკური აღორძინების ერთ-ერთ უკანასკნელ და უდიდეს წარმომადგენლად. ბევრი ანალიტიკოსის თვალსაზრისით, თვითნასწავლმა, მაგრამ ფართოდ განათლებულმა ბერნანოსმა, რომელიც ყოველთვის შორს იდგა ლიტერატურული ელიტისაგან, მეოცე საუკუნის ფრანგულ პროზას დიკენსურ-დოსტოევსკური მხატვრული ძალა და ვიზიონერული რეალიზმი შესძინა. მწერლის სულიერი ცხოვრების პარადოქსადაა მიჩნეული, რომ მისი პიროვნული მეობა, აღბეჭდილი მაცხოვრისა და ქრისტიანული ეკლესიის მიმართ შეურყეველი და მგზნებარე რწმენით, ამავე დროს, დაჩრდილული იყო სიკვდილის წინაშე ძრწოლით, განუწყვეტელი შინაგანი უკმაყოფილებითა და ხშირი გულგატეხილობით. ამ მოუშორებელმა დარდმა კი დაღი დაასვა არა მარტო მის პირად ცხოვრებას, არამედ მთელს მის შემოქმედებას – რომანებს, ესეებს, პოლემიკურ სტატიებს. თავისი სულიერი მასწავლებლებისა და წინამორბედების, ლეონ ბლუასა და შარლ პეგის, მსგავსად, ბერნანოსიც მეოცნებე და ვიზიონერი იყო, რომელსაც ყოველთვის სჯეროდა, რომ მიღმიერი, ზეგრძნობადი, სულიერი სამყარო არასოდეს, არც ერთ სიტუაციაში არ არის შორი. თავად იგი აღსავსე იყო იუმორითა და ჰუმანურობით, მაგრამ მთელი ცხოვრების განმავლობაში მწერალი დაუნდობელი და სასტიკი იყო ყოველგვარი მატერიალიზმის, ყოველგვარი ბურჟუ-

აზიული ფარისევლობის, ბოროტებასა და უგვანობასთან ყოველგვარი კომპრომისის მიმართ.

მომავალმა მწერალმა თავისი მოღვაწეობა კონსერვატორ-როიალისტ ჟურნალისტად დაიწყო, თუმცა მოგვიანებით მან საზოგადოებრივად უფრო მოკრძალებულ, მაგრამ ნივთიერად უფრო მყარ საქმიანობასაც მოჰკიდა ხელი: ერთ სადაზღვევო კომპანიაში მას ინსპექტორის ფუნქცია დაეკისრა. ოცდაცხრამეტი წლის ჟორჟ ბერნანოსი თავის პირველ რომანს – "სატანის მზის ქვეშ" – დაბეჭდავს, რომელსაც უმალ დიდი გამოხმაურება და ლიტერატურული სახელი მოჰყვა.

მწერლის სახელგანთქმული რომანები, რომლებიც ცივილიზებული სამყაროს ყველა ენაზეა თარგმნილი, – "სატანის მზის ქვეშ" (1926), "სოფლელი მღვდლის დღიური" (1936), "მუშეტის ახალი ისტორია" (1937), "ბატონი უენი" (1943) – ძველთაძველ და დაუძველებელ თემას უტრიალებს: სიკეთისა და ბოროტების ძალების შეტაკებას ადამიანის სულის დასაუფლებლად. ეს ბრძოლა კი ბერნანოსის რომანებში უმთავრესად ღმრთისმსახურის, ქრისტიანი მღვდლის პიროვნებაში გათამაშდება ხოლმე, პიროვნებისა, რომელსაც სულიერი სვლის განუსაზღვრელი ველი აქვს მინიჭებული, – სისპეტაკიდან და სიწმიდიდან დაცემის უკიდურეს ზღვრამდე. მწერლისეული პერსონაჟები აღსავსენი არიან მხატვრული შთამბეჭდაობითა და ცხოვრებისეული სიღრმით.

1935 წელს ჟორჟ ბერნანოსი მეუღლესა და ექვს შვილთან ერთად ჯერ ესპანურ პალმა დე მალორკაში გადასახლდება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ესპანეთის სამოქალაქო ომის სისასტიკეთა ცოცხალი მოწმე გახდება, თავის დიდ ოჯახთან ერთად იქაურობასაც გაეცლება. საომარ-იდეოლოგიური შეშლილობის ზღვარზე მისულ ევროპაში დარჩენას მწერალი თვითგანდევნას ამჯობინებს და 1938 წლის ივლისში იგი ბრაზილიას გაემართება, სადაც სამიწათმოქმედო საქმიანობას მოჰკიდებს ხელს, თუმცა მისი სამეურნეო მცდელობანი სრულიად უნაყოფოდ დასრულდება.

1939 წელს, მიუნხენის ხელშეკრულების დადებისა და დასავლურ დემოკრატიათა მხრიდან ჩეხოსლოვაკიის

რესპუბლიკის მუხანათური ღალატის შემდეგ, რასაც მწერალი პოლიტიკისა და პოლიტიკოსთა სრულ მორალურ დეგრადაციად მიიჩნევს, იგი ბეჭდავს თავის გახმაურებულ პუბლიცისტურ ტრაქტატს "ჭეშმარიტების სკანდალი".

ერთი წლის შემდეგ კი ბერნანოსის ხმა მისი ყოფილი თანაკლასელის, გენერალ შარლ დე გოლის, მომხრეებს – გერმანული ოკუპაციისაგან საფრანგეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლებს შეუერთდება, ხმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში რადიომიმღებებიდან დაუღალავად მიმართავდა თანამემამულეებს. ომის დამთავრებისთანავე მწერალი საფრანგეთში ბრუნდება, მაგრამ მას იქ სრული გულგატეხილობა დაეუფლება, როცა თავის სამშობლოში – მატერიალიზმითა და კომფორმიზმით მოცულ საზოგადოებაში – სულიერი აღორძინების, სულიერი გამოღვიძების მცირე ნიშანსაც ვერ იპოვის. გულმოკლული მწერალი ისევ მიატოვებს ევროპას, მაგრამ ამჯერად იგი ტუნისს გადასახლდება, საიდანაც უკან, სამშობლოში მას მხოლოდ სასიკვდილო ავადმყოფობა დააბრუნებს.

სიცოცხლის ბოლოს ბერნანოსი ამთავრებს სცენარს "კარმელელთა საუბარს", რომელიც ეყრდნობოდა გერტრუდ ფონ ლე ფორტის ნოველას და რომელიც თექვსმეტი კარმელელი მონაზონი ქალის მოწამებრივ სიკვდილს აღწერს საფრანგეთის რევოლუციის ღმრთისმებრძოლურ და სასტიკ დღეებში. ბერნანოსის სცენარი შემდგომში საფუძვლად დაედო კინოფილმსა და ფრენსის პულენკის სახელგანთქმულ ოპერას.

ჟორჟ ბერნანოსი, რწმენითა და გულისტკივილით აღსავსე, 1948 წლის 5 ივლისს გარდაიცვალა.

1998

14

გაბრიელ მარსელი – სოკრატელი ქრისტიანი

გაბრიელ მარსელი
Gabriel Marcel
(Gabriel Honoré Marcel)
1889-1973

გაბრიელ მარსელი მეოცე საუკუნის გამორჩეულად გავლენიან ფილოსოფოსად იყო აღიარებული, განსაკუთრებით საუკუნის შუახანში. იგი მიჩნეული იყო არა მარტო პირველ ფრანგ ექსისტენციალისტ ფილოსოფოსად, არამედ, საერთოდ, ექსისტენციალიზმის პირველ წარმომადგენლად მსოფლიო აზროვნების ისტორიაში. თუმცა, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად მარსელი საკმაოდ დაჟინებით უარყოფდა თავისი ფილოსოფიური სისტემის ამგვარ განსაზღვრებას, მაშინაც კი, – იმ ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში, – როცა ექსისტენციალიზმი ყველაზე მოდურ მიმართულებად იქცა მსოფლიოს ლამის ყველა კონტინენტის ინტელექტუალთა შორის.

ამჟამად ეს პერიოდი თანამედროვე თვალსაწიერიდან საკმაოდ მოშორებულად ჩანს, მაგრამ მარსელმა სწორედ მაშინ არ მოისურვა მსოფლიოში მჭექარე და ჟღერად ექსისტენციალისტურ სახელთა შორის აღმოჩენილიყო, როცა ყოველივე არაექსისტენციალისტური დროსა და ჟამს ჩამორჩენილ ანაქრონიზმად იყო მიჩნეული, ხოლო მაშინ, როცა რომის კათოლიკე ეკლესიის მეთაურმა საჯაროდ დაგმო ეს ფილოსოფიურ-კულტურული მიმდინარეობა, როგორც არაქრისტიანული და ზნეობრივად სათუო, გაბრიელ მარსელმა კიდევ უფრო დაბეჯითებით მოითხოვა, გაეთავისუფლებინათ მისი ფილოსოფიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ სახელწოდებისაგან და მტერსა თუ მოყვარეს მოუწოდა, მისი ფილოსოფია ამი-

ერიდან "ნეოსოკრატიზმად" მოეხსენიებინათ. სოკრატესა თუ პლატონის პიროვნებისა და აზროვნებისაკენ მიბრუნება კაცობრიობის ისტორიის არცერთი ეპოქისათვის არ ყოფილა უჩვეულო, ამაში არც მეოცე საუკუნე ჩამორჩენია წინამორბედებს, მაგრამ სწორედ გაბრიელ მარსელის მიბრუნება სოკრატული სულიერი და ინტელექტუალური ფასეულობების მიმართ, სოკრატეს ზნეობრივი და გონითი ძიებების მიმართ სრულიად ბუნებრივი ჩანს, – ბუნებრივი ჩანს გაბრიელ მარსელის ბიოგრაფიისა და ფილოსოფიური თუ ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის ზერელე თვალისგადავლების შემთხვევაშიც კი.

* * *

1889 წლის 12 დეკემბერს დაბადებული გაბრიელ მარსელი ანრი მარსელის ერთადერთი შვილი იყო, – ღრმად განათლებული, კულტურისა და ცოდნის მოთაყვანე მზრუნველი მამისა, რომელსაც მისდროინდელი საფრანგეთის კულტურულ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი ეჭირა. სხვათა შორის, იგი ხანგრძლივად ხელმძღვანელობდა საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ეროვნულ მუზეუმს (თუკი საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კულტურულ ინსტიტუტთა ადგილსა და როლს გავითვალისწინებთ, მაშინ ადვილად წარმოსადგენია, რომ ოჯახი უთუოდ მაღალ სოციალურ ფენას განეკუთვნებოდა). მაგრამ ისიც სათქმელია, რომ თუ ღრმა ინტელექტუალური მომზადება და შესანიშნავი აკადემიური წვრთნა მამის დაჟინებული და მიზანსწრაფული ზეგავლენის შედეგი იყო, რელიგიური სულისკვეთება მომავალ ფილოსოფოსს ოჯახური გარემოდან არ გამოუტანია.

გაბრიელ მარსელის მამა მტკიცე აგნოსტიკოსი იყო, დედა კი ებრაული წარმოშობის ლიბერალურ-პროტესტანტულ ოჯახში იყო აღზრდილი. ამასთანავე, დედა მაშინ გარდაიცვალა, როცა ყმაწვილი გაბრიელი სულ ოთხიოდ წლისა იყო და იგი ძირითადად ბებიისა და დეიდის კალთის ქვეშ იზრდებოდა, თუმცა დეიდა მალე დედინაცვლად იქცა, რადგან მამამისი დაქვრივების შემდეგ თავის

ცოლისდაზე დაქორწინდა. მართალია, ამ ქალმა უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა მომავალი მწერლისა და მოაზროვნის ადრეულ ჩამოყალიბებაზე, მაგრამ მის შინაგან მზერას არასოდეს მოჰშორებია დედის სახე: რაც მთავარია, მძაფრი განცდა დედის ფიზიკური დაკარგვისა და მარადიული სულიერი თანამყოფობისა, – დედის სულიერად ყოფნისა შვილის გვერდით.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიჭაბუკის განმავლობაში გაბრიელ მარსელი ოჯახის ყურადღებისა და მზრუნველობის შუაგულში იყო მოქცეული, მიუხედავად იმისა, რომ უფროსებმა ყველაფერი გააკეთეს მისი აკადემიურ-საზოგადოებრივი წარმატებებისათვის, მას მთელი სიცოცხლე შერჩა უსიამოვნო განცდა და დამოკიდებულება აღზრდის უპიროვნო, დეპერსონალიზებული, ნაძალადევი ფორმების მიმართ. როცა მამამისი საფრანგეთის წარმომადგენლად დაინიშნა შვედეთში, ჭაბუკი მარსელიც მამას გაჰყვა და ამის შემდეგ მისი თავდაუზოგავი სამოგზაურო ვნება სიცოცხლის დასასრულამდე არ დაშრეტილა. სხვათა შორის, დედამიწის სხვადასხვა კუთხესა თუ კიდეში ხეტიალი მოხილულ ქვეყანათა ძნელად დასათვლელი ენების ცოდნასაც გულისხმობდა.

გაბრიელ მარსელის სულიერი ჩამოყალიბება სამი მიმართულებით ვითარდებოდა, მისი შემოქმედებაც სამი გზით წარიმართა: მუსიკა, დრამატურგია და ფილოსოფია. არა მარტო მის ცხოვრებაში, არამედ შემოქმედებითი განცდისას მისთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა მუსიკის მოსმენა, დაკვრა და შეთხზვა. ერთხელ მარსელმა ისიც კი თქვა, რომ მისი პიროვნების სულიერ-რელიგიურ ჩამოქნაში მოცარტისა და ბახის ქმნილებებმა არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე წმიდა ავგუსტინეს ან ბლეზ პასკალის ნაწერების კითხვამ. საკუთარ სამუსიკო შემოქმედებას იგი საზოგადოებრივი ყურადღების ღირსად არ მიიჩნევდა და ნაკლებად აქვეყნებდა მათს სანოტო გამოცემებს, თუმცა დიდი წადილით ქმნიდა ვოკალურ თხზულებებს მისი სათაყვანო პოეტების ლექსების საფუძველზე, – იქნებოდა ეს შარლ ბოდლერი თუ რაინერ მარია რილკე.

მუსიკის მსგავსად, დრამატულ პოეზიასაც მომავალი სახელგანთქმული დრამატურგი ოჯახურ გარემოში ეზი-

არა, – როცა კლასიკური ლიტერატურის დიდი ტრფიალი, მამამისი, ახლობელთათვის საათობით ხმამაღლა კითხულობდა ფრანგულ თუ არაფრანგულ პიესებს. ყმაწვილმა მარსელმაც სულ ადრევე მოჰკიდა ხელი დრამატურგობას ანუ დაუწერელი პიესების შეთხზვას, რომლებიც მის წარმოსახულ დებთან თუ ძმებთან დიალოგებისაგან შედგებოდა. შემდგომში, გაბრიელ მარსელის საკმაოდ გახმაურებული პიესები, რომლებშიც რწმენისა და ურწმუნოების, პიროვნული ნამდვილობისა თუ სიყალბის, ადამიანური ურთიერთობის ტკივილისა თუ სიხარულის დაუძლეველი კითხვებია წამოჭრილი, მუსიკისა და ფილოსოფიის გადაკვეთაზეა შექმნილი, – არც ერთისა და არც მეორისათვის სიკვდილამდე არასოდეს უღალატია დრამატურგს, ისევე როგორც არც თავად დრამატურგიული შემოქმედებისათვის.

რაც შეეხება ფილოსოფიას (რითაც იგი, ალბათ, ყველაზე ცნობილი გახდა "ზიარებულთა" თუ "არაზიარებულთა" შორის), მართალია, ცხრამეტი წლის მარსელმა შელინგის ფილოსოფიის შესახებ მოამზადა სადიპლომო ნაშრომი, მაგრამ აკადემიური კარიერის მიმართ დიდად სკეპტიკური დამოკიდებულების გამო – შესაძლოა, ოჯახის მოთხოვნების, ოჯახისეული ფასეულობების მიმართ დაპირისპირების მიზეზითაც – არასოდეს დაუცავს სადოქტორო დისერტაცია. სხვათა შორის, მას არც ლექციები უკითხავს სადმე სისტემურად და საკუთარ თავს საჯარო მკითხველად, მწერლად, რედაქტორად ან ლიტერატურულ კრიტიკოსად უფრო მიიჩნევდა, ვიდრე პროფესიულ ფილოსოფოსად.

როგორც თავად ამბობდა, მისი მსოფლმხედველობისა და აზროვნებითი ჰორიზონტის ჩამოყალიბებაზე ორ მოვლენას მოუხდენია გადამწყვეტი გავლენა: ერთი მათგანი იყო პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე წითელი ჯვრის რაზმებში სამსახური, სადაც იგი დაჭრილთა და დახოცილთა ბარათებს ავსებდა. მისი სიტყვებით, ამ დროს მან დაინახა იმ ადამიანების ხელშესახები სიახლოვე, რომლებიც ფიზიკურად არასოდეს ენახა და იგრძნო სიკვდილის პირისპირ მათი დგომის რეალურობა. მეორე მოვლენა კი, რამაც მთლიანად შემოაბრუნა გაბრიელ მარსელის

ცხოვრება და სულიერი განვითარება, იყო მისი შესვლა რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღში, რომლის უნივერსალური მოძღვრება მან საყოველთაო რწმენისა და ხსნის წყაროდ მიიჩნია. მანამდე მოუნათლავი, ოცდაცხრამეტი წლის მწერალი და ფილოსოფოსი 1929 წლის 23 მარტს კათოლიკედ მოინათლა. ურწმუნო დედასა და მამას არასოდეს უჩვენებიათ შვილისათვის ეკლესიის კარი და ამიტომაც, მათი განუწყვეტელი მეურვეობის მიმართ ღრმა შვილური მადლიერების მიუხედავად, მშობლების გარემოში გატარებული წლები მარსელს სულიერი ტყვეობისა და მონობის ხანად მიაჩნდა. მაგრამ, ამავე დროს, იგი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ამგვარ გარემოში ჩამოყალიბებამ განაპირობა მისი რელიგიური ძიებანი და რწმენის ფილოსოფიური ძირების კვლევა.

ვისაც გაბრიელ მარსელის ფილოსოფიური შეხედულებანი თუ მისი მსოფლმხედველობის სხვადასხვა ჭრილი მიიზიდავს, ოცდახუთი წლის წინათ, 1973 წლის 9 ოქტომბერს, გარდაცვლილი მოაზროვნის სახელის პოვნა ფილოსოფიის სახელმძღვანელოებში თუ ფილოსოფიის სემინარებზე მას ნამდვილად არ გაუჭირდება.

1998

15

ანდრე ბრეტონი – სიურეალიზმის ფუძემდებელი

ანდრე ბრეტონი
André Breton
1896-1966

მიუხედავად იმისა, რომ სიურეალიზმის სახელდების პატივი გიიომ აპოლინერს ეკუთვნის, სიურეალიზმის უმთავრეს და ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად საყოველთაოდ აღიარებულია ანდრე ბრეტონი.

საქმე ისაა, რომ ისტორიის წინაშე სიურეალიზმის ფუძემდებელი სწორედ ანდრე ბრეტონი იყო. სწორედ მისი დაწერილია სიურეალიზმის პირველი მანიფესტი, რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა, კიდევ უფრო ადრე მანვე – სუპოსთან ერთად – შექმნა პირველი სიურეალისტური ტექსტი 1921 წელს; შემდგომშიც – 1930 და 1942 წელს – ბრეტონი კიდევ ორ ახალ სიურეალისტურ მანიფესტს ბეჭდავს. მაგრამ სიურეალიზმმა მალე გადააბიჯა პოეზიის საზღვრებს და მისი პრინციპების საფუძველზე იქმნება დალისა და მიროს ნახატები, მარტინუს მუსიკა, დალისა და ბუნიუელის ფილმები – დღეს უკვე კლასიკური "ოქროს ხანა" და "ანდალუზიური ძაღლი", კოკტოს "პოეტის სისხლი"; სიურეალიზმი ვრცელდება ესპანეთსა და იტალიაში, შვედეთსა და ნორვეგიაში, ამერიკასა და ჩეხოსლოვაკიაში. სიზმრებისა და ოცნებების სამყაროსაკენ დღესაც ისევ ცნობისმოყვარედ იცქირება ხელოვნება, მიუხედავად ბრეტონის სიკვდილისწინა ნაწყენი დუმილისა, მიუხედავად იმისა, რომ სიზმრების ხელოვნებად ქცევის თეორეტიკოსი რამდენიმე ათეული წლის წინათ გარდაიცვალა.

ბრეტონს ერთ ხანს ემიგრაციაში ცხოვრება ერგო, – II მსოფლიო ომის დროს პოეტი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად და იქ ყოფნისასაც

სიურეალიზმის პრინციპებისა და იდეების გადანერგვას იგი იმ კონტინენტზე აპირებდა, რომლის ყველაზე დიდ ქალაქს ერთ დროს თავისუფლების ქანდაკება აჩუქა ბრეტონის სამშობლომ. თუმცა იმ ხანებში იგი რადიო "ამერიკის ხმაში" მუშაობდა და თავისუფლების იდეებს იმჯერად ახალი სამყაროდან აწვდიდა გაყავისფრებულ ევროპას (ომის განმავლობაში რადიოს ფრანგულ რედაქციაში ანტინაცისტურ გადაცემებს, მასთან ერთად, ამზადებდნენ ჟულიენ გრინი, კლაუს მანი, ანდრე მორუა, კლოდ ლევი-სტროსი და ედუარ როდიტი).

თავად მის შემოქმედებაში სრულიად სხვადასხვაგვარ და მეტად მდიდარ ფორმებში ხორციელდება თავისუფალი და შთაგონებული დიალოგი პოეტურ და თეორიულ აზროვნებას, სიტყვიერ და სახვით გამოხატულებას შორის. მისი მოუსვენარი აზრის მიდევნება, ძახილითა და ექოთი აღსავსე მისი ტეხილებისა და ნაპრალების მოყოლა თავისთავად არის ფათერაკებიანი თავგადასავალი, რომელსაც კიდევ მეტი რეალურობა და მღელვარება ემატება, როცა იცი, რომ თავად ბრეტონი საკუთარ თავს იმის მაგალითად მიიჩნევდა, თუ როგორ უნდა გამოხატოს თავისი არსი ადამიანმა და როგორ უნდა იცხოვროს პირველ პირში. იგი განუწყვეტლივ ისწრაფვოდა თავისუფლებისაკენ, რომელიც მისთვის განუყოფელი იყო პოეზიისაგან, მაგრამ ძნელად პოულობდა თავისუფლებასა და პოეზიას გარემომცველ სამყაროში. ამიტომ უმაგალითო იყო მისი აჯანყება ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც რამენაირად მაინც თრგუნავდა ნამდვილ თავისუფლებას და ადამიანური თვითგამოხატვის ნებისმიერ ფორმას. მისი პოეზია მღელვარე და მოუსვენარი იყო, მაგრამ მღელვარე და მოუსვენარი იყო მისი პირადი ცხოვრებაც – შეხვედრათა და განშორებათა, ფაქიზ მეგობრობათა და განხეთქილებათა უსასრულო ჯაჭვი. ბრეტონი მარტოსული არასოდეს ყოფილა, – სიყვარული და მეგობრობა მისი ყველაზე ძლიერი ვნება იყო.

ბრეტონს არასოდეს უღალატია სიურეალიზმისათვის, მისი შემოქმედება და ცხოვრება მთლიანადაა გადაჯაჭვული ამ მიმართულებასთან. მან არათუ სა-

კუთარი თავი გააგივა მასთან, არამედ იგი გაქრა და ჩაინთქა კიდეც მასში. ზოგიერთის აზრით, პოეტის ეს შერწყმა იმდენად ღრმა და უკანმოუხედავი იყო, რომ, შეიძლება ითქვას, იგი სიურეალიზმის მსხვერპლადაც კი იქცა, რადგან ჯგუფურმა სტრატეგიამ და იდეოლოგიამ დაჩრდილა მისი პირადი დამსახურებები და მონაცემები და ამან შეიწირა კიდეც ბრეტონი როგორც თავისთავადი პოეტი. იქნებ შემთხვევითი არ იყო, რომ ბრეტონი სიკვდილის წინ მადლიერებით იხსენებდა იმ სიმბოლისტ პოეტებს, რომელთაც გავლენა მოახდინეს მასზე ახალგაზრდობისას. იქნებ შემთხვევითი არ იყო მისი დუმილიც, – იგი დუმდა, რადგან ფაქტობრივ ყველაფერი უკვე ნათქვამი იყო.

ბრეტონისათვის ერთ-ერთი უმთავრესი იყო შეხვედრის თემა, რომელშიც, რა თქმა უნდა, სიყვარულის, ტრფობის, ურთიერთსწრაფვის თემაც იგულისხმება. მას ლექსიც კი ესმოდა როგორც იმგვარი გასეირნება, რომლის დროსაც – ვნებიანი თუ მისტიკური მოლოდინისას – შესაძლოა შეხვდე ყველაფერ იმას, რაც მოაქვს ცხოვრებას, შემთხვევას, ცნობიერს თუ არაცნობიერს. პოეტის აზრით, სწორედ ამ დროს ხვდებიან ერთმანეთს არა მარტო ადამიანები, არამედ "ნივთები, მითები, სიტყვები და ნიშნები"; იგი ცდილობდა, განუწყვეტლივ შეენარჩუნებინა შეხვედრისაკენ სწრაფვა, რადგან სწორედ ამით ინარჩუნებდა კავშირს სხვა არსებებთან, – მათთან, ვისთანაც მას პაემანი ჰქონდა დათქმული. ბრეტონისეულ წიგნებშიც ერთმანეთს ხვდება, ერთმანეთის შესახვედრად მიაბიჯებს პოეზია, თეორიული მსჯელობა, განსჯა, დოკუმენტური ნაწყვეტი, ბელეტრისტული მონაკვეთი. ბრეტონის უახლოესმა მეგობარმა, მარსელ დიუშანმა, მის შესახებ თქვა: "ცხოვრებაში არასოდეს მინახავს ადამიანი, რომელსაც სიყვარულის ამგვარი მოთხოვნილება ჰქონოდა... ბრეტონისათვის სიყვარული გულის ფეთქვის ტოლფასი იყო. მაგრამ იგი ეძებდა სიყვარულს იმ სამყაროში, რომელიც მხოლოდ სიძვას აღიარებს. და ეს იყო მისი უპირველესი და უმთავრესი ნიშანი".

ბრეტონმა, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით, შეხედულებებით, მსოფლმხედველობით მემარც-

ხენე ხელოვნებას ეკუთვნოდა, ცხოვრების დასასრულისათვის დემონსტრაციული დუმილის პოზიცია აირჩია. გარდაცვალებამდე იგი ნებაყოფლობით იდგა ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩრდილში.

1996

16

ტრისტან ცარა:
დადაიზმიდან სიურეალიზმამდე

ტრისტან ცარა
Tristan Tzara
(Samuel Rosenstock)
1896-1963

ფრანგი პოეტი ტრისტან ცარა რუმინელი იყო, ისევე, როგორც მეოცე საუკუნის ფრანგული კულტურის დიდი წარმომადგენლები: თუნდაც სახელგანთქმული დრამატურგი ეჟენ იონესკო, თუნდაც პროზაიკოსი და მითოლოგია-რელიგიების გამოჩენილი მკვლევარი მირჩა ელიადე, თუნდაც ფილოსოფოსი და აფორისტი ემილ ჩორანი. რუმინეთში დაბადებულ ბავშვს მაშინ სამუელ როზენშტოკი ერქვა და ახალი გვარი – ცარა (რაც რუმინულად ქვეყანას ნიშნავს) – ყოფილი სამშობლოს ოფიციალურმა დაწესებულებებმა მას 1925 წელს დაუმტკიცეს. მაგრამ რუმინეთიდან იგი ბევრად უფრო ადრე გამოემგზავრა, როცა იგი, ოცი წლისა, შვეიცარიაში, ციურიხს დასახლდა, როგორც კომედიანტთა დასის წევრი კაბარე "ვოლტერში"; 1920 წლიდან კი იგი უკვე პარიზში ცხოვრობდა, რომელიც შემდგომ აღარასოდეს მიუტოვებია და იქვე გარდაიცვალა. საფრანგეთისათვის უმძიმეს წლებში – უცნაური ომისა და ტრაგიკულად უცნაური დამარცხებისას – რუმინელი ლტოლვილი მყარად მიეჯაჭვა თავის ახალ სამშობლოს, რომლის განთავისუფლებისათვის ბრძოლა თავის ცხოვრებისეულ ამოცანად დაისახა. ამის გამო იგი – როგორც ფრანგი პატრიოტი – ვერც ფაშისტური რეჟიმის და ვერც გესტაპოს დევნას ასცდა და რამდენიმე წელი – 1944 წლის სექტემბრამდე – იატაკქვეშეთშიც კი აღმოჩნდა, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე.

ტრისტან ცარა, – ბრეტონთან, ელუართან, არაგონთან, ელზა ტრიოლესთან ერთად, – სიურეალიზმის ნიშნეულ

ფიგურადაა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ცარა თავდაპირველად მეოცე საუკუნის დასაწყისის კიდევ ერთი რევოლუციური მიმართულების – დადაიზმის – ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო და მხოლოდ შემდეგ შეურთდა სიურეალისტებს. ამავე დროს, ცარა, თანამოაზრეთაგან განსხვავებით, არასოდეს მოშორებია ლიტერატურულ ცხოვრებას და მას, პოეტსა და სკანდალისტს, სიცოცხლის მიწურულამდე არ შეუწყვეტია სიტყვის ქმნა და სიტყვით თამაში.

მაინც, ცარასეული დადაიზმის მნიშვნელობა უფრო წარმავალი აღმოჩნდა, ხოლო მისი ისტორია – უფრო ხანმოკლე, ვიდრე სიურეალიზმისა. შესაძლოა, ამიტომაც ტრისტან ცარას – ერთ დროს მოხეტიალე კომედიანტს – ხშირად უწევდა არჩევანის შეცვლა და დადაიზმიდან მან სიურეალიზმისაკენ გადაინაცვლა, სიურეალიზმიდან კი ლამის სოციალისტური რეალიზმის მიმდევარი გახდა (მისი მემარცხენე და პროკომუნისტური სიმპათიების ჟამს).

საგულისხმოა, რომ სწორედ ტრისტან ცარამ გამოაცხადა სიურეალიზმი გარდაცვლილად – საჯაროდ და საყოველთაოდ – 1947 წლის 17 მარტს სორბონაში წაკითხულ მოხსენებაში "სიურეალიზმი და ომისშემდგომი ხანა". ეს ქმედება მისთვის ისევე ჩვეული იყო, როგორც ის, რომ ციურიხის ყავახანა "ტერეზაში" 1919 წლის 8 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თორმეტი ბავშვის გარემოცვაში მან პირველად წარმოთქვა სიტყვა "დადა". თავად ცარა რამდენიმე ათწლეულის შემდეგ წერდა: "დადაიზმმა სცადა გაენადგურებინა არა ლიტერატურა და ხელოვნება, არამედ ის წარმოდგენა მათს შესახებ, რომელიც მაშინ არსებობდა. ჩვენ გვინდოდა შეგვემცირებინა მათი გაბერილი საზღვრები, დაგვემდაბლებინა მათი გამოგონილი მწვერვალები, ხელახლა დაგვემორჩილებინა ლიტერატურა და ხელოვნება ადამიანებისათვის; დადაიზმს სწყურია ჭეშმარიტება, ადამიანური ჭეშმარიტება, გამოხატული იმ ფორმულების გარეშე, რომელსაც ადამიანს საზოგადოება, ლოგიკა, ენა, მეცნიერება და ხელოვნება ასწავლის ან აიძულებს, ისწავლოს... პარიზული დადაიზმი იყო ანტიფილოსოფიური, ნიჰილისტური, სკანდალური, უნივერსალური და პოლემიკური, მაგრამ მთავარია, რომ მას

არასოდეს დაუკარგავს ანტიბურჟუაზიული სული", – წერდა ცარა, თუმცა ამ ანტიბურჟუაზიულმა სულმა იგი ერთხანს პროლეტარული რევოლუციის მომხრედაც აქცია. მაგრამ ეს ხომ მეოცე საუკუნის ფრანგული კულტურის ჩვეული, გავრცელებული პარადიგმაა: ბურჟუაზიულ ფასეულობათა უარყოფა მეტისმეტად ხშირად მემარცხენე, სოციალისტური ან კომუნისტური იდეების აღიარებას ნიშნავდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ 1937 წელს პოეტი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი ხდება, თუმცა 1956 წელს, უნგრეთის ამბოხების საბჭოთა ტანკებით გასრესის შემდეგ, იგი ტოვებს პარტიას, რომელიც ამ სისხლიანი ანგარიშსწორების მხარდამჭერი აღმოჩნდა.

მაინც, ტრისტან ცარა მემარცხენედ გარდაიცვალა, – 1963 წელს, მაშინ, როცა ფრანგ ინტელექტუალთა გათავისუფლება მემარცხენე უტოპიის იდეებისაგან ჯერ არც კი ივარაუდებოდა, როცა 1968 წლის რევოლუცია ჯერ მხოლოდ მწიფდებოდა...

1996

17

ჟაკ პრევერი:
პოეზია ყველასათვის

ჟაკ პრევერი
Jacques Prévert
1900-1977

ჟაკ პრევერი საფრანგეთის პროვინციაში დაიბადა მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1900 წლის 4 თებერვალს, მაგრამ იგი შვიდი წლისა იყო, როცა მთელი ოჯახი პარიზს გადასახლდა – დედა, მამა, ჟაკი, მომავალი პოეტი, და მისი უმცროსი ძმა პიერი, მომავალი კინორეჟისორი. ვაჟები გულისხმიერებითა და ხელოვნებით გაჟღენთილ გარემოში იზრდებოდნენ, სადაც დედა მათ პოეზიის სიყვარულს უნერგავდა, ხოლო მამას კი ისინი თეატრისა და კინოს ჯადოსნურ სამყაროში შეჰყავდა. ძმები კათოლიკურ კერძო სკოლაში დადიოდნენ, მაგრამ ჟაკმა – თხუთმეტი წლისამ – სწავლა შუაგზაზე მიატოვა და ერთხელ და სამუდამოდ უარი განაცხადა ყოველგვარ გაკვეთილებზე, სასწავლო მოვალეობებზე, დავალებებსა თუ გამოცდებზე. ამ დღიდან მას პროფესიათა ხშირი მონაცვლეობა ელოდა და ცხოვრებისა და, ამასთანავე, პოეზიის შექმნისათვის საჭირო ცოდნა-განათლებას გზადაგზა იძენდა, – მაგალითად, მუშაობდა გამყიდველად სავაჭრო სახლში (საიდანაც იგი, სხვათა შორის, ხუთ თვეში გამოაგდეს) ანდა გაზეთის გამავრცელებლად ქუჩაში, იმ ქუჩაში, რომელსაც იგი საკუთარი შემოქმედების და პოეტური შთაგონების უმთავრეს წყაროდ მიიჩნევდა.

პრევერს ხშირად უთქვამს, რომ მისი პირველი ოჯახი მისი მეგობრების წრე იყო – პირველ ყოვლისა, მხატვარი ივ ტანგი, რომელსაც ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ერთად ყოფნისას დაუახლოვდა, ამასთანავე, სტამბოლში გაცნობილი მარსელ დიუამელი და, უწინარეს ყოვლისა, ძმა პიერი. 1922 წელს ამ განუყოფელმა "ოთხეულმა" საერთო ბინა დაიქირავა მონპარნასზე, შატოს ქუჩა ნომერ 54-ში,

სადაც საუბარსა და კამათს ხელოვნებისა და ცხოვრების შესახებ, როგორც ჭეშმარიტ ფრანგებს შეჰფეროდათ, დასასრული არ უჩანდა. თუმცა ყველა ისინი საკმაოდ გულგრილები იყვნენ პოლიტიკის მიმართ, რაც ჭეშმარიტი ფრანგებისათვის ცოტა უჩვეულოდ ჩანდა. სავარაუდოა, რომ გადამწყვეტი ფაქტორი მაინც მათი მძაფრი არაჯგუფურობა და არაპარტიულობა იყო: პრევერი, თავისი მრავალი კოლეგისა და თანამედროვისაგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი და ყოველთვის გაურბოდა ყოველგვარ "იზმ"-ებს, ყოველ შემთხვევაში, ხელოვნებაში. როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა პოეტის გახმაურებული განხეთქილება სიურეალისტებთან, თუმცა თავდაპირველად "ოთხეული" მეტად ახლოს იყო ამ მოძრაობასა და მის მიმდევრებთან: პრევერის მძაფრი კონფლიქტი ფრანგული სიურეალიზმის მამამთავართან, ანდრე ბრეტონთან, 20-ანი წლების მიწურულისათვის ისე გამწვავდა, რომ 1928 წელს სიურელისტებმა იგი თავიანთი ჯგუფიდან დემონსტრაციულად გარიცხეს. ამას მოჰყვა პრევერის მძაფრად სატირული პამფლეტი, – სათაურით "ლეში", – რომელიც ბრეტონის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მრავალი წლის შემდეგ პოეტმა ერთი თავისი გვიანდელი წიგნი ბრეტონს ამგვარი წარწერით გაუგზავნა – "ერთადერთ ადამიანს, რომლის სიკვდილსაც ვერ ავიტანდი".

მაგრამ სულ მალე პრევერმა არა მარტო ბრეტონს შეაქცია ზურგი, არამედ მეგობრებსაც დაჰშორდა და თავის იმჟამინდელ სატრფოსთან ერთად დოფინის ქუჩაზე, სასტუმროს ბოლო სართულზე ერთი პატარა ოთახი დაიქირავა.

ამ პერიოდში პრევერი აყალიბებს თეატრალურ ჯგუფს სახელწოდებით – "ოქტომბერი", რომლისთვისაც იგი მცირე ზომის პიესებს წერს. ამავე დროს, უახლოვდება კინოსაც და ამზადებს სცენარებსა და დიალოგებს ფილმებისათვის, მათ შორის, ჟან რენუარის ნაწარმოებთათვისაც. კინოს გზები 1934 წელს მას პრაჰაში ჩაიყვანს, სადაც მას კინოსცენარის შექმნას შეუკვეთენ.

სწორედ ამ წელს გაიცნო მან მსახიობი და მოცეკვავე, ჟანინ ტრიკოტი, რომელიც თორმეტი წლის შემდეგ, – პირველ მეუღლესთან განშორებისა და პრევერთან ქალიშვილის შეძენის შემდეგ, – მისი კანონიერი მეუღლე გახდება.

მანამდე კი იყო ომის მღელვარება, გერმანელი ოკუპანტები პარიზში და წინააღმდეგობის მოძრაობა. ამ მოძრაობაში ჩართული იყო ჟანინიც, – ეს მამაცი ქალი იძულებული იყო, იატაკქვეშეთში გადასულიყო და ორი წელი შორეული სოფლისათვის შეეფარებინა თავი. ომის დამთავრებისთანავე ჟანინი და პრევერი ერთმანეთსაც დაუბრუნდნენ და კინემატოგრაფსაც.

ერთხელ პრევერმა თქვა, რომ კინო არასოდეს ყოფილა მუნჯი, რომ კინოს ყოველთვის ჰქონდა თავისი სათქმელი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პრევერის პოეტური სათქმელი, მისი პოეტური ტექსტი ხმოვან კინოს მოითხოვდა. 1940-იანი წლებიდან იღებს სათავეს მარსელ კარნესა და ჟაკ პრევერის თანამშრომლობა, – ის ნაყოფიერი თანამშრომლობა, რომელმაც მსოფლიო კინოს შესძინა პოეზიით, აღმაფრენით, სევდითა და სიმშვენიერით აღსავსე ქმნილებები – "დღე იწყება", "დაკარგული ბავშვების კუნძული", "ღამის კარიბჭენი", "პარიზული მოგონებანი" და, რა თქმა უნდა, ლეგენდური "სამოთხის შვილები", – ფილმი, რომელიც კინოს ასწლოვანი ისტორიის დაუძველებელ ფასეულობებს განეკუთვნება. შემხვევითი არ იყო პრევერის განცხადება სიცოცხლის მიწურულს, რომ ყველაზე მეტად მას სწორედ ეს ფილმი უყვარდა, – თუმცა, ალბათ, მსახიობი ქალის, არლეტის გამოო, დასძინა მაშინ პოეტმა.

მაგრამ ჟაკ პრევერი, უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, პოეტი იყო. იგი იმ თაობას და იმ წრეს ეკუთვნოდა, რომლებიც ლექსებს სასიმღეროდ წერდნენ და რომლებიც თავად მღეროდნენ თავიანთ ლექსებს. თუმცა პრევერის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, სხვა თუ არავინ, ასრულებდნენ ედიტ პიაფი და ივ მონტანი.

პრევერი ყოველდღიური ცხოვრებისა და ქუჩის პოეტი იყო. მას მიაჩნდა, რომ იგი იმათ ნაცვლად ლაპარაკობდა, რომელთაც არ იციან, თუ როგორ გამოხატონ თავიანთი სათქმელი. მისი პოეზიის მოყვარულნი ამბობდნენ, რომ იგი ტაქსისტების, ფეხსაცმლის მწმენდავების, მეძავების, მტვირთავების პოეტი იყო, რომ მისი ფრანგული ქუჩის, ბისტროების, მეტროს ენაა. მას უნარი ჰქონდა მსუბუქად და იუმორით დაეჭირა და გადმოეცა ცხოვრების განუმეორებელი, ერთადერთი წამი. მის სტრიქონებს ბუნებრივი, სალაპა-

რაკო ენის რიტმი აქვს, და მაინც პოეტი ყოველთვის ახერხებდა, მოეხელთებინა მოუხელთებელი, შეევსო და დაემთავრებინა შეუვსებელი და დაუმთავრებელი, წარმოედგინა ის, რაც ცხოვრებაში ასე მტკივნეულად ვერ განხორციელდა.

პრევერის პირველი პოეტური კრებული, რომელსაც სახელად "სიტყვები" ერქვა, 1945 წელს დაიბეჭდა. წიგნს ტრიუმფული წარმატება ხვდა წილად და დღეს ის ყველა კულტურული ერის ენაზეა თარგმნილი. ანდრე ბრეტონმა სწორედ მაშინ და სწორედ ამ კრებულთან დაკავშირებით თქვა, რომ ყველაზე მეტად პრევერის პოეზიაში მას იუმორის ამოუწურავი წყარო აოცებს. ათი წლის შემდეგ, 1955 წელს გამოდის მისი შემდეგი წიგნი "წვიმა და ხალისი", 1972 წელს კი – მისი ლექსების უკანასკნელი კრებული "ნივთები და სხვა".

ზოგიერთ კრიტიკოსის თვალსაზრისით, პრევერის ლექსები სინამდვილეში რიტმიზებული პოეტური პროზაა და არა პოეტური ქმნილებები; იმასაც ამბობდნენ, რომ მისი ლექსები მუსიკის ილუსტრაციას წარმოადგენს, მუსიკის ახსნა-განმარტებასა და სიტყვაში გადმოცემის მცდელობას. პოეტი კი ისევ იმგვარ ლექსებს წერდა, რომლებიც გასაგები იქნებოდაა მრეცხავისთვისაც და გამყიდველისთვისაც.

დრო კი გადიოდა და პრევერის მეგობრები ნელ-ნელა სამუდამო სამკვიდრებელში გადადიოდნენ. აღარ იყვნენ ბრეტონი, პიკასო, დიუამელი. "წლები მიქრის და მაგიდა უკვე ალაგებულია", – წერდა იგი, – "იყო და აღარ იყო სენა, იყო და აღარ იყო სიყვარული, იყო და აღარ იყო ტანჯვა, იყო და აღარ იყო დავიწყება, იყო და აღარ არის სიცოცხლე"...

ჟაკ პრევერი 1977 წლის აპრილის თბილ დღეს, ლამანშის მახლობლად, თავის სოფლის სახლში გარდაიცვალა.

მისი გარდაცვალების ცნობას ერთი ფრანგული გაზეთი ამგვარად ამთავრებდა: "პრევერის პოეზია იმგვარადვეა განუყოფელი საფრანგეთისაგან, როგორც სენის სანაპირო, როგორც ლათინური კვარტალი, როგორც მტრედები პარიზის მერიასთან, როგორც ბულვარი ან სენ-დენი".

1997

18

სენტ-ეგზიუპერი: კეთილშობილების შუქი

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი
Antoine de Saint-Exupéry
(Antoine Jean-Baptiste Marie Roger de Saint-Exupéry)
1900-1944

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სახელი ყოველი ჩვენგანის სიყმაწვილესთანაა დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია ითქვას, რამდენადაა საყმაწვილო წიგნი მისი "პატარა უფლისწული", რომელიც პოეტისა და მფრინავის უახლოეს მეგობარს, ლეონ ვერთს, ეძღვნება, ოღონდ, როცა იგი ყმაწვილი იყო. დაუძლეველი იყო პირველი ყმაწვილური შთაბეჭდილებაც: სენტ-ეგზიუპერის სახელი, საქმე და წიგნები სრულიად უჩვეულო და უეჭველად წარმტაცი იყო. ლეგენდური იყო მისი გაუჩინარებაც, – ომის დროს სადღაც ხმელთაშუა ზღვის თავზე სამხედრო თვითმფრინავის მართვისას. უმწიფარ ყურს შეუძლებელია მჟღერადად და ამაღლებულად არ მოსჩვენებოდა თვით მისი არისტოკრატიული სახელი – ანტუან ჟან-ბატისტ მარი როჟე დე სენტ-ეგზიუპერი – ან ყურადღების მიღმა დაეტოვებინა მისი პროფესია – მფრინავობა, რაც კიდევ უფრო უჩვეულო იყო მის გრაფულ წარმოშობასთან მიმართებაში. არცთუ ჩვეულებრივი იყო მისი საყმაწვილო წიგნიც, რომელიც ჰგავდა და არც ჰგავდა შეჩვეულ და მიჩვეულ ზღაპრებს, – თან ავტორისეული ნახატებით, რომლებიც მოხაზულობით დიდად არ განსხვავდებოდა ჩვენი საკუთარი, ბავშვური ხელწერისაგან. წიგნში კი მოთხრობილი იყო ერთი მფრინავის შესახებ, რომელიც, თვითმფრინავის დაზიანების შედეგად, უკაცრიელ უდაბნოში აღმოჩნდა. სწორედ ამ განმარტოებულ ადგილას, ადამიანთა და ნივთთაგან შორს, იგი ერთ პატარა უფლისწულს დაუმეგობრდა, რომელიც შემთხვე-

ვით (თუ არაშემთხვევით) შორეული ვარსკვლავეთიდან მოფრენილიყო და რომელმაც მალე ისევ თავის შორეულ პლანეტას მიაშურა, რადგან იქ მას თავისი ერთადერთი მეგობარი, ეული ვარდი ეგულებოდა, – ნაზი და მიზეზიანი ვარდი, რომელიც უმისოდ, შეიძლება, დაჭკნარიყო და მომკვდარიყო.

ამ ქვეყნის დატოვებამდე კი პატარა უფლისწული უდაბნოში მელიას გადაეყრება, რომელიც მას იმას აუხსნის, გააგებინებს, დაანახვებს, თუ რა არის სიყვარული (და ბევრი მკითხველისათვის, შესაძლოა, ეს სიტყვები სიყვარულის პირველ და ერთადერთ განმარტებად დარჩა). ზოგიერთს, ალბათ, დიდხანს გაჰყვა მელიას იმ სიტყვების რწმენა, რომ "ყველაზე მთავარს თვალით ვერასოდეს დაინახავ", ზოგიერთი, შესაძლოა, ღამ-ღამობით ცის ცქერას დაეჩვია, რათა იქ პატარა უფლისწულის პლანეტისათვის მოეკრა ყური, რათა იქიდან პატარა უფლისწულის ვარსკვლავური სიცილი გაეგონა...

თავად საჰაერო კატასტროფის ამბის დაწყებამდე კი პოეტი და მფრინავი თავისი ერთი, ბავშვობისდროინდელი ნახატის შესახებ მოგვითხრობდა, რომელიც მისი მცდელობის შედეგი ყოფილა, დაეხატა გველი სპილოს გადაყლაპვის შემდეგ. მაშინ უფროსთაგან ვერავინ მიმხვდარა, თუ რა ეხატა იქ, რადგან გამოხატულებაში ყველა მამაკაცის შლაპას ხედავდა. თავად ნახატი, რომელიც უკვე ზრდასრულ და ხელობაშეცვლილ უიღბლო მხატვარს თურმე მუდამ თან დაჰქონდა, იქვე, წიგნში იყო გამოსახული. როგორც ამბის მთხრობელი აღიარებდა, მას წლების განმავლობაში არ დაუკარგავს იმედი, რომ ნახატის მიმხვედრი (– თანამიმხვედრი!) როდისმე უეჭველად აღმოჩნდებოდა. ამიტომ ყოველ ახალგაცნობილს, როცა მოულოდნელ და სასიხარულო გულითად საუბარს ბუნებრივად აღმოცენებული ურთიერთსიმპათია მოჰყვებოდა ხოლმე, იგი ყოველთვის ამ ნახატს უჩვენებდა, მაგრამ, საკმარისი იყო, იმ ადამიანს ეთქვა, რომ ფურცელზე შლაპას ხედავდა, საუბარი უმალ ჩვეულებრივ "უფროსულ და სოლიდურ" თემებს უბრუნდებოდა – პოლიტიკისა და ჰალსტუხების შესახებ. მხოლოდ პატარა უფლისწული აღმოჩნდა ის ერთადერთი, რომელიც წამითაც არ

დაფიქრებულა იმის ამოსაცნობად, რა იყო დახატული ფურცელზე. სიყმაწვილე ხომ ის ხანა იყო, როცა ყოველ ჩვენგანს, – შესაძლოა, გულუბრყვილოდ, – ასე მტკიცედ გვეიმედებოდა, რომ ჩვენი უმწიფარი ხელით შესრულებული ნახატების დამნახავი და გამგები ბევრი აღმოჩნდებოდა, რომ არასოდეს მოგვიწევდა ერთი შეხედვით სიმპათიურ ადამიანებთან პოლიტიკისა და ჰალსტუხების შესახებ საუბარი.

შეღერების შემდეგ წინ სენტ-ეგზიუპერის სხვა წიგნები გველოდა, – ლირიკით, მგზნებარებით, ზნეობრივ ღირებულებათა ერთგულებით გაჟღენთილი წიგნები: "სამხრეთის ფოსტა" და "ღამის ფრენა", "ადამიანთა მიწა" და "წერილი მძევალს", უფრო მოგვიანებით კი – ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული "ციტადელი", რომლის მნიშვნელობა ფრანგული ლიტერატურისა და აზროვნებისათვის ზოგიერთმა შემფასებელმა ბლეზ პასკალის "აზრებს" გაუთანაბრა, წიგნი, რომელიც, თავისი გამჭოლი პესიმიზმის მიუხედავად, იმის რწმენას ამკვიდრებს, რომ ადამიანის უეჭველ მიზნად ამ ქვეყანაზე თუნდაც კულტურულ ფასეულობათა დაცვა და შენარჩუნება რჩება.

ვისაც სიყმაწვილეში თუ სიჭაბუკეში ხელთ აუღია სენტ-ეგზიუპერის წიგნები, შეუძლებელია, მეხსიერებაში სამუდამოდ არ დარჩენოდა თავდადებისა და პასუხისმგებლობის, რაინდობისა და ღირსების, ვაჟკაცობისა და კეთილშობილების ის შუქი, რომლის დაუძლეველ და გარდამქმნელ ძალაში იმ ასაკში, ალბათ, ყველაა დარწმუნებული, ზოგიერთები კი – აქამდე, ზრდასრულობამდე. საბედნიეროდ!..

2000

19

ჟულიენ გრინი:
ქრისტიანი მწერალი ვნებასა და განწმენდას შორის

ჟულიენ გრინი
Julien Green
(Julian Hartridge Green)
1900-1998

მეოცე საუკუნე იწურებოდა და საუკუნის დიადი სულები, უკანასკნელი დიადი სულები, წუთისოფელს ტოვებდნენ.

1998 წლის ზაფხულის ერთ ცხელ საღამოს პარიზში საჯაროდ გამოცხადდა, რომ რამდენიმე დღით ადრე, 13 აგვისტოს, გარდაიცვალა ჟულიენ გრინი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, მეოცე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსი – რომანისტი, ესეისტი, დრამატურგი. სამი კვირა რომ კიდევ დასცლოდა, 6 სექტემბერს მას 98 წელი შეუსრულდებოდა.

* * *

ჟულიენ გრინს ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი სამწერლო ბედი აღმოაჩნდა: მისი პირველი წიგნი 1924 წელს დაიბეჭდა, რომელსაც ორი წლის შემდეგ პირველი რომანი მოჰყვა, უკანასკნელი რომანი კი, – სამხრეთამერიკული ტრილოგიის ბოლო, მესამე ტომი, – ოთხმოცდათხუთმეტი წლის მწერალმა 1995 წელს გამოსცა, მაგრამ ეს არ ყოფილა მისი ბოლო წიგნი – სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, 1998 წელს, გამოვიდა მისი ახალი, კიდევ ერთი ესეისტური კრებული.

ამერიკელი ბიზნესმენის, ედვარდ გრინის ვაჟი, ჟულიენი, 1900 წლის 6 სექტემბერს პარიზში დაიბადა, სადაც მან თავისი თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების უდიდესი

ნაწილი გაატარა. თუმცა როცა მის დაბადებამდე შვიდი წლით ადრე ერთმა ამერიკულმა კომერციულმა ფირმამ მისი მშობლების ევროპისაკენ გამოგზავნა გადაწყვიტა, მათ გერმანიასა და საფრანგეთს შორის უნდა გაეკეთებინათ არჩევანი. მომავალი მწერლის დედას, ამერიკული სამხრეთის ნამდვილ შვილს, მერი ედელეიდ ჰერტრიჯს, უპირატესობა საფრანგეთისათვის მიუნიჭებია: "ფრანგები ხომ 1870 წელს დამარცხდნენ და ჩვენ, სამხრეთელებს, ისინი უკეთ გაგვიგებენო", – უთქვამს მაშინ მას.

ჟულიენის დედა ღრმად მორწმუნე პროტესტანტი იყო და შვილებს მკაცრად ზრდიდა, – თავის ერთადერთ ვაჟსა და ექვს ქალიშვილს განუწყვეტლივ შთააგონებდა შიშს ყოველგვარი სხეულებრიობის მიმართ და ყოველდღე მათ ბიბლიას უკითხავდა ან აკითხებდა (სხვათა შორის, თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მწერალი ამბობდა, რომ იგი ყოველ ცისმარე დღეს ბიბლიის კითხვით იწყებდა და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში სწორედ იქ პოულობდა საძიებელ პასუხებსა და რჩევებს).

დედის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც თექვსმეტი წლის ჭაბუკმა შეიტყო, რომ მამამისს საიდუმლოდ მიუღია კათოლიკობა, თავადაც რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღს მიაშურა და, მიუხედავად იმისა, რომ განუხორციელებელი დარჩა მისი ახალგაზრდული ჩანაფიქრი, – მოწესედ აღკვეცილიყო ბენედიქტელთა მონასტერში, – მთელი თავისი მშფოთვარე ცხოვრების განმავლობაში მას აღარასოდეს მიუტოვებია სიჭაბუკეში მოპოვებული რწმენა.

ფრანგული ლიცეუმის დამთავრების შემდეგ იგი – ამერიკის მოქალაქე – უმაღლესი განათლების შესაძენად შეერთებული შტატებისაკენ მიემართება. სწორედ იქ, ვირჯინიის უნივერსიტეტში სწავლისას, ოცი წლის ჟულიენ გრინი პირველად შეძლებს თავის სექსუალურ ორიენტაციასთან გაწონასწორებას: საკუთარი სწრაფვებისათვის სახელის დარქმევა და საკუთარ თავთან გამოტყდომა მან მხოლოდ მაშინ მოახერხა, როცა ანტიკური სამყაროს პროფესორის ლექციაზე ყური მოჰკრა ძველ ბერძენთა შორის გავრცელებული ეროტიკული ცხოვრების რაგვარობას, – ტრფობას ჭაბუკების მიმართ.

უნივერსიტეტის დიპლომის მიღებისას ევროპაში ჯერ კიდევ ბობოქრობს პირველი მსოფლიო ომი, ამიტომ ახალგაზრდა ნასტუდენტარს იტალიის ფრონტზე წითელ ჯვარში უწევს სამსახური.

ომის დამთავრებისთანავე იწყება ჟულიენ გრინის მოუქანცველი ლიტერატურული, ინტელექტუალური, კულტურული, საზოგადოებრივი და ეროტიკული ცხოვრება: პირველი ლიტერატურული წარმატებანი და ღამის ამხანაგის საძებრად გათენებამდე ქუჩა-ქუჩა ხეტიალი, მწვავე დისკუსიები ლიტერატურისა და თეოლოგიის შესახებ, მეგობრობა და მიმოწერა ანდრე ჟიდთან და ჟაკ მარიტენთან, ინდური ბუდჰიზმის საფუძვლებში ჩაღრმავება და ძველი ებრაულის შესწავლა ბიბლიის უკეთ გასაგებად.

ჟულიენ გრინის პირველი რომანი 1926 წელს იბეჭდება. მას მოდევნებული მისი ყოველი ახალი წიგნი სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ევროპასა თუ ორსავე ამერიკაში. სულ მალე მას, ფრანსუა მორიაკსა და ჟორჟ ბერნანოსთან, ივლინ ვოსა და გრეემ გრინთან ერთად, "კათოლიკური რომანის" საუკეთესო წარმომადგენლებს მიაკუთვნებენ (თუმცა 30-იანი წლების მიწურულამდე იგი საკუთარ თავს "გრილ კათოლიკედ" მიიჩნევს).

* * *

თავის მოგონებათა წიგნში – "მოსაბრუნი წერტილი" (რომლის საბოლოო, გერმანული, რედაქცია ავტორმა თვითმკვლელობამდე რამდენიმე კვირით ადრე, 1949 წელს, დაასრულა) – კლაუს მანი, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული და ამერიკული ინტელექტუალური ცხოვრების წარმოჩენისას, აღწერს თავის პარიზულ შეხვედრებს, 20-30-იან წლების იქაურ მჩქეფარე ლიტერატურულ, კულტურულ, ბოჰემურ ცხოვრებას, ქალაქს და გარემოს, სადაც ხშირად პოულობდა შვებას სახელოვანი მწერალი მამის არცთუ უსახელო მწერალი შვილი. პარიზელ მეგობართა და ნაცნობთა, ახლობელთა შორის – ანდრე ჟიდის, ჟან კოკტოს, ჟან ჟიროდუს შემდეგ – კლაუს მანი განსაკუთრებით გამოარჩევს ჟულიენ გრინს, რომლის რომანებს უკვე სახელი მოეხვეჭა მათი იმ დროს

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ავტორისათვის. და სწორედ აქ ელოდა მომავალ მემუარისტს მოულოდნელი გაკვირვება: იგი, ჟულიენ გრინის ადრეული წიგნების მკითხველი, დარწმუნებული იყო, რომ მათი ავტორი უკვე ხანშიშესული ბატონი უნდა ყოფილიყო, – ალბათ, თეთრწვეროსანი, ჯანგატეხილი, წელში მოხრილი. ანდა განა სათუო იყო, სად ცხოვრობდა მწერალი? რა თქმა უნდა, იქ, სადაც მისი რომანების მოქმედება წარიმართება: სულისშემხუთველად შეზღუდულ, მოჩვენებითად ერთფეროვან ფრანგულ სოფელში ან პაწაწინა ქალაქში.

და რაოდენ მოულოდნელი იყო შეხვედრა პარიზულ სასტუმროს "ჟაკობში" ახალგაზრდა, ელეგანტურ, ტანად და მომხიბლავ მამაკაცთან, რომელიც "მეოცნებისა" და "ლევიათანის" ავტორი აღმოჩნდა. თავდაპირველად კლაუს მანს იგი სახელგანთქმული მწერლის ვაჟი ჰგონებია და უზომოდ გაჰკვირვებია, როცა მიმხვდარა, რომ სწორედ ეს, მის წინ მჯდომი გაფრანგებული ამერიკელი იყო ის რომანისტი, რომელიც იმგვარად აღწერდა სევდას, როგორც სხვა ვერავინ მის თანამედროვეთა შორის, – უიმედო, უნათლო სევდას, საითკენაც, როგორც შინისკენ, ჩვენი ყველა გრძნობა მიედინება, რადგან ყოველი სხვა გრძნობა, როგორც გრინის უკვე სახელმოხვეჭილი წიგნები ცხადყოფდა, მხოლოდ და მხოლოდ სევდის უვერტიურაა.

ამ დროს, ხუთი წლით უმცროს კლაუს მანთან შეხვედრისას, ჟულიენ გრინი ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო. კიდევ უფრო უცნაური იყო, რომ მწერლის ჭაბუკური სახე, – მწერლისა, რომელიც ერთთავად ადამიანის ფარული ტკივილისა და ფარული შიშის შესახებ წერდა, – არ იყო აღბეჭდილი იმ ტანჯვითა და ფათერაკებით, რომლებიც მას ასეთი სიღრმისეული ცოდნით აღეწერა. აშკარა იყო, რომ მისი იერი სრულიად უჩვეულო იყო, – ხავერდოვნად მჭმუნვარე, თუმცა თვალშისაცემად მეტყველი და მძაფრი გამოხედვა, გაფანტული ღიმილი და იდუმალი მზერა, – მაგრამ გერმანელი მემუარისტი გულდაწყვეტით წერს, რომ მისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ჩასწვდომოდა ან თუნდაც შორიდან მიახლოებოდა იმის გაგებას, თუ საიდან საზრდოობდა ფრანგი მწერლის – მოწესრიგებული, კორექტული, ხალისიანი ახალგაზრდა კაცის – პოეტური

მჭვრეტელობით აღსავსე ხილვები. რომელი კურთხევის თუ რომელი წყევლის წყალობით იცნობდა იგი ასე გაუშუალებლად ადამიანის სამშვინველის შემაძრწუნებელ ლაბირინთებსა და ჯურღმულებს?

მოგვიანებით, როცა კლაუს მანი და ჟულიენ გრინი საკმაოდ დაახლოებულან, გერმანელ კოლეგას მისთვის უკითხავს: "როგორ მოიპოვეთ ამგვარი მასალა? სად იპოვეთ? თქვენი პერსონაჟების მაგვართ ხომ ჩვენს წრეში ადამიანი ვერასოდეს შეხვდება". კლაუს მანის სიტყვებით, მას სამუდამოდ დაამახსოვრდა ჟულიენ გრინის ღიმილიანი, არიდებული და მორიდებული პასუხი: "მაგრამ, ჩემო ძვირფასო, ჩემს რომანებს მე ხომ არა ვწერ! ჩემს ხელს სხვა მართავს, – ვიღაც უცხო..."

კლაუს მანის სიტყვებით, ჟულიენ გრინი ამას სერიოზულად ამბობდა, და იგი სიმართლეს ამბობდა.

* * *

1938 წელს ქვეყნდება ჟულიენ გრინის „დღიურების" პირველი ტომი, რომელსაც სამოცი წლის განმავლობაში კიდევ თოთხმეტი ტომი მოჰყვა, – განთქმული დღიურები, რომელთაც არა მარტო ავტორი, არამედ მრავალრიცხოვანი მკითხველებიცა და კრიტიკოსებიც მწერლის საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევენ, დღიურები, რომელთაც არაერთი შემფასებელი თავიანთი მნიშვნელობით, სიღრმით, სისხარტით ბლეზ პასკალის "აზრებს" უყენებს გვერდით. მსოფლიო ინტელექტუალურ წრეებში ფართო ყურადღებით მოცულ ამ ფურცლებზე ასახულია, ერთი მხრივ, ბრძენი და ცოცხლად მოაზროვნე ადამიანის ფიქრები, დაეჭვებანი, მსჯელობანი და, მეორე მხრივ, სახელმოხვეჭილი პროზაიკოსის შეუფარავად და გულახდილად აღწერილი ყოველდღიურობა – მოგზაურობანი, შეხვედრები, საუბრები, გატაცებანი თუ გულისგაცრუებანი.

მეორე მსოფლიო ომისას, რომლის განმავლობაში ჟულიენ გრინი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და ასწავლიდა, ქვეყნდება მისი ერთადერთი ინგლისურენოვანი რომანი – "ბედნიერ დღეთა მოგონება". ამავე დროს მწერალი იწყებს გერმანელი ნაციონალ-სო-

ციალისტების მიერ ოკუპირებული საფრანგეთისათვის ანტინაცისტური რეგულარული რადიოპროგრამების მომზადებასა და გადაცემას.

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ თითქმის ყოველწლიურად გამოდის მისი ახალი წიგნები, მათ შორის – მწერლის შედევრად აღიარებული რომანი "მოირა". გამოცდილებას უკვე სიბრძნის გალავანში შეუბიჯებია, შთაგონებას ოსტატობის მყარი საყრდენი მოუპოვებია, მწერლის სახელი კი ოკეანის ორსავე ნაპირას კლასიკური სინატიფისა და უწყების ფასეულობის საწინდარი გამხდარა.

ცდუნებასა და ხიბლს შერკინებულნი, რწმენისა და იმედის მოჭიატე შუქურას მინდობილნი, ჟულიენ გრინის პერსონაჟები – გახლეჩილნი ხორციელ სურვილსა და სულიერ ამაღლებას შორის, დაწაფებულნი სასოებასა და თანალმობას, დაუოკებელნი ლტოლვისას და ლოცვისას, ტანჯულნი ჟინიანი ფიქრით და ჟინის შესახებ ფიქრით – საკმაოდ უჩვეულოდ და უმეგობროდ გამოიყურებიან მოდერნისტული თუ, მით უმეტეს, პოსტმოდერნისტული რელიგიური ნიჰილიზმის, ზნეობრივი ფარდობითობისა და შემოქმედებითი თვითკმაყოფილების სამზერიდან.

როცა 1951 წელს ჟულიენ გრინი ანდრე ჟიდის გარდაცვალებას შეიტყობს, მას ქვითინი აუვარდება, ხოლო როცა გაზეთ "ფიგაროში" ფრანსუა მორიაკის სიტყვებს წაიკითხავს, რომ ჟიდმა ეშმაკის გზა აირჩია, იგი თავის დღიურში ჩაწერს: "რა იცის მორიაკმა? მხოლოდ ღმერთს ძალუძს საბოლოო განჩინების გამოტანა!".

* * *

ჟულიენ გრინისა და კლაუს მანის პარიზული შეხვედრის შემდეგ წლებმა ჩაიარა. მეორე მსოფლიო ომისას ორივე ამერიკაში აღმოჩნდა. ჟულიენ გრინი, ამერიკის მოქალაქე, პრინსტონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორი ხდება; კლაუს მანი, იმჟამად ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე, ამერიკის მოქალაქეობას მიიღებს და შეერთებული შტატების ჯარში იწყებს სამსახურს.

თუ ადრე ორივე მწერლის ინტელექტუალური, საზოგადოებრივი თუ ეროტიკული არჩევანი ასე აახლოებდა

მათ ერთმანეთს, ამ დროს სულ უფრო და უფრო იმიჯნება მათი სულიერი და სოციალური ძიებების მიმართულებანი: ინდივიდუალისტური ეთოსიდან კოლექტივიზმისაკენ ერთმნიშვნელოვნად შებრუნებული კლაუს მანი, ამერიკული ცხოვრების სტილით აღფრთოვანების გარდა, სტალინისა და სტალინიზმის აპოლოგიას მიჰყოფს ხელს, ჟულიენ გრინი კი, ჯერ კიდევ 1939 წლიდან, – მისი სიტყვებით, მისი "ხელმეორედ მოქცევის" დღიდან, – დაჟინებით ცდილობს, გულწრფელ, მგზნებარე კათოლიკურ რწმენასთან მოარიგოს მზურვალე, თავშეუკავებელი ჰომოეროტიკული სწრაფვები.

როცა ჟინისა და ბანგის ქსელში გახლართული კლაუს მანი ლაჟვარდოვან სანაპიროზე, ფრანგულ კანში, თვითმკვლელობით დაამთავრებს სიცოცხლეს, ამ დროს – ომის შემდეგ – პარიზში დაბრუნებული ჟულიენ გრინის პიროვნული (და შემოქმედებითი) დაძაბულობა ნელ-ნელა განმუხტვისა და განწმენდისაკენ მიემართება. ბოლოს და ბოლოს იგი მტკიცედ გადაწყვეტს, წერტილი დაუსვას იმას, რასაც თავად "სექსუალურ შეშლილობას" უწოდებს. ლოცვის ძალაში მტკიცედ დარწმუნებული, იგი სულიერ დასთა საკრებულოს მოუხმობს, დაეხმაროს მას, რადგან თვითონ უძლური აღმოჩნდა დაეძლია საკუთარი სხეულის ძახილი. ორწლიანი მტკივნეული შინაგანი ბრძოლების შემდეგ ჩამოდგება გაჭონასწორების ჟამი: იგი ახალ ადამიანურ განზომილებას მიაგნებს – ხორციელებისაგან განწმენდილ სიყვარულს.

ჟულიენ გრინის ცხოვრებაში იწყება უსაზღვრო, უკიდეგანო, მღელვარე ბედნიერების ხანა. იგი ხელახლა აღმოაჩენს წმიდანთა შორის წმიდანს, ღმრთის გლახაკს, ფრანჩესკო ასიზელს, და წერს თავის ერთ უმშვენიერეს წიგნს – "ძმა ფრანჩესკო".

თუ სიჭაბუკეში მწერალი კლაუს მანს გამოუტყდა, რომ მის კალამს ვიღაც უცხო მართავდა, სიცოცხლის მიწურულს იგი, ფრანგული ლიტერატურის აღიარებული კლასიკოსი, ერთ ინტერვიუში ამბობდა: "მანამდე, სამოცი წლის განმავლობაში, მე მაცდური მაწერინებდა, შემდგომ კი წმიდა ფრანჩესკომ მიხსნა".

* * *

ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების რეფორმებს და ეკლესიის განახლების კრებისშემდგომ სულისკვეთებას ჟულიენ გრინი კრიტიკულად და დაეჭვებით შეხვდა, განსაკუთრებით – კათოლიკურ ღმრთისმსახურებაში ლათინური ენის გაუქმებას. "მე არ ძალმიძს წმიდა მესა ვისმინო ცოდვის ენაზე (ფრანგულად) ან დანაშაულის ენაზე (ინგლისურად)", – განაცხადა მწერალმა, რომლის წიგნები ფრანგულად და ინგლისურადაა დაწერილი.

1971 წელს, ფრანსუა მორიაკის გარდაცვალების შემდეგ, ჟულიენ გრინი საფრანგეთის აკადემიის წევრად აირჩიეს. თავის ოთხასწლოვან ისტორიაში "უკვდავთა ორმოცეულმა" პირველად მიიწვია აკადემიკოსის სავარძლის დასაკავებლად არაფრანგი, – ამისათვის მას სასწრაფოდ საფრანგეთის მოქალაქეობა მიანიჭეს (ამერიკის მოქალაქეობის შენარჩუნებასთან ერთად), რაც მოკეთეებმაც და მტრებმაც იშვიათ პატივად მიიჩნიეს.

ჟულიენ გრინის შემოქმედება, რომლის თაყვანისმცემლები იყვნენ კარლ გუსტავ იუნგი და ჰერმან ჰესე, ელიოტი და რილკე, არტურ კესტლერი და ჯორჯ ორუელი, ცივილიზებული სამყაროს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი. გალიმარის გამომცემლობამ "პლეადის" სახელგანთქმულ სერიაში გრინის ნაწერების სრული კრებულის გამოცემა მწერლის სიცოცხლეშივე დაიწყო – ამგვარი საპატიო გამონაკლისი მეოცე საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოხდა: ჟიდისა და მალროს შემთხვევებში. გამომცემლობამ მკითხველს შესთავაზა ჟულიენ გრინის თვრამეტი რომანი, დღიურების თხუთმეტი ტომი, ხუთი პიესა, მოგონებათა ხუთი ტომი, ესეების ექვსი კრებული და, რაც მთავარია, იმგვარი ფრანგული ენა, რომელიც, თუ საქმის მცოდნეებს ვენდობით, ისეთივე მშვენიერი, კეთილშობილი და დახვეწილია, როგორც პოლ ვალერის, მარსელ პრუსტის ან ანდრე ჟიდის ფრანგული.

"რწმენა წყალზე სიარულს ნიშნავს";

"მზად იყო სიცოცხლე გასწირო იმ ადამიანისათვის, რომელიც არასოდეს გინახავს, რომლის ხმაც არასოდეს გაგიგონია, – აი, ეს არის მთელი ქრისტიანობა";

“ჩემი დაცემისას თუნდაც ისე ღრმად ჩავინთქა, რომ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდე, ღმრთის მკვლავები საკმარისად გრძელია იმისათვის, რათა მე იქიდან ამომიყვანოს” –

ეს ფრაზები ჟულიენ გრინის “დღიურებიდანაა” ამოკრებილი, – მწერლისა, რომლის მგზნებარე სიცოცხლემ თითქმის ერთ საუკუნეს გასტანა.

1998, 1999

20

ანდრე მალროს ადამიანური ხვედრი

ანდრე მალრო
André Malraux
1901-1976

სამოცდაათ წელს გადაცილებული ანდრე მალრო იხსენებდა: "უფროსებისა და მასწავლებლებისაგან ჩვენ ის გვასხვავებდა, რომ უკვე ოცი წლისანი ისტორიის შემსწრენი ვიყავით". როდესაც პირველი მსოფლიო ომი გაჩაღდა, მალრო ცამეტი წლისა იყო, ვერსალის ხელშეკრულებების დადებისას – ჩვიდმეტისა, ცხრამეტი წლისა კი დადაისტური მოძრაობის ტრიუმფული მსვლელობის თვითმხილველი გახდა.

მალროს ჩვიდმეტი წელიც არ შესრულებოდა, როცა სკოლა სიმწიფის ატესტატის მიღებამდე მიატოვა, მაგრამ საკუთარი ძალისხმევით, თვითგანათლებით მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ნაკითხ ინტელექტუალად იქცა. თავისი სიჭაბუკის მრავალი და მრავალი საათი მან სენის სანაპიროზე, ბუკინისტებს შორის გაატარა, ბიბლიოფილიის საკმაოდ კარგი მცოდნის სახელი მოიპოვა და სულ მალე ერთი მოზრდილი წიგნის მაღაზიის მიმწოდებელი გახდა. 1920 წელს მალრომ საკუთარი ჟურნალის გამოცემა დაიწყო, სადაც მან თავისი პირველი სტატია დაბეჭდა – "კუბისტური აზროვნების საფუძვლები", სტატია, რომელმაც მაშინვე მიიპყრო პარიზელ ხელოვანთა და ინტელექტუალთა ყურადღება.

მალროს დამოუკიდებელი აზროვნება და სულიერი სილაღე, სრული თავისუფლება ყოველგვარი დოგმატიზმისაგან მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მის გახსნილობასაც სხვადასხვა დინებათა და მიმართულებათა მიმართ. მისი ინტელექტუალური გატაცებანი, რომელთაც გავლენა მოახდინეს მის პიროვნულ და აზროვნე-

ბითს ჩამოყალიბებაზე, მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი, როგორც ყველა ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანი, ადვილად ახერხებდა მათ ასიმილირებას. უკვე დაბრძენებული მალრო ამბობდა, რომ "ცხოვრება თვრამეტსა და ოც წელს შორის ეს არის ბაზრობა, სადაც ფასეულობანი შეგიძლიათ იყიდოთ არა ფულით, არამედ ქმედებებით. თუმცა ადამიანთა უმრავლესობა საერთოდ არაფერს ყიდულობს". ანდრე მალროს გვიანდელ ბიოგრაფებს თუ ვენდობით, იგი იმხანად ფასეულობებს – ანუ გამოცდილებას – სწრაფად და ვნებიანად იძენდა.

20-იან წლებში პარიზის ლიტერატურულ და სახელოვნო წრეებში იგი უკვე ცნობილი გახდა თავისი დენდიზმითა და გამორჩეულობით, პროვოკაციული საქციელითა და აზრებით. ოსკარ უაილდისა არ იყოს, მისი სახელი უკვე მანამ იყო ცნობილი, სანამ თავის პირველ ლიტერატურულ ნაწერებს დაბეჭდავდა. სწორედ ამ წრეებში გაეცნო იგი გერმანელ ემიგრანტთა შთამომავალს, მდიდარი მემკვიდრეობის მფლობელს, კლარა გოლდშმიდტს, რომელთანაც ერთადაც იგი შორეულ თუ მახლობელ მოგზაურობებში გაეშურა – საბერძნეთს, ტუნისს, ჩეხოსლოვაკიას, ესპანეთს. მისი ამ პერიოდის აღმოჩენებს ეკუთვნის გერმანული ექსპრესიონისტული ფილმი და გერმანული ფილოსოფია – ნიცშეს, შპენგლერის, ჰაიდეგერის წიგნები.

1923 წლის მიწურულს, თავის მეუღლე კლარასთან და მეგობარ ლუი შევასონთან ერთად, მალრო კოლონიების სამინისტროს საგანგებო დავალებით ინდოჩინეთში მიემგზავრება. იქ იგი თავის დროს, დიპლომატიური საქმიანობის გარდა, ბუდჰისტური და ინდუისტური ტაძრების შესწავლას უთმობს, ძირითადად, ქმერთა ეგრეთ წოდებული სამეფო გზის გასწვრივ.

აღმოსავლეთში ყოფნამ მისი სულიერი ძალისხმევა მყარი, აბსულუტურ ღირებულებათა ძიებებისაკენ წარმართა. მაგრამ ახალ სულიერ გამოცდილებათა მაძიებელს ადგილობრივმა დაწესებულებებმა ბუდჰისტური ტაძრიდან ძვირფასი რელიგიური ნივთების მოპარვაში დასდო ბრალი, რის გამოც მწერალსა და მომავალ მინისტრს ქურდობისათვის სამი წლის პატიმრობა მიესაჯა. ანდრე ჟიდის, მარტენ დიუ გარის, არაგონის, ბრეტონისა

და სხვა ფრანგ ინტელექტუალთა შუამდგომლობით, 1924 წელს მალრო ციხიდან გაათავისუფლეს, რის შემდეგაც მან უმალ დატოვა კამბოჯა. შინაპატიმრობის რამდენიმე თვის განმავლობაში მალრო ჩაუღრმავდა კოლონიალიზმისა და რევოლუციის, ბუდჰიზმისა და კომუნიზმის, ადამიანის ხვედრისა და ძალადობის პრობლემებს. იმხანად მან რევოლუცია, – აჯანყება და ამბოხება მიიჩნია საშუალებად, რომელიც ადამიანს საკუთარი ბედისწერისაგან დაიხსნიდა.

სულ მალე, 1925 წლის ივნისში მალრო ისევ ინდოჩინეთში ბრუნდება და, თავის რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, საიგონში საფუძველს ჩაუყრის ოპოზიციურ გაზეთს "ინდოჩინეთს". მაგრამ, ფრანგული კოლონიური მმართველობის მოთხოვნით, იგი რამდენიმე თვეში იძულებულია, ისევ საფრანგეთს დაბრუნდეს. თუმცა ინდოჩინეთში მოპოვებული გამოცდილება მას კიდევ დიდხანს ეყოფა მომავალი წიგნების მასალად და შთაგონებად.

პარიზში მალრო ლიტერატურულ და კულტურულ დისპუტებში ჩაერთვება, რომლებშიაც მასთან ერთად მონაწილეობენ ბრეტონი, არაგონი, სიურეალისტები. მაგრამ ინდოჩინური ფათერაკების გამოძახილი მალროს სიტყვას, მის გამონათქვამს კარგა ხნის განმავალობაში გამორჩეულ ჟღერადობას შესძენს. ერთი მისი თანამედროვე იხსენებს: "მალრო ლაპარაკობს ჩქარა და კარგად. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მან ყველაფერი იცის. შესაძლოა, ისიც კი იფიქროთ, რომ ესაუბრებით საუკუნის ყველაზე გონიერ ადამიანს".

1926 წელს იგი, აღმოსავლური კულტურის მცოდნე და დამფასებელი, ბეჭდავს ესეის "ცდუნება დასავლეთით", სადაც ეჭვს შეიტანს დასავლური ცივილიზაციის ფასეულობებში. 1928 წელს კი გამოდის მისი რომანი "დამპყრობლები", რომლის მთავარი გმირი გარენი "რევოლუციას კი არ განმარტავს, არამედ ქმნის".

იმავე წელს მალრო გალიმარის ცნობილი გამომცემლობის ლიტერატურულ რედაქციას ჩაუდგება სათავეში, წერს წინასიტყვაობებს ლოურენსისა და ფოლკნერის წიგნებისათვის და ისევ მიემგზავრება, – ამჯერად ცენტრალურ აზიაში. იბეჭდება მისი ახალი წიგნები, 1933

წელს კი მის ახალ რომანს – "ადამიანური ხვედრი", რომლის მოქმედება ჩინელი კომუნისტების გარემოში ვითარდება, ერთხმად მიენიჭება გონკურების პრემია. რომანის თემაა გაბრძოლება დანებებასთან იმის წინაშე, რაც უდაოდ ძლიერია ადამიანზე.

მალე მას ელის გაყრა თავის ცოლთან – კლარასთან და კიდევ ერთი მოგზაურობა, – ამჯერად ირანში, ჩინეთში, ინდოეთში, ავღანეთში, იაპონიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ოცდაცამეტი წლის მალრო, ქრისტეს ასაკში, უკვე არა იმდენად ორთოდოქსი რევოლუციონერია, რამდენადაც ამბოხებული. მალე იგი ანტიფაშისტურ მოძრაობაში ჩაებმება და არა მარტო ესპანელ რესპუბლიკელებს დაუჭერს მხარს, არამედ კომუნისტებსაც ამოუდგება გვერდით და, ანდრე ჟიდთან ერთად, საბჭოთა კავშირის მხარდამჭერ არაერთ მიტინგსა და შეკრებაში იღებს მონაწილეობს. მაგრამ როცა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ იმედგაცრუებული ანდრე ჟიდი თავის გახმაურებულ წიგნს – "სსრკ-დან დაბრუნებას" – დაბეჭდავს, მალრო უკვე ესპანეთშია და, რესპუბლიკელებისა და კომუნისტების გვერდით, სულითა და სხეულით იბრძვის ფალანგისტების წინააღმდეგ: ერთი მხრივ, კითხულობს ლექციებს, ატარებს მიტინგებს, იღებს პროპაგანდისტულ ფილმებს და, მეორე მხრივ, ხელმძღვანელობს საბრძოლო რაზმებს. 1937 წლის მიწურულს იბეჭდება მალროს ახალი რომანი "იმედი", რომელიც სამოქალაქო ომის ცხარე ბრძოლებით მოცული ერთ პატარა ესპანური ქალაქის, ტერუელის, ცხოვრებას აღწერს. წიგნს აღტაცება და უზარმაზარი გამოხმაურება ხვდა წილად, მაგრამ ფაქტობრივ ეს მალროს უკანასკნელი რომანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ მან ორმოცი წელი იცხოვრა, ბელეტრისტიკის შესაქმნელად მას კალმისათვის ხელი აღარ მოუკიდია.

ომის წლებში მალრო-ანტიფაშისტი გენერალ დე გოლის გვერდით აღმოჩნდა, რაც ზოგიერთმა მემარცხენე მეგობარმა მას ღალატად ჩაუთვალა, ზოგისათვის კი ეს მის საზოგადოებრივ შეხედულებათა განვითარების ბუნებრივი გამოვლინება იყო. ამის შემდეგ, მალროსა და დე გოლის თანამშრომლობა მრავალი წლის განმავლობაში არა მარტო არ შეფერხებულა, არამედ ღრმა ურთიერთ-

პატივისცემასა და მეგობრობაში გადაიზარდა. მალრო ხდება დე გოლის კაბინეტის მრჩეველი, ინფორმაციის მინისტრი, გოლისტური პარტიის პროპაგანდისტური მუშაობის ხელმძღვანელი, დაბოლოს, კულტურის მინისტრი. მალროსა და დე გოლს – ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებოდნენ პოლიტიკური მიმართულებითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით – როგორც ჩანს, ერთმანეთთან აკავშირებდათ "ყოველდღიური საქმიანობის სიდიადე და ალტრუიზმი".

ომის შემდეგ გამოდის მალროს ახალი წიგნები: ეტიუდებისა და ჩანაწერების, მედიტაციებისა და რეფლექსიების კრებულები "დუმილის ხმები", "ხელოვნების ფსიქოლოგია", "ღმერთების მეტამორფოზა", ესეები ლეონარდო და ვინჩის, ვერმეერის, გოიას შესახებ.

ყოფილი რომანისტი და ყოფილი რევოლუციონერი ამ დროს უკვე საფრანგეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ელიტას ეკუთვნოდა, – ხელმძღვანელობდა კულტურული ფასეულობების დაცვას, აწყობდა წიგნის ბაზრობებსა და გამოფენებს (სხვათა შორის, მალრომ გახსნა ფიროსმანის გამოფენა პარიზში), მხარს უჭერდა ბიბლიოთეკებსა და გალერეებს, მფარველობდა მწერლებს, მსახიობებს, არქეოლოგებსა და მხატვრებს.

1969 წელს დე გოლის გადადგომის შემდეგ მან საფრანგეთის პოლიტიკური სცენა საბოლოოდ დატოვა.

1976 წლის მიწურულს ანდრე მალრო გარდაიცვალა, თუმცა სიკვდილამდე ოდნავადაც არ გაფერმკრთალებულა არც მისი ცინცხალი ინტელექტი და არც მისი გაუცვეთელი მეხსიერება.

მალროს, სიტყვისა და ქმედების კაცს, არასოდეს დაუმალავს, რომ ყოველთვის საუკუნის ავანგარდში ყოფნას ცდილობდა. შესაძლოა, მისი პოლიტიკური გზაც ეპოქის მაგისტრალურ ხაზს ირეკლავდა, – გზა რევოლუციიდან კონსერვატიზმისაკენ, გზა მემარცხენე ორიენტაციიდან ტრადიციული ღირებულებებისაკენ.

1997

21

მარგერიტ იურსენარი: ერთგულება ხსოვნის მიმართ

მარგერიტ იურსენარი
Marguerite Yourcenar
(Marguerite Antoinette Jeanne
Marie Ghislaine Cleenewerck de Crayencour)
1903-1987

1980 წლის 6 მარტს საფრანგეთის აკადემიის საზეიმო დარბაზში, სადაც ორმოცი ეგრეთ წოდებული "უკვდავი" აკადემიკოსი შეკრებილიყო, უცნაური და მანამდე უთქმელი სიტყვა, იმ დარბაზში უთქმელი სიტყვა – "ქალბატონო" – აჟღერდა. ამ სიტყვის წარმოთქმა კი იმ დღეს აუცილებელი გახდა, რადგან ევროპის ლიტერატურულ აკადემიათა შორის ყველაზე პრესტიჟული, ყველაზე სახელმოხვეჭილი, ყველაზე ხანგრძლივი ტრადიციის მქონე საფრანგეთის აკადემია ახალ წევრს მიესალმებოდა – ამერიკაში მცხოვრებ ამერიკის მოქალაქეს, ბელგიური წარმოშობის ფრანგ მწერალ ქალს, მარგერიტ იურსენარს.

კარდინალ დე რიშელიეს მიერ დაარსებულ აკადემიას, რომელიც 1634 წლიდან ითვლის თავის არსებობას და რომელსაც იმ დროიდან (თუ არ ჩავთვლით საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში მისი მოღვაწეობის ხანმოკლე აკრძალვას) არასოდეს შეუწყვეტია საქმიანობა და არც არასოდეს უღალატია თავისი მყარი წესებისა და ტრადიციებისათვის, ბევრჯერ დაუმსახურებია კრიტიკა, მწვავე და დაუნდობელი კრიტიკაც კი, კლასიკური ფრანგული ენის და კლასიკური ფრანგული ლიტერატურის შეუვალი და უცვლელი ერთგულებისათვის. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, აკადემიას ზურგი არ შეუქცევია არც ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ მეამბოხეთა და რევოლუციონერთათვის, – ამის მაგალითად იმის გახსენებაც კმარა, რომ აკადემიის კარიბჭე უმტკივნეულოდ გაიღო ვოლტე-

რის, ვიქტორ ჰიუგოს, ერნესტ რენანის, ანრი ბერგსონის თუ ჟან კოკტოს მისაწვევად რჩეულთა შორის. დასამალი არც ისაა, რომ ამ აკადემიაში, რომელშიც, ისევე როგორც ადამიანთა მიერ შექმნილ ყოველ ორგანიზაციასა და ინსტიტუტში, ბევრჯერ და ბევრჯერ მოხვედრილა ისეთი ფიგურა, რომლის სახელი ბევრს არაფერს ეტყვის (ან, საერთოდ, არაფერს ეტყვის!) ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო მცოდნესაც კი. ხოლო ის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს "უკვდავთა" შორის მოსახვედრად გავლენიან ნათესავებსა და ნაცნობებს, ან საზოგადოებრივ სტრატეგიულ-ინტრიგულ გამოცდილებას, ამაში დასარწმუნებლად ანატოლ ფრანსის რომანების ან ანდრე ჟიდის "ყალბი ფულის მჭრელების" გადაკითხვაც კმარა. სხვათა შორის, ფრანსი, როგორც ცნობილია, თავად იყო აკადემიის წევრი და შესანიშნავად მოეხსენებოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი არჩევისას არა მარტო მის ნაწარმოებთა ლიტერატურულ ღირებულებას (– უეჭველად მაღალ ლიტერატურულ ღირებულებას), არამედ მის მეგობართა საზოგადოებრივად წონიან სიტყვასაც. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში ფრანგული ლიტერატურის ღირებულ, ღირსეულ და შესამჩნევ წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა მაინც აკადემიის კედლებს შიგნით აღმოჩნდა და ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსთა უდიდეს ნაწილს აკადემიური მუნდირის ტარების პატივი ერგო.

და მაინც: აკადემია საუკუნეების განმავლობაში იცავდა და არ არღვევდა თავის ორ ფორმალურ პრინციპს, – პრინციპებს, რომელთაც კანდიდატის წიგნების ლიტერატურულ ღირებულებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. "უკვდავთა" საკრებულოს წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ის, ვინც საფრანგეთის მოქალაქე იყო და არავითარ შემთხვევაში – ქალი. პირველი პირობის დარღვევა აკადემიას 1971 წელს, ფრანსუა მორიაკის გარდაცვალების შემდეგ, მოუხდა, როცა ამერიკელი ჟულიენ გრინი, ფრანგული ლიტერატურის უეჭველი კლასიკოსი, აკადემიის წევრად იქნა არჩეული. თუმცა ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, გამონაკლისის სახით,

სამოცდაათი წლის რომანისტს იმ დღეებში ორმაგი მოქალაქეობა – საფრანგეთის მოქალაქეობაც – მიენიჭა.

რამდენიმე წლის შემდეგ ამგვარივე გამონაკლისის გაკეთება კიდევ ერთხელ მოუხდა საფრანგეთის პრეზიდენტს, – ამჯერად გამონაკლისი შეესებოდა ამერიკის მოქალაქეს, ფლანდრიაში (ბელგიაში) დაბადებულ და აღზრდილ ფრანგ მწერალს, მარგერიტ იურსენარს. ამრიგად, ფორმალობა დაცული იყო და აკადემიის წევრებს სუფთა სინდისით შეეძლოთ მიეღოთ ორმოც რჩეულთა შორის მეოცე საუკუნის გამორჩეული რომანისტი, ესეისტი, მთარგმნელი, რომელსაც – თუნდაც სანახევროდ, მაგრამ მაინც – ფრანგული პასპორტი ჰქონდა. თუმცა ამჯერად ნამდვილად დაირღვა მეორე, ლამის ოთხასწლოვანი ტრადიცია, – მარგერიტ იურსენარი პირველი მანდილოსანი აღმოჩნდა აკადემიის ისტორიაში და სწორედ მის მიმართ წარმოითქვა პირველად – 1634 წლიდან – აკადემიის საზეიმო დარბაზის თაღებქვეშ მიმართვა "ქალბატონო!".

* * *

მარგერიტ იურსენარი ეგრეთ წოდებულ "უკვდავთა" შორის პირველი ქალი აღმოჩნდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ მისი შემოქმედება "ქალურ" ანდა ეგრეთ წოდებულ "ფემინისტურ" ლიტერატურას მიეკუთვნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი პირადი ეროტიკული სწრაფვა საკუთარი სქესისადმი, ესე იგი, ქალებისადმი იყო მიმართული, მისი შემოქმედებითი ძალისხმევა მამაკაცთა შინაგანი სამყაროს, შინაგანი ტკივილებისა და სიხარულის, აღმაფრენისა და სევდის წარმოჩენას ემსახურებოდა; მის უმთავრეს და საუკეთესო ნაწარმოებთა გმირები მამაკაცები იყვნენ, და თან იმგვარი მამაკაცები, რომელთა ცხოვრებასა და ეროტიკულ არჩევანში ქალები მეტად უმნიშვნელო ადგილს იკავებდნენ.

ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსის პატივი კი მას მისი რომანებისა და მოთხრობების მკაცრმა კლასიკურმა სტილმა, ღრმა და საფუძვლიანმა ერუდიციამ, ფსიქოლოგიური ნახატის სიფაქიზემ და ფრაზის დამატყვევებელმა სიმშვენიერემ მოუტანა.

მარგერიტ იურსენარი ფსევდონიმია მარგერიტ დე კრეიანკურისა, რომელიც 1903 წლის 3 ივნისს ბრიუსელში, წელმაგარ ოჯახში დაიბადა. მამამისი იმდენად შეძლებული და განათლებული კაცი იყო, რომ გოგონას სკოლაში არ უვლია და საოჯახო სწავლას დასჯერდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, მეოცე საუკუნის მწერალთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალის სახელი მოეხვეჭა. როგორც თავად მიიჩნევდა, მან თავისი მრავალმხრივი ცოდნა ქვეყნებისა და ხალხების უშუალო გაცნობით მოიპოვა, რადგან მთელი ცხოვრების განმავლობაში – ჯერ მამასთან ერთად, შემდგომ მარტო, ან მეგობრების თანხლებით – ლამის მთელი მსოფლიო შემოიარა. ნივთიერად წელში გამართული ახალგაზრდა მწერალი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე განუწყვეტელ მომთაბარე ცხოვრებას მისდევს და მხოლოდ ორმოცი წლის გადაცილების შემდეგ, ევროპაში აგიზგიზებული ხანძრისათვის თავის გასარიდებლად, იგი ამერიკის შეერთებული შტატების ერთ განმარტოებულ კუნძულზე მკვიდრდება.

წერა კი იურსენარმა სრულიად ყმაწვილმა დაიწყო და სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე შეწყვიტა, როცა იგი უკვე ცხოვრების მეცხრე ათწლეულში იდგა. მისი მოგონებების მესამე წიგნი "რა? მარადისობა", როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ დაუწერელ, ბოლო თავს მოისაკლისებს, მაგრამ ის, რისი დაწერაც მოესწრო, რაც რომანისტის კალამმა აზრის ლამის უკანასკნელი გაცისკროვნებისას დახატა და აღწერა, იმდენად იურსენარისეულად კლასიკური, სრულყოფილი და გაწონასწორებულია, რომ მკითხველს საკუთარი თავისათვის ძალის დატანება სჭირდება, რათა ახსოვდეს (ან კი რა საჭიროა, ახსოვდეს?!), რომ ავტორს საბოლოოდ თავისი ნაწერი არც ჩაუსწორებია და არც დაუმთავრებია. ამაშიც იურსენარი, შესაძლოა, მარსელ პრუსტს ენათესავება, – თავის დიდ მასწავლებელს, მეგზურსა და ნიმუშს.

მარგერიტ იურსენარსაც, პრუსტის მსგავსად, წარსულის გახსენების, წარსულის აღდგენის ვნება წვავს, – ოღონდ გზები და ხერხებია განსხვავებული. იურსენარის მახსოვრობა არაპირადია, ისტორიულია, კიდევ მეტი,

დაუსწრებლისა და შესაძლოს აღდგენას ისახავს მიზნად. ასეა მწერლის შედევრში, მის ყველაზე გახმაურებულ რომანში – "ადრიანეს მოგონებები", რომელიც მეორე საუკუნის რომაელი იმპერატორის ფიქტიურ მოგონებებს მოიცავს, ანდა "შავ საქმეში", რომელშიც გაცოცხლებულია მეთექვსმეტე საუკუნის ევროპელი ალქიმისტისა და ექიმის ცხოვრება; მომხდარის ამოხსნა და დაფარულის ამოცნობა წარმართავს იურსენარის შედარებით ადრეულ რომანს "მოწყალების ტყვიას", სადაც მოქმედება რუსეთის სამოქალაქო ომის ველზე, ან უფრო სწორად, ადამიანურ ვნებათა ველზე ვითარდება; საკუთარი წარსულის სიმძაფრე ტრაგიკულ განზომილებას ანიჭებს ახალგაზრდა კაცის ცხოვრებას ვრცელ მოთხრობაში "ანა, სორორ", სადაც და-ძმის ტრფობის მითოლოგიური მოტივი ევროპულ შუა საუკუნეებში გათამაშდება; ცოლის მიტოვების ახსნას და სხვაგვარ ხორციელ სიამოვნებათა მიმართ სწრაფვას გარდასულ დღეებში ჩაღრმავებით, მათი მნიშვნელობის ჩაწვდომით ცდილობს მეუღლისადმი მიწერილ საბოლოო წერილში კიდევ ერთი ახალგაზრდა მამაკაცი მწერლის პირველ გამოქვეყნებულ რომანში "ალექსისი, ანუ მსჯელობა ამაო ბრძოლის შესახებ"; დაბოლოს, იურსენარის უკანასკნელი, დაუმთავრებელი ქმნილებაც, – მოგონებათა სამტომიანი წიგნი "სამყაროს ლაბირინთი", – გარდასულ სამყაროში შეღწევის დიდოსტატური და გონებისა თუ გრძნობის დამატყვევებელი ცდაა: რამდენიმე ასეულ ფურცელზე, სადაც მოქმედ გმირებად მწერლის ოჯახის წევრები, – მისი საკმაოდ შორეული, ნაკლებად შორეული თუ ახლო წინაპრები, – გვევლინებიან, მკითხველს სიმშვენიერის განცდის ამოუწურავი განცხრომა ელის.

ერთგულება ხსოვნის მიმართ მარგერიტ იურსენარის წიგნებში ზნეობრივი მოვალეობის აღსრულებად იქცევა.

2000

22

სიმონ ვეილის შეწყვეტილი გზა

სიმონ ვეილი
Simone Weil
(Simone Adolphine Weil)
1909-1943

გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი ქალი სიმონ ვეილი, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოაზროვნე იყო. თუმცა რელიგიურ ჭეშმარიტებებამდე, ქრისტიანულ ღირებულებებამდე მისი მტკივნეული გზა, ისევე როგორც მისი მიწიერი ცხოვრების გზა, ხანმოკლე და შეწყვეტილი აღმოჩნდა.

სიმონ ვეილი 1909 წლის 3 სექტემბერს პარიზელი ებრაელი ექიმის ოჯახში დაიბადა და მთელი ბავშვობა შემდგომში გენიალურ მათემატიკოსად აღიარებული უფროსი ძმის გვერდით გაატარა. ოჯახური ტრადიციების კვალობაზე, არც იგი ყოფილა გულგრილი მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მიმართ, მაგრამ საუნივერსიტეტო განათლებად ვეილმა ფილოსოფია აირჩია და, დეკარტის შესახებ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ, სწავლა დოქტორის ხარისხით დაამთავრა. თუმცა, განსაკუთრებულ წარმატებათა და მხარდაჭერის მიუხედავად, მან მაშინვე უარი თქვა აკადემიურ საქმიანობაზე და მარქსის, ლენინისა და ტროცკის წიგნების კითხვა იმით დაგვირგვინდა, რომ ვეილმა მუშათა მოძრაობაში ჩართვა გადაწყვიტა. კაბინეტურ სოციალისტ-კომუნისტთაგან განსხვავებით, ეს იმაში გამოიხატა, რომ ფილოსოფიის დოქტორმა ქარხანაში დაიწყო მუშაობა, – რათა საკუთარ თავზე გამოეცადა ის, რასაც იმხანად იგი "ფიზიკური შრომის ბედნიერებას" უწოდებდა.

ამ დროს ბოლშევიზმის ერთ-ერთი მესაძირკვლე, ლევ ტროცკი, თავისდა უნებურად, ევროპაში აღმოჩნდა და სი-

მონ ვეილსაც მალე მასთან მოსაუბრეს ვხედავთ. თუმცა ეს შეხვედრები მხოლოდ იმით დამთავრდა, რომ ახალგაზრდა ფილოსოფოსმა ქალმა (რომელიც, სხვა ფრანგ ინტელექტუალთაგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა საბჭოთა კომუნიზმის თაყვანისმცემელი), სულ მალე, საერთოდ, უარი თქვა მემარცხენურ-სოციალისტურ ილუზიებზე. მის ამ "მოქცევაში", ისევე როგორც, მაგალითად, ორუელისა და კესტლერის შემთხვევაში, კიდევ ერთი გადამწყვეტი ბიძგი აღმოჩნდა ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობა და საკუთარი თვალით ნახვა იმისა, თუ რას ნიშნავს და რას განასახიერებს მაუზერიანი კომუნისტი.

1937 წელს სიმონ ვეილი, იტალიაში ყოფნისას, პირველად დაიჩოქებს ღმრთისმშობლის ქანდაკების წინ სანტა მარიას სამლოცველოში, სადაც ოდესღაც წმიდა ფრანჩესკო ასიზელი ლოცულობდა. იწყება მისი დაძაბული, დაუმთავრებელი გზა რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღისაკენ. იგი სიხარულსა და ჭეშმარიტებას სახარებაში, წმიდათა ცხოვრებასა და მათს ნაწერებში პოულობს. ვეილი ამბობს, რომ იგი კათოლიკეა "უფლებით და არა ფაქტობრივ". მისი აზროვნება, მისი ცხოვრება მაცხოვართან მისტიკური ერთობის ძიების გზაზე წყდება...

ჭლექით დაავადებული, ოცდათოთხმეტი წლის სიმონ ვეილი 1943 წლის 24 აგვისტოს ინგლისში მოუნათლავი გარდაიცვალა. რამდენიმე წელიწადში მისი მეგობრები აქვეყნებენ ვეილის მრავალრიცხოვან დაუბეჭდავ ნაწერებს, რომლებიც უმალ იქნება მიჩნეული მეოცე საუკუნის რელიგიური შთაგონების, რელიგიური აზროვნების ერთ-ერთ უმაღლეს გამოვლინებად.

"არ არსებობს ქრისტიანული თვალსაზრისი და სხვაგვარი თვალსაზრისი, – არსებობს ჭეშმარიტება და ცდომილება. არა ის, რაც ქრისტიანულია, არის ჭეშმარიტი, არამედ ის, რაც ჭეშმარიტია, არის ქრისტიანული", – წერია სიმონ ვეილის სიკვდილის შემდეგ დაბეჭდილი ჩანაწერების ერთ-ერთ გვერდზე.

1999

23

ეჟენ იონესკოს აბსურდული სამყარო

ეჟენ იონესკო
Eugène Ionesco
(Eugen Ionescu)
1909-1994

ეჟენ იონესკო ფრანგი დედისა და რუმინელი მამის შვილი იყო, რომელიც, მართალია, 1912 წლის 13 ნოემბერს რუმინეთში დაიბადა, მაგრამ, სულ მალე და სულ პატარა, იგი დედის სამშობლოში აღმოჩნდა. პირველი დედაენაც მისთვის ფრანგული იყო, – ენა, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მის შემოქმედებას მსოფლიო ასპარეზი მოუპოვა. თუმცა ცამეტი წლის ყმაწვილს ისევ რუმინეთში და რუმინულ ენასთან დაბრუნება მოუხდა, მამაპაპისეულ სახლში დაბრუნებასთან ერთად. საშუალო სკოლაცა და უნივერსიტეტიც რუმინული იყო და ჭაბუკი ისე გაიწაფა მამის ენაში, რომ მალე მწერლობასაც კი მოჰკიდა ხელი. სხვათა შორის, შემონახულია ცნობა, რომ ერთ ლიტერატურულ ანონიმურ კონკურსში, სადაც უეჭველ გამარჯვებას ელოდა იმდროინდელი რუმინული მწერლობის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე აღიარებული მეტრი მირჩა ელიადე, ჟიურიმ უპირატესობა მიანიჭა უცნობ გიმნაზიელს, ეუგენ იონესკუს (მაშინ სწორედ ამგვარად ჟღერდა აბსურდის დრამის მომავალი ფუძემდებლის, ეჟენ იონესკოს, სახელი და გვარი). თუმცა საუნივერსიტეტო სპეციალობად ჭაბუკმა მაინც ფრანგული ენა აირჩია და უკვე თვრამეტი წლისამ ფრანგულის მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი. ოცდაორი წლის ახალგაზრდა მწერალი კი ბეჭდავს თავის პირველ წიგნს რუმინულად, ესეების კრებულს – "არა".

ამ დროს, 30-იან წლებში, იგი რუმინული ფაშიზმის გარემოში იზრდება და ყალიბდება. იგი სურვილს იჩენს, გა-

იგოს, თუ რას სთავაზობს ადამიანს ეს ახალი მოძღვრება. მალე მას ფაშისტური მიმართულების ინტელექტუალთა წრეებში ხედავენ.

1936 წელს იონესკო ქორწინდება, ხოლო ორი წლის შემდეგ, მეუღლესთან ერთად იგი საფრანგეთს მიემართება, – სორბონის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. იმხანად მას, დედისეულ სამშობლოში საბოლოოდ გადმოსახლებულს, ხელი ჩაუქნევია საკუთარ სამწერლო პერსპექტივებზე და, როგორც შემდგომში არაერთგზის იხსენებდა, იგი დრამატურგად შემთხვევამ, შემთხვევითობამ აქცია. შემთხვევა კი საგულისხმო და ყურადსაღები იყო: უკვე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და საკმაო ხელმომჭირნეობის ხანაში, როცა იონესკო ერთ გამომცემლობაში კორექტორად მუშაობდა, მას ინგლისური ენის შესწავლა გადაუწყვეტია.

მაგრამ საკმარისი იყო, იგი ხელთ მოხვედრილი სახელმძღვანელოს მარტივ, სასწავლო წინადადებებს ჩაჰკვირვებოდა, საიდანაც სტერეოტიპული, გაქვავებული აზროვნების შემზარავი იერი ილანდებოდა, რომ მას უმალ მეტაფიზიკური ძრწოლა დაეუფლა. შინაგან შეძვრას კი შემოქმედებითი გამოძახილი მოჰყვა – პიესა "მელოტი მომღერალი ქალი", – აბსურდის დრამის ერთ-ერთი საფუძველმდები და სანიმუშო ქმნილება, რომელიც მთელი სიცხადით წარმოაჩენს ღმერთდაკარგულ სამყაროში ადამიანებს შორის კონტაქტის დამყარების უუნარობას, დიალოგის გაშლის შეუძლებლობას.

უჩვეულო პიესა თავდაპირველად, პირველი წარმოდგენების შემდეგ, შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში მას არაერთი თაყვანისმცემელი და დამფასებელი გამოუჩნდა, – მათ შორის, ჟან ანუი. გადის წლები და სხვადასხვა მოდური მიმართულებებით მოცულ საფრანგეთში, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ექსისტენციალიზმი და სტრუქტურალიზმი, ახალი რომანი თუ აბსურდის დრამა, იონოსკოს ყოველი ახალი პიესა აღფრთოვანებისა თუ უარყოფის, მძაფრი კამათისა თუ ჩაღრმავებული ძიებების საბაბად იქცევა, ასეა "გაკვეთილის", "სკამების" თუ "მარტორქების" გამოქვეყნებისა და დადგმის შემდეგ. მაგრამ მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვ-

ლენად აღიქმება იონესკოს არამარტო ყოველი ახალი პიესა, არამედ მისი პროზაც – მოთხრობებისა თუ ესეების კრებულები, დღიურები, რომანი "სოლიტერი".

როდესაც 1971 წელს ეჟენ იონესკომ ფრანგი მწერლისათვის უმაღლესი აღიარება – საფრანგეთის აკადემიის წევრობა მოიპოვა, ერთი კრიტიკოსი წერდა: "მისი წინამორბედებია ჩარლი ჩაპლინი, ძმები მარქსები და ბასტერ კიტონი, მაგრამ ეს მარადიული ბავშვი, ამავე დროს, პლატონისა და პლოტინეს დაკვირვებული მკითხველია".

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მემარცხენეები ეჟენ იონესკოს თავიანთ თანამოაზრედ მიიჩნევდნენ, შესაძლოა, იმიტომაც, რომ მოარული (და სრულიად არაზუსტი) სტერეოტიპის თანახმად, ერთი მხრივ, ყოველგვარ ანტიბურჟუაზიულობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ავანგარდისტულ ხელოვნებაზე შეუვალი მონოპოლიის უფლებას რატომღაც მემარცხენეობა აცხადებს. ალბათ, ამიტომაც, ბევრისათვის უცნაურად და გაუგებრად ჟღერდა მწერლის ჩანაწერებში აღმოჩენილი ფრაზა, რომ "მარტორქების" ავტორი საკუთარ თავს ყოველთვის ყოველგვარი ჯურის მემარცხენეთა დაუძინებელ მტრად მიიჩნევდა.

კითხვად რჩება – რას ასახავს იონესკოს აბსურდული სამყარო: ადამიანის ცხოვრების სრულ უაზრობასა და უპერსპექტივობას, მყარ და სანდო გზაზე სიარულის უუნარობას თუ აბსოლუტის, აბსოლუტურ ღირებულებათა გარეშე დარჩენილ გარემოში ტოტალური გამოუსავლობის აღიარებას?

1999

24

ემილ ჩორანი: უიმედობის ფრაგმენტები

ემილ ჩორანი
Emil Cioran
1911-1995

უკვე კარგა ხანია, რაც მთლიანი, ერთიანი, ამომწურავი ფილოსოფიური სისტემების შექმნა მოსაწყენი და წარუმატებელი საქმე გახდა (თუმცაღა ბევრს – რწმენითა და იმედით აღსავსეთ – მაინც არ მიუტოვებია ამ მოწოდების მსახურება!) და რაკიღა საზოგადოებრივად უფრო "წარმატებული" – მყარად და ხანგრძლივად ჩამომდგარ იდეოლოგიათა ეპოქაში – სწორედ ამ, სხვადასხვა სახის იდეოლოგიათა გაღვივება იყო, თანდათანობით, მიზანსწრაფულად და დიდი მონდომებით ჩამოყალიბდა ადამიანის შესახებ არაერთი, საკმაოდ განსხვავებული იდეოლოგიური მოძღვრებაც: მარქსისტული, ფროიდისტული, ექსისტენციალური... მაგრამ, ამასთან ერთად, ის ადგილი, რომელიც კლასიკურ, ტრადიციულ ფილოსოფიას ეკავა (ამ ტიპის ფილოსოფიამ უმთავრესად მაინც რელიგიის ფარგლებში გადაინაცვლა და ამ ფარგლებით შემოიზღუდა), სულ უფრო მეტად დაიკავა ახალი ტიპის ფილოსოფოსობამ: აფორისტულმა, ლირიკულმა, პირადულმა, ხშირად ავტობიოგრაფიულმაც კი... ამ შემთხვევაში ამგვარ ფილოსოფიურ თხზულებათა მკითხველს უწევს არა მეტაფიზიკურ მიმართებათა ჭვრეტა, არა სამყაროს მთლიანობის ჩაწვდომა, არა მკაცრი ლოგიკური ჩარჩოების განსჯა, არამედ ყურის მიგდება აზროვნების ნამტვრევებისათვის, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, მახვილგონივრული აფორიზმის, ჩანაწერის, დღიურისა თუ პროზაული ლექსის სახე აქვს. ამგვარია კირკეგორის, ნიცშეს, ვიტგენშტაინის ნაწერები... მეოცე საუკუნის მიწურულს ამ მიმართულების ყველაზე მნიშვნელოვან და

ყველაზე სახელგანთქმულ წარმომადგენლად წარმოჩნდა ემილ ჩორანი, რომლის ფილოსოფიურ ესეისტიკაში თვალშისაცემია მსჯელობის განყენებული ზოგადობა, არგუმენტების შეუვალი და კატეგორიული ტონი, ფორმის აშკარად აფორისტული წყობა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მისი ფრაგმენტული ნაწერების სტილი "შავი ჩანაწერების" იერისაა და მათ თითქოს არც შეჰხებია კალამი თავდაპირველად და ერთხელ დაწერილის დასახვეწად, ჩასასწორებლად, დასაზუსტებლად...

როცა 1995 წლის 20 ივნისს ჩორანი გარდაიცვალა, ჟურნალ-გაზეთებსა და რადიო-ტელევიზიაში გაიელვა ფრაზებმა, რომ "ჩრდილთა სამეფოში" გადაინაცვლა მეოცე საუკუნის ყველაზე დიდმა პესიმისტმა, დარჩენილთა შორის ყველაზე დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ, ფრიდრიხ ნიცშეს ყველაზე დაგვიანებულმა მოწაფემ. ძნელია ითქვას, მომავალში როგორ შეფასდება მისი ადგილი და წვლილი მსოფლიო ფილოსოფიისა თუ კულტურის ისტორიაში, მაგრამ უკვე დღესვე ცხადია, რომ იგი საყოველთაოდაა აღიარებული ფრანგული ლიტერატურის ეროვნულ კლასიკოსად, რის დადასტურებადაც თუნდაც ის გამოდგება, რომ სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე მისი მოზრდილი ტომი საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟულმა გამომცემლობამ – გალიმარის გამომცემლობამ – თავის ყველაზე საპატიო სერიაში, "პლეადის ბიბლიოთეკაში", დაბეჭდა. ეს, შესაძლოა, უკვე კარგა ხნის წინ უკამათოდ მიჩნეული ფაქტის ოდენ დადასტურება იყო, მაგრამ თავად ფაქტი მაინც უჩვეულო და ოდნავ პარადოქსულია, – და არა იმის გამო, რომ ჩორანი მხოლოდ ოცდაექვსი წლისა დასახლდა პარიზში და წარმოშობით უცხოელი, რუმინელი, იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ აღიარებასა და საზოგადოებრივ მხარდაჭერას თავად ჩორანი გაურბოდა: თავისი ცხოვრების სტილით, ლიტერატურული ორიენტაციით, ფიქრისა და აზროვნების მანერით. ჩორანი მართლაც უცხო იყო – საფრანგეთში, ფრანგულ ლიტერატურაში, ფრანგულ ენობრივ სივრცეში და, მიუხედავად იმისა, რომ იგი, ტრისტან ცარას, ეჟენ იონესკოს, მირჩა ელიადესა და პაულ ცელანის მსგავსად, საფრანგეთის დედაქალაქში რუმინეთიდან – ღარიბი, ბალკანურად

პროვინციული და დანარჩენი ევროპისაგან მოწყვეტილი ქვეყნიდან – ჩამოსულიყო, ჩორანისათვის მოწყვეტილობა და უსამშობლოობა, უნიადაგობა და მარტოობა მისი საკუთარი, საკუთრივ არჩეული პოზიცია და მდგომარეობა იყო.

ასე იყო მაშინ, 1937 წელს, როცა მან – ბუქურეშტის უნივერსიტეტის მიერ პარიზს მივლინებულმა სტაჟიორმა – თავის სამუდამო სამყოფლად საფრანგეთის დედაქალაქი აირჩია, მაგრამ მისთვის არაფერი შეცვლილა არც მაშინ, 70-იანი წლების მიწურულს, როცა ყოველი მეხუთე ფრანგი მწერალი წარმოშობით არაფრანგი იყო, ხოლო ჩორანის სახელი და დიდება განუწყვეტლივ და მყარად მკვიდრდებოდა ფრანგულ ინტელექტუალურ ცნობიერებაში. ვინც მას იცნობდა, არავის გაჰკვირვებია, რომ მან უარი თქვა ყველა პრემიასა და ჯილდოზე, რაც კი მისთვის სიცოცხლის განმავლობაში მიუნიჭებიათ.

"მე მქონდა და მაქვს ერთადერთი დევიზი: არსად გავიდგა ფესვები, არსად მივეჯაჭვო რომელიმე საზოგადოებას. როცა ჰორიზონტის ხაზს გავცქერი, ყოველთვის მაინტერესებს, თუ რა არის მის მიღმა... ჩემი კერპია უცხოტომელი", – წერდა ჩორანი თავის ერთ-ერთ ესეიში, რომელიც ავტორმა ხორხე ლუის ბორხესს მიუძღვნა.

იგი შინაურულად გრძნობდა თავს ლტოლვილობასა და წარუმატებლობაში, ისტორიულ უადგილობასა და კულტურულ უდროობაში. მას თავის თანამედროვეებად მიაჩნდა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების გერმანელი რომანტიკოსები და ფრანგი პოლიტიკური კონსერვატორები. იგი თავადაც კონსერვატორად და მემერჯვენედ მიიჩნევდა თავს, როცა რუმინული ფაშიზმის იდეებს თანაუგრძნობდა და რჩებოდა მაშინაც, როცა ირგვლივ ყველანი "ნოვატორები" და მემარცხენეები იყვნენ, – თუნდაც ეს ბარიკადული მემარცხენეობა ხან წითელი შეფერილობისა ყოფილიყო (სოციალისტურ-კომუნისტური) და ხან ხაკისფერი (ნაციონალ-სოციალისტური). ალბათ, შემთხვევითი არც ის იყო, რომ ჩორანის გაგება ყველაზე ადრე და ყველაზე უკეთ სწორედ იმათ შეძლეს, ვინც საკუთარ ტყავზე გამოსცადა "საყოველთაო ბედნიერების საზოგადოების" ყველა სიამე – პოლონელმა

ჩესლავ მილოშმა, ჩეხმა მილან კუნდერამ, რუსმა იოსიფ ბროდსკიმ...

მაგრამ ჩორანისათვის, თავის მოძღვართა და მასწავლებელთა მსგავსად, საეჭვო იყო ყოველგვარი მყარი ღირებულებანი და იგი მთელი სიცოცხლე ცდილობდა, არასგზით არ დაჰმორჩილებოდა იმას, რაც მას უსაფუძვლო ილუზიებად მიაჩნდა. ერთხელ მან, თავის პარადოქსულ სტილში, განაცხადა, რომ "ბახის გარეშე, ღმერთი სრულიად მეორეხარისხოვან ფიგურად დარჩებოდა"...

ისევე, როგორც დე მესტრი და კონსტანტინ ლეონტიევი, ჰაიდეგერი და ერნსტ იუნგერი, ჩორანიც უნდობლად უყურებდა როგორც დემოკრატიას, ისე თანაბარ უფლებებსა და თანაბარ განაწილებაზე დამყარებულ საზოგადოებას. ლიბერალური ჰუმანიზმი, მისი აზრით, უბრალოდ არც დროსა და არც ყურადღებას არ იმსახურებს, ხოლო იმედები, რომ რადიკალურ რევოლუციებს რამე დადებითი შედეგის მოტანა ძალუძს, მას იმ საყმაწვილო ავადმყოფობად მიაჩნდა, რომლისაგან განკურნება ასაკთან ერთად მოდის. ერთგან, რუსეთზე მსჯელობისას, იგი წერს, რომ "სამყაროს გადარჩენის სურვილი ახალგაზრდა ერების ასაკობრივი სენია". ჩორანს მიაჩნდა, რომ ყველაზე მეტი, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, ესაა გარკვეულ სიტუაციათა ნაკრები, ცხოვრების სტილი, გარემო, სადაც იმგვარი აზროვნებაა შესაძლებელი, რომელიც ყოველ წამს მზადაა რისკისათვის და რომელიც თავისუფალია ყოველგვარ სიმძიმეთაგან. თავის ნარკვევში "ბედისწერის მოკლე თეორია" იგი ასე ახასიათებს მისთვის აგრე ახლობელ ესპანელებს: "ისინი სიმკაცრის ერთგვარი მუსიკითა და არასერიოზულის ტრაგიკულობით ცხოვრობენ, და ეს მათ იცავს ვულგარულობისაგან, ბედნიერებისაგან, წარმატებისაგან."

მაგრამ თავად არ მიიჩნევდა, რომ მწერლის ცხოვრებას რამე საერთო აქვს ამგვარ სულიერ სრულყოფილებასთან. თავის წიგნში "განდევნილობის უპირატესობა" იგი წერს, რომ ამქვეყნად ყველა იტანჯება, მაგრამ როცა საკუთარი ტანჯვა ფურცლებზეა გადატანილი, ხელთ გვრჩება ოდენ შინაგანი არეულობის, გროშისფასიან ძრწოლათა და ძველმოდურ აღტაცებათა ტირაჟირება. 50-იანი

წლების დასაწყისში ჩორანმა ერთი უცნაური წერილი გამოაქვეყნა კოლეგა მწერლის მიმართ, რომელშიაც გაკვირვება და აღშფოთება ვერ დამალა იმის გამო, რომ მისი მეგობარი იმგვარ ურჩხულად იქცა, როგორიცაა ავტორი და ამით უღალატა განდგომილობას, აღმატებულობასა და მდუმარებას. როცა ჩორანი ამ სტრიქონებს წერდა, იგი არაერთი ნაბეჭდი გვერდის ავტორი იყო, მაგრამ მისი ეს სიტყვები არც პოზა იყო და არც ორმაგი საზომით თავის გამოჩენა, – პირიქით, მას სწადდა, სწორი და უცდომელი სიტყვები ეპოვა იმ პარადოქსული გამოცდილების გასაზიარებლად, რომელშიაც აღმოჩნდა თავისუფალი სულის ყველა ის პატრონი, ვისაც, ამავე დროს, ლიტერატურის სამსახურის ფიცი დაუდია. ასე რომ, ერთი საქმეა, როცა თვითონ მიდიხარ მსხვერპლზე და მოწამეობასა და რისკს ირჩევ, მაგრამ სხვა საქმეა მეგობარი, რომელსაც ასეთ რასმე ვერ ურჩევ და ის სჯობს, ამგვარი არჩევანისაგან გადაარწმუნო. მწერლობა ხომ ამ შემთხვევაში გონებას მიმართავს დასახმარებლად, და თან მწერალი ამას საჯაროდ, მოურიდებლად, დაუფარავად აკეთებს. ეს კი სამარცხვინო, საეჭვო და თან უწესო საქციელია, – ყველა განზომილებაში: პირადულშიც, საზოგადოებრივშიც.

ყველა ღირებულებათა მიმართ ეჭვით განმსჭვალულ ჩორანს თავისი ირონიული და სკეპტიკური მზერის მიღმა არ დარჩენია არც გონება, არც საღი აზრი, არც ინტელექტუალური განსჯის უნარი. მათზე თავდასხმისასაც იგი თავის წინამორბედებსა და მასწავლებლებს ჰბაძავდა, იმეორებდა, მიჰყვებოდა, – სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დროის ინტელექტუალებსა და მელანქოლიკოსებს. იგი აცხადებდა, რომ თავისუფალი აზრი სრულიად ანტისოციალური მოვლენაა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. მისი ახლობლობა რუმინულ თუ იტალიურ ფაშიზმთან სრულიადაც არ იყო შემთხვევითი...

ერთადერთი რამ ამქვეყნად, რაც ჩორანის უეჭველ აღტაცებას იწვევდა, იყო ყოველივე უჩვეულო, თავისებური, ზღვრამდე მისული. იგი ამბობდა, რომ ცხოვრებისეულ ძალებს იგი შეშლილობის საკუჭნაოში პოულობდა. მას, პესიმისტსა და ურწმუნოს, ხიბლავდა ბერ-მონაზონთა და

მისტიკოსების ასკეტიზმი და ექსტაზი. თავის ნარკვევში დასავლელი მისტიკოსთა შესახებ იგი წერდა: "ადამიანს ძალუძს, გადაეშვას არაფრით შეზღუდული შეშლილობის ჩანჩქერში. შეუცნობელის სფეროში მან, შესაძლოა, ისე შორსაც კი შეაბიჯოს, როგორც ამას წმიდანები ახერხებენ. არაა აუცილებელი მათი საშუალებებით ვისარგებლოთ, – უბრალოდ, გონება უნდა ვაიძულოთ, რაც შეიძლება დიდხანს დუმდეს".

ემილ ჩორანს ყოველთვის ზიზღს ჰგვრიდა ინტელექტის პრიმატი და გონების ჰიპერტროფია, მაგრამ მის აღტაცებას იწვევდა "სულის ყვავილობა, როცა ინტენსიური სულიერი ცხოვრების წინაშე დუმდება სხეული, გრძნობა და მოქმედების სურვილი". ოღონდ საკითხავი ისაა, რას უწოდებდა ჩორანი "სულს", რას მიიჩნევდა იგი – ყოველივე მეტაფიზიკურის მიმართ ეჭვით განმსჭვალული ფილოსოფოსი – "სულად"...

თავისი მარადიული მოძღვრის, ფრიდრიხ ნიცშეს, მსგავსად, ჩორანიც ურწმუნოებისა და უიმედობის ჯვარზე იყო გაკრული. მას მიაჩნდა, რომ თუკი საკუთარ შინაგან ცხოვრებას ღმერთს არ დავუკავშირებთ, მაშინ იმგვარსავე ექსტაზს მივაღწევთ, როგორსაც მისტიკოსები აღწევდნენ; მას იმედი ჰქონდა, რომ ამ შემთხვევაში, ყოველგვარი იმქვეყნიურის გარეშე, მიწიერი სამყაროს დამორჩილებას შევძლებთ.

თუმცა მას არასოდეს არაფრის იმედი არ ჰქონდა, მან იმქვეყნადაც სევდიანი და მოჭუტული თვალებით გადაბიჯა.

1996

25

ალბერ კამიუ: ურწმუნო მორალის ძიება

ალბერ კამიუ
Albert Camus
1913-1960

ალბერ კამიუს ბავშვობა სიღატაკით იყო დაღდასმული, მაგრამ ეს ხანა მის ცხოვრებაში ბედკრული ნამდვილად არ ყოფილა: მშობლიური ალჟირის მზე და ზღვა ამოუწურავ სიხარულსა და განცხრომას ანიჭებდა ყმაწვილს, რომელსაც მამა მაშინ დაეღუპა, როცა ერთი წლისა იყო და რომელსაც უწიგნური, განუწყვეტლად მშრომელი დედა დიდი მზრუნველობით ზრდიდა. ჭაბუკ ალბერს ეიმედებოდა, რომ სპორტსმენი გახდებოდა, მაგრამ მის ამ ოცნებას წერტილი დაუსვა ადრეულ ასაკშივე გამომჟღავნებულმა სახიფათო ავადმყოფობამ – ჭლექმა. თუმცა განუწყვეტლივ სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე ყოფნამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას: შემდგომში ფართოდ გახმაურებული კამიუსეული მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს ადამიანის განუწყვეტელი ბრძოლა სიკვდილთან, იმის ცოდნის მიუხედავად, რომ მას უეჭველად ელის სიკვდილი. ამ განუწყვეტელი, დაუღლელი ბრძოლის სიმბოლოდ მწერალმა და ფილოსოფოსმა სიზიფეს შრომა აირჩია, – ბრძოლისა, რომელსაც შედეგი არასოდეს მოჰყვება და რომლის ნაყოფი არასოდეს მოიწევა. შემთხვევითი არაა, რომ ალბერ კამიუ მიჩნეულია აბსურდის ფილოსოფიის ყველაზე ცნობილ, ყველაზე ანგარიშგასაწევ, ყველაზე სერიოზულ წარმომადგენლად.

ალჟირის უნივერსიტეტში სწავლისას კამიუ უღრმავდება ანტიკურ და ქრისტიანულ ფილოსოფიას, სწავლობს პლოტინეს მოძღვრებას და წერს ნაშრომს დასავლეთ-ქრისტიანული აზროვნების ერთ-ერთი ბუმბერაზის, წმიდა

ავგუსტინეს შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, იმავე მიწაზე მოღვაწეობდა, სადაც კამიუმ აიდგა ფეხი. იმავე ხანებში დამწყები მწერლის, დრამატურგისა და ჟურნალისტის შეხედულებებზე დიდ გავლენას ახდენს იმდროინდელი ფრანგი ახალგაზრდობის კერპი – ანდრე ჟიდი. ვისაც თუნდაც ჟიდის "იმორალისტი" წაუკითხავს, რომლის მოქმედება ფრანგულ მაღრიბშიც მიმდინარეობს, ადვილად შენიშნავს უფროსი მწერლის განმაპირობებელ გავლენას ახალგაზრდა კამიუს ნაწერებზე. ამავე ხანებში, თუმცა ხანმოკლე დროით, ალბერ კამიუ ალჟირის კომუნისტური პარტიის წევრი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში მწერალი, თავის უამრავ კოლეგათაგან განსხვავებით, დაუფარავად ცდილობდა, არაფერი ჰქონოდა საერთო თანამემამულე თუ საზღვარგარეთელ კომუნისტებთან, დემონსტრაციულად გამიჯნოდა საბჭოთა თუ ჩინურ კომუნიზმს, უპირობოდ დაეგმო გულაგის სისტემა და მხარი დაეჭირა საბჭოთა სახელმწიფოსაგან უსინდისოდ დევნილი ბორის პასტერნაკისათვის, სიცოცხლის ბოლომდე ალბერ კამიუ მაინც მარცხენა თვალით უქცეროდა სამყაროსა და ადამიანს. მაგრამ თავად მისი მემარცხენეობა საკმაოდ უჩვეულო იყო: შემთხვევითი არ იყო მისი პრინციპული დაშორება თავის ოდინდელ მეგობართან და თანამოაზრესთან, მსოფლიოს ინტელექტუალთა შორის ყველაზე სახელგანთქმულ მემარცხენესთან, ჟან-პოლ სარტრთან; შემთხვევითი არ იყო, იმავე სარტრისაგან განსხვავებით, სტალინიზმისა თუ მაოიზმის მიუღებლობა; შემთხვევითი არ იყო კომუნისტური მითოსისადმი მისი სრული უნდობლობა. ალჟირის ომის მსვლელობისას მისმა მართალმა და ცალსახა პოზიციამ კი თავზარი დასცა ეგრეთ წოდებულ ლიბერალურ საზოგადოებას: კამიუმ, წარმოშობით ალჟირელმა ფრანგმა, არ დაუჭირა მხარი ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას ან იქიდან ფრანგულენოვანი მოსახლეობის აყრასა და საფრანგეთში მტკივნეულ, ტრაგიკულ გადმოსახლებას.

მაგრამ მთავარი, ალბათ, ისაა, რომ მწერლის საუკეთესო და ყველაზე ჰუმანურ ნაწარმოებში "შავი ჭირი" მემარცხენე და ურწმუნო ავტორი უღმრთო, ღმრთისმიღმა კაცთმოყვარეობის წარმოჩენას და მისი შესაძლებლობის

დასაბუთებას ცდილობს. ძნელი დასაჯერებელია, თუმცა არა უცნაური, რომ რომანის მთავარი მოქმედი გმირის – ჰუმანისტი ექიმი რიეს უკანმოუხედავი თავგანწირვა, უხმაურო მსხვერპლი, ადამიანების მიმართ მისი უანგარო და უსაზღვრო სიკეთე უეჭველად ქრისტიანული მორალითაა ნასაზრდოები. უღმრთო მორალის პოვნა და ჩვენება, როგორც მოსალოდნელი იყო, მწერალმა, დაჟინებული მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო: ექიმის არჩევანი და საქციელი ჩვეულებრივი ქრისტიანული კაცთმოყვარეობითაა აღსავსე, რომლის მაგალითს არაერთს მოითვლის ქრისტიანული ისტორია, მაგრამ რატომღაც (ავტორის სურვილით, ავტორის მსოფლმხედველობრივი პოზიციის გამო) იგი უარს ამბობს აღიაროს სამყაროში განფენილი უმაღლესი მორალური პრინციპი, ანუ ღმერთი. უღმრთო მორალს კი დასაყრდენი არ გააჩნია, აბსურდის ფილოსოფიით და სიზიფეს მოთმინებით ადამიანის ქცევის ზნეობრივი საფუძვლები არ ჩამოყალიბდება.

ამ საფუძვლების ძიებამ და კამიუს, მწერლისა და მოაზროვნის, მძაფრმა მსოფლმხედველობრივმა კრიზისმა განაპირობა, რომ სიცოცხლის მიწურულს ალბერ კამიუმ შეწყვიტა თავისი ნაწერების ბეჭდვა. ბევრი გესლიანი კრიტიკოსი მაშინ ამბობდა, რომ მწერალს სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. მწერლის სიკვდილის შემდეგ კი აღმოჩნდა მისი დაუმთავრებელი რომანები, მოთხრობები, ჩანაწერები, დღიურები. მწერლის ოჯახის მოთხოვნით, ისინი დიდი დაგვიანებით და დიდი ინტერვალებით ქვეყნდებოდა.

მაგრამ ეს უკვე მას შემდეგ მოხდა, რაც 1960 წლის 4 იანვრის საღამოს პროვანსიდან პარიზისაკენ გზაზე ავტოკატასტროფაში დაიღუპა ორმოცდაექვსი წლის ფრანგი მწერალი ალბერ კამიუ.

2000

26

მარგერიტ დურასი:
ცხოვრება და მწერლობა შეულამაზებლად

მარგერიტ დურასი
Marguerite Duras
(Marguerite Germaine Marie Donnadieu)
1914-1996

მარგერიტ დურასი 1914 წლის აპრილში დაიბადა საიგონის მახლობლად, რომელიც მაშინ ფრანგულ ინდოჩინეთს ეკუთვნოდა. დღეს ქალაქს ხო შიმინი ჰქვია, ქვეყანას კი – ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა. მაგრამ ეს ფაქტები უკვე აღარ არეკლილა დურასის ბიოგრაფიაზე, რომელიც თვრამეტი წლის ასაკიდან პარიზში ცხოვრობდა. მისი მამა მათემატიკის პროფესორი იყო, დედა კი – მასწავლებელი. სკოლის დამთავრების შემდეგ მარგერიტ დურასმა მამის პროფესიას ჰუმანიტარული სფეროები ამჯობინა და უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა: ერთი იყო იურიდიული, მეორე კი – საზოგადოებრივი მეცნიერებანი.

პარიზში ჩასვლისთანავე იგი ბინას ქირაობს სენ-ბენუას ქუჩაზე, არცთუ ისე შორს სენ-ჟერმენ დე პრედან და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობს. მეორე მსოფლიო ომამდე ცოტა ხნით ადრე იგი რობერ ანტელმის მეუღლე ხდება, რომელიც მალე წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაება, რის გამოც რობერს დააპატიმრებენ და მთელი ოკუპაციის ხანას ციხეში გაატარებს. ქმრის დაბრუნების მოლოდინი დურასის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანის "ტკივილის" ძირითადი თემაა. მაგრამ სწორედ ამ დროს იწყება მწერლის ყველაზე მძაფრი გატაცება – 1942 წელს დურასი ხვდება დენის მასოლს, მისი სამი შვილის მამას, რომელთაგან მხოლოდ ერთმა გადააბიჯა სიყმაწვილეს.

დურასის სახლში თუ სალონში მოხვედრა პრესტიჟული იყო საფრანგეთის ლიტერატურული თუ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთათვის. აქ, შესაძლოა, ერთმანეთს შეხვედროდნენ სიურეალიზმის მამამთავარი ანდრე ბრეტონი და ახალგაზრდა პოლიტიკოსი ფრანსუა მიტერანი. მარგერიტ დურასი არასოდეს განდგომია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მან, იმავე ბრეტონთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ალჟირის ომის საწინააღმდეგო კომიტეტს და სიურეალისტურ რევიუს "14 Juillet", ჟურნალს, რომელიც მკვეთრად უპირისპირდებოდა გენერალ დე გოლის პოლიტიკურ კურსს.

მაგრამ დურასის სახელი, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურული სახელი იყო. მას პირველი აღიარება მოუტანა 1950 წელს დაბეჭდილმა რომანმა "კაშხალი წყნარი ოკეანისათვის", რომელსაც საფუძვლად უდევს მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის დროინდელი მოგონებანი. ლიტერატურული კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა მის შემდეგ რომანსაც, რომელიც სამი წლის შემდეგ დაიბეჭდა – "ტარკვინიელი ცხენები". მაგრამ დურასის შემოქმედების ყველაზე წარმატებულ წლებად მაინც მიჩნეულია 60-იანი წლები, როცა დიდება ეწვია არა მარტო მას, არამედ მთელს იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელსაც "ახალი რომანი" ეწოდა და რომელსაც, დურასის გარდა, ეკუთვნოდნენ კლოდ სიმონი, კლოდ მორიაკი, ალენ რობგრიე თუ ნატალი საროტი. დურასის "Moderato cantabile" არა ოდენ ავტორის შემოქმედების საუკეთესო ქმნილებადაა აღიარებული, არამედ, ამასთანავე, მიჩნეულია "ახალი რომანის" ტიპურ ნიმუშად. მსოფლიოს არაერთ ენაზე ითარგმნა 60-იანი წლების მისი რომანები "ახლა ზაფხულია, ღამის თერთმეტის ნახევარი" და "ვიცეკონსული". 60-იან წლებშივე იწყება დურასის ინტენსიური თანამშრომლობა კინოსთან. "ახალი რომანის" წარმომადგენლები არა მარტო შემოქმედებითი პრინციპებით ენათესავებოდნენ კინოს პოეტიკას, არა მარტო კინოენის გამოყენებას ცდილობდნენ თავიანთ შემოქმედებაში, არამედ თავადაც დაუცხრომლად მონაწილეობდნენ კინოპროცესში: იღებდნენ ფილმებს, თამაშობდნენ პროფესიონალი მსახიობების გვერდით, წერდნენ სცენარებს, რეცენზიებს, თეორიულ

ნარკვევებს. ის, რაც ამ წლებში შექმნეს დურასმა, კოკტომ, გიტრიმ და პანიოლმა, – ანუ, როგორც მათ უწოდეს, "ოთხთა ბანდამ", – ფრანგული კინოს მწვერვალებს განეკუთვნება. ჟან კოკტო მალე გარდაიცვალა, საშა გიტრი დღეს პიტერ გრინეუეისთან ერთად ქმნის ფერწერულად სრულყოფილ ფილმებს, რომლებიც ტოლს არ უდებს მსოფლიო გალერეების ცნობილ ექსპონატებს, მარგერიტ დურასი შემდგომში, ძირითადად, ისევ ლიტერატურას დაუბრუნდა, მაგრამ დარჩა ფილმები – "განგელი ქალი", "ინდური სიმღერა", "მისი ვენეციური სახელი კალკუტის უდაბნოში" და, რაც მთავარია, ალენ რენეს "ხიროსიმა, ჩემი სიყვარული", რომლის სცენარი დურასს ეკუთვნის. ვისაც ეს ფილმი ერთხელ მაინც უნახავს, არასოდეს დაავიწყდება იდუმალებისა და დამუხტულობის, განწირულობისა და მოლოდინის, მშვენიერებისა და აღმაფრენის ის შეგრძნება, რაც ამ ფილმის ცქერისას განუცდია. მარგერიტ დურასს მიაჩნდა, რომ ცხოვრების გადადება არ შეიძლება, რომ ცხოვრება უკიდურესად მომთხოვნია, – და თავისი საკუთარი ცხოვრებაც იმის სრული შეგნებით გაიარა, რომ ყოველი წამი გადამწყვეტია, ყოველ წამს გადაწყდება ყველაფერი. მისთვის სიტყვა შუამავალი იყო ყვირილსა და მდუმარებას შორის, მისი ენა ოდენ მის აზრებს კი არ გამოხატავს, არამედ, პირველ ყოვლისა, ასახავს მის ყოფნას წამის დაძაბულობასა და სისავსეში, ასახავს მისი სხეულის მდგომარეობას, სადაც, მისი სიტყვებით, "ყველაფერი არის ყველაფერში".

მარგერიტ დურასის სტილი, რასაც ფრანგმა კრიტიკოსებმა და ლიტერატურისმცოდნეებმა "დურასისებული წერა" უწოდეს, გაუჩვეველი მკითხველისათვის წასაკითხად და აღსაქმელად ადვილი არაა, მისი შემოქმედების ანალიზსაც მრავალი ნაშრომი, დისერტაცია თუ გამოკვლევა მიეძღვნა, რომლებიც კიდევ უფრო რთულია ჩასაწვდომად, ვიდრე თავად მწერალი ქალის შემოქმედება. თავის წიგნში "შეგრძნებადი ცხოვრება", რომელიც მწერლის რადიოინტერვიუების ლიტერატურულ გადამუშავებას წარმოადგენს და რომელიც რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა, დურასმა დაიჩივლა: "ის, რაც ჩემს შესახებ თქმულა, ბევრად უფრო რთულადაა დაწერილი, ვიდ-

რე მე დამიწერია. ძალზე მოხარული ვიქნებოდი, რომ ერთხელ ჩემს შესახებაც იმგვარადვე დაეწერათ, როგორც მე თვითონ ვწერ".

მან ერთხელ ასე უპასუხა კითხვას, თუ სინამდვილეში რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ "დურასი": "ეს ნიშნავს დავტოვოთ სიტყვა იმგვარადვე, როგორც არის და რაც შეიძლება სწრაფად ჩავწეროთ, რათა დარჩეს იმად, რაც არის. მე ვცდილობ წინადადების ბუნებრივი წყობა არ დავარღვიო. ეს, ალბათ, ყველაზე რთულია – მისცე წიგნს სუნთქვის საშუალება. ტექსტი შინაგანი ცხოვრების გაგრძელებაა. ჩემთვის ყოველთვის ძნელია ვთქვა, რომ წიგნი უკვე დაწერილია. ეს იმასა ჰგავს, რომ ვინმე მიატოვოთ. როცა ჩემი უკანასკნელი რომანის ბოლო გვერდებს ვწერდი, ტირილს ვერ ვიკავებდი: ასე ადვილად ვერ შევძელი ჩემი პერსონაჟების მიტოვება".

მწერალს მას შემდეგაც არ დაუკარგავს სტილური ძიებებისა და მკითხველის გაკვირვების ხალისი, როცა ასაკისა და დიდების ტვირთი იგრძნო. 1984 წელს იბეჭდება მისი რომანი "საყვარელი", რომლისთვისაც მას გონკურების პრემია მიენიჭა. მხოლოდ საფრანგეთში წიგნის რამდენიმე მილიონი ცალი გაიყიდა. რომანი ავტობიოგრაფიულია და წარმოადგენს, ასე ვთქვათ, სკანდალურ აღსარებას, შეუფარავ თხრობას საკუთარი თავისა და საკუთარი ცხოვრების შესახებ. "პირველი შემთხვევაა, როცა სრულიად არაფერი არ შემითხზავს და ამაში ვხედავ წერის ახალი ფორმის წარმატებას, – ამბობდა მაშინ მწერალი, – ყოველთვის ვოცნებობდი, იმისათვის მიმეღწია, რასაც «უწყვეტი წერა» ჰქვია, სადაც უმთავრეს როლს თამაშობს უშუალო ჯაჭვი ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის".

1990 წელს, როცა ტოქსიკურად სრულიად მოწამლული მწერალი ცხრა თვის განმავლობაში საავადმყოფოში იმყოფებოდა, – ამათგან ხუთი თვე უგონო მდგომარეობაში, – გამოდის დურასის ახალი რომანი "ზაფხულის წვიმა".

შემდგომში იგი ძირითადად საზღვაო კუროორტ ტრუვილში, შავ კლდეზე წამომართულ ძველ სასახლეში ცხოვრობს, აგროვებს ზღვის მიერ გამორიყულ ხის ნამტვრევებს და მათგან სამახსოვრო ნივთებს აკეთებს. თავის უკანასკნელ ინტერვიუში მწერალმა თქვა: "ტრუვილი ჩემი

სახლია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აქ ყველაფერი მე მეკუთვნის. აი, ის სახლიც გვერდით. ზღვაც. სანაპიროც. სიკვდილისა არ მეშინია, მეშინია იმ მდგომარეობისა, როცა აღარ შემეძლება წერა. წიგნს წამიერი სასწაულის ძალა აქვს: რაც დაწერილია, ის უკვე განცდილია. მაგრამ დაწერილი, გამზადებული გვერდი ეს სევდაა. ამიტომ ყველა წიგნი ცოტათი მკვლელობაა, ავტორის ხელით ჩადენილი თვითმკვლელობა".

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე გამოდის დურასის უკანასკნელი, 55 გვერდიანი წიგნი "ეს უკვე დასასრულია". ძნელია ითქვას, რა არის ის: ლექსი, დიალოგი თუ წერილი? სიტყვები, რომლებიც დროის მოპოვების საშუალებას იძლევა? სიტყვები, რომელთაც სიკვდილს მიახლოვებული, მაგრამ მაინც სიყვარულით ანთებული ქალი წარმოთქვამს? ოთხმოცდაერთი წლის მარგერიტ დურასი წერს თავის მეგობარსა და ჭაბუკ სატრფოს – ანდრე შტაინერს, წერს ყველგან, სადაც ფიქრს წაუსწრებს – ფურცლის ნაგლეჯებზე, სავიზიტო ბარათებზე, წერილების კონვერტებზე. ფრაგმენტები დათარიღებულია – აღნიშნულია დღე, საათი, ადგილი. მაგრამ ეს არის ერთიანი წერილი საყვარელი და ფიქრისაგან განუშორებელი ადამიანის მიმართ: "...იმედია, ეს უკვე დამთავრდება. ჩემი სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება. უკვე აღარაფერი ვარ. გავხდი საზიზღარი. უკვე ვიხრწნები. მოდი ჩქარა. უკვე აღარა მაქვს აღარც ტუჩები, აღარც სახე". დურასის უკანასკნელი წიგნი აღსავსეა მარტივი წინადადებებით, შემზარავი წინადადებებით... ესაა ძახილი, გოდება, ძრწოლა საბოლოო მარტოობის წინაშე: "ვგრძნობ, რომ განწირული ვარ. სიკვდილი გარდაუვალია და ეს საშინელებაა. აღარავითარი სურვილი აღარ მაქვს, რამე დავიწყო. უკვე ისიც მთავრდება, რაც ჯერ კიდევ დარჩა. თქვენც. მარტო ვარ".

1996 წლის 3 მარტს, კვირადილით, მარგერიტ დურასი გარდაიცვალა.

1996

27

რომენ გარი:
რომანის მსგავსი ცხოვრება

რომენ გარი
Romain Gary
(Roman Kacew)
1914-1980

უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ფრანგული და ევროპული პრესა საფრანგეთის აკადემიის წევრის, რომენ გარის, თვითმკვლელობის დეტალებს აუწყებდა მკითხველებს. იმ დროიდან მის შესახებ კიდევ მრავალი რამ დაიწერა, სადაც სიმართლე და სიცრუე ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. თუმცა ეს მოულოდნელი და გასაკვირი არაა, რადგან მწერალი მთელი ცხოვრების განმავლობაში ისე დაჟინებითა და დაუღლელად თხზავდა არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებს, არამედ საკუთარ ბიოგრაფიასაც, რომ დღეს ძნელია გაიმიჯნოს, რა განეკუთვნება რეალურ ცხოვრებას და რა – ხელოვნებას, ან, უბრალოდ, თამაშს.

რომენ გარის დაბადების თარიღი ასე თუ ისე ცნობილია: 1914 წლის 8 აპრილი, თუმცა საკითხი უფრო რთულდება, როცა საქმე მისი დაბადების ადგილზე მიდგება – თავად მწერალი ყოველთვის ვილნიუსს ასახელებდა (ან, უფრო სწორად, იმდროინდელ პოლონურ ქალაქ ვილნოს), თუმცა ყველა წყარო აშკარად მიუთითებს, რომ იგი მოსკოვში დაბადებულა, ვილნიუსში კი მან თავისი სიყმაწვილის მნიშვნელოვანი ნაწილი გაატარა.

დედამისი, ნინა კაცევა, ლიტვურ-ებრაული წარმოშობის მსახიობი იყო, რომელმაც ისე დაამთავრა თავისი ცხოვრება 1942 წელს, რომ ერთხელაც ვერ დააცდევინეს, ვინ იყო ბავშვის ნამდვილი მამა. მართალია, დედა ამას საგულდაგულოდ მალავდა, მაგრამ თავად ვაჟმა შემდგომში განაცხადა, რომ იგი რუსული მუნჯი კინოს ვარსკ-

ვლავის, ივან მოჟუხინის, შვილი იყო. სიმართლის დადგენა ამჯერად კიდევ უფრო რთულია! ფეხმძიმე ნინამ კი ის მოახერხა, რომ პოლონელ ლეონიდ კაცევზე გათხოვდა, რითაც ახალდაბადებულს გვარი მოაპოვებინა და რაკიღა ქმრის აუცილებლობა ამის შემდეგ მოხსნილი იყო, ახალგაზრდა მსახიობი ქალი უმალ გაეყარა სასწრაფოდ ნაპოვნ მეუღლეს.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას დედა-შვილი ვილნიუსში შეხვდა, სადაც ჯერ ვერ შემოეღწია ბოლშევიკურ ქარბორბალას, მაგრამ ეს მათთვის დიდი შეღავათი არ იყო, რადგან ქალაქში იმჟამად ანტიებრაული განწყობანი მძვინვარებდა. წლების განმავლობაში გაჭირვების დაუძლეველობასთან ერთად, ეს მდგომარეობა საკმარისი საბაბი აღმოჩნდა, მარტოხელა, დაუცველ ქალს, თავის ცამეტი წლის ვაჟთან ერთად, საბოლოოდ აყრა და საფრანგეთში გადაბარგება გადაეწყვიტა.

1927 წელს ნიცაში, დანტეს ქუჩაზე, ფრანგული ლიტერატურის მომავალი კლასიკოსი, დედასთან ერთად, პაწია ნაქირავებ ოთახში დასახლდება. მწერლის სიტყვებით, იმ დროს დედამისი იმავე ორი სენით იყო შეპყრობილი, რითაც მთელი ევროპა იყო დასნეულებული: ერთი იყო ფრანკოფილობა, ხოლო მეორე – ლეგენდების შეთხზვის უნარი. დედა-შვილი დაუცხრომლად ჩქარობდა ასიმილირებას, მაგრამ გაფრანგება იმას ნიშნავდა, რომ ფრანგებზე მეტი ფრანგები უნდა გამხდარიყვნენ; რაც შეეხება მეორე დაავადებას, – მითებისა და ლეგენდებისათვის ცხოვრებაში ფართო გასაქანის მიცემას, – სიმართლე რომ ითქვას, ამ საქმეში ვილნოელ მსახიობ ქალს შემდგომში არც მისი ვაჟი – ფრანგი აკადემიკოსი და დიპლომატი ჩამორჩენია.

ნინა ამპარტავანი, პატივმოყვარე ქალი იყო და შვილის ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია. "არასოდეს არ ვიყავი ის, რაც ვარ. ყოველთვის ვაიძულებდი თავს, ვინმე სხვა ვყოფილიყავი", – ამბობდა სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე რომენ გარი, – "დედაჩემს რომ, ჩემს გარდა, კიდევ სხვა ვინმე ჰყვარებოდა, აღარ მომიწევდა ყოველ წყაროსთან წყურვილით მოვმკვდარიყავი მთელი ცხოვრების განმავლობაში".

რაკიღა შინ ებრაული ტრადიციების დაცვას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ჭაბუკი რომენიც თავს ნაკლებად გრძნობდა ებრაელად, მოგვიანებით კი თავის თავს ურწმუნო კათოლიკეს უწოდებდა. იშვიათი ენობრივი ალღოსა და ენების ადვილად სწავლის მიმართ განსაკუთრებული მიდრეკილების მიუხედავად, მას არასოდეს უცდია ებრაულის შესწავლა. ის ერთადერთი, რაც მას მშობლიურ ხალხთან აკავშირებდა, იუმორის გრძნობა და თვითირონიის უნარი იყო, – თვისებები, რასაც ის ებრაულებში ყველაზე მეტად აფასებდა და რამაც, სხვათა შორის, ცხადი გამოვლინება პოვა მთელ მის შემოქმედებაში.

როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, გარი, რომელიც გენერალ დე გოლის თაყვანისმცემელი იყო, "თავისუფალი საფრანგეთის" მფრინავებად ჩაეწერა. 1943 წელს მან საპატიო ჯვარიც კი დაიმსახურა ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის. "უკანასკნელი საკიდი ვიყავი, რომელზეც კიდევ შეიძლებოდა რამე ორდენის ჩამოკიდება, – სხვები ყველანი დაიღუპნენ", – სარკასტულად იხსენებდა შემდგომში მწერალი.

სამხედრო ფრენების გარდა, სწორედ იმ დროს დაწერა გარიმ თავისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანი – "ევროპული აღზრდა", რომელიც ომის შემდეგ კრიტიკოსთა დიდი ჯილდოთი აღინიშნა.

1944 წელს გარი გაეცნო ბესტსელერების ინგლისელ მწერალს, რვა წლით უფროს ქალს, ლესლი ბლანშს, რომელიც მეტად შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა და სულ მალე დაქორწინდა მასზე.

1951 წელს მწერალ რომან კაცევს რომენ გარი ჩაენაცვლება, – ყოფილი მფრინავი და დამწყები მწერალი დიპლომატიურ სამსახურში შედგამს ფეხს. წერა კი მისთვის გათავისუფლების, განტვირთვის ერთადერთ საშუალებად იქცევა, – იმის საშუალებად, თუ როგორ იქცეს სხვად. თავისი შემოქმედების მწვერვალს – რომანს "განთიადის აღთქმა" – იგი ლოს ანჯელესში წერს, შუაგულ ჰოლივუდში.

60-იანი წლები გარისათვის ყველაზე დიდი აღიარების წლები იყო. რომანისათვის "ცის ფესვები" მან საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემია –

ძმები გონკურების პრემია – მოიპოვა, შემდგომში კი რომანის გახმაურებულმა ეკრანიზაციამ კიდევ მეტი სახელი მოუტანა რომანის ავტორს.

1959 წლის სექტემბერში ლოს ანჯელესის საფრანგეთის საკონსულოში სადილობისას გარი გაეცნო ცნობილ მსახიობ ქალს, ჟანა სებერს. მათი ეს შეხვედრა მოსაბრუნი აღმოჩნდა გარისათვის, მთელი მისი შემოქმედებისათვის. ჟანას პიროვნება და სახე სიცოცხლის ბოლომდე არ ტოვებდა მას. სწორედ ამ ქალის ნიშნებითაა აღბეჭდილი გარის გვიანდელი შემოქმედების ყველა პერსონაჟი ქალი. მალე გარი გაეყრება ლესლი ბლანშს, რათა ჟანასთან დაქორწინდეს, სულ მალე კი მათ ვაჟი ალექსანდრ-დიეგო შეეძინათ.

1960 წლის გაზაფხულზე იბეჭდება გარის რომანი "განთიადის აღთქმა", რომელიც აშკარად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და რომელშიც არეკლილია მისი განსაკუთრებული ურთიერთობა დედასთან, და კიდევ, დედამისის განსაკუთრებული, შეურაცხადობის ზღვარზე მოგიზგიზე სიყვარული შვილის მიმართ, რომელიც სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. მწერლის პირველი მეუღლე ლესლი იხსენებს: "იგი ამ რომანით პირდაპირ შეპყრობილი იყო. ხელნაწერს თითო-თითო გვერდად მაძლევდა წასაკითხად. ისეთი გრძნობა გვქონდა, რომ ყოველი სტრიქონი დაუძლეველი ემოციით იყო დამუხტული. როცა მან რომანის წერა დაამთავრა, სრულიად შეიცვალა, სრულიად სხვაგვარი გახდა, იყო ბევრად უფრო ამაყი და ბევრად უფრო ნაკლებად ბედნიერი. მან თითქოს მოიხადა ვალი დედის წინაშე და თავს უკვე თავისუფლად გრძნობდა".

1961 წელს გარი ამერიკიდან საფრანგეთში ბრუნდება და პარიზში დასახლდება. იგი ყიდულობს სახლს პარიზის ერთ ძველ უბანში და სიკვდილამდე იქ ცხოვრობს. მაგრამ მალე ქორწინებას წარმატებულ, თავის თავში დარწმუნებულ რომენსა და გულუბრყვილო, სუსტ ჟანას შორის მოულოდნელი თუ მოსალოდნელი ბზარები გაუჩნდა. ბოლოს და ბოლოს, 1970 წელს ყველაფერი განქორწინებით დამთავრდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ჟანა ფეხმძიმედ იყო და მეორე ბავშვს ელოდებოდა (თუმცა გაყრას-

თან დაკავშირებულ მღელვარებათა გამო ბავშვი უდღეური აღმოჩნდა).

1974 წელს პარიზში იბეჭდება სრულიად უცნობი მწერლის, ემილ აჟარის, რომანი "ცხოვრება პითონის გვერდით". რომანის გმირი, რიგითი პარიზელი მოხელე უზარმაზარ ქალაქში მარტოობის მძაფრი შემოტევების დასაძლევად თავის თანამეინახედ აფრიკულ პითონს აირჩევს. მარტოობის მტანჯველი განცდების ფიზიოლოგიურად ზუსტ აღწერას აბსურდული სიტუაციები ენაცვლება, იუმორით აღსავსე სცენებს – მწარე, სევდიანი ირონია.

მომდევნო წელს კი აჟარის ახალი რომანი "ცხოვრების პირისპირ" უკვე გალიმარის გამომცემლობამ – საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟულმა გამომცემლობამ – გამოსცა, მაგრამ მანამდე გამომცემელმა რჩევა რომენ გარის ჰკითხა: "იცით, ეს ახალგამოჩეკილი მწერალი თქვენს მიმართ მთლად კარგად ვერ არის განწყობილი". "არა უშავს, – უპასუხა ტელეფონით გარიმ, – მთავარია, წიგნი კარგად იყოს დაწერილი. თუ ასეა, მაშინ ნუღარ დააყოვნებთ და დაბეჭდეთ!..". რომანში თავისი ფათერაკების შესახებ მოგვითხრობს ხელიდან წასული პატარა მომო, მეძავისა და უცნობი მამის შვილი, რომელიც ავადმყოფ მოხუც ქალს ჰყავს მიბარებული აღსაზრდელად.

პრესაში კი არ წყდება მკითხაობა ფსევდონიმს ამოფარებული მწერლის ვინაობის შესახებ, – ასახელებენ არაგონს, ლიბანელ ტერორისტს ჰამილ რაჟას. მაგრამ იმის შემდეგ, რაც წიგნს გონკურების პრემიით დააჯილდოებენ, გაირკვევა, რომ მისი ავტორი რომენ გარი ყოფილა, რომელიც ერთხელ უკვე ფლობდა ამ პრემიას... მაგრამ ეს უკვე სკანდალია, რადგან საუკუნოვანი წესდების თანახმად, ის – ცხოვრების განმავლობაში – მხოლოდ ერთხელ შეიძლება მიენიჭოს მწერალს. კომიტეტი თავს იმით იმართლებდა, რომ პრემია მწერალ აჟარს მიენიჭა და არა გარის. სიმართლე რომ ითქვას, ემილ აჟარი მართლაც სხვაგვარად წერს, – განსხვავებულად, ვიდრე რომენ გარი. აჟარის პერსონაჟები უფრო მგრძნობიერნი არიან, სიყვარულისა და თანალმობის მაძიებელნი.

რამდენიმე წლის შემდეგ რომენ გარიმ დაწერა წიგნი "ემილ აჟარის ცხოვრება და სიკვდილი", სადაც მწერალი

იხსენებს: "ეს ხელახლა დაბადებას ჰგავდა. ყველაფერს თავიდან ვიწყებდი. ყველაფერი თითქოს უკვე მეორეჯერ უნდა გამომეცადა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მე თავად ვქმნიდი საკუთარ თავს". წიგნი ამგვარი სიტყვებით მთავრდება: "კარგად გავერთე. გმადლობთ და მშვიდობით!".

არაფერი ისე არ აძრწუნებდა გარის, როგორც სიკვდილზე ფიქრი, რასაც იგი წონასწორობიდან გამოჰყავდა ხოლმე. იგი ყველა გზითა და საშუალებით ებრძოდა სიბერეს: ტანვარჯიშით, წამლებითა და კოსმეტიკით, ჰიგიენის ავადმყოფური დაცვით. თავის მრავალ პერსონაჟთა მსგავსად, მას არა იმდენად სიკვდილისა ეშინოდა, რამდენადაც სიკვდილის წინამორბედი თუ თანამდევი დეგრადირებისა. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე იბეჭდება გარის წიგნი "მეფე სოლომონის ძრწოლა". ესაა მოთხრობა ოთხმოცდაოთხი წლის სოლომონ რუბინშტაინის შესახებ, რომელიც ისევ შეყვარებულია და რომელმაც გადაწყვიტა, არ მოკვდეს.

ჟანა სებერმა, რომლის ოდინდელი კინოროლები უკვე ნაკლებად თუ ახსოვდა ვისმე, 1979 წელს თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. გარიმ მტკივნეულად განიცადა ყოფილი მეუღლის სიკვდილი. მან უკვე მძაფრად იგრძნო მოახლოებული სიბერე და მარტოობა, შეწყვიტა წერა, სახლში ჩაიკეტა და სიკვდილისათვის მზადება დაიწყო, სცადა შვილთან დამეგობრება, რომლის მიმართაც განსაკუთრებული ყურადღება არასოდეს გამოუჩენია.

გარის უკანასკნელი გატაცება იყო ლეილა ხელაბი, მწერალზე ოცდახუთი წლით უმცროსი ქალი, რომელმაც აღმოსავლური მომხიბლაობითა და სითბოთი მას ბოლო სიხარული მიანიჭა. აგვისტოში ისინი ერთად იყვნენ საბერძნეთში, ხოლო 1980 წლის 2 დეკემბერს, გვიან საღამოს, საკუთარ სახლში სამოცდაექვსი წლის გარიმ ტყვია დაიხალა. განშორების წინ დაწერილი მისი ბარათი ასე მთავრდებოდა: "როგორც იქნა, საბოლოოდ მეძლევა საკუთარი თავის სრულად გამოხატვის საშუალება".

როცა ცოტა ხნის შემდეგ რომენ გარის ძმისწულის პოლ პავლოვიჩის წიგნი დაიბეჭდა, რომელშიც თავისი

სახელოვანი ბიძის ცხოვრებას აღწერს, ბევრს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ავტორმა რუსი კინოვარსკვლავის უკანონო შვილის უკანასკნელი სურვილი შეასრულა: წიგნში წარმოჩინდება კაცი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში სხვადასხვა ნიღბის მორგებას ცდილობდა, პიროვნება, რომლის ცხოვრება უეჭველად ჰგავდა კარგად წასაკითხ რომანს.

1996

28

მიშელ ტურნიე – ფილოსოფოსი პროზაში

მიშელ ტურნიე
Michel Tournier
*1924

მიშელ ტურნიემ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების უმალ გერმანიას მიაშურა ფილოსოფიაში უკეთ განსასწავლად, ხოლო როცა სწავლის გასრულების შემდეგ სამშობლოში, საფრანგეთში, დაბრუნდა, მან ფილოსოფიის პროფესორობა გადაწყვიტა, მაგრამ შესაბამისი გამოცდების ჩაბარებისას ჩაიჭრა, რის გამოც იგი იძულებული გახდა, გულდაწყვეტა დაეძლია და თავის ძირითად საქმიანობად ჯერ მთარგმნელობა და რადიოკომენტატორობა, ხოლო შემდგომში მწერლობა ექცია. სწორედ მწერლობამ მოუტანა მას იმგვარი მსოფლიო სახელი, რომელსაც ფილოსოფიის პროფესორი, საფიქრებელია, ძნელად თუ მიაღწევდა. მიშელ ტურნიე დღეს საყოველთაოდაა მიჩნეული მეოცე საუკუნის ბოლო მესამედის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე განთქმულ და აღიარებულ წარმომადგენლად. ზოგიერთი ენამახვილი კრიტიკოსი ირონიულად აღნიშნავს ხოლმე, რომ მწერალმა თავისი გაწბილებული და დაუკმაყოფილებელი ფილოსოფიური ამბიციების კომპენსირება თავის მხატვრულ შემოქმედებაში, თავის ფილოსოფიურ პროზაში სცადა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მიშელ ტურნიეს რომანები, – "პარასკევა, ანუ წყნარი ოკეანის ლიმბი" (1967), "ტყის მეფე" (1970), "მეტეორები" (1975), "სული ნუგეშინისმცემელი" (1977), "კასპარი, მელქიორი და ბალთაზარი" (1980), "ოქროს წვეთი" (1986), "ელეაზარი, ანუ წყაროს და ბუჩქი" (1996), – რომლებიც ცივილიზებული სამყაროს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი, ფილოსოფიურ-მითოლოგიურ სიღრმეთაგან დამოუკიდებლადაც, სიტყვაკაზმული ხელოვნების უეჭველად ღირსშესანიშნავი ნიმუშებია.

ტურნიეს პიროვნული თუ მწერლური ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ოჯახიდან შეთვისებული გერმანული კულტურა, მუსიკა, კათოლიკობა. საკუთარი სიბეჯითითა და პროფესიული განსწავლით მან გამორჩეულად აითვისა ლიტერატურა, მითოლოგია, ანთროპოლოგია და, პირველ ყოვლისა, ძველი თუ ახალი ფილოსოფია. ფრანგ მოაზროვნეთაგან მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს გასტონ ბაშლარისა და კლოდ ლევი-სტროსის შეხედულებებმა.

მოტივები, რომელიც მსჭვალავს მწერლის წიგნებს, – გაორება და მისი დაძლევა, რელიგიურ წვდომათა თავისთავადობა, საკუთარი თავის ძებნა განსხვავებულ სხვაში, უცხოს გასაგებად სწრაფვა მასში მსგავსის აღმოსაჩენად, ვნებიანი ლტოლვა იგივეობრივისადმი (თუნდაც ის იგივეობრივ სქესში იყოს გამოვლენილი), – განსაკუთრებულ ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ და მხატვრულ სიმძაფრეს სძენს მის ნაწერებს.

მწერალი, ჩვეულებრივ, როგორც ტრადიციულ მთხრობელს შეჰფერის (ტურნიე კი თხრობის აგებისას ტრადიციულია!), უკვე შეთხზულ, უკვე არსებულ ამბავს ყვება, მაგრამ ძველ გადმოცემაში, ერთი მხრივ, მარადიულს პოულობს, მეორე მხრივ კი, უკვე ცნობილს ახლებური კუთხით ხედავს, უკვე არსებულში ახალ განზომილებას შენიშნავს...

"პარასკევაში" რობინზონი, რომელიც ხომალდის მსხვრევის შედეგად უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდება, თავდაპირველად ცივილიზაციის ხელახლა დამფუძნებელია; შემდგომ, – პარასკევას გამოჩენის შემდგომ, – ცივილიზიციის ველურისათვის მიმწოდებელი; ბოლოს, – პარასკევას მიერ ცივილიზაციის აფეთქების შემდეგ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), – ველურის მიდევნებით, ბუნების ლაღი შვილი; დასასრულ, იგი უარს ამბობს ევროპისაკენ გაჰყვეს მრავალწლიანი მოლოდინის შემდეგ ბედად გამოჩენილ გემს, რომლითაც პარასკევა – უჩუმრად გაუჩინარებული და გემბანზე აღმოჩენილი – გაეშურება ევროპისაკენ, მაგრამ რომლიდანაც უჩუმრად გამოპარული პატარა ესტონელი იუნგა განმარტოებულ კუნძულზე, რობინზონთან ერთად, ცხოვრებას ამჯობინებს.

"კასპარი, მელქიორი და ბალთაზარი" სახარებისეული მოთხრობის გადმოცემაა (ამბავს სხვადასხვა პერსონაჟები გადმოსცემენ, მათ შორის – ცხოველებიც) სამი მოგვისა და, რაც მთავარია, აპოკრიფული მეოთხე მოგვის, ტაორის, შესახებ, რომელიც – ფსტის რაჰათ ლუკუმის სიტკბოს მაძიებელი – ქრისტეს სიტკბოთა მაძიებელი აღმოჩნდება. კანონიკური ტრადიციისათვის უცნობი ეს ინდოელი მბრძანებელი, მანგალორის მთავარი, წიგნის სათაურის მიუხედავად, ნელ-ნელა თხრობის წინა პლანზე გადმოინაცვლებს. ტაორი ყოველთვის აგვიანებს მიწიერ იესოსთან შესახვედრად, – მას საიდუმლო სერობაზეც შეუფერხდება მისვლა, რის გამოც ტაბლაზე დარჩენილ ევქარისტიას თავად გაუსინჯავს გემოს, – მაგრამ იგი, უკანდაუბეველი თავგანწირვისა და მოულოდნელი ზიარების წყალობით, ერთი იმ პირველთაგანი აღმოჩნდება, ვინც აღმდგარი ქრისტეს გვერდით მოიპოვებს სასუფეველს.

"ელეაზარში" – რომანში, რომელშიც ხელახლა ცოცხლდება ბიბლიური მოსეს ამბავი, უზენაესი გამოცხადების ახალ მაცნეს, ახალ წინამძღოლსა და წინასწარმეტყველს, მეცხრამეტე საუკუნის ირლანდიელ მქადაგებელს მოქმედების ასპარეზად ამერიკული კალიფორნია აურჩევია, სადაც იგი, ამ ქვეყნის აუთვისებელი მიწების პირველაღმომჩენთა შორის, უცნობ კონტინენტზე უცნობი ღმრთის აღმოჩენასა და მიყურადებას ცდილობს, თანაც დაჟინებით ისწრაფვის, მის მიერ გაგონილი მღელვარე და მძიმე უწყება – რაც უნდა მტკივნეული იყოს მისი მიღება – სხვებსაც მიაწვდინოს.

ტურნიეს წიგნების ბევრ მკითხველსა და მკვლევარს, ლიტერატურის ბევრ კრიტიკოსსა და ისტორიკოსს მიაჩნია, – და ამ თვალსაზრისის მიღება ძნელი არ უნდა იყოს, – რომ "მეტეორები" ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი და ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი რომანია მათ შორის, რაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილა. ერთმანეთისაკენ და ერთმანეთიდან მლტოლველი, თუმცა ერთმანეთისაგან განუყრელი ორი ტყუპი ძმის ამბავი თანდათანობით იქცევა ორობითის ერთიანობის მტანჯველ ძიებად და ძნელად მოსაპოვებელ აღმოჩენად ყოფაში, კულტურაში, საზოგადოებაში, სახელმწიფოში, სამყაროში. ძმათა ბედისწერას ნიშნეულად განსაზღვრავს მათი ბიძა, რომელიც საკუთარ, გახლეჩილ

მეობას საკუთარი სქესისადმი სწრაფვაში მოიპოვებს და ამთლიანებს... რომანის მოქმედება ერთიანი ბერლინის ორად გაყოფის ტრაგიკულ დღეებში მთავრდება...

მაინც, დღემდე განსაკუთრებით სახელმოხვეჭილად რჩება ტურნიეს რომანი "ტყის მეფე" – წიგნი ფრანგი მემანქანის, აბელ ტიფოჟის, შესახებ, რომელიც მთელი ცხოვრება ცდილობდა, ბედისწერისა და ისტორიისათვის მიეგდო ყური და რომელიც ამის წყალობით გადაურჩა პატიმრობას, ტყვეობას, ფრონტს, რაც მთავარია, სულიერ დაღუპვას. მრავალ განსაცდელიდან თავდაღწეული აბელი გერმანელ რაინდთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლის, თავად კალტენბორნის, ისტორიულ კოშკში აღმოჩნდება, სადაც გერმანელი ბიჭების ელიტური ნაცისტური სასწავლებელია მოთავსებული. ომის დაწყებამდე უწლოვანის ცდუნებისათვის უსამართლოდ ბრალდადებული ფრანგი აბელი, ახლა გერმანიით მონუსხული, გერმანულ ცხენზე ამხედრებული, გოეთესეული "ტყის მეფის" დარად, აღმოსავლეთ პრუსიის ტყეებსა და სოფლებში დაჰქრის პატარა ბიჭების სულების მოსატაცებლად, მათი სულების დასაღუპავად – ჭეშმარიტ არიელთა, ჰიტლერის თავდადებულ ვასალთა აღსაზრდელად. მაგრამ როდესაც, ომის კატასტროფულ მიწურულში, გერმანელი ნაცისტებისა და რუსი ბოლშევიკების შეტაკებისას იწვის შუასაუკუნეობრივი კოშკი, რომელიც ჰიტლერელ ჭაბუკთა ჩირაღდნებიანი მსვლელობების ასპარეზად იყო გადაქცეული, აბელი ისევე, როგორც სიყმაწვილეში, წმიდა ქრისტეფორეს კოლეჯში სწავლისას, ბედისწერას მიუგდებს ყურს და ტყის მეფე-სულთამხუთავი ალმოდებული ციხე-სიმაგრის მიტოვების შემდეგ წმიდა ქრისტეფორედ გარდაისახება, – მხარზე შეისვამს ცეცხლიდან და სიკვდილიდან გამოხსნილ პატარა ებრაელ ბიჭს, რათა მდინარე გადაალახვინოს, რათა ლუციფერული ძალების სისხლიან შერკინებას გააცილოს, რადგან კარგად იცის, რომ თუნდაც ერთი სულის გადარჩენით იგი საკუთარ ცოდვილ სულსაც გადაირჩენს.

1999, 2004

ვინც გერმანულად წერდა

ფრიდრიხ ნიცშე
ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი
თომას მანი
ჰერმან ჰესე
მარტინ ბუბერი
ალფრედ დებლინი
რომანო გვარდინი
ჰერმან ბროხი
ფრანც ვერფელი
ერნსტ იუნგერი
ელიას კანეტი
კლაუს მანი
პაულ ცელანი
თომას ბერნჰარდი

29

ფრიდრიხ ნიცშეს ულვაში

ფრიდრიხ ნიცშე
Friedrich Nietzsche
(Friedrich Wilhelm Nietzsche)
1844-1900

1900 წლის 25 აგვისტოს, ვაიმარში გარდაიცვალა ფრიდრიხ ნიცშე, უფრო სწორად, ის, რაც ნიცშესაგან დარჩენილიყო, – დარჩენილიყო სულიერად, გონებრივად, ფიზიკურად. წლების განმავლობაში იგი საკუთარ ვინაობასაც მოწყვეტილიყო და წერილებს თუ სხვადასხვა ქაღალდებს "ჯვარცმულის" ან "დიონისეს" ხელმოწერით ამკობდა. ამ სახელდებათაგან, რა თქმა უნდა, არც არ იყო ერთი შემთხვევითი: იგი მართლაც ჯვარცმული აღმოჩნდა, – ოღონდ, როგორც ჭეშმარიტი ჯვარცმულის პაროდია, შებრუნება, ამოყირავება, – ჭეშმარიტების, სიცოცხლისა და ზნეობისაგან განდგომის, ურწმუნოებისა და უიმედობის ჯვარცმული; დიონისე კი ის ღამეული სტუმარი იყო, რომელსაც იგი წლების განმავლობაში გულისყურით უსმენდა, თავისი კალმით ემსახურებოდა და რომელიც სწორედ პაროდიათა და მიბაძვა-დაცინვის გამოცდილი ოსტატია.

მოუსვენარი და აუტანელი, აფორიაქებული და მტანჯველი იყო ნიცშეს ცხოვრების ბოლო წლები, უფრო სწორად, ის წლები, სანამ მისი გონება წვას შეწყვეტდა. შემდგომი ხანის შესახებ კი ნაკლებად ითქმება და კიდევ უფრო ნაკლებად იწერება ხოლმე, სხვა თუ არაფერი, იმ მიზეზის გამოც, რომელიც არ იძლევა შეშლილობის ზღვარს იქით უხეში შებიჯების უფლებას, – თუნდაც მორალურ უფლებას.

ფრიდრიხ ნიცშეს მიწიერი სიკვდილის (მაგრამ შეძლებს კი ვინმე იმის განსაზღვრას, თუ როდის შეწყდა

ნიცშეს ცხოვრება?!), – ასი წლის წინანდელი მისი ფიზიკური სიკვდილის ყველაზე მეტყველ მოწმედ მისი ნიღაბი დარჩენილა. საერთოდ, გარდაცვლილის ნიღაბი სასიამოვნო სანახავი არაა, მაგრამ ხშირად ის მეტისმეტად მეტყველია ხოლმე, – შესაძლოა, ამიტომაც არცთუ ურიგო იყო მსოფლიოს ერთი საუკეთესო ენციკლოპედიის, "ბრიტანიკის", გადაწყვეტილება, რომ უარი ეთქვა ეგნატე ლოლიოლას მრავალრიცხოვან პორტრეტებსა თუ ხატებზე და თავის ფურცლებზე – წმიდანის სახედ – მისი ნიღაბი დაებეჭდა, რომლიდანაც უეჭველად აშუქებს გაცისკროვნებული, ამაღლებული, იმედიანი და შემართული სახე. ნიცშეს ნიღაბი კი, პირველ ყოვლისა, უცნაურია... რა თქმა უნდა, თვალშისაცემია დაღლილი, დაქანცული, ნატანჯი გამომეტყველება, მაგრამ რაც, პირველ ყოვლისა, მოსჭრის მნახველს თვალს, ნიცშეს ულვაშია, მისი ცნობილი ულვაში, რომელიც სიკვდილის წინ ისე ჩამოყრილა, რომ ლამის ნახევარი სახე დაუფარავს. არსაც ჩანს პირი და შთაბეჭდილება იმგვარია, თითქოს "ანტიქრისტეს" ავტორი არასოდეს ლაპარაკობდა. უპირო, მუნჯი ნიცშე, – აი, რა შთაბეჭდილება რჩება ამ უამური ნიღბის მნახველს.

ნიცშეს ულვაში მართლაც ლეგენდებისა და მითოლოგიის სფეროს ეკუთვნის. ამგვარი სათაურით რამდენიმე წიგნიცა და გამოკვლევაც კი არსებობს (სხვათა შორის, ერთი მათგანი კათოლიკე თეოლოგის კალამს ეკუთვნის). საქმე ისაა, რომ ამ ულვაშის გავლენა არა მარტო საბჭოთა კომუნისტური კულტურის უმთავრესი იდეოლოგის, მაქსიმ გორკის, პორტრეტში, უნდა ვეძიოთ, არამედ თვით "ხალხთა დიდი ბელადის", იოსებ სტალინის, ფიზიონომიაში. ბევრი დაწერილა ნიცშეს ნაციონალ-სოციალისტი მოწაფეებისა და მათი ბელადის, გერმანელი ულვაშას გამო, ნაკლები – ნიცშეს ფარული მიმდევრების შესახებ ბოლშევიკთა ბანაკში.

"ზარათუშტრასა" და "მხიარული მეცნიერების" შემქმნელი კი ყველას აძლევდა საზრდოს, და მისი სიტყვები "ინდივიდუალური სიხარულის მოსპობის" შესახებ არაერთი დასავლელი თუ აღმოსავლელი დიქტატორის ყურს ელამუნებოდა.

და მაინც, რამდენი ათწლეულია გვესმის, რომ ნიცშე – ისევე როგორც რუსო, მარქსი თუ ბაკუნინი – არ აგებენ პასუხს მათს გამგრძელებელთა, სხვათა შორის, პირსისხლიან ჯალათთა, მკვლელთა და მტანჯველთა საქმიანობის გამო. თუმცა, შესაძლოა, სახარებიდან ვისმე გაახსენდეს, რომ ხე ნაყოფის კვალობაზე იცნობა და ფასდება...

ამ ასი წლის წინ ვაიმარში, – ქალაქში, სადაც კიდევ ერთი ასი წლის წინ ორი გერმანელი პოეტი სინათლისა და ქმედებათა განმჭვირვალობას ამკვიდრებდა, – შეშლილი და შეურაცხი ფრიდრიხ ნიცშე თავის წყვდიადში გარდაიცვალა.

2000

30

ჰოფმანსტალის პოეზიის მიმქრალი მშვენიერება

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი
Hugo von Hofmannsthal
(Hugo Laurenz August Hofmann von Hofmannsthal)
1874-1929

"სიღრმე დამალული უნდა იყოს. მაგრამ სად? რა თქმა უნდა, ზედაპირზე", – ამ სიტყვების ავტორი, ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში გერმანულენოვანი პოეზიის საუკუთესო წარმომადგენლად იყო აღიარებული, – საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად. მაგრამ უმალ ჩნდება ბუნებრივი კითხვა და ჭოჭმანი: რომელი საუკუნის? რომელ ასწლეულს ეკუთვნის ჰოფმანსტალის მსუბუქი, ფაქიზი, ფაუსტური ძიებებისა თუ ვერთერული შეშლილობისაგან შორს მდგომი შემოქმედება, – მეცხრამეტე საუკუნეს (გოეთესა და ჰელდერლინის გვერდით, რაგვარი გარემოცვაც მისი შემოქმედებისა და ცხოვრების სტილისათვის შეუფერებელი ჩანს) თუ მეოცე საუკუნეს (რომლის პოეტური მწვერვალები გერმანულ ენაზე რილკესა თუ შტეფან გეორგეს სახელებთანაა დაკავშირებული და რომლის – ჩამთავრებული მეოცე საუკუნის – ნამდვილ წარმომადგენლად, გამომხატველად, ამსახველად ჰოფმანსტალის ბაროკულ-როკოკულ, ხშირად მანერულ, ხშირად სტილიზებულ ნაწარმოებებს ძნელად თუ მივიჩნევთ)? ბიოგრაფიულადაც და ისტორიულადაც ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი ორი საუკუნის გადაკვეთაზე ცხოვრობდა და ქმნიდა, – იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰაბსბურგების იმპერიის მესაყვირედ და მეხოტბედ იყო მიჩნეული, მაგრამ თავად ხაზგასმით ცდილობდა ერთგულება გამოეხატა, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ აღმოცენებული (ნამსხვრევებისაგან აღმოცენებული) ავ-

სტრიის რესპუბლიკისათვის, სადაც მას კიდევ ერთი ათწლეულის სიცოცხლე ელოდა.

ჰოფმანსტალი ჩეხეთიდან გადმოსახლებული ისააკ ლევის შვილიშვილის შვილი იყო, თუმცა ბებიამისი იტალიელი ყოფილა, დედამისი კი – ავსტრიელი. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში მისი წინაპრები თავადურ წოდებას მიიღებენ და მომავალი მწერალი შეძლებული იურისტის კათოლიკურ ოჯახში დაიბადება, – 1874 წლის 1 თებერვალს. მამამისმა ადრევე შენიშნა ყმაწვილის განსაკუთრებული მონაცემები და ყურადღება და მზრუნველობა არ დაუკლია, რათა ჭაბუკს შესაფერისი ცოდნა და აღზრდა მიეღო. გერმანულენოვან ლიტერატურაში თექვსმეტი წლის ჰოფმანსტალი სუვერენულად შეაბიჯებს, გიმნაზიის სტუდენტი მკითხველთა და კრიტიკოსთა აღტაცებას მოიპოვებს, ოცი წლისა იგი უკვე სახელმოხვეჭილი პოეტია, ხოლო ოცდაერთი წლისა თავისი თხზულებების პირველ კრებულს გამოსცემს. ვენისა თუ ბერლინის ლიტერატურულ წრეებში, ბევრად უფროსი მწერლების გარემოში, იგი გულითადად და შინაურულად იქნა მიღებული.

უნივერსიტეტში სამართლისა და რომანული ფილოლოგიის შესწავლის შემდეგ, გახმაურებული ლექსებისა და მოთხრობების ავტორი წერს დისერტაციას ვიქტორ ჰიუგოს შესახებ და ფილოსოფიის დოქტორის წოდებას მოიპოვებს. თუმცა აკადემიური ტიტულის მოპოვების უმალ, იგი პროფესიული მწერლის ცხოვრებას შეუდგება და მთელ თავის დროს წერას, კითხვასა და მოგზაურობას უთმობს. მისი გული განსაკუთრებით ისწრაფვის რომანული ქვეყნებისაკენ, რაც მის შემოქმედებაშიც ირეკლება. ანტიკური და ბაროკული კულტურა, ევროპული თეატრალური ტრადიციები მისი შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ იქცევა.

ფორმალურად, ენობრივად, პოეტიკურად სრულყოფილი ლირიკული ნაწარმოებები თითქმის მთლიანად ჰოფმანსტალის შემოქმედების საწყის პერიოდს ეკუთვნის, რასაც მოჰყვება მისი მოთხრობები, ნოველები, პიესები, ოპერათა ლიბრეტოები.... საოპერო ნაწარმოებთა ტექსტები პოეტის შემოქმედების განსაკუთრებული,

გამორჩეული, მოელვარე ფურცლებია, – კომპოზიტორ რიხარდ შტრაუსთან თანამშრომლობის ნაყოფი. შეუძლებელია ოპერის ნებისმიერი მოყვარულის მღელვარებას არ იწვევდეს ამ სათაურების ჩამონათვალიც კი: "ელექტრა", "ვარდის კავალერი", "არიადნა ნაქსოსზე", "უჩრდილო ქალი", "არაბელა"... ოპერის ისტორიაში, შესაძლოა, პირველად იქმნება ნაწარმოებები, სადაც ტექსტი და მუსიკა თანაბარი ფასეულობების ქმნილებაა, სადაც ჭეშმარიტი, მაღალი, ნატიფი, დახვეწილი ხელოვნება სიტყვისა და მუსიკის ურთიერთშერწყმული წნულია.

ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, ფაქიზი პოეზიის ავტორი, ფაქიზი ბუნების ადამიანი იყო. როცა იგი თავისი ვაჟიშვილის დასაფლავების სამგლოვიარო ცერემონიის დაწყებამდე სარკის წინ იმოსებოდა, 1929 წლის 15 ივლისს, მას ტვინში სისხლი ჩაექცა. ორმოცდათხუთმეტი წლის პოეტი უმალ გარდაიცვალა.

ჰოფმანსტალის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში – "672-ე ღამის ზღაპარი" წარმოსახვით აღმოსავლეთში თამაშდება: ვაჭრის ახალგაზრდა ვაჟი დაბადებიდან მშვენიერ ნივთთა და მშვენიერ განცდათა გარემოცვაში ცხოვრობს, – დაცული, ოთხი მსახურის მიერ, გარე სამყაროსაგან, გარე სამყაროს განცდათა და განსაცდელთაგან, ყოველივე იმისაგან, რასაც კაეშანი მოსდევს. მაგრამ როცა იგი, მჭმუნვარე და სევდამოცული, ერთ დღეს შინიდან გასვლას გადაწყვეტს, უცნობ და ამოუცნობ ქალაქში, რომელიც აღსავსეა იდუმალებითა და გაუცხადებელი სწრაფვებით, უჩუმრად ჩასაფრებულ სიკვდილს გადაეყრება, – სახლისაგან მოშორებით, ჯარისკაცების გარემოცვაში, ცხენისაგან (თუ ბედისწერისაგან) სასიკვდილოდ ჩაჭიხლული.

თავად ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის შემოქმედებაც ამ მოთხრობის გმირსა ჰგავს: მშვენიერებისა და ჰარმონიის საყვავილეში გაფურჩქნილ მის ფურცლებს ომებითა და რევოლუციებით, სისხლითა და ძალადობით, სისასტიკითა და დაუნდობლობით აღსავსე საუკუნესთან შეჯახების შემდეგ ხანგრძლივი სიცოცხლე აღარ ეწერა.

პოეტს მიაჩნდა, რომ ყველა რელიგია, და, მათ შორის, ქრისტიანობა, მითოსის სფეროს განეკუთვნება, –

სიუჟეტთა, სახეთა და სიმბოლოთა ამოუწურავ საუნჯეს, საიდანაც ხელოვნება უხვად საზრდოობს. იგი დარწმუნებული იყო, რომ სარწმუნოება და რწმენა წარმავალია, ხელოვნება კი – მრავალფეროვან, მოელვარე სახეცვლილებათა თამაში – მარადიული. ყოველ შემთხვევაში, თავად პოეტის შემოქმედებასთან, ერთ დროს აგრერიგად აღიარებულ მის არაერთ ლექსთან, მოთხრობასთან, ესეისთან მიმართებაში ეს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა. შესაძლოა, გულდასაწყვეტია, მაგრამ ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის ნატიფი და დახვეწილი შემოქმედება დღეს ლიტერატურის ისტორიას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ცოცხალ ლიტერატურას.

1999

31

თომას მანის დიადი სამწერლო საქმე

თომას მანი
Thomas Mann
(Paul Thomas Mann)
1875-1955

როცა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს კალიფორნიის საავადმყოფოში ფრანც ვერფელი კვდებოდა, მასთან გამოსამშვიდობებლად თომას მანი მისულა. წყნარი ოკეანის წყნარ სანაპიროს თავშეფარებული ორი გერმანულენოვანი მწერლის უკანასკნელი შეხვედრა იმით დამთავრებულა, რომ ვერფელს მანისათვის უთქვამს, ამ რამდენიმე დღის წინ ხელახლა გადავიკითხე "ბუდენბროკები" და ახლა თვალებს არ ვუჯერებ, რომ ჩემს პირისპირ, ჩემს თვალწინ, ჩემს საწოლთან "ბუდენბროკების" ავტორს შევყურებო. მომაკვდავი კოლეგის ამ სიტყვებს კიდევ ერთხელ – უკვე მერამდენედ – ჩაუფიქრებია თომას მანი, ვაითუ ისტორიის ჰორიზონტზე, მომავლისათვის, მომავალი თაობებისათვის ოდენ "ბუდენბროკების" დამწერად დავრჩეო. ეს განცდა მით უფრო მტკივნეული იყო, რომ "ჯადოსნური მთის" ავტორს არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდა, რომ "ბუდენბროკების" დაწერის შემდეგ, ნახევარი საუკუნის განმავლობაში მისი შემოქმედება ახალ და ახალ, ევროპული მწერლობის მიერ ჯერ კიდევ დაუპყრობელ მწვერვალებს იპყრობდა.

თომას მანმა თავისი შემოქმედებითი გზა და აზროვნებითი განვითარება ბურჟუაზიულ ანუ ბიურგერულ ფასეულობებთან, ბიურგერულ სამყაროსთან და ბიურგერულ სამყაროს ხედვასთან დაპირისპირებით დაიწყო (სხვათა შორის, ქართულ სიტყვათხმარებაში ეს ცნება სლავური სამყაროდან შემოვიდა და ამიტომ "მეშჩანისა" და "მეშჩანობის" სახით დამკვიდრდა, თორემ ბურჟუაზიის და

ბურჟუაზიული სისტემის წარმოშობა საქართველოსთვის რომ ორგანული და ორიგინალური მოვლენა ყოფილიყო, მაშინ, შესაძლოა, "მეშჩანის" მაგივრად, ამ ცნების გამოსახატავად სიტყვა "მოქალაქე" გვეხმარა). ყოველ შემთხვევაში, ბიურგერის ყოველდღიურობა ახალგაზრდა თომას მანს ხელოვანის სამყაროსთან შეუთავსებლად და მის მიმართ მტრულად განწყობილადაც კი მიაჩნდა. სხვათა შორის, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ პირად ცხოვრებაში იგი თავად არ ცდილობდა ამ ორი საწყისის შეთავსებას: მას არასოდეს უთქვამს უარი არც კეთილდღეობაზე, არც მიწიერ დიდებაზე, არც ამ ქვეყნის მმართველებთან – პოლიტიკოსებსა თუ ბანკირებთან – შელაღებულ ურთიერთობაზე და არც დროისა და გარემოს მოთხოვნილებათა მიდევნებით საზოგადოებრივ-კულტურული თვალსაწიერის შუაგულში ყოფნაზე.

და მაინც, თომას მანის სულიერი მემკვიდრეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მისი რომანებია, რომლებიც ნათლად, მძაფრად, პლასტიკურად და შთამაგონებლად ასახავს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ადამიანის ტკივილებსა და სიხარულს, სულის ტრაგედიებსა და აღმაფრენას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თომას მანის წიგნებს ოცდამეერთე საუკუნის მკითხველებიც წაიკითხავენ, – მაგრამ ამ მკითხველის განსაჭვრეტად, დასახასიათებლად, წარმოსადგენად ზედმეტი არ იქნება იმაზე ჩაფიქრება, თუ დიდი პროზაიკოსის დიადი მწერლური მემკვიდრეობიდან რა უფრო მეტად მიიზიდავს ყურადღებას: "ჯადოსნური მთა", რომანი ახალგაზრდა გმირის სულიერი მომწიფების, სულიერი განვითარების მძიმე და მტკივნეული გზის გავლის შესახებ თუ "დოქტორი ფაუსტუსი" – ამბავი გერმანელი კომპოზიტორის, გერმანიის, გერმანული ცნობიერების უღმრთო ძალებთან დაკავშირებული ცოდვიანი არჩევანის შესახებ, "ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებანი" – პაროდია მრავალრიცხოვან რელიგიურ-ფილოსოფიურ აღსარებებზე, სადაც ჭაბუკის მონაპოვარი ძირითადად სხეულებრივ განზომილებაში რჩება თუ "სიკვდილი ვენეციაში", სადაც სიკვდილი და ტრფობა ერთმანეთს ირეკლავს და ერთმანეთს ენაცვლება; ანდა იქნებ მონუმენტური ბიბლიური ტეტრალოგია

"იოსები და ძმანი მისნი", ვრცელი, დაულეველი და წარმტაცი ისტორია კოლექტივიდან, ადამიანთა ერთობიდან პიროვნების, ინდივიდუუმის დაბადების შესახებ; ან, შესაძლოა, არცთუ უსაფუძვლო იყო თომას მანის შიში, რომ იგი ისტორიის პირისპირ "ბუდენბროკების" ავტორად დარჩება, – იმ რომანისა, რომელიც ერთი ბიურგერული საგვარეულოს გაქრობასა და დაცემას აღწერს და, ამავე დროს, ღირსებასა და ტრადიციაზე დაფუძნებული საზოგადოების გადაშენების შესახებ მოგვითხრობს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება თავად ოცდამეერთე საუკუნე...

2000

32

ჰერმან ჰესე - თამაშის ოსტატი

ჰერმან ჰესე
Hermann Hesse
1877-1962

ჰერმან ჰესე გერმანელი იყო, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის გამოცდილების შემდეგ, მან – მთელი შეგნებით პაციფისტმა და მორალისტმა – არც უდღეურ ვაიმარის რესპუბლიკაში ისურვა დარჩენა და არც მესამე რაიხის მოქალაქეობა მოისაკლისა. მართალია, იმ სამეზობლოში, სადაც მან თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა, – შვეიცარიულ პატარა ქალაქ მონტანიოლაში, – მხოლოდ იტალიურად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჰესეს ჭიშკარზე ისედაც ამგვარი წარწერა ეკიდა: "გთხოვთ, ნუ შემაწუხებთ!", ხოლო გერმანელ მკითხველს იგი თავისი წიგნებით ესაუბრებოდა, თვით მაშინაც კი, როცა ბერლინში თომას მანისა და ჰერმან ბროხის წიგნები საჯაროდ იწვოდა.

ჰერმან ჰესე მშვიდ და პროვინციულ შვაბურ ოჯახში დაიბადა და მისი ადრეული პოეტური თუ პროზაული მცდელობანი ამ მშვიდი და პროვინციული სურნელებითაა გაჟღენთილი. მიუხედავად მოზრდილი რომანისა, მიუხედავად მოთხრობებისა და ლექსების არაერთი კრებულისა, რომელთაც საკმაო სახელი და აღიარება მოუტანეს ავტორს, თითქოს არაფერი მიანიშნებდა, რომ უკვე ორმოცს წელს მიღწეულ ჰესეს გერმანულენოვანი მწერლობის კლასიკოსობა ელოდა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომით თავზარდაცემამ, ფსიქიკურმა და პირადულ-საოჯახო პრობლემებმა, ცნობილ ფსიქოანალიტიკოსთან, ექიმ ლანგთან შეხვედრებმა თითქოს არა მარტო ახალი ადამიანი დაბადა, არამედ სრულიად ახალი, მძლავრი სიტყვისა და ღირებული სათქმელის მწერალიც შესძინა მეოცე საუკუნის ლიტერატურას. ცვლილება იმდენად აშკარა და

დაუჯერებელი იყო, რომ საჭიროდ იქნა მიჩნეული, ამ ახალი პერიოდის პირველი ნაწარმოები – გნოსტიკურ-ჰერმეტიკული სიმბოლიკით გაჯერებული "დემიანი" – თავდაპირველად ფსევდონიმით დაბეჭდილიყო (სხვათა შორის, ფსევდონიმს უკან ცოტა ვინმემ თუ ამოიცნო რომანის რეალური ავტორი). ცხოვრებისეულ და შემოქმედებით გარდატეხას მოჰყვა დაძაბული შრომითა და რელიგიურ-ინტელექტუალური ძიებებით დატვირთული ათწლეულები, კათოლიკური და კონფუციური, ჰინდუისტური და ძენურ-ბუდჰისტური ჩაღრმავებანი, მოჰყვა ლექსების, ნოველებისა და ზღაპრების კრებულები, მცირე თუ დიდი რომანები: რომანტიკული იუმორითა და სტილისტური ვირტუოზობით მოთამაშე "მოაგარაკე"; თრობითა და სულიერი ფათერაკებით აღსავსე, ლიტერატურულ და ცხოვრებისეულ პირობითობებს გადაბიჯებული "ტრამალის მგელი"; ევროპული შუა საუკუნეების მოალერსე, აღმზრდელობითად დინჯი "ნარცისი და გოლდმუნდი"; ინდუსტრიული ეპოქის დაძაბულობით მფეთქავი "ვაგნერი და კლაინი"; ზღაპრული და სიზმრისეული "მსხემობა დილის ქვეყნისაკენ"; დაბოლოს, მისი შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილება – მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ღრმა და შთამბეჭდავი რომანი "თამაში რიოში მარგალიტებით".

ამ დროისათვის კი გარჯითა და განმარტოებით მოპოვებული გაწონასწორებული ცხოვრების დარღვევა უკვე აღარც შვეიცარიის ირგვლივ აგიზგიზებულ მეორე მსოფლიო ომს შეეძლო, აღარც ომის დამთავრებისთანავე მინიჭებულ ნობელის პრემიას, აღარც საყოველთაო აღიარებასა და დიდებას. თამაშის ოსტატს წინ კიდევ ხანგრძლივი ცხოვრება ელოდა მოსიყვარულე მეუღლის, წიგნებისა და ყვავილების გარემოცვაში.

1997

33

მარტინ ბუბერი – დიალოგის ფილოსოფოსი

მარტინ ბუბერი
Martin Buber
(Mordechai Buber)
1878-1965

მეოცე საუკუნის იუდაისტური აზროვნებისა და კულტურის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი მარტინ ბუბერი, პირველ ყოვლისა, ფილოსოფოსი იყო, მაგრამ მის ნაწერებში ხშირად ძნელი გასარჩევი ხდება მიჯნა ფილოსოფიასა და ლიტერატურას შორის, თუმცა, ფილოსოფოსი, რომელიც თავისი სათქმელის გამოსახატავად მწერლური სიტყვითა და ლიტერატურული ხერხებით სარგებლობს, სრულიადაც არ ყოფილა იშვიათი სახე ფილოსოფიის ისტორიაში, – ამ მხრივ, არც მეოცე საუკუნეს მოუსაკლისებია თუნდაც ლიტერატურულ საწყისებზე აღმოცენებული ფილოსოფიური კონცეფციები, თუნდაც ფილოსოფიური და ლიტერატურული კონტექსტების ურთიერთსაზრდოობა და ურთიერთშიარება, თუნდაც ლიტერატურული ტექსტების სახით ფილოსოფიურ მოძღვრებათა გადმოცემის მცდელობანი. ისიც სათქმელია, რომ აღმოსავლური – ბუბერისათვის განსაკუთრებით ახლობელი – სულიერი სამყარო მკვეთრი საზღვრებით არასოდეს გამოყოფდა საკუთრივ ფილოსოფიას არც საუკუნოვანი ყოფითი სიბრძნისაგან, არც დასაბამისმიერი მხატვრულ-ფოლკლორული თხრობისაგან, არც მეტაფიზიკური მსჯელობებით გაჯერებული საუბრებისა თუ ინდივიდუალური მისტიკური ხილვიდან წარმოშობილი პოეტური საგალობლებისაგან.

მარტინ ბუბერი თავის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისას ხშირად საწყისსა და საფუძველს ებრაულ გადმოცემებში პოულობდა, – ცენტრალური ევროპის ებრაელ მოძღვართა მხიარულ და ჭკუისასწავლ ამბებში,

რომლებიც ევროპელ მკითხველს, ხასიდთა გადმოცემების სახით, სწორედ მან მიაწოდა და გააცნო. ისევე როგორც მის მსოფლმხედველობაში შეუმჩნევლად, მაგრამ მძლავრად შემოჭრილიყო მისტიკური ჭვრეტა, – თუნდაც ხალისიანი ხასიდური სიბრძნის სახით, რომელიც არსებითად არ იღებდა თალმუდურ თუ კაბალურ სიდინჯეს, – ასევე, მისი გადმოცემის სტილსაც, სათქმელის თქმულად გარდაქმნის ოსტატობასაც შეუმჩნევლად, მაგრამ მძლავრად განაპირობებდა ლიტერატურული სიტყვა და ლიტერატურული ხედვა.

იმდროინდელ კულტურულ სივრცეში ბუბერის გახმაურებული ნაწერების ქმედითი შემოჭრის გარდა, რომელთა გამოქვეყნებასაც ხანგრძლივი და ნაყოფიერი გამოძახილი მოჰყვა გერმანიის როგორც ფილოსოფიურ, ისე სალიტერატურო წრეებში, ბუბერი მნიშვნელოვანი მონაწილე გახდა იმდროინდელი გერმანული სამწერლობო ცხოვრებისა არა მარტო მის საკუთარ თხზულებათა წყალობით, არამედ ძველი აღმოსავლური წიგნების გერმანული თარგმანების გამოც, რომლებიც, ერთი მხრივ, განსაკუთრებულ სიახლეს – ორიენტალური ნაკადის სახით – თესავდა გერმანულ ენასა თუ ენობრივ ცნობიერებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, შესამჩნევ გავლენასაც ახდენდა მის თანადროულ ლიტერატურულ გარემოზე.

ბუბერის მხატვრული შემოქმედებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი რომანი-ქრონიკა "გოგი და მაგოგი" (1949), რომელიც ისევ ხასიდებსა და ხასიდურ ცხოვრებას ეძღვნება და სადაც მოქმედება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის პოლონურ მიწებზე ხდება.

სრულიად არაა უსაფუძვლო ის თვალსაზრისი, რაც არაერთგზის გამოთქმულა, რომ მარტინ ბუბერის სახელი ისევე განეკუთვნება ებრაულ ფილოსოფიას, როგორც გერმანულ ლიტერატურას.

* * *

მარტინ ბუბერი 1878 წლის 8 თებერვალს დაიბადა ვენაში. დედამისი და მამამისი (რომელიც აგრონომი იყო) ასიმილირებული ებრაელები იყვნენ და, შესაძლოა, ჭა-

ბუკსაც იგივე ბედი ელოდა, რომ არა დედამისის შინიდან გაქცევა და სამი წლის მარტინის ლვოვში, მაშინდელ ლემბერგში, პაპისეულ სახლში გადასახლება. სხვათა შორის, გაუჩინარებული დედის ძიება შემდგომში ერთ-ერთ მძლავრ სტიმულად იქცა ბუბერისეული დიალოგის ფილოსოფიის ჩამოყალიბებისას.

პაპა კი, სოლომონ ბუბერი, არა მარტო მდიდარი კომერსანტი და ბანკირი იყო, – ავსტრია-უნგრეთის ბანკისა და გალიციის სადაზღვევო ბანკის მმართველი, ლემბერგის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი და ასე შემდეგ, – არამედ მიდრაშული ლიტერატურის (რაბინული სამართლის) ერთ-ერთი პირველი შემსწავლელი და გამომცემელი. პაპა, ამასთანავე, ბერძნული ენის შესწავლასაც უღრმავდებოდა ხოლმე, ბებია კი ევროპელ ებრაელთა შორის საგანმანათლებლო მოძრაობის სახელგანთქმული მოღვაწე იყო და ბევრს წერდა და დიდად ზრუნავდა ებრაული კულტურის მოდერნიზაციისათვის. ამ გარემოში გაზრდილი ჭაბუკი ებრაულ მემკვიდრეობასაც შესანიშნავად დაეუფლა და ბერძნულ-რომაულ კულტურასაც, თუმცა, როგორც ბიოგრაფები აღნიშნავენ, იმ ხანებში მისთვის შილერის ლექსები უფრო ახლობელი იყო, ვიდრე თალმუდის უსასრულო ფურცლები. მომწიფების ხანაში კი მან სრულიად შეწყვიტა ებრაული რელიგიური ადათ-წესების აღსრულება.

შემდგომში ბუბერი ევროპული განათლების უმნიშვნელოვანეს ცენტრებში – ვენის, ბერლინის, ლაიფციგისა და ციურიხის უნივერსიტეტებში – ეუფლება ფილოსოფიასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. აზროვნების სიზუსტესა და სიღრმეს იგი ვილჰელმ დილთაისა და გეორგ ციმელის ფილოსოფიურ სემინარებში ითვისებს. სადოქტორო დისერტაციაში კი ქრისტიანული მისტიკის ორი დიდი წარმომადგენლის – ნიკოლოზ კუზელისა და იაკობ ბემეს – მოძღვრებას შეისწავლის. თუმცა შემდგომში ანტიქრისტიანთა შორის გამორჩეული ანტიქრისტიანის, ფრიდრიხ ნიცშეს, ჰეროიკული ნიჰილიზმი და თანადროული კულტურის ნიცშეანური კრიტიკა გაიტაცებს და სწორედ ეს მიაბრუნებს მას ებრაული ცხოვრების წესისაკენ, სიონიზმისაკენ, ებრაული ფასეულობების მიღებისა და გაზიარებისაკენ. გაივლის რამდენიმე ათეული წელი და მარტინ ბუბერი მომდევ-

ნო თაობებისათვის არა მარტო ექსისტენციალური ფილოსოფიის ერთ-ერთ სახელგანთქმულ წარმომადგენლად, მეოცე საუკუნის მეტად მნიშვნელოვან რელიგიურ მოაზროვნედ და გერმანული ენის თვალსაჩინო ოსტატად დარჩება, არამედ, ამასთანავე, სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთ ფუძემდებლად და მეთაურადაც.

სიონიზმის ფუძემდებელი, თეოდორ ჰერცლი, სიონისტთა მესამე კონგრესზე მას მოხსენების წაკითხვას სთხოვს და სიონისტური ყოველკვირეულის "Die Welt"-ის რედაქტორობას ანდობს. თუმცა ბუბერი იმთავითვე ოპოზიციაში აღმოჩნდება სიონისტურ უმრავლესობასთან, რადგან მოძრაობის მთავარ საშუალებად არა პროპაგანდას, ფართო პოლიტიკურ საქმიანობასა და დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მიიჩნევს, არამედ ერის განათლებასა და სულიერ-ზნეობრივ აღორძინებას. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ბუბერი სიცოცხლის ბოლომდე სიონისტური იდეების ერთგული რჩებოდა, ერთ წელიწადში გადადგა "Die Welt"-ის რედაქტორობიდან და ფუნდამენტურ საკითხებში განუწყვეტლივ ოპოზიციაში ედგა არა მარტო პარტიის წამყვან კურსს, არამედ შემდგომში ისრაელის სახელმწიფო პოლიტიკასაც.

1916 წელს ბუბერი აფუძნებს ყოველთვიურ ჟურნალს – "Der Jude", რომელიც, პირველ ყოვლისა, გერმანულად მკითხველ ებრაელ ინტელექტუალთათვის იყო განკუთვნილი და სადაც რედაქტორი ამკარად უჭერდა მხარს სიონისტთა შორის მეტად არაპოპულარულ იდეას – პალესტინის მიწაზე ებრაულ-არაბული ორეროვანი სახელმწიფოს შექმნას.

მალე ბუბერი ქორწინდება პაულა ვინკლერზე, – არაებრაელ, მაგრამ პროსიონისტურად განწყობილ გერმანელ ქალზე, რომელიც ცოტა ხანში იუდაიზმს მიიღებს. ფილოსოფოსი კი ამ დროს ხასიდურ სიბრძნეს ჩაუღრმავდება. თავდაპირველად მის ყურადღებას წმინდა ესთეტიკური ინტერესები განაპირობებს, – თარგმნოს რაბი ნახმანის თხრობანი, თუმცა შემდგომში ხასიდთა რელიგიურ-ზნეობრივ მოძღვრებას თანადროული მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანეს უწყებად მიიჩნევს და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების არაერთ წელს, თავისი მრავალმხრივი შემოქმე-

დების არაერთ ნიმუშს – სტატიებს, წიგნებს, გამოკვლევებს – ხასიდური მემკვიდრეობის პროპაგანდას მიუძღვნის.

1923 წელს იბეჭდება მარტინ ბუბერის წიგნი "მე და შენ". წიგნის (და მოაზროვნის მთელი შემდგომი განვითარების) გამჭოლი იდეაა დიალოგი, შეხვედრა ადამიანისა ადამიანთან, ადამიანისა გარემოსთან, ადამიანისა ღმერთთან, – იმგვარი შეხვედრა და იმგვარი კავშირი, როცა ორივე მხარე ამჟღავნებს საკუთარი არსის, საკუთარი შინაარსის სისრულეს, ისე, როგორც უდიდესი სიყვარულის უმაღლესი წუთების განცდისას, ისე, როგორც იდეალური მეგობრობისას, ისე, როგორც ღმრთისა და ადამიანის იდუმალი, გაცისკროვნებული საუბრისას.

1925 წელს იბეჭდება ბიბლიის ახალი გერმანული თარგმანის პირველი ტომი, რომლის თარგმნაც საკუთარ თავზე აიღეს მარტინ ბუბერმა და ფრანც როზენცვაიგმა, მეოცე საუკუნის კიდევ ერთმა სახელგანთქმულმა ებრაელმა რელიგიურმა მოაზროვნემ. რამდენიმე წლის შემდეგ როზენცვაიგი გარდაიცვალა და ბუბერმა მარტომ მიიყვანა დაწყებული საქმე ბოლომდე – ბიბლიის მისეული გერმანული თარგმანის ბოლო ტომი 1961 წელს დაიბეჭდა, როცა მთარგმნელი უკვე ოთხმოცდასამი წლისა იყო.

ოციანი წლების შუახანებიდანვე ბუბერი ფრანკფურტის უნივერსიტეტის ებრაული რელიგიისა და ეთიკის პროფესორი ხდება, მაგრამ გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის გაბატონების შემდეგ იგი იძულებულია შეწყვიტოს საუნივერსიტეტო მოღვაწეობა და სათავეში ჩაუდგეს ებრაელთა განათლების ცენტრალურ დაწესებულებას. ეს ორგანიზაცია საკუთარ თავზე იღებდა ზრუნვას ებრაელთა შორის განათლების ქსელის გასავითარებლად მას შემდეგ, რაც "მესამე რაიხის" ოფიციალურ, სახელმწიფო უნივერსიტეტებში ებრაელებს სწავლა აეკრძალათ. 1933 წელსვე ბუბერი ხელმძღვანელობს ებრაელთა სასწავლებელს ფრანკფურტში. ნაცისტების მმართველობის საწყის ხანაში ბუბერი მოგზაურობს მთელ გერმანიაში – კითხულობს ლექციებს, ასწავლის, მხნეობას შთააგონებს თანატომელებს, ცდილობს სულიერად დარაზმოს ისინი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. 1935 წელს მას აეკრძალება საჯარო გამოსვლები ებრაელთა თავყრილობებზე, მაგრამ

იგი კვაკერთა შეკრებებზე გადაინაცვლებს, სადაც იგი სიტყვით გამოდის მანამ, სანამ გესპატო იქაც არ აუკრძალავს სალექციო მოღვაწეობას.

ჯერ კიდევ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე ჰიტლერი, თავისი ავსტრიელი თუ გერმანელი მასწავლებლების კვალობაზე, პირობას დებდა, რომ გერმანელებს გაათავისუფლებდა სლავებისა და რომის კათოლიკე ეკლესიისაგან, – მათი არაგერმანულობის გამო და ებრაელთაგან, – მათი არაარიელობის გამო. ნაციონალ-სოციალისტური მმართველობის დამყარების შემდეგ კი რეჟიმი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მკაცრდება, – დევნიან ებრაელებს, კომუნისტებს, სოციალ-დემოკრატებს, ჰომოსექსუალებს, ბოშებს. 1938 წელს მარტინ ბუბერი გადაწყვეტს, მიატოვოს გერმანია და პალესტინაში გადასახლდეს. მას იერუსალემის ებრაულ უნივერსიტეტში სოციალური ფილოსოფიის პროფესორად იწვევენ, 1942 წელს კი გამოდის მისი პირველი წიგნი, დაწერილი ებრაულად, – "წინასწარმეტყველთა რწმენა".

წინაპართა მიწაზე დაბრუნებული ფილოსოფოსი ისევ თავისი ძველი იდეის ერთგული რჩება – შეიქმნას პალესტინის ორეროვანი (ებრაულ-არაბული) სახელმწიფო. სიცოცხლის ბოლომდე იგი ნაციონალისტური იმპულსების დათრგუნვას და კომპრომისებისათვის სასურველი ნიადაგის მომზადებას ქადაგებს. ბუბერს ირჩევენ ისრაელის მეცნიერებისა და ხელოვნებათა აკადემიის პრეზიდენტად, მის ღვაწლს აღნიშნავენ არაერთი ჯილდოთი, გულისყურით უსმენენ მის ლექციებს შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. მაგრამ მაინც, როგორც ყველა გამორჩეული და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი ადამიანისათვის, როგორც ადამიანისთვის, რომელმაც სიღრმისეულად იცის თავისი ერის ავიცა და კარგიც და ამიტომ უფლება აქვს დაინახოს და აღნიშნოს ეს ავი და კარგი, მარტინ ბუბერისთვისაც სიცოცხლის მიწურულს სულ უფრო ძნელდებოდა დიალოგი საკუთარ ერთან.

დიალოგის ფილოსოფიის ფუძემდებელი 1965 წლის 13 ივნისს იერუსალემში გარდაიცვალა.

1998, 2005

34

ალფრედ დებლინის ძიებანი და მოქცევა

ალფრედ დებლინი
Alfred Döblin
1878-1957

მეოცე საუკუნის გერმანული პროზის დიდოსტატთა შორის ალფრედ დებლინს გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება. ამიტომ, იმ მკითხველისათვის, ვისთვისაც ძვირფასია ის, რაც გერმანულად დაწერილა, ალფრედ დებლინის სახელი ძლიერ, შთამბეჭდავ და წარუშლელ მხატვრულ-ინტელექტუალურ განცდას უკავშირდება. გულდასაწყვეტია, რომ თვით მისი უმთავრესი ნაწარმოებებიც კი მწირადაა გადათარგმნილი უცხოურ ენებზე, – კერძოდ, ინგლისურად (რომელზეც, ფაქტობრივ, ყველა კითხულობს!), – რამაც უთუოდ ხელი შეუშალა მისი თხზულებების ფართო გავრცელებას, გაცნობასა თუ აღიარებას.

თუმცა, მეორე მხრივ, ისიც საყურადღებოა, რომ დებლინის წიგნების გატაცებულ მკითხველთა შორის აუცილებლად აღმოჩნდებიან მემარცხენეებიცა და მემარჯვენეებიც, ლიბერალებიცა და კონსერვატორებიც, მოდერნისტებიცა და ტრადიციონალისტებიც, მებრძოლი ათეისტებიცა და მართლმორწმუნე ქრისტიანებიც, მაგრამ არა იმის გამო, რომ ალფრედ დებლინის ან შემოქმედება, ან პიროვნული სტუქტურა, ან მსოფლმხედველობრივი სამყარო იყო ეკლექტიკური, არამედ იმიტომ, რომ მისი შინაგანი მეობა და შემოქმედება განუწყვეტლივ ვითარდებოდა, სახეს იცვლიდა, მდიდრდებოდა: ცხოვრებასა და ხელოვნებაში უცდომელი ჭეშმარიტების ძიებამ აგნოსტიკოსი, სოციალისტი და რევოლუციურ იდეათა მქადაგებელი ებრაელი ექიმი სიცოცხლის ბოლო ათწლეულებში კათოლიკური სარწმუნოების მხურვალე აღმსარებლო-

ბამდე მიიყვანა. ის, რაც პიროვნებისა და შემოქმედისათვის მთლიანი და ერთიანი იყო, – შედეგი და მონაპოვარი, – დებლინის მკითხველისათვის, შესაძლოა, ანტაგონისტური აღმოჩნდეს, მაგრამ საქმე ისაა, მისი ცხოვრების ცალკეული ფაქტებისა და მისი შემოქმედების ცალკეული ტექსტების მიმართ განსხვავებული ყურადღების მიუხედავად, მოქალაქისა და მწერლის გადაწყვეტილებაცა და სიტყვაც დაუნაწევრებელი, ინტეგრალურად განუყოფელი აღმოჩნდა.

* * *

წარუმატებელი ებრაელი კომერსანტისა და მკერავის ვაჟი – ალფრედ დებლინი შტეტინში (დღევანდელ შჩეცინში) დაიბადა, მაგრამ როცა მამამ ოჯახი მიატოვა, ათი წლის ჭაბუკი დედასთან და ოთხ და-ძმასთან ერთად ბერლინში აღმოჩნდა, – ქალაქში, რომლის, ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავი სიტყვიერი ასახვა დებლინს ეკუთვნის და რომელიც ამგვარი სახით დღეს მხოლოდ მწერლის რომანშიღა არსებობს, ქალაქში, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვანწილად მისი შემოქმედების სიმბოლოდ იქცა. ლაპარაკია დებლინის ყველაზე ცნობილ რომანზე, რომლის სახელშივე აღბეჭდილა ქალაქისა და ამ ქალაქის ერთი, მწერლისათვის ახლობელი უბნის სახელი: "ბერლინი, ალექსანდერპლაცი" (1929).

ბერლინისა და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში ფსიქიატრიისა და ნევროპათოლოგიის დარგში სამედიცინო განსწავლულობის ჟამს და, განსაკუთრებით, განსწავლის შემდეგ დებლინი სერიოზულად დაინტერესდება არა მარტო კლაისტისა და ჰელდერლინის პოეზიით, არამედ ფილოსოფიითაც, – კერძოდ, კანტის, შოპენჰაუერისა და ნიცშეს შეხედულებებით. სხვათა შორის, ღრმა ფილოსოფიური ცოდნა და ხედვა ცხადად მჟღავნდება დებლინის ადრეულ თუ მოგვიანო თხზულებებში. ამდენად, იგი მეოცე საუკუნის ინტელექტუალური რომანის ასპარეზზე ერთ-ერთ მძლავრ მონაწილედ ჩანს, და იგი არაფრით იჩრდილება თავისი გამორჩეული თანამემამულეების გვერდით თუ ახლოს.

მალე ახალგაზრდა დიპლომირებული ექიმი ჯერ ჟურნალისტობას, შემდგომ კი მწერლობას მიჰყოფს ხელს, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დროს იგი ისევ პროფესიონალ მედიკოსად მსახურობს. მწერლის ადრეული ნაწერები დღემდე გამოუქვეყნებული რჩება, მაგრამ სწორედ ომის დროს, 1915 წელს, გამოდის მისი პირველი რომანი "ვანგ-ლუნის სამი ნახტომი", მისტიკურ-ფილოსოფიური მოტივებით განმსჭვალული ნაწარმოები, რომლის მოქმედება მეთვრამეტე საუკუნის ჩინეთში ვითარდება. დღევანდელ ინტელექტუალ ჩინელ შემფასებელთა აზრით, რომანი წარმოადგენს "ჩინეთის ყველაზე საფუძვლიან და შთაგონებულ განსახოვნებას, რაც კი ოდესმე დაწერილა ევროპულ ენებზე". რომანს უმალ დიდი წარმატება ხვდა წილად, პირველ ყოვლისა, მწერლის სამშობლოში და ის ფონტანეს პრემიით აღინიშნა.

ნელ-ნელა დებლინის სახელი თუ მოთხრობები ცნობილი და მოხსენიებული ხდება ექსპრესიონისტთა შორის. ცოტა ხნით იგი თავადაც ექსპრესიონისტ მწერლებს მიაკუთვნებს თავს და ეს მიმდინარეობაც მისი ნაწარმოებებით წარმოჩინდება; პირადადაც იგი უმეგობრდება და უახლოვდება ბერტოლტ ბრეხტს, ერნსტ ტოლერს, ჰანს ჰენი იანს, იოზეფ როტს... თუმცა მალე ავანგარდისტი დებლინის ფიქრი და გრძნობა სხვა მიმართულებით მიისწრაფვის: ომის დამთავრებისთანავე იგი აქვეყნებს მონუმენტურ ისტორიულ დილოგიას ვალენშტაინის შესახებ ("ვალენშტაინი", 1920), რომელიც ნაწილობრივ ფრონტზე დაიწერა და რომელსაც გულისყურით აღსავსე საზოგადოებრივ-ლიტერატურული გამოხმაურება მოჰყვა. რამდენიმე წლის შემდეგ მკითხველი ეცნობა მწერლის კიდევ ერთ ახალ თხზულებას – ანტიუტოპიურ ანუ დისტოპიურ რომანს "მთები, ზღვები და გოლიათები" (1924), სადაც ნაჩვენებია მომავალ საუკუნეთა ტრაგიკული დაპირისპირება, ერთი მხრივ, ტექნიკურ განვითარებასა და, მეორე მხრივ, ადამიანსა და ბუნებას შორის.

გერმანულ ენაზე მოდერნისტული რომანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია ალფრედ დებლინის "ბერლინი, ალექსანდერპლაცი", რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა და რომელზეც რამდენადმე ჯოისისა და

დოს პასოსის წერის ტექნიკის გავლენაც აირეკლა. მაგრამ მონტაჟის მეთოდით შექმნილ წიგნში, სადაც გაზეთებიდან ამონაწერების გვერდით ანტიკური თუ ბიბლიური გარდათქმანია მოთავსებული, წერის ოსტატობის მანამდე გამოუყენებელ შესაძლებლობათა გამოხატულების გარდა, შესამჩნევია მწერლის მყარი ეთიკური პოზიციაც, მით უმეტეს, როცა ნაწარმოების მთავარი გმირი, ფრანც ბიბერკოპფი, კრიმინალური სამყაროს ნაყოფი და მსხვერპლია.

გერმანიის კანცლერად ჰიტლერის არჩევის შემდეგ ამ დროისათვის მეტად აღიარებული მწერალი ტოვებს გერმანიას და ჯერ შვეიცარიაში გაემგზავრება, შემდგომ კი – საფრანგეთში დასახლდება. გავლენიან მფარველთა დახმარებით, მალე იგი საფრანგეთის მოქალაქეობასაც იღებს, მაგრამ როცა ქვეყანას გერმანული ოკუპაციის საფრთხე დაემუქრება, იგი, მეუღლესა და ოთხ შვილთან ერთად, ლისაბონის გავლით, ამერიკაში გაემგზავრება და იქ დასახლდება. კალიფორნიაში მცხოვრები გერმანელი რომანისტი თავს ჰოლივუდში კინოსცენარისტად მუშაობით ირჩენს.

ამ დროს ევროპიდან მოდის ტრაგიკული ცნობა, რომ მისი ოცდახუთი წლის ვაჟი, საფრანგეთის არმიის ოფიცერი და სორბონის დოქტორი, თავს იკლავს, რათა ხელთ არ ჩაუვარდეს გერმანელ ნაციონალ-სოციალისტებს.

1941 წელს ალფრედ დებლინი და მისი მეუღლე რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღს მიაშურებენ. მანამდეც მის პირად ცხოვრებაშიც, მის შემოქმედებაშიც ნელ-ნელა ცხადდებოდა კათოლიკური ორიენტაცია, მსოფლმხედველობაც თანდათანობით დასაყრდენს კათოლიკურ მოძღვრებაში პოვებდა. ამიერიდან კი მწერალი თავისი საქმიანობის მიზნად ირჩევს კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებასა და დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურაში, ლიტერატურაში.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაწყებულ რომანებში მჟღავნდება მწერლის რელიგიური მიდრეკილება: სამხრეთ ამერიკაში კათოლიკური მისიის დაუცხრომელ შრომას, ინდიელთა გადასარჩენად იეზუიტთა თავგანწირულ ბრძოლას ასახავს ამაზონიური ტრილოგია – "უსიკვ-

დილო მიწა", "ლურჯი ვეფხვი" და "ახალი ტევრი" (1937-1948); კათოლიკური თვალსაწიერიდანაა დანახული გერმანიის რევოლუციური მოვლენები ტეტრალოგიაში "1918 წლის ნოემბერი" (1939-1950).

დებლინის პროზაულ თხზულებათა ცენტრალური პერსონაჟები მისტიკური სწრაფვებით გამორჩეული და, საერთოდ, გარემოსაგან გამორჩეული ადამიანებია, მაგრამ მათი ცხოვრებისა და მათი გარემოს ჩვენებით მწერალი საზოგადო წესრიგის აღმოჩენას ცდილობს, ადამიანური საზოგადოების მოწყობის საყოველთაო ნიმუშს ეძიებს. რომანების იმ ციკლშიც, რომელიც პარაგვაიში მეჩვიდმეტე საუკუნეში იეზუიტური რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის იშვიათ, შთამაგონებელ გამოცდილებას აღწერს და იმ ციკლშიც, რომელიც პირველი მსოფლიო ომისშემდგომ გერმანიაში ადამიანთა მასების ამბოხებას ასახავს, გერმანელი კათოლიკე რომანისტი ცხოვრების უმთავრეს საფუძველს თავგანწირვის პარადოქსში პოულობს: როცა ადამიანი უარს ამბობს პირადულზე, ამით იგი თავს დაიხსნის ბუნების კანონების მექანიზმისაგან, რაც მას საშუალებას აძლევს, თავისუფლება მოიპოვოს საკუთარი სულიერი მეობის სრულად გამოსავლენად...

ომის დამთავრების უმალ, ამერიკული ექსორიის დასრულების შემდეგ, იგი როგორც საფრანგეთის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, გერმანიას მოაშურებს. ხუთი წლის მანძილზე (1946-1951) მწერალი ყოველთვიურად გამოცემს კათოლიკური მიმართულების ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ჟურნალს – "Das goldene Tor".

პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოვლენებით გაწბილებული დებლინი 1953 წელს საცხოვრებლად ისევ საფრანგეთში, პარიზში, გადადის. დამბლადაცემული მწერალი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1957 წელს გარდაიცვალა.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე კი, 1956 წელს, ქვეყნდება მისი ყველაზე მნიშვნელოვანი უწყება თანამედროვე გერმანელი თუ ევროპელი საზოგადოებისათვის, – მისი უკანასკნელი რომანი "ჰამლეტი, ანუ გრძელი ღამე დასასრულს უახლოვდება", რომელიც ათი წლით ადრე, კალიფორნიაში, დაიწერა.

ღირსშესანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ან მისი დამთავრების შემდეგ იწერება და ქვეყნდება ის უკეთესთა შორის უკეთესი რომანები, რომლებიც გერმანულ ენაზე ოდესმე დაწერილა. ალფრედ დებლინის ბოლო რომანიც ამ რიგში დგას და აქ ერთმანეთის – და "ჰამლეტის" – გვერდით უნდა წარმოვიდგინოთ თომას მანის "დოქტორი ფაუსტუსი", ჰერმან ბროხის "ვერგილიუსის სიკვდილი", ჰერმან ჰესეს "თამაში რიოში მარგალიტებით", ჰანს ჰენი იანის "უნაპირო მდინარე"...

დებლინის რომანში ომიდან საკუთარ სახლს, – წარმატებული და კეთილმოწყობილი ინგლისელი მწერლის, გორდონ ელისონის, ოჯახს, – უბრუნდება მწერლის ვაჟი ედვარდი, დახეიბრებული ჯარისკაცი, რომლის სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას თხრობით მკურნალობენ ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები... ავადმყოფის სარეცელთან საღამოობით შეკრებული ცალკეული პერსონაჟები ხელახლა ყვებიან ძველ ბერძნულ მითოსსა თუ შუასაუკუნეობრივ საგას, ლეგენდურ გადმოცემასა თუ შექსპირულ სიუჟეტს, ჰაგიოგრაფიულ მოთხრობასა თუ რომანტიკულ ისტორიას. მართალია, როგორც გაირკვევა, ეს ამბები მინიშნებით ოჯახისა თუ გარშემო მყოფთა ცხოვრებას ასახავს, მაგრამ შინ დაბრუნებული ჯარისკაცი მაინც ჰამლეტური დაჟინებით ცდილობს ხალასი სიმართლის ჩაწვდომას – იგი დაუცხრომლად წამოჭრის მტკივნეულ შეკითხვებს: საკუთარი ოჯახისა და ქვეყნის, ევროპის მისიისა და საყოველთაო ძალადობის, ისტორიისა და კულტურის, განგებისა და სამართლიანობის, ბრალისა და სინანულის შესახებ. ნელ-ნელა ოჯახში ტრაგედია შემოაბიჯებს. მაგრამ ტკივილის გავლით, ტანჯვის პირისპირ თანდათანობით გაცხადდება მეტაფიზიკური წესრიგი, რომლის გაცნობიერება მხნეობას ჩაჰბერავს დაღდასმული და სასოდაკარგული ყოფილი ჯარისკაცის პიროვნულ მეობას, გამოაცოცხლებს მის მიძინებულ ნებას და ახალგაზრდა კაცს ახალი ცხოვრების დაწყების იმედს მოუტანს.

განსხვავებულ მხატვრულ თუ მსოფლმხედველობრივ, იდეურ თუ რელიგიურ ძიებათა შემდეგ ალფრედ დებლინმა, მოქცევისა და მყარი სულიერი საყრდენის მოპოვების

შედეგად, თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში იმ ნამდვილ ხედვას, აღქმასა და განცდას მიაღწია, რომელიც მის უკანასკნელ რომანში "ჰამლეტი, ანუ გრძელი ღამე დასასრულს უახლოვდება" მხატვრულ სრულყოფილებად აირეკლა.

2007

35

რომანო გვარდინი
თეოლოგიასა და ლიტერატურას შორის

რომანო გვარდინი
Romano Guardini
1885-1968

რომანო გვარდინის შემოქმედების არათუ საფუძვლიანი გაცნობა, არამედ მისი ნაწერებისათვის უბრალოდ თვალის გადავლებაც კი უთუოდ წარმოშობს გაკვირვებას, თუ რამდენი კითხვის დასმა ან საკითხის მოცვა არის შესაძლებელი ერთი ადამიანური ცხოვრების განმავლობაში, თუ ამ კითხვებზე რამდენი საფუძვლიანი და ღრმა პასუხის გაცემა ხერხდება.

რომანო გვარდინი უკვე ჩამთავრებული, მეოცე საუკუნის იმ დიად სულებს განეკუთვნება, – გაბრიელ მარსელთან, ჟაკ მარიტენთან, მაქს შელერთან, კარლ იასპერსთან, ნიკოლაი ბერდიაევთან, ჰანს ურს ფონ ბალთაზართან ერთად, – რომელთაც ორი მსოფლიო ომის ახლომახლო ევროპული აზროვნების ჰორიზონტსა და ორიენტაციას განსაკუთრებული სულიერი სიღრმე და განზომილება მიანიჭეს. მეოცე საუკუნის შემაძრწუნებელი კატასტროფების ფონზე მათი აზროვნების მასშტაბებმა განაპირობა ის, რომ თანამედროვე ადამიანმა მათს აზროვნებაში სულიერი განახლებისა და სიმყარის სანდო წყარო აღმოაჩინა. არაერთი მაძიებელი სულისათვის აღმოჩნდა ახლობელი ეთიკური, ესთეტიკური თუ ინტელექტუალური ძიებებისას ძველი, სანდო გზების ხელახალი აღმოჩენა, შეფასება თუ დაფასება, ევროპული კულტურის საწყისებისა და საფუძვლებისაკენ მიბრუნება. სულის ამ დიად მოღვაწეთა მიზანი იყო იმ ბილიკების მიგნება, რომელიც ადამიანს საკუთარი თავის გაგებაში დაეხმარებოდა, – დაეხმარებოდა სამყაროს არსის თუ ამ სამყაროში ადამიანის ადგილის ამოცნობაში.

იტალიურ ვერონაში 1885 წლის 2 თებერვალს დაბადებული რომანო გვარდინი გერმანიაში იტალიის კონსულის ვაჟი იყო. ამიტომ მან გერმანიაში არა მარტო სასკოლო თუ საუნივერსიტეტო განათლება შეიძინა, არამედ მთელი ცხოვრებაც იქ გაატარა და მისი მრავალრიცხოვანი წიგნებიც გერმანულადაა დაწერილი, – თან იმგვარი გერმანულით, რომ ისინი, შემფასებელთა თვალსაზრისით, ენობრივი ოსტატობის ნიმუშებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. რომანო გვარდინის შესახებ არაერთხელ თქმულა, რომ იგი იტალიური გულისა და გერმანული გონების თეოლოგი იყო, – და ეს დახასიათება, ალბათ, უსაფუძვლო არ უნდა ჩანდეს, თუ გავითვალისწინებთ მის ფაქიზ გრძნობას ფორმის სიმშვენიერის მიმართ და დაუფარავ სწრაფვას ნამდვილი რომანული გამჭვირვალობისაკენ. ამავე დროს, განათლების მოპოვებისას მან ადვილად გაითავისა გერმანული აზროვნების სიღრმე და საფუძვლიანობა, რაც მის წიგნებსაც არასოდეს მოჰკლებია.

თავდაპირველად, სიჭაბუკეში, რომანო გვარდინის ბუნებისმეტყველება იტაცებდა და პროფესიის არჩევასაც ამ მიმართულებით აპირებდა. რამდენიმე სემესტრი იგი ბიოლოგიასა და ეკონომიკას სწავლობდა, მაგრამ მალე იგრძნო სამღვდელო მოღვაწეობის მოწოდება. ამიტომ მან თეოლოგიური განათლების მიღება გადაწყვიტა, რისთვისაც ფრაიბურგისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტებს მიაშურა. იმავე წლებში, როცა, უნივერსიტეტებში სწავლის გარდა, სულიერი საზრდოს მისაღებად იგი ხანგრძლივად ცხოვრობდა ხოლმე მონასტრებშიც, გვარდინი სოკრატესა და პლატონის მიმართ მგზნებარე სიყვარულით აენთო, – იმ სიყვარულით, რომელიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა.

1910 წელს ოცდახუთი წლის გვარდინი მღვდლად ეკურთხა და ათი წელი სასულიერო სამსახურს ეწეოდა. შემდგომში, თეოლოგიის დოქტორანტურის კურსის გავლის შემდეგ, დისერტაციის დაცვის შედეგად, მან კათოლიკური დოგმატიკის დოცენტურა მოიპოვა ბონის უნივერსიტეტში.

ამ დროს მთელი მისი სულიერ-ინტელექტუალური განვითარება განაპირობა მჭიდრო კავშირმა ახალგაზრდულ

მოძრაობასთან, როცა სრულად გამოვლინდა მისი უნარი, სულიერი საზრდო მიეცა მოწადინე ადამიანებისათვის, კერძოდ, გერმანიის აკადემიურ-სტუდენტური ახალგაზრდობისათვის, ამასთანავე, გვარდინიმ შეძლო ღრმად და უშუალოდ ჩასწვდომოდა პირველი მსოფლიო ომის საშინელებებით თავგზააბნეული, დამფრთხალი და დაქსაქსული ახალგაზრდების პრობლემებსა თუ ძიებებს. იგი მზად იყო ყველგან შეხვედროდა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, – ტაძარში, უნივერსიტეტის აუდიტორიაში, დისკუსიებისა და დისპუტების დროს, ქალაქგარეთა ექსკურსიაზე თუ სულიერი წვრთნისას. სწორედ ამ შეხვედრების, ამ საუბრების საფუძველზე აღმოცენდა გვარდინის მომცრო წიგნები, რომელიც საღმრთისმეტყველო-პედაგოგიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს განეკუთვნება.

ახალგაზრდებთან ინტენსიურმა კონტაქტებმა მალე დაარწმუნეს თავადაც ახალგაზრდა ღმრთისმსახური, რომ ჭაბუკებისა და ქალიშვილებისაგან შემდგარი ცოცხალი ქრისტიანული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მათი შემოკრება საღმრთო ლიტურგიის, ღმრთისმსახურების ირგვლივ. გვარდინის თვალსაზრისით, სწორედ ამ დროს უნდა განხორციელდეს საღმრთო სიტყვის თუ სიმბოლიკით აღსავსე ლიტურგიკულ ქმედებათა და საგანთა ის ძლიერი ზემოქმედება, რომელმაც ახალგაზრდის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბება უნდა განაპირობოს. ამის შემდეგ ღმრთისმსახურების აღორძინება გვარდინის საცოცხლო საქმედ იქცევა. მის განსახორციელებლად იგი ორი მიმართულებით იღვწის: ერთია – მორწმუნეთა იმგვარად აღზრდა და ჩამოყალიბება, რომ ისინი უკეთ იყვნენ მომზადებულნი ღმრთისმსახურებაში მონაწილეობის მისაღებად, ამასთანავე, მცდელობა, რათა მრევლისათვის თითქმის უკვე გაუგებარი ლიტურგია ისევ გახდეს მორწმუნეთა სულიერი აღდგომის, სულიერი წინსვლის წყარო და საწინდარი. გვარდინის წიგნმა "ლიტურგიის სული" გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ლიტურგიკული თეოლოგიის ჩამოყალიბებაზე.

რომანო გვარდინის განსაკუთრებულმა უნარმა, თუნდაც ყველაზე რთული თეოლოგიური და ფილოსოფიური

საკითხების შესახებ თქმულიყო გასაგებად, მისაწვდომად და მიმზიდველად, მისმა გამორჩეულმა პედაგოგიურმა აღლომ, ენის ფლობის უმაღლესმა კულტურამ, რომელიც ავტორს საშუალებას აძლევდა ოსტატურად და ზუსტად გამოეთქვა მეოცე საუკუნის ადამიანის მთავარი პრობლემები, განაპირობა ის, რომ გვარდინის მცირე მოცულობის, მაგრამ დატვირთული, მჭიდრო, მედიტაციური წიგნები ფართოდ გავრცელდა ევროპელ მკითხველთა შორის. მათი უმრავლესობა, მათ შორის წიგნი მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების შესახებ – "უფალი" – ასიათასობით ტირაჟითაა გამოცემული ევროპის ყველა ცივილიზებული ერის ენაზე.

20-იანი წლებიდან რომანო გვარდინის კვლევითი მუშაობა გადაინაცვლებს რელიგიის ფილოსოფიისა და კულტურის ისტორიისაკენ. გამოდის მისი სახელგანთქმული წიგნები პლატონის, ავგუსტინეს, დანტეს, პასკალის, ჰელდერლინის, კირკეგორის, დოსტოევსკის, რილკეს შესახებ. გვარდინის მიიწვევენ პროფესორად ბერლინის უნივერსიტეტში, მაგრამ, როგორც კი ქვეყანას ნაციონალ-სოციალისტები ჩაუდგებიან სათავეში, მას იქიდან უმალ დაითხოვენ. ომის განმავლობაში მისი ერთადერთი წიგნი იბეჭდება – სოკრატეს სიკვდილის შესახებ.

მისი ნაწერები ლიტერატურისა და კულტურის შესახებ არა მარტო კულტურის ისტორიკოსთათვისაა საინტერესო, – საყოველთაოდაა აღიარებული, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მრავალ ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ ნაშრომზე. რომანო გვარდინის წიგნებში წარმოჩენილია ქრისტიანი მოაზროვნის პოზიცია ჩვენი ეპოქის მოზღვავებულ იდეოლოგიათა პირობებში, იმ გარემოში, როცა *სიყვარული, მადლი, ცოდვა, სინანული* თუ სხვა ქრისტიანული ფუნდამენტური ცნებები ოდენ სუბიექტური გრძნობების გამოვლინებადაა მიჩნეული.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე რომანო გვარდინის იწვევენ ჯერ ტიუბინგენის, ხოლო შემდგომ მიუნხენის უნივერსიტეტების პროფესორად, სადაც იგი სიკვდილამდე მოღვაწეობს. სიცოცხლის მიწურულს მას ფართო აღიარება და დაფასება ხვდა წილად. მას მიენიჭა მრავალი ევროპული პრემია და ჯილდო, ამავე

დროს, შესთავაზეს კარდინალის ბერეტი, რაზეც თავისი უარი ხუმრობით იმით ახსნა, რომ არ ეხალისებოდა საზეიმო ცერემონიისას საგანგებო, საზეიმო ტანსაცმლით შემოსვა.

თავის მოღვაწეობაში, ლექციებში, წიგნებში რომანო გვარდინი ცდილობდა წარმოეჩინა და ხაზი გაესვა, თუ რა არის ქრისტიანული ეკლესიის ჭეშმარიტი მოწოდება, არსი, საფუძველი, გაეწმინდა ის საუკუნოვანი დანალექებისაგან, ნათელეყო ქრისტიანობის ისტორიული და მარადიული განზომილება და მისი გადამწყვეტი მნიშვნელობა დღევანდელი თუ ხვალინდელი დღის მწვავე კითხვებზე პასუხების ძიებისას.

ოთხმოცდასამი წლის რომანო გვარდინი 1968 წლის 1 ოქტომბერს მიუნხენში გარდაიცვალა.

1998

36

ჰერმან ბროხი: მწერლობა ჭეშმარიტების შესამეცნებლად

ჰერმან ბროხი
Hermann Broch
1886-1951

ჰერმან ბროხის ცხოვრება შეცვლის ნიშნითაა აღბეჭდილი: ბროხმა, ავსტრიელმა ებრაელმა მრეწველმა, თანდათანობით შეიცვალა თავისი საქმიანობა, სარწმუნოება, მოქალაქეობა. სიცოცხლის დასასრულისას იგი შეერთებულ შტატებში მცხოვრები გერმანულენოვანი მწერალი იყო, რომელიც აღმსარებლობით რომის კათოლიკე ეკლესიას მიეკუთვნებოდა. არა მარტო იმათთვის იყო მოულოდნელი მისი ეს ცვლილებანი, ვინც მას სიყმაწვილეში თუ მოწიფულობაში – ახლოდან თუ შორიდან – იცნობდა, არამედ თავად მასაც ჭოჭმანითა და მტკივნეულად მოუხდა იმ პიროვნულ გადაწყვეტილებათა მიღება, რომელთაც ასე მოუბრუნებლად შეცვალეს მისი ყოფა, ყოველდღიურობა, ცხოვრების წესი თუ ფასეულობანი.

მამამისი იოზეფ ბროხი, წარმოშობით მორავიელი ებრაელი, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა (და ერთ ხანს მილიონერიც!) იყო, რის გამოც მის უფროს ვაჟს – ჰერმანს – ბუნებრივად ევალებოდა მამისეული საქმის გაგრძელება, რასაც იგი სიჭაბუკიდან 40 წლამდე არცთუ წარუმატებლად ახორციელებდა: ჯერ საფეიქრო საქმის ინჟინრობას პროფესიულად დაეუფლა და საგანგებო დაზგაც შექმნა, შემდგომ კი საოჯახო ფაბრიკათა ქსელს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ თავის ნამდვილ მოწოდებად ბოლოს და ბოლოს მან მაინც მწერლობა და ფილოსოფოსობა მიიჩნია; 1886 წლის 1 ნოემბერს ბროხი ებრაელად დაიბადა, მაგრამ ახალგაზრდობაშივე – ოც წელს გადააბიჯა თუ არა – მთელი შეგნებითა და მთელი ცხოვრებით მიიღო

კათოლიკური სარწმუნოება; ოჯახსა და გარემოში იგი ავსტრიელად ჩამოყალიბდა და ცხოვრების უმთავრესი ნაწილი ავსტრიაში გაატარა, მაგრამ ნახევარ საუკუნეს იყო გადაცილებული, როცა თავისი სამკვიდროს დატოვება და ოკეანის იქით გადასახლება მოუხდა, რადგანაც მისმა სამშობლომ იმჟამად საერთოდ შეწყვიტა პოლიტიკური არსებობა და ჰიტლერული "მესამე რაიხის" შემადგენლობაში აღმოჩნდა.

მართალია, სამრეწველო საქმიანობაზე საბოლოოდ და მოუბრუნებლად ბროხმა მხოლოდ 1927 წელს აიღო ხელი, როცა მან მთლიანად გაასხვისა საკუთარი ქონება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მანამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, შეუდგა მწერლობისათვის მზადებას, რისთვისაც უპირველეს პირობად განათლების გაფართოება და გამყარება მიიჩნია. მაშინ იგი ვენის უნივერსიტეტის სტუდენტის მერხს მიუჯდა და ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ფიზიკის შესწავლას ჩაუღრმავდა; ამასთანავე, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო კლასიკურ თუ ცოცხალ ენებს, მათ შორის, ჩეხურს, რომელშიც მას პრაჰელი ჟურნალისტი და ლიტერატორი მილენა იესენსკა წვრთნიდა, – ფრანც კაფკას სატრფო. სწორედ იმ ხანებში ქვეყნდება ბროხის პირველი ნაბეჭდი ტექსტები (მათ შორის, ერთი უღიმღამო კოლექტიური რომანის ერთი თავი), რომლებიც არც დიდი ოსტატობით გამოირჩეოდა და რომელთაც არც დიდი გამოხმაურება მოჰყოლია.

თითქმის ოცი წლის შემდეგ, – მას შემდეგ, რაც მან პროფესიული მწერლის ცხოვრება აირჩია, – იგი, უკვე არცთუ ყმაწვილი, კიდევ ერთხელ მიუბრუნდა უნივერსიტეტის აუდიტორიას, ლოგიკასა და მათემატიკას, და სამზადისსაც შეუდგა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. თუმცა მალე ყველაფერს, რაც მწერლობას უშუალოდ არ ეხებოდა, იგი მაინც გვერდზე გადადებს და იმ დროიდან შეუჩერებლად, განუწყვეტლად, სულმოუთქმელად – თითქოს დაკარგულის ასანაზღაურებლად – წერს, წერს, წერს...

ფაქტობრივად, მწერლობას ჰერმან ბროხი ორმოცი წლის ასაკში იწყებს, ხოლო პირველ რომანს კი ორმოცდახუთი წლისა აქვეყნებს, მაგრამ მისი შემოქმედებითი

ინტენსიურობა და უშეღავათობა სიცოცხლის ბოლომდე აღარ ნელდება. თანდათანობით ევროპასა თუ ამერიკაში გამოდის მისი რომანები: "მთვარეულნი", "უცნობი სიდიდე", "ვერგილიუსის სიკვდილი", "უდანაშაულონი"; იბეჭდება ნოველები, ლექსები, დრამები, ლიტერატურული და ფილოსოფიური ესეისტიკა, სტატიები საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საკითხებზე, ვრცელი ლიტერატურულ-კულტურული გამოკვლევები ჯეიმს ჯოისისა და ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის შესახებ; მისი სიკვდილის შემდეგ საოჯახო არქივში აღმოჩნდება დაუმთავრებელი დიდი რომანი "ხიბლი" (ანუ, სხვაგვარად, "სამთო რომანი") და ვრცელი გამოკვლევა მასის ფსიქოლოგიის შესახებ (ბროხის კვალზე, ამგვარ ნაშრომს მოგვიანებით ელიას კანეტი დაწერს); შენახულია და გამოიცა მწერლის მიმოწერა თომას მანთან, ალბერტ აინშტაინთან, ჰანა არენდტთან, სადაც ბროხის ლიტერატურული ოსტატობა და სულიერი წვდომანი თითქოს მოულოდნელ სიმაღლეებს აღწევს, რაც უჩვეულო არ უნდა იყოს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მას პირადი წერილი ცალკე ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ჟანრად მიაჩნდა.

ეს გასაკვირი არცაა, რადგან ბროხის ნებისმიერ ტექსტში ერთმანეთს თანახმიერად ერწყმის მხატვრული სიტყვა და აზროვნებითი განსჯა, თუმცა მწერალს ზოგჯერ ბრალსაც კი სდებდნენ, რომ ნოველა თუ რომანი, დრამა თუ ლექსი მისთვის გარკვეული ფილოსოფიური კონცეპტის (თუ კონცეპტების) ოდენ ილუსტრაცია იყო...

იმავე დღეს, 1938 წლის 12 მაისს, როცა რაიხის ჯარებმა ვენა დაიკავეს, – რასაც ავსტრიის "ანშლუსი" (მიერთება) მოჰყვა, – ბროხი გესტაპოს ციხეში აღმოჩნდა. მას, შესაძლოა, სიკვდილით დასჯაც არ ასცდენოდა, რომ არა ევროპელ ინტელექტუალთა, – პირველ რიგში, ჯეიმს ჯოისის, თომას მანისა და ალბერტ აინშტაინის, – ჩარევა, რომელთა შემწეობითაც მან მალე დატოვა კონტინენტური ევროპა. იგი ჯერ დიდ ბრიტანეთში ჩავიდა, შემდგომ კი, შემოდგომაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში დასახლდა. სწორედ იქ, ნიუ ჰეივენში, კონექტიკუტში, 1951 წლის 15 მაისს, თორმეტწლიანი ექსორიის შემდეგ, გულის უკმარისობის შედეგად შეწყდა 64 წლის მწერლის სიცოცხლე.

როგორც ამბობენ, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იგი ისევ მნიშვნელოვან ცვლილებათათვის ემზადებოდა...

თავისი ლიტერატურული საქმიანობის განმავლობაში ჰერმან ბროხს არასოდეს გამოუვლენია რამე მცდელობა, მის ნაწერებისა და, მით უმეტეს, მისი პიროვნების მიმართ საზოგადოებრივი ყურადღება ყოფილიყო მიპყრობილი. იგი ყოველთვის ეჭვით იღებდა ყოველგვარ – თუნდაც შემთხვევით – საჯარო წარმატებას და, თუკი საკუთარ ცხოვრებაში ამგვარი წარმატების სულ მცირე გაელვება მაინც შეუნიშნავს, დაუხანებლად შეშფოთებულა და აფორიაქებულა საკუთარი ნაღვაწის ნამდვილი ღირებულების გამო.

* * *

ჰერმან ბროხის უმნიშვნელოვანესი და, საერთოდ, მეოცე საუკუნის რომანისტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, "ვერგილიუსის სიკვდილი", ამერიკაში შეიქმნა, მაგრამ მისი ჩანაფიქრი ვენური პატიმრობისას წარმოიშვა, – სიკვდილის პირისპირ სამკვირიანი დგომისას. რომანი, რომელიც მწერლის უფრო ადრეული ნოველის "ვერგილიუსის დაბრუნების" (1937) თემატურ განვრცობასა და გადამუშავებას წარმოადგენს, თავდაპირველად 1945 წელს გამოქვეყნდა ინგლისური თარგმანის სახით, რომელსაც მხოლოდ შემდგომ მოჰყვა გერმანული ორიგინალის გამოცემა. მაშინვე, – როგორც ლიტერატურულ, ისე პოლიტიკურ წრეებში, – წამოიჭრა საკითხი მისთვის ნობელის ლიტერატურული პრემიის მინიჭების შესახებ, თუმცა ეს მცდელობა და წარდგენა უშედეგოდ დამთავრდა. არსებობს გადმოცემა, თითქოს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას გამარჯვებული ამერიკელები ამ წიგნის მასობრივად დაბეჭდვას და ყველა გერმანელისათვის მის უსასყიდლოდ დარიგებას აპირებდნენ...

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ, სიცოცხლის მიწურულს, ბროხი კიდევ აქვეყნებს თავის მორიგ შედევრს, – სტრუქტურულად უჩვეულოდ აგებულ, ფორმობრივად სხვადასხვაგვაროვან რომანს, – "უდანაშაულონი" (1950), მაინც, სწორედ "ვერგილიუსის სიკვდილი" აჯამებს, აერ-

თიანებს და ამთლიანებს მწერლის ლიტერატურულ საქმიანობას და სწორედ ეს ტექსტი მოიცავს ყველა იმ მწვავე თუ მტკივნეულ თემას, რომელთა გადაწყვეტა ცხოვრებისეულად აღელვებდა ჰერმან ბროხს.

"ვერგილიუსის სიკვდილი", ვრცელი და რთული რომანი, დაწერილი პოეზიისა და პროზის ზღვარზე, კლასიკური და მოდერნისტული სტილების გადაკვეთაზე, "ენეიდის" შემოქმედის უკანასკნელ დღეს ასახავს: პოეტის მგზავრობასა და ბრინდიზიუმში ჩასვლას, მის გახსენებებსა და ხილვებს, გამომშვიდობებას ახლობლებთან, მიწიერ ქვეყანასთან, სიცოცხლესთან, მის თანდათანობით კვდომასა და ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნად გადასვლას... მაგრამ წიგნის ფურცლები, ხშირად გამსჭვალული დითირამბულ-პროფეტული ტონით, – თითქოს ჰელდერლინის ან შტეფან გეორგეს ლირიკული სტრიქონები რომანის უწყვეტ ფურცლებად გაშლილა, – უწინარეს ყოვლისა, თავად ბროხის ფიქრებისა და განსჯათა ანარეკლია, მისი გონებისა და გულის მიერ იმხანად მოუგვარებელ-საყოყმანო საკითხებზე პასუხის მოპოვების მცდელობა.

სიცოცხლის მიწურულში მდგომი რომაელი მელექსე იმ დასკვნამდე მიდის, რომ მისი უმთავრესი საქმე, თითქმის დამთავრებული პოემა, უნდა განადგურდეს, რადგან ის ხოტბას ასხამს, განადიდებს, აქებს, – უწინარეს ყოვლისა, რომის იმპერიასა და მის შემქმნელებს, – მაგრამ ხოტბა არ შეიძლება იყოს პოეზიის საგანი. საზოგადოდ, ხელოვნების მიზანი უნდა იყოს ნამდვილი ასახვა და ნამდვილი გაგება, და შედეგად – შემეცნება, რასაც ჭეშმარიტების წვდომა მოჰყვება, ხოლო თუნდაც "ენეიდა", თუნდაც სხვა ამგვარი პოეზია, სულისა და გონების წარმტაცი სტრიქონები, სახალისო მოსასმენად თუ წასაკითხად, ემსახურება ოდენ ტკბობას, ოდენ სილამაზეს და არა შემეცნებას... (რომანის ავტორმაც ცხოვრების დასასრულისათვის დააპირა, უარი ეთქვა ლიტერატურაზე, შეთხზვაზე, მხატვრულ შემოქმედებაზე; იმ ხანებში იგი მთელ თავის ინტელექტუალურ თუ ფიზიკურ ძალებს უძღვნიდა იმას, რაც მას ადამიანისა და საზოგადოების უშუალო სამსახურად მიაჩნდა: ერთი მხრივ, კვლევებს პოლიტიკური ფილოსოფიის დარგში, ხოლო, მეორე მხრივ, მუშა-

ობას ლტოლვილებთან და მათთვის საჭირო დახმარების აღმოჩენას.)

მაგრამ ისიც ცხადია, რომ შემეცნების მიღწევა, საგანთა და მოვლენათა ძირებისა და არსის წვდომა არ იწვევს ერთობას გვერდით მყოფ ადამიანებთან, ადამიანურ გარემოსთან, თანამოქალაქეებთან, იმათთან, ვისთვისაც ქმნის ნაწარმოებს ის შემოქმედი, რომელიც თავად მისწვდომია ჭეშმარიტებას. რაკი ჭეშმარიტება მძაფრი და მკვეთრია, საზღვრისა და ნაპრალის მიმანიშნებელია, მოულოდნელია თავის მოსალოდნელობაში, უჩვეულოა თავის ჩვეულებრივობაში, რთულია თავის სისადავეში, ამიტომაც იგი, ვინც თუნდაც მიუახლოვდა მას, ვინც თუნდაც მონიშნა მისკენ მიმავალი გზა, ძნელად პოულობს საერთო ენას იმათთან, ვინც ამ შემეცნებიდან ჯერ ისევ – ნებსით თუ უნებლიეთ – შორია. ამის გამო ნამდვილი შემმეცნებელი, – ნამდვილი პოეტი, – ვერ აგებინებს, ვერ ატყობინებს თავის სათქმელს იმათ, ვისთვისაც აგრე მხურვალედ, ამგვარი აღტაცებით სწადია თავისი ხმის, თავისი უწყების მიწვდენა. თავის საბოლოო გზაზე, ნავთსაყუდლიდან სასახლისაკენ, ვერგილიუს მარონი ცხადად ხედავს ადამიანთა იმ მრავალრიცხოვან წყებას, ვინც დამცინავად, ამრეზით, კრულვით ეგებება იმპერიის საზღვაო ქალაქში სასიკვდილოდ ჩამომხდარ პოეტს. იგი ხვდება, რომ არც პოეზიით გამოხატული მისი სათქმელი და არც ამ პოეზიის უარყოფა ჭეშმარიტების სანაცვლოდ არაფრად ანაღვლებთ იმათ, ვისი ჩრდილებიც მომაკვდავის თვალწინ ქუჩაბანდებსა და სარკმლებში გაკრთება, – ქალაქის მცონარა, უქნარა მცხოვრებთ, უსახურთ, მოწყვეტილთ ნიადაგსა და წინაპრებს, ჯანსაღ შრომასა და გარჯას. მაგრამ თითქოს ხომ მათ ახლოს ცხოვრობდა, თითქოს ხომ მათთვის წერდა თავის სტრიქონებს "ბუკოლიკებისა" და "გეორგიკების" ავტორი...

იმადაც ჩააყენა მან თავისი პოეზია განდიდებისა და სილამაზის, სილამაზისა და განდიდების სამსახურში, იმადაც აქცია ლათინური სიტყვების შეწყობილი თანმიმდევრობა თავისთავად სიმშვენიერედ, იმიტომაც ქმნიდა ასე და ამგვარად, რომ დარწმუნებული იყო, სჯეროდა, რომ სწორედ ამას ელოდნენ, სწორედ ამას მოითხოვდნენ

მისგან, – თუნდაც უთქმელად, თუნდაც გამოუსატველად, – ისინი, ვისთვისაც მისი პოეზია ძვირფასი უნდა ყოფილიყო, ვისაც მისი პოეზია უნდა დასჭირვებოდა.

ამჯერად კი პოეტი, რომელიც შეუმცდარად გრძნობს სიცოცხლის დაწრეტას, ცდილობს თავისი მიწვდომა – რაც მან სულ ახლახან გაიგო და დაალაგა – განუმარტოს ყველაზე ახლობელთ, ერთგულ და სანდო მეგობრებს, პლოციუს ტუკასა და ლუციუს ვარიუსს, და კიდევ, მეგობარსა და ხელისუფალს, იმპერიის შემოქმედს, ოქტავიანე ავგუსტუსს, – მოიწადინებს, დაარწმუნოს ისინი, რომ არაფრის მაქნისია ისეთი პოეზია, რომელიც არაა შემეცნება, რომ ყველაზე უპრიანი მისთვისაც, მათთვისაც, რომის მცხოვრებთათვისაც იქნება გადაუდებლად ან, უგვიანეს, ავტორის სიკვდილის შემდეგ განადგურდეს, ისტორიიდან გაქრეს "ენეიდა"... თუმცა ვრცელი საუბრებიდან აშკარად ჭვივის, რომ პოეტს უძნელდება თავისი ჩანაფიქრის, თავისი გადაწყვეტილების სისწორის დასაბუთება, უძნელდება საერთო ენის და, ზოგადად, ენის გამონახვა სიკვდილისწინა ნათელჭვრეტით მიღებული ცოდნის გადასაცემად, ცხადი სინამდვილის აღქმის შედეგთა სხვათათვის გასაზიარებლად, საკუთარი ხედვის თვალსაწიერის უჭოჭმანობის დასადასტურებლად და დასაცავად. უთუოდ უჭირს სხეულითა და სამშვინველით შეჭირვებულ პოეტს მეგობრების – მათ შორის, ქვეყნის უმაღლესი მმართველის – დარწმუნება თავისი განზრახვის სიმართლესა და სამართლიანობაში, მაგრამ მაინც, საქმე ისაა, რომ ისინი არა მარტო ვერ ახერხებენ იმის გაგებას, თუ რას და რატომ ეუბნება მათ მომაკვდავი მეგობარი, არამედ – ბუნებრივად – არც სურთ, გაიგონ, რადგან იციან, რომ თუკი პოეტს დაუჯერებენ, მის გულისთქმას აღასრულებენ, მაშინ "ენეიდის" ხელნაწერი, – ნუმც მომხდარა, – ცეცხლს უნდა მიეცეს, მარადიულ დავიწყებაში უნდა გაუჩინარდეს. ეს დათმობა კი, შემეცნების მისაწვდომობისაგან დამოუკიდებლად, მტკივნეულად მიუღებელია პოეტის ახლობელთათვის, და კიდევ, შეურაცხმყოფლად შეუწყნარებელია ავგუსტუსისათვის, რომელსაც თავისი დიადი სახელმწიფოს ბრწყინვალების ერთ-ერთ დასტურად – საუკუნეთა წიაღ – ეს წიგნიც წარმოუდგენია.

უკვდავების ნიშნით აღბეჭდილი პოემის მოსპობა, თავად პოეტის გარდა, შეუძლებლად მიაჩნია ყველას, რისი მიზეზი ისიცაა, რომ უკვდავებასთან სიახლოვე, უკვდავებასთან თანაზიარება არავის ეთმობა, და არც იმპერატორს, რომელსაც საკუთარი საქმის, საკუთარი ქმნილების, იმპერიის, ნაწილად – შთამბეჭდავ და საამაყო ნაწილად – მიიჩნევს მისი მეგობრის ოქროს ლათინურით ნაჭედ სტრიქონებს, ხოტბას, აღვლენილს რომის სიდიადის კიდევ უფრო მეტად განსადიდებლად...

ავგუსტუსი არწმუნებს ვერგილიუსს, უმტკიცებს იმას, რაც მას მყარად სწამს, უმტკიცებს თავისი ქმედებისა და სიტყვის ძალმოსილებით, რომ სიცოცხლე და შემოქმედება ფასეულია მაშინ, თუკი ის ადამიანის ხელით ქმნილთაგან უდიადესს ემსახურება: ადამიანთა ერთობას, რომელიც თავის უმაღლეს გამოვლინებას სახელმწიფოში პოვებს. ქვეყნის ხელისუფალს სჯერა, რომ სწორედ სახელმწიფოს ფარგლებში და, კერძოდ, რომის იმპერიაში, პოვებს ადამიანი კეთილდღეობასა და მშვიდობას და, შესაბამისად, თავისუფლებას... ასე სწამს იმპერატორს, მაგრამ პოეტს თავისუფლების უკვე სხვა გალავანი დაულანდავს...

ზღვარზე მყოფი ვერგილიუსისათვის ცხადი ხდება ყოველივე მიწიერის ფასი: შემეცნებისეულ შუქზე იგი ხილულად აღიქვამს, ხედავს, ხვდება, თუ რაოდენ წარმავალია იმპერიაც, ყოველივე ქმნილიც, პატივიც, სიცოცხლეც, მაგრამ იგი რწმუნდება, რომ ის, რაც მან გაიგო, ის, რაც მან განჭვრიტა, – არათუ შემეცნების მწვერვალთა მიღწევა, არათუ მათთან მიახლოება, არამედ მათი ოდენ თვალის კვრა, მათი შორეული ციაგის ჭვრეტა, – აუცხოებს ადამიანს იმათთაგანაც კი, ვინც მისთვის ძვირფასია, ვისთვისაც იგი ძვირფასია, და მას, შედეგად, გულსაკლავ მარტოობაში ტოვებს. იგი ხვდება, რომ შემეცნება არ გაიზიარება, არ განაწილდება; ბრძენ ბერძენ მოძღვართა გონიერი შეგირდი იმისაც გამოცდილებისმიერად დაიჯერებს, რომ შემეცნება სინამდვილეში თვითშემეცნებაა, რასაც სხვას ვერ უწილადებს; თვითშემეცნება ყოველთვის საკუთარი მონაპოვარია, – ანდა განგებისაგან ბოძებული წყალობა, – რაც საზიარო, საზოგადო, საერთო ვე-

რასოდეს გახდება... ხოლო ის, რისი გაზიარებაც ორ ადამიანს შორის შესაძლებელია, – ის, რაც ხელშესახებია, მისაწვდომია, ხილული და შეგრძნებადია, – არის სიყვარული; შემეცნების სიცივეს მხოლოდ ტრფობის მხურვალება გაფანტავს... ამიტომ პოეტიც იხსენებს, გამოიხმობს, ფერფლს გადააცლის იმ მწველ განცდას, რაც მას სიცოცხლის განმავლობაში ხვდომია წილად, და ეს იმიტომაც, რომ ვინძლო სწორედ ის, – სიყვარული, – რომელიც სიტყვათა და გამოთქმათა მიღმაა, სიტყვით და გამოთქმით გადაცემას არ საჭიროებს, იძლევა წვდომის, მიხვედრის, გაგების უნარს, ადამიანის მიერ ადამიანისათვის თბილი ხელის გაწოდების, შეხებისა და შეგრძნების საშუალებას, ადამიანთა შორის თანაგაზიარებისა და თანაზიარების წყალობას.

პოეტი მზადაა, სხვათათვის შემეცნების გზათა გასაკვალად თავი გასწიროს, – უმაღლესი შემეცნება უკვე უმაღლეს სიყვარულად გარდაქმნილა, – მაგრამ რაკი თავგანწირვისათვის მას არც გამბედაობა ეყო და არც დრო აღმოაჩნდა, სიცოცხლის დასასრულის მოახლოებისას გადაუწყვეტია, საკუთარი ვინაობის ყველაზე ღირებული გამოვლინება, საკუთარი პოემა გაიმეტოს მსხვერპლად, – ამიტომაც ჩაუფიქრებია თავისი ქმნილების ერთხელ და საბოლოოდ განადგურება, რადგანაც მიაჩნია, რომ ლამაზ პოეტურ სტრიქონებს ჭეშმარიტებიდან მკითხველისა თუ მსმენელის მხოლოდ აცდენა და შეცდენა ძალუძს.

მაგრამ იმისათვის, რათა სხვამაც გაიგოს ის, რაც მან გაიგო, როგორც ჩანს, არა იმდენად გონებრივი დაძაბვა ან გონებრივი ძალისხმევა გამოდგება, რამდენადაც სწორედ სიყვარული. ამიტომაცაა, რომ პოეტის სწრაფვები, მისი გულისნადები ყველაზე უკეთ ესმოდათ და ესმით მათ, – თუნდაც წარსულში, თუნდაც სიკვდილის ზღურბლზე, – ვინც მას გულითა და გრძნობით უყვარდა, ვინც მას ადამიანური განცდით, ადამიანური ალღოთი ერწმუნა და დაენდო. ვერგილიუსის ფიქრი თუ სატკივარი ყველაზე ადვილად მისაწვდომი იმისათვის აღმოჩნდა, ვისთანაც მას სიყვარული აკავშირებდა, თუმცა მათი წყება არც ისე გრძელია: მომხიბლავი ქალი პლოტია, მომხიბლავი ჭაბუკი ალექსისი, და კიდევ, უცაბედად მოვლენილი ის უცნობი

ყრმა, რომელიც ერთი სანია ერთგულად მისდევს მას ნავთსაყუდლიდან და რომელიც მას სიკვდილის გზაზე მიაცილებს, მიუძღვება, მეგზურობს. თუმცა იდუმალად რჩება, თუ მაშინ, როცა იშრიტება დღის სინათლეც და აღქმის შუქიც, რატომ ხდება ეს ყრმა, ჩაძირული მრუმე ბინდბუნდში, ასეთი ცხადი მომაკვდავისათვის, რომელიც განუწყვეტლივ ესაუბრება მას და რომელიც განუწყვეტლივ გრძნობს მის მზუნველობას, და რატომ რჩება იგი უხილავი ყველა იქ მომსვლელისათვის, ვინც სულთმობრძავ ვერგილიუსთან გამოსამშვიდობებლად მოეშურება; და ისიც ამოუცნობია, თუ ვინაა სინამდვილეში ეს ყრმა: მართლა მსახურია თუ ღამეული ზმანება, ან შეფარული ტრფობის ბოლო ხილვისმიერი გაკრთომა, ან იქნებ სულაც სიყმაწვილიდან გამოხმობილი მომავალი პოეტის ხატი, ანდა კარს მომდგარი სიკვდილის მაცნე და მაწვევარი...

"შენ, ჩემო პატარა მეგზურო მწუხრისა, – მიმართავს ვერგილიუსი ყრმას, ან იქნებ საკუთარ თავს, საკუთარ სულს, – როდისმე შენც გაიგებ, შენც მისწვდები ყოველივეს, შენც მოგიწევს როდისმე ჯდომა ზღვის პირას, ზღვარზე, შენს მიერ გადასასვლელი და გადასალაბავი სამეფოს ნაპირზე, გამოთხოვებისა და შებინდების კიდეში, და შენი ნავი აღჭურვილი იქნება გასაქცევად, გასაღწევად, გამზადებული იმ ამაყი გაჭრისათვის, რომელსაც ჰქვია გამოღვიძება და რომლისათვისაც უცხოა უკან მობრუნება".

ქრისტიანული შუა საუკუნეების განმავლობაში და შემდგომაც, საერთოდ, ქრისტიანულ ტრადიციაში მყარად იყო დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ პუბლიუს ვერგილიუს მარონი, რომაელი პოეტი, წარმართული სამყაროს შვილთაგან თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში, წარმართთა შორის იმ ერთეულებს მიეკუთვნებოდა, ვინც – ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად – წინასწარ, იესო ქრისტეს მიწიერ შობამდე, განჭვრიტა ღმრთის ძის ამქვეყნიური განხორციელება და სამყაროს მაცხოვრის, კაცთა მხსნელის დაბადება.

არც ჰერმან ბროხს გადაუხვევია ამ რწმენისათვის: მეოცე საუკუნის რომანშიც "ენეიდის" შემოქმედი აუმღვრეველი, სხივმოსილი მზერით ელის, რომ ქვეყანას სულ მალე მოევლინება იგი, ვინც თავად იქნება შემეცნების მე-

უფე, მოვა სამყაროსა და ადამიანის გადასარჩენად, საბსნელად; სწორედ იგი დათრგუნავს ერთხელ და სამუდამოდ სიკვდილს; ნამდვილი და ქმედითი შემეცნება კი მხოლოდ მისი მარადიული სიცოცხლეა, მხოლოდ მისი ცხოვრება და მისი – ცხოვრების მომნიჭებელი – სიკვდილი; ხოლო სანამ იგი მოსულა, პოეტმაც, ფილოსოფოსმაც, სახელმწიფო მოხელემაც უნდა აღასრულონ თავიანთი უზენაესი და იდუმალი მოვალეობა: სიტყვითა და საქმით, შემოქმედებითა და აღშენებით მოამზადონ ადამიანები კაცთა მოდგმის მაცხოვრის დასახვედრად, შესაცნობად, მისაღებად. ნათელხილვით განმსჭვალული პოეტი გაბედულად აცხადებს, რომ მთელი მისი პოეზია იყო ბეჯითი გარჯა სწორედ სამყაროს მხსნელის მოსვლის მოსამზადებლად, და თავისი სიცოცხლის ბოლო წუთებში იგი ცდილობს ამ მოსვლის მოლოდინით განაწყოს თავისი ძველი მეგობარიც, – უკიდეგანო იმპერიის შემქმნელი და მმართველი. (სხვათა შორის, ქრისტიანული თვალსაზრით, ღმრთის წინასწარგანგებულების შედეგი იყო რომის იმპერიის წარმოშობა და გაფართოება-განფენა, რათა ნიადაგი მომზადებულიყო ქრისტიანული სარწმუნოების სწრაფად და დაუბრკოლებლად გასავრცელებლად.)

როცა ვერგილიუსი კვდება, ორი ათეული წელი დარჩენილა ქრისტეს დაბადებამდე; როცა ვერგილიუსის სიკვდილის შესახებ ჰერმან ბროხი წერს, ქრისტეს დაბადებიდან ორი ასეული საუკუნე გასულა...

პირველი საუკუნის პოეტი წინასწარ ჭვრეტს მომავალს, აუწყებს მოსახდენს, იდუმალად მეტყველებს მოსალოდნელის შესახებ; მეოცე საუკუნის რომანისტმა უკვე იცის, – და განიცადა, – თუ ვინ და რისთვის დაიბადა ბეთლემის მოკიაფე ვარსკვლავის ქვეშ, შორეულ ბაგაში, ამიტომაც იგი უკვე ცხადის მოწმე და მოხდენილის მაუწყებელია, ამიტომაც ღიად ამბობს, რომ ქვეყნის მაცხოვარია სიკვდილის დამთრგუნველი...

თუკი პოეტი, თუნდაც ოდენ სიკვდილის წინ, მიდის იმ დასკვნამდე, რომ პოეზიისათვის, ერთი მხრივ, შთამაგონებელი და აღმძვრელი ბიძგი და, მეორე მხრივ, მოპოვებული შედეგი უნდა იყოს შემეცნება, რომ ხელოვანმა უწინარესად უნდა შეძლოს ასახვა, რომელსაც მოჰყვება

შემეცნება, ხოლო შემეცნების გზა კი ჭეშმარიტებამდე მიდის, რომანისტმა იცის, რომ ჭეშმარიტება – ყოველი ქმნილების მიზანთამიზანი – უკვე გაცხადებულია და ის ქვეყნად მოვლენილი იესო ქრისტეა. ვერგილიუსი სვდება, რომ მხსნელის დაბადებამდე ხელოვნებამ წინასწარ უნდა აუწყოს მისი მოსვლის მოლოდინი, ხოლო ბროხმა იცის, რომ ხელოვნების დანიშნულება – მხსნელის მოსვლის შემდეგ – ადამიანთათვის ქრისტეს, განხორციელებული ჭეშმარიტების, მოსვლის სასიხარული ამბის დადასტურებაა...

თუკი პოეტი ყურს უგდებს და იჯერებს იმპერატორის დინჯ მსჯელობას, რომ ეულთა გამყინავი მარტოობა ადამიანთა ერთიანობაში დაიძლევა, ხოლო ეს ერთიანობა კი მხოლოდ სახელმწიფოში შეისხამს ხორცს, ხოლო ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს სწორედ ამ ერთიანობას, ანუ ამ ერთიანობის უმაღლეს გამოვლინებას – სახელმწიფოს, რომანისტმა იცის, რომ ადამიანთა ნამდვილი, ხელშესახები ერთიანობა, ოღონდ სულისმიერი ერთიანობა, თანაზიარება, უკვე არსებობს და ეს საკრებულო არის ეკლესია...

თუკი პოეტი ხვდება და წვდება, რომ ადამიანს თავისუფლებასა და ბედნიერებას მხოლოდ სიყვარული ანიჭებს, რომ ადამიანის გულის სათქმელის გასაგონად და გასაგებად მხოლოდ სიყვარულია საკმარისი, რომ ურთიერთმიძღვნას მხოლოდ თავგანწირული სიყვარული წარმართავს, მწერალმა იცის, რომ ამ სიყვარულმა უკვე ხორცი შეისხა და დამკვიდრდა: ღმრთის ძის სამსხვერპლო სიყვარულის სახით და სახედ, ნიმუშად...

ის საიდუმლო, რასაც მხოლოდ შინაგანი ხილვის საფუძველზე აცნობიერებს "ენეიდის" შემქმნელი (რაკი იგი პოეტია და, შესაბამისად, წინასწარმაუწყებელი!), ეუჭველი სინამდვილეა "ვერგილიუსის სიკვდილის" შემქნელისათვის, რადგან იგი ქრისტიანი მწერალია, და არა მხოლოდ მისთვის, – მასთან ერთად, უეჭველია იმ მკითხველისთვისაც, რომელიც თავს იმ ქრისტიანულ ტრადიციას მიაკუთვნებს, სადაც წინასწარმეტყველთა წყებაში რომაელი პოეტი ვერგილიუსიც ჩამდგარა კუთვნილ ადგილას...

ბროხი მტკივნეულად აღიქვამდა და პიროვნულად განიცდიდა ახალ დროში ღირებულებათა გაუფასურებასა

და უგულებელყოფას (მწერლის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოების, რომანული ტრილოგიის – "მთვარეულთა" – მესამე წიგნის ავტორისეულ ფილოსოფიურ ჩანართებს "ღირებულებათა რღვევა" ეწოდება). მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, სად იმყოფებოდა ღირებულებათა შუაგული და ისიც იცოდა, რომელ ხანაში არ ყოყმანობდნენ, თუ ვისი ადგილ-სამყოფელი იყო ეს შუაგული. რომანისტის ღრმა რწმენით, "შუა საუკუნეებს ჰქონდა ღირებულებითი იდეალური ცენტრი, – უმაღლესი ღირებულება, რომელსაც ექვემდებარებოდა ყველა სხვა დანარჩენი: ქრისტიანული ღმრთის რწმენა".

შუა საუკუნეებში სჯეროდათ, რომ ვერგილიუსმა ქრისტიანული ღმერთი წინასწარ იგრძნო და მოელოდა მას, ბროხისეული ვერგილიუსიც – სიკვდილის წინ – არამყარი ნაბიჯებით მიიკვლევს გზას ქრისტიანული ღმრთისაკენ, რომელიც ჯერ არ დაბადებულა. პოეტის სულის მღელვარება აღტაცებული ნატვრა და მონატრებაა იმ განკაცებისა, იმ ხსნისა, რომლითაც უკვე ფეთქავს შობის მომლოდინე სამყარო, და დიდი რომაელიც ამ მოსალოდნელ სიხარულს ამცნობს იმათ, ვისაც გაგონება ძალუძს. "ვერგილიუსის სიკვდილის" ავტორი, მეოცე საუკუნის მწერალი, აღსავსე ქრისტიანული ხანის გამოცდილების სიმდიდრით, ქვეყნად მოვლენილი ქრისტეს სასიხარულო ამბის კიდევ ერთი – მრავალთა შორის – მახარობელია...

სიკვდილის წინ ვერგილიუსი უარყოფს პოეზიას. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პოეზიაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე უარი თქვა ბროხმა. ერთიცა და მეორეც მიიჩნევდა, რომ პოეტური, წარმოსახული სამყარო უწინარესად სილამაზეს ემსახურება და ხელს უშლის, გზას უღობავს ჭეშმარიტებას. როგორც აღმოჩნდა, პოეზია, თუნდაც სილამაზის სამსახურში მყოფი, თუნდაც სილამაზით მოცული, თუნდაც და სწორედაც სილამაზის სამოსელში მოსილი, – თუკი ის ნამდვილად მართალი, ნამდვილად მწყობრი, ნამდვილად მკაფიოა, – დიახაც ჭეშმარიტებისაკენ მიმსწრაფ ბილიკს შესდგომია, ხოლო ის წინამავალი ლამპარი კი, რაც ამ ბილიკს გაკვალავს, ყოფილა სიყვარული, ღმრთაებრივი ნაპერწკლით ანთებული და მოკიაფე.

"ვერგილიუსის სიკვდილის" პერსონაჟები, რა თქმა უნდა, კერძონი, ერთეულნი, ცალკეულნი არიან, მაგრამ ისინი არანაკლებ გამოხატავენ – ჩანაფიქრით, არსითა და სახით – საზოგადოსაც და საყოველთაოსაც (რაც იმას მეტყველებს, რომ თავისი ესთეტიკური საფუძვლებითაც რომანი ქრისტიანულ მემკვიდრეობას ეყრდნობა). ამდენად, თავად ვერგილიუსიც ნიმუშია, მაგალითია, ისევე, როგორც მისი მეგობრებიც, გარშემო მყოფნი, ყველა ის, ვინც სულთმობრძავ პოეტს თავს დასტრიალებს.

მაგრამ მრავალთაგან მხოლოდ ერთ-ერთი და მხოლოდ რიგითი არც პოეტის კვდომა და სიკვდილია, – სიკვდილი, რომელიც სიტყვის უიშვიათესი და ცხოველი ძალმოსილებითაა აღწერილი.... ისიც მეტყველი მინიშნებაა იმისა, რაც ნათქვამისა და გაცხადებულის მიღმა არსებობს...

ვერგილიუსი მიწიერი ცხოვრების დასატოვებლად ემზადება... სასახლის დარბაზიდან და პოეტის ცხოვრებიდან გადის იმპერატორი ავგუსტუსი. მას თან მიაქვს "ენეიდის" ხელნაწერი, – გადარჩენილი, განადგურებას გამოტაცებული წიგნი, რომელიც კაცობრიობას რომის უკვდავებისა და ადამიანთა მხსნელის მოლოდინის უწყებას ამცნობს. სიკვდილის პირისპირ მარტოდ დარჩენილ პოეტთან ერთადერთი მშრუნველი რჩება, – მისი სულის გადამყვანი, მისი სულის მეგზური, იგი, ვინც მან პირველად ზღვისა და ხმელეთის, სიცოცხლისა და სიკვდილის, დროებითისა და მარადიულის საზღვარზე შენიშნა: ყრმა ზღვის პირას.

2006

37

ფრანც ვერფელი
პრაჰიდან ბევერლი ჰილზამდე

ფრანც ვერფელი
Franz Werfel
1890-1945

გერმანულენოვან მწერლობას ფართო გეოგრაფიული განფენილობა ჰქონდა და გასაკვირი არაა, რომ ამ ლიტერატურის ისტორიაში თავისი ადგილი აქვთ დამკვიდრებული პრაჰელებსაც, – იმ ქალაქის წარმომადგენლებს, რომელიც ერთ დროს "გერმანელი ხალხის საღმრთო რომის იმპერიის" დედაქალაქიც იყო. პრაჰელი მწერლების განსაკუთრებული, არცთუ ჩვეულებრივი წვლილის დასადასტურებლად ფრანც კაფკასა და რაინერ მარია რილკეს სახელების დასახელებაც საკმარისად არის მიჩნეული, მაგრამ მათ გვერდით მეოცე საუკუნის პირველ მესამედში ამ მრავალეროვან ქალაქში ბევრად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვა გერმანულენოვანი მწერლებიც ცხოვრობდნენ, თუნდაც, გუსტავ მაირინკი ან მაქს ბროდი. მათ შორის იყო ფრანც ვერფელიც, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს დაიბადა პრაჰაში, მაგრამ რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას გარდაიცვალა არა მარტო პრაჰიდან, არამედ ცეცხლითა და კვამლით მოცული ევროპიდანაც შორს, – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზღვისპირა კალიფორნიაში.

როცა უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურის მოყვარულებმა და, პირველ ყოვლისა, ვერფელის შემოქმედების პატივისმცემლებმა მწერლის რამდენიმე მრგვალი ან არამრგვალი თარიღი აღნიშნეს, აღმოაჩინეს, რომ მისი ოდინდელი, არცთუ მცირე პოპულარობიდან ახლა თითქოს ჩრდილიც აღარ დარჩენილა: მისი ნაწარმოებების სათაურებიც კი დავიწყებას მისცემია, მის წიგნებს მაღაზიებში ვეღარ გადააწყდებით, მის სახელს

აღარ მოიხსენიებენ მონოგრაფიებსა და დისერტაციებში. თუმცა პოეტის ლექსების პირველ კრებულს თავის დროს რილკეც კი აღფრთოვანებული რეცენზიით გამოეხმაურა და ვერფელი კარგა ხანი ექსპრესიონისტული ლირიკის ფუძემდებლად იყო მიჩნეული.

ექსპრესიონიზმის ძლიერმა ტალღამ ლიტერატურასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში პირველი მსოფლიო ომის კატაკლიზმების შემდეგ, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, მთელს ცივილიზებულ მსოფლიოს გადაუარა, და მათ შორის საქართველოსაც, – სამაგალითოდ, მარჯანიშვილისეული "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ" და კონსტანტინე გამსახურდიას ადრეული ნოველების გახსენებაც კმარა, – მაგრამ დღეს ეს მიმდინარეობა მეტად გულგრილ ინტერესს იწვევს და მისმა წარმომადგენლებმა უმთავრესად ლიტერატურის სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედია-ლექსიკონებში დაიმკვიდრეს ადგილი. ექსპრესიონისტული პოეზიის მემკვიდროებიდან კი მომავალ თაობებს, ალბათ, მხოლოდ გოტფრიდ ბენის შემოქმედება თუ შემორჩება, რადგან ისტორიისა და ხელოვნების სამსჯავროზე მხოლოდ პოეტური მასალის სინჯს ენიჭება მნიშვნელობა და არა ბიოგრაფიულ ფაქტებს ან პოლიტიკურ ორიენტაციას. თორემ სხვამხრივ, დევნილ ებრაელ ვერფელს უფრო მეტი უფლება აქვს ადამიანურ თანაგრძნობასა და სოლიდარობაზე, ვიდრე პრენაციისტ და პრონაციისტ ბენს, რომელსაც ჰიტლერის მხარდასაჭერი მანიფესტი ჰქონდა დაბეჭდილი მაშინ, როცა ვერფელი საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის გზებზე გესტაპოს საცეცეებს გაურბოდა. მართალია, შემდგომში მესამე რაიხის ტერიტორიაზე პროპაგანდის სამინისტრომ ორივე პოეტის ლექსები აკრძალა, მაგრამ, საბოლოოდ, ვერფელმა თავისი სიცოცხლე შორეულ ემიგრაციაში ისე დაამთავრა, რომ ერთი სტრიქონი არ ჩაუყენებია ძალადობისა და ტოტალიტარიზმის სამსახურში, ბენმა კი ომისშემდგომი ათწლეული, რომელიც მისი ცხოვრების უკანასკნელი ათი წელი აღმოჩნდა, დასავლეთ გერმანიაში, განმარტოებაში გაატარა და უარი თქვა დენაციფიკაციის კომისიის წინაშე წარმდგარიყო, რათა განტევების სიგელი მიეღო. თუმცა ნაციონალ-სოციალიზმიც, ბოლშევიზმისა და ფაშიზმის

დარად, წარმავალი და ხანმოკლე აღმოჩნდა, ბენის ლექსები კი მსოფლიო პოეტური მემკვიდრეობის მარადიულ ფასეულობებს მიეკუთვნება, – როგორც პიკასოს ხელოვნება (მიუხედავად იმისა, რომ იგი კომუნისტი იყო) ან როგორც ეზრა პაუნდის პოეზია (თუნდაც ფაშიზმისადმი მისი უპირობო მხარდაჭერის გათვალისწინებით). ვერფელის შემოქმედება, ავტორის ღირსეული ცხოვრებისა და შინაგანი ინტენსიურობის მიუხედავად, მსოფლიო კულტურის ამგვარ მწვერვალებს შორის არ მოიხსენიება, – როგორც ცნობილია, პატიოსანი ცხოვრება და დიდი ხელოვნება სხვადასხვა განზომილებაში ხორციელდება და მეტად იშვიათად კვეთს ერთმანეთს.

* * *

მდიდარი და მართლმორწმუნე ებრაელების, ვერფელების, ოჯახს პირველი და ერთადერთი ვაჟი – ფრანც ვიქტორი 1890 წლის შემოდგომის იმ მღელვარე დღეებში შეეძინა, 10 სექტემბერს, როცა პრაჰაში ისეთი წყალდიდობა იყო, რომ ცნობილი კარლოსის ხიდიც კი დააზიანა, მაგრამ შემდგომში პრაჰაში კარგა ხნით სიმშვიდემ დაისადგურა და ჭაბუკმა ფრანცმა იქაური სკოლა-გიმნაზიებიც წვალებ-წვალებით, დიდი ცოდვა-მადლის გაკითხვით, ბოლოს და ბოლოს მაინც დაამთავრა, თუმცა მას ერთი-ორჯერ კლასში ჩარჩენაც კი მოუხდა. მალე იგი იქაური დრამატული თუ საოპერო სპექტაკლების ვნებიანი მაყურებელი და მსმენელი გახდა, და, ამავე დროს, არცთუ მთლად სოლიდურ ღამის დაწესებულებათა ხშირი სტუმარიც, რომელთა ნაკლებობა პრაჰაში არასოდეს იგრძნობოდა. ამდენად, ჭაბუკი უხვად საზრდოობდა მომხიბლავი ქალაქის ინტელექტუალური, კულტურული თუ ხორციელი ცხოვრების უხვი ნაყოფიერებით.

1910-იანი წლების დასაწყისში, ახალგაზრდა პოეტისა და, ამავე დროს, პრაჰის გერმანელ მწერალთა ცნობილი მანიფესტის ავტორის პირველ წიგნს – 1911 წელს გამოქვეყნებულ ლექსების კრებულს "სამყაროს მეგობარს" – უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. ფრანც ვერფელის სახელი ცნობილი გახდა ავსტრია-უნგრეთისა თუ გერ-

მანიის ლიტერატურულ და ლიტერატურის მახლობელ წრეებში...

მაგრამ სულ მალე სარაევოში საბედისწერო გასროლას – ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობას – მოჰყვა არა მარტო პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც მეტნაკლებად მყარი ევროპული წესრიგისაგან ნასახიც აღარ დატოვა, არამედ მრავალსაუკუნოვან იმპერიათა მსხვრევაც – ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ნამტვრევებად დაიშალა, პრუსიის იმპერია კი უდღეურ ვაიმარის რესპუბლიკად გამოცხადდა. მსოფლიოს რევოლუციებისა და ტოტალიტარულ რეჟიმთა სისხლიანმა ქარიშხალმა გადაუარა, მაგრამ ეს შემდგომ... მანამდე კი სამხედრო სამსახურში გაწვეული და ფეხში დაჭრილი ვერფელი პრაჰის ჰრადჩანის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც იგი შემთხვევით შეხვდა ნედელეკ ჩაბრინოვიჩს – სარაევული თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს, რაც მწერალმა მისტიკურ მინიშნებად მიიღო; ამ შემთხვევითმა შეხვედრამ იგი ღრმად ჩააფიქრა იმ უპასუხო კითხვაზე, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ერთეულ ადამიანს ისტორიის მსვლელობაზე, ისტორიის განვითარებაზე.

თუ პრაჰული ჰოსპიტლის დერეფანში ამ საეპოქო ტერორისტისათვის თვალის მოკვრამ მას ხანგრძლივი განსჯისა და ერთი კარგი მოთხრობის დაწერის საბაბი მისცა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, პროდუქტიული და გარდამტეხი აღმოჩნდა ორიოდ წლის შემდგომი ერთი შეხვედრა – ის დღე, როცა შტეფან ცვაიგმა და ჰუგო ფონ ჰოფმანსტალმა იგი ცნობილი ვენური სალონის დიასახლისს, ალმა შინდლერს, წარუდგინეს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვერფელს უთქვამს: "ალმა რომ არ გამეცნო, შესაძლოა ორმოციოდე რიგიანი ლექსი დამეწერა და სულ ეს იქნებოდა ჩემი შემოქმედებაო". როცა ახალგაზრდა პოეტი მასზე თერთმეტი წლით უფროს ამ უჩვეულო ქალს შეხვდა, იგი მეოცე საუკუნის მუსიკის ერთ-ერთი უმთავრესი მესაფუძვლის, გუსტავ მალერის, ქვრივი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრის, ოსკარ კოკოშკას, სატრფო და მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არქიტექტორის, ვალტერ გროპიუსის, მეუღლე იყო. ალმა და ფრანცი ოფიციალურად თორმეტი წლის შემდეგ დაქორ-

წინდნენ, მაგრამ მათი გაცნობიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ მათ საერთო შვილი შეეძინათ. ლამაზმა, ძლიერმა და წარმტაცმა ალმამ არა მარტო შემოქმედებითად შემოაბრუნა ვერფელი, – მეუღლის გავლენით, პოეტი ქრისტიანად მოინათლა, რის შემდეგაც მის ნაწარმოებებში მეტად შესამჩნევი გახდა კათოლიკური მოტივები (აღსანიშნავია ისიც, რომ მალერის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ადრიდანვე შესამჩნევი ქრისტიანული სწრაფვის მიუხედავად, მეორე – აღდგომის – სიმფონიის ავტორმა სწორედ ალმასთან დაქორწინების შემდეგ მიატოვა ებრაული თემი, შეუერთდა კათოლიკე ეკლესიას და თავისი გრანდიოზული მერვე სიმფონია სული წმიდის მომხმობი სიტყვებით დაიწყო და წმიდა ქალწული მარიამის განმდიდებელი ათასხმიანი გუნდით დაასრულა). როგორც ამბობენ, ალმა პირდაპირ აიძულებდა ვერფელს, არ მოშორებოდა საწერ მაგიდას; მესამე ქმარი ნიჭიერებით აშკარად ჩამორჩებოდა მის პირველ და მეორე გენიალურ ქმრებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში გარდაცვლილი მწერლის მემკვიდრეობა, ლექსების კრებულების გარდა, მრავალ რომანს, ნოველას, დრამასა და ესეის მოიცავს. ვერფელის შემოქმედების მცოდნეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის ნაწარმოებებში მრავალჯერ განმეორებული, გამჭოლი სახე, – სახე უფროსი, ასაკოვანი ქალისა, რომელსაც გაგების, დახმარებისა და თანადგომის დიდი უნარი აღმოაჩნდება ხოლმე. მწერლის ბიოგრაფები ამ მოტივის ასახსნელად მის ჩეხ ძიძას, მორწმუნე კათოლიკე ქალს, ბარბარას, იხსენებენ, რომლის ხსოვნა მწერალმა თავისი ერთი რომანის სათაურშიც აღბეჭდა; ფსიქოანალიტიკოსები, როგორც ყოველთვის, სახელგანთქმული ვენელი ექიმის, ზიგმუნდ ფროიდის, მოძღვრებას მოიხმობენ ხოლმე; თუმცა დასავიწყებელი არაა, რომ მწერლის გვერდით თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში მოუშორებლად იდგა ნიჭიერი, მტკიცე, ვნებიანი ალმა, რომელსაც, – რაც უნდა პარადოქსად ჟღერდეს! – შესაძლოა, უფრო მყარი ადგილი აქვს მოპოვებული მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის კულტურის ისტორიაში, ვიდრე მის უკანასკნელ ქმარს – პოეტსა და რომანისტს, ფრანც ვერფელს.

* * *

ვერფელის შემოქმედება თემატურადაც და გეოგრაფიულადაც მეტად მრავალფეროვანია. მის ნაწარმოებებში სხვადასხვა ეპოქა და სხვადასხვა ქვეყნაა არეკლილი. იგი უკვე ბიოგრაფიულადაც იყო მზად, კოსმოპოლიტი გამხდარიყო, – დაიბადა რამდენიმეენოვან, რამდენიმეკულტუროსან პრაჰაში, გარდაიცვალა ჩვენი პლანეტის ბაბილონში – ამერიკაში, მაგრამ მისი პიროვნული და ინტელექტუალური ჩამოყალიბება მრავალეროვნულ და კულტურულად მეტად განვითარებულ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში განხორციელდა (ჰაბსბურგების იმპერიის ინტელექტუალურ გარემოს, იქაურ ებრაელთა კულტურულ მისიასა და მათ კოსმოპოლიტურ განწყობებს განსაკუთრებული სიღრმითა და სიზუსტით, შიგნიდან აღწერს ვერფელის ახლო მეგობარი შტეფან ცვაიგი თავის სიკვდილისწინა მოგონებათა წიგნში – "გუშინდელი სამყარო"). ვერფელის საუკეთესო რომანი "მუსა-დაგის 40 დღე" 1915 წელს თურქეთში დატრიალებულ უბედურებას – სომეხთა მასობრივ ამოჟლეტას – აღწერს; მისი ცნობილი, თითქმის ყველა ენაზე თარგმნილი "ვერდი" დიდი იტალიელი კომპოზიტორის ცხოვრებას ეძღვნება და მის შესახებ საუკეთესო ბიოგრაფიულ რომანად რჩება; "პავლე იუდეველთა შორის" წარმართთა მოციქულის მარტოობას აღწერს თანამოძმეთა შორის; კათოლიკური მოტივებით გამსჭვალული "ბერნადეტის სიმღერა" იმ ფრანგი გოგონას ცხოვრების გადმოცემაა, რომელსაც ლურდში წმიდა ქალწული მარიამი გამოეცხადა; ესპანეთიდან გამომგზავრების, უფრო ზუსტად, გამოქცევის შემდეგ მწერალი წერს შესანიშნავ ნოველას იქაური სამოქალაქო ომისა და დამარცხებულთა დახვრეტის შესახებ; სიცოცხლის მიწურულს კი იგი მუშაობს ვრცელ უტოპიურ რომანზე – "უშობელთა ვარსკვლავი", რომლის მოქმედება არღვევს ჩვეულებრივი დროისა და სივრცის საზღვრებს... ვერფელის ეს უკანასკნელი ნაწარმოები მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

ბუნებრივია, მწერლის შემოქმედებაში ხშირად ჩანს პრაჰა. ერთხელ მწერალმა თქვა კიდეც: "პრაჰა – ბანგით

დათრობაა, ესაა ცხოვრების *ფატა მორგანა*". მაგრამ ევროპიდან ლტოლვილ მწერალს სიცოცხლის უკანასკნელი წლების გატარება ოკეანის გადაღმა, ამერიკაში, მოუხდა...

ფრანც ვერფელი 1945 წლის 25 აგვისტოს ბეველრი ჰილზში გარდაიცვალა, თუმცა შემდგომ, გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, იგი ვენაში გადაასვენეს.

* * *

1945 წლის აგვისტოში, კალიფორნიულ პესიპიკ პელისეიდში თომას მანი "დოქტორ ფაუსტუსის" თავებს წერდა, როცა მეზობელი სანტა მონიკადან მას ძველისძველი მეგობარი, ალმა ვერფელი, ეწვია და სთხოვა, მისი მომაკვდავი ქმარი მოენახულებინა. მკაცრ და უკარება, მაგრამ, ამავე დროს, გულჩვილ თომას მანს საწოლში თვალებანთებული ვერფელი დახვდა, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე ხელახლა გადაეკითხა "ბუდენბროკები" და ახლა მოხუც კოლეგასა და ყველაზე დიდ გერმანელ რომანისტს ამ სიტყვებით შეეგება: "მიჭირს დავიჯერო, რომ ჩემს წინ «ბუდენბროკების» ავტორი დგასო".

თომას მანი იგონებს, რომ მათი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გარდაცვლილი მეგობრის დაკრძალვაზე, მეტად თვალშისაცემი იყო ალმას არყოფნა. მალერისა და ახლა უკვე ვერფელის ქვრივს განუცხადებია, რომ მას, საერთოდ, არ უყვარდა სამგლოვიარო ცერემონიებზე დასწრება...

1995

38

ერნსტ იუნგერის საუკუნეზე ხანგრძლივი სიცოცხლე

ერნსტ იუნგერი
Ernst Jünger
1895-1998

1998 წლის 17 თებერვალს, შტუტგარტის მახლობლად, პატარა ქალაქ ვილფლინგენში, ასორი წლისა გარდაიცვალა ერნსტ იუნგერი, მეოცე საუკუნის გერმანული კულტურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, – მწერალი, მოაზროვნე, მკვლევარი.

ერნსტ იუნგერი 1895 წლის 29 მარტს დაიბადა ჰაიდელბერგში. იგი შვიდ და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო, მეგობრობით კი ყველაზე მეტად უმცროს ძმასთან, ფრიდრიხ გეორგთან, მეგობრობდა (რომელიც შემდგომში ფილოსოფოსი და პოეტი გახდა). მას შემდეგ, რაც ჭაბუკმა წიგნების კითხვის ყმაწვილური ციებ-ცხელება მოიხადა, თვრამეტი წლისა, 1913 წელს სახლიდან გაიპარა და საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში ჩაეწერა, რომელთან ერთად მალე შორეულ აფრიკაში ამოჰყო თავი. მართალია, მამამისის – აფთიაქარისა და ქიმიკოსის – ჩარევის შემდეგ მისი პირველი თავგადასავალი ისევ გიმნაზიის მერხთან მიბრუნებით დამთავრდა, მაგრამ შემდგომში ამ ღირსშესანიშნავმა ეპიზოდმა მას ერთი რომანი – "აფრიკული თამაშობანი" (1936) დააწერინა.

რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, უკვე გარეშე გავლენებისა და გარეშე ჩარევების შედეგად – თან გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების მოწმობაც უკვე მოპოვებული იყო – იუნგერი იმ პირველ მოხალისეთა შორის აღმოჩნდა, რომლებიც ომის პირველი დღეებიდანვე ჩაებნენ ბრძოლებში. დასავლეთის ფრონტზე იგი თოთხმეტჯერ დაიჭრა, მაგრამ თუ გერმანია ომიდან დამარცხებული გამოვიდა, იუნგერმა საყო-

ველთაოდ აღიარებული გმირის სახელითა და უმაღლესი სამხედრო ჯილდოებით დატოვა ბრძოლის ველი. თუმცა მწერლისათვის, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი ლიტერატურული მონაპოვარია, რომელსაც ხანდახან ცხოვრებისეული გამოცდილებაც არ უშლის ხელს, – ომის გამოცდილება კი იუნგერის 20-იანი წლების წიგნებში აირეკლა: "ფოლადის ქარიშხლებში" (1920), "ბრძოლა როგორც შინაგანი გამოცდილება" (1922), "ცეცხლი და სისხლი" (1925). ამ ნაწარმოებებში ომი დანახულია როგორც ბუნების კანონი, რომლის წყაროები ღრმადაა შეფარული ცივილიზაციის საფარქვეშ.

ნაომარი გმირი და გახმაურებული წიგნების ავტორი მალე ისევ სტუდენტის მერხს მიუჯდა – ამჯერად ლაიფციგისა და ნეაპოლის უნივერსიტეტებში იგი ზოოლოგიასა და ფილოსოფიას სწავლობს, 1925-დან 1933 წლამდე კი ბევრს ბეჭდავს ნაციონალისტურად განწყობილ ჟურნალებში, დაუნდობლად ესხმის თავს დემოკრატიას, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ბურჟუაზიული სამყაროს მემკვიდრეობას, და მიიჩნევს, რომ დემოკრატიული წყობილება სრულიად ეწინააღმდეგება ცხოვრების საფუძვლებსა და პირველსაწყისებს.

1929 წელს იუნგერი თავის ახალ წიგნს ბეჭდავს – "თავგადასავლის მაძიებელი გული", რომელშიც ერთმანეთს ერწყმის სიზმრები, ბუნების სურათები, მოგონებები, ვრცელი მსჯელობანი ტექნიკის, პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ. დღემდე იუნგერის ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებად რჩება 1932 წელს გამოცემული წიგნი "მუშა", რომელშიც (1930 წელს დაბეჭდილ "ტოტალურ მობილიზაციასთან" ერთად) თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის ანალიზია წარმოდგენილი. ძალა, რომელიც სამყაროში მოქმედებს, მოითხოვს ყოველი ერთეული ელემენტის ტოტალურ ფუნქციონალურ დატვირთვას, ჩართვას; პოლიტიკურ სფეროში ამ ძალას ყველაზე მეტად, მწერლის აზრით, ტოტალური სახელმწიფო შეეფერება.

იუნგერის ამ წიგნმა საკმაო გავლენა მოახდინა მარტინ ჰაიდეგერის შეხედულებებზე ტექნიკისა და სახელმწიფოს არსის შესახებ, მაგრამ, რაც მთავარია, და რასაც ყველაზე

ძნელად პატიობენ იუნგერს, ამ წიგნით – თავის სხვა ნაწერებთან ერთად – მწერალმა თითქოს გზა გაუკაფა გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას. ამიტომ, ერთი შეხედვით, უცნაურად ჩანს, რომ, როცა ნაცისტები სახელმწიფოს სათავეში მოვიდნენ, იუნგერმა ზურგი შეაქცია იმ რეჟიმს, რომელიც, გარეშე მეთვალყურეთა აზრით, მისი იდეების ხორცშესხმას წარმოადგენდა. მაგრამ მოულოდნელი ის იყო, რომ ამ დროს მწერალმა საერთოდ შეწყვიტა ყოველგვარი პუბლიცისტური მოღვაწეობა, უარი განაცხადა პრუსიის ხელოვნების აკადემიის წევრობაზე და საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრებიდან ჩრდილში გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ამ ხანებში მისი შემოქმედებიდან ნელ-ნელა გაუჩინარდა აქტივისტური ტონები და ტექნიკით აღფრთოვანება; თანდათან იგი ხდება ოდენ დამკვირვებელი, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ დროს უთმობს მედიტაციებს ბუნების მოვლენების გამო.

1938 წელს იგი ხელახლა გამოსცემს "თავგადასავლის მაძიებელ გულს", თავად "თავგადასავალს" კი ახალ მნიშვნელობას მიანიჭებს – ესაა ფათერაკებით აღსავსე გზა შინაგან სამყაროში და ის გამოცდილება, რასაც ადამიანი მოიპოვებს მინარელებთან, ყვავილებთან, ცხოველებთან შეხვედრისას. უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის წინ, 1939 წელს, იბეჭდება მწერლის საუკეთესო ბელეტრისტული ნაწარმოები – "მარმარილოს რიფებზე", რომლის იგავური სამყარო მკითხველმა სიმბოლურ პროტესტად აღიქვა იმ რეჟიმის წინააღმდეგ, იმხანად რომ ბატონობდა გერმანიაში.

როგორც კი ომი დაიწყო, ერნსტ იუნგერი მობილიზებულ იქნა მოქმედ არმიაში. ბრძოლებისას მან კავკასიონამდე მოაღწია, მაგრამ ქედის სამხრეთით გადმობიჯება მას, ისევე როგორც გერმანული არმიის ნაწილებს, აღარ მოსწევია, თუმცა კავკასიური ბუნებით აღტაცება მწერალმა და თავდაუზოგავმა მოგზაურმა მაინც მოასწრო. მალე იგი სამხედრო შტაბში აღმოჩნდება პარიზში, სადაც, იქაური ინტელექტუალური სალონების ხშირი სტუმარი, კიდევ უფრო დაუახლოვდება არა მარტო ფრანგულ კულტურას, არამედ მის ცოცხალ წარმომადგენელებსაც – კოკტოს, სელინს, პიკასოს, ბრაკს.

ომი დამთავრებული არ იყო, როცა ხელნაწერის სახით საიდუმლოდ გავრცელდა იუნგერის ესეი "მშვიდობა" (1943), რომელიც მწერალმა იტალიაში ბრძოლისას დაღუპული შვილის ხსოვნას მიუძღვნა. ნაწარმოები, რომელშიც კაპიტანი იუნგერი ახალგაზრდა თაობებს ქრისტიანულ ეთიკაზე დაფუძნებული ევროპული ერთიანობისაკენ მოუწოდებს, იმ გერმანელ ოფიცერთა პოლიტიკურ პროგრამად იქცა, რომელთაც 1944 წელს შეთქმულება მოაწყვეს ჰიტლერზე თავდასასხმელად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არისტოკრატულ-სამხედრო შეთქმულების ჩაშლისთანავე იუნგერი სამხედრო სამსახურიდან ღირსებააყრილი დაითხოვეს, იგი მაინც გადაურჩა გესტაპოს – როგორც ამბობენ, ეს განაპირობა მისმა განსაკუთრებულმა დამსახურებებმა, ერთი მხრივ, პირველი მსოფლიო ომისას და, მეორე მხრივ, ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიური შემზადების საქმეში.

მაგრამ თუ ამ დამსახურებებმა ომის მიწურულს მას სიცოცხლე შეუნარჩუნა, სამაგიეროდ, ცუდი სამსახური გაუწია ომის შემდგომ, – საოკუპაციო ხელისუფლებამ ადრეული ანტიდემოკრატიული და ნაციონალისტური ტენდენციების გამო მწერალს რამდენიმე წლით აუკრძალა ბეჭდვა. როგორც კი 1949 წელს აკრძალვის ვადა დამთავრდა, იგი ბეჭდავს ომის დღიურებს – "ნათება" და გახმაურებულ უტოპიურ რომანს "ჰელიოპოლისს", 1959 წელს კი იუნგერი მირჩა ელიადესთან ერთად აფუძნებს ჟურნალ "Antaios"-ს, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში შტუტგარტში გამოდის.

ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი მიჯნის გადაბიჯების შემდეგ, დარჩენილ ნახევარ საუკუნეში იგი პატარა ქალაქ ვილფლინგენში დასახლდება, აგროვებს იშვიათი მწერებისა და იშვიათი წიგნების უმდიდრეს კოლექციებს, დაუღლელად მოგზაურობს ყველა კონტინენტზე და აქვეყნებს რომანებს, ნოველებს, ესეებს, ჩანაწერებს, დღიურებს: "გორდიას კვანძი" (1953) აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას ეხება; "წიგნი ქვიშის საათის შესახებ" (1954) ჩაფიქრებაა დროსა და განვლილ ცხოვრებაზე; "შუშის ფუტკრები" (1957) ისევ ბუნებისა და ტექნიკის, ინდივიდუუმისა და საზოგადოების ურთიერთობას

უტრიალებს; "ფაქიზი ნადირობანი" (1967) მწერლის ენტიმოლოგიურ განზოგადებებს ირეკლავს (სხვათა შორის, იუნგერმა რამდენიმე მანამდე უცნობი მწერი აღმოაჩინა, ერთი პეპელა მის სახელსაც კი ატარებს, რაც მას ყოველთვის ისევე განსაკუთრებით ეამაყებოდა, როგორც ვლადიმირ ნაბოკოვს მისი სახელობის პეპლების არსებობა); "მიახლოებაში" (1970) ავტორი მკითხველს უზიარებს თავის იმ ცდებსა და გამოცდილებას, რომელიც მწერალმა ნარკოტიკებით გატაცებისას შეიძინა; "შურდული" (1973) სიჭაბუკისდროინდელ მოგონებებს მოიცავს და უღრმავდება.

მას შემდეგ, რაც ევროპაში ნელ-ნელა ძალა ეფიტება მემარცხენეთა ინტელექტუალურ მონოპოლიას, მწერლის სახელი სულ უფრო აღიარებული ხდება, – თავდაპირველად საფრანგეთში, შემდგომ – სამშობლოშიც, თუმცა, როცა 1982 წელს მას გოეთეს პრემიას მიანიჭებენ, მემარცხენეები ისევ ბობოქრობენ...

სიცოცხლის მიწურულს იგი იწყებს თავისი დღიურების გამოქვეყნებას – "სამოცდაათის გადაბი%ების შემდეგ", რომლის უკანასკნელი ტომი მწერალმა თავისი დაბადების ასი წლისთავზე გამოსცა.

ერნსტ იუნგერის ცხოვრება და შემოქმედება მრავალ წინააღმდეგობას ითავსებდა – იგი, ერთი მხრივ, იყო ტექნიკური ცივილიზაციის ფილოსოფოსი და, მეორე მხრივ, მცენარეების ფერთა და სურნელებათა შესახებ მაგიური მედიტაციების ავტორი, იგი თანამედროვეთა მიერ პოლიტიკურ და ისტორიოსოფიურ მოაზროვნედ იყო მიჩნეული და, ამავე დროს, პარტიზანულ ცნობებს გვაწვდიდა სიზმრებისა და ნარკოტიკული გაბრუების საუფლოდან, იგი ფიქრობდა დედამიწის ბედზე და დაჟინებით აკვირდებოდა მწერებს. მთელი მისი შემოქმედება განმსჭვალულია ერთი უმთავრესი დაპირისპირებით, – ესაა დაპირისპირება დღის სამყაროსა და ღამის სამყაროს შორის. სამყაროს ღამეული მხარე კი, მწერლის აზრით, ცხადდება სიზმრებში, თრობაში, სიკვდილისას. სწორედ ამ დროს ეშვება ადამიანი დედისეულ წინარესიღრმეებში, სწორედ ამ ბურუსში იბადება ჩვენი სამყაროს პირველსახეები.

იუნგერისეულ ტექსტებს, განსაკუთრებულ პროზაულ ნაწარმოებებს, პარადოქსული ხასიათი აქვს: ერთი მხრივ, ესაა სიზმარი და წარმოსახვა, მეორე მხრივ – ცივი ანალიზი; ერთი მხრივ, ჰალუცინაციურ ხილვათა ჯაჭვი და, მეორე მხრივ, მოვლენათა ზუსტი აღწერა. თხრობა აშკარად მითოსურია, თუმცა ამ მითოსის ზედროული მთლიანობა მათემატიკურ ფორმულას მოგვაგონებს, ტექსტში აშკარაა უეცარი განათების სიჭარბე: აქ ვერ იპოვით ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებებს, ნახევარტონებს, განწყობებს; ჩანს ოდენ კრისტალურად გამჭვირვალე სახეები, რომელთაც მსჭვალავს ყოფიერების განუყოფელი შუქი; აქ ყოველივე ინდივიდუალური ქრება, რომელიც, ამავე დროს, ყოველ წამს შეიძლება გადაიქცეს ქაოსის წყვდიადად.

ერნსტ იუნგერს, როგორც პლატონის მოწაფესა და ბორხესის მეგობარს, სჯეროდა, რომ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება არის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული, მიმალული და იდუმალი სამყაროს ანარეკლი, მას, როგორც ნიცშეს მოწაფესა და ელიადეს მეგობარს, სწამდა, რომ სამყაროს არსი ხელახალი დაბრუნებაა, რომ ყველაფერი, ერთხელ მომხდარი, ისევ განმეორდება.

ერნსტ იუნგერის სიცოცხლემ საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა, მისი ტვინი საუკუნეზე მეტ ხანს ფეთქავდა, მისი მზერა საუკუნეზე მეტ ხანს შეჰყურებდა უცვლელი პირველსახეებისა და ბიოლოგიური პროცესების მარადიულობას. რაც შეეხება ისტორიისა და დროის ცვალებადობის, ან საგანთა და მოვლენათა წარმავალობის დანახვას, ეს ას ორ წელზე ნაკლებ დროშიც ადვილად ხერხდება.

1996, 1998

39

ელიას კანეტის უცაბედი პრემია

ელიას კანეტი
Elias Canetti
1905-1994

1994 წლის 14 აგვისტოს, ლონდონში, დამთავრდა ელიას კანეტის მიწიერი სიცოცხლე, – მისი ხეტიალი ენათა, ქვეყანათა, კულტურათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ კანეტი მეოცე საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურის კლასიკოსადაა მიჩნეული, იგი 1905 წლის 25 ივლისს ბულგარულ ქალაქ რუსეში დაიბადა, დღევანდელ რუმინულ-ბულგარულ სასაზღვრო ქალაქში, ხოლო თავად გერმანული ენა მისთვის მეოთხე ენა აღმოჩნდა, მესამეს ინგლისური წარმოადგენდა, მეორეს – ბულგარული, ხოლო მომავალი მწერლის პირველი სალაპარაკო ენა ლადინო ყოფილა, ესპანელ ებრაელთა არქაული დიალექტი, რადგან მომავალი მწერლის სეფარიდი ებრაელი წინაპრები სწორედ ესპანეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. სხვათა შორის, გერმანულის პირველი გაკვეთილები ყრმა კანეტის რვა წლისას ერგო, – ერთი წლის შემდეგ, რაც მამამისი გარდაიცვალა. მისი სიყმაწვილე და სიჭაბუკე კი ბრიტანულ მანჩესტერში, ავსტრიულ ვენაში, შვეიცარიულ ციურიხში და გერმანულ მაინის ფრანკფურტში მიედინებოდა. სტუდენტობის წლები კანეტიმ ვენაში გაატარა, სადაც იგი ბუნებისმეტყველებას ეუფლებოდა, – ქალაქში, რომელშიც, ამავე დროს, სათავეს იღებს მისი სამწერლო საქმე. ავსტრიის ანშლიუსის შემდეგ კი, 1938 წელს, მწერალი, გახმაურებული პირველი დრამის "ქორწილისა" და გახმაურებული პირველი რომანის "დაბრმავების" ავტორი, ლონდონს გადასახლდება, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში იშვიათად თუ დატოვებს, – დროდადრო ციურიხში ჩასასვლე-

ლად. მწერლის შემოქმედებას კი წლების განმავლობაში ცოტა რამ შეემატა – რამდენიმე პიესა, რამდენიმე პროზაული ტექსტი, ესეები. ნელ-ნელა და უშფოთველად მიედინებოდა კანეტის ცხოვრება, მაგრამ ბოლო არ უჩანდა მის ძიებებს: იგი – თავისი მრავალფეროვანი და მრავალენოვანი ცოდნის საფუძველზე – სულ უფრო უღრმავდებოდა პიროვნების, კოლექტივის, ბელადისა და ხელისუფლების საკითხს ბიოლოგიურ, სოციოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ისტორიულ თუ კულტურულ განზომილებებებში. 1960 წელს გამოდის მისი წიგნი "მასა და ძალაუფლება", რომლის ჟანრი ესეისა და სამეცნიერო გამოკვლევის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის საზღვარზე ძევს. 1981 წელს კი სტოკჰოლმიდან მოულოდნელი ცნობა მოდის: მსოფლიოში არცთუ მაინცდამაინც ცნობილ მწერალს, – ფაქტობრივ, ერთი რომანის ავტორს, – ნობელის პრემია მიენიჭა. მაშინ მოშურნენი ამბობდნენ, რომ ნობელის კომიტეტმა ამ დაჯილდოებით თავისი შეცდომისა და უყურადღებობის გამოსყიდვა სცადა ფრანც კაფკას, ჰერმან ბროხისა და რობერტ მუზილის წინაშე, – მეოცე საუკუნის ლიტერატურის იმ ნამდვილ ოსტატთა წინაშე, რომლებიც კანეტის მთელი ცხოვრების მანძილზე თავის მასწავლებლებად მიაჩნდა, მასწავლებლებად, რომელთა ერთგულებასაც იგი ყოველთვის ადასტურებდა თავის ნაწერებში. ელიას კანეტის პროზა კი, თუნდაც მისი ავტობიოგრაფიული ტეტრალოგია – "გადარჩენილი ენა", "ჩირაღდანი ყურში", "თვალებით თამაში", "საათის საიდუმლო გული" – მკითხველს უთუოდ მნიშვნელოვან და ღრმა ლიტერატურულ შთაბეჭდილებას სთავაზობს.

1999

40

კლაუს მანი – მწერლის მწერალი ვაჟი

კლაუს მანი
Klaus Mann
(Klaus Heinrich Thomas Mann)
1906-1949

1949 წლის 21 მაისს ფრანგულ ქალაქ კანში ნებაყოფლობით გამოემშვიდობა სიცოცხლეს ორმოცდაორი წლის კლაუს მანი – ამერიკის მოქალაქე, გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, თომას მანის უფროსი ვაჟიშვილი.

მეოცე საუკუნის ლიტერატურის კლასიკოსის შვილობა, როგორც ჩანს, მისთვის, თავად მწერლისათვის, მთელი ცხოვრების განმავლობაში არცთუ ადვილად სატარებელი ტვირთი იყო; როგორც ჩანს, ეს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების განუწყვეტელი დრამა და დაღი აღმოჩნდა. როცა კლაუს მანის დაღუპვის დღეებში მისი ნაცნობები თუ უცნობები, მისი პატივისცემლები თუ შემოქმედებითი კოლეგები სიცოცხლესთან ახალგაზრდა მწერლის ასე უეცარი გამომშვიდობებს მიზეზებს ეძებდნენ, თითქმის ყოველი მათგანი მნიშვნელოვან ყურადღებას მამაშვილის არცთუ ადვილ, არცთუ დაუძაბავ ურთიერთობას მიაპყრობდა. თუკი თომას მანი თავის შემოქმედებაში ბიურგერისა და ხელოვანის ზედროული დაპირისპირების დაძლევას ცდილობდა (რა თქმა უნდა, მეტი სიმპათიით ხელოვანის მიმართ), კლაუს მანი საკუთარ მამას მიიჩნევდა ბიურგერობისა და ბიურგერული ცხოვრების წესის ტიპურ წარმომადგენლად, მამას – სახელოვან და აღიარებულ მწერალს, ისევე როგორც საკუთარ დედას, წელმაგარი ბურჟუაზიული ოჯახის შვილს, ან საკუთარ ბიძას, ჰაინრიხს, ასევე სახელგანთქმულ მწერალსა და კეთილდღეობაში ჩაფლულ ადამიანს. ოჯახურ გარემო-

ებათა, აღზრდის, პიროვნული ჩამოყალიბების გამო იგი არა მარტო შემოქმედებითად ემიჯნებოდა მამებისა თუ ბიძების თაობას, არამედ ცხოვრებისეულადაც, – ცხოვრების არჩევანით, ადამიანური სიმპათიებით, ყოველდღიური ყოფით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლაუს მანი, ლიტერატურული მოღვაწეობის გარდა, ინტენსიურ თეატრალურ, სასცენო საქმიანობასაც მისდევდა და, ამდენად, ძნელია ითქვას, სად იმიჯნებოდა მის არსებაში მსახიობი და იდეური მეამბოხე, პროვოკატორი და ბურჟუაზიული საზოგადოების გულწრფელი კრიტიკოსი, ისევე როგორც ადვილი არაა იმ ზღვრის პოვნა, სად მთავრდებოდა ეპატაჟი და სად იწყებოდა შემოქმედება. საერთოდ, ისიც ძნელია განისაზღვროს, რამდენად შინაგანი მიზეზებით და არა პროვოცირების, შეჯიბრის, გამიჯვნის სურვილით იყო განპირობებული მისი გამომწვევი მწერლური სტილი და თემატიკა, გამომწვევი საზოგადოებრივი პოზიცია, გამომწვევი სექსუალური არჩევანი და საქციელი...

როდესაც კლაუს მანმა სიცოცხლეზე უარის თქმა გადაწყვიტა, მას უკვე უკან ჰქონდა მოტოვებული ემიგრაციის 16 წელი, ირგვლივ კი განადგურებული, გაპარტახებული, მიწასთან გასწორებული სამშობლო ეგულებოდა, – ოკუპირებული, დამარცხებული გერმანია, სადაც მას ბევრი აღარაფერი ესმოდა და სადაც მაინცდამაინც აღარც მისი ესმოდათ მის თანამემამულეებს. იმ დროს გერმანია უკვე ფერფლიდან და ნანგრევებიდან აღდგომას ცდილობდა; იმ დროს კლაუს მანს ახალი ცხოვრების დაწყების უკვე აღარავითარი სურვილი აღარ ჰქონდა.

თუმცა მას, როგორც გამოცდილ, აღიარებულ, წარმატებულ მწერალს, თავისი კალმითაც, საზოგადოებრივი საქმიანობითაც, იარაღითაც (– როგორც ამერიკული ჯარის ოფიცერს) ენერგია არ დაუშურებია გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის გასანადგურებლად.

თუ 30-იანი წლების ევროპული მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე კლაუს მანის ყველაზე მნიშვნელოვან წვლილად უნდა იქნას მიჩნეული მის მიერ ოლდოს ჰაქსლისა და ანდრე ჟიდთან ერთად გამოცემული ანტინაცისტური ჟურნალი “Die Sammlung”, შე-

მოქმედებითად (არა მარტო მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, არამედ, საერთოდ, ანტინაცისტურ ლიტერატურაში) გამორჩეული ადგილი უჭირავს კლაუს მანის რომანს "მეფისტო", რომელიც 1936 წელს დაიბეჭდა და რომელიც მოგვითხრობს იმ ხელოვანის შესახებ, ვინც პროფესიული კარიერის შესანარჩუნებლად და გასაღვივებლად ნაციონალ-სოციალისტებთან თანამშრომლობა არჩია. თემა, რა თქმა უნდა, დღემდე არ კარგავს სიმწვავეს, – მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარულ სისტემათა სივრცე უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა, ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ხელოვანის თავისუფლება (ან ამ თავისუფლების შეგრძნება და შეგნება) შესაბამისი პროპორციით გაიზარდა. ამ მწვავე და მტკივნეული საკითხის გასაგებად, მასში ჩასაღრმავებლად კლაუს მანს შორს წასვლა არ სჭირდებოდა: ცნობილია, რომ რომანის მთავარი პერსონაჟის პროტოტიპს წარმოადგენს თავად მწერლის სიძე – დის ქმარი და მისი პირადი მეგობარი, გუსტავ გრუნდგენსი, ცნობილი გერმანელი მსახიობი, რომელმაც სამშობლოში დარჩენა და თავისი სამსახიობო საქმიანობის გაგრძელება არჩია, თუნდაც ჰიტლერელებთან ახლო კონტაქტების დამყარების ფასად. მეოცე საუკუნის დასასრულს შესაძლოა ითქვას, რომ რომანმა "მეფისტომ" თავისი თემითა და შესრულებით გადალახა იმ ეპოქის ფარგლები, რომელშიც ის აღმოცენდა და რომელსაც ის თავდაპირველად ეკუთვნოდა.

გარდა ამისა, კლაუს მანის ფართო პროზაულ მემკვიდრეობას, რომელიც მრავალ წიგნს მოიცავს, განეკუთვნება რომანები: "ალექსანდრე" (1929) – მაკედონელი მბრძანებლის შესახებ, "პათეტიკური სიმფონია" (1935), რომელიც რუსი კომპოზიტორის, პიოტრ ჩაიკოვსკის, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ეძღვნება, "გაქცევა ჩრდილოეთით" (1934) და "ვულკანი" (1939) – ემიგრანტული გამოცდილების ამსახველი ნაწარმოებები, ამასთანავე, მოგონებათა შესანიშნავი წიგნი "მოსაბრუნი წერტილი" (1942-1949), რომელიც მკითხველს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ევროპის ინტელექტუალური და კულტურული ცხოვრების ბრწყინვალე პანორამას გადაუშლის.

თხზულების პერსონაჟებად გვევლინებიან მეოცე საუკუნის სახელგანთქმული მწერლები, ლიტერატორები, მოაზროვნეები, ხელოვნების მოღვაწენი, მათ შორის გერმანელი რომანისტი თომას მანი, რომელიც თავად მწერლის, კლაუს მანის, სასიხარულოდ თუ საამწუხაროდ, მოგონებათა ავტორის მამა იყო.

1999

41

პაულ ცელანის ენობრივი სამშობლო

პაულ ცელანი
Paul Celan
(Paul Antschel; Paul Ancel)
1920-1970

1970 წლის 1 მაისს, პარიზში, სენის ტალღებში დაამთავრა თავისი სიცოცხლე უმაღლესი სკოლის ენების მასწავლებელმა, ორმოცდაცხრა წლის პაულ ანჩელმა, რომელიც გერმანული პოეზიის ყოველი მცოდნისა და ყოველი მოყვარულისათვის პაულ ცელანის სახელითაა ცნობილი.

პაულ ცელანს არასოდეს უცხოვრია გერმანიაში, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს თვალსაზრისი, რომ, შესაძლოა, იგი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელია.

პაულ ანჩელი გერმანულენოვან ებრაულ ოჯახში 1920 წელს, ჩერნაუციში დაიბადა. იმჟამად ქალაქი რუმინეთის სამეფოს ეკუთვნოდა, თუმცა ორი წლით ადრე მთელი ის ოლქი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ნაწილი იყო, შემდგომში კი ჩერნაუცი მონაცვლეობით ხან რუმინეთის და ხან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა (ამჟამად ის უკრაინული ქალაქია და დღეს მას ჩერნოვცი ჰქვია). ყმაწვილი ჯერ გერმანულ დაწყებით სკოლაში სწავლობდა, შემდგომ – ებრაულ სასწავლებელში, საიდანაც იგი ჯერ რუმინულ ლიცეუმში გადავიდა, ბოლოს კი – უკრაინულ გიმნაზიაში. ექიმის დიპლომის მოსაპოვებლად იგი ფრანგულ უნივერსიტეტში შევიდა, ტულუზაში, მაგრამ პირველი კურსის დამთავრების შემდეგ ისევ სამშობლოში დაბრუნდა. რუმინეთში საბჭოთა არმიის შეჭრისა და ბუკოვინის დაკავების შემდეგ იგი საბჭოთა მოქალაქეობას მიიღებს, რუსულს შეისწავლის

და თარჯიმნად იწყებს მუშაობას, მაგრამ გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მიერ ქალაქის აღებას ჭაბუკი პაულის ნაცისტურ სამუშაო ბანაკში გამწესება, ხოლო მისი მშობლების დაპატიმრება და სიკვდილი მოჰყვება. 1944 წელს იგი ისევ შინ ბრუნდება და ადგილობრივ უნივერსიტეტში სწავლობს ანგლისტიკას, თარგმნის შექსპირს, წერს ლექსებს. 1945 წელს ახალგაზრდა პოეტი ბუქურეშტში გადადის, მაგრამ რუმინეთში მონარქიის გაუქმებისა და კომუნიზმის გაბატონების შემდეგ იგი ჯერ უხუმრად უნგრეთის საზღვარს გადაკვეთს, შემდგომ კი ავსტრიას შეაფარებს თავს. ვენაში იწყება მისი მრავალწლიანი კავშირი ინგებორგ ბახმანთან, – კავშირი ამოუცნობი და აუხსნელი, როგორც მონაწილეთათვის, ისე, მით უმეტეს, სხვათათვის...

1948 წელს პაულ ცელანი პარიზში დასახლდება, სადაც ნებაყოფლობით შეწყვეტილი სიცოცხლის ბოლომდე დარჩება.

ერთი ლიტერატურული პრემიის გადაცემისას პოეტმა განაცხადა: "მისაწვდომი, მახლობელი და დაცული – ყველა დანაკარგთა შორის – აღმოჩნდა ერთადერთი: ენა". მისი ცხოვრების მკვეთრი და მყარი მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანის სამშობლო ენაა, მით უმეტეს, – პოეტის სამშობლო...

ცელანი გერმანულ ენას ეკუთვნოდა და თავისი ერთადერთ სამშობლოდაც მას გერმანული ენა ეგულებოდა.

ცელანის ლექსების პირველ კრებულს, რომელიც 1949 წელს ვენაში გამოიცა, კიდევ რამდენიმე კრებული მოჰყვა, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში იბეჭდებოდა. მაგიურობითა და გაუმჭვირვალობით აღბეჭდილი პოეზიის ეს ცხრა წიგნი სამყაროს იდუმალი არსის ჩაწვდომას ცდილობს.

რაც უფრო გადიოდა დრო, "სიკვდილის ფუგის" ავტორი სულ უფრო მეტად უღრმავდებოდა მშობლიურ ებრაულ თემებს, იგი სულ უფრო მეტი დაჟინებით ეძებდა ღმერთს, – ძველი აღთქმისა და კაბალური ტრადიციის ღმერთს.

მის გონებაში ნელ-ნელა ქრებოდა მოკიაფე ნაპერწკლები, თანდათანობით მრუმე ნისლს იკრებდა მისი თვალ-

საწიერი, შეშლილობისა და სასოწარკვეთის წყვდიადიდან მისი ამოძახილი კი თანდათანობით უფრო მეტად ბუნდოვანი ხდებოდა.

პოეზიაზე საუბარი, ზოგადად, მეტისმეტად ძნელია, მით უმეტეს, – პაულ ცელანის ამოუცნობ, დამუხტულ, ჩაკეტილ, მორევში ჩამთრევ ლექსებზე.

2000

42

სამშობლოსთან შეურიგებელი თომას ბერნჰარდი

თომას ბერნჰარდი
Thomas Bernhard
1931-1989

თომას ბერნჰარდმა ერთხელ თქვა: "ჩემს წიგნებში არასოდეს დამიხატავს პეიზაჟი. ეს სრულიად ზედმეტია. მას ხომ ყველა ხედავს. ჩემთვის ფასი აქვს შინაგანი პეიზაჟის აღწერას, – იმ სამყაროსი, რომელსაც თითქმის ვერავინ ხედავს. აი, საქმე ესაა; აი, ეს ნამდვილად მიტაცებს".

ჰოლანდიურ ქალაქ ჰეერლენში, 1931 წლის 9 თებერვალს დაუქორწინებელ ჰერტა ბერნჰარდს შეეძინა ვაჟი, რომელსაც დედამ თომასი დაარქვა. მოევლინა თუ არა ბავშვი ქვეყანას, ახალდაბადებულის მამა სასწრაფოდ გაუჩინარდა და სულ მალე გერმანიაში აღმოჩნდა, სადაც 1940 წელს ნებაყოფლობით გამოემშვიდობა ცხოვრებას.

თავისი ცხოვრების პირველი თვეები მომავალმა მწერალმა როტერდამის მახლობლად, საერთო საცხოვრებელში, გაატარა, შემდეგ კი იგი დედამ ჰილეგერსბერგის ჩვილი ბავშვების თავშესაფარში მიაბარა, სადაც იმდენად მკაცრი წესები იყო დამკვიდრებული, რომ იქ მეტად იშვიათად მისულ დედას ლოგინიდან ბავშვის ხელში აყვანაც კი არ ანებებდნენ. მაგრამ დიკენსური ფაბულა კიდევ გრძელდება: თავშესაფრიდან თავდახსნილ პაწიას ცოტა ხნით ზღვის ჰაერის ჩასუნთქვის საშუალება მიეცა, როცა დედასთან ერთად მებადურთა ნავზე აღმოჩნდა, თუმცა იმავე 1931 წლის შემოდგომაზე თითქოსდა ბედნიერი დასასრული დაილანდება – ჩვილი ბებიასა და პაპასთან აღმოჩნდება ვენაში.

მაგრამ განცხრომა და ნებივრობა პატარა თომასს არც ვენაში ეწერა, თუმცა მაშინ მას ავსტრიული ცხოვ-

რების ავ-კარგისა, ალბათ, ცოტა რამ გაეგებოდა. სრულიად უფულო ბებია და პაპა, პატარა თომასთან ერთად, ზალცბურგის მახლობლად, პატარა ზიიკირხენში გადაბარგდნენ. მრავალი წლის შემდეგ ბერნჰარდმა თავის მოგონებებში გროტესკულად დახატა უსახლკარო მწერლის, იოჰან ფროიმბიხლერის, გაუხარელი ცხოვრება, რომლის ირგვლივაც ტრიალებს უგულებელყოფილ ხელოვანთა, მსახიობთა, კომედიანტთა, ცირკის ჯამბაზებისა და აკრობატების სამყარო. ბერნჰარდმა თავისი დაუნდობელი კალმით სასტიკად დასცინა საკუთარ პაპას, რომელსაც ნამდვილად არ გაუმართლა და რომლისთვისაც ხელოვნების სამსახური და სიღატაკე, სამწუხაროდ, განუყოფელი აღმოჩნდა.

1937 წელს ექვსი წლის თომასი და დედამისი ტრაუნშტაინში, ბავარიაში, დასახლდებიან. დედა-შვილის ურთიერთობა მეტად რთული და დაძაბული აღმოჩნდა და ამის შედეგად ის მოჰყვა, რომ თოთხმეტი წლის ჭაბუკმა – კათოლიკურ ოჯახში აღზრდილმა გიმნაზიელმა – თვითმკვლელობა გადაწყვიტა, თუმცა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

ერთადერთი არსება ამქვეყნად, რომელსაც ჭაბუკის ბედი უთუოდ აღელვებდა, ეს პაპამისი იყო. სწორედ მისი წაქეზებითა და მხარდაჭერით მოიპოვა თომასმა მევიოლინისა და მხატვრის განათლება. მალე, ომის დამთავრების შემდეგ, ოჯახი ისევ ზალცბურგს დაბრუნდება.

1947 წლის აპრილში ბერნჰარდი თავს ანებებს სწავლას და ზალცბურგის ღარიბ გარეუბანში, სურსათის მაღაზიაში იწყებს მუშაობას. სწორედ იქ მიღებული შთაბეჭდილებები დაედო საფუძვლად რომანს "სარდაფი". ვაჭრობის გარდა, იგი, ამავე დროს, გატაცებით სწავლობს მუსიკას.

მაგრამ მალე პლევრიტით დაავადებულ თვრამეტი წლის ჭაბუკს ხანგრძლივი თვეების გატარება მოუწევს სხვადასხვა საავადმყოფოებში. სიკვდილის პირისპირ მდგომი თომასი სრულიად მარტო რჩება: იმ დროს, როცა იგი ავადმყოფობას ებრძვის, კვდება პაპა, კვდება დედა.

სწორედ ამ დროს გადაწყვეტს იგი, პაპამისის კვალს გაჰყვეს და ლიტერატურულ საქმიანობას მოჰკიდოს

ხელი. მალე ზალცბურგის გაზეთებში თომას ბერნჰარდის პირველი მოთხრობები იბეჭდება. მაგრამ სანატორიუმში ყოფნისას მას კიდევ ერთი ცხოვრებისეული გარდატეხა ელოდა: აქ იგი გაიცნობს ჰედვიგა სტავიანიცეკს, მისი ცხოვრების ქალს. მათი მჭიდრო კავშირი, რომელსაც იმ დროს და იქ ჩაეყარა საფუძველი, ჰედვიგას გარდაცვალებამდე, 1984 წლამდე გასტანს. ოცდათხუთმეტი წლით უფროსი ქალი მას არა მარტო ცხოვრებისაკენ მოაბრუნებს, არამედ ვენის ხელოვანთა წრეში მოაქცევს, შემდგომში იგი ყველგან თან დაჰყვება სახელგანთქმულ მწერალს – ვენეციაში, სიცილიაზე, იუგოსლავიაში.

1952 წელს, კარლ ცუკმაიერის დახმარებით, ბერნჰარდი პრესასთან ყოველდღიურ თანამშრომლობას იწყებს და მალე გაზეთებში იბეჭდება მისი სტატიები, რომელთა კრებული შემდგომ წიგნადაც გამოდის. ამ პერიოდისა და თავისი საგაზეთო მოღვაწეობის შესახებ მწერალმა მოგვიანებით თქვა: "ეს ფასდაუდებელი კაპიტალია. ასე მგონია, რომ ჩემი ფესვები სწორედ იქ არის. არც ერთი სხვა პროფესიის წარმომადგენელს არა აქვს ამდენი საშუალება, იაროს გაუღიმებლად გვამებს შორის, უსაშველოდ გადააჭარბოს ხოლმე და შეუზღუდავად მოიტყუოს. მეტად წარმტაცი რამაა!".

შემდგომში ბერნჰარდი მოცარტეუმში ეუფლება სამსახიობო ხელოვნებასა და რეჟისორობას. როგორც თავად მიაჩნდა, ეს იყო ადამიანებისაგან იმგვარი გაქცევა, როცა, ამასთანავე, არ არსებობს იზოლაციის საფრთხე. მოცარტეუმში გატარებული დრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მომავალი დრამატურგისათვის, რამდენადაც იგი კიდევ უფრო მგრძნობიარე გახდა ადამიანური ხმის, მეტყველების მიმართ, იგი უკვე პროფესიულად აღიქვამდა სასცენო სივრცის ესთეტიკურ შესაძლებლობებს. ლიტერატურული და თეატრალური გატაცებანი ერთმანეთს ერწყმის. თომას ბერნჰარდს უჩნდება სურვილი, დაიწყოს წერა თეატრისათვის.

მაინც, თავდაპირველად ლიტერატურული გამარჯვება ბერნჰარდს პროზამ მოუტანა. ეს იყო მისი პირველი რომანი "ყინვა", რომელსაც მალე რომანებისა და ნოველების გრძელი წყება მოჰყვა.

“ბაზარზე ახალი წიგნის გამოტანა საფლავის ამოთხრას ჰგავს. თარგმანები კი გვამებია, რომელთა ამოცნობაც კი არ ხერხდება, როგორც ავტომანქანის გადავლის შემდეგ”, – ესეც მწერლის სიტყვებია.

60-იანი წლების მიწურულს ბერნჰარდის წიგნებმა საერთაშორისო სახელი მოიპოვა. მწერალი მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი ხდება, მაგრამ, რაც უფრო მეტ აღიარებას მოიპოვებს, მით უფრო მწვავეა მისი კრიტიკული პათოსი: სამადლობელო გამოსვლებისას იგი დაუღლელად აცამტვერებს ავსტრიულ საზოგადოებას, რასაც ხშირად სკანდალიც კი მოჰყვება ხოლმე.

1965 წელს ბერნჰარდმა მთიან ავსტრიაში, ოლსდორფში, იყიდა პატარა, გაპარტახებული მამული, რომელიც მხოლოდ მრავალწლიანი შრომის შემდეგ მოიყვანა წესრიგში. მაგრამ წესრიგისა და სიმშვენიერის მოყვარული ის მხოლოდ მეურნეობაში არ იყო, – მას მიაჩნდა, რომ იგი იყო ადამიანი, რომელიც ცდილობდა “შეენარჩუნებინა ძველი სილამაზე და განეახლებინა ფორმათა სიმყარე სიმახინჯისაკენ განუწყვეტლივ მსწრაფ სამყაროში”. ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსული სიტყვები მისი ესთეტიკის კონსერვატიულ განზომილებაზე მეტყველებს, მიუხედავად იმისა, რომ თანადროულ მსოფლიო ლიტერატურაში მას ერთმნიშვნელოვნად აქვს მოპოვებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ავანგარდისტის პატივი.

ბერნჰარდს თეატრალური დიდება უკვე მისმა პირველმა პიესამ – “ბორისის დღესასწაულმა” – მოუტანა, შემდგომ კიდევ მომდევნო ჩვიდმეტმა პიესამ, რომელთაც მას გერმანულენოვან მწერლებს შორის ყველაზე წარმატებული დრამატურგის სახელი მოუტანეს. მაგრამ, ამავე დროს, მისი დრამატურგიული ნაწარმოებები იდგმება მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში, რადიოსა და ტელევიზიაში, მათს საფუძველზე განხორციელდა რამდენიმე ეკრანიზაცია. თითქმის ყველა თეატრალური სპექტაკლის რეჟისორი იყო ბერნჰარდის მეგობარი, კლაუს პაიმანი, რომელიც შემდგომში ვენის ბურგთეატრის დირექტორი გახდა, სწორედ იმ ბურგთეატრისა, რომელიც ასე სძულდა – ფუყე ბურჟუაზიულობისა და მყარი ტრადიციულობის გამო – მწერალს.

1972 წელს ზალცბურგის ფესტივალის საზეიმო დღეებში შედგა ბერნჰარდის ახალი პიესის – "უვიცისა და შეშლილის" – პრემიერა, რომელსაც იმგვარი სკანდალი მოჰყვა, რომ პიესამ სათეატრო სცენა მხოლოდ ერთგზის იხილა.

70-იან წლებში ბერნჰარდი ბეჭდავს ავტობიოგრაფიული წიგნების ხუთტომეულს: "მიზეზი", "სარდაფი", "სუნთქვა", "სიცივე" და "ყმაწვილი", მაგრამ თუ სხვადასხვა ქვეყნებში ამ წიგნებს დიდი გამოხმაურება და აღტაცება ხვდა წილად, მწერლის მშობლიური ზალცბურგი საყოველთაო აღშფოთებამ მოიცვა. მოგონებათა უკვე პირველი წიგნის გამოსვლა "ჭეშმარიტმა" ზალცბურგელებმა ქალაქის პოზიტიური სახის შებღალვად მიიჩნიეს. პროტესტებს ბოლო არ უჩანდა, საქმე სასამართლო პროცესამდეც კი მივიდა და მწერალი იძულებული გახდა, წიგნიდან ზოგიერთი მონაკვეთი ამოეღო.

ბერნჰარდის ცხოვრების უკანასკნელი წლები ფიზიკური ტკივილით, ავადმოფობითა და ოპერაციებით იყო აღსავსე. განუწყვეტლად საავადმყოფოებსა და სანატორიუმებში მყოფმა მწერალმა დაუეჭვებლად იცოდა, რომ იგი განწირული იყო.

სიცოცხლის მიწურული მან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაატარა. იგი სიკვდილს ელოდა, მაგრამ ბოლო წუთამდე მის სტრიქონებს არ მოჰკლებია სარკაზმი და ირონია. მისმა ბოლო ორმა წიგნმაც – რომანმა "ტყის ჩეხვამ" და პიესამ "გმირთა მოედანი" – მთელს ავსტრიაში გახმაურებული სკანდალი გამოიწვია. როცა ავსტრიაში რომანის ტირაჟის გაყიდვა შეაჩერეს, მწერალმა თავის სამშობლოში საერთოდ აკრძალა საკუთარი წიგნების გაყიდვა. ბურგთეატრის სცენაზე "გმირთა მოედნის" დადგმა მომაკვდავი მწერლის უკანასკნელი ტრიუმფი იყო, თუმცა ქვეყნის მასმედია და პოლიტიკური ელიტა სპექტაკლს სასტიკად აგრესიულად შეხვდა.

გულის მძიმე შეტევის შემდეგ თომას ბერნჰარდი სამშობლოში ბრუნდება. 1989 წლის 12 თებერვალს იგი თავის სახლში გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, მწერალი ვენის სასაფლაოზე დამარხეს თავისი მრავალწლიანი მეგობრის, ჰედვიგა სტავიანიცეკის, გვერდით.

თავისი სიცოცხლე ბერნჰარდმა ისე დაამთავრა, ავსტრიას და მის ფასეულობათა სისტემას არ შეჰრიგებია. მისი ანდერძიც ავსტრიის კიცხვითაა აღსავსე. მწერლის უკანასკნელი ნების თანახმად, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ავსტრიის ტერიტორიაზე ვერ დაიბეჭდება მანამ, სანამ საავტორო უფლებები არ დაკარგავს ძალას. ამასთანავე, მწერალმა აკრძალა რამე დაიბეჭდოს იმ მასალებიდან, რაც ავტორს დაუბეჭდავი დარჩა.

1997

ვინც ინგლისურად წერდა

ჯონ რესკინი
ჯოზეფ კონრადი
უილიამ ბათლერ იეიტსი
რედიარდ კიპლინგი
ჰერბერტ უელსი
ედვარდ მორგან ფორსტერი
ლიტონ სტრეჩი
ტომას სტერნზ ელიოტი
უილიამ ფოლკნერი
კლაივ სტეიპლზ ლუისი
ჯორჯ ორუელი
ქრისტოფერ იშერვუდი
აიზაია ბერლინი
ტომას მერტონი
ჯერომ დევიდ სელინჯერი
სალმან რუშდი

43

ჯონ რესკინის გაუცვეთელი ქვები

ჯონ რესკინი
John Ruskin
1819-1900

1900 წლის 20 იანვარს, ქონისტონის სულიერად დაავადებულთა საავადმყოფოში სიცოცხლე დაასრულა ჯონ რესკინმა, რომელსაც ორიოდ კვირა უკლდა, ოთხმოცდაერთი წლისა გამხდარიყო, თუმცა უკვე ათ წელზე მეტი იყო, რაც მისი მრავალწლიანი, დაძაბული ინტელექტუალური ცხოვრება უკვე შეწყვეტილი იყო და იგი, – მრავალრიცხოვანი, თაობათათვის წარმტაცი წიგნების ავტორი, – შეშლილობის მეექვსე, გამანადგურებელი შეტევის შემდეგ, მხოლოდ ხელის მოწერასღა ახერხებდა.

მაგრამ ცხოვრებას აგრძელებდა მისი წიგნები და ამ წიგნებში ასახული აზრები და შეხედულებები, – ვიქტორიული ეპოქის, ალბათ, ყველაზე გავლენიანი აზრები და შეხედულებები ხელოვნების, სილამაზის, საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ. ორი საუკუნის ზღვარზე "ვენეციის ქვები" მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბიბლიოთეკისა თუ სკოლის მერხზე, პარკში თუ სალონში, მატარებელში თუ ტაძრის ჩრდილში გადაშლილი ჰქონდა ათასობით რომანტიკული გზნებით ანთებულ ახალგაზრდას; რესკინის წიგნების შთაგონებულ, გატაცებულ, დაუღალავ მკითხველებს სწორედ იმ ხანებში ან ცოტა მოგვიანებით მაჰატმა განდჰი და მარსელ პრუსტიც ეკუთვნოდნენ. სხვათა შორის, ერთიცა და მეორეც – ორი ამგვარად განსხვავებული ადამიანი – სიამაყით აღიარებდა, რომ მათი მსოფლმხედველობის წარმოქმნაზე, საზოგადოებისა თუ ხელოვნების შესახებ მათი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა სწორედ ჯონ რესკინმა მოახდინა. თანამედროვე ადამიანისათვის, შესაძლოა, ძნელი ჩასაწ-

ვდომი, ძნელი გასაგები იყოს ის მიმზიდველობა, ის გატაცება რესკინის ნაწერებით, რომლითაც ასე აღბეჭდილი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი თუ მეოცე საუკუნის დასაწყისი, მაგრამ ისიც გასახსენებელია, ისიც გასათვალისწინებელია, რა არ თქმულა რესკინამდე, რა თქვა, რა დაინახა, რა შენიშნა რესკინმა პირველმა, რისი თქმა და რისი დანახვა გაადვილდა რესკინის შემდეგ. თუნდაც გოთური ხელოვნების ჯერ გაგება, შემდგომ კი – დაფასება და აღორძინება, წინარენესანსული იტალიური ხელოვნების ახალი თვალსაწერიდან წარმოჩენა, საზოგადოების უფრო სამართლიანი მოწყობის გზების ძიება ჯონ რესკინის, მისი აზრებისა და გავლენის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. განა ინგლისელი პრერაფაელიტების ხელოვნება, დანტე გაბრიელ როსეტის მეთაურობით, ან მარსელ პრუსტის "დაკარგული დროის საძებნელად", ანდა მაჰატმა განდჰის სოციალური უტოპიები მნიშვნელოვანწილად ჯონ რესკინის წიგნების არეკლვას, გაცოცხლებას, ხორცშესხმას არ წარმოადგენს?

დაბოლოს, რესკინის ქართული კონტექსტი: მერაბ მამარდაშვილი იხსენებდა ხოლმე, მოწაფეობის წლებში, უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში როგორ სწავლობდა იგი ინგლისურ ენას ჯონ რესკინის "ვენეციის ქვების" კითხვით, – და არა მარტო ინგლისურ ენას, არამედ სილამაზის, ხელოვნების, ნამდვილი განცდისა და განწყობის ცოდნასა და დაფასებას.

2000

44

ჯოზეფ კონრადი – ღირსებისა და ერთგულების კაპიტანი

ჯოზეფ კონრადი
Joseph Conrad
(Józef Teodor Nałęcz Konrad Korzeniowski)
1857-1924

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინგლისელი მწერალი, ჯოზეფ კონრადი, 1924 წლის 3 აგვისტოს, ინგლისურ ქალაქ კენტერბერიში გარდაიცვალა, თუმცა თავად იგი წარმოშობით ინგლისელი არ იყო და მან ინგლისური ენის შესწავლა მხოლოდ ოცი წლისამ დაიწყო. ჯოზეფ კონრადი ლიტერატურული ფსევდონიმია, – ფსევდონიმი პოლონელი იოზეფ კონრად კოჟენევსკისა, რომლის მამა რომანტიკოსი მწერალი, შექსპირისა და ჰიუგოს პოლონურად მთარგმნელი და თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი იყო. სამშობლოს თავისუფლებისათვის ოცნება და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მომავალი ინგლისელი კლასიკოსის მამას ძვირად დაუჯდა, ისევე როგორც მის თანამემამულეთა არცთუ უმნიშვნელო ნაწილს, – პატარა იოზეფი მხოლოდ ხუთი წლისა იყო, როცა იგი 1862 წელს ჩრდილოეთ რუსეთში აღმოჩნდა იქ გადასახლებულ მამასთან ერთად. ხოლო როცა ჭაბუკი თერთმეტი წლისა შესრულდა, მამამისი ჩრდილოურ ტყვეობაში გარდაიცვალა. თუმცა ეს სიკვდილი მომავალი მწერლისათვის რუსული გარემოდან საბოლოო თავდახსნასაც ნიშნავდა, რადგან მასზე მზუნველობა ბიძამისმა, ტადეუშ ბობროვსკიმ, ითავა და თავისი დისშვილი ჯერ კრაკოვში გაისტუმრა სასწავლად, შემდგომ კი, რუსული ტრამალებიდან უფრო შორს – შვეიცარიაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჭაბუკს სწავლა მაინცდამაინც არ იტაცებდა და განუწყვეტლად ზღვისკენ მიუწევდა გული.

იგი თექვსმეტი წლისა იყო, როცა გულში კარგა ხნის წინ ჩადებული თავისი ოცნება აისრულა და მარსელის ნავსადგურში იმ გემში ჩაჯდა, რომელზეც მას მეზღვაურის ადგილი ჰქონდა შეპირებული. მაგრამ ბიძამისი მის ამ გადაწყვეტილებას არ განურისხებია და ყოველწლიურად დისშვილს ორი ათას ფრანკს უგზავნიდა, რამაც ახალგაზრდა მეზღვაურს საშუალება მისცა, ვენესუელაში, ინდოეთში, შორეულ აღმოსავლეთში დაედგა ფეხი. მისი არაერთი მომავალი წიგნის ფურცლებზე სწორედ აქ, ზღვაზე თუ შორეულ ხმელეთზე მოპოვებული ცოდნა და გამოცდილებაა არეკლილი. მეზღვაურმა კოჟენევსკიმ იმდენად გაითავისა საზღვაო სამსახური, რომ მალე ინგლისის სავაჭრო სანაოსნოში დაიწყო სამსახური, რამაც მას საშუალება მისცა, არც ისე დიდი ხნის შემდეგ მისი უდიდებულესობის, ბრიტანეთის დედოფლის ქვეშევრდომი და ბრიტანული სავაჭრო ხომალდის კაპიტანი გამხდარიყო, თუმცა კონგოში ყოფნისას იგი მძიმედ დაავადდა, რის გამოც ოცდაჩვიდმეტი წლისა ნაპირზე – ანუ ბრიტანულ მიწაზე – გადმოვიდა და მწერლობას შეუდგა.

ერთი წლის შემდეგ, 1895 წელს, იბეჭდება ჯოზეფ კონრადის, პირველი რომანი, "ოლმეიერის საჰაერო კოშკი", რომელსაც პირველი წარმატება მოჰყვა. უკვე ამ წიგნშივე აშკარა იყო კონრადის შემოქმედების უმთავრესი ნიშნები: ნატიფი, სტილისტურად უბადლო ინგლისური ენა; შორეთის პეიზაჟები; ევროპული და ევროპისმიღმა ცივილიზაციების შეჯახება; ფსიქოლოგიურ და ეთიკურ პრობლემათა სიმწვავე; თხრობის ლირიკული და ელეგიური, მაგრამ შინაგანად დაძაბული მდინარება.

სანამ ევროპაში ექსისტენციალიზმის მოდა დაიწყებოდა, ჯოზეფ კონრადი ადამიანის მარტოობისა და მიუსაფრობის, გაუცხოებისა და იმედის ძიების შესახებ საკუთარი გამოცდილების, სასაზღვრო სიტუაციაში საკუთრად ყოფნის გამოცდილების საფუძველზე წერდა, – და თან, ფილოსოფიის მორომანისტო და მოდრამატურგო პროფესორებზე არცთუ უარესად.

თუკი რამ საუკეთესო დაწერილა ამ საუკუნეში ინგლისურ ენაზე, ჯოზეფ კონრადის "წყვდიადის გული", "ლორდი ჯიმი" ან "ნოსტრომო" უეჭველად მათ რიცხვს განე-

კუთვნება, ოღონდ საქმე ისაა, რომ ის ღირებულებანი, რაც ასე მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი, მტაჯველად აუცილებელი იყო კონრადისა და მისგვარი სულიერი წყობის ადამიანებისათვის – ვაჟკაცობა და პასუხისმგებლობა, ღირსების გრძნობა და თავგანწირვის უნარი, უშიშრობა და რაინდობა, – დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულისათვის, სამწუხაროდ, მეტად მოძველებულად, მეტად ძველმოდურად, მეტად ყავლგასულად მოჩანს. შესაძლოა, ესეცაა მიზეზი, რომ ჯოზეფ კონრადის ღრმა და მშვენიერი წიგნების მკითხველი ამ ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო კლებულობს.

1999

45

იეიტსი,
ირლანდია, ვარდი

უილიამ ბათლერ იეიტსი
William Butler Yeats
1865-1939

უილიამ ბატლერ იეიტსი 1865 წლის 13 ივნისს საშუალო ფენის ანგლო-ირლანდიურ პროტესტანტულ ოჯახში დაიბადა. მომავალ სახელოვან პოეტს თავისი წარმოშობა, განსაკუთრებით, დედის მხრივ, არისტოკრატიულად მიაჩნდა, და მთელი ცხოვრება ისეთ ყოფასა და აზროვნების სტილს არჩევდა და ამჯობინებდა, როგორიც ნამდვილ არისტოკრატს შეჰფეროდა. თუმცა მისი აზროვნების ტიპი, მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია და რელიგიური არჩევანი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჭაბუკის შინაგანმა გაორებამ პაპამისის მართლმორწმუნე ქრისტიანობასა და მამის სრულ აგნოსტიციზმს შორის. პოეტურ, დრამატულ თუ ესეისტურ შემოქმედებაშიც იგი თავისი საკმაოდ განსხვავებული ინტერესების შეჯვარებას, შერწყმას, გამთლიანებას ცდილობდა: ერთი მხრივ, იყო კულტურული ნაციონალიზმი, რაც ირლანდიური ძირების ძიებასა და გამყარებაში გამოვლინდა, მეორე მხრივ, ოკულტური ფილოსოფიით გატაცება, ამავე დროს, სიმბოლიზმის ლიტერატურულ-ესთეტიკური იდეალების ერთგულება.

ირლანდიური მემკვიდრეობის აღორძინების მცდელობა, რომელიც იეიტსის მთელ შემოქმედებას მსჭვალავს, პოლიტიკურ აქტიურობასთანაც იყო დაკავშირებული. სხვა თუ არაფერი, იგი ირლანდიური ეროვნული თეატრის ერთ-ერთი მესაფუძვლე და ირლანდიური ზღაპრების ერთ-ერთი პირველი შემკრები, შემსწავლელი და გამომცემელია. მაგრამ, ამას გარდა, იმ დღიდან, რაც ოცდაოთხი წლის ჭაბუკი იეიტსი მგზნებარე ირლანდიელ

ნაციონალისტ გოგონას, მომხიბლავ მოდ გონს დაუახლოვდა, ახალგაზრდა პოეტი მხურვალედ ჩაება ირლანდიის განთავისუფლების მოძრაობაში, რომელიც არცთუ შეფარულად სოციალისტური ელფერით იყო აღბეჭდილი. როცა ირლანდიამ 1922 წელს ბრიტანეთის გვირგვინისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, იეიტსი ახალი რესპუბლიკის სენატორად იქნა არჩეული. სხვათა შორის, ერთი წლის შემდეგ, 1923 წელს, მას, პირველ ირლანდიელ მწერალს, ნობელის პრემია მიენიჭა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ პოეტის არისტოკრატიულ პოზიციას ცოტა რამ ჰქონდა საერთო ეპოქის ქარის ქროლვასთან და იგი მალე არა მარტო სენატორობაზე ამბობს უარს, არამედ ამ სოფელს ღრმა სასოწარკვეთისა და პოლიტიკური უიმედობის გრძნობით ტოვებს, – იგი 1939 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა, – მაშინ, როცა ევროპა თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მოსაბრუნთან იდგა.

სულიერ ძიებათა სფეროში იეიტსმა ფართო და მრავალმხრივ წყაროებს მიმართა, – მან ადრიდანვე უარი თქვა არა მარტო მამისეულ რაციონალიზმზე, არამედ, ამასთანავე, არ ისურვა ქრისტიანული ტრადიციის ჩარჩოებში დარჩენილიყო და გულისყური სხვადასხვა ოკულტური გამოცდილებების შესწავლას მიაპყრო. ოცი წლისა იგი დუბლინის ჰერმეტული საზოგადოების წევრი ხდება, ცოტა ხნის შემდეგ კი, სიბრძნისა და სულიერი ჭვრეტის უნარის მოსაპოვებლად, მადამ ბლავატსკაიას თეოსოფიურ საზოგადოებას მიაშურებს. წლების მანძილზე იგი ჩაღრმავებულად სწავლობს პლატონისა და ნეოპლატონიკოსების თხზულებებს, როზენკროიცერებისა და ალქიმიკოსების ტრაქტატებს, იაკობ ბემესა და ემანუელ სვედენბორგის მისტიკურ ჩანაწერებს.

იეიტსის ოკულტური მისწრაფებანი მჭიდროდ დაუკავშირდა მის სიმბოლისტურ ესთეტიკას. თუ თავდაპირველად იგი უილიამ მორისისა და ოსკარ უიალდის ძლიერ შემოქმედებითს გავლენას განიცდის, შემდგომში მის სულიერ მასწავლებელთა წრე უფრო ფართოვდება – შელი და ფრანგი სიმბოლისტები, უილიამ ბლეიკი და ფრიდრიხ ნიცშე.

და ისევ იწერება მისი ლექსები, პოემები, დრამები, – ბევრი შემფასებლის აზრით, ყველაზე მშვენიერი სტრიქო-

ნები, რაც კი ინგლისურ ენაზე შექსპირის შემდეგ შექმნილა. და პოეტის კალამი ისევ აღწერს დაძაბულ შეჯახებას სხეულსა და სულს, მარადისობასა და დროს, ხელოვნებასა და ბუნებას, მიწიერსა და ამაღლებულს, კელტურ ირლანდიასა და გეორგიანულ ირლანდიას შორის.

იეიტსის შემოქმედების მყარ სახეებს განეკუთვნება ვარდი, როგორც ირლანდიის სიმბოლო, როგორც მარადიული სიმშვენიერის სიმბოლო, და ვარდის მისტიკური ქორწინება ჯვართან.

1999

46

კიპლინგი, აღმოსავლეთი და დასავლეთი

რედიარდ კიპლინგი
Rudyard Kipling
(Joseph Rudyard Kipling)
1865-1936

რედიარდ კიპლინგი შესანიშნავი მოთხრობებისა და ბრწყინვალე ლექსების ავტორია, მაგრამ როდესაც შვედეთის სამეფო აკადემიამ მას 1907 წელს ნობელის პრემია მიანიჭა, უწინარეს ყოვლისა, მისი პოეტური დამსახურებები აღნიშნა, ის ადგილი, რაც მან ინგლისურენოვან პოეზიაში დაიკავა ლორდ ალფრედ ტენისონის გარდაცვალების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ინგლისურენოვან მწერალთაგან იგი პირველი იყო, რომელმაც ნობელის კომიტეტის ყურადღება მიიპყრო.

კიპლინგის პოეზიამ დიდი გამოხმაურება პოვა ბრიტანეთსა თუ ამერიკაში და, რაც უნდა მოულოდნელი იყოს, საბჭოთა ლიტერატურაშიც, განსაკუთრებით ამ ლიტერატურის არსებობის პირველ ათწლეულებში, თუმცა მას მაინც ჰქონდა მიკუთვნებული "იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის მეხოტბის" დამღა. ეს პატივი მან თავისი იმ ღრმა რწმენის საფუძველზე მოიპოვა, რასაც თავად "თეთრი ადამიანის მისიას" უწოდებდა.

და მაინც, კიპლინგის დიდების საწინდარი, – მისი "ჯუნგლების წიგნი", – ის მოთხრობებია, მაუგლისა და ერთგული მანგუსტის შესახებ რომ მოუთხრობს ახალ და ახალ თაობებს, და კიდევ ის ცნობილი ფრაზა, რომლის ავტორობა ("თეთრი ადამიანის მისიისა" არ იყოს), შესაძლოა, ბევრისათვის უცნობიც კი იყოს, – "დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და ისინი არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს".

* * *

კიპლინგის გარდაცვალებიდან სამოცი წელი გავიდა, ამ სამოცი წლის განმავლობაში უამრავი რამ შეიცვალა მსოფლიოში, მაგრამ პოეტის გახმაურებულ ფრაზას სიმწვავე და დრამატული დაძაბულობა არ დაუკარგავს. რომ არაფერი ვთქვათ გეოგრაფიულად ერთიანი კონტინენტის – ევრაზიის სრულიად პირობით ძველთაძველ გაყოფაზე ევროპად და აზიად, ანუ აღმოსავლეთად და დასავლეთად, რომ არაფერი ვთქვათ "დასავლეთის" ცნების გაფართოებაზე, რომელშიც კარგა ხანია შორეული ახალი სამყარო, ოკეანისგაღმა კონტინენტიც იგულისხმება, ის უჩვეულო ფაქტი მაინც უნდა გავიხსენოთ, რომ ისედაც პირობითმა აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვარმა კიპლინგის გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკურ ლექსიკონში მკვეთრად შეიცვალა თავისი შინაარსი და კომუნისტური და დემოკრატიული ქვეყნების თავაზიან სახელდებად იქცა, იმგვარ სახელდებად, რომელიც არც გამაღიზიანებელი იქნებოდა ერთმანეთისათვის და არც მკვეთრ იდეოლოგიურ დამოკიდებულებას არეკლავდა.

მაინც, დასავლეთ-აღმოსავლეთის გამიჯვნა ყოველთვის იდეოლოგიური შინაარსით იყო დატვირთული და აზია-ევროპის საზღვრის მეტისმეტი ბუნდოვანება ქართველებმა საკუთარ ზურგზე გამოვცადეთ.

ანტიკური კლასიკური ტრადიციები უკვე მკეთრად ასხვავებს ერთმანეთს დაპირისპირებულ ორ სამყაროს, ორ წყობას, ორ მენტალიტეტს. ამის არქეტიპული, მარადიული სიმბოლო საბერძნეთისა და სპარსეთის დაპირისპირებაა, საბერძნეთისა და სპარსეთის ის მრავალწლიანი ომებია, რომელსაც სამყაროსა და ადამიანისადმი განსხვავებული დამოკიდებულება უდევს საფუძვლად და არა ოდენ პოლიტიკური მიზეზები: როცა ათენის დემოკრატია აბსოლუტისტურ, მონარქისტულ, თეოკრატიულ სპარსეთს ეომებოდა, ამით იმ ათასწლოვანი ბრძოლის ის მოდელი ყალიბდებოდა, რომელსაც დღემდე არ მოჰკლებია აქტუალობა. შემთხვევითი, ალბათ, არაა, რომ როცა ვერმახტის ჯარებმა საბერძნეთის ოკუპაცია განახორციელეს, ემიგრაციაში მყოფმა თომას მანმა რადიომიკრო-

ფონით მიმართა თავის თანამემამულეებს, გერმანელებს, საბერძნეთი ისევ იქ დგას, სადაც 2500 წლის წინ იდგა, საბერძნეთი ისევ იბრძვის თავისი ფასეულობებისათვის, თავისი იდეალებისათვის, თავისი სახელმწიფოებრიობისათვის, როგორც სპარსეთთან ომის დროს, ხოლო სად აღმოჩნდით თქვენ, გერმანელო ჯარისკაცებო, საზღვრის რომელ მხარეს, მიჯნის რომელ მოაჯირთანო? თუმცა ამ სიტყვების წარმოთქმისას თომას მანს არა მარტო ის ახსოვდა, რომ ახალევროპულ ქვეყანათაგან ანტიკურ მემკვიდრეობაზე ერთი უმთავრესი პრეტენდენტი გერმანიაც იყო, არამედ ისიც, რომ მეოცე საუკუნის საბერძნეთის სამეფოს ცოტა რამ ჰქონდა საერთო პერიკლესა და სოკრატეს საბერძნეთთან, რადგან იმ დროს სწორედ აღმოსავლური იმპერიების – ბიზანტიისა და ოსმალეთის ნამტვრევს წარმოადგენდა.

მაინც აღმოსავლეთი და დასავლეთი ათასწლეულების მანძილზე განსხვავებულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოდელს გულისხმობდა: თუ ერთგან ძალაუფლებას, ხელისუფლებას, კოლექტის დამთრგუნველ ძალას ენიჭებოდა პრიორიტეტი, მეორეგან – ძირითად პრინციპად პიროვნების განვითარება იყო აღიარებული და სახელმწიფო იმდენად იყო ღირებული, რამდენადაც ინდივიდს ემსახურებოდა, და არა – პირიქით. აღმოსავლეთში განმსაზღვრელი იყო ზოგადი, საერთო, დასავლეთში კი – ერთეული, კერძო. აშკარაა, რომ სტერილური, შეურყვნელი სახით ეს პრინციპები რეალობაში იშვიათად არსებობდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს დაპირისპირება, ეს განსხვავებული არჩევანი და ორიენტაცია დღევანდელი მსოფლიოს ქვეყნებსა და საზოგადოებებს შორის უმთავრეს წყალგამყოფად რჩება. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოსა და კერძოს შორის არჩევანის გაკეთება და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება მიჯნავს ერთმანეთისაგან დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ევროპასა და აზიას, ევროპასა და რუსეთს. შემთხვევითი არაა, რომ ეს განსხვავება მკვეთრად აირეკლა რელიგიურ ცხოვრებაშიც. ცნობილია, რომ ყველა აღმოსავლური რელიგია – ისლამი, ბუდჰიზმი, ჰინდუიზმი, დაოსიზმი – ღმერთთან კავშირის უმაღლეს ფორმად ღმერთში ჩაძირვას, ღმერთში ჩაკარგ-

ვას, გაქრობას მიიჩნევს, ქრისტიანული თვალსაზრისით კი ადამიანი ღმერთთან ზიარების დროსაც კი – საიქიო ცხოვრებაში არ კარგავს თავის მეობას, თავის ინდივიდუალობას.

ეს იდეალური, წარმოსახვითი, რეალობაში, შესაძლოა, არც არასოდეს არსებული დასავლეთი იმთავითვე ქედმაღლურად უყურებდა აღმოსავლეთს და ყოველ არაბერძენს "ბარბაროსს" უწოდებდა, რაც დანაწევრებული მეტყველების უუნაროს ნიშნავდა და რაც, უფრო ფართოდ, სიტყვის, ქმედების, საზოგადოების დაუნაწევრულობას გულისხმობს. მაგრამ ამის გვერდით და ამავდროულად დასავლური კულტურა ყოველთვის მოწიწებით შესცქეროდა აღმოსავლურ სულიერებას და იგივე ბერძნები ყველა თავიანთ დიდ მასწავლებელს აღმოსავლელ ბრძენთა მოწაფეებად მიიჩნევდნენ – იქნებოდა ეს სოლონი თუ პითაგორა, ანაქსაგორა თუ პლოტინე. თავად ალექსანდრე მაკედონელი, რომლის ამბიციები სცილდებოდა პოლიტიკურ-სტრატეგიულ სფეროებს, პირველი მსოფლიო იმპერიის შემქმნელი, თავის "ღმრთაებრივ" მისიას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს დადასტურებულად, როცა ეგვიპტელ ქურუმთა კურთხევას და სანქციას მოიპოვებს.

პირველი ქრისტიანები საერთოდ უარყოფენ ანტიკურ, დასავლურ კულტურულ ტრადიციებს და თებაიდის უდაბნოში დაფუძნებული პირველი სენაკები და პირველი მონასტრები სწორედ დასავლეთისათვის, დასავლურ ფასეულობათათვის ზურგის შექცევის გამოხატულება იყო.

ჯვაროსნები, რა თქმა უნდა, მხოლოდ მიწისა და ქონების მოსაპოვებლად არ მიისწრაფვოდნენ წმიდა მიწისაკენ, იქ მათ მაცხოვრის საფლავი ეგულებოდათ, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ დაძრულ ათასობით ევროპელს გზად მრავალჯერ მოუხდა გაოცება იქაური ქალაქების სილამაზისა და სიმდიდრის, იქ მჩქეფარე კულტურული ცხოვრების პირისპირ. დასავლეთმა აღმოსავლეთის წყალობით აღმოაჩინა ალგებრა და ასტრონომია, ქაღალდი და ეგრეთ წოდებული არაბული ციფრები, არისტოტელესა და ჰიპოკრატეს ტრაქტატები. როგორც ამბობენ, ევროპულ ლექსში რითმის გაჩენაც არაბულ გავლენას უნდა მიეწეროს.

საუკუნეების განმავლობაში ევროპელ მეომრებსა და მოგზაურებს, ვაჭრებსა და მისიონერებს აღმოსავლეთიდან მხოლოდ მარილი, აბრეშუმი, სუნამოები და სანელებლები არ მოჰქონდათ, – იქიდან ნელ-ნელა ზღაპრები და მუსიკა, მხატვრობა და ფილოსოფია მოედინებოდა.

ნამდვილი ევროპელი და ევროპული კულტურის აღიარებული სიმბოლო – გოეთე – თავის პოეტურ შემოქმედებას "დასავლურ-აღმოსავლური დივანით" ამთავრებს, რომელიც, ფაქტობრივ, აღმოსავლელ პოეტთა ლექსების გარდათქმას წარმოადგენს.

თავის თავში მუდამ შეეჭვებული და საკუთარი თავისაგან განსხვავებულის მაძიებელი ევროპა აღმოსავლეთში იმას ეძებდა, რასაც თავად მოისაკლისებდა ხოლმე. ცნობიერების ერთ-ერთი განმაპირობებელი თვისება სხვისის დანახვისა და გაზიარების უნარია და ამიტომაც ძლიერი იყო ხოლმე სწრაფვა აღმოსავლეთის გათავისებისა და გაშინაურებისაკენ. ამიტომაც არც ისე იშვიათად ამგვარი ძიებანი აღმოსავლეთში დასავლეთის სულიერი ცხოვრების გამდიდრებას განაპირობებდა. ისიც აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთისაკენ მიბრუნება ხშირად ევროპული ფასეულობებით გაწბილების შედეგიც ყოფილა და ბევრმა თავისი სულიერი სამშობლო ევროპიდან შორს მოიპოვა.

ის, რაც აღმოჩენა იყო, განახლების მომტანი გახდა: შოპენჰაუერისა და ჰაიდეგერისათვის – ბუდჰისტური თუ ძენური მოძღვრებები, ვან გოგისა და მატისისათვის – შორეული აღმოსავლეთის ფერწერა, მალერისა და მესიანისათვის – ინდური და ჩინური მუსიკა, არტოსა და ბრუკისათვის – აღმოსავლური თეატრი, ეზრა პაუნდისა და ჰესესათვის – ტანის ეპოქის ჩინელი პოეტების ლირიკა. მეოცე საუკუნის დასავლური კულტურის ფიზიონომიას აშკარა ნიშანი დააჩნია კრიშნამურტისა და სუძუკის ფილოსოფიამ, თაგორის პოეზიამ, აკუტაგავას პროზამ, რაისა და კუროსავას ფილმებმა.

მაგრამ ეს ყველაფერი სულის სფეროს ეხება, იქ, სადაც საზღვრები და მიჯნები მაინცდამაინც თვალშისაცემი არაა. ამას ხომ მოციქული პავლეც ამბობდა, რომ "სული იქ დაქრის, სადაც მას მოესურვება". მაგრამ, შესაძლოა, სულის ეს მოღვაწენი იმ მზვერავებად, პარტი-

ზანებად გვევლინებიან, რომლებიც გზას გაუკვალავენ აღმოსავლეთს – დასავლეთისაკენ, დასავლეთს – აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ ეს შორეულ, ბედნიერ მომავალში თუ იქნება მოსალოდნელი, თორემ დღეს დასავლელსაც კი ძნელად ესმის მოძმე დასავლელისა, აღმოსავლელიც საერთო ენას ვერ პოულობს აღმოსავლელთან.

და, ალბათ, როდისმე დადგება დღე, როცა ძნელად თუ ვისმე მოაგონდება რედიარდ კიპლინგის სიტყვები – "დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი აღმოსავლეთია და ისინი არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს"; შესაძლოა, მაშინ კიპლინგის იმ ლექსებსაც გამოუჩნდეს მეტი მკითხველი, სადაც პოეტი ვაჟკაცობის, უშიშრობის, კეთილშობილების შესახებ იშვიათი გულწრფელობითა და იშვიათი ოსტატობით გვესაუბრება.

1996

47

ჰერბერტ უელსის უხიფათო ოცნებები

ჰერბერტ ჯორჯ უელსი
H. G. Wells
(Herbert George Wells)
1866-1846

ჰერბერტ ჯორჯ უელსი, მრავალმხრივ განათლებული მწერალი, რომლის შემოქმედება ერთგვარ გარდატეხას წარმოადგენს კლასიკურ უტოპიას, ჟიულვერნულ სამეცნიერო ფანტასტიკასა და თანამედროვე "science fiction"-ს შორის, ყველა თავის საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ წარმატებას ოდენ საკუთარ თავს უმადლოდა.

უელსი წვრილი მოვაჭრისა და, ამავე დროს, კრიკეტის პროფესიული მოთამაშის შვილი იყო. მისი დამოუკიდებელი ცხოვრება ნაჭრების მაღაზიაში შეგირდობით დაიწყო, შემდეგ კი, იგი იმდენად გაიტაცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა და, სხვათა დახმარების გარეშე, იმდენად სოლიდური აღმოჩნდა მისი ცოდნა ამ დარგში, რომ თვრამეტი წლისამ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტიპენდია მოიპოვა, ხოლო ექვსი წლის მერმე ლონდონის უნივერსიტეტი ბაკალავრის ხარისხით დაამთავრა. თუმცა მას შემდეგ, რაც რაგბის თამაშისას მძიმედ დაშავდა, აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობაზე უარი თქვა და მთელი შთაგონებით შეუდგა სხვადასხვა გაზეთისათვის ნარკვევების, სტატიების, რეცენზიების წერას. მალე პრესაში მისი მოთხრობებიც გამოჩნდა, პირველმა რომანმა კი, "დროის მანქანა", მწერალს აღიარება და ფინანსური უზრუნველყოფა მოუტანა, რის შემდეგაც უელსი სიცოცხლის ბოლომდე პროფესიული მწერლის უზრუნველი ცხოვრებით ცხოვრობდა. გასათვალისწინებელია, რომ იგი მეტად ნაყოფიერი მწერალი იყო – ყოველწლიურად ორ წიგნს მაინც ბეჭდავდა, თუმცა მას

არასოდეს შეუზღუდავს თავისი დრო მრავალრიცხოვანი სატრფიალო ურთიერთობებისათვის ბრიტანელ თუ ამერიკელ ქალებთან.

საბჭოთა იდეოლოგიურმა მანქანამ უელსის – სოციალისტისა და პაციფისტის – სახელი პროპაგანდისტული დემაგოგიის სამსახურში ჩააყენა. 1920 წელს, რუსეთში სისხლიანი სამოქალაქო ომის ჩაცხრობის შემდეგ, ცნობისმოყვარე ფანტასტი მოსკოვს ეწვია და ბოლშევიკური სახელმწიფოს მეთაურს, ვლადიმირ ლენინს, "კრემლის მეოცნებე" უწოდა, ხოლო თავის წიგნს აღმოსავლეთის უცნაური და სასტიკი ქვეყნის შესახებ – "რუსეთი წყდიადში", – სათაური, რომელსაც, მტკიცედ შეიძლება ითქვას, დღემდე არ დაუკარგავს სიმწვავე. როდესაც მწერალი მოღონიერებული კომუნისტური იმპერიის შემდგომ ხელმძღვანელს, იოსებ სტალინს, 1934 წელს კრემლში ეწვია, საბჭოთა იმპერიის შემოქმედმა ხანშიშესულ ბრიტანელს ხუთწლედური შრომის შთამაგონებული და ამაღელვებელი სურათები დაუხატა. ბელადის მონოლოგის შემდეგ პაუზა ჩამოდგა. "უჩინარი კაცისა" და "სამყაროთა ომების" ავტორმა ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა: "ცუდი არ იქნებოდა, ადამიანთა გონების გარდასაქმნელი ხუთწლედების შესახებაც გვეფიქრა..." უელსმა, ალბათ, არ იცოდა, რომ გენერალურ მდივანს ადამიანთა გონების გარდაქმნაც კარგა ხნის წინ ჰქონდა დაწყებული.

და მაინც, უელსი აღფრთოვანებული დარჩა სტალინით, რომელთან საუბარსაც იგი დაძაბული სიფრთხილით ელოდა. შემდგომში მწერალი იხსენებდა, თუ როგორ ვარაუდობდა შეხვედრას "ფანატიკურ, სასტიკ, დაბოღმილ, უმოწყალო, თვითკმაყოფილ მთიელ ქართველთან, რომლის სული ბოლომდე არასოდეს მოწყვეტია მშობლიურ ხეობებს", და იმასაც – ხაზგასმით – იხსენებდა, თუ რამდენიმე წუთში როგორ გაუქრა მას ყოველგვარი დაეჭვება სტალინის მიმართ. "ცხოვრებაში არ შევხვედრივარ უფრო გულწრფელ, უფრო წესიერ და უფრო პატიოსან ადამიანსო," – ასკვნიდა უელსი... რომანისტი, რომელიც ადვილად წარმოსახავდა ფანტასტიკურ ურჩხულებს, ვერც კი წარმოიდგენდა, როგორი ნამდვილი, როგორი ხელშესახები ურჩხული იჯდა მის წინ...

დღეს ინტერნეტისა და ლაზერული ოპტიკის ეპოქაში ჰერბერტ უელსისეული წინასწარგანჭვრეტანი და წინასწარმეტყველებანი, ალბათ, მაინცდამაინც ბევრ მკითხველს არ იზიდავს, – თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ, "კრემლის მეოცნებეთაგან" განსხვავებით, უელსისეულ ოცნებებს არავისთვის მოუტანია ზიანი.

1996

48

ფორსტერის სამწერლო პაუზა

ედვარდ მორგან ფორსტერი
E. M. Forster
(Edward Morgan Forster)
1879-1970

ედვარდ მორგან ფორსტერმა საერთობრიტანული ლიტერატურული სახელი და დიდება, რომელმაც კონტინენტამდეც მოაღწია, მაშინ მოიპოვა, როცა იგი ოცდაათ წელს მცირედით იყო გადაცილებული. იმხანად მას, – გახმაურებული, ბრწყინვალედ მიჩნეული რამდენიმე რომანის ავტორს, – ბევრი არაფერი უკლდა, ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსად ყოფილიყო აღიარებული... 1924 წელს მწერალი აქვეყნებს თავის მეხუთე რომანს, – "მგზავრობა ინდოეთში", – რომელიც ლიტერატურულმა შემფასებლებმა მის საუკეთესო ქმნილებად მიიჩნიეს. ამ წიგნის გამოცემის შემდგომ მან კიდევ დღეგრძელი ცხოვრება განვლო, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე, – ფორსტერი 1970 წელს ზაფხულში ოთხმოცდათერთმეტი წლისა გარდაიცვალა, – მას ერთი ახალი მხატვრული თხზულებაც აღარ შეუმატებია თავისი პროზისათვის. ათწლეულების განმავლობაში, როცა ურყევი რჩებოდა მისი სამწერლო რეპუტაცია, იგი აქვეყნებდა მხოლოდ ესეისტურ თუ პუბლიცისტურ ტექსტებს, იკვლევდა საზოგადოებრივ, კულტურულ და ლიტერატურულ საკითხებს (ამ პერიოდის ნაწერებს შორის გამოირჩევა შესანიშნავი თეორიული ნაშრომი "რომანის ასპექტები" – 1927), უძღვებოდა გადაცემებს რადიოში, მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში... ისიც კი, რაც მწერლის სიკვდილის შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა, თითქმის მთლიანად იმ დროს იყო დაწერილი, როცა იგი თავის ბელეტრისტულ ნაწერებს საჯაროდ ბეჭდავდა.

არქივში ნაპოვნი, გამოუქვეყნებელი ტექსტების წყებაში, დაუმთავრებელი რომანის "არქტიკული ციალის" გარდა, აღმოჩნდა ის, რაც, ზოგიერთი შემფასებლისა და მკითხველის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ფორსტერის შემოქმედებაში: რომანი "მორისი" და მოთხრობების კრებული "მომავალი ცხოვრება", – გამორჩეულად ღრმა, ფაქიზი, ოსტატური და, ამავე დროს, გამორჩეულად ავტორისეული, ავტორისათვის შინაგანად ახლობელი ნაწარმოებები იმ წიგნებს შორის, რაც სახელგანთქმულ პროზაიკოსს თავისი ლიტერატურული ცხოვრების მანძილზე შეუქმნია. როგორც რომანის, ისე კრებულის – დროსა და სივრცეში ფართოდ განფენილი, მაგრამ ერთი სახეობის ტრფობის ირგვლივ თავმოყრილი მოთხრობების – გამოქვეყნებისაგან მწერალს, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ეროტიკული თემატიკის გამო შეუკავებია თავი... თუმცა ისიც სათქმელია, რომ გამომცემლებს არ დაურღვევიათ ავტორისეული ნება: "მორისის" ავტორს უბრალოდ სურდა, რომ ზოგიერთი მისი ნაწარმოები, რომლებიც ფაქტობრივად სრულიად გამზადებული იყო გამოსაცემად, მხოლოდ მაშინ გამხდარიყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, როცა ცოცხალი აღარ იქნებოდნენ არც თავად მწერალი და არც დედამისი.

მაგრამ ინგლისური ლიტერატურის მკვლევარნი დღემდე ვერ შეთანხმებულან, რამ განაპირობა ფორსტერის განდგომა ლიტერატურისაგან, უფრო ზუსტად, მხატვრული ლიტერატურის შექმნისაგან: ზოგს მიაჩნია, რომ ეს თავშეკავება, სინამდვილეში, მისი მანკიერი პიროვნული თვისების – სიზარმაცის შედეგი იყო; ზოგის აზრით, წერაზე უარის თქმით მწერალმა ბოლოს და ბოლოს მიაღწია დედის წარმმართველი გავლენისაგან გათავისუფლებას; ზოგიც თავად რომანისტის განცხადებას იჯერებს, რომ მას სათქმელი არაფერი დარჩა, რადგან აღარ ესმოდა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ... თუმცა ძალდაუტანებელი დაფიქრებისა თუ მსუბუქი დაკვირვების შემდეგ ეს განმარტებანი ძნელად თუ დაიმსახურებს ნდობას: სიზარმაცე არაფრად გამოდგებოდა იმისათვის, რათა სრულიად ახალგაზრდა კაცს მოთხრობების გრძელი წყება და ყოველ მეორე წელს ახალი რომანი გამოექვეყნებინა (მისი

შემოქმედებითი ნაყოფიერება კი ადრეულ ასაკში სწორედ ამგვარი იყო!); თუკი დედისაგან გათავისუფლება მართლაც იყო ფორსტერის სანუკვარი მიზანი, მაშინ რამდენად ისურვებდა იგი, მშობლისაგან მოუშორებლად ეცხოვრა (მზრუნველი ვაჟი დედის 90 წლიანი სიცოცხლის ბოლომდე მასთან ერთად ცხოვრობდა და, როგორც მემუარისტები წერენ, ეთაყვანებოდა მას!); და თუკი მას აღარ ესმოდა საზოგადოებისა და არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის, მაშინ იგი ნამდვილად არ იქნებოდა ასე მყარად ჩართული პუბლიცისტურ თუ საჯარო-სამოქალაქო საქმიანობაში (სხვა თუ არაფერი, იგი კარგა ხნის მანძილზე, 30-იან და 40-იან წლებში, ბი-ბი-სი-ს ერთ-ერთი ნიშნეული ფიგურა იყო!). არსებობს თვალსაზრისიც, რომ ცნობილმა რომანისტმა უარი თქვა წერაზე, რაკი პურიტანულ გარემოში, 60-იანი წლების მიწურულის სექსუალურ რევოლუციამდე, შეუძლებელი იყო იმის საჯაროდ გამოთქმა, რაც მას ყველაზე მეტად აღელვებდა, თუმცა ეს მოტივიც სარწმუნოდ არ ჩანს: როგორც აღმოჩნდა, მას არცთუ მცირედი დაუწერია ამგვარ, იმ დროისა და მისი გარემოსათვის საჭოჭმანო თემებზე, ოღონდ მათი დაბეჭდვისაგან შეუკავებია თავი; ერთი სახელგანთქმული ამერიკელი ლიტერატორი კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მწერალმა, უბრალოდ, დროულად თქვა ნებაყოფლობითი უარი, გამხდარიყო დიადი...

და მაინც, როგორც ჩანს, ფორსტერის სამწერლო დუმილის მიზეზი სხვაგანაა საძებნელი...

* * *

ედვარდ მორგან ფორსტერის მამა საშუალო შეძლების არქიტექტორი იყო, რომელიც მაშინ გარდაიცვალა, როცა მის დედისერთა ვაჟს ორი წლისათვისაც არ მიეღწია, მაგრამ მომავალ მწერალს გარე ბებიისაგან მემკვიდრეობად იმდენი ქონება ერგო, რომ ეს თანხა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა კემბრიჯის უნივერსიტეტში სასწავლელადაც, ახლო თუ შორეულ ქვეყნებში ხანგრძლივად სამოგზაუროდაც, უზრუნველი და შეუჭირვებელი ცხოვრებისთვისაც დედის, მეგობართა თუ თანამოაზრეთა გარემოში.

მაინც, მოგზაურობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ეგვიპტე და ინდოეთი აღმოჩნდა, – პიროვნულადაც, შემოქმედებითადაც.

ეგვიპტემ მას ორი მეგობრობა შესძინა: ერთი – ინტელექტუალური თანაზიარება ალექსანდრიელ ესთეტთან და დეკადენტთან, ბერძენ პოეტ კონსტანტინოს კავაფისთან, რომლის პოეზიასაც ევროპული დიდების გზა, ფაქტობრივად, სწორედ ფორსტერმა გაუკვალა, თუმცა, ამავე დროს, ალექსანდრიული მითოსის შესამჩნევი ნაკადი ბრიტანელი პროზაიკოსის შემოქმედებაში ელინი პოეტის გავლენითაცაა განპირობებული; მეორე ეგვიპტური შეხვედრა კი იყო ურთიერთობა ალექსანდრიელ ტრამვაის გამყოლთან, არაბ ყმაწვილ მუჰამად ელ-ადლთან, რომელიც მათი გაცნობიდან რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა და რომელსაც მწერალმა სიკვდილისშემდგომი ეპისტოლე უძღვნა, – ეს მოკლე ლირიკულ-ნოსტალგიური აღსარება, რომელიც მგზნებარე ვნებისა და მძაფრი ტკივილის თანდათანობითი გაფერმკრთალების დრამატულ მოწმობად რჩება, შვიდი წლის მანძილზე იწერებოდა (მკითხველისათვის მოულოდნელად, უცებ აღმოჩნდება ხოლმე, რომ წერის პროცესში ცხოვრებისეული წლები გადის და ამ რამდენიმეგვერდიანი ტექსტის მცირე მონაკვეთებს შორის დროის მოზრდილი მონაკვეთები ჩამდგარა).

ინდოეთში კი ფორსტერს ჯერ მოგზაურობა მოუხდა 1910-იანი წლების დასაწყისში, ხოლო შემდგომ, უფრო ხანგრძლივად, – ცხოვრებაც, 20-იანი წლების დასაწყისში. ამ დროს იგი ერთი ინდური სამთავროს, დევასის, მაჰარაჯის – ტუკოჯირაო III-ის – პირად მდივნად მსახურობდა, რომელთანაც მას ბევრი საერთო აკავშირებდა. ინდური გამოცდილების მწერლური შედეგი "მგზავრობა ინდოეთში" (1924) აღმოჩნდა, – პროზაიკოსის ყველაზე წარმატებული და განთქმული რომანი, რომელშიც მოთხრობილია ინდოელი მუსლიმის, დოქტორ აზიზის დრამატული მეგობრობის შესახებ სამ ბრიტანელთან. სამივეს გაუცხოება ელის თავიანთ თანამემამულეთაგან, როცა ისინი – მეტროპოლიის წარმომადგენლები – მხარს დაუჭერენ უსამართლოდ ბრალდებულ ინდოელს, თუმცა თითოეული მათგანი განსხვავებულად მოექცევა მას

განსაცდელის ჟამს, ხოლო ერთი – ქალიშვილი ადელა – თავდაპირველად, სიმართლის განჭვრეტამდე, თავადვეა ბრალმდებელი. ლიტერატურის ისტორიკოსთა გავრცელებული თვალსაზრისით, ფორსტერის ეს ნაწარმოები, კიპლინგის წიგნებთან ერთად, ინდური თემის ყველაზე ღირსშესანიშნავი გამოხატულებაა ინგლისურ ლიტერატურაში.

ამ წიგნს, მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ უკანასკნელ მხატვრულ ქმნილებას, წინ უძღოდა ზედიზედ გამოცემული და მკითხველთა მიერ მეტად მოწონებული ოთხი რომანი: "სადაც ანგელოსებს ეშინიათ შებიჯება" (1905) – წიგნი იტალიელ მამაკაცზე შეყვარებული ახალგაზრდა ინგლისელი ქალისა და ამ ქალის შინდარჩენილი ოჯახის მცდელობის შესახებ, უკან დააბრუნონ იგი ბრიტანეთში პატარა იტალიური ქალაქიდან, სადაც ახალდაქორწინებულნი ცხოვრობენ; "უგრძელესი მოგზაურობა" (1907) – შეიძლება ითქვას, აღზრდის რომანი, რომელიც ახალგაზრდა კაცის, რიკი ელიოტის, პიროვნულ და საზოგადოებრივ ჩამოყალიბებას ასახავს; "ოთახი ხედით" (1908) – შთამბეჭდავი და გამოკვეთილი პერსონაჟებით აღსავსე ნაწარმოები, რომელიც ფლორენციაში იწყება და ფლორენციაში მთავრდება, ხოლო შუალედში ახალგაზრდა ბრიტანელი ქალი, ლუსი ჰანიჩერჩი, რთული, ლამის გადაუწყვეტელი არჩევანის წინაშე აღმოჩნდება ორ ახალგაზრდა ვაჟს შორის, რომელთაგან ერთი ლაღი და მგზნებარე სატრფოა, მეორე კი – საქმრო, უნიადაგო მეოცნებე და უგრძნობელი ეგოისტი; უნდა ითქვას, რომ რომანის სტილი თითქმის კლასიკურია, კომპოზიცია – თითქმის დიდოსტატური; დაბოლოს, "ჰოვარდს ენდი" (1910) – ედვარდული ხანის ბრიტანული საზოგადოების ჯგუფური პორტრეტი: განსხვავებული ფენების ზუსტი, მრავალფეროვანი, მხატვრულად და ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი პანორამა...

სხვათა შორის, ფორსტერის პროზაულ ქმნილებათა უმთავრესი ნაწილი ეკრანიზებულია (ზოგიერთი მათგანი – რამდენჯერმეც), ხოლო ეკრანიზაციათა უმთავრეს ნაწილს როგორც მაყურებელთა, ისე კინოკრიტიკოსთა გამორჩეული ყურადღება ხვდა წილად.

მწერლის ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მეგობრობა კომპოზიტორ ბენჯამინ ბრიტენთან, მეოცე საუკუნის მუსიკის უეჭველ კლასიკოსთან. ფორსტერის, როგორც ლიბრეტისტის, და ბრიტენის, როგორც მუსიკის ავტორის, ერთობლივი შრომის შედეგია ოპერა "ბილი ბადი" (1951), რომელიც ჰერმან მელვილის რომანის საფუძველზე შეიქმნა.

* * *

მაინც, რამ განაპირობა ფორსტერის მრავალწლიანი სამწერლო პაუზა, რომელიც მხოლოდ მისმა სიკვდილმა შეწყვიტა?

შესაძლო პასუხი, ალბათ, მის იმ გამოუქვეყნებელ წიგნში უნდა ვეძებოთ, – რომანში "მორისი" (1913-1914), – რომელიც ტექსტის დაწერიდან ორმოცდაჩვიდმეტი წლის, ხოლო მწერლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1971 წელს, გამოიცა. როგორც ჩანს, თხზულების სიუჟეტურმა სარჩულმა, მასში აღწერილმა ურთიერთობებმა უკან დაახევინა რომანისტს, გაეზარდა ნაწარმოების მკითხველთა წრე (რომელიც ავტორის სიცოცხლეში მხოლოდ მისი ახლო მეგობრებით შემოიფარგლებოდა) და თუნდაც ეს წიგნი, თუნდაც მოთხრობების ასევე გამოუქვეყნებელი კრებული "მომავალი ცხოვრება" ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო.

რომანი თითქმის ავტობიოგრაფიულია და ხატავს ორი კემბრიჯელი სტუდენტი ჭაბუკის მეგობრობას, რომელიც მალე სცილდება ოდენ მეგობრობის საზღვრებს. მკითხველი ხედავს, ერთი მხრივ, საშუალო ფენებიდან გამოსული, გარემოსაგან არაფრით გამორჩეული მორის ჰოლის პიროვნულ ზრდას, არჩევანის გაკეთებისა და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების თანდათანობით მოზღვავებულ ენერგიას, საზოგადოებრივ კონვენციათა დაძლევისა და საზოგადოებრივ ფენათა ზღუდეების გადალახვის მოპოვებულ შესაძლებლობას; მეორე მხრივ, მისი მეგობრის, არისტოკრატ კლაივ დარემის, – ყოველივე მშვენიერის ტრფიალის, ანტიკურობის მეხოტბისა და ინტელექტუალი მეამბოხის, – კონფორმისტულ

დაბრუნებას მშობლიურ წიაღში: ბრიტანეთის მაღალი კლასის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელიც მრავალმხრივ განმსჭვალულა გაცხადებული ფარისევლობითა და ფუჭი, უშინაარსო პირობითობებით. კლაივისაგან, პოლიტიკურ მორევში ჩათრეული ყოფილი მეგობრისაგან, სულ უფრო დაშორებული და გაუცხოებული მორისი თამამად აირჩევს ცხოვრების უჩვეულო, სახიფათო გზას: დარემების მამულის ახალგაზრდა მსახურთან – დაქირავებულ ეგერ ალეკ სკადერთან ერთად ბედნიერი, ჰარმონიული ცხოვრების წამოწყებას გადაწყვეტს. რომანის ფინალური გვერდები თითქმის არაფერს გვეუბნება მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ, მაგრამ ცხადია, რომ მწერალი, თავისივე აღიარებით, როგორც ერთმანეთისადმი დაუოკებლად მლტოლველი წყვილის ცხოვრების, ისე თავად ნაწარმოების ბედნიერ დასასრულს გულისხმობდა...

მაგრამ ეს ბედნიერი დასასრული, რომელზე მინიშნებითაც მთავრდება "მორისი" და რომლის ცხოვრებაში ხორცშესხმის იმედი თავად ფორსტერსაც ნაკლებად ჰქონდა, არცთუ მთლად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. აშკარაა, რომ მწერალმა სცადა, სასურველისათვის რეალობის სახე მიეცა, წარმოსახული სინამდვილედ ექცია, მაგრამ გაცნობიერებულმა თვალის მოხუჭვამ ცხოვრებისეული სიმართლის წინაშე ხელოვნების ქმნილებაში, როგორც ჩანს, მას წერის სურვილი დაუკარგა, სიტყვისმიერი სამყაროს შექმნის ვნება ჩაუკლა და გაუქრო... ამის შემდეგ ისე ჩამთავრდა 20-იანი, 30-იანი, 40-იანი, 50-იანი, 60-იანი წლები, რომ ფორსტერს ერთხელაც აღარ აუღია ხელთ ბელეტრისტის კალამი. თავისი რომანის ფურცლებზე, ლიტერატურულ სივრცეში მან მოინდომა იმის შექმნა, რისი მიღწევისა თუ მოპოვების იმედი სინამდვილეში არც ჰქონდა, მაგრამ ამგვარი სინამდვილის ლიტერატურული შეთხზვისათვის, ლიტერატურით სარგებლობისათვის საკუთარი ილუზიის სამსახურად, და არა ჭეშმარიტების ცხადსაყოფად, მან თითქოს საკუთარი თავი დუმილითა და მწერლური პაუზით დასაჯა, – პაუზით სიცოცხლის ბოლომდე, თუმცა არა სიცოცხლის შემდეგ.

* * *

ფორსტერს მიაჩნდა, და ეს შეხედულება მკვეთრადაა ასახული მის რამდენიმე ნაწარმოებში, რომ პიროვნების გათავისუფლების აუცილებელი პირობა რელიგიისაგან გათავისუფლებაცაა და რომ რელიგიური სწრაფვანიც იმგვარივე ხუნდებია ადამიანისათვის, როგორც ეროვნული, ეთნიკური, სოციალური თუ სქესობრივი ჩაკეტილობა (სხვათა შორის, თავად მწერალი ქმედითად იყო ჩართული "ბრიტანეთის ჰუმანისტურ ასოციაციაში", – გაერთიანებაში, რომლის წევრებსაც ერთად კრებდა ცხოვრება რელიგიური რწმენის – ანუ, მათი თვალსაზრისით, ცრურწმენათა – გარეშე). "მორისშიც" რომანის ახალგაზრდა გმირები მხოლოდ მას შემდეგ შეძლებენ თავიანთ ეროტიკულ არჩევანთან გაწონასწორებას, რაც დემონსტრაციულად გაემიჯნებიან ქრისტიანულ სარწმუნოებას და, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო ცხოვრებას. ერთი პირობა, ისინი დასაყრდენს წარმართულ, ძველ ელინურ და ძველ რომაულ მემკვიდრეობაში პოვებენ, თავდავიწყებით კითხულობენ პლატონის ნაწერებს, შეჰნატრიან ანტიკური ათენის ცხოვრებას, თუმცა, მოულოდნელად, კლაივი სწორედ საბერძნეთში, ანტიკური ამფითეატრის გამოშიგნული და დაცარიელებული ნანგრევების ჩრდილში აღმოაჩენს, რომ მას ისევ იმ გზით სიარული სურს, როგორითაც მის კეთილგონიერ წინაპრებს უვლიათ, – გზით, რომელიც მას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წარმატებას მოუტანს. პარადოქსი ისიცაა, რომ საუკუნეთა წინ აშენებული ეს თეატრი დიონისეს სახელს ატარებს... დიონისური ვნებები რომანის პერსონაჟისათვის ცარიელი სახელდება აღმოჩნდა...

მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ფორსტერის ნაწერებში შეუმჩნევლად და, როგორც ჩანს, ხშირად ავტორის უნებურად, – იდუმალისა და ზებუნებრივის (თუ გარებუნებრივის) სახით, – უცაბედად გაკრთებოდა უხილავი მისტიკური ცეცხლის წამიერი ნაპერწკალი, მოულოდნელად თვალწინ გაიელვებდა ცხოვრების ვერტიკალური განზომილების ჭრილი... "ბრიტანეთის ჰუმანისტური ასოციაციის" წევრისაგან ცოტათი უცნაური იყო, რომ როცა

იგი ჰენრი ჯეიმსის პროზაულ ოსტატობას იწუნებდა (თავის ნაშრომში "რომანის ასპექტები", რომელსაც საფუძვლად უდევს მწერლის საუნივერსიტეტო ლექციები), უფროსი კლასიკოსის ტექსტების არაბუნებრივი, არაცოცხალი ფორმების მიუღებლობასთან ერთად, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ჯეიმსის თვალსაწიერის არარელიგიურობაც, თუმცა, რა თქმა უნდა, რელიგიურობაში იმჯერად ან რომელიმე მართლმორწმუნე მოძღვრების მიმდევრობა, ან რომელიმე ეკლესიის წევრობა ნაკლებად იგულისხმებოდა...

ვისაც წაუკითხავს ფორსტერის სამეცნიერო-ფანტასტიკური, ანტიუტოპიური, ანუ დისტოპიური მოთხრობა – "მანქანა ჩერდება" (1909) – მას აუცილებლად გაუჩნდებოდა აზრი, რომ ნაწარმოებში ნაწინასაწარმეტყველებია ტელევიზიაც, ინტერნეტიც, სკაიპიც. სხვათა შორის, როგორც ბოლო საუკუნეების მანძილზე აღმოჩნდა, ტექნიკური პროგრესის კონკრეტულ წარმატებათა ლიტერატურული თუ ფუტუროლოგიური წინასწარმეტყველება ძნელი ამოცანა არ ყოფილა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ძნელია ადამიანისა და საზოგადოების განვითარების განჭვრეტა, ან კიდევ მეტი: განსაზღვრა იმისა, ვითარდება თუ არა, საერთოდ, და ვითარდება თუ არა უკეთესობისაკენ ან ადამიანი, ან საზოგადოება... მაგრამ ფორსტერს ნამდვილად სჯეროდა, რომ ერთ დღეს ჩამოიშლებოდა კლასობრივ, კულტურულ თუ ტრადიციულ შეზღუდულობათა საზღვრები და კედლები, მიჯნები და ზღვრები, ხოლო თანაბარ და თავისუფალ ადამიანთა კავშირზე დაფუძნებული მომავალი საზოგადოების განმსაზღვრელი საწყისი იქნებოდა ადამიანებს შორის პირადი, პიროვნული დამოკიდებულება, – დამოკიდებულება ყოველგვარ შეზღუდვათა, დაბრკოლებათა, პირობითობათა გარეშე: ადამიანი ადამიანის პირისპირ. როგორც ჩანს, ამგვარი მომავლისაკენ სწრაფვას გამოხატავს მწერლის ქვის ობელისკზე ამოკვეთილი ეპიტაფიაც: "მხოლოდ კავშირი"...

ფორსტერის ქმედებებს, წიგნებს, შეხედულებებს ხშირად გამოუწვევია კამათი, მაგრამ, ალბათ, განსაკუთრებულად საორჭოფოდ რჩება ფორსტერის ერთი გახმაურებული გამონათქვამი: "თუკი მე უნდა გავაკეთო არჩევანი

ჩემი ქვეყნის ღალატსა და ჩემი მეგობრის ღალატს შორის, მე მირჩევნია ვუღალატო ჩემს ქვეყანას". ედვარდ მორგან ფორსტერის ეს სიტყვებიც, როგორც ბევრი რამ, რაც მას გაუკეთებია, რაც მას უთქვამს, რაც მას აურჩევია, ბუნებრივია, ფიქრსაც აღძრავს და კამათის სურვილსაც...

2008

49

ლიტონ სტრეჩი – მშვიდი დამამხობელი

ლიტონ სტრეჩი
Lytton Strachey
1880-1932

მიჩნეულია, რომ ლიტონ სტრეჩიმ საფუძველი ჩაუყარა ბიოგრაფიათა წერის ახალ ეტაპს ინგლისურ ლიტერატურაში და ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას, 1918 წელს, როცა პირველად გამოქვეყნდა მისი წიგნი "სახელგანთქმული ვიქტორიელები". სხვათა შორის, რაც შეეხება ომის მსვლელობისას თავად მის საზოგადოებრივ პოზიციას, იგი მებრძოლი პაციფისტი იყო და ერთხელ ინგლისური პატრიოტული გრძნობების მასხრად აგდების გამო – ფრონტზე გამალებული ბრძოლებისას – მას სასამართლოს წინაშეც კი მოუხდა წარდგომა. მისმა ექსცენტრიკულმა გამოსვლამ კი, სიმართლე რომ ითქვას, დააბნია კიდეც მოსამართლე და მსაჯულები, მაგრამ ეს გაურკვევლობა ახალგაზრდა მწერლისათვის იმას ნიშნავდა, რომ იგი პატიმრობას მშრალად გადაურჩა. რაც შეეხება თავად "საზოგადოებრივ შეხედულებებს", ეს გამოთქმა ცოტა უცნაურად ჟღერს ლიტონ სტრეჩისთან მიმართებაში, რომელმაც თავისი შემოქმედებისა თუ ყოველდღიური ცხოვრების წესად აქცია სწორედ საზოგადოებრივი კონვენციების, პირობითობების, აღიარებულ თუ დადგენილ შეხედულებათა გადაბიჯება და გარღვევა. არაა დასავიწყებელი, რომ ბრიტანულ საზოგადოებაში მეოცე საუკუნის პირველ მესამედში ამას განსაკუთრებული თავზეხელაღებულობა და გაბედულების გარკვეული ულუფა სჭირდებოდა. ოსკარ უილდის – ორწლიანი პატიმრობით დამთავრებული – სასამართლო პროცესის შემდეგ არც ისე დიდი ხანი იყო ჩავლილი...

სტრეჩის გახმაურებული წიგნი "სახელგანთქმული ვიქტორიელები" ბრიტანელთა აღიარებული კერპების დამხობას და დამსხვრევას ისახავდა მიზნად. წიგნი მოიცავს კარდინალ მენინგის, ფლორენს ნაითინგეილის, ტომას არნოლდის, გენერალ ჩარლზ გორდონის პორტრეტებს, – უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კარიკატურებსა და შარჟებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წიგნი ვიქტორიული ეპოქის ჩამთავრების უმალ, დედოფალ ვიქტორიას უშუალო მემკვიდრეთა ხანაში გამოქვეყნდა.

დღეს ეს ბიოგრაფიები სავსებით მოძველებულად და ყავლგასულად არის მიჩნეული, სტრეჩისეული იუმორი და სარკაზმი კი – საკმაოდ დაბლაგვებულად და ზერელედ, მაგრამ თავად მისი შეხედულებანიც, რომელიც ავტორს თითქმის ერთი საუკუნის წინ ძალზე მოწინავედ და თამამად მიაჩნდა, დღეს აღარც აღტაცებას იწვევს და აღარც გაკვირვებას. ლიტონ სტრეჩის, მაგალითად, მიაჩნდა, რომ პოლიტიკა მხოლოდ ინტრიგებია, რომ რელიგია აბსურდული ანაქრონიზმია, რომ ადამიანური ურთიერთობანი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა.

ვიქტორიელთა და ვიქტორიული ფასეულობების დამამხობელი სტრეჩი ამ ბოლო ხანს ისევ გახმაურებული სახელი გახდა – მაიკლ ჰოლროიდის ბიოგრაფიული რომანისა და მის საფუძველზე გადაღებული ქრისტოფერ ჰემფტონის ფილმის წყალობით. წიგნს "ლიტონ სტრეჩი" (1967-1968) ჰქვია, ფილმს კი – სხვათა შორის, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ საუკეთესო კინონაწარმოებს – "კარინგტონი" (1995), – იმ მხატვარი ქალის სახელი, რომლის გვერდითაც მწერალმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი მესამედი, – უცნაური და დაუჯერებელი, მიუკარებელი, მწვავე და დაძაბული წლები, – გაატარა.

2000

50

ტომას სტერნზ ელიოტი – მოდერნისტი კლასიკოსი

ტომას სტერნზ ელიოტი
T. S. Eliot
(Thomas Stearns Eliot)
1888-1965

თავისი სამწერლო საქმიანობის დასაწყისიდანვე ტომას სტერნზ ელიოტი მიჩნეული იყო გამორჩეულად გავლენიან ლიტერატურულ კრიტიკოსად, ეგრეთ წოდებული "ახალი კრიტიკის" ფაქტობრივ მამამთავრად, სიცოცხლის გვიანდელ ხანაში იგი აღიარებული იყო როგორც ძლიერი დრამატურგი, მაგრამ ამ სფეროებში მისი მოღვაწეობა მაინც პოეტის საქმიანობა იყო და, რაც უნდა ეწერა მას, იგი ყოველთვის პოეტად რჩებოდა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ელიოტი მიჩნეული იყო მოდერნისტული პოეზიის ერთ-ერთ მეტრად და, შესაძლოა, პარადოქსად ჟღერდეს, მაგრამ მისი პოეტური ქმნილებანი არა მარტო გამორჩეულად მოდერნისტული იყო, არამედ გამორჩეულად ტრადიციულიც. იგი იყო ამ საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიტერატორი და, ამავე დროს, შემოქმედი, რომელზეც, ალბათ, ყველაზე მეტი გავლენა წინამორბედებმა ლიტერატორებმა მოახდინეს.

ამერიკული წარმოშობის ბრიტანელი პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი და გამომცემელი ტომას სტერნზ ელიოტი, ავტორი მეოცე საუკუნის პოეზიის ისეთი წამყვანი და გადამწყვეტი ქმნილებებისა, როგორებიცაა "ბერწი მიწა", "ნაცრის ოთხშაბათი" თუ "ოთხი კვარტეტი", თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვნად განაპირობებდა მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის განვითარების გზებს. მისმა ექსპერიმენტებმა დიქციის, სტილის, ენის, ვერსიფიკაციის სფეროში დიდად შეუცვალეს მიმართულება ინგლისურენოვან პოეზიას, მისმა ლიტერა-

ტურულ-კულტურულმა შეხედულებებმა კი თანამედროვე კრიტიკული აზროვნება, ერთი მხრივ, გაათავისუფლა სხვადასხვა დახავსებული სტერეოტიპისაგან და, მეორე მხრივ, წარმოშვა მრავალი ახალი თვალსაზრისი, შეხედულება, პოზიცია, რომელიც შემდგომში მრავალთათვის ახალ დოგმად, ახალ მართლმორწმუნეობად იქცა.

როცა მეორე მსოფლიო ომის დღეებში "ოთხი კვარტეტი" დაიბეჭდა, უკვე საყოველთაოდ იყო აღიარებული აზრი, რომ ელიოტი ცოცხალთა შორის ყველაზე დიდი ინგლისელი პოეტია. 1948 წელს ჯერ იგი დიდი ბრიტანეთის მეფემ დააჯილდოვა ღირსების ორდენით, შემდგომ კი, შემოდგომაზე, შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ მას ნობელის პრემია მიანიჭა ლიტერატურის დარგში.

* * *

ტომას სტერნზ ელიოტი, საკმაოდ შეძლებული ოჯახის მეშვიდე და ყველაზე უმცროსი შვილი, 1888 წლის 26 სექტემბერს დაიბადა ამერიკულ სენ ლუისში. მამამისი კომერსანტი და სენ ლუისის უნივერსიტეტის განმგებელი იყო, იმ უნივერსიტეტისა, რომელიც მომავალი პოეტის პაპის, უნიტარული ეკლესიის მღვდელმსახურის, უილიამ გრინლიფ ელიოტის, დაარსებული იყო. ტომასის დედა კი, შარლოტ სტერნზი, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში და, ამასთანავე, საკმაოდ ბევრს წერდა – პროზასა თუ პოეზიას. სხვათა შორის, დედამისის ერთი პოეტური დრამა, რომელიც ჯიროლამო სავონაროლას ცხოვრებას ასახავს, უკვე სახელგანთქმულმა პოეტმა 1926 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდა.

როგორც ამბობენ, დედას დიდი გავლენა მოუხდენია ვაჟის ხასიათის ჩამოყალიბებაზე, სწორედ მისგან უმემკვიდრია ელოტს მორალური განცდის უნარი, ინტელექტუალური ენერგია, განუწყვეტელი სულიერი დაძაბულობა, მადლის მოპოვების იმედი თუ მადლის დაკარგვის შიში, ღმრთისაკენ მიმავალი გზების ძიება, ღრმა მოწიწება რელიგიური ტრადიციების მიმართ.

მშობლიურ ადგილებში დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების შემდეგ ელიოტი სასწავლად ამერი-

კის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში, ჰარვარდის უნივერსიტეტში, გაემართა. ენების, ლიტერატურისა და ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ, სწორედ იქ მიიღო მან ბაკალავრისა და მაგისტრის წოდებები. სხვათა შორის, ჰარვარდში მისი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო სახელგანთქმული ამერიკელი მოაზროვნე, მწერალი და პოეტი, ჯორჯ სანტაიანა, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ მიატოვა შეერთებული შტატები და სამუდამოდ დასახლდა ევროპაში.

სტუდენტი ელიოტი ამ დროს, – დანტეს, შექსპირის, ჯონ დონის, ფრანგი სიმბოლისტების შესწავლის გარდა, – უკვე წერდა და იშვიათად ბეჭდავდა კიდეც თავის ლექსებს. ფრანგმა პოეტმა ჟულ ლაფორგმა მას თავისი საკუთარი სტილი მიაგნებინა, ხოლო ეზრა პაუნდმა მას მხნეობა მიანიჭა, საკუთარი პოეტური ნაწარმოებები წიგნად გამოეცა...

1917 წელს იბეჭდება ელიოტის პირველი კრებული, სადაც მოთავსებულია – "ალფრედ ფრუფროკის სამიჯნურო სიმღერა", მსოფლიო მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი შედევრი. შემდგომში ცოდნის გასაღრმავებლად და ცხოვრების უკეთ გასაგებად პოეტი ევროპისაკენ გამოემართა, სადაც, სხვათა შორის, ერთი წლის განმავლობაში პარიზის სორბონის უნივერსიტეტში ანრი ბერგსონის ლექციებსაც ესწრებოდა.

შეერთებულ შტატებში ჩასვლის შემდეგ ელიოტი ჰარვარდის უნივერსიტეტს უბრუნდება, სადაც ინდურ ფილოსოფიასა და სანსკრიტს ითვისებს, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ევროპისაკენ აიღებს გეზს: მსოფლიო ომის გაჩაღებამდე ჯერ გერმანიაში, მარბურგის, ხოლო შემდეგ ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტებისაკენ. პოეტისათვის ეს უკვე საბოლოო გეზი და არჩევანი იყო, – გზა ევროპისაკენ არა მარტო გეოგრაფიულად, არამედ კულტურულად, პიროვნულად, რელიგიურად. იგი ამ ხანებში უღრმავდება ქრისტიანი მისტიკოსების – ბერნარ კლერვოელის, ტერეზა ავილელის, იოანე ჯვრისას (ხუან დე ლა კრუსის), იაკობ ბემეს წიგნებს.

ელიოტმა ინგლისში დარჩენა, ევროპაში გადმობარგება გადაწყვიტა და 1915 წელს ოცდაშვიდი წლის

პოეტმა ლონდონის ახლოს ვაჟთა სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. იმავე წელს იგი დაქორწინდა ინგლისელ ბალერინა ვივიენ ჰაივუდზე, რომელმაც მას ინგლისური საზოგადოების სრულუფლებიანი წევრობა, მაგრამ, ამასთანავე, დიდი სულიერი ტკივილები მოუტანა.

მეუღლე ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი 17 წელი გონებრივად დაავადებულთა საავადმყოფოში გაატარა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ დაქორწინდა ხელმეორედ ელიოტი, – ამჯერად თავის მდივან ქალზე, ვალერი ფლეტჩერზე.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ელიოტს, ამერიკაში ჩასულიყო, ჰარვარდში ზეპირი გამოცდები ჩაებარებინა და უკვე გამზადებული დისერტაცია – ცოდნისა და გამოცდილების შესახებ ბრიტანელი ფილოსოფოსის, ფრენსის ჰერბერტ ბრედლის, მოძღვრებაში – დასაცავად წარედგინა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

ელიოტის ამდროინდელი ცხოვრების ერთი ნაბიჯი, უფრო ზუსტად, ერთი ხანგრძლივი მონაკვეთი, რომელმაც რვა წელს გასტანა, ზოგიერთისათვის ამოუხსნელ და გაუგებარ ამოცანად რჩება, – პერიოდი, როცა პოეტმა უარი თქვა აკადემიურ-პედაგოგიურ საქმიანობაზე და ლოიდის ბანკში დაიწყო მოხელედ სამსახური. ეს სწორედ ის ხანაა, როცა პოეტი უფრო და უფრო ღრმად გრძნობს ევროპული, დასავლურქრისტიანული ფასეულობების მიმართ სწრაფვას, როცა მოდერნისტი პოეტი სულ უფრო მიზანსწრაფულად მიეშურება ინგლისური კათოლიკობისაკენ. ბანკის კლერკობა, რიგითობა, უჩინარობა, რომანტიზმისაგან სრულიად დაცლილი პათოსი ელიოტისათვის ყველაზე ხელსაყრელი თავშესაფარი აღმოჩნდა, მაგრამ მისი ეს სამსახური მთელს ლიტერატურულ სამყაროში წლების განმავლობაში სასკანდალო ფაქტად აღიქმებოდა. 1927 წლის ივნისის მიწურულს ელიოტი ინგლისის ეკლესიის წევრი, ხოლო ექვსი თვის შემდეგ კი ბრიტანეთის მეფის ქვეშევრდომი ხდება.

თანდათანობით მისი სახელი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მისი აღიარება – სულ უფრო ფართო: მას სა-

ყოველთაოდ მიიჩნევენ საუკეთესო ინგლისურენოვან პოეტად, ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მოაზროვნედ, ერთ-ერთ ყველაზე დიდ ერუდიტად მეოცე საუკუნის ხელოვანთა შორის, ხოლო მკითხველს კი წინ ელის ლექსების ახალი კრებულები, – მათ შორის, პოემა "ნაცრის ოთხშაბათი", პოეტის რელიგიური მოქცევის, მის პიროვნებაში მომხდარი რელიგიური გარდატეხის დასტური; ქვეყნდება პიესები, რომლებიც აგრერიგად ენათესავება ანტიკურ დრამებს, შუა საუკუნეების რიტუალებს, ლიტურგიულ ხელოვნებას; იბეჭდება მისი მრავალრიცხოვანი სტატიები, რომლებშიც აშკარა ხდება ელიოტის გაწბილება ეგრეთ წოდებული ლიბერალური ფასეულობებით, – სტატიები, სადაც ავტორი თავის ერთგულებას ადასტურებს ევროპული კულტურული თუ საზოგადოებრივი ტრადიციების მიმართ, რომელთაც, მისი აზრით, არაფერი აქვთ საერთო ვულგარულ დემოკრატიულ წეს-წყობილებასთან.

ტომას სტერნზ ელიოტის შემოქმედება მეოცე საუკუნის ადამიანებს წარმოუჩენს იმ კართან მისვლას და დაკაკუნებას, რომლის მიღმა აბსოლუტია შეფარული. მისი პოეტური სტრიქონები უჩვენებს ამსოფლიურ ღირებულებათა ფარდობითობას, ბრძოლას სურვილსა და შესაძლებლობას შორის, ზეციური დახმარების გარეშე საკუთარი უძლურების სრულ შეგნებას. ელიოტის პოეზია მომავალი საუკუნეებისათვის ჩვენი ეპოქის სულიერ ძიებათა და ურყევ ქრისტიანულ ფასეულობათა ერთგულების დამოწმებად დარჩება.

პოეტი ლონდონში 1965 წლის 4 იანვარს გარდაიცვალა.

1998

51

უილიამ ფოლკნერი თავის ქალაქში

უილიამ ფოლკნერი
William Faulkner
1897-1962

უილიამ ფოლკნერი, რომელიც 1897 წლის 25 სექტემბერს დაიბადა, თავის ოთხ მისისიპელ ძმას შორის უფროსი იყო. იგი, მართალია, ნიუ ელბენიში მოევლინა ქვეყანას, მაგრამ ოჯახი მალე სამხრეთ-დასავლეთით გადასახლდა, პატარა საუნივერსიტეტო ქალაქ ოქსფორდში, სადაც მომავალმა მწერალმა თავისი ცხოვრების უმთავრესი ნაწილი გაატარა. სხვათა შორის, მთელ ოჯახს ეამაყებოდა, რომ ბიჭების დიდი პაპა, პოლკოვნიკი უილიამ ფოლკნერი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის წარმატებული მწერალი იყო, რომლის რომანი "მემფისის თეთრი ვარდი" 36-ჯერ გამოქვეყნდა.

ჭაბუკი ბილი არა მარტო უბნის ბიჭების მეთაურობას ახერხებდა, არა მარტო მგზნებარედ ეტრფოდა მეზობელ გოგონას, ისტელს, არამედ თავგადაკლული მკითხველიც იყო. თუმცა, რაც ევროპულ სოფელში წარმოსადგენადაც კი ძნელია, თვალუწვდენელ ამერიკაში არავის უკვირდა, – ქალაქში ერთი სახალხო ბიბლიოთეკაც არ იყო და წიგნის დაუმცხრომელ მოტრფიალეს ყმაწვილური წყურვილის დაოკება სახლში ნაპოვნი ძველი გამოცემებით უხდებოდა, სადაც თითქმის ყველაფერი აღმოჩნდა, რაც ინგლისურ კლასიკურ ლიტერატურას განეკუთვნება. ცოტა ხანში ახალგაზრდა ფოლკნერი უმეგობრდება მეზობელ იურისტს, ფილიპ სტოუნს, რომელმაც მას ევროპული მოდერნიზმის სამყაროს აზიარა – ბოდლერს, ვერლენს, მალარმეს, ოსკარ უაილდს, ჯოისს, ელიოტს.

შემდგომ: სწავლების მეორე წელსვე მიტოვებული სტუდენტობა, საჯარისო მეცადინეობების საწყის საფე-

ხურზევე შეწყვეტილი სამხედრო სამსახური კანადის შეიარაღებულ ძალებში (რადგან პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა), სატრფოს გათხოვება, მუშაობა გამყიდველად, ფოსტის უფროსად, დურგლად, მღებავად, მოგზაურობა იტალიაში, იქიდან ფეხით ჩასვლა პარიზში, და მოულოდნელი წარმატება: შეტყობინება ამერიკიდან, რომ შერვუდ ანდერსონის წაქეზებით გამომცემლობისათვის ჩაბარებული მისი პირველი რომანი "ჯარისკაცის საზღაური" მალე დაიბეჭდება, შეტყობინება თანდართული ჰონორარითურთ – მთელი 200 დოლარი – და, შესაბამისად, ამერიკაში დაბრუნების საშუალება.

ამ დღიდან – მოქმედება 20-იანი წლების მიწურულს ხდება – იწყება თავდაუზოგავი, განუწყვეტელი, შთაგონებული წერა, ძირითადად ღამ-ღამობით. და როცა რამდენიმე რომანისა და ლექსების კრებულის გამოცემის შემდეგ, უილიამ ფოლკნერი მაგიდას "ხმაურისა და მძვინვარების" დასაწერად მიუჯდება, იტყვის: "ახლა კი შემიძლია წერა".

"ხმაური და მძვინვარება", – რომანი, რომლის წარმტაცი სიმშვენიერისაგან ცოტა ვისმე თუ მოუხერხებია თავის დაღწევა, 1929 წელს დაიბეჭდა. 1930 წლიდან 1942 წლამდე კი ქვეყნდება მოთხრობების ორი მოზრდილი წიგნი, ლექსების მეორე და უკანასკნელი კრებული და ცხრა რომანი – "როცა ვკვდებოდი", "წმიდათაწმიდა", "აგვისტოს ნათელი", "სვეტი", "აბესალომ, აბესალომ!", "უძლეველნი", "ველური პალმები", "სამკვიდრო", "მოვედ, მოსე!".

სიტყვიერი ხელოვნების ყოველი მოყვარულისათვის ამ სათაურების ოდენ ჩამოთვლაც კი სულის შეკვრას იწვევს, იმ განცხრომის გახსენებას, ვინც სიჭაბუკეში ან ცოტა შემდგომ ამერიკული სამხრეთის, ფოლკნერის იოკნაპატოფას უცხო, იდუმალ, სასტიკ და გულჩვილ სამყაროში ჩაძირულა, ვინც მწერლის წარმოსახვით შექმნილ ამ ქალაქში კომპსონებსა და სნოუპსებს, ჯო ქრისთმასსა და ბაირონ ბინჩს, ჭკუასუსტ ბენჯისა და პირველი მსოფლიო ომის დროს ფრანგ ჯარისკაცად მოსულ ქრისტეს შეხვედრია.

სიცოცხლის მიწურულს ფოლკნერს ელოდა მსოფლიო აღიარება, ნობელის პრემია, ლექციები ვენესუელი-

დან იაპონიამდე, განუწყვეტელი სმა და ჩაქუჩი ან ხერხი ხელთ, ღამ-ღამობით კი გაბასრული კალამი და დაუცხრომელი შრომა, და ორ-სამ წელიწადში ერთხელ – თითო ახალი რომანი: "ნეშტის შემბილწველი", "რეკვიემი მონაზვნისათვის", "იგავი", "ქალაქი", "სავანე", "გამტაცებლები"...

უილიამ ფოლკნერის მიწიერი სიცოცხლე 1962 წლის 6 ივნისს შეწყდა, მისი საყვარელი მწერლის, თომას მანის, დაბადების დღეს. მისი შემოქმედება მეოცე საუკუნის ლიტერატურის გადამწყვეტ, განმაპირობებელ ღირებებულებს შეუერთდა – იმ გაუხუნარ ბიბლიოთეკას, სადაც თომას მანის, ჯოისის, პრუსტის, ელიოტის წიგნებს სათუთად უფრთხილდებიან.

1997

52

სარწმუნოების სიხარულით გაოცებული კლაივ სტეიპლზ ლუისი

კლაივ სტეიპლზ ლუისი
C. S. Lewis
(Clive Staples Lewis)
1898-1963

შესანიშნავმა რუსმა მანდილოსანმა, ნატალია ტრაუბერგმა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კომუნისტურ-ათეისტურ წყვდიადში სინათლის შეტანას ანუ ევროპული ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნას, კომენტირებასა და გავრცელებას ცდილობდა, ახლახან ნაწევრადხუმრობით თქვა, საბჭოთა ადამიანის ქრისტიანული განათლების, ქრისტიანული მოქცევის საქმეში კლაივ სტეიპლზ ლუისის მნიშვნელობა ეკლესიის მამათა სიტყვის წონასა და გავლენას უტოლდებაო. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ არა მარტო კომუნისტურ გვალვაში, – ალბათ, მსოფლიოს ყველა კუთხეში მოიძებნება ისეთი ქრისტიანი, რომელსაც რწმენის არცთუ ადვილ გზაზე სწორედ ლუისის წიგნები ამოსდგომია მხარში გარდაუვალი მერყეობისას, შეყოვნებისას, დაეჭვებისას.

* * *

ბრიტანელი მწერალი და მეცნიერი კლაივ სტეიპლზ ლუისი ასი წლის წინ, 1898 წლის 29 ნოემბერს, დაიბადა ირლანდიურ ბელფასტში, სადაც მამამისი ადვოკატად მუშაობდა. შინაური განათლებისა და რამდენიმე კერძო სკოლაში სწავლის შემდეგ, ჭაბუკი ლუისი 1917 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება, მაგრამ სულ მალე მას სამხედრო სამსახურში და პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე გაიწვევენ. ახალგაზრდა ლეიტენანტი საფრანგეთში იბრძვის, მაგრამ ცოტა ხანში იგი ჰოსპიტალში

აღმოჩნდება. ამ დროს ომიც დამთავრდება და დემობილიზაციის შემდეგ ლუისი, ერთწლიანი პაუზის შემდეგ, ისევ სტუდენტის მერხს მიუჯდება. შუა საუკუნეებისა და რენესანსის ლიტერატურის მომავალი სახელმოხვეჭილი მკვლევარი ბაკალავრისა და მაგისტრის წოდებას სწორედ ოქსფორდში მოიპოვებს. სწავლების გასრულების შემდეგ მას იქვე მიიწვევენ პედაგოგად და იგი, გამორჩეული და გულისხმიერი მასწავლებელი, ოცდაათი წლის განმავლობაში მარიამ მაგდალელის კოლეჯში სტუდენტებს ინგლისურ ლიტერატურას ასწავლის. მისმა ფუნდამენტურმა ნაშრომმა – "სიყვარულის ალეგორია: შუასაუკუნეობრივი ტრადიციის კვლევა", რომელიც პირველად 1936 წელს დაიბეჭდა, ლუისს შეურყეველი ავტორიტეტი მოუპოვა შუა საუკუნეებისა და აღორძინების ლიტერატურის მკვლევართა შორის. 1954 წელს კი იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში გადადის, სადაც მისი გახმაურებული და აღიარებული პედაგოგიური მოღვაწეობა კიდევ ცხრა წელს, 1963 წლამდე, – მის სიკვდილამდე, – გასტანს.

კემბრიჯში ყოფნისას მის ცხოვრებაში ახალი სიო შემოიჭრება, – ორმოცდაჩვიდმეტი წლის ლუისი იქ გაცნობილ ახალგაზრდა ამერიკელ ქალზე დაქორწინდება, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ მისი სათაყვანო მეუღლის გარდაცვალება ძლიერ გავლენას მოახდენს მწერლისა და მოაზროვნის უკანასკნელი წლების ცხოვრებასა თუ შემოქმედებაზე. შემთხვევითი არაა, რომ მისი ბოლო წიგნები თეოლოგიურ არგუმენტებზე უფრო მეტად პირად, ბიოგრაფიულ, ყოფით გამოცდილებას ემყარება, რითაც იგი არანაირად არ სწყდება ინგლისური ქრისტიანული ლიტერატურის ტრადიციებს, – მათ შორის ჩესტერტონის ნაწერების სტილსა და სულისკვეთებას.

კემბრიჯში გადასვლის შემდეგაც ლუისი კავშირს არ კარგავს ჯერ კიდევ ოქსფორდში ყოფნისას ჩამოყალიბებულ მეგობართა იმ მჭიდრო ჯგუფთან, რომელსაც თავად წევრებმა "Inclings" – "მინიშნებანი" დაარქვეს და რომელიც, ლუისის გარდა, აერთიანებდა სახელგანთქმულ მწერალ ჯონ ტოლკინს, მის ძმას უორენს, პროზაიკოს ჩარლზ უილიამს, პროფესორ ჰუგო დაისონს და რამდენიმე სხვას. სხვათა შორის, სწორედ ამ წრეში მიიღო

საბოლოო სახე ტოლკინის მსოფლიოში აღიარებულმა ტრილოგიამ, "ბეჭედთა მბრძანებელმა", რადგან ჯგუფის წევრები თითქმის არაფერს ბეჭდავდნენ ერთმანეთთან მოთათბირების, ერთმანეთისათვის საკუთარი ნაწერების წაკითხვისა და ურთიერთგანსჯის გარეშე.

ინგლისელ ინტელექტუალთა ეს საძმო მიზნად ისახავდა ქრისტიანული ფასეულობების, – ქრისტიანული დოგმატიკის, ეთიკისა თუ ესთეტიკის გავრცელება-გაფართოებას მხატვრული ლიტერატურის და, მათ შორის, ფანტასტიკურ-საზღაპრო ნაწარმოებების გზით. ისიც სათქმელია, რომ კლაივ სტეიპლზ ლუისი ათეისტური განსაცდელიდან პირველი მსოფლიო ომის დამთავრების, ომის საშინელებათა განცდის შემდეგ სწორედ კათოლიკე ტოლკინმა გამოიყვანა და მას ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტება და განუმეორებლობა დაანახა.

კლაივ სტეიპლზ ლუისი ტრადიციულ ანგლიკანურ ოჯახში დაიბადა, მაგრამ ჯერ კიდევ სასკოლო ასაკში, პიროვნული თუ ფილოსოფიური მიზეზების გამო, მან ზურგი შეაქცია სარწმუნოებას და მისი ადრეული წიგნები – განსაკუთრებით ლექსების პირველი ორი კრებული – ათეისტური სულისკვეთებითაა განმსჭვალული. მხოლოდ ოცდაათ წელს გადაცილებული პროფესორი დაუბრუნდა ქრისტიანობას და ამ გაცისკროვნებული, ბედნიერი მონაპოვრის შესახებ ყველაზე უკეთ, ყველაზე ამაღელვებლად და ყველაზე მგზნებარედ თავად ლუისი მოგვითხრობს წიგნში "სიხარულით გაოცებული", წიგნში, რომელსაც რელიგიურ ავტობიოგრაფიათა მრავალსაუკუნოვან წყებაში უთუოდ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია.

ლუისის სარწმუნოებრივ მოქცევას მოჰყვება ახალი წიგნები, გამოკვლევები, რადიოგამოსვლები (სხვათა შორის, ბი-ბი-სი-ს რადიოარხებით გადაცემულ მის საუბრებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დღეებში). ომის დამთავრების წელს, 1945 წელს, იბეჭდება "დიდი განხეთქილება", რომელსაც ბევრმა შემფასებელმა თანამედროვეობის "ღმრთაებრივი კომედია" უწოდა; გამოდის მეოცე საუკუნის საყმაწვილო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში – შვიდნაწილიანი "ნარნიას ქრონიკები"; მრავალჯერ გამოიცემა

ლუისის ყველაზე ცნობილი წიგნი "მაცდურის წერილები", რომელშიაც გამოცდილი ეშმაკი თავის დისშვილს რჩევა-დარიგებებს აძლევს, თუ როგორ მოახერხოს მან ახალგაზრდა ქრისტიანის ცდუნება.

წლების განმავლობაში კლაივ სტეიპლზ ლუისი თუ მისი თანამოაზრენი ქრისტიანული სულისკვეთების დამკვიდრებასა და გაღვივებას ცდილობენ, – მათი შეხედულებები მკვეთრად კონსერვატიული და ანტილიბერალურია, მძაფრად კრიტიკულადაა განწყობილი ეგრეთ წოდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თუ ათასნაირი მოდერნიზმის ან, უფრო ზუსტად, ფსევდომოდერნიზმის მიმართ. თავის წიგნებში ლუისი ყმაწვილებსა თუ ზრდასრულებს იმ ფასეულობათა მნიშვნელობის შესახებ ესაუბრება, იმ ფასეულობათა ერთგულებასა და დაცვას ასწავლის, რაც დღევანდელ სამყაროში მეტისმეტად მოძველებულადაა მიჩნეული, – იქნება ეს პატიოსნება, ღირსება, სიმართლე, ნდობა თუ რწმენა.

დასასრულ, ერთი შენიშვნა, რომელსაც კლაივ სტეიპლზ ლუისის ასი წლისთავის საიუბილეო დღეებთან, ერთი შეხედვით, არაფერი აკავშირებს: ამ დღეებში შვედეთის დედაქალაქში, სტოკჰოლმში, ისევ შეიკრიბებიან პატივცემული და პატივსაცემი ადამიანები მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის გადასაცემად. პრემიის დამფუძნებლის, ალფრედ ნობელის, სურვილის თანახმად, ჯილდო ლიტერატურის დარგში ყოველწლიურად უნდა მიენიჭოს იმას, ვინც კეთილშობილ იდეებს სიტყვიერად შეასხამს ხორცს და ლიტერატურაში იდეალისტურ ანუ იდეალურ ღირებულებებს დაამკვიდრებს. არცთუ ადვილია ითქვას, რა საერთო აქვს ნობელის ანდერძთან მისი სახელობის პრემიის ბევრზე ბევრ ლაურეატს, უღიმღამო მწერლებს და სახიფათო პოლიტიკური არჩევანის წარმომადგენლებს, თუნდაც შარშანდელს, – მგზნებარე იტალიელ კომუნისტ ჯამბაზს, თუნდაც წლევანდელს, – კიდევ უფრო მგზნებარე კომუნისტს, ევროპის ყველაზე უფრო პროსაბჭოთა კომპარტიის ერთგულ წევრს, რომელმაც თავისი სამშობლოს, პორტუგალიის, ფარგლებს გარეთ სახელი იმით გაითქვა, რომ პაროდია თუ პამფლეტი დაწერა სახარებაზე. რომ

აღარაფერი ვთქვათ ამ ეპიგონური წიგნის მეტად საეჭვო ლიტერატურულ ღირებულებებზე, ის უკანმოუხედავად შეურაცხყოფს ნებისმიერი ქრისტიანის გრძნობებსა და შეხედულებებს. მართალია, ქრისტიანები დღევანდელ სეკულარიზებულ ევროპაში უმცირესობას განეკუთვნებიან, მაგრამ მათი რიცხვი დედამიწაზე სულ მცირე მილიარდნახევარი მაინცაა. წესიერ საზოგადოებაში ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, დაცინვა, აბუჩად აგდება მთლად მისაღებ საქციელად არაა მიჩნეული, მილიარდნახევარი ქრისტიანის შეურაცხყოფისათვის კი თურმე ნობელის პრემიის მოპოვებაც შეიძლება...

კლაივ სტეიპლზ ლუისი, რა თქმა უნდა, კომუნისტი არასოდეს ყოფილა, მას, ალბათ, არც ნობელის პრემიაზე უფიქრია როდისმე, იგი ქრისტიანული უმცირესობისათვის წერდა ან, უფრო ზუსტად, იმათთვის, ვინც ურწმუნო უმრავლესობიდან მორწმუნე უმცირესობისაკენ თავის პირველ ნაბიჯებს დგამს, იმ უმცირესობისათვის, რომელსაც ქვეყნად მოსულმა მაცხოვარმა "სოფლის მარილი" უწოდა.

1998

53

უშიშარი
ჯორჯ ორუელი

ჯორჯ ორუელი
George Orwell
(Eric Arthur Blair)
1903-1950

"ცივი ომის" დამთავრების შემდეგ ჯორჯ ორუელის სახელი უკვე ისტორიულად განეკუთვნება ამ ნახევარსაუკუნოვანი, გამთანგველი ომის თავდადებულ მეომართა თუ მედროშეთა რიგს: საძულველს, საშიშსა და აკრძალულს ბარიკადების ერთ მხარეს, – კომუნისტური ბანაკის სულიერად გადაბუგულ მიწაზე და თვალისახელის, ვაჟკაცობისა და სიმართლის განსახიერებას ბარიკადების მეორე მხარეს, – დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში. მართალია, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს ეს მეორე განსაზღვრება იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას ყოველთვის გამარჯვებული მხარე განსაზღვრავს ხოლმე, – უბრალოდ იმიტომ, რომ ცივილიზებულ გარემოში ბევრად უფრო ადვილია სიმართლესთან მიახლოება; ვიდრე იქ, სადაც "უფროსი ძმის" განუწყვეტლად მეთვალყურე თვალი რეჟიმის საჭიროებისდა მიხედვით გამოარჩევს (და განარჩევს) მართალსა და მტყუანს, ერთგულსა და მოღალატეს, გმირსა და ლაჩარს.

მაგრამ ამ დროს და ამ პირობებში, – "ცივი ომის" დამთავრებისა და გამარჯვებულის ერთმნიშვნელოვანი ტრიუმფის მიუხედავად, – ჩნდება უკეთესი საშუალება, შეფასდეს ინგლისელი მწერალი ჯორჯ ორუელი როგორც შემოქმედი, როგორც პუბლიცისტი, როგორც საზოგადოებრივი კრიტიკოსი, როგორც მეოცე საუკუნის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების არცთუ ჩვეულებრივი და არცთუ ერთმნიშვნელოვანი ფიგურა.

ჯორჯ ორუელი – სახელი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავზარს სცემდა ყოველ კომუნისტ იდეოლოგსა თუ ცენზორს, იმ კაცის ლიტერატურული ფსევდონიმია, რომელიც 1903 წლის 25 ივნისს ერიკ ბლერად დაიბადა ბენგალიაში, ინდოეთში, რომელიც იმ დროს ბრიტანულ კოლონიას წარმოადგენდა და სადაც ახალდაბადებულის მამა – რიჩარდ ბლერი ბრიტანულ სამოქალაქო სამსახურში მუშაობდა. მიუხედავად დაბადების ადგილისა, ყმაწვილს მწველი სამშრეთული ქვეყნიდან მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებები და მოგონებები არ წამოუღია, რადგან სულ ოთხი წლისა იყო, როცა ოჯახი – ღარიბი, მაგრამ საკმაოდ სნობური ოჯახი – ისევ ბრიტანეთს დაბრუნდა. მაგრამ იტონის პრესტიჟული სკოლის დამთავრების შემდეგ, სადაც ერიკ ბლერს, სხვათა შორის, ოლდოს ჰაქსლიც ასწავლიდა და სადაც იგი მოწაფეთა შორის სრულიად გამორჩეული ყოფილა თავისი ნივთიერი სიღარიბითა და ინტელექტუალური ბრწყინვალებით, ცხრამეტი წლის ჭაბუკს გულმა მაინც სამხრეთ აზიისაკენ გაუწია და კოლონიური კარიერისა და კეთილდღეობის შექმნის იმედით მან ბირმის საიმპერიო პოლიციაში დაიწყო სამსახური. თუ თავდაპირველად იგი სანიმუშო მოხელედ იყო მიჩნეული, მალე თავად დარწმუნდა იმპერიის იდეებისა და პირადი წესიერების შეუთავსებლობაში, სამსახური მიატოვა და სიჭაბუკისდროინდელი ოცნების განხორციელება – მწერლად გახდომა – გადაწყვიტა. თავისი ფსევდონიმი "ჯორჯ ორუელი" კი მან სწორედ მაშინ აღმოსავლეთინგლისური მდინარის – ორუელის – სახელიდან აიღო, ნიშნად და ნიშანსვეტად იმისა, რომ ბრიტანული იმპერიალიზმისა და ინგლისური ისტებლიშმენტის რიგითი წარმომადგენელი იმ დღიდან ლიტერატურულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ამბოხებას იწყებდა.

თუმცა მას მაინც არ ტოვებდა ბრალის განცდა – განცდა იმისა, რომ ბირმაში ყოფნისას მან თავისი რასობრივი და კლასობრივი ჩარჩოების გადალახვა ვერ შეძლო და ვერ დაუახლოვდა იქაურ მცხოვრებლებს. ბრალის გამოსყიდვა დამწყებმა მწერალმა იმით გადაწყვიტა, რომ, ევროპაში გადმოსახლებულმა, ღატაკთა და გარიყულთა

შორის ცხოვრება აირჩია. ჩამოძონძილ ტანსაცმელში ჩაცმული ყოფილი პოლიციელი ლონდონის ისტ ენდში დამკვიდრდება, – მუშათა, მათხოვართა და უსახლკაროთა საცხოვრებელში; შემდგომში იგი პარიზში გადავა, სადაც ოტელებსა და რესტორნებში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობს; კუნძულზე დაბრუნებული ინგლისის შარაგზებზე მომთაბარე მაწანწალებს უერთდება და ლუკმა-პურის მოსაპოვებლად მათთან ერთად სვიის პლანტაციებში საზაფხულო სამუშაოებზე გაემართება.

სულ მალე ქვეყნდება მისი ნაწარმოებები, აღსავსე ბირმული, პარიზული, ინგლისური შთაბეჭდილებებით. 1933 წლიდან კი ყოველწლიურად იბეჭდება ჯორჯ ორუელის თითო ახალი წიგნი, მათ შორის ოთხი რომანი. მაგრამ, ომამდელ ნაწერებს შორის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, – მნიშვნელოვანი პიროვნულადაც და ლიტერატურულადაც, – "პატივი კატალონიას", წიგნი, რომელსაც საფუძვლად ავტორის ესპანური შთაბეჭდილებები დაედო.

ცეცხლითა და სისასტიკით მოცული ესპანეთისაკენ ჯორჯ ორუელი გაემართა როგორც მწერალი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, რომელსაც ინგლისური პრესისათვის რეპორტაჟები უნდა მოემზადებინა რესპუბლიკელებსა და ფალანგისტებს შორის იქ გაჩაღებული სამოქალაქო ომის შესახებ. მაგრამ როგორც კი შთაგონებული ინგლისელი მემარცხენე ბარსელონაში აღმოჩნდა, იმავ წამს თავად ჩაერთო ბრძოლებში და იმათ გვერდით დადგა, რომლებიც ხალხს სოციალისტური სამოთხის აშენებას ჰპირდებოდნენ, – ყოველგვარი ღმერთის, მეფის, წესისა და რიგის, სჯულის, კულტურისა და ტრადიციის გარეშე. ამ "მოძველებულ და დახავსებულ" ფასეულობებს, კომუნისტებისა თუ სოციალისტების, ანარქისტებისა თუ რესპუბლიკელების, სტალინისტებისა თუ ტროცკისტების პოზიციიდან, გენერალი ფრანკო და მისი მომხრეები განასახიერებდნენ. ამიტომ წითელი (თუ შავი) დროშის ქვეშ დარაზმული რევოლუციონერები წარბშეუხრელად ავლებდნენ მუსრს ფრანკისტებს, მაგრამ, ამასთანავე, სპობდნენ ქალაქებსა და სოფლებს, ეკლესიებსა და სასახლეებს, თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას, ინ-

ტელექტუალებსა და გლეხებს, მოკლედ რევოლუციონერები იმასვე აკეთებდნენ, რასაც ისინი ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე – რუსეთსა თუ ჩინეთში, საქართველოსა თუ ალბანეთში, კამბოჯასა თუ რუმინეთში. მაგრამ მარქსისტ მუშათა პარტიის, "პოუმის", რაზმებში აღმოჩენილი ინგლისელი მწერლისათვის უჩვეულო ის აღმოჩნდა, რომ რევოლუციონერები დაუნდობლები ყოფილან არა მარტო მოწინააღმდეგეთა მიმართ, არამედ კიდევ უფრო მეტად – საკუთარი თანამებრძოლების, ისევ რევოლუციონერების მიმართ, – ამისათვის მცირე საბაბიც კი საკმარისი იყო, თუნდაც შეხედულებათა განსხვავება იმ საკითხში, თუ როგორი ტაქტიკით უნდა განხორციელდეს მსოფლიო რევოლუცია.

ანარქისტ-მარქსისტებსა და კომუნისტებს შორის შეტაკებებისას ორუელი მძიმედ დაიჭრა ყელში, რამაც მთელი დარჩენილი ცხოვრებისას მას საკმაოდ გაურთულა ლაპარაკის უნარი, მაგრამ, ამავე დროს, მწერალს ბედმა გაუღიმა და მან მოახერხა კლანჭებიდან დასხლტომოდა კომუნისტთა საგანგებო დამსჯელ რაზმებს, რომლებიც ძერჟინსკულ-ეჟოვურ ნაცად მეთოდებს პირინეის ნახევარკუნძულზე ასხამდნენ ხორცს. მწერალი ინგლისს მტკიცე და შეუპოვარ ანტიკომუნისტად დაუბრუნდა, რაც იმდროინდელ ევროპულ ინტელექტუალურ წრეებში არამარტო უჩვეულო, არამედ მეტად წამგებიანი პოზიცია იყო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის ბოლომდე ჯორჯ ორუელი, ბურჟუაზიული ფასეულობებისა და ბურჟუაზიული ცხოვრების სტილის დაუნდობელი კრიტიკოსი, მაინც მემარცხენედ დარჩა.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მწერალს ჯანმრთელობის გამო უარი უთხრეს სამხედრო სამსახურში ჩარიცხვაზე, იგი ბი-ბი-სი-ს ინდურ განყოფილებაში იწყებს მუშაობას; რედაქტორობს გაზეთ "Tribune"-ის ლიტერატურულ განყოფილებას; წერს უამრავ რეპორტაჟს, სტატიას, ესეს, ლიტერატურულ გამოკვლევებს, საყმაწვილო და სამოგზაურო წიგნებს.

1944 წელს კი ორუელი ამთავრებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნს – "ცხოველთა ფერმას", დაუნდობელ და გესლიან სატირას სტალინური საბჭოთა კავშირის პოლი-

ტიკური ცხოვრების შესახებ. საქონლის ფერმა ალეგორიულად კომუნისტური ბანაკია, გარე სამყაროდან ეკლიანი მავთულხლართებით შემოფარგლული, – ფერმა, სადაც "ყველა საქონელი თანასწორია, ოღონდ ზოგიერთი საქონელი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები".

წიგნის დაბეჭდვა თავდაპირველად გართულდა, მაგრამ როცა მომდევნო წელს გამოიცა, უმალ კომუნისტების დაუფარავი ზიზღი და არაკომუნისტების გულწრფელი აღფრთოვანება გამოიწვია. მწერალმა პირველად იგრძნო, თუ რა ყოფილა დიდება და კეთილდღეობა. ჭლექით მძიმედ ავადმყოფი ორუელი ჰებრიდის კუნძულებზე განმარტოებულ ვილას შეიძენს და იქ დასახლდება. იქ იგი განუწყვეტლივ საწერ მაგიდას უზის, რათა თავისი მთავარი წიგნი – "1984" დაწეროს, რომანი-გაფრთხილება ყოველგვარი ტოტალიტარული სისტემის სისასტიკისა და არაადამიანურობის შესახებ, წიგნი, კრისტალურად გამჭვირვალე სტილითა და სათქმელით, წიგნი, რომელიც მგრძნობიარე და ფაქიზ მკითხველს თმებს ყალყზე უყენებს და ძარღვებში სისხლს უყინავს.

რომანის ბოლო სტრიქონების დაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ ორმოცდაექვსი წლის ჯორჯ ორუელი ლონდონის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. გარდაიცვალა უშიშარი კაცი და მწერალი, რომელიც ყოველთვის უფრთხოდა ვირთხებს, მაგრამ არ შეუშინდა ბედკრული მეოცე საუკუნის ყველაზე შემზარავ ურჩხულს – კომუნიზმს. მთავარი, ალბათ, მაინც ისაა, რომ ამ ურჩხულის დამარცხება მან საკუთარ თავში შეძლო.

1998

54

ქრისტოფერ იშერვუდის უსწორმასწორო გზები

ქრისტოფერ იშერვუდი
Christopher Isherwood
(Christopher William Bradshaw Isherwood)
1904-1986

ქრისტოფერ იშერვუდი წარმოშობით, დაბადებითა და განათლებით ინგლისელი იყო, მაგრამ, ოცდათხუთმეტი წლისა, იგი ამერიკას გადასახლდა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას მან შეერთებული შტატების მოქალაქეობა მიიღო, თუმცა მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი (ყოველ შემთხვევაში, ყველაზე გახმაურებული ნაწილი) 20-იანი და 30-იანი წლების მიჯნის ბერლინის ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

რაკი იშურვუდი მთელი ცხოვრების განმავლობაში მგზნებარე პაციფისტი იყო, მის მიერ 1939 წელს – ძველ კონტინენტზე ომის ხანძრის აგიზგიზებისას – ევროპაში დაბრუნებაზე უარის თქმა, ევროპაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, ნაფიქრი, განსჯილი და გადაწყვეტილი ნაბიჯი იყო. თუმცა თავად მწერლის სიტყვებით, მისი გადაწყვეტილება ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების ფარისევლურ წესებ-ჩვეულებებთან შეურიგებლობამ განაპირობა, რაც, მით უმეტეს, თვალშისაცემი იყო ბერლინში გატარებული ოთხი წლის შემდეგ, – ოთხი მგზნებარე და დატვირთული წლის შემდეგ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ მისი ყველაზე მძაფრი კონტინენტური შთაბეჭდილებები დრამატულად შეწყდა: ბერლინის სოციალურად, კულტურად, ეროტიკულად თავისუფალი, თავნება და შეუზღუდავი ცხოვრება, სადაც იშერვუდი ინგლისურის მასწავლებლობით ან პირადი მდივნობით ირჩენდა თავს, არა მარტო მწერლისათვის, არამედ გერმანიისა და მთელი ევროპისათვის 1933 წელს თავზარდამცემი ნახტომით დამთავრ-

და – ნახტომით უფსკრულისაკენ: ვაიმარის რესპუბლიკის დამარცხებითა და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის გამარჯვებით. როგორც კი მოვლენები ამგვარად მობრუნდა, იშერვუდმა უმალ მიატოვა გერმანია. გაივლის ექვსი წელი და მწერალი გამოსცემს რომანს "გამომშვიდობება ბერლინთან", რომელსაც შემდგომში ფართო გამოხმაურება ხვდა წილად.

ქრისტოფერ იშერვუდი კეთილშობილური წარმოშობის ინგლისურ ოჯახში დაიბადა და განათლებაც შეძლებულ ბრიტანელ ოჯახისშვილთათვის შესაფერისი შეიძინა, – ოქსფორდის უნივერსიტეტის ქრისტეს სხეულის კოლეჯში. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ხარისხი აღარ მოუპოვებია, იგი, როგორც ჩანს, ურიგო სტუდენტი არ ყოფილა, თუმცა სწავლების წლებიდან მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოდენთან მეგობრობა ყოფილა, დაწყებული ჯერ კიდევ სკოლის მერხთან და აღდგენილ-გამდიდრებული უნივერსიტეტის კედლებში. სხვათა შორის, ინგლისური პოეზიის ამ დიდ წარმომადგენელთან ერთად წერს იგი სამ პოეტურ დრამას, თუმცა ლიტერატურული სახელი მას მაინც ბერლინურმა რომანებმა მოუტანა. სხვათა შორის, მისი ეს წიგნები დაედო საფუძვლად ჯერ გახმაურებულ ჰოლივუდურ ფილმს, "მე ვარ კამერა", შემდგომში კიდევ უფრო გახმაურებულ ბროდვეის წარმოდგენას – მუზიკლს "კაბარე", ხოლო 1972 წელს კი მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ამავე სახელწოდების ჰოლივუდურ ფილმ-მუზიკლს, – უეჭველად კარგი სამსახიობო შესრულებით.

სამხრეთ კალიფორნიაში დასახლებული ქრისტოფერ იშერვუდი თავდაპირველად ჰოლივუდისათვის წერს ფილმების სცენარებს, მაგრამ სულ მალე დიდი გარდატეხა ხდება მის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ ორიენტაციაში, – მწერალი სვამი ბრაბჰავანანდას სულიერი მოწაფე და ვედანტას ფილოსოფიის მიმდევარი ხდება. იმ დროიდან იგი თავის მასწავლებელთან ერთად იწყებს ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური ტექსტების, მათ შორის „ბჰაგავადგიტას", ინგლისურად თარგმნასა და გავრცელებას.

შემდგომში, გარდაცვალებამდე, 1986 წლის 4 იანვარამდე, ქრისტეფორ იშერვუდის შემოქმედება თუ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ორ საქმეს ემსახურება – ინდური რელიგიური ფასეულობების ამერიკა-ევროპაში გაშინაურებას და ჰომოსექსუალთა უფლებების დაცვას. ამ ორი თემის გადაკვეთაზეა შექმნილი იშერვუდის შემოქმედების საუკეთესო ნიმუში – ავტობიოგრაფიულად შეფერილი რომანი "მარტოხელა კაცი", სადაც ერთმანეთს მსჭვალავს წარმავალი და მარადიული, სხეულებრივი და სულიერი, მიწიერი და ტრანსცენდენტური. მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით ვირტუოზული რომანი მეოცე საუკუნის ინგლისურენოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

1999

55

აიზაია ბერლინი
ბეჯით შრომასა და ნებიერ განცხრომას შორის

აიზაია ბერლინი
Isaiah Berlin
1909-1997

1997 წლის 5 ნოემბერს, ოქსფორდში, გარდაიცვალა ოთხმოცდარვა წლის სერ აიზაია ბერლინი – მეოცე საუკუნის ინგლისის გამოჩენილი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე.

როცა ამ ერთი წლის წინ სერ აიზაია ბერლინი, სამეფო საოპერო თეატრის ყოფილი დირექტორი, ეროვნული გალერეის ყოფილი მცველი და ბრიტანეთის აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, მსოფლიოს 23 უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი და მისი უდიდებულესობის ბრიტანეთის დედოფლის რაინდი, ინგლისური "რადიო 3"-ისათვის მუსიკალურ პროგრამას არჩევდა, მან იქ მყოფ კოლეგებს თავისი სურვილი გაუზიარა, რომ ურიგო არ იქნებოდა, მის პანაშვიდზე მის მეგობარს, პიანისტ ალფრედ ბრენდელს შუბერტის ა-მინორული სონატის "ანდანტინო" შეესრულებინა. მაგრამ მომცრო ტანის ცოცხალი მოხუცი უეცრად ჩაფიქრებულა და იმავე წამს დაუმატებია: "მაგრამ იგი ხომ დიდებული მეგობარია. არ ღირს ამ მოვალეობით მისი შეწუხება. არამც და არამც! უმჯობესია, საერთოდ არ მოვკვდე!".

აიზაია ბერლინი 1909 წლის 6 ივნისს, ბალტიისპირულ რიგაში დაიბადა, შეძლებული ებრაელი ვაჭრის ოჯახში. 1915 წელს მთელი სახლობა პეტერბურგს გადასახლებულა, მაგრამ ორი წლის შემდეგ რუსეთში აბობოქრებული ბოლშევიკური შავი ჭირისაგან თავი შორს დაუჭერიათ და მენდელ ბერლინის ოჯახს ლონდონისაკენ აუღია გეზი.

ბავშვობაში ყმაწვილი რუსულად და გერმანულად თანაბრად საუბრობდა, წლების განმავლობაში კი მომავალი

ოქსფორდელი პროფესორი და ბრიტანული დაზვერვის თანამშრომელი იმდენ ენას დაუფლებია, რომ მათი დათვლა მის ახლო მეგობრებსაც კი უჭირდათ. თუმცა იგივე მეგობრები ყოველთვის იმასაც აღნიშნავდნენ, რომ არავინ იცოდა არა მარტო ის, თუ როდის მოახერხა მან ამდენი ენის შესწავლა, არამედ ისიც, თუ როდის შეიძინა მან თავისი ლეგენდად ქცეული განათლება, – რადგან, როგორც მოწმეები ადასტურებენ, სიჭაბუკიდანვე იგი ყველაზე მეტ დროს საუბარსა და მუსიკის სმენას ანდომებდა, და იშვიათად თუ უნახავს იგი ვინმეს წიგნით ხელში. თუმცა ადრიდანვე გასაოცარი ყოფილა მისი მახსოვრობის უნარი, – იგივე მოწმეები ამბობენ, რომ მას დაუფიქრებლად შეეძლო მოეთხრო თუნდაც ჟიულ ვერნის ორმოცდაათზე მეტი რომანის შინაარსი. რა თქმა უნდა, უფრო მიმზიდველი იყო მისი ზეპირი მოგონებების მოსმენა – მას თითქმის უნაკლოდ ახსოვდა საუბრები თავის მეგობრებთან თუ ნაცნობებთან: ფროიდსა თუ აინშტაინთან, ჩერჩილსა თუ პიკასოსთან, იგორ სტრავინსკისა თუ სერ მორის ბაურასთან, ახმატოვასა თუ პასტერნაკთან.

მისი ხანგრძლივი ცხოვრების შემსწრენი იმასაც ამბობენ, რომ მას ძნელად თუ უწოდებდით შრომის ნარკომანს (რაც ახალი დროის აშკარა უბედურებად იქცა მსოფლიოში, განსაკუთრებით გერმანულ მენტალიტეტზე ორიენტირებულ ადამიანებს შორის). აიზაია ბერლინისათვის გონებრივი შრომა სიამოვნება იყო, მეგობართა შორის დინჯ და დახვეწილ საუბარში გატარებული დრო კი – განცხრომა.

ალბათ, ესეცაა მიზეზი, რომ მისი სტატიების ექვსტომიანი კრებული, ფაქტობრივ, საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციებს ან რადიოგამოსვლებს მოიცავს, ხოლო მისი ფილოსოფიური ღვაწლი – მიუხედავად იმისა, რომ იგი მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მოაზროვნედ და იდეათა ისტორიკოსად იყო მიჩნეული – სულ რამდენიმე მონოგრაფიას ემყარება. მათ შორისაა "ესეები თავისუფლების შესახებ", სადაც ერთმანეთისაგან გამიჯნულია თავისუფლება რისგან და თავისუფლება რისთვის; კარლ მარქსის კლასიკური ინგლისური ბიოგრაფია, სადაც წარმოჩენილია მის მოძღვრებაზე არა

მარტო ჰეგელის ფილოსოფიის გავლენა, არამედ მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიის ებრაული ძირებიც; და მისი გახმაურებული წიგნი "ზღარბი და მელა", სადაც ტოლსტოისეული დაკვირვების საფუძველზე მოაზროვნე ადამიანები ორ სახეობადაა დაყოფილი: თუ ეგრეთ წოდებული "ზღარბები" მხოლოდ ერთ, ფუნდამენტურ იდეაზე ახერხებენ კონცენტრირებას, ეგრეთ წოდებულმა "მელამ" ბევრი რამ იცის, – შესაძლოა, არც ისე ღრმად და საფუძვლიანად, მაგრამ მაინც ცხოვრებას ის მთელს მის მრავალფეროვნებაში ხედავს.

საკუთარ თავს აიზაია ბერლინი მელათა კატეგორიას აკუთვნებდა და ისიც ნაკლებსავარაუდოა, რომ მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობა საკაცობრიო აზროვნების წარუვალ ფასეულობებს შემორჩეს, მაგრამ განა როდისმე გახუნდება ანა ახმატოვას ლექსების ციკლი "Cinque", რომლის ლირიკული გმირია 1945 წლის პირქუშ ლენინგრადულ ღამეს, უშუქო და ცივ ბინაში ოცი წლით უფროს პოეტ ქალთან განმარტოებული ბრიტანეთის საელჩოს მოხელე აიზაია ბერლინი?!

1997

56

ტომას მერტონი – მოწესე და მწერალი

ტომას მერტონი
Thomas Merton
1915-1968

1968 წლის 10 დეკემბერს, ტაილანდის დედაქალაქში, ბანგკოკში, შეკრებილ დასავლელ და აღმოსავლელ მოწესეებს, – ქრისტიანული და აღმოსავლური რელიგიური ტრადიციების წარმომადგენელთა შეხვედრის მონაწილეებს, – ერთმანეთისათვის მოულოდნელი და გულსატკენი ამბის გაზიარება მოუხდათ: შეკრების ერთ-ერთი გამორჩეული დელეგატი, სახელგანთქმული ამერიკელი ტრაპისტი მოწესე, მწერალი, პოეტი და მოაზროვნე, ტომას მერტონი, იმ დღეს იქ უბედურმა შემთხვევამ შეიწირა – ელექტროდენის შემთხვევითმა ჩართვამ იგი მიწიერ სიცოცხლეს გამოასალმა.

არაერთი იმათგან, ვინც მაშინ მხურვალედ გამოეხმაურა ცნობილი რელიგიური მწერლისა და მქადაგებლის მოულოდნელ სიკვდილს, სიმბოლურად მიიჩნევდა, რომ ორმოცდაცამეტი წლის მერტონის ცხოვრების გზა აღმოსავლეთში დამთავრდა, – იმ აღმოსავლეთში, რომლის მრავალსაუკუნოვან რელიგიურ მემკვიდრეობაში ღრმად გარკვევას ცდილობდა ამერიკელი კათოლიკე მწერალი და რომლის სულიერ ტრადიციებში იგი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში განსხვავებულ, მიუკვლეველ, უცნობ მისტიკურ განზომილებებს ეძებდა.

სიმბოლურად იქნა მიჩნეული ისიც, რომ მისი ცხედრის გადასვენება ამერიკაში იმ თვითმფრინავს ერგო, რომელსაც სამშობლოსაკენ ვიეტნამის ბრძოლებში დახოცილი ამერიკელი ჯარისკაცების გვამები მიჰქონდა. მერტონი, რომელიც სიჭაბუკიდანვე, ოჯახურად პაციფისტურ ტრადიებზე იყო აღზრდილი და რომელიც სიცოცხლის მიწუ-

რულს უძალადობის ერთ-ერთ მგზნებარე მხარდამჭერად და მქადაგებლად იქცა, წლების განმავლობაში მკვეთრად ილაშქრებდა ვიეტნამის ომის სისასტიკეთა წინააღმდეგ.

ომებმა და საომარმა ძალადობამ კი ღრმა კვალი დააჩნია არა მარტო მერტონის შემოქმედებას, არამედ მის პირად ბიოგრაფიასაც: მის მშობლებს, ამერიკელ ფერმწერ კვაკერ ქალს, რუთ ჯენკინსსა და ახალზელანდიური წარმოშობის ბრიტანელ პეიზაჟისტს, ოუენ მერტონს, ყრმა ტომასი, 1915 წლის 31 იანვარს, საფრანგეთში ცხოვრებისას შეეძინათ, სადაც ისინი, სამუდამოდ თუ არა, ხანგრძლივად დარჩენას მაინც აპირებდნენ, მაგრამ უყოყმანო პაციფისტებმა პირველი მსოფლიო ომის ევროპაში აგიზგიზებული ხანძრისათვის თავის აცილება არჩიეს და ხელოვანთა ოჯახი სულ მალე ამერიკაში გადასახლდა. ყმაწვილი ტომასი ექვსი წლისა იყო, როცა დედამისი გარდაიცვალა, თექვსმეტისა კი იგი მამითაც დაობლდა. ტომასის უმცროსი ძმა მეორე მსოფლიო ომის ბრძოლებისას დაიღუპა, მისი სიჭაბუკისდროინდელი სატრფო და მასთან შეძენილი კანონგარეშე შვილი კი – გერმანელ ნაცისტთა მიერ ლონდონის დაბომბვისას. ამ არაერთმა განსაცდელმა და სულიერმა ტკივილმა ღრმა კვალი დააჩნია მგრძნობიარე ჭაბუკის განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

ტომას მერტონმა დაწყებითი და საშუალო განათლება შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და ინგლისში შეიძინა, საუნივერსიტეტო განათლებას კი იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში შეუდგა, თუმცა იქ ერთი წლის სწავლის შემდეგ ჭაბუკი ისევ შეერთებულ შტატებს დაუბრუნდა და უმაღლესი განათლების კურსი ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში გაასრულა, – 1939 წელს მან ლიტერატურის დარგის ხელოვნებათა მაგისტრის დიპლომი მოიპოვა.

სტუდენტობისას მის მეგობართა წრე ფართო და მრავალმხრივი იყო: ქერათმიანი, ცისფერთვალება, შესამჩნევი ბრიტანული აქცენტით მოსაუბრე მერტონის თანაკურსელთა შორის იყვნენ მომავალი სახელგანთქმული პოეტები, ლიტერატორები, პუბლიცისტები, მუსიკისმცოდნეები, სოციოლოგები, მხატვრები. როგორც მომსწრენი იხსენებენ, დასასრული არ უჩანდა მათ საუბრებს

ჯაზის, ფილმებისა და ჰარლემის შესახებ. იმავე ხანებში ტომას მერტონს მეოცე საუკუნის საყმაწვილო სახადიც შეეყრება, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს სახიფათო და მომწამვლელი ციებ-ცხელება – კომუნისტური იდეებით გატაცება – დიდხანს არ გასტანს. მის სულიერ ძიებებსა და ღრმა ინტერესზე მისტიკისა თუ სამონასტრო ცხოვრების მიმართ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მისმა თანაკურსელმა და მომავალმა ცნობილმა პოეტმა, რობერტ ლუქსმა. უნივერსიტეტში სწავლების გასრულებამდე ერთი წლით ადრე, 1938 წელს, ოცდასამი წლის სტუდენტმა მერტონმა, სულიერი მოქცევის შემდეგ და შედეგად, რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღს მიაშურა.

საუნივერსიტეტო დიპლომის მოპოვებას მყარი სამსახურის შესაძლებლობა მოჰყვა: იგი ინგლისური ენის მასწავლებლობას იწყებს, ჯერ კოლუმბიაში, ხოლო შემდგომ – ნიუ იორკის შტატში, ორლეანის ახლოს, წმიდა ბონავენტურას უნივერსიტეტში. მაგრამ პედაგოგიური საქმიანობა დიდხანს არ გრძელდება, ისევე როგორც სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა (დაუმთავრებელი სადისერტაციო ნაშრომის თემა იყო ჯერარდ მენლი ჰოპკინზის შემოქმედება). იგი ჯერ ჰარლემის კათოლიკურ თავშესაფარში იწყებს მუშაობას, ხოლო 1941 წელს ტრაპისტთა ორდენის გეთსიმანიის მონასტერში შედის, – ლუისვილის ახლოს, კენტაკის შტატში.

ამით მთავრდება ტომას მერტონის ცხოვრების პირველი მონაკვეთი – საერო ცხოვრება. წინაა ჯერ სამონასტრო, ხოლო შემდგომ – საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1949 წელს ტომას მერტონი მოწესედ აღიკვეცება.

ტრაპისტების ორდენი დასავლურქრისტიანულ სამყაროში ცნობილია თავისი გამორჩეული მომთხოვნელობითა და უკიდურესი სიმკაცრით. ორდენის წევრები უარს ამბობენ მეტყველებაზე, საუბარზე და, ფაქტობრივ, მთელ ცხოვრებას მარტოობასა და დუმილში ატარებენ. ამასთანავე, ისინი თავიანთი საზრდოდან სრულიად გამორიცხავენ ყოველგვარ ცხოველურ საკვებს და თითქმის მთელ დღეს ლოცვას უთმობენ, რომელიც ყოველდღიურად ღამის ორი საათიდან იწყება. ამგვარ სიმკაცრეთა მიზანია კონტემპლაციური, მჭვრეტელობითი ცხოვრების

უშეღავათო ხორცშესხმა და მის საფუძველზე სულიერი სრულყოფილების მიღწევა. ის, ვინც ტომას მერტონს იცნობდა, ამტკიცებს, რომ მონასტერში ცხოვრებისას მან მისტიკური ჭვრეტის უნარი მოიპოვა. სიცოცხლის ბოლო სამი წლის განმავლობაში კი იგი სავსებით განმარტოვდა და, ორდენის ხელმძღვანელთა ნებართვით, მონასტრის საძმოსაგან გამიჯნულად ცხოვრობდა. თუმცა ეს უკვე მერტონის ცხოვრების მესამე და უკანასკნელი მონაკვეთია, როცა მისი სახელი და საქმე საყოველთაოდ ცნობილი ხდება.

მისი იმდროინდელი ყოველდღიური ცხოვრება აღსავსეა წიგნების წერით, საზოგადოებრივი პროტესტის მოძრაობაში ჩართვით, აღმოსავლური სულიერების, მისტიკისა და ასკეტური პრაქტიკის შესწავლით. 40-იან წლებში იბეჭდება მერტონის ლექსების სამი კრებული, მაგრამ ისინი თითქმის შეუჩნეველი რჩება, 1948 წელს კი გამოდის მისი ყველაზე ცნობილი, ყველაზე გახმაურებული წიგნი "შვიდსართულიანი მთა". ამ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში აღწერილია ავტორისეული გზა უსაყრდენო აქტიურობიდან – მჭვრეტელობითი ცხოვრებისაკენ, თვითგანცხრომიდან – თვითდისციპლინისაკენ, სულიერი გაფანტულობიდან – შინაგანი მოკრებულობისა და სიმყარისაკენ. წიგნს, ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით, აღტაცებით შეხვდნენ ივლინ ვო, კლეარ ლუსი, გრეემ გრინი. "შვიდსართულიანი მთის" დაბეჭდვის შემდეგ მისი ტირაჟი ყოველთვიურად რამდენიმე ათასი ცალით მატულობდა, მაგრამ მკითხველთა ინტერესი თვეებისა და წლების განმავლობაში არ ნელდებოდა. განუწყვეტლად მოდიოდა გამოხმაურებები მთელი მსოფლიოდან: ახალგაზრდა კათოლიკე მოწესის სულიერი ძიებების გაცნობა აღფთოვანებით აღავსებდა მართლმადიდებელ ბორის პასტერნაკსა და იუდეველ აბრაჰამ იოშუა ჰეშელს, კათოლიკე ჩესლავ მილოშსა და ანგლიკან კანონიკ ელკინს, – მათი მიწერ-მოწერა მერტონთან მეოცე საუკუნის სულიერი ისტორიის ყურადსაღები ფურცელია.

ამის შემდეგ ყოველწლიურად იწერება და იბეჭდება მისი ერთი ან ორი ახალი წიგნი (საბოლოოდ მათმა რიცხვმა სამოცს გადააჭარბა): ლექსების კრებულები,

ავტობიოგრაფიის გაგრძელებანი, მედიტაციური ჩანაწერები, სულიერი განსჯანი, გამოკვლევანი აღმოსავლურ რელიგიათა და სულიერ ტრადიციათა შესახებ, ასეულობით სტატია. ამას გარდა, ტრაპისტი მოწესე ჩაერთვება საზოგადოებრივ მოძრაობაში – პროტესტს გამოთქვამს ვიეტნამის ომისა და ატომური შეიარაღების, ამერიკაში ადამიანის თავისუფლებათა შელახვისა და ტექნოლოგიურ მიღწევათა დეჰუმანიზაციის იარაღად ქცევის წინააღმდეგ.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ღრმად ეცნობა ჰინდუისტურ და ბუდჰისტურ სულიერ მემკვიდრეობას, ინტენსიურ დიალოგს მართავს აღმოსავლური რელიგიების წარმომადგენლებთან, მაგრამ შინაგანი გამოცდილების გაფართოებას ოდნავადაც არ შეუსუსტებია მისი ერთგულება ქრისტიანულ ჭეშმარიტებათა და დედაეკლესიის მიმართ, რომლის ერთგულ შვილადაც ტომას მერტონი სამუდამოდ დარჩა.

1998

57

სელინჯერი:
ცხენის შემრჩევის მონატრება

ჯერომ დევიდ სელინჯერი
J. D. Salinger
(Jerome David Salinger)
1919-2010

ამ ათიოდე წლის წინ შეერთებული შტატების ერთ-ერთ პრესტიჟულ გამომცემლობაში, "Random House"-ში, დაიბეჭდა იენ ჰემილტონის წიგნი "სელინჯერის საძებნელად", რომელსაც მრავალრიცხოვანი მკითხველი გამოუჩნდა. საფიქრებელია, წიგნის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მწერლის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში უკვე ოცდაათ წელზე მეტია უიმედოდ ელოდებიან მწერლის ახალ ნაწარმოებს, ან სულაც რამე ახალ ცნობას მის შესახებ. სხვა თუ არაფერი, არავის უნახავს სელინჯერის თუნდაც ახალი ფოტო მას შემდეგ, რაც მისი ერთადერთი რომანი – "დამჭერი ჭვავში" – ამ ნახევარი საუკუნის წინათ დაიბეჭდა, – ყდაზე მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერლის პორტრეტიტურთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვერც ჰემილტონის წიგნმა დააკმაყოფილა ცნობისმოყვარეობა, რადგან ამჯერადაც ძალისხმევა "სელინჯერის საძებნელად" უშედეგოდ დამთავრდა, ანუ მკვლევარმა ვერც მწერალთან დაკავშირება მოახერხა და ვერც რამე ახლის მოპოვება მისი დღევანდელი ასავალ-დასავლის შესახებ.

როგორც ცნობილია, თავისი აქამდე უკანასკნელი ნაბეჭდი ნაწარმოების, "ჰეპვორთის 16, 1924"-ის გამოქვეყნების შემდეგ, – ანუ 1965 წლის შემდეგ, – მწერალი უარს ამბობს არა მარტო თავისი რამე ახალი ტექსტის დაბეჭდვაზე, არამედ სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ყველას, ვინც მისი მარტოობის დარღვევას შეეცდება და მისგან თუნდაც სულ მცირე ინტერვიუს მოპოვებას გადა-

წყვეტს. ჯერომ დევიდ სელინჯერის ამჟამინდელი შეხედულებების, მისი პოზიციების მიმართ ყურადღებას კი ისიც აძლიერებს, რომ იგი სწორედ მაშინ გადგა ჩრდილში, მაშინ გაუჩინარდა სალიტერატურო და საზოგადოებრივი თვალსაწიერიდან, როცა პიროვნულად თუ შემოქმედებითად გზისგასაყართან, გზაჯვარედინზე იდგა, როცა რელიგიური და სულიერი ნიშანსვეტები მისთვის მხოლოდ ბუნდოვნად მოინიშნა, ანდა ისიც სათქმელია, რომ სელინჯერის წიგნები მაშინ დაიწერა და გამოიცა, როცა რევოლუციური ტაღლა, მშობლებისა და მშობელთა ფასეულობების წინააღმდეგ ამერიკელი ახალგაზრდების აჯანყება ჯერ შორეულადაც არ ილანდებოდა. თუმცა თავად 1968 წლის მეამბოხენი თავიანთ ერთ-ერთ წინამორბედად თუ თანამოაზრედ სწორედ ჰოლდენ კოლფილდს, სელინჯერის რომანის მთავარ გმირს, მიიჩნევდნენ... სელინჯერის პერსონაჟები კი უკვე 40-იანი და 50-იანი წლების მიჯნაზე გარბოდნენ სახლიდან, უარს ამბობდნენ ჰოლივუდურ სამყაროსა თუ მომხმარებლური საზოგადოების პირობითობებზე და მარადიულ ჭეშმარიტებას ძველ ინდურ თუ ძველ ჩინურ რელიგიურ წიგნებში, სულაც ძენბუდჰიზმში, ეძებდნენ... ახლა, როცა 1968 წელიც კარგა ხნის ჩავლილია და იმდროინდელმა ფასეულობებმაც სრულიად იცვალა (ან სრულიად დაკარგა) ფერი, მკითხველის ცნობისმოყვარეობას მწვავედ აღვივებს კითხვა, სად, ბარიკადების რომელ მხარეზე დგომას არჩევდა დღეს ან თუნდაც მაშინ, 1968 წლის მაისისა თუ ზაფხულის მცხუნვარე დღეებში, ამერიკელი ჭაბუკი ჰოლდენი...

სხვათა შორის, რამდენიმე მწერალმა ამ წარმოდგენას, ამ ალბათობას ლიტერატურული ტექსტის სახე მისცა და წიგნის თაროებზე უკანასკნელ წლებში გაჩნდა ნაწარმოებები, რომელთა გმირი, უკვე ზრდასრული ჰოლდენ კოლფილდი, ამა თუ იმ ლიტერატორის შეხედულებათა და გემოვნებათა კვალობაზე, ან რიგით და წესიერ ბურჟუად იქცა, ან რომანტიკულ (და არაპრაქტიკულ-უნიადაგო) მეოცნებედ დარჩა, ან აქტიურად ჩაერთო ეკოლოგიურ, პაციფისტურ, ჰომოსექსუალურ თუ სხვა რომელიმე მოდურ მოძრაობაში.

ჯერომ დევიდ სელინჯერი კი ისევ დუმს, და, ალბათ, მისი დუმილის ჭეშმარიტი მიზეზების გამჟღავნება მალე

არ გველის, თუკი, საერთოდ, როდისმე გაირკვა, თუ რატომ დადუმდა მწერალი. სელინჯერის ძიებას უახლოეს მომავალში (ყოველ შემთხვევაში, მწერლის სიცოცხლეში), როგორც ჩანს, არავითარი შედეგი არ მოჰყვება, – ისევე როგორც ჰემილტონის გახმაურებულმა წიგნმა ვერაფერი შეჰმატა მწერლის ბურუსით მოცულ ბიოგრაფიას. მწერლის ცხოვრებისა და საქმის შესახებ მხოლოდ იმის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რაც ამ ორმოცი თუ ორმოცდაათი წლის წინ იყო ცნობილი. ღმრთის მადლით, მწერალს არც თავისი წიგნების კითხვა დაუშლია ვისმესთვის და არც მათი გამოცემა ან თარგმნა.

* * *

ჯერომ დევიდ სელინჯერი 1919 წელს 1 იანვარს ნიუ იორკ სიტიში დაიბადა ქრისტიანი დედისა და ებრაელი მამის, ხორცის გამყიდველის, ოჯახში. ქალაქის საზოგადოებრივ სკოლებსა და სამხედრო აკადემიაში სწავლის შემდეგ მან სამი სხვადასხვა კოლეჯი გამოიცვალა, – იგი სტუდენტის მერხს უჯდა ნიუ იორკის, კოლუმბიისა და პენსილვანიის უნივერსიტეტებში. ყველგან მას, რბილად რომ ვთქვათ, "პრობლემური მოსწავლის" სახელი ჰქონდა დაგდებული, მაგრამ კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლისას იმით გამოიჩინა თავი, რომ როცა მოთხრობის წერის კურსი ჩამთავრდა, რომელსაც უით ბარნეტი ხელმძღვანელობდა, იმავე ბარნეტის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში "Story", 1940 წელს სელინჯერის პირველი მოთხრობა დაიბეჭდა. საუნივერსიტეტო განათლება სელინჯერს ბოლომდე აღარ მიუყვანია, რაკიღა მან ამ დროს მთლიანად სამწერლო საქმიანობაზე გადართვა გადაწყვიტა.

თუმცა პირველ პუბლიკაციას შემოქმედებითი აქტიურობის დროებითი შეწყვეტა მოჰყვა, რაკიღა იარაღასხმული ამერიკელი ჭაბუკები იმ ხანებში გემებითა თუ თვითმფრინავებით ევროპისაკენ მოეშურებოდნენ, მეორე მსოფლიოს ომის მოგიზგიზე ფრონტებზე. ოც წელს გადაცილებულ სელინჯერს ოთხი წელიწადის გატარება ერგო ქარცეცხლით მოცულ ძველ კონტინენტზე და იგი

მხოლოდ 1946 წელს დაუბრუნდა ამერიკას. მალე დამწყები ლიტერატორი ჟურნალ "New Yorker"-თან იწყებს თანამშრომლობას, სადაც მისი თითქმის ყველა ნაწარმოები დაიბეჭდა, – მათ შორის საომარი შთაბეჭდილებებით, საომარი ტრავმებით აღსავსე მოთხრობა "ესმეს, – სიყვარულითა და შეჭირვებით".

ამ მოთხრობის გმირი, ომის სულიერი ტკივილებით დაღდასმული და დაიარებული ამერიკელი ოფიცერი, სელინჯერის შემოქმედებიდან უმალ უჩინარდება, მაგრამ მის ყველა ნაწარმოებში ამიერიდან მთავარ ადგილს იკავებს მეტ-ნაკლებად განსხვავებული ასაკის სულიერად ფაქიზი და ნაზი, ინტელექტუალურად ადრევე მომწიფებული, ცოტა მჭვრეტელი და ცოტა განმსჯელი ჭაბუკი, რომელიც ძნელად იღებს (ან უფრო ზუსტად, ტრაგიკულად არ იღებს) ბურჟუაზიული სამყაროს წესრიგსა და ჩვეულებებს. ამგვარია სკოლიდან გამოძევებული და ნიუ იორკის ქუჩებში ორი დღე-ღამე მოხეტიალე თექვსმეტი წლის ჰოლდენ კოლფილდი, გმირი რომანისა "დამჭერი ჭვავში", რომელიც 1951 წელს დაიბეჭდა და რომელიც სხვადასხვა კონტინენტის მოწაფეთა თუ სტუდენტთა სათაყვანო წიგნად იქცა; ამგვარია სიმორ გლასი, რომელიც პირველად გამოჩნდა 1948 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში "ბანანათევზის საუკეთესო დღე" და რომელიც საზოგადოებრივ პირობითობათა თუ საზოგადოების მიერ აღიარებულ ფასეულობათა მიუღებლობის გამო, იმის გამო, რომ მას გარემომცველი საზოგადოების წევრობა მხოლოდ ტკივილს აყენებს, საქორწინო მოგზაურობაში ყოფნისას, სასტუმროს ნომერში იკლავს თავს, – ის სიმორ გლასი, ფილოსოფოსი, პოეტი, მჭვრეტელი, რომელსაც სელინჯერის შემოქმედებითი გზის შეწყვეტამდე, 1965 წლამდე, აღარ მოჰშორებია მწერლის გულისყური.

* * *

სელინჯერის ერთ-ერთი საუკეთესო, სულისშემძვრელი მოთხრობა "მაღლა ასწიეთ ჭერი, ხუროებო!" ფიქტიური მწერლის, ბადი გლასის, მოგონებით იწყება: იგი

იხსენებს, თუ მაშინ, როცა ბიჭების ოთახში დროებით შემოსახლებული მათი და, ჩვილი ფრენი, ერთ ღამით გულისგამაწვრილებლად ატირდა, ბადის უფროსმა ძმამ, ჩვიდმეტი წლის სიმორმა, მისი დამშვიდება იმით შეძლო, რომ ძველთაძველი ტაოისტური ლეგენდა წაუკითხა პაწაწინა გოგონას საიმპერატორო რაშის იმ შემრჩევის შესახებ, რომელიც, შესაძლოა, ვერ (ან არ) არჩევდა ცხენის ფერსა და ჯიშს, მაგრამ ქვეყანაზე ყველაზე უკეთესი ცხენის შერჩევა შეეძლო, და, ალბათ, იმიტომ, რომ იგი არსის წვდომისას ივიწყებდა არაარსებით ნიშნებს; შინაგან ღირსებათა ჭვრეტისას ყურადღებას არ აქცევდა გარეგნულს; მას შეეძლო დაენახა ის, რისი დანახვაც იყო საჭირო და არ შეემჩნია არასაჭირო; იგი იყურებოდა იქით, საით ყურებაც უპრიანი იყო და უგულებელყოფდა იმას, რისი ყურებაც არ ღირდა... ბადი გლასისათვის მტკივნეულია განცდა იმისა, რომ ძმის სიკვდილის შემდეგ მას ქვეყანაზე აღარ ეგულება რაშის ღირსეული შემრჩევი.

შესაძლოა, სელინჯერის ერთგული მკითხველებიც დღემდე მოისაკლისებენ და მოინატრებენ იმ მაძიებელ და გულწრფელ სიტყვას, სულიერ ფასეულობათა დაუოკებელი ძიების სურვილს, ყოველგვარ სიყალბეთა და სტერეოტიპთა გადალახვის გაბედულ უნარს, რომლითაც მთლიანად განმსჭვალულია ჯერომ დევიდ სელინჯერის არცთუ ვრცელი შემოქმედება, – ერთი რომანი და თხუთმეტიოდე მოთხრობა იმ მწერლისა, რომელმაც ამ დღეებში თავისი ცხოვრების 80 წელი შეასრულა, მაგრამ რომელიც მესამედ საუკუნეზე მეტია უარს ამბობს მკითხველთან ურთიერთობაზე.

1999

58

სალმან რუშდის ჩასაფრებული საფრთხე

სალმან რუშდი
Salman Rushdie
(Ahmed Salman Rushdie)
*1947

ყოვლისმცოდნე ჟურნალისტები იტყობინებიან, რომ მუსლიმური ინდური წარმოშობის ბრიტანელი მწერალი სალმან რუშდი თავის დაბადების დღეს – ორმოცდაათი წლისთავს – უფრო ნაკლები მცველის გარემოში შეხვდა, ვიდრე ადრე ეხვია მას გარს, მაგრამ იმის თქმა, რომ მას ახლა ნაკლები საფრთხე ემუქრება, მთლად სიმართლე მაინც არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ იგი, ვინც მას სიკვდილით დასჯა განუჩინა, – დასავლური და არამარტო დასავლური კულტურის არცთუ დიდად მოყვარული აიათოლა ხომეინი, – კარგა ხანია ცოცხალი აღარაა, ირანის ხელისუფლებასა და სამღვდელოებას (რაც ძირითადად ერთსა და იმავეს ნიშნავს) მაინც დღემდე არ გაუუქმებია რვა წლის წინანდელი განაჩენი, რომელმაც მსოფლიოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-კულტურული წრეები მეტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, – სხვას რომ თავი დავანებოთ, რუშდი არასოდეს ყოფილა ირანის მოქალაქე და რამდენიმე ათეული წელია ბრიტანეთის ქვეშევრდომის ყველა უფლებითა და მოვალეობით სარგებლობს.

სალმან რუშდი 1947 წლის 19 ივნისს დაიბადა ბომბეიში, ინდოეთში, მაგრამ სწავლა-განათლება ინგლისში, კემბრიჯის უნივერსიტეტში მიიღო და სტუდენტის მერხის დატოვების შემდეგ საცხოვრებლად ბრიტანეთის კუნძულები აირჩია. ამის შემდეგ ჭაბუკი ინდოელი წერდა ტექსტებს თეატრისათვის, სიმღერებისათვის, გაზეთებისა და ჟურნალებისათვის, ცოტა ხანი მსახიობობდა. თუ

მისი პირველი პროზაული მცდელობანი უყურადღებოდ დარჩა, უკვე მისმა რომანმა "შუაღამის შვილები" (1981), რომელიც ერთი ინდური ოჯახის რამდენიმე თაობის ამბავს მიჰყვება, მას საკმაო აღიარება და ბუკერის პრემია მოუტანა. რომანმა "სირცხვილი" (1983) და საყმაწვილო წიგნმა – "ჰარუნი და ამბავთა ზღვა" (1990) მას კარგი პროზაიკოსის და მაგიური რეალიზმის ოსტატის სახელი განუმტკიცა. თუმცა რუშდის შემოქმედების მწვერვალად მის ბოლო რომანს, "მავრის უკანასკნელ ამოსუნთქვას" (1995) მიიჩნევენ, რომელიც ორი წლის წინათ დაიბეჭდა.

დღეს სალმან რუშდი მდიდარი და სახელოვანია, სიმდიდრე და სახელი მას ავბედითმა "სატანურმა ლექსებმა" (1988) მოუტანა, მაგრამ, როგორც ყველას კარგად მოგვეხსენება, არც ერთი და არც მეორე ბედნიერების გარანტიას არასოდეს იძლევა. თუმცა, როგორც გამოცდილი ხალხი ამბობს, ერთიცა და მეორეც უზრუნველყოფილი ცხოვრების საყრდენს ნამდვილად წარმოადგენს. ძნელი სათქმელია, რამდენად ბედნიერ ადამიანად გრძნობს თავს სალმან რუშდი, – სხვათა შორის, იგი მსოფლიო სკანდალის შემდეგ ცოლმაც მიატოვა, რაც, ზოგიერთი მისი ახლობლის აზრით, მაინცდამაინც დიდ უბედურებად არ უნდა მივიჩნიოთ, – მაგრამ მწერალს არათუ გარანტირებული ცხოვრება არა აქვს, მას სიცოცხლეც კი არა აქვს გარანტირებული. რადგან მას შემდეგ, რაც იმამმა ხომეინიმ მკრეხელური წიგნის დაწერისათვის მას თავზე "ფატვი" დაატეხა, იგი განუწყვეტლივ ემალება მკვლელის ტყვიას, ხანჯალსა თუ საწამლავს. ირანელმა მართლმორწმუნეებმა უკვე მოკლეს "სატანური ლექსების" იაპონურ და იტალიურ ენაზე მთარგმნელები, ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს წიგნის ნორვეგიულად მთარგმნელი...

მაგრამ რუშდი, ჩასაფრებული მკვლელის გარდა, არც ლიტერატურულ კრიტიკოსთა შემოტევებისგანაა დაზღვეული: მან ხომ განუწყვეტლივ ის ბრალდება უნდა გაფანტოს, რომ იგი არაფრით გამორჩეული მწერალია და მხოლოდ მის ირგვლივ ამტყდარმა გარემოებებმა – და არა მწერლურმა ოსტატობამ – გახადა იგი ასე სახელოვანი.

უკანასკნელ ხანებში სალმან რუშდი სულ უფრო თამამად ჩნდება საზოგადოებრივ ადგილებში, ხვდება სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებს და იღებს მაპროვოცირებელ ფოტოებს. თუმცა ირანში და სხვა ისლამურ ქვეყნებშიც მისი თავი ისევ დიდად ფასობს, სულ ცოტა ხნის წინ ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ჯილდო მისი მოკვლისათვის ორმილიონნახევარ დოლარამდე გაზარდა.

1997

ვინც იტალიურად წერდა

ნიკოლო მაკიაველი
ჯაკომო ლეოპარდი
გაბრიელე დ'ანუნციო
ბენედეტო კროჩე
ლუიჯი პირანდელო
ჯუზეპე უნგარეტი
სალვატორე კვაზიმოდო
ჩეზარე პავეზე
ჯორჯო ბასანი
უმბერტო ეკო

59

ნიკოლო მაკიაველი – პოლიტიკოსი, თან მწერალი

ნიკოლო მაკიაველი
Niccolò Machiavelli
(Niccolò di Bernardo dei Machiavelli)
1469-1527

ნიკოლო მაკიაველიმ თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ბევრი იმოგზაურა და ევროპის არაერთი ქვეყანა მოიარა, მაგრამ უკანასკნელი ამოსუნთქვა განგებამ მას იქ არგუნა, სადაც იგი დაიბადა, – ფლორენციაში, ქალაქში, რომელიც მას, როგორც ჩანს, მართლა უყვარდა და რომელსაც იმგვარად ემსახურა, როგორც თავად მიაჩნდა უმჯობესად, – დაბადებით კი იგი 1469 წლის 3 მაისს დაიბადა, ოჯახში, რომელიც ძველი არისტოკრატიული ტრადიციებით იწონებდა თავს და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ფლორენციის რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე სახელოვან, შეძლებულ და გავლენიან ოჯახად იყო მიჩნეული, მაგრამ რომელიც ნიკოლოს ქვეყნად მოვლენისათვის დიდად არაფრით გამოირჩეოდა გაძვალტყავებულ აზნაურულ ოჯახებს შორის. ნიკოლოს მამა იმდენად გაკოტრებულად იყო მიჩნეული, რომ ქალაქში რამე ოფიციალური თანამდებობის დაკავებაც კი ეკრძალებოდა. ოჯახის ხელმოკლეობაც იყო იმის მიზეზი, რომ ჭაბუკს, ფაქტობრივად, დიდი განათლება არ მიუღია და მაშინ, როცა მისი შეძლებული თანატოლები ანჯელო პოლიციანოს ბერძნულისა და ლათინურის ლექციებზე მიემართებოდნენ, ცნობისმოყვარე ყმაწვილი ლათინურის უწიგნურ შინაურ მასწავლებლებთან განმარტოებულიყო, ხოლო ცხოვრება მან ისე გავლო, ბერძნული არასოდეს სცოდნია და ეს იმ ქალაქში, სადაც მარსილიო ფიჩინოს პლატონური აკადემიის გალავანს მიღმა კლასიკური ცოდნის ყვავილები იფურჩქნებოდა. თუმცა ისიც

უნდა ითქვას, რომ შინაურ განათლებას, დაფუძნებულს საოჯახო ბიბლიოთეკის გადაკითხვა-გადათვალიერებაზე, ხელი არ შეუშლია ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური მიღწევებისათვის, – ნიკოლო მაკიაველი ხომ, პირველ ყოვლისა, პოლიტიკოსი იყო! სხვათა შორის განათლების და, მით უმეტეს, კლასიკური განათლების უქონლობა არასოდეს ყოფილა ხელისშემშლელი არც ერთი პოლიტიკოსის წარმატებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ, წარმატების შესახებ ცხოვრებაში.

მაკიაველი ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო, როცა ფლორენციის მმართველთა შორის აღმოჩნდა – იგი მეორე უწყების ("Secondo cancelleria") ხელმძღვანელად დაინიშნა, – და ეს მას შემდეგ, რაც ქალაქის მეთაურებმა მოუთვინიერებელი და შეუვალი მოწვესე, სავონაროლა, კოცონზე გაისტუმრეს, რადგან დომინიკელი მქადაგებლის შეხუდელებები, – დღევანდელი პოლიტოლოგიური ტერმინოლოგიით თუ ვისარგებლებთ, – ექსტრემისტულად და ფუნდამენტალისტურად მიიჩნიეს.

თუ ნიკოლო მაკიაველის ჯერ ქალაქის შინაური ამბების მოვლა-პატრონობა ევალებოდა, არც ისე დიდი ხნის შემდეგ მას საგარეო და თავდაცვის საკითხების მოგვარებაც დაეკისრა. ამის გამო სულ მალე, 1500 წელს, იგი პირველად აღმოჩნდა ალპებს გადაღმა, საფრანგეთში, სადაც იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იტალიისთვისაც უპრიანი იქნებოდა ერთიანი სახელმწიფო და ერთი, მტკიცე, სასტიკი პატრონის ხელი, ანუ იმგვარი გამგებელი, რომელიც ზნეობრივი ორჭოფობით არც საკუთარ თავს აიტკიებდა და არც მტერისა და მომხდურის თავის ატკიებას მოერიდებოდა.

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა მაკიაველიმ ამგვარი მთავრის ძიება დაიწყო. მისი აზრით, ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმისათვის შესაფერისი იქნებოდა ჩეზარე ბორჯა, პაპ ალექსანდრე მეექვსის სახელგანთქმული ვაჟი, – საუკუნეების მანძილზე სახელგანთქმული თავისი არამზადობით, ცბიერებით, სისასტიკითა და დაუნდობლობით. სულ მალე მაკიაველი მისი ერთგული მრჩეველი და თანამოაზრე გახდა.

იგი ხომ უმალ იმას ამოუდგებოდა ხოლმე გვერდით, ვის მახლობლადაც ძალაუფლება დაილანდებოდა – ნი-

კოლო მაკიაველი ხომ, პირველ ყოვლისა, პოლიტიკოსი იყო! ამიტომ არ გასჭირვებია მას არათუ ალექსანდრეს მემკვიდრის, პიუს მესამის ახლოს აღმოჩენილიყო, არამედ ადვილად შეძლო შემდგომი პაპის, იულიუს მეორის, გულის მოგება, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ახალი მეთაური ბორჯების სასტიკი მოცილე იყო. როცა საჭირო გახდა, მაკიაველის იმის თქმაც არ გაუჭირდა, რომ ჩეზარე ბორჯა სატანის მსახური და ქრისტეს წინააღმდეგ მეამბოხე ყოფილა.

შემდგომ იგი თავისი ცოდნით, გამოცდილებით, კავშირებით, მილიციით, იარაღითა თუ სიტყვით ემსახურებოდა ფლორენციის მმართველს პიერო სოდერინის, მაგრამ როცა იგიც დამარცხდა და მაკიაველის არა მარტო სინიორიის სასახლის შენობაში შესვლა აეკრძალა, არამედ საპყრობილეშიც კი აღმოჩნდა, მან სასწრაფოდ შეთხზა ახალი პაპის, ლეონ მეათის, სადიდებელი, რომელიც ფლორენციის იმჟამინდელი მმართველების, მედიჩების, საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, – თუმცა ეს მაინცდამაინც გასაკვირად არ უნდა ჩანდეს, – ნიკოლო მაკიაველი ხომ, პირველ ყოვლისა, პოლიტიკოსი იყო!

რელატივისტური ფასეულობების სამყაროში, რომელიც არა მარტო ახლომახლო ღვივის, არამედ რომელში საფუძვლიანი ჩართვისთვისაც იმთავითვე განწირულია ყველა, ვინც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს, მაკიაველი ხშირად შეფასებულია როგორც პირდაპირი, მართალი ადამიანი, კარგი მოქალაქე და კარგი ოჯახისმამა. მართალია, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ისიც აღნიშნება ხოლმე, რომ იგი ოჯახშიაც იმგვარივე ერთგულებით გამოირჩეოდა, როგორითაც პოლიტიკაში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ცოლი და ხუთი შვილი არასოდეს დაუგდია ბედის ანაბარა, ხოლო წვრილწვრილი შეცოდებანი პოლიტიკოსს ადვილად ეპატიება. აუცილებელი ისაა, სახელმწიფო მოღვაწეს დადასტურებული ჰქონდეს ოჯახის ყოლა, თუნდაც ჯგუფური პორტრეტის დასახატად, თუნდაც ტელეეკრანზე მეუღლესთან ერთად ღიმილისა და ცრემლების საფრქვევად.

როგორც ამბობენ, მაკიაველის ნამდვილად უყვარდა თავისი ქალაქი, ოღონდ ძნელია ითქვას, რა უფრო უყვარ-

და მას: ფლორენცია თუ საკუთარი თავი ფლორენციაში. იმასაც აღნიშნავენ, რომ იგი ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო, რაც, რა თქმა უნდა, დასაფასებელია რელიგიური გულგრილობითა და აგნოსტიციზმით მოცულ იმდროინდელ იტალიაში, მაგრამ იმაზეც ღირს დაფიქრება, რამდენად ეთანხმება მაკიაველის შეხედულებები იმას, რისი მოსმენაც – სახარების კითხვისას – ყოველ ქრისტიანს შეეძლო საკვირაო მესაზე.

ნიკოლო მაკიაველი ბრწყინვალედ ფლობდა იტალიურს: მისი დაწერილია კომედია "მანდრაგორა", ლექსები, ისტორიულ-პუბლიცისტური წიგნი – "მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი ათი წიგნის გამო", პოლიტიკური ტრაქტატი "მთავარი", ისტორიული თხზულება – "ფლორენციის ისტორია". როგორც ცნობილია, პოლიტიკოსები ხშირად ეთამაშებოდნენ კალამს, თუმცა, სამწუხაროდ, ლიტერატურის სიყვარული და ლექსების წერა პოლიტიკური ან, უბრალოდ, ადამიანური პატიოსნების არავითარ გარანტიას არ იძლევა – შორეულ წარსულში რომ აღარ ჩავყვინთოთ, მეოცე საუკუნის გახსენებაც კმარა: სტალინსაც და მაო ძე დუნსაც არაერთხელ უცდიათ პოეტური კალამი.

მაკიაველის დღევანდელი დამცველები წერენ, რომ მაკიაველისა და მაკიაველიზმის გაიგივება ისტორიული უზუსტობა და შეცდომაა. მაგრამ სახარების მკითხველს ისიც ახსოვს, რომ ხე ნაყოფის მიხედვით შეიცნობა. განა მაკიაველი ბევრად უფრო შორია მაკიაველიზმისაგან, ვიდრე იოსებ სტალინი სტალინიზმისაგან, ადოლფ ჰიტლერი ჰიტლერიზმისაგან, მაო ძე დუნი – მაოიზმისაგან?!

ფლორენციაში, მაკიაველის მშობლიურ ქალაქში, ძველ სასახლეში, მისი ოდინდელი მმართველისა და მეისტორიის, ნიკოლო მაკიაველის, პორტრეტი კიდია. რაც უნდა კარგად დააკვირდეთ პორტრეტს, ადვილად ვერ იტყვით, როგორი ადამიანის პირისპირ დგახართ – ერთი შეხედვით, ეს მეტისმეტად გამხდარი მამაკაცი ჭაბუკს მოგაგონებთ, მაგრამ შემდეგ ეჭვი გიჩნდებათ, რომ ამ ცდომილებას მისი სიგამხდრე განაპირობებს – სინამდვილეში კი მხატვარ სანტი დი ტიტოს უკვე ასაკშეპარებული, ეჭვიანი, ცბიერი მამაკაცი დაუხატავს, რომელსაც

რენესანსული პორტრეტის ყველა წესის დარღვევით, მაინც აუცილებია მნახველისათვის მზერა. ამბობენ, რომ ადამიანები, რომლებიც განუწყვეტლად თვალს გარიდებენ, გულწრფელობასა და სიმართლესთან ცოტა მწყრალად არიან.

საკმაოდ ხშირად, სხვადასხვა გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ განედზე, საკმარისია ვინმემ რომელიმე პოლიტიკოსს მაკიაველიზმში დასდოს ბრალი, ეს ღრმადპატივცემული სახელმწიფო მოღვაწე უმალ გაიბუტება ან განაწყენდება ხოლმე. თუმცა თითქმის ყველა ამგვარ შემთხვევაში გარეშე, მიამიტ მაყურებულს თავის მტვრევა უხდება, რატომ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი პოლიტიკოსისათვის მაკიაველისთან შედარება, – მაკიაველი ხომ ნამდვილად პოლიტიკოსი იყო, ოღონდ თავის კოლეგათაგან იმით განსხვავდებოდა, რომ საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს აშკარად, დაუფარავად, მოურიდებლად გამოხატავდა.

1997

60

ჯაკომო ლეოპარდი – უძლური პოეტი

ჯაკომო ლეოპარდი
Giacomo Leopardi
(Giacomo Taldegardo
Francesco di Sales Saverio Pietro Leopardi)
1798-1837

იტალიელი პოეტი, მკვლევარი, ფილოსოფოსი – ჯაკომო ლეოპარდი, რომლის ფილოსოფიური და ლირიკული მემკვიდრეობა ევროპული კულტურის წარუვალ ფასეულობებს განეკუთვნება, 1798 წლის 29 ივნისის საღამოს ძველ პატრიციულ კოშკში დაიბადა, პატარა ქალაქ რეკანატიში, პაპის სახელმწიფოში (პოეტის არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ქალაქი ხან პაპის სახელმწიფოს ნაწილად იყო მიჩნეული, ხან კი – საფრანგეთის კუთვნილ ტერიტორიად, ხან რესპუბლიკად ცხადდებოდა, ხან კი – დამოუკიდებელ ქვეყანად, რომლის გუბერნატორადაც რამდენიმე თვის განმავლობაში თვით ჯაკომოს მამა, გრაფი მონალდო ლეოპარდი იყო დანიშნული). ჯაკომოს მამა გრაფი იყო, ხოლო დედა – მარკიზის ასული, მაგრამ ძველ არისტოკრატიულ ოჯახს იმხანად ოდენ სახელოვანი წარსულითა და ღირსეული სახელით შეეძლო ეამაყა, თორემ, სხვამხრივ, ხელგაშლილი ცხოვრებისაგან იმდენად შორს იყვნენ, რომ თავად მწიგნობარმა და ლიტერატორმა მამამ, გრაფმა მონალდომ, შვილისათვის წესიერი მასწავლებლების დაქირავებაც კი ვერ შეძლო. თუმცა ჭაბუკი უწიგნური მაინც არ დარჩენილა: მას შემდეგ, რაც რვა წლის ჯაკომომ მამის ბიბლიოთეკაში ერთხელ შეაბიჯა, სიცოცხლის ბოლომდე წამითაც აღარ მოსცილებია წიგნს, – განუწყვეტელი კითხვისათვის მზერის თითქმის სრული დაკარგვაც კი არ აღმოჩნდა

დაბრკოლება. არაერთი ძველი თუ თანამედროვე ენის შესწავლაც ჭაბუკ ლეოპარდის დამოუკიდებლად მოუხდა, – მართალია, თავდაპირველად ლათინურს ადგილობრივი აბატი ასწავლიდა, მაგრამ როგორც შინაურ გამოცდაზე გაირკვა, ყმაწვილი ლათინურის მასწავლებელზე უკეთ ფლობდა ვერგილიუსის ენას, ყოველ შემთხვევაში, იმდენად კარგად, რომ ათი წლისა არა მარტო ლექსების, პოემების, ტრაგედიების, "ასტრონომიის ისტორიის" ავტორი იყო, არამედ ჰორაციუსის "პოეტური ხელოვნების" მთარგმნელიც, ხოლო ერთ წელიწადში ბერძნული იმდენად კარგად აითვისა, რომ თხუთმეტი წლისამ პორფირიოსის "პლოტინეს ცხოვრების" კომენტარები გაამზადა. ოცი წლის განმავლობაში ლეოპარდი ერთხელაც არ გასცილებია საკუთარ სამყოფელს და ბიბლიოთეკაში გამოკეტილი ჭაბუკის ყურთასმენას იშვიათად თუ მისწვდებოდა ის ამბები, რაც კოშკის კედლებს მიღმა, ქალაქში თუ, საერთოდ, ევროპაში – ომებითა და შფოთვით მოცულ კონტინენტზე ხდებოდა.

პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოეტი არასოდეს ჩარეულა. მისი სახელმწიფოებრივი იდეალი ძველ, რესპუბლიკურ რომში ჩარჩენილიყო, მაგრამ მისი თანამედროვე იტალიის ცალკეული მიწები, ბუნებრივია, მეტად შორს იყო ამ მონატრებისაგან. მაინც, იმჟამად დანაკუწებული და უფლებააყრილი თავისი სამშობლოს მომავალი მას თითქოს დაუჯერებელ, თითქოს არარეალურ, მაგრამ მაინც საოცნებო ერთიან სახელმწიფოში ეხატებოდა.

ისიც მომხდარა, რომ, როცა საჭირო გამხდარა, ახალგაზრდა იტალიელ გრაფს, ჯაკომო ლეოპარდის, მთელი სამხრეთული მგზნებარებითა და პოეტური შთამბეჭდავობით აუხსნია ბარონესა ჟერმენ დე სტალისათვის, თუ რას ნიშნავს იტალიისათვის კლასიკური ტრადიციები და რატომ, რა უფლებით მიიჩნევენ თავს ახალი დროის იტალიელები ანტიკური რომისა და კლასიკური ევროპის პირდაპირ და კანონიერ მემკვიდრეებად.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ლეოპარდი მტკიცედ უარყოფობდა ყოველგვარ რომანტიზმს, ხოლო საკუთარ თავს კლასიკური ტრადიციების მემკვიდრედ და,

შესაბამისად, კლასიცისტად მიიჩნევდა, – მისი ბიოგრაფიაც იმავე ყალიბითაა ჩამოსხმული, როგორითაც მისი თანამედროვე რომანტიკოსების სევდიანი და ხანმოკლე ბიოგრაფიები: შუბერტისა და ბარათაშვილის, ბაირონისა თუ პუშკინის მსგავსად, "შავი შაშვის" ავტორმაც გამოსცადა ხელმოკლე სიჭაბუკე, უთანხმოებანი მამასთან, გაცრუებული სიყვარული, ფიზიკური მანკი, სწავლისა და ცოდნის ვნებიანი წყურვილი, საზღვრების გადალახვის, სახლის მიტოვების დაუოკებელი სწრაფვა. მისთვისაც ჩვეული იყო სარკაზმი და უკიდეგანო სევდა, ყოვლისწამლეკავი უიმედობა და მეგობრის განუწყვეტელი ძიება, ზიზღი ნაძირალათა და პოლიტიკოსთა მიმართ, მადლიერი მოკრძალება კლასიკური წარსულის წინაშე.

თუმცა ცხადია, ლეოპარდის მაძიებელი ბუნება ყველგან ტრაგიკულ გაწბილებებს აწყდებოდა, რაც ბუნებრივი იყო, გამომდინარე მისი რელიგიური შეხედულებებიდან, უფრო ზუსტად რომ ითქვას, მისი არაქრისტიანული თვალსაზრისიდან, რომელიც ხშირად ანტიქრისტიანულ ელფერსაც იძენდა. ქრისტიანული სარწმუნოება პოეტს მხოლოდ წარმოსახვად მიაჩნდა და, შესაბამისად, მისთვის მორიგი გაწბილებისა და გულისტკივილის წყარო აღმოჩნდა. მისი წარმოდგენით, იგი უფრო მშვიდად და მყუდროდ იგრძნობდა თავს ანტიკურ სამყაროში, მაგრამ მას ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ესეც ისევ მხოლოდ წარმოსახვას წარმოადგენდა. თავისი განწყობილებით იგი მისტიკურისაკენ, იდუმალისაკენ, მიღმიერისაკენ მსწრაფი არსება იყო და, როგორც ჩანს, მეტად იტანჯებოდა თავისი ურწმუნოების გამო...

სიცოცხლის ბოლოსათვის სრულიად დაუძლურებულმა, დაბრმავებულმა, ლოგინს მიჯაჭვულმა გრაფმა და პოეტმა დაასკვნა, რომ ის მონაპოვარი, რომელსაც მან საკუთარი ძიებების შედეგად მიაგნო, მისთვის წყევლა აღმოჩნდა: როცა სინამდვილეს ღმერთები ჭვრეტენ, ეს მათ ნეტარებას ანიჭებს, ადამიანს კი ეს სინამდვილე მხოლოდ მის ტანჯვათა უსასრულობას წარმოუჩენს. ამიტომ მან, – საკუთარ ტანჯვათა გავლით, – მიიჩნია, რომ ცოდნა დამღუპველია ბედნიერებისათვის...

ჯაკომო ლეოპარდი, ევროპული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოსტატი, ღრმა და სევდიანი იტალიელი ლირიკოსი, 1837 წლის 14 ივნისს გარდაიცვალა. ორი კვირა რომ დაცლოდა, იგი ოცდაცხრამეტი წლისა შესრულდებოდა.

1997

61

გაბრიელე დ'ანუნციო – პოეტი და მეომარი

გაბრიელე დ'ანუნციო
Gabriele d'Annunzio
1863-1938

მეოცე საუკუნის იტალიის კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო ცხოვრების სახელგანთქმული მოღვაწე, ბრწყინვალე პოეტი, რომანისტი, დრამატურგი და ესეისტი გაბრიელე დ'ანუნციო იტალიურ ქალაქ პესკარაში 1863 წლის 12 მარტს დაიბადა.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის ერთიანი იტალიური სახელმწიფო ისევ განსახორციელებელ მიზნად რჩებოდა, უკვე ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ მის ხორცშესხმას თითქმის აღარაფერი ედგა წინ. დ'ანუნციოს დაბადებამდე ორი წლით ადრე, 1861 წლის 17 მარტს საერთოიტალიურმა კრებამ ტორინოში სარდინიის მეფე ვიქტორ ემანუელ მეორე სრულიად იტალიის მეფედ გამოაცხადა და გარიბალდის რაზმებს ისღა რჩებოდათ, ხელსაყრელ დროსა და ვითარებას დალოდებოდნენ, რათა ახლადშექმნილი ქვეყნისათვის აპენინის ნახევარკუნძულის დარჩენილი ტერიტორიებიც მიეერთებინათ, პაპის ათასწლოვანი სახელმწიფოს ჩათვლით. პატარა გაბრიელე შვიდი წლის ყმაწვილი იყო, როცა 1870 წლის ივნისში იტალიის ჯარები – პაპის წინააღმდეგობის მიუხედავად – რომში შევიდნენ და მარადიული ქალაქი იტალიის სამეფოს დედაქალაქად გამოცხადდა.

როდესაც, 1938 წლის 1 მარტს, გარდას ტბის ნაპირას, გარდონე რივიერაში, თავის დიდებულ კოშკში თავადი გაბრიელე დ'ანუნციო გარდაიცვალა, იტალიის სამეფოს სათავეში ფაშისტური მთავრობა იდგა, ის ფაშისტები, ბენიტო მუსოლინის მეთაურობით, რომელთა მოსვლასაც ასე ელოდებოდა, რომელთა მოსვლასაც ასე ამზადებდა

და ეგებებოდა სახელგანთქმული მწერალი და სახელგანთქმული მეომარი დ'ანუნციო. თუმცა როცა პოეტმა და მეომარმა ჯერ კიდევ 1915 წლის 5 მაისს მოუწოდა თავის ერს, ებრძოლათ Pax Romana-ს, – რომაული მშვიდობის – აღსადგენად, რომაული, რომანული, ლათინური ფასეულებობის გადასარჩენად, ვანდალურ-გერმანიკული ტომების ბატონობისაგან ევროპის გასათავისუფლებლად, ბევრს, ალბათ, გაახსენდა, რომ ასი წლით ადრე, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ამგვარივე მგზნებარებით (და ცოტა გულუბრყვილოდ) უხსნიდა სრულიად ახალგაზრდა იტალიელი პოეტი, გრაფი ჯაკომო ლეოპარდი ბარონესა ჟერმენ დე სტალს, თუ რას ნიშნავს იტალიისათვის კლასიკური ტრადიციები, რომ იტალიელები – ევროპის საფუძველთასაფუძვლის, ანტიკური სამყაროს პირდაპირი მემკვიდრეები – რომისა და კლასიკური ევროპის კანონიერ მეპატრონეებად, დამცველებად და ქომაგებად მიიჩნევენ თავს.

გაბრიელე დ'ანუნციოს მამა შეძლებული და პოლიტიკურად გავლენიანი მიწისმფლობელი ყოფილა, რომელმაც ადრევე შენიშნა ვაჟის გამორჩეული ინტელექტუალური პოტენცია და მიზნად დაისახა, შვილისათვის კარგი განათლების შეძენის საშუალება მიეცა. თექვსმეტი წლის გაბრიელე ჯერ ისევ სკოლის მოწაფე იყო, როცა მან მეფე უმბერტო პირველისადმი მიძღვნილი ლექსი დაბეჭდა, რომელმაც არა მარტო მეფისა და სამეფოს თაყვანისმცემელთა, არამედ პოეზიის მოყვარულთა ყურადღებაც მიიპყრო.

შემდგომში, რომის უნივერსიტეტში სწავლისას დ'ანუნციო აქვეყნებს თავის ორ პირველ პოეტურ კრებულს, რომელთაც დიდი გამოხმაურება ხვდა წილად და რომელთაც გზა გაუკვალეს და საფუძველი ჩაუყარეს მომავალი პოეტის ნახევარსაუკუნოვან დიდებას.

აკადემიური განათლების დამთავრების შემდეგ, დ'ანუნციო საცხოვრებლად რომში რჩება. მომხიბლავ მარია ჰარდუენზე დაქორწინება ოცი წლის ჭაბუკს ძველი არისტოკრატიული ოჯახის წევრად აქცევს; ლექსების, მოთხრობების, ნოველების, რომანების, პიესების, ყოველდღიური სტატიების ბეჭდვა მას არტისტული და

ჟურნალისტურ-საგამომცემლო წრეების კარს გაუღებს; პოლიტიკური აქტიურობა მას იტალიის პარლამენტის დეპუტატის მანდატს შესძენს – თუმცა მისი კარიერა სადეპუტატო ტრიბუნასთან ხანგრძლივი არ აღმოჩნდება, რადგან ფლორენციელ ამომრჩევლებს მალე დაჰქანცავს მათი რჩეულის უკიდეგანო რიტორიკა და მისი ნაბიჯებისა და არჩევანის სრული განუჭვრეტელობა.

მაგრამ მწერლურ დიდებას წინ არაფერი უდგას: დ'ანუნციო განუწყვეტლივ გარემოცულია რედაქტორებით, გამომცემლებით, კრიტიკოსებითა და ერთგული მკითხველებით, და არა მარტო მათი საზოგადოებით. სიცოცხლის ბოლომდე იგი გარანტირებულია მათი აღტაცებითა და აღფრთოვანებით. პოეტიც გრძნობს, რომ მისი დიდების საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, მისი ქმნილებებია და ამიტომ ვერც პოლიტიკური მოღვაწეობა, ვერც უსასრულო სატრფიალო გატაცებანი, და ვერც ხშირი ფინანსური შეჭირვებანი ხელს ვერ უშლის მის არნახულ შემოქმედებით ნაყოფიერებას, მისი ენისა და სტილის მანამდე უნახავ სილამაზესა და სიელვარეს.

1910 წელს გაბრიელე დ'ანუნციო თავს ბანკროტად აცხადებს და მევალეთაგან თავის გადასარჩენად პარიზს შეაფარებს თავს. მოულოდნელი არავისთვის იყო, რომ მისი განსაკუთრებული და დაუფარავი სწრაფვა ფუფუნებისა და მეტისმეტად ხელგაშლილი ცხოვრებისაკენ ერთ მშვენიერ დღეს მას გაკოტრებამდე მიიყვანდა, მაგრამ ლტოლვილობას იმჯერად რომანტიკული გზნებაც განაპირობებდა, – თავდავიწყებული ტრფობა სახელოვანი ფრანგი მსახიობის, ელეონორა დუზეს, მიმართ, – რომანი, რომელიც მწერლის პარიზში გადასახლებამდე 16 წლით ადრე დაიწყო. თუ მანამდე დუზეს სასცენო შემოქმედებისათვის დ'ანუნციოს რამდენიმე პიესა ჰქონდა დაწერილი, ახლა იგი საგანგებოდ ფრანგულ ენაზე ქმნის თავის დრამატურგიულ ნაწარმოებს. თუმცა მისი ყველაზე გახმაურებული დრამები – "ჯოკონდა", "ფრანჩესკა და რიმინი" და "იორიოს ქალიშვილი" – იტალიურადაა დაწერილი, – და თან იმგვარ იტალიურად, რომლის მსგავსი ცოტა რამ თუ დაწერილა ჩიტებისა და ანგელოსების ამ წარმტაც ენაზე.

მაგრამ როგორც კი მსოფლიო ომი აგიზგიზდება, დ'ანუნციო ისევ იტალიას მიაშურებს, რათა სამშობლოში რომაული, ლათინური სული ააღორძინოს, რათა თანამემამულეებს შთაგონებული სიტყვით მხნეობა გაუღვიძოს, რათა მეომრის ფორმა ჩაიცვას და ჯარისკაცთა რაზმებს ჩაუდგეს სათავეში, რათა იბრძოლოს როგორც ქვეითმა მიწაზე, მეზღვაურმა ზღვაზე და მფრინავმა ჰაერში, თუნდაც ერთ-ერთი საავაციო შეტაკებისას ცალი თვალი სამუდამოდ დაკარგოს.

1919 წელს დ'ანუნციო თავის სამას თანამებრძოლთან ერთად არაფრად ჩააგდებს ვერსალის ხელშეკრულებას, რომელმაც ევროპას ახალი წესრიგი და ახალი საზღვრები დაუწესა (როგორც ოცი წლის მერმე აღმოჩნდება, არცთუ მყარი წესრიგი და არცთუ მყარი საზღვრები), და ბრძოლით დაიკავებს დალმაციურ პორტს ფიუმეს (დღევანდელ ხორვატიულ რიეკას), რომელიც იტალიელებისა და მოკავშირეთა შეთანხმების შედეგად, ახლადშექმნილ იუგოსლავიას უნდა მიჰკუთვნებოდა. მაგრამ დ'ანუნციო საერთო გადაწყვეტილებას ყურადღების ღირსად არ მიიჩნევს და, რაკიღა პორტი იტალიის მიწად მიაჩნია, 1920 წლის მიწურულამდე იქ საკუთარ მმართველობას, საკუთარ დიქტატურას დაამკვიდრებს. იტალიის მთავრობის ჩარევის შედეგად პოეტი და მეომარი დატოვებს ქალაქს, მაგრამ 1924 წელს ფიუმე ისევ იტალიას გადაეცემა, რასაც ყველა სწორედ დ'ანუნციოს თავგანწირული და თავზეხელაღებული გაბრძოლების შედეგად მიიჩნევს. პოეტისა და ესთეტის სახელს გვერდით ამოუდგება გმირის დიდება და მონტე ნევოზოს თავადის ტიტული.

მიუხედავად იმისა, რომ დ'ანუნციო მხარდაჭერას გამოუცხადებს მუსოლინის რეჟიმს, ხოლო ფაშისტური მთავრობა მისი ნაწერების სრული კრებულის სახელმწიფო გამოცემას იწყებს, თავად პოეტი მთლიანად ჩამოშორდება საზოგადოებრივ ცხოვრებას და თორმეტი დღით ადრე, სანამ სიცოცხლის სამოცდათხუთმეტ წელს დაასრულებს, 1938 წლის 1 მარტს, გარდონეს კოშკში ახლობლებს, იტალიასა და ამ სოფელს გამოემშვიდობება.

ვისაც ნებისმიერ ენაზე ნებისმიერი დიდი თუ პატარა ენციკლოპედია ან ცნობარი გადაუთვალიერებია,

ოღონდ უსათუოდ ისეთი, სადაც პოეტები არ არიან გამოტოვებული, იმ გვერდზე (ან წინა გვერდზე), სადაც ანბანის თანახმად, დანტე ალიგიერია მოხსენიებული, უთუოდ კიდევ ერთი იტალიელი პოეტის, გაბრიელე დ'ანუნციოს, სახელსაც მოჰკრავს თვალს. "La Commedia"-ს შემქმნელი წარუვალ, უცვალებელ სახეებს ჭვრეტდა და ასახავდა, მისი ავტორის სახელიც – ფლორენციელი დანტე, როგორც უკვე ჩავლილმა ექვსმა საუკუნემ დაადასტურა, აზრისა და სიტყვის მარადიულ ღირებულებებს განეკუთვნა. რაც შეეხება დ'ანუნციოს, მისი მჩქეფარე ცხოვრება და ზედმეტად დახვეწილი შემოქმედება მღელვარე და დაძაბული მეოცე საუკუნის სიმშვენიერესა და გაბედულებას, შეცდომებსა და წინააღმდეგობებს, სისასტიკესა და მიუსაფრობას ირეკლავს, იმ საუკუნისას, რომელსაც არც სისხლი და არც სილამაზე არ მოუსაკლისებია. გაბრიელე დ'ანუნციოს შემოქმედება, როგორც უკვე ჩავლილმა ექვსმა ათწლეულმა დაადასტურა, ამ საუკუნის ჩარჩოებში მოთავსდა და, ალბათ, მის მიღმა ნაკლებად მიიზიდავს მკითხველს. ოღონდ ვისაც სურს, ჩამთავრებული საუკუნის დასაწყისის ევროპის ფიქრებსა და სატკივარს, გატაცებებსა და შეგრძნებებს, სურნელებასა და ფერებს ეზიაროს, გაბრიელე დ'ანუნციოს მოელვარე და შთაგონებულ წიგნებს უნდა ჩაუჯდეს, რომელთა შესახებ ამჯერად თითქმის არაფერი გვითქვამს.

1998

62

ბენედეტო კროჩე: ლიბერალიზმის ქომაგი ფაშიზმის ხანაში

ბენედეტო კროჩე
Benedetto Croce
1866-1952

ბენედეტო კროჩეს მამას აბრუცის ოლქში, შუა იტალიაში მამულები ეკუთვნოდა, მაგრამ უმთავრესად იგი ნეაპოლში ცხოვრობდა. ისევე როგორც მისი ვაჟი, – 1866 წლის 25 თებერვალს დაბადებული ბენედეტო, რომელიც სახლს გარეთ სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, ისევ საოჯახო კერას დაუბრუნდა და თითქმის მთელი ხანგრძლივი ცხოვრება ნეაპოლში გაატარა. მაგრამ იგი არა მარტო ცხოვრობდა იქ, არამედ თავს აიგივებდა ამ სამხრეთულ, ხმაურიან, მჩქეფარე და უკიდურესად წარმტაც ქალაქთან, აღნუსხავდა მის ცხოვრებას და აღწერდა მისი გმირების ბიოგრაფიებს. თუმცა კროჩე, ამავე დროს, მთელი იტალიის მესიტყვე და სულიერი წარმომადგენელი იყო. როგორც ცნობარები და კროჩეს სპეციალისტები აღნიშნავენ, მის სულიერ განვითარებაში განსხვავებული ეტაპები გამოიყოფა, მაგრამ ყოველი მათგანი განმსჭვალულია მისთვის აგრე ახლობელი თემებით: ერთია თავად მისი ინტელექტუალური და ზნეობრივი ზრდა, ხოლო მეორე – სიღრმისეული თვითგაიგივება იტალიელი ერის მორალურ ხასიათსა და ღირსებასთან.

ბენედეტოსა და მისი ძმის დაობლებისა და უსახლკაროდ დარჩენის შემდეგ, რომელიც კატასტროფულ მიწისძვრას მოჰყვა, კროჩეს ცხოვრებაში, შესაძლოა, ყველაზე მძიმე პერიოდი ჩამოდგა: ბავშვობისა და სიჭაბუკის უდარდელი და მყარი სამყარო ჩამოინგრა, მიღებულმა ტკივილმა კი წარუვალი დაღი დაასვა მთელ მის შემდგომ ცხოვრებას. კროჩეს ბიოგრაფების აზრით, სწორედ ამგვარმა სევდიანმა დასაწყისმა განაპირობა მისი სიმარტო-

ვე და განდგომისაკენ სწრაფვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ აქტიურობას სიცოცხლის ბოლომდე არ გაურბოდა.

მაგრამ ხსნის მოტანა, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ განუწყვეტელ, თავაუღებელ შრომას შეეძლო. უნივერსიტეტში სწავლისას მას დიდი გაწბილება ელოდა, და, ფაქტობრივ, მან უარი თქვა ოფიციალურ განათლებაზე, თუმცა წლების განმავლობაში განუწყვეტელი კითხვითა და ინტელექტუალური კირკიტით იგი მეოცე საუკუნის ერთ-ერთ გამორჩეულ თვითნასწავლ ერუდიტად ჩამოყალიბდა. მეცხრამეტე საუკუნის იტალიის ინტელექტუალური ცხოვრებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატორისა და მოაზროვნის, ფრანჩესკო დე სანტისის, წიგნების კითხვამ იგი იტალიელი ფილოსოფოსის, ჯოვანი ბატისტა ვიკოს, ისტორიოსოფიური შეხედულებების გაცნობასა და გაზიარებამდე მიიყვანა. სულ მალე კი რომის უნივერსიტეტში სწავლისას დამეგობრებული ჯოვანი ჯენტილე მას ჰეგელის ფილოსოფიას აზიარებს. სხვათა შორის, ოციან წლებში, იტალიური ფაშიზმის გამარჯვებათა ხანაში, – როცა ჯენტილე "დუჩეს" მომხრეთა შორის აღმოჩნდება, – კროჩესა და ჯენტილეს შორის ურთიერთგაუგებრობა აღმოცენდება, რომლის დაძლევას ოდინდელი, სიყრმის მეგობრები სიცოცხლის ბოლომდე ვეღარ შეძლებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ფაშიზმის აღმოცენების საწყის ეტაპებზე კროჩე ამ მოძრაობას მისაღებად მიიჩნევდა და მასში იმ უკიდურეს მემარჯვენე პოზიციებს ხედავდა, რომელსაც უნდა გაეწონასწორებინა იმჟამად (და შემდგომში) ფართოდ მოდებული უკიდურესი მემარცხენე-სოციალისტური განწყობანი.

მალე მას დიდად აუცრუვდა გული, საერთოდ, "რისორჯიმენტოს" პოლიტიკის მიმართ, რაც მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იტალიურ მიწათა გაერთიანებით დაგვირგვინდა, და ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ ამ დროს ქვეყნის განვითარების საკუთარი მოდელის ძიება დაიწყო, – იმგვარი სახელმწიფო მოდელისა, სადაც წამყვანი იქნებოდა ეთიკური, დემოკრატიული, ლიბერალური პრინციპები. ამ დროს იგი, თავად მის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, ხანმოკლედ იწყებს კოკეტობას სოციალიზმისა

და მარქსიზმის იდეოლოგიასთან, თუმცა სულ მალე როგორც ერთის, ისე მეორის დიდ მამხილებლად გვევლინება და დინჯი შესწავლის შედეგად კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებს ყოველგვარ მემარცხენეობას. შემდგომში იგი სიცოცხლის ბოლომდე მონარქისტად, კონსერვატორად და რელიგიურ ადამიანად დარჩება.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბენედეტო კროჩე იტალიური კულტურისათვის ორ უმნიშვნელოვანესი მონაპოვრის ავტორად გვევლინება. პირველი მათგანია ოთხტომიანი სისტემური ფილოსოფიის კურსი "სულის ფილოსოფია", რომლის პირველი ტომია – "ესთეტიკა", მეორე – "ლოგიკა", მესამე – "პრაქტიკული ფილოსოფია: ეკონომიკა და ეთიკა", ხოლო მეოთხე – "ისტორიის თეორია და პრაქტიკა". შეიძლება ითქვას, რომ ეს ოთხი წიგნი იტალიური აზროვნების ყველაზე დიდი წვლილია მეოცე საუკუნის მსოფლიო ფილოსოფიის განვითარებაში.

მეორე მხრივ, 1903 წელს კროჩე აყალიბებს ჟურნალს "La critica", რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამოდიოდა, და არამარტო ყოველივე იმას მოიცავდა, რაც ამ ხნის განმავლობაში უფიქრია და დაუწერია კროჩეს, – ჟურნალი ფაშიზმისა და გერმანული ოკუპაციის პერიოდშიც კი იყო ზნეობრივი, საზოგადოებრივი და ინტელექტუალური სიმამაცის სამრეკლო და სამჭედლო. მანამდე ბევრად ადრე, იტალიის გაერთიანების კვირაძალში, ერთიანი იტალიის მთავრობის პირველმა თავმჯდომარემ, გრაფმა კამილო დი კავურმა თქვა: "შევქმენით რა იტალია, ახლა უნდა შევქმნათ იტალიელები". შეიძლება ითქვას, რომ კროჩესეულმა "La critica"-მ საკუთარ თავზე აიღო ეს ამოცანა და დანიშნულება. იტალიაში მუსოლინის რეჟიმის ბატონობის ხანაში, – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იტალიური ფაშიზმი, ნებსით თუ უნებლიეთ, გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმთან ერთად ერთ უღელში აღმოჩნდა შებმული, – ფაქტობრივად, მხოლოდ ეს ჟურნალი რჩებოდა სიმართლისა და ღირსების, ზნეობისა და თავისუფლების მედროშედ. თავად კროჩეს სიტყვებით, "La critica"-ს დაარსებამ აღნიშნა მისი ცხოვრების ახალი პერიოდის დასაწყისი, – პერიოდისა, როცა საკუთარ თავსა და რეალობას შორის ჩამოდგა სიმწიფე ანუ ჰარმონია.

ფაშისტურ იტალიაში ბენედეტო კროჩე ბეჭდავს წიგნებს იტალიის ისტორიის, ნეაპოლის სამეფოს წარსულის, მეოცე საუკუნის ევროპის ევოლუციის შესახებ, მაგრამ, რაც მთავარია, 30-იანი წლების მიწურულს გამოდის კროჩესეული გამოკვლევა – "ისტორია როგორც ამბავი თავისუფლებისა", რომელიც მძაფრი გამოწვევა იყო ყოველგვარი ტოტალიტარული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 1925 წელს, კროჩეს ინიციატივით, ორმოცი იტალიელი ინტელექტუალი ხელს აწერს მანიფესტს, რომელსაც სწორედ მისი იდეური კონცეფცია უდევს საფუძვლად და რომელშიც ხელისმომწერნი ლიბერალური ტრადიციების უწყვეტობის შენარჩუნებას მოითხოვდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს მანიფესტი იყო გამოხმაურება ჯენტილეს მეთაურობით შექმნილი განცხადებისა, სადაც იტალიელ ინტელექტუალთა მოზრდილი ჯგუფი მზადყოფნას გამოხატავდა, კომუნისტური საფრთხისაგან ქვეყნის გადასარჩენად, მხარი დაეჭირათ ფაშიზმისათვის.

კროჩეს პოზიცია კი თუნდაც იქ გამჟღავნდა, როცა მან თავისი "იტალიის ისტორია" 1915 წლის მოვლენებით დაამთავრა, – იმის სიმბოლოდ და ნიშნად, რომ, რაც შემდგომში დაიწყო, მხოლოდ კოლექტიური გზააბნეულობა იყო, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი იმედი ლიბერალური სახელმწიფოს ფასეულობებისა და ტრადიციებისადმი უპირობო დაბრუნება იყო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იტალიელ საზოგადოებაში კროჩე იმ მცირეთაგანს განეკუთვნებოდა, რომელსაც ფაშისტურ სახელმწიფოში ცხოვრებისა და, ამავე დროს, ფაშიზმთან მრავალწლოვანი ზნეობრივი დაპირისპირების გამოცდილებით, შეეძლო მორალურ ფასეულობათა სიმყარე დაენახვებინა თავის თანამემამულეთათვის. კროჩეც, როგორც მორალური ავტორიტეტის ხმა, მოუხმობდა იტალიელებს, ძიებანი შინაგანი, სულიერი სამყაროსაკენ წარემართათ, რაც პიროვნებისა და ქვეყნის განახლების ერთადერთი უთუო გზა იყო. მას, როგორც იდეალისტსა და კონსერვატორს, იტალიის მომავლად სამეფო დინასტიის განახლება და სამართლებრივი პრინციპების დამკვიდრება წარმოედგინა. ომისშემდგომი იტალია განსხვავებული გზით წავიდა, მაგრამ იტალიის

რესპუბლიკის დაფუძნებისას არაერთხელ გამოცხადდა, რომ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მამა-დამაარსებლები კროჩეს იდეებით იყვნენ შთაგონებულნი.

თავისი უკანასკნელი საზოგადოებრივი მოვალეობების მოხდის შემდეგ – ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, 1944 წელს, კროჩეს მთავრობის მინისტრის თანამდებობა ეკავა – მეცნიერი და ესთეტი უბრუნდება განმარტოებულ ცხოვრებას, ცხოვრებას აღსავსეს წიგნებითა და ფიქრით.

სიცოცხლის მიწურულს კროჩე თავის შინაურულ ბიბლიოთეკაში, იქ, სადაც მის მიერ ათწლეულების განმავლობაში მოპოვებული წიგნები ინახებოდა და რომელიც ევროპის ერთ-ერთ უმდიდრეს პირად ბიბლიოთეკად იყო მიჩნეული, აყალიბებს ისტორიის შემსწავლელ ინსტიტუტს, – სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტს მუშაობას. როცა ღრმად მოხუც კროჩეს შეეკითხებოდნენ, თუ როგორ გრძნობდა თავს, იგი ჩვეულებრივ ამგვარად უპასუხებდა ხოლმე: "მე შრომაში ვლევ სულს".

ოთხმოცდაექვსი წლის ფილოსოფოსი, ლიტერატორი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და მოღვაწე ბენედეტო კროჩე 1952 წლის 20 ნოემბერს ნეაპოლში გარდაიცვალა.

1997

63

ლუიჯი პირანდელო – ქაოსის შვილი

ლუიჯი პირანდელო
Luigi Pirandello
1867-1936

სიცილიელი ლუიჯი პირანდელო გოგირდის საბადოების მეპატრონისა და გამყიდველის შვილი იყო. შეძლებულ მამას სურდა, ვაჟიც კომერციას გაჰყოლოდა, მაგრამ ყმაწვილი, საქმოსნობის მაგივრად, სერიოზულმა სწავლა-განათლებამ გაიტაცა და რომისა და ბონის უნივერსიტეტებში კლასიკურ და არაკლასიკურ ფილოლოგიას ჩაუღრმავდა. თუმცა ლიტერატურის შესწავლას ჭაბუკმა პირანდელომ ლიტერატურის შექმნა ამჯობინა და – ოცდაერთი წლისამ – დანტესა და ლეოპარდის ენაზე ლექსების პირველი კრებული გამოსცა. რაკიღა უფროსი პირანდელო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი ვაჟი გოგირდითა და მისი ვაჭრობა-გასაღებით ნამდვილად აღარ დაინტერესდებოდა, სარძლოდ გოგირდის ფირმის კიდევ ერთი მეპატრონის, მეტად მდიდარი პორტულანოს ქალიშვილი – ანტონიეტა შეარჩია და წიგნებსა და რვეულებში თავჩარგული ლუიჯი ყოველდღიური სახსრის მოპოვების საფიქრალისაგან გაათავისუფლა. მაგრამ ცხოვრება და განგება თავად ჩვენს გეგმებსაც არ უწევს დიდ ანგარიშს, არათუ ჩვენი მშობლების გეგმებსა და ჩანაფიქრებს: სულ მალე ზვავმა სრულიად გაანადგურა მძახლების საერთო კუთვნილება – გოგირდის საბადო და ახალგაზრდა პირანდელოების ოჯახი სრულ სიღატაკეში აღმოჩნდა. თითქმის ორმოცს მიღწეული პოეტი, ნოველისტი, რომანისტი და დრამატურგი იძულებული გახდა, მასწავლებლობით ერჩინა თავი. მისი მეუღლისათვის კი გაჭირვება იმდენად თავზარდამცემი აღმოჩნდა, რომ ფსიქიკურად შეიშალა, რაც დევნის მანიასა და ზღვარდაუდებელ ეჭვიანობაში გამოვლინდა. მწერალი თხუთმეტი წლის

განმავლობაში ავადმყოფ ცოლთან ატარებდა მტანჯველ დღეებსა და თვეებს, მაგრამ ამის შემდეგ – პირანდელოს ცოლი უკვე ფსიქიატრიულ კლინიკაში იმყოფებოდა – მის შემოქმედებას თითქმის სამი ათეული წელი აღარ მოსცილებია პიროვნების განუწყვეტლად ცვალებადი მეობის ჩაკეტილ სამყაროში შენარჩუნების მტკივნეული თემა.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო იტალიელ მწერალს, ლუიჯი პირანდელოს, წინ ელოდა დაუღალავი შრომა და გარჯა, ლექსების, ნოველების, ესეების არაერთი წიგნი, რომანები და მათ შორის კლასიკური "განსვენებული მატია პასკალი", პიესები და მათ შორის კლასიკური "ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი" და "ენრიკო მეოთხე". წინ იყო საკუთარი თეატრი, აღიარება, დიდება, მიმბაძველები და მოწაფეები, წინ იყო ნობელის პრემია.

ფაშიზმის ხანაში პირანდელომ თქვა: "მე ვარ ფაშისტი, იმიტომ, რომ ვარ იტალიელი". მისი საზოგადოებრივი წარმატებანი სიცოცხლის ბოლო ათწლეულში, – მათ შორის, ნობელის ლაურეატობა, – რა თქმა უნდა, ბენიტო მუსოლინის პირადი მხარდაჭერით იყო განპირობებული.

ერთგან პირანდელო წერდა, რომ ის ქაოსის შვილი იყო, მაგრამ ამ სიტყვის არა ალეგორიული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან იგი დაიბადა იმ ადგილას, რომელსაც ძველი ბერძნებისაგან შემორჩენილი ეს სახელი ჰქვია... მწერალიც და მისი პერსონაჟებიც ქაოსის სამყაროში არსებობდნენ, საიდანაც ნამდვილ ცხოვრებაში გადასვლა, ანუ წესრიგის, სიმშვიდისა და სიხარულის მოპოვება გულდასაწყვეტად მიუღწეველი აღმოჩნდა...

პირანდელოს ერთი აუსრულებელი სურვილი დარჩა: დაეწერა 365 ნოველისაგან შემდგარი კრებული სახელწოდებით "ნოველები მთელი წლისათვის", სადაც ყოველი მათგანი წელიწადის თითო დღისათვის იქნებოდა განკუთვნილი, მაგრამ სიკვდილამდე მწერალმა მხოლოდ თხუთმეტის დაწერა მოასწრო. მათ შორისაა პირანდელოს ყველაზე ცნობილი ნოველა – "ქვევრი", რომელსაც ქართველი კინომაყურებელიც კარგად იცნობს, ოღონდ ქართულ ფილმში მოქმედება, პირველწყაროსაგან განსხვავებით, სიცილიის მაგივრად, ერთ კახურ სოფელშია გადატანილი.

1997

64

ჯუზეპე უნგარეტი – ალექსანდრიელი იტალიელი

ჯუზეპე უნგარეტი
Giuseppe Ungaretti
1888-1970

ცისფერი ზღვის სანაპიროზე ალექსანდრე მაკედონელის სურვილითა და ბრძანებით აღმოცენებული ქალაქის, ალექსანდრიის, კულტურული სუნთქვა, რომელიც არაერთი საუკუნის განმავლობაში განაპირობებდა მთელი სმელთაშუაზღვისპირეთის ინტელექტუალურ, სახელოვნო, სულიერ, რელიგიურ განწყობებსა და ძიებებს, კარგა ხანია ფერფლსა და ქვიშაში ჩაიკარგა, ჩაინთქა და გაქრა. დღეს ძნელად ვინმე თუ მიაკითხავს ცოდნისა და სიბრძნის, წიგნისა და საიდუმლოს მისაგნებად და მოსაპოვლებად დღევანდელ ალექსანდრიას, – ამჟამინდელ ეგვიპტურ არაბულ ქალაქს, რომელსაც აღარაფერი შერჩენია ოდინდელი ნამდვილი მსოფლიო მეტროპოლიის სახიდან და არსიდან. და მაინც, ჩამთავრებული საუკუნის, მეოცე საუკუნის ორი უეჭველად დიდი პოეტი სწორედ ალექსანდრიელია, – არა მითიური და მისტიკური ალექსანდრიული კულტურისადმი კუთვნილების გამო, არამედ იმ ბუნებრივი მიზეზისა და უფლების საფუძველზე, რომ ორივე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ალექსანდრიაში დაიბადა. ერთი ბერძენი კონსტანტინოს კავაფისია, რომელიც ალექსანდრიაშივე გარდაიცვალა, მეორე კი – იტალიელი ჯეზეპე უნგარეტი, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ კოსმოპოლიტურ საზღვაო ქალაქში მცხოვრებ იტალიურ ოჯახში დაიბადა 1888 წლის 10 თებერვალს. თავისი ცხოვრების პირველი 24 წელიც, სანამ იგი სასწავლებლად პარიზს, სორბონას, გაემგზავრებოდა, მან სწორედ ლეგენდებით მოცულ ალექსანდრიულ სანაპიროზე გაატარა.

1912 წელს პარიზში ჩასულ ჯუზეპე უნგარეტის კი ახალი და ახლებური ცხოვრება ელოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპის იმჟამინდელ კულტურულ დედაქალაქში ახალი და ახლებური კულტურა იფურჩქნებოდა. ლიტერატურას, მხატვრობას, თეატრს დაწაფებული ალექსანდრიელი იტალიელი ჭაბუკი მოდერნისტულ ხელოვნებას გაეცნობა; დაუახლოვდება შარლ პეგის, პოლ ვალერის, გიიომ აპოლინერს, შემდგომ – პაბლო პიკასოს, ჟორჟ ბრაკს, ფერნან ლეჟეს; თავად ლექსების წერას ცდილობს, ხოლო როცა მალარმეს პოეზიას წაიკითხავს, მისი ცხოვრებისეული მომავალი და შემოქმედებითი ორიენტაცია უკვე უეჭველი გახდება. თუმცა ამ დროს ომი იწყება და უნგარეტიც მოხალისედ ჩაეწერება იტალიის ჯარში. სწორედ ბრძოლის ველზე წერს იგი მომავალში თავის სახელგანთქმულ ლექსებს, რომლებიც – ყოველი მათგანი – იმგვარად და იმ ვარაუდითაა დაწერილი, რომ თითოეული, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს; წერს ლექსებს, რომლებიც 1916 წელს ცალკე კრებულად გამოიცემა სახელწოდებით – "Il porto sepolto" – "დამარხული ნავსადგური", რაც პოეტს ევროპის ავანგარდისტულ წრეებში პირველ აღიარებას მოუტანს. მისი ეს პოეტური ტექსტები იტალიური ლიტერატურული ტრადიციისათვის უჩვეულოდაა ჩამოქნილი: დარღვეულია ლექსის რიტმი და სტრუქტურა, უარყოფილია ყოველგვარი სინტაქსური წესები და ყოველგვარი რითმა თუ პუნქტუაცია, ხაზი ესმება და ძალა ენიჭება მხოლოდ ცალკეულ სიტყვებს. ამ კრებულით, ფაქტობრივად, საფუძველი ეყრება მეოცე საუკუნის იტალიური პოეზიის იმ მძლავრ და გავლენიან მიმართულებას, რომელსაც 1933 წელს გამოსული ჯუზეპე უნგარეტის ახალი კრებულის "Sentimento del tempo" – "დროის გრძნობის" შემდეგ "ჰერმეტიზმის" სახელწოდებას მიიღებს, – ძველი ბერძნული ღმერთის, ჰერმეს ტრისმეგისტრის, საიდუმლო და ფარული ცოდნის მფარველი ღმრთაების სახელის მიხედვით. უნგარეტის გარდა, ამ ნაკადს იტალიურ ლიტერატურაში წარმოადგენენ სალვატორე კვაზიმოდო და ეუჯენიო მონტალე.

ჯუზეპე უნგარეტის ორივე ეს მიმდევარი შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი ხდება. "დროის გრძნობა"

კი იტალიური ლიტერატურის ლამის ყველაზე იდუმალ, რთულ, დაფარულ და ამოუხსნელ პოეტურ კრებულად გამოცხადდება.

წიგნის გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის შემდეგ პოეტი ექვსი წლით საცხოვრებლად ბრაზილიაში გადადის, – სან პაულუს უნივერსიტეტში იტალიური ლიტერატურის მასწავლებლად. იქ ყოფნისას კვდება უნგარეტის ცხრა წლის ვაჟი. ეს თავზარდამცემი მოვლენა მის პოეზიაში ერწყმის ევროპაში ნაციონალ-სოციალიზმისა და მეორე მსოფლიო ომის სისასტიკეთა ტრაგიკულ გამოცდილებას. სწორედ ეს მტკივნეული და მტანჯველი თემები უძევს საფუძვლად მის შემდგომ კრებულს სახელწოდებით "Il dolore" – "ტკივილი". 1942 წელს უნგარეტი სამშობლოში ბრუნდება და თხუთმეტი წლის განმავლობაში რომის უნივერსიტეტში თანამედროვე იტალიური ლიტერატურის პროფესორად მუშაობს. ამ დროს იბეჭდება მისი ახალი პოეტური კრებულები, ამას გარდა, რასინის, შექსპირის, გონგორას, მალარმესა და უილიამ ბლეიკის მისული თარგმანები.

იტალიელი პოეტი ჯუზეპე უნგარეტი 1970 წლის 1 ივნისს, მილანში გარდაიცვალა.

2000

65

სალვატორე კვაზიმოდო:
სირაკუზის სიახლოვიდან უკვდავების ახლოს

სალვატორე კვაზიმოდო
Salvatore Quasimodo
1901-1968

მეოცე საუკუნის იტალიური და, საერთოდ, ევროპული პოეზიის გამორჩეულ სახელებს უთუოდ განეკუთვნება სალვატორე კვაზიმოდოს – პოეტის, კრიტიკოსის, მთარგმნელისა და ინტერპრეტატორის – სახელი. თუ მეორე მსოფლიო ომამდე იგი ეგრეთ წოდებული "ჰერმეტიკული პოეზიის" ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი იყო და ერთხანობას "ჰერმეტიკოსთა" წრეს მეთავეობდა კიდეც, ომის შემდგომ მის ლირიკაში სულ უფრო მეტად ღვივდება თანადროული საზოგადოებრივი თემატიკა, რაც კვაზიმოდოს პოეტურ შეგნებაში თითქმის განუყოფლად უკავშირდება სიცილიურ გარემოს, სიცილიურ ყმაწვილურ მოგონებებს თუ იქაურ თაობათა მეხსიერებას.

პოეტი სიცილიაზე იყო დაბადებული და გაზრდილი, – იგი 1901 წლის 20 აგვისტოს პატარა ქალაქ მოდიკაში დაიბადა, ქალაქში, საიდანაც არაბული ტუნისი უფრო ახლოა, ვიდრე არათუ შორეული რომი და ფლორენცია, არამედ ვიდრე თვით ნეაპოლი, – ის ნეაპოლი, სადაც ამ ოცდაათი წლის წინ, 1968 წლის 14 ივნისს, 66 წლის ნობელის პრემიის ლაურეტს, საქვეყნოდ სახელგანთქმულ პოეტს მოულოდნელი სიკვდილი ელოდა. მაგრამ იქიდან, სადაც პოეტი დაიბადა, სულ ახლოა სირაკუზა, – ქალაქი, რომლის ქუჩაბანდებს ახსოვს პლატონის ნაბიჯების ხმა და სოფოკლეს ტრაგედიის პირველი წარმოდგენისას ამფითეატრის გუგუნი, – სირაკუზა კი ახლოა არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც! როგორც ამბობენ, სიცილიაზე დრო მეტად ნელა იძვრის. ეს სხვებზე უკეთ, ალბათ, ჭეშმარიტ სიცილიელს, სალვატორე კვაზიმოდოს,

მოეხსენებოდა, – სოფოკლესა და ანაკრეონტის უბადლო მთარგმნელს.

პოეტის მამა რკინიგზის თანამშრომელი იყო და, ამის წყალობით, პატარა სალვატორეს სიყმაწვილიდანვე საშუალება ჰქონდა, არაერთგზის გადაესერა სიცილიის გზები და ველები, ქალაქები და სოფლები. ლექსების წერაც მან მეტად ადრე დაიწყო, თუმცა მაინც ოჯახის ტრადიციას უერთგულა და, სირაკუზასა და მესინაში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, პალერმოსა და რომში შეიძინა საინჟინრო-ტექნიკური განათლება. ათი წლის განმავლობაში იგი იტალიის საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროში მსახურობდა და პოეზიისათვის მხოლოდ სამსახურიდან თავისუფალ საათებში თუ გამონახავდა დროს. მაგრამ, მოუცლელობის მიუხედავად, სულ უფრო ხშირად იბეჭდება მისი ლექსები, ლიტერატურული და თეატრალური რეცენზიები, სტატიები, მიმოხილვები, გამოდის პოეტური კრებულები, კრიტიკული ესეები და თარგმანები. ომის კვირაძალში კი პოეტი ახალ სამსახურს და მეტ თავისუფალ დროს მოიპოვებს, – მილანის კონსერვატორიაში იგი იტალიური ლიტერატურის სწავლებას იწყებს. შინ კი გრძელდება დაუცხრომელი ღწვა – პოეტი გაფაციცებით უგდებს ყურს იტალიური ენის გამომხატველობასა და ჟღერადობას, განუწყვეტლივ ეუფლება ძველ და ახალ ენებს, მოწაფური სიბეჯითით უღრმავდება იტალიური და მსოფლიო კულტურის სხვადასხვა შრეებს, იკვლევს, წერს, თარგმნის.

სიცოცხლის ბოლომდე შეუნელებლად იბეჭდება პოეტის თარგმანები, დაუჯერებელი – რაოდენობით, დაუჯერებელი – ღირსებითა და სიზუსტით, გამოდის თარგმანების ოცამდე წიგნი: კვაზიმოდოს დანტესა და არიოსტოს ენაზე გადააქვს ძველი ბერძენი ლირიკოსები და დრამატურგები – ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, ამასთანავე, ოვიდიუსი და ვერგილიუსი, შექსპირი და მოლიერი, სხვადასხვა ერისა და სხვადასხვა ეპოქის პოეტები.

მაგრამ მთავარია ის წვლილი, რაც სალვატორე კვაზიმოდომ მეოცე საუკუნის იტალიური პოეზიის განვითარებაში შეიტანა, – თუ თავდაპირველად მისი პოეზია ჯუზეპე უნგარეტისა და ეუჯენიო მონტალეს გავლენით იყო აღ-

ბეჭდილი, ნელ-ნელა პოეტი ემშვიდობება "ჰერმეტიკულ" მიმართულებას და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისათვის იგი სრულიად ხურავს თავისი შემოქმედების ამ მნიშვნელოვან ეტაპს. ომისშემდგომი პოეტური კრებულები გადანაცვლებაა გახსენებათა სამყაროში: სიცილია თავისი ბერძნული, რომაული, არაბული მემკვიდრეობით, ხმელთაშუა ზღვის "ჰაერი და ცა და წყლის კეთილშობილი ძღვენი", სიყმაწვილის სამოთხე და ფაშისტური რეჟიმის უსამართლობანი, ომისა და გერმანული ოკუპაციის სისასტიკენი და იტალიელთა ბრალის ტკივილი, და კიდევ, სულიერი ფასეულობების, სიყვარულის, ხსოვნის, დროისა და სიშორის მარადიულობა. თანდათანობით სალვატორე კვაზიმოდოს პოეზია სულ უფრო დაწმენდილი და გამჭვირვალე ხდებოდა. პოეტი უკვდავებას უახლოვდებოდა...

1998

66

ჩეზარე პავეზე: შეხვედრა სიკვდილთან, რომელსაც სატრფოს თვალები ჰქონდა

ჩეზარე პავეზე
Cesare Pavese
1908-1950

მეოცე საუკუნის იტალიურ ლიტერატურას არაერთი მშვენიერი და საამაყო სახელი ამშვენებს. საუკუნის მეორე ნახევრის მწერალთა უმრავლესობა, – როგორც ამ პერიოდის იტალიის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისთვისაა ჩვეული, – თუ კომუნისტი არა, ყოველ შემთხვევაში, აშკარად გაცხადებული მემარცხენე ორიენტაციის გამომხატველი იყო. მათ შორისაა ეპოქის ერთი ყველაზე სახელგანთქმული მწერალი ჩეზარე პავეზე, – პოეტი, რომანისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი. სხვათა შორის, მისი შემოქმედების ეს მხარე – მთარგმნელობა – მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო მისი საკუთარი ლიტერატურული განვითარების სწორად გასაგებად, არამედ, ზოგადად, იტალიური კულტურისათვის, რადგან დანტეს სამშობლოში ცოტა ვინმეს თუ უღვაწია იმდენი ამერიკული ლიტერატურის სათარგმნელად და გასავრცელებლად, რამდენიც პავეზეს, – გარდა იმისა, რომ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ბეჭდავდა სტატიებს ამერიკელ მწერალთა და მათი წიგნების შესახებ, რომლებმაც შემდგომში, პავეზეს გარდაცვალების შემდეგ, მოზრდილი წიგნი შეადგინეს, მისი თარგმნილია არაერთი ამერიკელი მწერალი – შერვუდ ანდერსონი და გერტრუდ სტაინი, ჯონ დონ პასოსი და და ერნესტ ჰემინგუეი, უილიამ ფოლკნერი და ჯონ სტაინბეკი. საერთოდაც, მისი პირველი გამოქვეყნებული თარგმანი ჰერმან მელვილის "მობი დიკი" იყო, – რომანი, რომლის გავლენა კარგა ხნის მანძილზე გაჟონავს თავად იტალიელი მწერლის წიგნებშიც.

ჩეზარე პავეზე პატარა იტალიურ ქალაქ სანტო სტეფანო ბელბოში 1908 წლის 9 სექტემბერს დაიბადა, მაგრამ მალე მთელი ოჯახი, – მამამისი მცირე საკუთრების მქონე მოხელი იყო, – ტორინოში გადასახლდა, ქალაქში, სადაც 1950 წლის 27 აგვისტოს პოეტი ორმოცდაერთი წლისა გარდაიცვალა. აქვე მიიღო მან თავდაპირველი განათლება სკოლაში და შემდგომ – უნივერსიტეტში. პავეზე ახალგაზრდობიდანვე სათავეში უდგება ეინაუდის გამომცემლობას და სიკვდილამდე არ ტოვებს მას. სწორედ ამ გამომცემლობაში იწყებს გამოსვლას მისი ანტიფაშისტური ჟურნალი "La cultura", რომლის გამოც 1935 წელს ციხის ცოტა ხნით მას პატიმრობაც კი მოუწევს. სწორედ ციხის ეს გამოცდილება დაედო საფუძვლად პავეზეს რამდენიმე წიგნს, მათ შორის, მის სახელგანთქმულ რომანს "ამხანაგი" (1947).

რომანის გამოქვეყნებამდე კი, ციხიდან გამოსვლის უმალ, იბეჭდება მისი ლირიკული კრებული არალირიკული სახელწოდებით – "მომქანცველი შრომა" (1943). ომის ბოლო წლებში იგი ანტიფაშისტ პარტიზანებს შეურთდება პიემონტის მთებში.

მისი შემოქმედება მაინც ცნობილი და აღიარებული უკვე ომის შემდეგ ხდება, მიუხედავად იმისა, რომ პირველი რომანი 1941 წელს გამოდის – "შენი მიწა", რომელსაც პოეტის სიჭაბუკისდროინდელი მოგონებები უდევს საფუძვლად, – ისევე, როგორც მისი შემდგომი ხანის ნაწარმოებთა უმრავლესობას. სიზუსტით რომ ითქვას, მისი ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა – წერა, ბეჭდვა, გამოცემა – მხოლოდ რამდენიმე წელს გრძელდება: ომის დამთავრებიდან კიდევ ხუთი წელს. მაინც მის საუკეთესო რომანადაა მიჩნეული "მთვარე და კოცონები" (1950), სადაც მთავარი გმირი ეძებს საკუთარ თავს, საკუთარ მეობას, – ძიების ერთადერთ გზად კი იმ ადგილებთან დაბრუნებას ხედავს, სადაც მას სიყმაწვილე გაუტარებია. რომანის გამოცემიდან ცოტა ხნის შემდეგ ტორინოს სასტუმროს ოთახში პოეტი თავს იკლავს.

რამდენიმე წლის შემდეგ იბეჭდება მისი გამოუქვეყნებელი წიგნები, მათ შორის მისი შინაგანი ცხოვრების დღიური – "სიცოცხლის ჩვევა" (1952) და მისი ლირი-

კის საუკეთესო კრებული – "მოვა სიკვდილი და მას შენი თვალები ექნება" (1951), ჩამთავრებული საუკუნის ერთი უმშვენიერესი პოეტური წიგნი.

ჩეზარე პავეზეს ათი დღე დააკლდა თავის დაბადების ორმოცდაორი წლის აღსანიშნავად. პოეტმა თავად მოუხმო სიკვდილს, რომელსაც, მისი რწმენით, სატრფოს თვალები უნდა ჰქონოდა.

2000

67

ჯორჯო ბასანი – ფერარის მწერალი

ჯორჯო ბასანი
Giorgio Bassani
1916-2000

ფერარა იტალიური ქალაქია პადუის დაბლობში. ანტიკური დროიდან ცნობილმა ქალაქმა დაახლოებით მეცამეტე საუკუნის შუაწლებში თავისი ბედი დ'ესტეს არისტოკრატიული გვარის ბედს დაუკავშირა და იმ ხანიდან ნელ-ნელა რენესანსის ერთ-ერთ გამორჩეულ ცენტრად იქცა. რაც შეეხება ქალაქის ლიტერატურულ ისტორიას, სწორედ აქ ცხოვრობდა ლუდოვიკო არიოსტო, რომელმაც 1516 წელს აქ დაბეჭდა თავისი "შეშლილი ორლანდო" და აქვე გარდაიცვალა; საყოველთაოდაა ცნობილი ფერარის ფერწერული სკოლა. აღსანიშნავია, რომ ქალაქში მალე აღმოცენდა ეკონომიკურად და კულტურულად მეტად მნიშვნელოვანი ებრაელთა უბანი.

იტალიელი მწერალი ჯორჯო ბასანი, მართალია, 1916 წლის 4 მარტს ბოლონიაში დაიბადა, მაგრამ მშობლებთან ერთად, 1943 წლამდე ფერარაში ცხოვრობდა, ისევე როგორც მისი ებრაელი წინაპრები, – ქალაქში, რომლის არცთუ შორეული წარსული მწერალმა თავისი შემოქმედების მთავარ თემად აქცია და რომელსაც თავისი ნაწარმოებების ფურცლებზე ახალი სიცოცხლე მიანიჭა. ბასანიმ ფერარაშივე სწავლობდა ლუდოვიკო არიოსტოს სახელობის ლიცეუმში და ამ სკოლის დიპლომით მიაშურა ბოლონიის უნივერსიტეტს, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. ერთი წლის შემდეგ იგი თავის პირველ ნაწარმოებებს აქვეყნებს ჯაკომო მარკის ფსევდონიმით, 1942 წლიდან კი ანტიფაშისტურ მოძრაობაში ჩაებმება, დაქორწინდება და ფლორენციას მიაშურებს, სადაც იძულებულია ყალბ პასპორტს და ყალბ სახელს ამოეფაროს. მოგვიანებით

იგი რომში გადასახლდება, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სცენარისტად და გამომცემლობის რედაქტორად მუშაობს. მის სარედაქციო მოღვაწეობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, ალბათ, ის წუთები იყო, როცა ფელტრინელის გამომცემლობაში თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა და უცნობი ავტორის, ერთი წლით ადრე გარდაცვლილი თავადის, ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზას, მაგიდის უჯრაში მისი შინაურების მიერ აღმოჩენილი რომანის "გეპარდის" კითხვას შეუდგა. ჯორჯო ბასანის ეკუთვნის იტალიური ლიტერატურის ამ უბრწყინვალესი ნიმუშის აღმოჩენის, რედაქტირებისა და გამოცემის პატივი, – პატივი, რომელშიაც, შესაძლოა, მას მხოლოდ ლუკინო ვისკონტი გაეჯიბროს, რომელმაც მალე გახმაურებული ფილმი შექმნა ამ რომანის საფუძველზე.

მოგვიანებით ჯორჯო ბასანი თავისუფალი მწერლის ცხოვრებას ირჩევს და დაუღლელად აგრძელებს შემოქმედებითს მოღვაწეობას.

თავდაპირველად იგი ლექსებს წერდა: მეოცე საუკუნის იტალიური ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაა აღიარებული მისი პოეტური კრებული "ღარიბ შეყვარებულთა ამბები", მაგრამ უკვე რამდენიმე ათწლეულია, იგი ძირითადად პროზაულ და ესეისტურ ტექსტებს ბეჭდავს, საერთაშორისო სახელიც მას, პირველ ყოვლისა, ნოველებმა და რომანებმა მოუტანა. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მისი წიგნი სხვადასხვა პრემიებით აღინიშნა, მთელი შემოქმედებისათვის კი მან ნელი ზაქსის საერთაშორისო პრემია მოიპოვა.

როგორც ითქვა, ბასანი ბოლონიაში დაიბადა და იქაურ უნივერსიტეტში სწავლობდა, ცხოვრობდა ფლორენციასა და რომში, მაგრამ თითქმის მთელი მისი შემოქმედების გარემო ფერარასთანაა დაკავშირებული. აქ ვითარდება მოქმედება მის პირველ პროზაულ ნაწარმოებში "ქალაქი დაბლობში", ფერარის ცხოვრებას აღწერს მისი დიდი ციკლი "ფერარის ამბები", მისი ყველაზე ცნობილი რომანი "ფინცი-კონტინის ბაღი", ბოლო რომანები: "წერო" და "თივის სუნი". ბასანის შემოქმედებაში თემატურად აშკარად გაირჩევა რამდენიმე კონცენტრული წრე. თხრობის ცენტრში ყოველთვის თავად ავტორია, რომელიც ამბის

მთხრობელად გვევლინება და რომელიც ხან პატარა ბიჭია შეძლებული ებრაული ოჯახიდან, ხან კი – ბოლონიის უნივერსიტეტის სტუდენტი. შემდეგ წრეში იტალიელ ებრაელთა ოჯახების ცხოვრებაა ასახული, ხოლო მესამე და უკანასკნელ წრეში არეკლილია ფერარის შემოგარენი, პადუის დაბლობი მარილიანი ტბებითა და იქვე ახლოს მყოფი ადრიატიკის სანაპიროთი. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ ირგვლივ სხვა მხარეები და სხვა ქვეყნები არც არსებობს, – არსებობს ოდენ ისტორია მობრუნებებითა და ფერისცვალებებით. ბასანისეულ ტექსტებში იშვიათად თუ შემოაბიჯებს პერსონაჟი შორეთიდან, მით უმეტეს, უცხოელი და, ამის მიუხედავად, ფაქტობრივ, მისი შემოქმედების ერთადერთ, უცვლელ და უმთავრეს თემად რჩება უცხო, – რომლად ქცევად გარდაუვალია მისთვის, ვინც ვერ ახერხებს თავისი საკუთარი მეობის მიღებას ან სხვებს აძლევს უფლებას, წაართვან მას ეს მეობა. რაკი მის ნაწარმოებთა მთავარი გმირი – და ხშირად მთხრობელიც – უმთავრესად თავად ავტორია ხოლმე, და რაკი იგი ამ დროს ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, მას აუცილებლად უხდება თავის ცხოვრებას იმგვარი წყობა მიანიჭოს, რომელიც გადამწყვეტი იქნება მომავალში, და კიდევ, აირჩიოს დანიშნულება, რომელიც მის ცხოვრებას საზრისს შესძენს. სწორედ ამ დროს უწევს გმირს, გაიგოს, შეიმეცნოს, საკუთრივ რას წარმოადგენს იგი, ვინ არის იგი და გადაწყვიტოს, შეძლებს თუ არა შეინარჩუნოს ის ვინაობა, რაც მას ერგო წილად. ბასანის ნაწარმოებებში ცხოვრებისაგან შემოთავაზებული როლი ყოველთვის არ ეთანხმება პირად მისწრაფებას, ცხოვრების პირადულ გაგებას. ამ შემთხვევაში პერსონაჟი იმ უფსკრულის წინაშე აღმოჩნდება, რომელიც პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების გახლეჩის შედეგად გაჩნდება, ხოლო ამ დრამატული გარდატეხის შედეგად იგი ხშირად კარგავს ხოლმე თავის მეობას.

ბასანის საუკეთესო ნოველა ან, უფრო ზუსტად, მოკლე რომანი "ოქროს სათვალე" 1958 წელს დაიბეჭდა, მაგრამ შემდგომში ის მწერალმა, რამდენჯერმე გადამუშავების შემდეგ, 1974 წელს "ფერარულ ამბებში" ჩართო, – რომანების, მოთხრობებისა და ნოველების იმ ციკლში, რომ-

ლის მოცულობა წლების განმავლობაში ფართოვდება და რომელიც თემატურად ფერარის საზოგადოების სხვადასხვა ფენებთანაა დაკავშირებული. "ოქროს სათვალე" ოსტატურად მოთხრობილი ამბავია ექიმ ათოს ფადიგატის შესახებ, რომელიც ცხვირ-ყელ-ყურის დაავადებებს მკურნალობს და რომელსაც თავის ქალაქში მეტად დიდი ავტორიტეტი და შეძლება მოუპოვებია. ოქროსსათვალიანი ექიმის ტრაგიკული ბედი, რომელიც თავისი ნამდვილი, არაყალბი ცხოვრების განხორციელების მცდელობისათვის საზოგადოებისაგან მკაცრად დაისჯება, მჭიდროდ ეჯაჭვება ებრაელთა ბედს ფერარაში და, საერთოდ, იტალიაში. ნოველის მოქმედება 1937 წელს ხდება, როცა იტალიურმა ფაშიზმმა უკვე დაიწყო მზადება რასობრივი კანონების ხორცშესასხმელად, რომელთაც ადრე მტკიცედ ემიჯნებოდა ბენიტო მუსოლინი. ეს წელი საბედისწერო ხდება არა მარტო იმ ადამიანისთვის, რომელიც თავისი ქცევითა და არჩევანით განსხვავდება უმრავლესობისაგან, არამედ იტალიელ ებრაელთათვისაც, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იმდენად ასიმილირებულნი იყვნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომ თავდაპირველად – ანტიებრაული კამპანიის დაწყებისას – ვერც კათოლიკე და ვერც ებრაელი იტალიელები ვერ ხვდებოდნენ, თუ რას მოითხოვდნენ მათგან.

ექიმი ფადიგატი კეთილდღეობასა და უხიფათო ცხოვრებაში იყო ჩაფლული, მაგრამ მანამ, ვიდრე გარშემომყოფებმა ყურადღება არ მიაქციეს, რომ "ლოენგრინითა" და თანამედროვე მხატვრობით გატაცებული ექიმი ბურჟუაზიული კოდექსის ზოგიერთ ნორმას არღვევს: შეძლებული და პატივდებული მოქალაქე აქამდე არ მოჰკიდებია ოჯახს, საზოგადოებრივად თანაბარ საფეხურზე მდგომ ადამიანებს გაურბის, კინოში არ ჯდება იმ ლოჟებში, რომელიც მისი წონისა და ავტორიტეტის ადამიანს შეჰფერის. თუმცა თვით ხმებსაც კი მისი ფარული თავგადასავლების შესახებ არ შეუცვლია გარემომცველთა დამოკიდებულება, სანამ თავად არ გადაწყვიტა, გადაელახა უფსკრული საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას შორის, სანამ ის არჩევანი არ გააკეთა, რომ შეუძლია იცხოვროს საკუთარი ცხოვრებით, რომელიც ნამდვილად

მხოლოდ მას ეკუთვნის, ხოლო გარშემომყოფთაგან – არავის სხვას. სწორედ მაშინ, როცა ექიმი თავისი ეროტიკული ორიენტაციის შესახებ საჯაროდ განაცხადებს, იტალიის სახელმწიფო მანქანა ემზადება იმისათვის, რათა თავიანთი მეობა წაართვას მათ, ვინც აქამდე დაცული იყვნენ როგორც სახელმწიფოებრივი კანონებით, ისე ბურჟუაზიული ზნეობრივი კოდექსის პარაგრაფებით. რა სობრივი კანონები, გამიზნული ებრაული მოსახლეობის წინააღმდეგ, მთხრობელს – უნივერსიტეტის სტუდენტს – იმგვარსავე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებს, როგორშიც ფადიგატი იმყოფება, – ორივე განსხვავებულნი აღმოჩნდებიან, გარიყულნი საზოგადოებიდან. თუ ერთს ბუნებამ უმუხთლა, მეორე ისტორიისაგან აღმოჩნდა განწირული. ექიმიცა და მთხრობელიც მოთხრობის ბოლო დროებას, მაგრამ მეორე დღეს ფადიგატი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, ახალგაზრდა სტუდენტი კი თავის მოკვეთილობაში ახალ სამყოფელს, ახალ სამშობლოს აღმოაჩენს, რაც სიტუაციიდან ოდენ ფსიქოლოგიურ გამოსავალს მოაპოვებინებს, მაგრამ ექსისტენციალური კითხვა ისევ კითხვად რჩება...

ბასანის მეტად მგრძნობარე დამოკიდებულება ადამიანური ყოფნის მიმართ კამიუსეულ კითხვას უახლოვდება: ღირს თუ არა ცხოვრება იმად, რომ ადამიანმა იცხოვროს? ბასანის მთელი შემოქმედება ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა. ამბები, რომელთაც მწერალი მოგვითხრობდა საკუთარი მეობის პოვნისა და დაკარგვის ხლართების შესახებ – დღევანდელ გარემოში, შესაძლოა, სხვაგვარ სახესა და განზომილებას იძენს, მაგრამ კითხვები, რომელსაც ჭეშმარიტი ლიტერატურა განუწყვეტლივ წამოჭრის, ისევ ძნელად საპასუხოდ რჩება.

1996

68

უმბერტო ეკოს მიუწვდომელი კუნძული

უმბერტო ეკო
Umberto Eco
*1932

როგორც ამბობენ, უმბერტო ეკოს რომანს "გუშინდელი დღის კუნძულს" წინასწარვე ელოდა გარდაუვალი წარმატება და ეს იმთავითვე დაგეგმილი იყო, ერთი მხრივ, ავტორის, ხოლო, მეორე მხრივ, საგამომცემლო-კომერციულ ორგანიზაციათა მიერ. მწერალი რომანის შუაგზამდეც არ იყო მისული, როცა ინტერვიუებში, მიმოხილვებში, საგამომცემლო გეგმებში მომავალი ქმნილების სახელმა დაიწყო გამოკრთობა. ეკოს პორტრეტები სხვადასხვა გაზეთებში იბეჭდებოდა, რომელზეც მყვინთავებისათვის ჩვეული მსგავსი სათვალით აღჭურვილი პროფესორი წყნარი ოკეანის ნაპირას, ფიჯიზე, იყო ხოლმე აღბეჭდილი, სადაც იგი შთაგონების მოლოდინში ერთხანს თავის განუშორებელ წვერსაც კი შეელია. ყოველ შემთხვევაში, მწერალი დროსა და ძალას არ ინანებდა, ჟურნალისტებთან საათობით მჯდარიყო და თავისი მომავალი რომანის შესახებ ესაუბრა.

* * *

იტალიელი მწერლისა და კულტურის მკვლევრის, უმბერტო ეკოს, მოზრდილი შემოქმედებითი ნაღვაწი მოიცავს სოლიდურ და აღიარებულ გამოკვლევებს სემიოტიკის, ლიტერატურისმცოდნეობის, ჰერმენევტიკის, შუა საუკუნეთა ესთეტიკის, ენის ფილოსოფიის სფეროებში. მაგრამ პოპულარობა და ფინანსური შეძლება ეკოს მისი რომანების წყებამ მოუტანა. "გუშინდელი დღის კუნძულს" (1994) საკმაოდ გახმაურებული "ფუკოს ქანქარა"

(1988) უძღოდა წინ, მის პირველ რომანს "ვარდის სახელს" (1980) კი ბესტსელერის ბედი ხვდა წილად, – აქედან გამომდინარე ყველა შედეგით: მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე თარგმანებით, განუწყვეტელი ტირაჟირებით, ეკრანიზაციით, საბანკო წიგნაკში ანგარიშის ყოველდღიური ზრდით. დღეს მწერალი არც მალავს თავის კმაყოფილებას ნივთიერი კეთილდღეობის მოპოვების გამო, მაგრამ ამას მორცხვად იმით ხსნის, რომ მხოლოდ ახლა მიეცა საშუალება, ნებისმიერი წიგნი შეუკვეთოს და შეიძინოს, ეს კი მისთვის არსებითი საკითხია, რადგან ეკო ნამდვილად გამორჩეული მწიგნობარი და წიგნების მოყვარულია. ერთხელ მან თქვა კიდეც, რომ წიგნების ნამდვილი მოყვარული სულაც არაა ვალდებული, ყველა წიგნი წაიკითხოს, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ესა და ეს წიგნი მის განკარგულებაშია, – თუნდაც მომავლისათვის.

ეკოს მეცნიერულმა პროფესიულობამ, შესაძლოა, განაპირობა ისიც, რომ "ვარდის სახელი" წარმტაც საკითხავად იქცა არა მარტო მათთვის, ვისაც ცხოვრებაში დეტექტივების ან სადგურის კიოსკებში გამოფენილი სასიყვარულო რომანების მეტი არაფერი წაუკითხავს, არამედ იმათთვისაც, ვინც თავისი ცხოვრება პლატონის, ავგუსტინეს ან თომა აკვინელის კითხვას მიუძღვნა. მკითხველის დამფრთხობი საშიშროება იქ იმალებოდა, სადაც რომანის მრავალფურცლიანი მსჯელობები იწყება საღმრთისმეტყველო-ფილოსოფიურ-ისტორიულ საკითხებზე, რადგან მათთვის, ვინც ამ თემატიკაში ზიარებულად მიიჩნევდა თავს, შესაძლოა, ეს ფურცლები არაფრისმთქმელი აღმოჩენილიყო, ისევე როგორც მათთვის, ვინც ამ პრობლემებს შორეულადაც არ იყო გაცნობილი; თუ პირველთათვის ეს თეორიული გადახვევები უფრო სოლიდური გამოკვლევებიდან იყო კარგად ცნობილი, მეორეთათვის, მოსალოდნელია, სრულიად უინტერესო აღმოჩენილიყო. მაგრამ "ვარდის სახელის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს დაბრკოლება მეტად თუ ნაკლებად ტექსტში დაძლეულია. სამწუხაროდ, ძნელია იგივე ითქვას ბოლო რომანზე, სადაც საბუნებისმეტყველო ცოდნის დიდი სიფართოვეა გამოვლენილი, მაგრამ მკითხველს

– მით უმეტეს, არასპეციალისტს – ეს მონაკვეთები ვერც დიდ შემეცნებით და ვერც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. ხუთასგვერდიანი წიგნი, რომლის ფურცლები ამგვარი ხასიათის საგანგებო ინფორმაციითაა აღსავსე, ჩვეულებრივი მოკვდავისათვის, საერთოდ, გაგების ზღვარს მიღმა აღმოჩნდა (სხვათა შორის, თომას მანიც, რომელიც თითქმის ყველა თემისა და სფეროს მოთოკვას ახერხებდა მხატვრული სტრუქტურის ჩარჩოებში, ლამის დაუძლეველი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა, როცა საბუნებისმეტყველო-პალეონტოლოგიური ცოდნის მხატვრულ ქსოვილად გადაქცევა გადაწყვიტა თავის ბოლო რომანში "ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებანი").

ძირითადი განსხვავება ეკოს პირველსა და ჯერჯერობით უკანასკნელ რომანს შორის მაინც ისაა, რომ "ვარდის სახელში" რომანის ფაბულური საფუძველი – დეტექტიური ინტრიგა განუწყვეტელი დაძაბულობით მუხტავს წიგნს, რისი მიღწევა ამ ახალ რომანში ძნელი აღმოჩნდა. თავად ამბავი, თავგადასავალი ამჯერად სულის სფეროშია გადატანილი: გუშინდელი დღის კუნძული არა იმდენად კონკრეტული გეოგრაფიული სივრცეა, რამდენადაც ჭეშმარიტებისა და ცხოვრების არსის მეტაფორა.

უმბერტო ეკოს ახალი რომანი კომპოზიციურად აგებულია წერილების, შენიშვნებისა და ჩანაწერების საფუძველზე, რომლებიც მთავარ გმირს ეკუთვნის – რობერტო დელა გრივე ოცდაათწლიანი ომის წყალობით პარიზში აღმოჩნდა, იმ წრეში, რომელიც ანტიკლერიკალურად, ანტიეკლესიურად იყო განწყობილი. ისიც აღსანიშნავია, რომ თუ "ვარდის სახელის" მოქმედება შუა საუკუნეების მძაფრი რელიგიურ-ფილოსოფიური კონფლიქტების ფონზე ვითარდება, ახლახან გამოქვეყნებული რომანის მოქმედება თანამედროვე მკითხველთან უფრო ახლოსაა გადმოტანილი – მეჩვიდმეტე საუკუნეში, იმ საუკუნეში, რომელიც ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვით იწყება და რომელიც განმანათლებლობის ანტიეკლესიურ-ანტირელიგიური მოძრაობის ჩასახვით მთავრდება.

ახალგაზრდა პიემონტელის, რობერტო დელა გრივეს, განსაკუთრებული აქტიურობით აფორიაქდება მეტად გავლენიანი და ძალმოსილი კარდინალი მაზარინიც, რომე-

ლიც მას ამგვარ არჩევანს სთავაზობს: ან სასიკვდილო განაჩენისათვის მოემზადოს, ან მეტად საპასუხისმგებლო მოგზაურობას დასთანხმდეს. ეს საპასუხისმგებლო მოგზაურობა გარეგნულად საზღვაო ექსპედიციას ნიშნავს, რომელსაც მიზნად აქვს, ჩასწვდეს ეგრეთ წოდებული "საყრდენი წერტილის", ანუ 180-ე მერიდიანის საიდუმლოს (სინამდვილეში კი ჭაბუკი გრივე ჰოლანდიურ ხომალდს ჯაშუშად უნდა დაემგზავროს და ამოიცნოს დოქტორ ბირდის იდუმალებით მოცული ეგრეთ წოდებული "სიმპათიკური ფხვნილის" რაობა). მაგრამ გემი სადღაც სამხრეთის ზღვებში, დაახლოებით სოლომონის კუნძულების ახლოს დაიმსხვრევა, გემზე მყოფთაგან კი ერთადერთი ადამიანი გადარჩება – რობერტო. მაგრამ იგი თავს შეაფარებს არა უკაცრიელ კუნძულს, როგორც შეჰშვენის სათავგადასავლო ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებს, არამედ ერთ უკაცრიელ გემს, რომელიც მარტოდმარტო დაცურავს ახლომყოფი კუნძულის ახლოს. უცნაური ისაა, რომ ეს კუნძული ხელმისაწვდომ მანძილზე ჩანს, მაგრამ მასთან მიახლოება შეუძლებელია მისი გარემომცველი მარჯნის რიფების გამო, თუმცა ეს არაა გადამწყვეტი: მთავარი ისაა, რომ იქ გადის დროის საზღვარი და თავად ეს მარტოხელა გემი წარღვნის საიდუმლოს გასაღებს წარმოადგენს.

ამგვარია რომანის ფაბულა, მაგრამ ნაწარმოების დასასრულში თავად გმირი ფაქტების საუფლოდან რომანის საუფლოში გადადის და იწყებს თავისი ორეულის თავგადასავლის თხზვას, რათა მიკერძოება გამორიცხოს და საკუთარი ცხოვრების ამოცანა ამოხსნას. მწერლის ეს სვლა ეკოს რომანის კონსტრუქციას კიდევ უფრო ართულებს, რომელსაც ისეც რამდენიმე დროითი ნაკადი მსჭვალავს.

მაგრამ ყოველივე ის, რაც ფაბულის შესახებ ითქვა, მხოლოდ თხრობის საფუძველს წარმოადგენს, თორემ მასში მწერალი ხშირად ჩაურთავს ხოლმე სხვადასხვა არათანაბარმნიშვნელოვან ეპიზოდებს (განსაკუთრებით რობერტოს წარსულიდან) და, რაც მთავარია, მსჯელობებს სამეცნიერო თემებზე, რომელთა დანიშნულება, ავტორის შეხედულებით, ისაა, რომ მკითხველი XVII საუკუნის მეორე ნახევრის ინტელექტუალური ცხოვრების

ხლართებში ჩაახედოს. ნაწარმოების ფურცლებზე დახატულია ომები და ლიბერტინთა – თავისუფლადმოაზროვნეთა სალონები, სადაც ახალგაზრდა პასკალიც გაკრთება; ასახულია მეცნიერება, რომელიც შთაგონებული იყო არა მარტო დეკარტული რაციონალიზმით, არამედ რენესანსული სიმბოლიზმითა და მაგიითაც, რომელიც სამყაროს აღიქვამდა როგორც დაშიფრულ წიგნს; რომანში არეკლილია ბაროკული მანიერიზმი და მოთავსებულია ტრაქტატი რომაელთა შესახებ, როგორც ნამდვილ პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებს შეჰფერის; გვხვდება, რა თქმა უნდა, უთვალავი ციტატა, – "სამი მუშკეტერიდანაც" კი. უმბერტო ეკოს რომანი ხან არქივს მოგვაგონებს, ხან – ენციკლოპედიას, ხან – უცნაურობათა ბაროკულ კაბინეტს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ "გუშინდელი დღის კუნძულს" გამჭოლი, ერთიანი ლოგიკა არ გააჩნდეს. შემთხვევითი არაა ეპოქის არჩევაც: ამ საუკუნეში, ესპანელების დამარცხების შემდეგ, ევროპაში წამყვან ადგილს საფრანგეთი იკავებს, მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ სწორედ ამ ეპოქაში ეყრება საფუძველი იმას, რასაც "ახალ დროს" ვუწოდებთ და საიდანაც იღებს დასაბამს თანამედროვე სამყაროს კონფლიქტები. ამ დროს ჯერ კიდევ იქმნება გვიანდელი სქოლასტიკის ბრწყინვალე ნიმუშები და, ამავე დროს, საფუძველი ეყრება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. მაგრამ როცა ეკო მეჩვიდმეტე საუკუნის შუაწლების ევროპას წარმოადგენს, ის იმ ეპოქის ტეხილებისა და კრიზისების ანარეკლიცაა, რომელშიაც ჩვენ გვიწევს ცხოვრება. შესაძლოა, ამ აქტუალობაშია ეკოს ახალი რომანის მთავარი ღირსება, – განსხვავებით "ფუკოს ქანქარისაგან". მაგრამ ის მაინც ჩამორჩება მწერლის, შესაძლოა, საუკეთესო წიგნს – "ვარდის სახელი": მხოლოდ აქ შეძლო მწერალმა და პროფესორმა თავისი უზარმაზარი განათლება ნაწარმოების მხატვრული განვითარებისათვის დაექვემდებარებინა. ერთმა ენამახვილმა კრიტიკოსმა ირონიულად ისიც კი თქვა, რომ თხრობას ეკოს ბოლო ორ რომანში ის დანიშნულება დარჩა, რომ ერთი საენციკლოპედიო სტატია მეორესთან რამე ხიდით შეაერთოს.

ნაწარმოების ბოლო გვერდებზე რობერტო დელა გრივე ბევრ რასმე სხვაგვარად შეხედავს, რის შედეგადაც

მას არაერთ მანამდე გაუცნობიერებელ მოვლენაზე აეხილება თვალი: იგი დარწმუნდება ადამიანის ექსისტენციალურ მარტოობაში, როცა კიდევ ერთი დაღუპული გემიდან გადარჩენილ იეზუიტს გადაეყრება. თითქოს იწყება რობინზონისა და პარასკევას ჰარმონია, მაგრამ ეს შესაძლებლობაც უჩინარდება. რობერტო იხსენებს თავის ადრეულ ტრფობას, რომელიც შემეცნების ერთ უმთავრეს გზად მიაჩნია, მაგრამ ესეც მხოლოდ გამქრალი მოგონებაა. იდუმალი კუნძული კი, რომელიც ასე ახლოს და ასე ხელშესახებად ჩანს, "ფატა მორგანა" აღმოჩნდება, რომლის მიღწევა შეუძლებელი ხდება დროითი საზღვრების დაუძლეველობის გამო. როცა საბოლოოდ თავად რომანის გმირი იწყებს წერას, მისი ჩანაფიქრის აზრი ნათელია: ოპტიკა მაცდური ყოფილა, ასტროლოგია ცრურწმენას აძლიერებს, ფილოსოფია განწირულია რელიგიასთან დაუსრულებული ქიშპისათვის, ხოლო რომანის ბედი ახალი სამყაროს აღმოჩენა ყოფილა. მართალია, ეს სამყარო შეთხზული და წარმოსახვითია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მასში ცხოვრობს ავტორი და ცხოვრობს თავის გმირებში მაშინაც კი, როცა თავად ამ წუთისოფელს დატოვებს.

ასე იქცევა ეკოს ბოლო რომანი რომანისტიკის აპოლოგიად. რომანი, როგორც ჟანრი, სწორედ მეჩვიდმეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა, რომლის ერთ-ერთი ბოლო გამორჩეული ნიმუში უმბერტო ეკოს ბოლო ნაწარმოებია – "გუშინდელი დღის კუნძული".

1996

ვინც ესპანურად წერდა

მიგელ დე სერვანტესი
ტირსო დე მოლინა
პედრო კალდერონ დე ლა ბარკა
მიგელ დე უნამუნო
ანტონიო მაჩადო
გაბრიელა მისტრალი
ფედერიკო გარსია ლორკა
ხორხე ლუის ბორხესი
ხულიო კორტასარი

69

სერვანტესიდან დონ კიხოტამდე

მიგელ დე სერვანტეს საავედრა
Miguel de Cervantes Saavedra
1547-1616

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, სამოცდარვა წლის მიგელ დე სერვანტეს საავედრამ, დაუძლურებულმა და გატეხილმა, ცალხელგამხმარმა და მზერადასუსტებულმა, თავისი სატრფიალო რომანის "პერსილესისა და სეხისმუნდას მოგზაურობის" დამამთავრებელი სტრიქონები ფურცელზე ჩაწერა და ხელნაწერი დახურა. მომაკვდავი მწერალი დარწმუნებული იყო, რომ ეს მისი საუკეთესო ქმნილება იყო, ამიტომაც ნაწარმოების დამთავრება მას ამ სოფელს შინაგანი სიმშვიდისა და შემოქმედებითი კმაყოფილების გრძნობით ატოვებინებდა. თუმცა ამ წიგნის გარდა, მას უკან ჰქონდა მოტოვებული პასტორალური რომანი "გალატეა", "სანიმუშო მოთხრობების" კრებული, დრამები, ლექსები და პოემები, დაწერილი იყო "მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელის" ორი წიგნი, – ნაწარმოები, რომლის შესახებაც სამი საუკუნის შემდეგ ლევ ტოლსტოიმ თქვა, რომ როცა ისტორიის გასრულებისას ღმერთი ადამიანს მოჰკითხავს, თუ რის გასაკეთებლად, რის შესაქმნელად გამოიყენა მან მინიჭებული თავისუფლება, კაცობრიობას თამამად შეუძლია სამყაროს შემოქმედს წინ "დონ კიხოტი" დაუდოს და ადამიანის არსებობა გამართლებულად იქნება მიჩნეული... როდესაც, 1616 წლის აპრილის მიწურულს, სერვანტესი კვდებოდა, "დონ კიხოტი" უკვე თექვსმეტჯერ იყო გამოცემული, დაბეჭდილი იყო რომანის ინგლისური და ფრანგული თარგმანები, ასობით ცალი გადატანილი იყო ოკეანის გაღმა – ამერიკაში. ღატაკი და უპოვარი მწერალი კი ფრანცისკელთა სამონასტრო სასაფლაოზე და-

მარხვეს, საძმოს ხარჯით, რადგან მის ახლობლებს მიცვალებულის გასასტუმრებელი ფული არ აღმოაჩნდათ.

გაღარიბებული ესპანელი იდალგოს, როდრიგო დე სერვანტეს საავედრას, მეოთხე ვაჟი, მიგელი, 1547 წლის 9 ოქტომბერს რომ მოუნათლავთ, ეს უეჭველადაა დადასტურებული, დაბადებით კი, როგორც ჩანს, იგი წმიდა მიხეილის – სან მიგელის – დღეს დაბადებულა, ანუ 29 სექტემბერს. მისი შემდეგი ხსენება კი საბუთებში – ოცი წლის შემდეგ – იმ პოეტურ კრებულში გვხვდება, რომელიც ფილიპე მეორის გარდაცვლილი მეუღლის, იზაბელ ვალუას, ხსოვნას მიეძღვნა. კრებულში მოთავსებული ლექსები ჭაბუკ სერვანტესს იუზუიტური კოლეგიუმის სახელით დაუწერია, იმ მშობლიური კოლეგიუმისა, სადაც ხელმოკლე აზნაურისშვილს ძირითადი სწავლა-განათლება მიუღია, – ძირითადი იმიტომ, რომ შემდგომში მას დიდი სურვილი არ გამოუჩენია ან სისტემური ცოდნა შეეძინა, ან ბოლომდე გაესრულებინა დაწყებული საუნივერსიტეტო მეცადინეობები. ცხოვრებისა და ხელოვნების დასანახად, გასაგებად, გასააზრებლად მან იტალიას მიაშურა, სადაც იგი კარდინალ ჯულიო აკვავივას კარზე იწყებს სამსახურს.

მაგრამ მალე იგი სამხედრო ყოფას არჩევს და ნეაპოლში განლაგებულ ესპანურ ინფანტერიაში ჯარისკაცად ჩაეწერება. ხმელთაშუა ზღვაში თურქებთან გამართულ ბრძოლას კი – ლეპანტოს ბრძოლას – სერვანტესი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაიხსენებს: სიამაყით – რაზმის მეთაურობისას გამოჩენილი სიმამაცის გამო და სინანულით – მარცხენა ხელის სამუდამო გაუქმების გამო. საზღვაო ბრძოლა-ნაოსნობანი ესპანელი იდალგოსათვის სავალალოდ დასრულდა – 1575 წელს იგი უკვე შინისაკენ მოეშურებოდა, როცა ზღვებზე მოთარეშე კორსარებმა, მეკობრეებმა, იგი ძმასთან ერთად დატყვევეს და ალჟირში ქრისტიან ტყვეთა ბაზრობაზე მავრებს მიჰყიდეს. მიუხედავად იმისა, რომ სერვანტესი რამდენჯერმე ჩაუდგა სათავეში ტყვეთა აჯანყებას თუ გაქცევის მცდელობას, ხუთი წლის განმავლობაში იგი არა მარტო სიკვდილით დასჯას გადაურჩა, არამედ რამენაირ სასტიკ სასჯელსაც კი. ერთ-ერთი ნაოსნობისას სტამბოლში იგი თავის მუსლიმ პატრონს, ჰასან ფაშასაც კი ახლდა, მის

სახლობასთან ერთად. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მას ბედმა იმით გაუღიმა, რომ ჯიბეში მეტად ანგარიშგასაწევი პიროვნებების სარეკომენდაციო ბარათები აღმოაჩნდა, მაგრამ სწორედ ამ ბარათებმა აფიქრებინა მის მყიდველებს-გადამყიდველებს, რომ სერვანტესი თავად ეკუთვნოდა დიდგვაროვანთა წრეს და მის გამოსასყიდად უზარმაზარი თანხა მოითხოვეს. მას შემდეგ, რაც ოჯახმა დიდი წვალებითა და გაჭირვებით ფული შეაგროვა და უფროსი სერვანტესი, როდრიგო, გამოისყიდა, ჯერი – სამი წლის შემდეგ – უმცროსზეც მიდგა და "დონ კიხოტის" მომავალმა ავტორმა 1580 წლის სექტემბერში, ხუთწლიანი ტყვეობის შემდეგ, 500 ოქროს ესკუდოს ფასად თავისუფლება მოიპოვა.

ესპანეთში დაბრუნებამ სერვანტესს თავისუფლების ბედნიერი განცდა მოუტანა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მშვიდ, შეძლებულ და უზრუნველ ცხოვრებას არ ნიშნავდა.

ტყვეობიდან შინ დაბრუნებული მიგელ დე სერვანტესი გაღატაკებული ოჯახის მეტისმეტი მომჭირნეობის პირისპირ აღმოჩნდა, მისი საბრძოლო დამსახურებები კი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, აღარავის ახსოვდა. ამ გარემოებათა გამო იგი იძულებული გახდა, დროებითი, არამყარი და დაბალშემოსავლიანი სამოხელეო სამსახურები ეცვალა, სანამ რამე მყარს მოიპოვებდა. მყარი და სანდო უეჭველად ლიტერატურული საქმიანობა იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, არა ფინანსურად, – მხოლოდ მარადისობის თვალსაზრისით. სწორედ ამ დროს იწყება სერვანტესის სამწერლო მოღვაწეობა, ამ დროს ქვეყნდება მისი პირველი რომანის – "გალატეას" პირველი (და ერთადერთი) ტომი, ნოველები, პიესები, ლექსები. ამ ხანებში მას სატრფოც გაუჩენია – მსახიობის ცოლი ანა ფრანკა დე როხასი, რომელთანაც თავისი ერთადერთი პირმშო – ქალიშვილი იზაბელი შესძენია. 1584 წლის მიწურულს იგი ქორწინდება თავისზე 18 წლით უმცროს კატალინა დე სალაზარზე, რომელსაც მზითვად მადრიდის ახლოს სახლი და პატარა მამული ჰრგებია. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე აღმოჩნდა, რომ მეუღლის უღელი სერვანტისათვის მძიმე სატვირთველი

ყოფილა და ორმოცი წლის მწერალმა ერთხელ და სამუდამოდ მიატოვა ცოლი, სახლი, ოჯახური სიმყუდროვე: სიცოცხლის ბოლომდე მას ელოდა მოხეტიალე ცხოვრება, ესპანეთის გზების იქეთ-აქეთ გადასერვა, ჭერისა და ცხელი კერძის განუწყვეტელი ძიება.

მალე იგი სევილიაში აღმოჩნდა, სადაც ესპანური არმადისათვის სურსათის შემგროვებელ კომისრად იწყებს სამსახურს, – სამსახურს უმადურს, მძიმეს, სახიფათოს, – სახიფათოს იმდენად, რამდენადაც მას შეტაკებები უხდება გლეხებთან, რომლებიც უარს ამბობენ, დათმონ ჭირნახული; კოტრდება თითქმის ყველა ის ბანკი, სადაც მას სახელმწიფო ფული ჰქონდა მიბარებული; ადგილობრივი ეპისკოპოსი მას ეკლესიიდან განკვეთს, რადგან საეკლესიო ხორბლის ჩამორთმევას გაბედავს; – სახიფათოს იმდენად, რამდენადაც იგი ფინანსური შეცდომებისა და გაუგებრობების გამო ორჯერ ციხეშიც კი მოხვდება (ციხეში მას შემდგომში კიდევ ერთხელ მოუწევს ჩაჯდომა, როცა მის ორ დასთან, დისშვილსა და საკუთარ ქალიშვილთან ერთად მეზობელი დიდებულის მკვლელობა დაბრალდება).

მაგრამ ციხეში უკვე მეორედ აღმოჩენილი მიგელ დე სერვანტესი იქ ახალი მოთხრობის წერას შეუდგება, – სახუმარო მოთხრობისა, რომლის მთავარი გმირია ჭკუაშერყეული ღარიბი იდალგო ალონსო კიხანა, სარაინდო რომანებში აღწერილ ამბებს სინამდვილედ რომ წარმოიდგენს და, მათი მაგალითით აღფრთოვანებული და აღტაცებული, თავადაც გადაწყვეტს, ჩაგრულთა დასაცავად და სამართლიანობის აღსადგენად ძალა და ღონე არ დაიშუროს.

თუმცა სერვანტესს იმჯერად დიდხანს არ მოუხდა პატიმრობა – იგი ციხიდან მალე გამოდის და თავის დებთან ვალადოლიდში დასახლდება, შემდგომში კი საცხოვრებლად გადადის მადრიდში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დარჩება. 60 წელს მიტანებული, იგი ფრანცისკელთა ორდენში შედის და თავის თავზე იღებს ტერციარის პასუხისმგებლობას, მაგრამ სხვაც ბევრი შეიცვლება ამ ქვეყნად: პატიმრობისას დაწყებული მომცრო მოთხრობა – ორნაწილიან მოზრდილ რომანად გადაიქცევა

(რომლის დაწერასაც ლამის ორი ათეული წელი დასჭირდება), აზნაური ალონსო კიხანა – დონ კიხოტ ლამანჩელად, ძვალგამხმარ როსინანტზე ამხედრებული მწუხარე სახის რაინდი კი – მსოფლიო ლიტერატურის, შესაძლოა, ყველაზე კეთილშობილ და ყველაზე უანგარო გმირად, – იმ გმირად, რომელსაც სწამდა, რომ ღირსეულმა ადამიანმა სიკეთისათვის, სამართლიანობისათვის, სიყვარულისათვის დაუყოვნებლად და მოუქანცველად, შედეგზე დაუფიქრებლად, ყველგან და ყოველთვის უნდა იბრძოლოს; გმირად, რომელიც წარმავალი ქვეყნის ბოროტების, სიყალბისა და ძალადობის მიღმა იდეალური სამყაროს სიმშვენიერესა და წარუვალობას ჭვრეტდა; გმირად, რომელსაც ოცნება სინამდვილეს ერჩივნა, მზერის ცდომილება – სიბრმავეს, წარმოსახული სამყაროს მოუხელთებლობა – ამ სოფლის ხელშესახებლობას; გმირად, რომელმაც იცოდა, რომ სხეულისა და გონების უძლურება, დაღლა და სისუსტე არაფერია, როცა სული მძლავრობს, როცა სულია უძლეველი.

ასე მიაჩნდა მახვილგონიერ იდალგოს, დონ კიხოტ ლამანჩელს, ასე სჯეროდა და ცხოვრობდა, – მაგრამ განა სხვაგვარი იყო რომელიმე წმიდანი ან პოეტი?

1997

70

ტირსო დე მოლინა – თეოლოგი და დრამატურგი

ტირსო დე მოლინა
Tirso de Molina
1571/1584-1648

ესპანური "ოქროს ხანის" სიდიადეში, რომელიც ეროვნული კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან ეპოქადაა მიჩნეული, პოეტებსა და პროზაიკოსებთან ერთად, სახელგანთქმულ ესპანელ დრამატურგებსაც შეჰქონდათ თავიანთი წვლილი. ჩვეულებრივ და ტრადიციულად, დრამატურგთა ოქროს სამეულში, ლოპე დე ვეგასა და კალდერონ დე ლა ბარკასთან ერთად, ტირსო დე მოლინას სახელიც ერთიანდება.

ტირსო დე მოლინა სახელგანთქმული ესპანელი დრამატურგის ფსევდონიმია, რომელიც, ზოგიერთი მონაცემით, 1584 წლის 9 მარტს, ხოლო სხვა წყაროებით, უფრო ადრე, 1571 წელს გაბრიელ ტელესად მოევლინა ქვეყანას. მისი ადრეული ბიოგრაფია საკმაოდ ბუნდოვანია და დარწმუნებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან ალკალას უნივერსიტეტში შეიძინა სწავლა-განათლება და რომ ჩვიდმეტი წლისამ მერსედერელთა ორდენში შეაბიჯა, იმ კათოლიკურ ორდენში, რომლის ოფიციალური ისტორიკოსად იქცა იგი შემდგომში და რომლის ვრცელი ისტორია მან 1637 წელს დაბეჭდა, – მაშინ, როცა მთელ სამეფოში სახელმოხვეჭილი დრამატურგი უკვე ორმოცდაცამეტი წლისა იყო. ამას გარდა, იგი ავტორიტეტულ თეოლოგად იყო აღიარებული და მის საღმრთისმეტყველო ნაშრომებს, ასწლეულების თუ არა, ათწლეულების განმავლობაში მაინც, დიდი მოწიწებით ეკიდებოდნენ საეკლესიო-თეოლოგიურ წრეებში.

რაც შეეხება დრამატულ ხელოვნებას, თუ ტირსოს თანამედროვეებს ვერწმუნებით, პიესების წერის მხნეობა

მას მისმა თანდაყოლილმა თეატრალურობამ და ლოპე დე ვეგას ფართოდ გავარდნილმა სახელმა შთაბერა. ლოპეს მსგავსად, მანაც გადაწყვიტა, საკუთარი პიესების საფუძვლად ეგრეთ წოდებული "თავისუფალი და ადვილი" ფაბულები აეღო და მათ საფუძველზე რთული დრამატული კონსტრუქცია აეგო. არაერთხელ თავის შემოქმედებაში იგი მიმართავდა რელიგიურ თუ ფილოსოფიურ თემებსაც, და ამგვარ ტექსტებში მისი თეოლოგიური ინტერესები ირეკლებოდა ხოლმე. ბევრგან მის პიესებში შესამჩნევია ფართო ისტორიული და ტოპოგრაფიული ცოდნა, რაც ტირსომ, უნივერსიტეტისა და მონასტრის ბიბლიოთეკების გარდა, თავისი მრავალრიცხოვანი მოგზაურობების დროსაც შეიძინა, როცა ორდენის დავალებით, ესპანეთის, პორტუგალიისა და ვესტ ინდოეთის სოფლებისა და ქალაქების შემოვლა უხდებოდა. ხანდახან იგი ესპანურ ლეგენდებსა და გადმოცემებს ეფუძნებოდა, ხანაც საკუთარ ფანტასტიკურ შთაგონებას აძლევდა გასაქანს.

მისი პირველი სამი დრამა 1621 წელს დაიბეჭდა. ისინი მოთავსებული იყო ტირსო დე მოლინას კრებულში "საკვირაო დასვენება ტოლედოში", – ლექსების, მოთხრობების, პიესებისა და კრიტიკული განსჯების კრებულში, რომლებიც ერთიან ჩარჩოშია მოქცეული და რომელიც მეგობართა ერთი ჯგუფის საზაფხულო დროის მოკვლასა და გონიერ დასვენებას ასახავს. შემდგომში მწერალი ხშირად ბეჭდავდა თავის დრამებს, ხოლო 80 პიესის კრებული, რომელიც მისი დრამატული შემოქმედების მხოლოდ ნაწილს შეადგენს, ტირსოს სიცოცხლეშივე ხუთ ტომად გამოიცა.

ისიც სათქმელია, რომ მისი სახელით დღემდე მოღწეული ტექსტების დიდი ნაწილის ავტორობა საკამათოდაა მიჩნეული და მათი ავთენტიკურობის დადგენა მკვლევართათვის ადვილ ამოცანას არ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ტირსო დე მოლინას "ქალის სიბრძნე" ესპანურენოვანი ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ დრამადაა მიჩნეული, ხოლო მისი სახალისო-სალაღობო კომედიები – სხვა თანადროულ ნაწარმოებთაგან განსხვავებით – დღემდე ინარჩუნებს სასცენო მომხიბლაობას, მის ყველაზე ცნობილ დრამატურ-

გიულ ნაწარმოებებად რჩება ორი პიესა – "სევილიელი ყალთაბანდი" და "სათუო შეჩვენებული". პირველ მათგანს დონ ხუანის ფართოდ გავრცელებული ლეგენდა დაედო საფუძვლად, თუმცა ტირსოს დამსახურებაა არა მარტო თქმულების საკმაოდ ორიგინალურად გადამუშავება, არამედ ამ, საყოველთაოდ გავრცელებული ფაბულის ლიტერატურაში შემოტანის პირველობა (შემდგომში ეს პერსონაჟი, ფაუსტთან ერთად, ევროპული ლიტერატურისა და კულტურის განუყოფელ პარადიგმად იქცა). ტირსო დე მოლინას "სათუო შეჩვენებული" კი თეოლოგიური პარადოქსის ხელოვნების ენაზე გადაჭრის მცდელობაა: საქმე ეხება ერთ სახელგავარდნილ ბოროტმოქმედს, რომელიც შეინარჩუნებს და გააღვივებს თავის უმცირეს რწმენას და ამით, ღმრთაებრივი მადლის წყალობით, მარადიულ ხსნას მოიპოვებს; მეორე მხრივ, – განმართლებული ცოდვილის საპირისპიროდ, – პიესის გმირია ამ ქვეყნისაგან გამდგარი განდეგილი, რომელიც ნამდვილი ქრისტიანული ღვწით განვლის ცხოვრებას, მაგრამ სამუდამოდ დაიღუპავს სულს იმ შეეჭვებით, რომლითაც მხოლოდ ერთხელ შეხედავს თავის რწმენას.

მიჩნეულია, რომ ტირსო დე მოლინას პიესებს აკლიათ ის წარმტაცი შთაგონება, რითაც აღსავსეა ლოპე დე ვეგას ქმნილებები, ის სულიერ-რელიგიური სიღრმე და სიფაქიზე, რითაც განმსჭვალულია კალდერონის ნაწარმოებები, მაგრამ ტირსოს დრამატურგიულ შემოქმედებას ახასიათებს იმგვარი პოეტურობა და ამაღლებულობა, როგორიც სანიმუშოდ დარჩა ესპანურ ენასა და ესპანურ ლიტერატურაში.

ტირსო დე მოლინა პატარა ესპანურ ქალაქ სორიაში 1648 წლის 12 მარტს გარდაიცვალა.

1998

71

კალდერონი: გამოცხადებისეულ ჭეშმარიტებათა განცენიურების ცდა

პედრო კალდერონ დე ლა ბარკა
Pedro Calderón de la Barca
(Pedro Calderón de la Barca y Barreda González de Henao Ruiz de Blasco y Riaño)
1600-1681

პედრო კალდერონ დე ლა ბარკას გამორჩეული ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურაში, – და მის ამ განსაკუთრებულობას განაპირობებს არა იმდენად მის ქმნილებებში გამოვლენილი ავტორის დიდი მხატვრული უნარი და ან თავად ნაწარმოებთა შთამბეჭდავი პოეტურობა, – საქმე ისაა, რომ ქრისტიანული დოგმების დრამატურგიული ხელოვნების ენაზე გადატანის მცდელობაში (და თან წარმატებულ მცდელობაში) კალდერონს ძნელად თუ ამოუდგება ვინმე გვერდით. საკმარისია თვალის გადავლება სახელმოხვეჭილი ოსტატის თუნდაც ზოგიერთი დრამისათვის, რათა იგი უმალ თეოლოგ-დრამატურგად მიგვეჩნია, რითაც ხაზი გაესმებოდა მის ისტორიულ ადგილსა და მნიშვნელობას ევროპული კულტურის ისტორიაში, მაგრამ სწორედ ისტორიული სიზუსტე გვავალდებულებს, მისი შემოქმედება ეპოქის კონტექსტში, ეპოქის გარემოში განვიხილოთ, რადგან ბაროკოს ხანისათვის, რომლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელია სწორედ კალდერონი, ჩვეული იყო თეოლოგიის ყოვლისგამჭოლობა, – ხელოვნება ნებაყოფლობით მორჩილებას უცხადებდა ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს და საკუთარ უნარს, გამოცდილებას, გავლენის ძალას საღმრთო დოგმების სამსახურს ახმარდა. ამაში დასარწმუნებლად ბაროკოს ეპოქის მუსიკის, პოეზიის თუ არქიტექტურის გახსენებაც კმარა. იმდროინდელი კანტატა, პოემა თუ

ბაზილიკის ნაგებობა იგავითაა და მსგავსებით მოსაუბრე თეოლოგია იყო, რომელიც მცოდნეთათვის ქრისტიანული მოძღვრების არსსა და სიღრმეს აცხადებდა. ამგვარ წყებაში უნდა დავინახოთ კალდერონის დრამებიც და მის შემოქმედებაზე ლაპარაკი, მისი განსჯა ამ საფუძვლისა და მიზანსწრაფვის გაცნობიერების გარეშე უთუოდ მცდარ შედეგებამდე მიგვიყვანს. ამგვარი რამ ერთხელ უკვე მოხდა კალდერონთან მიმართებაში, როცა მეცხრამეტე საუკუნის ემპირიულმა, ნატურალისტურმა თუ რეალისტურმა კრიტიკამ მეჩვიდმეტე საუკუნის დიდი ესპანელი დრამატურგის ქმნილებები დაიწუნა იმის გამო, რომ ისინი მაინცდამაინც ზუსტად არ ასახავდა გარემოს, – საზოგადოებისა და საზოგადოების წევრთა ცხოვრებას. მაგრამ კალდერონს ეს მიზნად არასოდეს არც ჰქონია, იგი თავის მრავალრიცხოვან დრამებში ხატითა და სახით მიანიშნებდა ცხოვრების ვერტიკალურ განზომილებას – ადამიანის მიმართებას ღმრთისადმი და საღმრთო ჭეშმარიტების არეკლვას მიწიერ ყოფაში. საყვედურის თქმა კალდერონისათვის იმის გამო, რომ მისი იგავური, სიმბოლურ-რელიგიური დრამები შორსაა ყოველდღიური ცხოვრებისაგან, იმას ჰგავს, მკითხველმა გაიკვირვოს, თუ ლაფონტენის იგავ-არაკების ცხოველები რატომ არაფრით მიემსგავსება ტყეში თუ მინდორში ნანახ მელას, მგელს ან ბატკანს.

მრავლისმეტყველია კალდერონის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დრამის სათაურიც, – "ცხოვრება სიზმარია". ამ, ერთი შეხედვით, ბუდჰისტური სათაურის ქვეშ ავტორი იმ ქრისტიანული ჭეშმარიტების დრამატურგიულ ხორცშესხმას ცდილობს, რომელიც დაახლოებით ასე გამოითქმება: იმგვარი ბუნებრივი ფასეულობები, როგორიცაა სილამაზე, ტრფობა, ჯანმრთელობა თუ სიმდიდრე წარმავალი და უმნიშვნელოა სამყაროს შემოქმედი ღმრთისაკენ ლტოლვასთან, მასზე დაყრდნობასთან შედარებით; რომ მარადული და წარუვალი ბედნიერება, მარადიული ნეტარება მხოლოდ უსასრულო და ამოუწურავი ღმრთისაკენ სვლას და სწრაფვას შეუძლია მოიტანოს.

* * *

პედრო კალდერონ დე ლა ბარკა 1600 წლის 17 იანვარს დიაბადა მადრიდში. ალკალისა და სალამანკის უნივერსიტეტებში თეოლოგიის, სამართლისა და ხელოვნების შესწავლის შემდეგ მან არ მოინდობა მღვდლობა, რასაც მისი მშობლები და ახლობლები ვარაუდობდნენ, თუმცა მეფე ფილიპე მეოთხის კარზე, სადაც მან დიდებასა და სახელს მიაღწია როგორც რაინდმა და როგორც კარის დრამატურგმა, როგორც გარდაცვლილი ლოპე დე ვეგას ღირსეულმა მემკვიდრემ, მან მაინც სასულიერო გზას მიაშურა და 50 წელს გადაცილებულმა, მღვდლად კურთხევა გადაწყვიტა. მაშინვე მან განაცხადა, რომ უარს ამბობდა დრამების წერაზე, მაგრამ ამ უარყოფაში უფრო სახალხო-საჯარო თეატრებში წარმოდგენები იგულისხმებოდა, თორემ მეფის კარისათვის იგი ისევ აგრძელებდა პიესების წერას. თუმცა ამ დროს იგი ძირითადად ქმნის რელიგიურ, საკრალურ დრამებს, რომელთა რიცხვი თითქმის რვა ათეულს აღწევს. ოთხმოცდაერთი წლის მღვდელი და პოეტი პედრო კალდერონ დე ლა ბარკა 1681 წლის 25 მაისს მადრიდში გარდაიცვალა.

2000

72

მიგელ დე უნამუნო: ურწმუნოების ტვირთი

მიგელ დე უნამუნო
Miguel de Unamuno
(Miguel de Unamuno y Jugo)
1864-1936

მიგელ დე უნამუნო გაბედული ადამიანი იყო, რომელიც არასოდეს უფრთხოდა არც საკუთარ თავს და არც საკუთარ ეჭვებს, არც ოფიციალური აკადემიური წრეების სამსჯავროს და არც ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას (მისი ნაწერები რომის კათოლიკე ეკლესიამ აკრძალული წიგნების სიაში შეიტანა), არც კომუნისტებსა და არც ფაშისტებს, არც სახელმწიფო მოხელეთა რისხვას და არც ყოფილ თანამოაზრეთა განდგომას. სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე მან უკანმოუხედავად შეუტია გენერალ ფრანკოს თანამებრძოლს, რაც მოხუც პოეტსა და ფილოსოფოსს, სალამანკის უნივერსიტეტის რექტორს, განდევნად დაუჯდა.

მიგელ დე უნამუნო ბრწყინვალე ლექსების, მოთხრობების, ესეების, რომანების, ფილოსოფიური ნაშრომების ავტორია, მაგრამ იგი ნამდვილი ესპანელი აზნაური იყო და მისთვის შემოქმედება, პირველ ყოვლისა, ბედისწერასთან და გარდაუვალობასთან ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა.

როცა მისი საუკეთესო რომანის, "ბურუსის", მთავარი მოქმედი პირი, აუგუსტო პერესი აღმოაჩენს, რომ იგი დამოუკიდებელი არსება კი არა, არამედ მწერალ უნამუნოს ქმნილებაა, ყველანაირად ეცდება თავი დააღწიოს ავტორის ბატონობას, მზადაა თავიც კი მოიკლას, რათა თავისი დამოუკიდებლობა და თავისი ბედის ბატონ-პატრონობა დაადასტუროს. მაგრამ სულ მალე იგი კარგად ხვდება, რომ ავტორის ნება-სურვილს ვერსად გაექცევა,

ვერსად დაემალება. მიგელ დე უნამუნოც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა, უზენაესი მსაჯულის მფარველობასა და განმგებლობას გაჰქცეოდა, იგი იმის დამტკიცებასაც კი ცდილობდა, რომ ესპანელებს საკუთარი რელიგია აქვთ – დონკიხოტიზმი, რელიგია, რომელმაც ისინი ყოველგვარი ილუზიებისა და ფუჭი იმედებისაგან უნდა გაათავისუფლოს, ხოლო ნამდვილი იმედი ისაა, რომ, დონ კიხოტის მსგავსად, მარადიული და თვალით უნახავი დულსინეას ერთგული დარჩე...

ალბათ, უნამუნოს შემოქმედებაში ყველაზე სუბიექტური, ყველაზე დრამატული, ყველაზე მტკივნეული ნაწარმოებია მოთხრობა "წმიდა მანეულ კეთილი, მოწამე", რომელშიაც თავად ავტორის სულიერი ცხოვრების უმთავრესი დრამაა არეკლილი, – თავისი ამ მოთხრობის გმირის მსგავსად, რომელიც, შესაძლოა, საუკეთესო ქრისტიანი ყოფილიყო, ქრისტეს რწმენა რომ შესძლებოდა, მაცხოვრის მსხვერპლი და გამოსყიდვა საკუთარ გამოსყიდვად რომ მიეჩნია, მიგელ დე უნამუნოც განუწყვეტლივ ეძებდა ღმერთს, და ძნელია ითქვას, რა უფრო მძიმე ტვირთი იყო მისთვის – რწმენა თუ ურწმუნოება ანდა რატომ იყო იგი მუდამ ასეთი სევდიანი. მან ხომ ყოველთვის კარგად იცოდა, რომ არსებობს ავტორი, რომელიც ყველა ჩვენგანის ცხოვრებას წერს და რომლის დამსაზღვრელ მარჯვენასაც ვერასოდეს, ვერსად გავექცევით. ნუთუ იგი ეძებდა ამ ავტორის კარებს და ვერ მიაგნო მას? ან იქნებ მან, ესპანელმა აზნაურმა, კარგად იცოდა, სად იყო ეს კარი, მაგრამ იქ მიკაკუნებას მთელი ცხოვრება გაურბოდა...

1996

73

ანტონიო მაჩადო:
ძმა ძმის წინააღმდეგ

ანტონიო მაჩადო
Antonio Machado
(Antonio Cipriano José María
y Francisco de Santa Ana Machado y Ruiz)
1875-1939

სამოქალაქო ომს ყველაზე ხშირად ძმათამკვლელ ომს უწოდებენ ხოლმე, – ომს, სადაც ერთმანეთის პირისპირ მართლაც ძმები დგანან და ერთმანეთს ესვრიან, – მიზეზი კი ისაა, რომ მათ განსხვავებულად, ერთმანეთის საპირისპიროდ წარმოუდგენიათ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ძალაუფლება და, შესაბამისად, ვინ და რა ძალებმა უნდა წარმართოს ქვეყნის მომავალი. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდისას, 1936-1939 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომისასაც, ერთმანეთის პირისპირ რეალური ძმები აღმოჩნდნენ, – მაგალითად, სახელგანთქმული პოეტები, სახელგანთქმული დრამატურგები – ანტონიო მაჩადო და მანუელ მაჩადო, – თუნდაც თავად მათ, პირადად მათ პირდაპირი მნიშვნელობით იარაღი არ მიუღერებიათ ერთმანეთისათვის. სამოქალაქო ომში გენერალისიმუს ფრანსისკო ფრანკოს ძალების გამარჯვების შემდეგ, ანტონიო მაჩადო, რესპუბლიკელთა – ესე იგი, სოციალისტ-ანარქისტთა და კომუნისტთა მხურვალე მხარდამჭერი, 1939 წლის დასაწყისში დამარცხებულებთან ერთად ტოვებს ესპანეთს და სულიერად დამარცხებული, სულიერად გატეხილი ორიოდ თვის შემდეგ საფრანგეთში ემშვიდობება ამ წუთისოფელს. მანუელ მაჩადო, ასევე ცნობილი პოეტი და დრამატურგი, რომლის რამდენიმე დრამატურგიული ნაწარმოები ძმასთან თანაავტორობითაა დაწერილი, გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდება, რაკიღა იგი თავითდანვე მხარში ედგა ნაცი-

ონალისტურ ფალანგას და თავის ძველ თანამდებობაზე დარჩენილი – იგი მადრიდის საქალაქო მუზეუმის დირექტორი იყო – მარადიული სოფლისაკენ 1947 წელს გაემართება.

წლების განმავლობაში უფროსები თუ უმცროსები, ინტელექტუალები თუ არაინტელექტუალები შეჩვეული ვიყავით ესპანეთის სამოქალაქო ომისათვის მარცხენა თვალით შეგვეხედა, მემარცხენეთა პოზიციიდან შეგვეფასებინა – და ეს ეხება არა მარტო საბჭოთა კავშირის იმჟამინდელ თუ ყოფილ მოქალაქეებს. მაგრამ რაკიღა უმჯობესია სამყაროს არ დავუკარგოთ მისი მრავალფეროვნება (მით უმეტეს, თუ მართლა ეგრეთ წოდებულ "პოსტმოდერნისტულ" ეპოქაში ვცხოვრობთ), მაშინ თუნდაც ამიტომ, იქნებ ღირდეს ერთხელ მაინც მარჯვნიდანაც შევხედოთ 30-იანი წლების ესპანეთს, – სანიმუშოდ შეიძლება ალექსანდრ სოლჟენიცინს მოვუსმინოთ, რომელიც ამ სტრიქონებს მაშინ დაწერს, როცა მემარცხნენე წარმოდგენები კარგა ხნის მიტოვებული ექნება, განსაკუთრებით კომუნისტური გულაგის პირადი გამოცდისა და პირადი გააზრების შემდეგ:

"გული ესპანეთს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის წლებიდან დაუნათესავდა, – წერს სოლჟენიცინი თავის მოგონებათა წიგნში, – იმ დროიდან, როცა ყველანი მივისწაფოდით მის სამოქალაქო ომში მოსახვედრად, – რა თქმა უნდა, რესპუბლიკელთა მხრიდან, – და დაზეპირების გარეშე ვითვისებდით მთელს ამ უესკებს, ტერუელებს და გვადალახარებს, ვითვისებდით მშობლიურ რუსულზე უფრო მონათესავედ, და ჭაბუკური სიბრიყვით დავიწყებული გვქონდა ის, რაც აგერ, გვერდით დაიღვარა – ჩვენს საკუთარ როსტოვსა თუ ნოვოჩერკასკში. წლების სვლასთან ერთად, უკვე ციხეში, მოვიდა ახალი გაგება: რომ ფრანკომ ჩაიდინა გმირული და გოლიათური მცდელობა გადაერჩინა თავისი ქვეყანა სახელმწიფო რღვევისაგან. და ამ გაგებასთან ერთად მოვიდა გაკვირვებაც: რომ რღვევა ირგლივ მთელი ძალით მიედინება, ფრანკომ კი შეძლო ტაქტიანად-მტკიცედ გაეცილებინა ესპანეთი მსოფლიო ომისაგან, ისე რომ მასში არ ჩარეულა, და აი, უკვე ოცი, ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წელი შეინარჩუნა ის ქრის-

ტიანულ მხარეს ისტორიის ყველა დამარღვეველი კანონების საწინააღმდეგოდ! თუმცა თავისი მმართველობის ოცდამეჩვიდმეტე წელს იგი კვდებოდა და იგი მოკვდა, ევროპელ სოციალისტთა, რადიკალთა, ლიბერალთა თავაშვებული ზუზუნის თანხლებით".

ეს რუსი მწერლის, ალექსანდრ სოლჟენიცინის სიტყვებია, რომელიც, ბევრი ვინმესათვის, ალბათ, მეტად საკამათოდ ჩანს, მაგრამ, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი იქნებოდა პოზიცია, რომელზეც სიკვდილამდე იდგა ნაციონალისტურ-ქრისტიანულ ძალთა თანამგრძნობი პოეტი და დრამატურგი მანუელ მაჩადო, მაგრამ ამჯერად მის ძმას, მემარცხენე რესპუბლიკელთა გვერდით აღმოჩენილ პოეტსა და დრამატურგს, ანტონიო მაჩადოს ვიხსენებთ, რომელიც 1875 წლის 26 ივლისს დაიბადა.

ანტონიო მაჩადო, თავის ძმასთან, მანუელ მაჩადოსთან, ერთად, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების ზღვარზე ჩამოყალიბებულ ესპანელ ინტელექტუალთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელსაც "98 წლის თაობა" ეწოდა და რომელსაც ესპანური კულტურის ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, თანადროული ეპოქის ესპანური კულტურის ისტორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამერიკის შეერთებულ შტატებთან 1898 წლის ომში ესპანეთის დამარცხების შედეგად წარმოშობილ ეროვნული სასოწარკვეთილების განცდას "98 წლის თაობამ" ქვეყნის ინტელექტუალური, კულტურული, სულიერი აღორძინების მიზნები დაუპირისპირა, – იმჟამინდელი ღრმა პროვინციულობის დაძლევისა და ესპანური კულტურის კლასიკური მემკვიდრეობისაკენ მიბრუნების გზით. სხვათა შორის, ამ წრეს, ძმები მაჩადოების გარდა, ეკუთვნოდნენ, ვთქვათ, მიგელ დე უნამუნო და ხოსე ორტეგა ი გასეტი, ვისენტე ბლასკო იბანიესი და რამონ მარია დელ ვალე-ინკლანი.

მაჩადოების მამა ანდალუსიური ფოლკლორის ცნობილი შემგროვებელი და გამომცემელი იყო და ტრადიციული ხალხური მოტივები ორივე ძმის პოეზიაშია არეკლილი, მაგრამ ანტონიო მაჩადომ მალე კლასიკურ პოეტურ მემკვიდრეობას მიმართა, რასაც მისი კლასიკური სასკოლო განათლებაც უწყობდა ხელს. მან ლიტერატურის დოქტორის დიპლომი მადრიდის უნივერსიტეტში მოიპო-

ვა, თუმცა ზოგიერთი საუნივერსიტეტო კურსი მას პარიზში, სორბონაში, ჰქონდა მოსმენილი. მალე ახალგაზრდა დოქტორი საშუალო სკოლის ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ხდება.

რაც შეეხება ანტონიო მაჩადოს შემოქმედებას, ის დეკლარაციულად უპირისპირდება მის თანამედროვე მოდერნისტულ ხელოვნებას და შემოქმედებით პრინციპად ირჩევს ეგრეთ წოდებული "მარადიული პოეზიის" ჩარჩოებს, რომელიც, მაჩადოს აზრით, უფრო ინტუიციურ წვდომას ემორჩილება, ვიდრე ინტელექტუალურ სპეკულაციას. პოეტის შემოქმედებითი განვითარება სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს, რომელიც სათავეს იღებს მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებულ კრებულებში, სადაც აშკარაა გრძნობიერი ლირიკოსის კუთვნილება რომანტიკული პოეზიის ტრადიციათა მიმართ. შემდგომ ეტაპზე ჩნდება კასტილიის გარემოს მკაცრი, სევდიანი და ბურუსით მოცული სურათები. სულ ბოლოს კი, 20-იანი წლებიდან, პოეტის შემოქმედებაში მთავარ ადგილს იკავებს ექსისტენციალური შეჭირვებით მოცული ადამიანი, რომელიც ვეღარსად პოულობს სამყაროში ვერც სიყვარულს, ვერც რწმენას, ვერც ღმერთს. სხვათა შორის, ამგვარივე ტრაგიკული განწყობილებითაა განმსჭვალული მაჩადოს ფილოსოფიურ განსჯათა წიგნი "ხუან დე მაირენა", სკეპტიკური ჩაფიქრება ყოფნისა და სიკვდილის შესახებ, – წიგნი, რომელიც პოეტის გარდაცვალებამდე სამიოდ წლით ადრე დაიბეჭდა. თუმცა პოეტის მთელ შემოქმედებას, მისი განვითარების ყველა ეტაპს და მიმართულებას, აერთიანებს მწვავე ნოსტალგია დაკარგული ბავშვობის მიმართ და, სამყაროში მიუსაფრობის შიშის მიუხედავად, – აუხსნელი, დაუჯერებელი, პარადოქსული იმედი...

ანტონიო მაჩადოს სიტყვებით, "ყველა კეთილშობილი მებრძოლის არსია არა გამარჯვება, არამედ მძაფრი სურვილი, რათა ის მან დაიმსახუროს".

2000

74

გაბრიელა მისტრალის ერთგულება

გაბრიელა მისტრალი
Gabriela Mistral
(Lucila de María del Perpetuo Socorro Godoy Alcayaga)
1889-1957

გაბრიელა მისტრალის ლირიკაში აშკარად მჟღავნდება პოეტი ქალის ერთგულება და ნდობა ქრისტიანული ფასეულობების, ქრისტიანული რწმენის მიმართ; მისტრალი, რომლის წინაპრები ბასკები, ესპანელები და ინდიელები იყვნენ, თავის შემოქმედებაში მყარად იდგა ევროპული კულტურული მემკვიდრეობის ნიადაგზე, – შემთხვევითი არაა თვით ფსევდონიმიც *გაბრიელა მისტრალი*, რომელიც მისთვის ორი უძვირფასესი პოეტის, იტალიელი გაბრიელე დ'ანუნციოსა და პროვანსელი ფრედერიკ მისტრალის, მიმართ ჩილელი პოეტი ქალის უსაზღვრო მოწიწებას ასახავს. სტილისტურადაც მისტრალის პოეზია ტრადიციული ლიტერატურული კანონიკის ჩარჩოებში რჩება და არ ეძიებს ახალ შემოქმედებით მეთოდებს, ახალ გამომსახველობით საშუალებებს.

საყურადღებოა სიკვდილის თემა, სიკვდილის ადგილი პოეტი ქალის ნაწარმოებებში. თუ მისტრალის ადრეულ პოეზიაში, რომელიც მეტაფიზიკური მოტივებითაა განმსჭვალული, სიკვდილი ადამიანის სასტიკ და უგულო მტრად წარმოჩნდება, გვიანდელი ხანის ლირიკაში სიკვდილი მისტიკური სილამაზის წყაროდ იქცევა. მისტრალის თვალსაზრისით, ცხოვრება სიკვდილისაკენ მსწრაფი მისტიკური მოგზაურობაა, მისტიკური მსხემობაა, – იმ სიკვდილისაკენ, რომელსაც პოეტი საბოლოო და სრულ განთავისუფლებად მიიჩნევს დროისა და რაციონალური სამყაროს ტყვეობიდან.

გაბრიელა მისტრალი ჩილელი პოეტი ქალის, ლუსილა გოდოი ალსაიაგას ფსევდონიმია, რომელიც ჩილეს ჩრდილოეთით, პატარა სოფელ, ვისუნიაში, დაიბადა, მაგრამ მისთვის არაფერს შეუშლია ხელი, ბეჯითად და მუყაითად ესწავლა. უკვე თხუთმეტი წლისა იგი სკოლის მასწავლებელად იწყებს სამსახურს, არც ისე დიდი ხნის შემდეგ კი იგი კოლეჯის პროფესორი ხდება. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი განუწყვეტლივ მოგზაურობს, მათ შორის ხშირად სამსახურეობრივი მოვალეობების აღსასრულებლად. მაგალითად, 1922 წელს იგი მექსიკაში მიემგზავრება საგანმანათლებლო კონსულტანტად, 1925 წლიდან კი მისტრალი ჩილეს დიპლომატიურ სამსახურში ჩაერთვება და წლების განმავლობაში თავისი ქვეყნის წარმომადგენელია ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, ბრაზილიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი მიწიერი ცხოვრებაც 1957 წლის 10 იანვარს ნიუ იორკში მთავრდება, სადაც იგი იმ დროს ჩილეს საელჩოში მსახურობდა.

გაბრიელა მისტრალის პირველი პოეტური გამარჯვება იყო 1914 წელს დაბეჭდილი მისი კრებული "სონეტები სიკვდილს", რომელმაც ოცდახუთი წლის ქალიშვილს მთელ ესპანურენოვან ლიტერატურულ სამყაროში მოუპოვა აღიარება, 1945 წელს კი მას ლიტერატურის დარგის ნობელის პრემია მიენიჭა. სონეტები, რომელიც ფაქტობრივ სულიერ მონოლოგებს წარმოადგენს, არეკლავს პოეტი ქალის პირველ და ერთადერთ გატაცებას, რომელიც იმით დამთავრდა, რომ მისტრალის სატრფომ თავი მოიკლა. სიცოცხლის ბოლომდე მისტრალი ამ სიყვარულის ერთგული დარჩა და იგი აღარასოდეს დაქორწინებულა.

მეოცე საუკუნის ლირიკის ბრწყინვალე ფურცლებს მიეკუთვნება მისტრალის ლექსები ბავშვებისა და მათი სამყაროს შესახებ. ბუნების სიყვარული კი მისი მეტაფიზიკური პოეზიის უწყვეტი თემაა, ბუნება მისთვის იმედისა და უსაფრთხოების ამოუწურავი, უცვლელი წყაროა.

1999

75

ფედერიკო გარსია ლორკას სიკვდილის ახალი ვერსია

ფედერიკო გარსია ლორკა
Federico García Lorca
1898-1936

დღევანდელი იტალიის, ალბათ, საუკეთესო მწერალმა, რომანისტმა და ნოველისტმა, ანტონიო ტაბუკიმ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა კრებული, რომელსაც "სიზმართა სიზმრები" ეწოდება და რომელიც ოცი მოკლე ტექსტისაგან შედგება. თითეულ მათგანში გადმოცემულია სავარაუდო სიზმარი, რომელიც, ავტორის დაშვებით, შესაძლოა, გამორჩეულ ევროპელ პიროვნებებს დაჰსიზმრებოდათ, – პირველი მათ შორის მითოსური დედალოსია, არქიტექტორი და ავიატორი, უკანასკნელი – ზიგმუნდ ფროიდი, ექიმი და სხვათა სიზმრების ამხსნელი. ბოლოს წინა კი ამ წყებაში ესპანელი პოეტი ფედერიკო გარსია ლორკაა, რომელსაც ანტონიო ტაბუკი 1936 წლის აგვისტოს ღამეს გრანადაში იმ სიზმარს დაასიზმრებს, რომელშიც მისი მომავალი სავარაუდო დახვრეტაა აღწერილი.

შავი ძაღლის კვალს აყოლილი პოეტი უეცრად სამხედროებით გარშემორტყმული აღმოჩნება, რომელთაც მარჯვენა ხელში თოფები უჭირავთ, მარცხენაში კი – ღვინის ბოთლები. შენ მოღალატე ხარ, უყვირის მას სამხედროების ჯუჯა მეთაური, ჩვენ კი შენი ჯალათები ვართ. როცა ლორკა ჯუჯას შეაფურთხებს, მეთაური ჯარისკაცებს უბრძანებს, შეიპყრონ იგი. "შენ ქალი ხარ, – დამცინავად ეუბნება იგი დატყვევებულ პოეტს, – ქალებმა კი არ უნდა ატარონ შარვლები, ისინი სახლებში უნდა იყვნენ გამოკეტილნი და თავი მანტილიით უნდა დაიფარონ". ჯარისკაცები თოკით შეკრავენ მას, შარვალს ჩახდიან და თავზე მანდილს შემოახვევენ. "რა საზიზღარი ქალი ხარ, – ეტყვის ჯუჯა, – შენი სიკვდილის ჟამი ჩამოდგა;

დროა, ქალწულ მარიამს შეავედრო თავი". ლორკა ისევ შეაფურთხებს ჯუჯას, რომელიც სიცილით მოიშორებს ფურთხს, შემდეგ კი ჯიბიდან რევოლვერს ამოიღებს და პირში ტყვიას დააბლის ტყვეს. პოეტი გაიგონებს გასროლის ხმას, გაეღვიძება და ლოგინიდან წამოხტება. მისი გრანადული სახლის კარებს ჯარისკაცები კონდახებს ურტყამენ...

ამგვარად მთავრდება ანტონიო ტაბუკის მოთხრობა, – მოთხრობა, რომელსაც ფართოდ გავრცელებული ლეგენდა უდევს საფუძვლად პოეტ ფედერიკო გარსია ლორკას სიკვდილის თაობაზე. ეს ლეგენდა ათწლეულობის განმავლობაში ყველაზე მყარი არგუმენტი იყო ყველა ჯურის მემარცხენე ინტელექტუალთათვის, რათა აღშფოთებით ელაპარაკათ გენერალ ფრანსისკო ფრანკოს შესახებ, რომელმაც ესპანეთი, სხვათა შორის, კომუნიზმის შავი ჭირისა და მეორე მსოფლიო ომის კოშმარებისაგან გადაარჩინა, მაგრამ რომელთაც უმალ მახსოვრობის სისუსტე ემართებოდათ, როცა საქმე პოეტების ბედს "კომუნისტურ სამოთხეში" – საბჭოთა კავშირში – შეეხებოდა (განსახსენებლად თუნდაც ოსიპ მანდელშტამის ტრაგედიაც კმარა, რომელსაც სიკვდილამდე მიამიტურად სჯეროდა, რომ რომენ როლანი სტალინთან სიტყვას დაძრავდა და პოეტი ბანაკსა და სიკვდილს გადაურჩებოდა).

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ესპანურ მასმედიაში ამ ლეგენდის საპირისპირო ვერსია გაჩნდა, რომელმაც საკმაოდ ააფორიაქა ქვეყნის მემარჯვენე თუ მემარცხენე ინტელექტუალები.

1999 წლის ზაფხულში ესპანურმა ტელევიზიამ "TVE Internacional"-მა, თავის რეგულარულ პროგრამაში "ისტორიის ფარული ფურცლები", გადმოსცა დოკუმენტური მასალა, რომელსაც ეწოდებოდა "გარსია ლორკას სიკვდილის განსხვავებული ვერსია". მომდევნო დღეებში ესპანური პრესაც ფართოდ გამოეხმაურა სენსაციურ ინფორმაციას.

საქმე ისაა, რომ 1976 წლის ზაფხულში, გენერალისიმუს ფრანკოს გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ერთი ხანშიშესული მამაკაცი, რომელიც გრანადის მახლობლად, პატარა სოფელში, ცხოვრობდა, ქალაქის

კინოთეატრში ფილმის სანახავად გაემართა. ფილმს კი წინ უძღოდა კინოჟურნალი, რომელიც ფედერიკო გარსია ლორკას ტრაგიკული გარდაცვალების მეორმოცე წლისთავს ეძღვნებოდა. კადრების თვალის მოკვრისთანავე სოფლიდან ჩამოსულ ხანშიშესულ მაყურებელს სუნთქვა შეეკრა. ეკრანზე ხომ იგი იმ ადამიანს ხედავდა, რომელსაც სწორედ ორმოცი წლის წინ მან შეუნარჩუნა სიცოცხლე. დარბაზიდან გამოსვლისთანავე იგი უმალ პოლიციისაკენ გაემართა, სადაც მას, ეჭვის გარკვეული დოზით, ურჩიეს ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტისათვის მიემართა. როცა მან რედაქციას მიაკითხა, ახალგაზრდა ჟურნალისტი ქალი მას თავდაპირველად სრული უნდობლობით მოეკიდა, მაგრამ აღელვებული მამაკაცი თავისას ამტკიცებდა.

გაზეთის რედაქციაში მისული მოხუცი დაწვრილებით ყვებოდა, თუ რა მოხდა 1936 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში გრანადაში, რომელიც იმხანად უკვე ფალანგისტებს ეკავათ. მათი შეტაკებანი მემარცხენე რესპუბლიკელებთან ისევ გრძელდებოდა, ისევე როგორც ბოლო არ უჩანდა რევოლუციასა და სამოქალაქო ომთან გადაჯაჭვულ სისასტიკეებს. ამიტომ შარაგზაზე მიმავალ კაცს არ გაჰკვირვებია, როცა გზის მახლობლად, ხის ქვეშ დახვრეტილი ადამიანის სხეულს მოჰკრა თვალი. გაკვირვებით არ გაჰკვირვებია, მაგრამ მკვდარი ადამიანის ნახვამ – პირველად ცხოვრებაში – მას თავზარი დასცა და იქიდან უმალ თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა. თუმცა, როგორც კი მოსაღამოვდა, მან ისევ იქ დაბრუნება გადაწყვიტა და, თავისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ სხეულს ადგილი მოენაცვლებინა, – მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცი თავსა და მკერდში იყო დაჭრილი. ახალგაზრდა სოფლელმა დაჭრილი იქვე მახლობელ მონასტერში მიასვენა, სადაც უცნობი რამდენიმე კვირის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს. გამოჯანმრთელების შემდეგ კი იგი სამუდამოდ დარჩა მონასტერში, მაგრამ ჭრილობამ მას მეტყველების უნარი წაართვა და, როგორც ჩანს, წერა-კითხვასაც ვერ ახერხებდა, ამასთანავე, მას შენარჩუნებული ჰქონდა სმენა და დაუბრკოლებლად დადიოდა.

ამ უჩვეულო ამბების მოსმენის შემდეგ ჟურნალისტმა ქალმა ნივთიერი საბუთები მოითხოვა. ერთი დღის შემდეგ კი მთხრობელმა მას ორმოციანი წლების ფოტო მოუტანა, რომელზეც, სამ მონაზონ ქალთან ერთად, გამოსახული იყო ლორკა – ან მისი ორეული. როგორც ჩანს, იგი 1954 წელს გარდაცვლილა.

ჟურნალისტმა ქალმა უმალ გაამზადა მასალა სენსაციური ინფორმაციის საფუძველზე. იგი უკვე ასე ახლოს, ხელმისაწვდომად ხედავდა რომელიმე პრესტიჟულ ჟურნალისტურ ან ლიტერატურულ პრემიას. მაგრამ საჭირო გახდა ფოტოსურათის ჩვენება სპეციალისტებისათვის და მათი მსჯავრის მოსმენა. შედეგი კი ის იყო, რომ, ექსპერტთა განცხადებით, ფოტოზე გამოსახულია არა ლორკა, არამედ ადამიანი, რომელიც დაუჯერებლად ჰგავს პოეტს.

და, რაც მთავარია, ამ დროს საქმის მსვლელობაში ჩაერთო გაზეთის მთავარი რედაქტორი: ფრანკოს სიკვდილიდან ნახევარი წლის შემდეგ ყოვლად დაუშვებელია დანგრეულ იქნეს ვერსია ლორკას სიკვდილის შესახებ! მთელი მსოფლიოს მემარცხენე ინტელექტუალთათვის გარსია ლორკას ნამდვილი, საეჭვო თუ ბუნდოვანი დახვრეტა ხომ ათწლეულების განმავლობაში ფრანკოსა და ფრანკიზმის მიმართ მათ დამოკიდებულებას განაპირობებდა. მითოსისა და სტერეოტიპების აფეთქება კი ნამდვილად არ ივარგებს... – ასეთი იყო შეუვალი მთავარი რედაქტორის შეუვალი პოზიცია.

1998 წელს, როცა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნა ლორკას დაბადების ასი წლისთავი, ესპანეთში დიდი აურზაური ატყდა, რომელსაც სათავე დაუდო პოეტმა და რომანისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, კამილო ხოსე სელამ. მან პოეტის განდიდება გადაჭარბებულად მიიჩნია და იგი, რაც შეიძლება, უხეშად მოიხსენია, – არა მარტო მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის, არამედ მისი ჰომოსექსუალური ორიენტაციის გამოც. და სწორედ ამ დროს, როცა ყველა გაზეთი თუ ყველა სატელევიზიო არხი დაჟინებით ცდილობდა, რამე ახალი ეთქვა ან ეპოვა პოეტის შესახებ, ესპანელმა ჟურნალისტებმა მიაგნეს ცნობას მისი სიკვდილის განსხვავებული ვერსიის შესახებ. მაგრამ ამ დროის განმავლობა-

ში ბევრი რამ დაიკარგა: დღეს უკვე ცოცხალი აღარაა ის კაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ სიცოცხლე შეუნარჩუნა სიკვდილის პირას მყოფ პოეტს, ხოლო თავად მონასტერში დაჭრილი "მუნჯი" კაცის შესახებ მხოლოდ ერთადერთ მონაზონსღა ახსოვს. თან მას ერთადერთი სახსოვარი შემორჩენია იმ უსიტყვო კაცისაგან – ფურცლის ნაგლეჯი, რომელზეც ბატისფებურად ერთადერთი სიტყვა წერია: "agua" – "წყალი". ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ეს სიტყვა დაწერილია მარცხენა ხელით იმ ადამიანის მიერ, რომელიც არ იყო ცაცია.

ყველა გზა ჩიხში შესული აღმოჩნდა, მაგრამ თითქოს არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი: მიცვალებულის ექსჰუმაცია და სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება. ამ შემთხვევაში სპეციალისტების განცხადება ერთხელ და სამუდამოდ გაარკვევდა მართლა ფედერიკო გარსია ლორკა იყო თუ არა მონასტერში მცხოვრები უტყვი მამაკაცი. რა თქმა უნდა, ეს ადვილი იქნებოდა, თუმცა ადვილი არაა თავად საფლავის პოვნა, რადგან მთელი სამონასტრო სასაფლაო უკვე რამდენიმე წელია ხელოვნული წყალსაცავის ფსკერზე იმყოფება.

პოეტ ფედერიკო გარსია ლორკას საიდუმლოებით მოცული სიკვდილი ისევ გამომწვევ საიდუმლოდ რჩება...

1999

76

ხორხე ლუის ბორხესი და სამოთხე-ბიბლიოთეკა

ხორხე ლუის ბორხესი
Jorge Luis Borges
1899-1986

დიდება მოულოდნელად და გვიან ეწვია ბორხესს, მაგრამ მან ყველა წარმოსადგენი თუ წარმოუდგენელი პატივი მოიპოვა, რაც მწერალს შეიძლება ერგოს – ერთი უცნაური გამონაკლისის გარდა: ნობელის კომიტეტს შეუმჩნეველი დარჩა მეოცე საუკუნის ლიტერატურის ყველაზე უცნაური, ყველაზე ამოუცნობი წარმომადგენელი, – მწერალი, რომლის შემოქმედების შემდეგ თითქოს აღარაფერი იყო სათქმელი მწერლობაში, რომელმაც თითქოს ლიტერატურის ბოლოსიტყვაობა დაწერა, მაგრამ მწერალი, რომელმაც – როგორც პატრიარქმა თავის მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს – ათეულობით ლიტერატორს, ხელოვანს, ფსიქოლოგს, ფილოსოფოსსა თუ თეოლოგს საზრდო და საფიქრალი უხვად დაუტოვა.

* * *

ბორხესი, ანდერძის თანახმად, ჟენევაში დაკრძალეს, მაგრამ იგი ჟენევაში არც გარდაცვლილა და არც დაბადებულა. ბუენოს აირესელი ოიდიპოსი, როგორც მას ენამახვილმა ჟურნალისტებმა შეარქვეს, 1899 წელს, არგენტინის დედაქალაქში დაიბადა, მის ცენტრში, ტუკუმანის ქუჩაზე. ოჯახის მეთაური, მომავალი მწერლის მამა, ხორხე გილელმო ბორხესი პროფესიით ადვოკატი იყო, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში ფსიქოლოგიას ასწავლიდა ინგლისურად. ინგლისური და ესპანური ოჯახში სასაუბრო ენები იყო, რაკი ყმაწვილის ბებია ინგლისელი იყო, რომელიც დას გამოჰყვა შორეულ კონტინენტზე, მაგრამ მას

იმდენად შეჰყვარებია პოლკოვნიკი ფრანსისკო ბორხესი, რომ მალე დაქორწინდა კიდეც მასზე და მთელი ცხოვრება წყვილმა არგენტინაში გაატარა. იგი სიკვდილამდე გოლზუორთისა და უელსს კითხულობდა და როცა ოთხმოცდაათი წლისა კვდებოდა, ახლობლებს ებოდიშებოდა, რომ ასე ხანგრძლივად გაგრძელდა კვდომის პროცესი.

პროფესორი ბორხესი ძალიან ჭკვიანი და ძალიან რბილი კაცი ყოფილა, მაგრამ, ამავე დროს, ცუდი წინასწარმეტყველი, – თავისი პატარა ვაჟისათვის ერთხელ სეირნობისას ურჩევია, კარგად დაემახსოვრებინა ჯარისკაცები, ყაზარმები, ეკლესიები, მღვდლები და ყასაბთა ფარდულები, რადგან, მისი ვარაუდით, სულ მალე აღარაფერი ეს ამქვეყნად აღარ იქნებოდა. მას ორი გატაცება ჰქონია – ფილოსოფია და პოეზია; თავის შვილებს ფილოსოფიის პირველ გაკვეთილებს უტარებდა და ინგლისურად წარმოთქვამდა შელის, კიტსისა და სუინბერნის ლექსებს. მას ნარკვევების კრებული, რამდენიმე სონეტი და ფიცჯერალდისეული ომარ ხაიამის ესპანური თარგმანები ჰქონდა გამოქვეყნებული, სიცოცხლის მიწურულს კი თავისი ერთადერთი რომანი გამოსცა. როცა იგი დაბრმავდა, ოჯახში უთქმელად ივარაუდებოდა, რომ მის ვაჟს ევალებოდა იმის განხორციელება ლიტერატურაში, რაშიც ბედმა და მხედველობამ მამამისს უმუხთლა.

ბორხესის დედა, რომელმაც თითქმის ას წელს მიაღწია, ძველ არგენტინულ-ურუგვაულ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მეუღლისაგან განსხვავებით, მორწმუნე კათოლიკე იყო და შვილებს არწმუნებდა, რომ ადამიანებზე კარგად უნდა ეფიქრათ, მაგრამ მეუღლისა და დედამთილის მსგავსად, ინგლისურენოვან ლიტერატურას ეტრფოდა და მელვილს, ჰოთორნს, ფოლკნერსა და ვირჯინია ვულფს ესპანურად თარგმნიდა. სიცოცხლის ბოლომდე თავისი შვილის საუკეთესო მეგობარი იყო და მას ცხოვრებასა და სიბრმავეს უმსუბუქებდა.

ბორხესის წინაპრები – დედისა და მამის მხრიდანაც – სამხედროები იყვნენ, და თავად მწერალი ამით ხსნიდა თავის სწრაფვას ეპიკური გმირების მიმართ, მაგრამ, ამავე დროს, ბედის მადლიერი იყო, რომ საომარ ბიოგრაფიას გადაურჩა. პირველი მსოფლიო ომის ქვემეხების

გუგუნისას, იგი ოჯახთან ერთად, შვეიცარიის სიმყუდროვეს იყო შეფარებული, ჟან კალვინის დაარსებულ ჟენევის გიმნაზიაში სწავლობდა და ძველ თუ ახალ ენებს ეუფლებოდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის ქარიშხლებისას კი ბუენოს აირესის ბიბლიოთეკის საცავებში იჯდა და თავისი გასაოცარი ერუდიციის უსასრულობამდე გაფართოებას ცდილობდა.

იგი ბავშვობიდანვე ძლიერად ახლომხედველი იყო, სათვალეს ატარებდა და მეტად სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, იშვიათად გადიოდა გარეთ, მეგობრები არ ჰყავდა და მთელი დღეების განმავლობაში წიგნებს კითხულობდა. უკვე ოცდაათ წელს იყო გადაცილებული, როცა ნათესავებისა და ახლობლების მიმართ სირცხვილის გრძნობა მოიშორა, რომ მწიგნობარი იყო და არა სამხედრო. მისი პირველი წაკითხული წიგნი "ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი" აღმოჩნდა, შემდეგ კი – დაბრმავების მერმეც – ერთი დღეც არ უცხოვრია წიგნისა და ლიტერატურის გარეშე.

ბორხესმა წერა ექვსი წლისამ დაიწყო: ესპანურად, სერვანტესის მიბაძვით, სარაინდო რომანი დაწერა, ინგლისურად – ბერძნული მითოლოგიის სახელმძღვანელო. იგი ცხრა წლისა იყო, როცა ბუენოს-აირესის ყოველდღიურმა გაზეთმა მისი პირველი თარგმანი – ოსკარ უაილდის "ბედნიერი უფლისწული" გამოაქვეყნა. ბორხესის ლექსი კი პირველად ესპანეთში დაიბეჭდა, სადაც მისი ოჯახი შვეიცარიაში ხუთწლიანი ცხოვრების შემდეგ დასახლდა. ესპანეთში იგი აქტიურად ჩაერთო ლიტერატურულ-სახელოვნო ცხოვრებაში და, სხვებთან ერთად, ულტრაიზმის ერთ-ერთი მესაფუძვლე გახდა. იქ მან ორი წიგნი დაწერა: ერთი – მემარცხენე-ანარქისტული ლიტერატურულ-პოლიტიკური ესეების კრებული, მეორე – ლექსების წიგნი "წითელი ფსალმუნები", სადაც იგი ხოტბას ასხამდა ოქტომბრის რევოლუციას, ხალხთა მეგობრობასა და პაციფიზმს. მაშინ მან ვერც ერთის დაბეჭდვა ვერ მოახერხა და ცხელ გულზე ორივე გაანადგურა. შემდგომში, სიცოცხლის ბოლომდე, საბედნიეროდ, ბორხესს მემარცხენე-კომუნისტური ილუზიები აღარასოდეს დაუფლებია.

ევროპის სხვადასხვა ქალაქის შემოვლის შემდეგ, განსწავლისა და მოგზაურობის წლების ამოწურვისას, ოცდაორი წლის ბორხესი არგენტინაში დაბრუნდა, სადაც მალე ახალი მეგობრების გარემოცვაში აღმოჩნდა. მათი იმჟამინდელი ენთუზიაზმიც და პათოსიც ამოუწურავია: ისინი დარწმუნებული არიან, რომ საკუთარ თავში მოწოდება იგრძნეს, განაახლონ ესპანურენოვანი პოეზია და პროზა. იმჟამად თავად ახალგაზრდა ბორხესი, ისევე როგორც ახალგაზრდათა უმეტესობა, ყველანაირად ცდილობს, თავი უბედურ ადამიანად წარმოიდგინოს, – დაახლოებით ჰამლეტისა და რასკოლნიკოვის ნაჯვარად. შემდგომში, დაბრძენებული და მოხუცებული მწერალი ირონიით იხსენებდა თავის მგზნებარე სიჭაბუკეს და ამბობდა, რომ ის თვითკმაყოფილი დოგმატიკოსი, როგორადაც მას საკუთარი თავი ახსოვს, ასაკში შესულს მეტად არასიმპათიურად ეჩვენება. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მას ყველაზე ახლო და უღალატო მეგობრები სწორედ ამ დროიდან შემორჩა. განსაკუთრებული, უწყვეტი და ნაყოფიერი იყო – პიროვნულადაც და შემოქმედებითაც – ოთხთა მეგობრობა: ბორხესი, ადოლფო ბიოი კასარესი, მისი მეუღლე სილვინა ოკამპო და სილვინას და – ვიქტორია ოკამპო.

პირველი მოთხრობა, სადაც ხელშესახები და განუმეორებელი ბორხესი გამოჩნდა, 1933 წელს დაიბეჭდა – "კაცი ვარდისფერი კაფედან", მაგრამ მწერალს ის საკუთარი თავის, საკუთარი სამწერლო მონაცემების ღირსად და შესაფერისად არ მიაჩნდა და თავდაპირველად ფსევდონიმით გამოაქვეყნა. თუმცა მოთხრობას, სადაც ყოველი ფრაზა და აბზაცი მაქსიმალურად ძუნწ და მკაცრ სრულყოფილებამდეა მიყვანილი, მოულოდნელი, საყოველთაო აღტაცება მოჰყვა.

1935 წელს გამოდის ბორხესის წიგნი – "არამზადობის საყოველთაო ისტორია". აქედან იწყება ის ბორხესი, – მოუშორებელი და ამოუწურავი თემებით, განუმეორებელი მელოდიკით, დაძაბული იდუმალებით, – ის ბორხესი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა აღტაცებისა და მოულოდნელობისაგან გულს უკუმშავს სხვადასხვა კონტინენტის მკითხველს. მაგრამ ამ დროს თავად მწერალი არც ისე ბედნიერად გრძნობს თავს: მუშაობს ბუენოს-

აირესის მეტროს სარეკლამო ჟურნალში ან ქალაქის ბიბლიოთეკის ფილიალის დირექტორის პირველ თანაშემწედ. ხშირად, საღამოობით, ბიბლიოთეკიდან დაბრუნებისას, როცა ტრამვაის გაჩერებამდე ათი კვარტალი ფეხით უნდა გაიაროს, მას თვალებიდან ცხარე ცრემლი სდის. მაგრამ დილით – ასე გრძელდება ცხრა წელი – ტრამვაიში დანტეს კითხვით იტალიურში ვარჯიშობს და ისევ სამსახურისაკენ მიაბიჯებს, სადაც ბრიყვი თანამშრომლების საფეხბურთო საუბრები და უხამსი ანეკდოტები ელის, სადაც სრულიად უსარგებლო კატალოგი უნდა შეადგინოს, მაგრამ ერთსააათიანი სამსახურეობრივი მოვალეობის მოხდის შემდეგ, დარჩენილ ხუთ საათს უჩუმრად ატარებს ბიბლიოთეკის სარდაფში, რათა კლოდელი, გიბონი ან ბერნარდ შო იკითხოს, რათა ფოლკნერი თარგმნოს ესპანურად, რათა ესპანურენოვანი პროზის საუკეთესო ფურცლები – დღეს უკვე საქრესტომათიო ნოველები – წეროს. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს წარმოდგენაც არა აქვთ, ვინ არის მათი კოლეგა და ძალიან გახალისდებიან, როცა ენციკლოპედიაში მათი თანამშრომლის "თანამოსახელე და მოგვარე" მწერალს აღმოაჩენენ.

მაგრამ არგენტინაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის შემდეგ ბორხესი ამ სამსახურისთვისაც შეუფერებლად მიიჩნიეს და ორმოცდაშვიდი წლის პოეტი ქალაქის მერიამ ბუენოს-აირესის ბაზრების ინსპექტორად დანიშნა ქათმებისა და კურდღლების ვაჭრობის საკითხში. თუმცა რაკიღა პროფესიის შეცვლა გარდაუვალი იყო, მან, მეგობრების დახმარებით, კურდღლების კონტროლიორობას უნივერსიტეტის პროფესორობა ამჯობინა. ამ დროიდან იწყება მისი სალექციო ტურნეები: არგენტინაში, შეერთებულ შტატებში, ინგლისში, შვეიცარიაში, ისრაელში, შვედეთში, დანიაში; ნელ-ნელა მოდის დიდება და აღიარება, სიბერე და სიბრმავე, დედის სიკვდილი და მოულოდნელი გვიანდელი ტრფობა. ბრმა მწერალი და მწიგნობარი, არგენტინის პრეზიდენტის ბრძანებით, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორად ინიშნება.

მაგრამ იგი ისევ დაუცხრომელია: წერს (ან კარნახობს) ახალ და ახლებურ მოთხრობებს გაუჩოთა და ყალ-

თაბანდთა შესახებ, უარს ამბობს თავისუფალ ლექსზე და ირჩევს კლასიკურ ფორმებს, სწავლობს ძველ ინგლისურსა და ძველ ნორვეგიულს, უღრმავდება ებრაულ კაბალასა და შუასაუკუნეობრივ ალქიმიას, ინდურ მისტიკასა და სკანდინავიურ მითებს. მისი სახელი ნელ-ნელა იბურება ლეგენდებითა და ჭორებით, მის შესახებ უსასრულოდ იწერება დისერტაციები, უსასრულოდ იმართება კონფერენციები და სიმპოზიუმები. ამ დროს კი იგი, ლაბირინთებისა და სარკეების თაყვანისმცემელი, ლაბირინთებისა და სარკეების ოსტატი, განმარტოებული თავის წყვდიადში, ისევ ზღვისა და ვარდის საიდუმლოს ჩაწვდომას ცდილობს.

სიცოცხლის მიწურულს ბორხესი წერდა: "ჩემი ასაკის ადამიანს უკვე შეგნებული უნდა ჰქონდეს თავისი შესაძლებლობების საზღვრები, ამ ცოდნას კი ბედნიერების ჩანაცვლება შეუძლია. ახალგაზრდობაში ლიტერატურა ნატიფი და გასაოცარი ვარიაციების თამაშად წარმომედგინა. ახლა, როცა საკუთარი ხმა მოვიპოვე, ვგრძნობ, რომ კემსვასა და ნაკერების დადებას აღარ შეუძლია ჩემი ნაწერების შესამჩნევი გაუმჯობესება ან შესამჩნევი გაუარესება. ასე მგონია, რომ ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები უკვე დაწერილი მაქვს. ეს თვალსაზრისი გარკვეულ კმაყოფილებასა და შვებას მანიჭებს. და მაინც არა მაქვს ისეთი შეგრძნება, რომ უკვე აღარაფერი მაქვს სათქმელი. გარკვეული აზრით, ახალგაზრდული ონავრობა თითქოს ახლა ჩემთვის უფრო ახლოა, ვიდრე მაშინ, როცა ახალგაზრდა ვიყავი. ახლა უკვე აღარ მიმაჩნია, რომ ბედნიერება მიუღწეველია, – ადრე კი, დიდი ხნის წინ, სწორედ ასე მეგონა. ახლა ვიცი, რომ ის ყოველ წამს შეიძლება მოვიდეს, მაგრამ არასოდეს უნდა მიედევნო მას. რაც შეეხება წარუმატებლობას ან დიდებას, მათ მიმართ სრულიად გულგრილი ვარ და არასოდეს ავფორიაქებულვარ მათ გამო. ის, რისკენაც ახლა უეჭველად ვისწრაფი, ესაა სიმშვიდე და სიხარული, რომელიც ფიქრსა და მეგობრობას მოაქვს, და კიდევ – შესაძლოა, ეს მეტისმეტი თვითდარწმუნებაა, მაგრამ – უნარი იმისა, რომ გიყვარდეს და შენ უყვარდე სხვას".

* * *

თავის ერთ ლექსში ბორხესმა სამოთხე უსასრულო ბიბლიოთეკად წარმოიდგინა. მას, შესაძლოა, იმის იმედიც ჰქონდა, რომ საიქიოში, დროისა და სიბრმავის ტყვეობისაგან თავდაღწეული, ყველა წაუკითხავი წიგნის წაკითხვას შეძლებდა. მაგრამ მას ისიც სწამდა, რომ ჩვენ ყველანი ერთი დიდი წიგნის პერსონაჟები ვართ, რომელსაც ერთი დიდი, მარადიული მწერალი წერს.

1996

77

ხულიო კორტასარის უხმაურო მშფოთვარება

ხულიო კორტასარი
Julio Cortázar
(Jules Florencio Cortázar)
1914-1984

თავისი რომანის "ჯილდოების" ბოლოთქმაში ხულიო კორტასარი წერდა: "წიგნი ძველებურად რჩება ჩვენი სახლის იმ ერთადერთ თავშესაფრად, სადაც თავი უშფოთველად შეგვიძლია ვიგრძნოთ". ეს სიტყვები 1960 წელსაა დაწერილი და დღეს ბევრად უფრო მეტი მშფოთვარება შემოჭრილა ჩვენს სახლებში, თავშესაფარიც ბევრად უფრო ძნელი მოსაპოვებელი გამხდარა და წიგნსაც სულ უფრო ნაკლებად მოაქვს უშფოთველობის ის მშვიდი განცდა, რასაც ბოლო ხანებამდე კიდევ მოელოდნენ მისგან... მაგრამ, საფიქრებელია, "ჯილდოების" ავტორი ახლაც, ამჟამინდელ გარემოშიც ამასვე იტყოდა, რადგან მას – მკითხველსა და მწერალს – წიგნი და წიგნში ჩაწერილი სიტყვა ყოველთვის სანდო საყრდენად მიაჩნდა თავისთვისაც და სხვისთვისაც. მას, ალბათ, სჯეროდა, – და, ალბათ, ასეც იყო, – რომ მისი საკუთარი წიგნებიც თავშესაფარი აღმოჩნდა არა მარტო მწერლისათვის, რომელიც მათ სუნთქვაშეკრული დაჟინებით წერდა, არამედ იმ არაერთი მკითხველისათვისაც, რომლებიც მათ გატაცებითა და მადლიერებით კითხულობდნენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში.

მაგრამ ის, რაც კორტასარის წიგნებში ეწერა, თავად იყო მშფოთვარების გამოძახილი და თავად იწვევდა მშფოთვარებას, თუნდაც ეს გრძნობა თითქოსდა უხმაურო, თითქოსდა მიჩუმათებული, თითქოსდა შეუმჩნეველი ყოფილიყო. მაგრამ კორტასარის პროზის ფურცლებზე გამჟღავნებული სწორედ ამგვარი უხმაურო მშფოთვარე-

ბა, მოცული დაძაბული უთქმელობითა თუ იდუმალებით, კიდევ უფრო ამძაფრდება დაუცველობის, უნიადაგობისა და მიუსაფრობის ძნელად გასაძლებ განცდას.

* * *

ხულიო ფლორენსიო კორტასარი მაშინ დაიბადა ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, 1914 წლის 26 აგვისტოს, როცა გერმანული ჯარი ამ მომცრო ევროპულ სამეფოს უტევდა. ჩვილი ხულიოს მამა ბრიუსელში არგენტინის საელჩოში მსახურობდა, მაგრამ მთელ ოჯახს მალე მოუხდა დაპყრობილი ქვეყნის დატოვება. სანამ სამწლინახევრის ყრმა ბოლოს და ბოლოს სამშობლოში მოხვდებოდა და თავის სახლში, ბუენოს აირესის გარეუბანში, ბანფილდში, დაემკვიდრებოდა (შემდგომში ეს სახლიც, მისი ბაღიცა და მისი გარშემო უბანიც არაერთგზის აისახება მწერლის შემოქმედებაში), მანამდე მას, ოჯახთან ერთად ბელგიიდან ლტოლვილს, შვეიცარიასა და ესპანეთში მოუხდება ცხოვრება. ძნელად სავარაუდოა, რომ ეს წლები ცხადად აღბეჭდილიყოს მომავალი მწერლის უმწიფარ ცნობიერებაში, მაგრამ შესაძლოა, ამ გაუცნობიერებელმა მეხსიერებამაც, – ბასკი, ფრანგი და გერმანელი წინაპრების სისხლთან ერთად, – უბიძგა მას, ზრდასრულობის ხანაში არა მარტო სულიერი, არამედ ფიზიკური სამყოფელიც ევროპაში ეძებნა, რომლის შუაგულში, პარიზში, არგენტინელმა მწერალმა თავისი ცხოვრების ბოლო 33 წელი გაატარა.

მწერლად აღიარება მეტად გვიან მოვიდა, რადგან არც თავად იგი, – ჯერ გიმნაზიის მასწავლებელი და შემდგომ უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორი, – ჩქარობდა თავისი ნაწერების გამოქვეყნებას, ხოლო გამოქვეყნების შემდგომ კი – მათს საზოგადოებრივ გავრცელებაზე ზრუნვას. როცა ხულიო კორტასარის სახელი არგენტინის ლიტერატურულ წრეებში გახდა ცნობილი, იგი უკვე პარიზში მცხოვრები ემიგრანტი იყო, რომელიც დღიურ საზრდოს იუნესკოში თარჯიმნად სამსახურით მოიპოვებდა. თუმცა დიდი დრო არ აღმოჩნდა საჭირო, ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში, მეოცე საუკუნის ლიტერატურაში კლასიკოსად შესაბიჯებლად...

სიმართლე რომ ითქვას, მეტი არც არაფერი მომხდარა მის ცხოვრებაში განსაკუთრებული და საყურადღებო, თუ არ ჩავთვლით სამჯერ ქორწინებასა და მის ხშირ მოგზაურობებს, რომლებიც – არცთუ საკუთარი ნებით – უწევდა მას ჯერ როგორც დაქირავებულ თარჯიმანს, შემდგომ – უფრო საკუთარი ნებით – როგორც მიწვეულ პროფესორს, საქვეყნოდ ცნობილ მწერალს, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში.

მისი ვნებიანი გატაცებანი კი არც ისე ახლოს იყო ლიტერატურასთან: კრივი და ჯაზი (თუმცა ჯაზი მაინც აისახა მის ნაწერებში, – არამარტო თემატურად, – რომლის ფარული კვალიც შეიძლება შეინიშნოს მისი ზოგიერთი ნაწარმოების აგებულებაში).

და კიდევ: იგი ყოველთვის უჭერდა მხარს ლათინური ამერიკის მემარცხენე-მოკომუნისტურო დიქტატურებს, – ბევრი მისი მკითხველისა და თაყვანისმცემლის გულდასაწყვეტად და საწყენად...

მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მის ცხოვრებაში მისი წიგნები იყო: რომანები და ნოველების კრებულები, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, და, ასევე, ლექსები და პოემები, რომლებიც მხოლოდ მას შემდეგ გამოიცა, რაც ლეიკიმიით დაავადებული არგენტინელი მწერალი მისთვის უკვე გამშობლიურებულ პარიზში სამოცდაცხრა წლისა გარდაიცვალა.

* * *

ლათინური ამერიკის ლიტერატურათა მძლავრი დაქუხება (თუ "აფეთქება"), რაც ასე თვალსაჩინო გახდა მეოცე საუკუნის ბოლო მესამედის მსოფლიო სალიტერატურულო ცხოვრებაში, ერთმა შეფარულმა მიზეზმაც განაპირობა: არგენტინელი, კოლუმბიელი თუ კუბელი მწერლები – ნებსით თუ უნებლიეთ, გაცხადებულად თუ გაუცხადებლად – ხელახლა მიუბრუნდნენ რომანტიზმის იმ მივიწყებულ მემკვიდრეობას, რაც რეალიზმსა და ნატურალიზმს განედევნა ლიტერატურული თუ კულტურული სივრციდან საუკუნენახევრის განმავლობაში. ლათინური ამერიკის

მწერალთა ნაწერებში რომანტიკული ტრადიციების გაცოცხლებამ დააცხრო მკითხველის ხანგრძლივი წყურვილი ფანტასტიკურის, იდუმალის, გაორებულის მიმართ, რაც ლიტერატურას, დამყარებულს ოდენ ემპირიულ ფაქტზე, კარგა ხნის განმავლობაში უგულებელყოფილი ჰქონდა. ყოფით ამბავში მიმალული უწყების შემჩნევა, ნათქვამის მიღმა უთქმელის აღმოჩენა, თვალსაჩინოში იმის დანახვა, რაც ხილულად არ მჟავნდება, ხელშესახებში იმის გამოვლინება, რაც ზედაპირზე არ შეიგრძნობა, – თუკი სამყაროს ამგვარი ხედვა, მოვლენათა და საგანთა მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ახალი არ იყო, ზოგადად, მწერლობისათვის, ყოველ შემთხვევაში, უჩვეულო იყო ავტომანქანებისა და ტელეფონების გარემოში, სადაც თანამედროვე ლიტერატურის მოქმედება ვითარდებოდა.

ცხადი და მეტყველი იყო კორტასარის გადაძახილიც იმ რომანტიკოსებთან, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნეში ოკეანის ორსავე ნაპირას ამკვიდრებდნენ რწმენას, რომ არა მარტო ლიტერატურულ ტექსტში, არამედ თავად ამბავშიც ყოველთვის მრავალშრიანობა ივარაუდება. რომანტიზმის ტრადიციათა გასაცოცხლებლად არგენტინელ მწერალს საგანგებო – არა მხოლოდ მხატვრული, არამედ, ამავე დროს, თეორიული – წვლილი მიუძღვის, რადგან მან არა მარტო თავისი ტექსტები გაჟღინთა რომანტიკოსთათვის ჩვეული იდუმალი ორაზროვნების განცდით, არამედ – ჯერ კიდევ ადრე, რომანტიკული საწყისებისაკენ ნაყოფიერ შემოქმედებით მიბრუნებამდე – წლები დაუთმო ედგარ პოსა თუ კიტსის მეცნიერულ შესწავლასა და ესპანურად თარგმნას.

ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ კორტასარის თითქმის ყველა ტექსტი დამუხტულია ამოუცნობისა და მიუწვდომელის იმ მაცდუნებელი ხიბლით, რომელიც, საფრთხის მიუხედავად, მაინც იზიდავს ადამიანს, რომელიც არ კმაყოფილდება ოდენ ემპირიული და პოზიტივისტური ხედვით, რომელსაც არ სურს, სამყაროში მხოლოდ ერთი განზომილება დაინახოს და განჭვრიტოს.

და მაინც, კორტასარის სამყარო უსიხარულო, დანისლული, მრუმე სამყაროა, სადაც ადამიანი მარტოობისა და უცაბედი, განუჭვრეტელი განსაცდელის პირისპირ

დგას. ხორხე ლუის ბორხესი, რომლის მადლიერ მოწაფედ მიაჩნდა თავი კორტასარს, თავისი უმცროსი კოლეგის ნოველათა წინასიტყვაობაში წერდა: "მთხრობელი ოსტატურად ჩაგვითრევს ხოლმე შემზარავ სამყაროში, სადაც ადგილი არა აქვს სიხარულს". ძნელია ითქვას, რომ თავად ბორხესის სამყარო სიხარულით იყოს აღსავსე, მაგრამ ის, რაც მან შენიშნა კორტასარის პროზაში, იყო ხილული სურათი იმისა, თუ როგორი გაუსაძლისი ხდება ყოფნა გარემოში, სადაც გაუჩინარებულა ვერტიკალური განზომილება, და დროში, როცა ადამიანს აღარ სურს (ან უნარი დაუკარგავს!), ყური დაუგდოს მეტაფიზიკურ ძახილს, მეტაფიზიკურ მოხმობას...

მიუხედავად იმისა, რომ "ჯილდოებში", – რომანში, რომელშიც არა მარტო საზოგადოების სხვადასხვა ფენაა ასახული, არამედ ტრფობის განსხვავებული სახეობანიც გაიელვებს, – მოქმედება არგენტინის ხმელეთსა და ზღვაზე, ბუენოს აირესის კაფესა და ხმელეთიდან არცთუ დაშორებულ გემზე ვითარდება, რომანი მაინც შეიძლება მიეკუთვნოს დისტოპიურ თხზულებათა რიგს, სადაც კაფკას მსგავს გარემოში, ადამიანს უცნობი, ანონიმური ძალა მართავს და გასაქანს არ აძლევს მის თავისუფლებასა და ნებას. პიროვნული ვაჟკაცობა თითქოსდა გაარღვევს ამ მოჯადოებულ წრეს, რომელსაც ერთი გმირის, მორელის, სიცოცხლეც ეწირება, მაგრამ რომანის ბოლოსათვის ბუნდოვანი რჩება, ღირდა კი, საერთოდ, თავგანწირვა და რა შედეგი მოუტანა მან გემის იმ დამფრთხალ ან გულგრილ მგზავრებს, რომლებიც გემის უსახური მმართველობის მიერ დაწესებულ განაწესს უმალ დაემორჩილნენ, ამბოხება საკუთარი კეთილდღეობის საფრთხედ მიიჩნიეს და ახლა კი, კვანძის მეტ-ნაკლებად გახსნის შემდეგ, მზად არიან იმ თვალხილულ სიყალბესაც დაეთანხმონ, რასაც მათ პოლიციის ინსპექტორი – მომხდარის ოფიციალურ ვერსიად – სთავაზობს.

კორტასარის "კლასობანაში", რომელიც ბევრ შემფასებელს მწერლის მთავარ ქმნილებად – და მეოცე საუკუნის ერთ-ერთ განსაკუთრებულად ღირებულ რომანად – მიაჩნია, გაკრთება სხვის მიმართ, სხვისი ტანჯვის მიმართ პასუხისმგებლობის მოტივი, რომელიც, დოსტოევს-

კის კვალობაზე, ბავშვის ტანჯვითაა გამოხატული. პატარა როკამადური მძიმედაა ავად, მაგრამ მემარცხენე იდეოლოგიებითა და სამყაროს გადარჩენის ფუჭი იდეებით შეპყრობილი პერსონაჟები, – მათ შორის, რომანის მთავარი გმირი, პარიზში მცხოვრები არგენტინელი მეოცნებე, ორასიო ოლივეირა, – რომლებიც "გველის კლუბში" არიან გაერთიანებული და მთელ დროს სნობურ-ზედაპირულ საუბრებში ატარებენ, ემოციურად გულგრილნი რჩებიან მოახლოებული განსაცდელის – ბიჭის სასიკვდილო საფრთხის – წინაშე. მაინც, ოლივეირას, ამ გატანჯული ყმაწვილის სიკვდილის შემდეგ, რომელიც მისი სატრფოს, მორჩილი და მოკრძალებული მაგას, ვაჟი იყო, მძაფრი მორალური განცდა ელის საკუთარი უგულობის გამო, რაც, შესაძლოა, ბიძგიც აღმოჩნდეს სულიერად მის გადასარჩენად... რომანი მთავრდება სამშობლოში იძულებით დაბრუნებული ოლივეირას თვითმკვლელობის მცდელობით, მაგრამ ტექსტის დასასრული მაინც ღია რჩება, რადგან მკითხველისათვის ბუნდოვანია, გმირის შინ დაბრუნება სინამდვილეს ასახავს თუ ეს მისი სიკვდილისწინა ან სულაც სიკვდილისშემდგომი ხილვაა.

შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად ქრონოლოგიური სიახლოვისა, "ჯილდოები" (1960) და "კლასობანა" (1963) კორტასარის შემოქმედებაში ორი მწვერვალიცაა და ორი ეტაპიც, მაგრამ ისინი, – არა მხოლოდ ფორმალურად, რაც ისეც თვალშისაცემია, – მწერლის ორ განსხვავებულ კულტურულ ორიენტაციასაც განასახიერებს: პირველი უფრო მეტად წინამორბედ ლიტერატურულ ტრადიციას ემყარება და მისითაა ნასაზრდოები, თუმცა აგრძელებს, ავითარებს, განაახლებს იმას, რაც რომანისტს ან მონათესავედ, ან საჭიროდ და გამოსაყენებლად მიუჩნევია, მეორე კი – ნოვატურულია, ახლად იწყებს, საფუძველს უყრის იმას, რაც მას ლიტერატურულად ჩამოსაყალიბებლად მიაჩნია, და თუნდაც ტექსტის თავისი და თავისებური კონსტრუქციით ანგრევს წრფივი თუ სწორხაზოვანი თხრობის დამკვიდრებულ, მიღებულ, აღიარებულ წესებს. თუმცა ლიტერატურაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ბევრი არაფერია ახალი და ის გამორჩეული და გავლენიანი მწერალიც, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს სიახლეს ამკვიდრებს, სინამდ-

ვილეში – უმეტესწილად – სიცოცხლეს აძლევს იმას, რაც შესაძლოა, უკვე მიგნებული, აღმოჩენილი, ნაპოვნი ჰქონდა რომელიმე უღიმღამო, მივიწყებულ ან არაფრით გამორჩეულ ლიტერატორს. ლიტერატურული მიგნებანი, სხვათა შორის, ყოველთვის პერიფერიაზე ჩნდებიან, მაგრამ ლიტერატურის ცენტრალური ფიგურები ანიჭებენ მათ ან საყოველთაოობას, ან გავრცელების უნარს, ან, – უფრო იშვიათად, – სრულყოფილებას, რაც ამ მიგნებას საბოლოოდ გაუკვალავს გზას ლიტერატურულ სივრცეში.

ღირსშესანიშნავია, რომ როგორც თემატურად, ისე პოეტიკურად კორტასარის შემოქმედება არასოდეს ტრიალებდა ერთი, აკვიატებული ღერძის ირგვლივ და მწერალი თითქმის ყოველთვის ახერხებდა, ზედმეტად არ ესარგებლა მის მიერ აღმოჩენილი თუ ყურადღებამიპყრობილი თემით ან ხერხით. მისი ნაწერების განსხვავებულობასაც და სიახლესაც ყოველთვის განაპირობებდა სწრაფვა ახალ-ახალი შემოქმედებითი მიზნების ხორცშესასხმელად, განსახორციელებად, განსასახოვნებლად.

და კიდევ, ხულიო კორტასარი ერთი იმ მცირეთაგანია, რომელმაც მეოცე საუკუნის ლიტერატურა ღირებული და ნაყოფიერი ექსპერიმენტებით გაამდიდრა: "ჯილდოებში" ამგვარი მცდელობაა პროზაულ თხრობაში ჩართული პოეტურ-ლირიკული შინაგანი მონოლოგები, რომელიც რომანის პერსონაჟს, პოეტ პერსიოს, ეკუთვნის და რომელსაც მკითხველი გაჰყავს მოქმედების შემზარავი, შემაძრწუნებელი გარემოს მიღმა; "კლასობანაში" მწერალი უჩვეულო, შემდგომ ფართოდ გახმაურებულ მეთოდს იყენებს: მკითხველს შესთავაზებს და მიანდობს რომანის თავებად დალაგებას, თუმცა თავადაც წარმოადგენს თავების თანმიმდევრობის ავტორისეულ ვერსიას თუ ვერსიებს; "62. ასაწყობი მოდელი" (1968) იმგვარადაა გადმოცემული, რომ თხრობისას მოულოდნელად, მკითხველის "გაუფრთხილებლად" იცვლება მთხრობელის პირი: პირველი პირი უცებ მესამეში გადადის, მესამეს მეორე ენაცვლება, მეორეს – ისევ პირველი და ასე შემდეგ (პირთა ამგვარ მონაცვლეობას მანამდე მიმართა ვლადიმირ ნაბოკოვმა რომანში "ძღვენი")...

* * *

ხულიო კორტასარს წიგნი უსაფრთხო თავშესაფრად მიაჩნდა, თუმცა მან ისიც იცოდა, რომ წიგნი არა მხოლოდ უშფოთველობის სავანე შეიძლებოდა ყოფილიყო, არამედ საფრთხის წყაროც და ის, ცხოვრებაში შემოჭრილი, ხშირად სასიკვდილო ხიფათითაც ემუქრებოდა ადამიანს. კორტასარის ნოველისტიკის ერთ-ერთ შედევრში "ბაღების უწყვეტობა" ნოველის გმირი, დიდი სახლ-კარის პატრონი, მწვანე სავარძელში ჩამჯდარი, გატაცებით კითხულობს წიგნს, როცა მოულოდნელად აღმოჩნდება, თუ როგორ შემოჭრილა წიგნის სამყაროდან რეალურ სამყაროში ის მკვლელი, რომელიც სატრფოს მეუღლის მკვლელობისათვის ემზადება და როგორ უახლოვდება, ხანჯლით ხელში, მწვანე სავარძელს, რათა წიგნის მკითხველი მამაკაცი სიცოცხლეს გამოასალმოს...

კორტასარის რომანებისა და ნოველების გაცნობა ნამდვილად ადრე ჯობს, – რაც შეიძლება ადრე, – რათა დაგვიანება გულდაწყვეტად არ იქცეს: საქმე ისაა, რომ კორტასარის წიგნების წაკითხვის შემდეგ უფრო ადვილი ხდება სამყაროს კითხვების წინაშე დგომა, და აღარც იმდენად სახიფათო მუქარას ატარებს უხმაურო მშფოთვარება.

2004

ვინც პორტუგალიურად წერდა

ლუიშ დი კამოინში
ფერნანდუ პესოა

78

ლუიშ დი კამოინში:
ზღვის უწყების პოეტური ძეგლი

ლუიშ დი კამოინში
Luís de Camões
(Luís Vaz de Camões)
1524-1580

10 ივნისი პორტუგალიაში ეროვნული დღესასწაულია: კამოინშის დღე. მიჩნეულია, რომ სწორედ ამ დღეს, 1580 წელს, გარდაიცვალა ლუიშ დი კამოინში, – საყოველთაო აღიარებით, ყველაზე დიდი პოეტი იმათ შორის, ვისაც როდისმე პორტუგალიურად უწერია. თუმცა თავისთავად ეს თარიღიც ისევე საეჭვო და დაუდგენელია, როგორც პოეტის დაბადების წელი და როგორც მრავალი სხვა ფაქტი პოეტის ბიოგრაფიიდან, რომლებიც, ამისდა მიუხედავად, მსუბუქად და უმტკივნეულოდ გადადის ერთი მიმოხილვიდან, ცნობარიდან, სახელმძღვანელოდან თუ ენციკლოპედიიდან მეორეში. საგულდაგულო დაკვირვებისას კი ეს მონაცემები უფრო მეტად რომანტიკულ-სიმბოლური ლეგენდის ფრაგმენტებს ჰგავს და სინამდვილეში, როგორც აკადემიური კვლევანი ასკვნის, მეტად იშვიათად დასტურდება დოკუმენტურად.

აქ უჩვეულო არაფერია, რაკი კლასიკოსებს, ძირითადად, ასეთი ბედი ხვდებათ წილად: საერთოსახალხო თუ ხალხური ცნობიერება დაჟინებით მოითხოვს ეროვნული პოეტის, – ისევე, როგორც, ზოგადად, ეროვნული მოღვაწის, – ასავალ-დასავლის არა მხოლოდ ხელმისაწვდომ წარმოდგენას, არამედ ამ ბიოგრაფიული მოდელის სიახლოვესაც პოეტის იმ იდეალურ სახე-პარადიგმასთან, რომელიც კონკრეტულ დროში თუ კონკრეტულ გარემოში ყალიბდება და რომელსაც უმთავრესად ისინი აყალიბებენ, ვისაც კლასიკური ტექსტი, – ბუნდოვანი ბიოგრაფიის ავტორის მიერ შექმნილი, – ან ხელთ სჭერია, ან ეს ტექ-

სტი სადმე უსწავლია, ანდა მასზე ყურმოკვრით როდის-მე რამე გაუგონია. ტექსტი ტექსტად, მაგრამ ეროვნული "პანთეონის" წევრობისათვის აუცილებელია ამ წევრის ვინაობის საკმაოდ მკაფიო მონახაზი, – თუნდაც არცთუ მცირედ დაშორებული რეალურ ისტორიულ სურათს. კლასიკოსთა ბიოგრაფიის შეთხზვის მით მეტი ასპარეზი ჩნდება მაშინ, როცა საბუთებრივი მონაცემები მეტად მწირია, – როგორც, ვთქვათ, კამოინშის, ჰომეროსის ან თუნდაც რუსთველის შემთხვევაში... ამავე დროს, გარდაუვალი ხდება მითოსურ-ფოლკლორული შევსება და გაჯერება იმ მცირედისა, რაც ლეგენდური პოეტის ცხოვრების შესახებ პირველწყაროებიდანაა ცნობილი. ასე იყო ყველგან, ასე იყო პორტუგალიაშიც და ასე მოხდა, როცა კამოინშის ცხოვრების ნამდვილი შემთხვევები თქმულებებს, გადმოცემებს, წარმოსახვას გადაეჯაჭვა...

სწორედ რომანტიკულ-სიმბოლური იერი დაჰკრავს ამ ბიოგრაფიას, საიდანაც მკრთალად გამოჭვივის ისტორიული სანდოობა: პოეტი ნიშანდებულია უკვე გამორჩეული წარმოშობითაც, რაკი იგი ყველაზე სახელმოხვეჭილი პორტუგალიელი მოღვაწის, მოგზაურ ვაშკუ და გამას, ნათესავია; დედისერთა ლუიშის ოჯახი დიდებულთა ფენას ეკუთვნის, ხოლო პირვანდელი განათლება, რომელსაც ყმაწვილი ეზიარება, დომინიკურ-იეზუიტურია; ცოდნის გასაღრმავებლად არჩეულია, რა თქმა უნდა, ქვეყნის უძველესი და საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი – კოიმბრის უნივერსიტეტი, სადაც სწავლას დაწაფებულ მოწაფეს მოძღვრად დაუდგება ბიძამისი, მონასტრის წინამძღვარი და სასწავლებლის კანცლერი (თუმცა უნივერსიტეტის სტუდენტთა იმდროინდელ ნუსხაში კამოინშის გვარი ძნელად მოსაძებნი აღმოჩნდა); ღვივდება და წყდება მხურვალე მეგობრობა ადრეულად დაღუპულ ანტონიო დე ნორონიასთან, გრაფ დე ლინიარესის ვაჟთან (მის ხსოვნას უძღვნის პოეტი "ოქტავებს ქვეყნიერების უსამართლო წყობის გამო"); გულმოკლული კამოინში შემდგომ – უკვე ლისაბონში – ვნებიანი სიყვარულით აღენთება ვინმე დიდებული ქალის მიმართ, რომელიც თითქოს მეფესთან დაახლოებული ოჯახის წარმომადგენელია, ან, ეს შორეული სატრფო, შესაძლოა, მეფის ნახევარდა, ინ-

ფანტა მარიაც კი იყოს; ტრფიალს, – მით უმეტეს, ფარულ ტრფიალს, – ბუნებრივად უკავშირდება შემოქმედებითი აღმაფრენაც: დამწყები პოეტი თავის პირველ ლირიკულ და დრამატულ ნაწარმოებებს სამეფო კარზე წარადგენს; აკრძალულ სიყვარულს მეფის, იოანე მესამის, სასტიკი რისხვა მოჰყვება (რაც ისტორიულად ვერ დასტურდება); სიყვარულში ხელმოცარული ჭაბუკი პოეზიას თავს არ ანებებს (სიცოცხლის ბოლომდე!), მაგრამ ან ტრფობისაგან განსაკურნებლად, ან მხედრულ სიმამაცეთა გამოსაჩენად, ან, ზოგიერთი ვერსიით, სიღატაკიდან თავის დასაღწევად ტოვებს დედაქალაქს და ბრძოლის ველს მიაშურებს, – თითქოს მაროკოში, სადაც გააფთრებული შეტაკებისას ცალ თვალს დაკარგავს; ლისაბონში დაბრუნებულ პოეტს ახალი რისხვა დაატყდება თავს, მაგრამ ამჯერად არა მეფისა, არამედ კანონისა, – სასჯელის სახით: შუაღამით, ქუჩაში ატეხილი აყალმაყალისას, იგი სიკვდილის პირზე მიიყვანს მეფის მეუზანგეს, რის გამოც საპყრობილეში ამოყოფს თავს, მაგრამ მისი რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ ხელმწიფე დიდსულოვან მოწყალებას გამოიჩენს და დატუსაღებულ მეომარს თავისუფლებას მიანიჭებს, ოღონდ ნაცვალსაგებად ინდოეთში, პორტუგალიურ სამფლობელოში, გოაში, გააწესებს (ზოგიერთი წყაროს თანახმად, ეს თავად პოეტის სურვილის ნებაყოფლობითი აღსრულება იყო და არა სასჯელი); ბოლოს და ბოლოს, კამოინში, სხვადასხვა ლაშქრობებში მონაწილეობით გადაქანცული, არცთუ დასაბუთებული მოსაზრებით, თითქოს ჩინეთში, პორტუგალიურ სამფლობელოში, მაკაოში, ხელსაყრელ სამოხელეო თანამდებობასაც მიაღწევს – "გარდაცვლილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ქონების გამგებელი" გახდება; მალე გაფლანგვის ბრალდებით მას ისევ ციხეში უკრავენ თავს, ან, შესაძლოა, რამდენჯერაც კი, მაგრამ, პატიმრობიდან თავდახსნილს, აღმოსავლეთში ჩვიდმეტწლიანი – არცთუ წარმატებული – ყოფნის შემდეგ მას ისევ პორტუგალიისაკენ გაუწევს გული (თუმცა მანამდე, ერთი ძველი რომაელის სიტყვების დამოწმებით, შეჭირვებული პოეტი ასე დაიქადებს: "ო, უმადურო სამშობლოს მიწავ, არ გეღირსება შენ ჩემი ძვლები!"); ევროპისაკენ მომავალ (ან,

სხვა ვერსიით, ჩინეთიდან ინდოეთს მიმავალ) ყოფილ მეომარს და ყოფილ მოხელეს მძვინვარე ქარიშხალი გემს დაულეწავს და მას მანამ მოუწევს ცურვა, სანამ ფეხქვეშ ხმელეთს იგრძნობს; პოეტის გადარჩენის შთამბეჭდავი სურათი პოეზიის გადარჩენის სიმბოლოდ იქცევა: ცურვისას ლუიშ დი კამოინშს შემართულ ხელში თავისი პოემა "ლუზიადები" უპყრია, – ისე უჭირავს, რომ წყალმა არ დაასველოს, ზღვამ არ შთანთქას, დრომ არ წარიტაცოს; იგი ჯერ აფრიკაში, კონტინენტურ მოზამბიკში თუ კუნძულ მოზამბიკზე აღმოჩნდება, შემდგომ კი, – სრულიად გაძარცული, – მშობლიური ლისაბონის სანაპიროზე მოიბრუნებს სულს; სამეფოს დედაქალაქში 1572 წელს პოემა წიგნად იბეჭდება, რაც ხილულად და უტყუარად დასტურდება, ისევე, როგორც ის, რომ პოეტი შრომის საზღაურად პორტუგალიის მეფისაგან, თვრამეტი წლის სებასტიანე პირველისაგან, – რომელსაც ეძღვნება ნაწარმოები, – სიცოცხლის ბოლომდე მწირ ყოველთვიურ პენსიას მოიპოვებს; ერთი ლეგენდის მიხედვით, მას მაინც იმ პატარა მოზამბიკელი მსახური ბიჭის მათხოვრობით უხდებოდა თავის რჩენა, რომელიც მან აფრიკიდან ჩამოიყოლა; მიწიერი ცხოვრების მიწურულს იგი თითქოს ჭაბუკი ხელმწიფის მხარდამხარ იბრძვის და საომარ ასპარეზზე, მეფესთან ერთად, გმირულად ეცემა, ანდა, სხვა გადმოცემით, ყველასაგან მიტოვებული კამოინში სიღარიბესა და მარტოობაში ემშვიდობება წუთისოფელს; ასე მოხდა თუ ისე, ქვეყნის ყველაზე დიდი მესიტყვის სიკვდილი, ამავე დროს, ისტორიულადაცაა შეფერილი: მომაკვდავი პოეტი – სიცოცხლის დასრულებამდე რამდენიმე თვით ადრე – ხედავს ესპანელთა გაბატონებას თავის სამშობლოში და პორტუგალიის სამეფოს დაცემას.

ბრძოლის ველზე გაუჩინარებულ მეფე სებასტიანეს კი, რომელსაც 25 წლამდე სიცოცხლე არ დასცალდა, კიდევ დიდხანს ელოდნენ პორტუგალიელები: სჯეროდათ, რომ ჭაბუკ ხელმწიფეს, – ალბათ, სადმე გამოქვაბულში, – ღრმა ძილით სძინავს, უეჭველად გამოიღვიძებს და ქვეყანას თავისუფლებას მოუტანს.

კამოინშის ხალხური ბიოგრაფია, – რომელიც სინამდვილეს ირეკლავს და არც ირეკლავს, – რა თქმა უნდა,

გახალისებულია რამდენიმე სატრფიალო გატაცებითაც (როგორც მრავალგზის მომხდარა, ლეგენდათა საყრდენად გამოდგა სამიჯნურო ლირიკაც, თუმცა ეს ლექსები, სიმართლე რომ ითქვას, არა იმდენად რეალურ მოვლენებს, რამდენადაც ალეგორიულ-მისტიკური მიმართულების ლიტერატურულ ტრადიციებს ეფუძნება): ამ თქმულებათა შორისაა სიყვარული ჩინელი ქალის მიმართ, რომელიც თითქოს იმ დროს დაიხრჩო, როცა გემის ჩაძირვისას "ლუზიადების" შემქმნელი თავისი პოეზიის გადასარჩენად ზრუნავდა. პოეზიას ამჯერადაც მსხვერპლი დასჭირდა...

და კიდევ, პოეტის პორტრეტი: კამოინშის ყველა გავრცელებული გამოსახულება მას ცალთვალად წარმოსახავს. თითქოსდა მისი ეს ხინჯი საბრძოლო თავდადებას უკავშირდება, მაგრამ ასეთი წვრილმანი ხომ კიდევ ერთ მეტყველ ნიშანს ჰმატებს იმ კანონიკურ სახეს, როგორითაც თაობათა წინაშე წარმოდგება კლასიკოსი პოეტი: საკუთარ თავში ჩაღრმავებული, გარინდებული, გარე მზერიდან შინაგანი მზერისაკენ მიპყრობილი, – ბრმა ან ნახევრადბრმა, ანდა ცალთვალა. ასეთია კამოინში, ასეთია ჰომეროსი, მილტონი, გურამიშვილი...

ლუიშ დი კამოინშის პოეზია მართლაც სიღრმისაკენ მსწრაფი ადამიანის მცდელობის ნაყოფია, – განაზრებისა და გამოხატვის მცდელობისა, და იმგვარი სიღრმისაკენ სწრაფვისა, რომელიც სამყაროს კანონზომიერების ამოცნობას ლამობს და რომელსაც სამყაროს წესრიგში ქვეყნისა თუ პიროვნების საკუთრივი ადგილის მიგნება გადაუწყვეტია. ასეთია მისი ლირიკაც და ასეთია მისი ეპოსიც, მაგრამ ერთიცა და მეორეც დიად წინამორბედებს ემყარება და მათს ნაფიქრსა და სათქმელს გარდათქვამს, აგრძელებს, ავსებს, ახლებურად – და ეროვნული კულტურისათვის განსაკუთრებულად – წარმოაჩენს. თუ კამოინშის ლირიკა, რომელიც გარეგნულად რენესანსული ნიმუშების კალაპოტს არ სცილდება, ტრფობისმიერი აღფრთოვანებისა და სევდისმიერი ტკივილის ჩვეულ მოტივებს ააჟღერებს, მისი ეპოსი გმირობისა და მოგზაურობის ასახვას ეძღვნება და, კიდევ, ზებუნებრივის ჩარევას ადამიანთა ცხოვრებაში, – თავისი პოემით "ლუზიადების"

ავტორი იმ ეპიკურ მთხრობელთა გრძელ წყებას აგრძელებს, რომლის სათავეში ოდისევსის და ენეასის ზღვაოსნობათა აღმწერნი დგანან. მაგრამ ეს საზღვაო მოგზაურობანი – ჰომეროსის, ვერგილიუსის თუ კამოინშის მიერ დანახული და წარმოსახული – თვითშემეცნების, საკუთარი თავის გაგების ხერხი და საშუალებაა, ხოლო ის, ვინც შეიმეცნებს, – თვითშემმეცნებელი, – შეიძლება ერთეული პიროვნებაც იყოს, ერთეული ეთნოსიც და მთლიანი ქვეყანაც.

კამოინშის შემოქმედების – და, საერთოდ, პორტუგალიური ლიტერატურის – აღიარებული მწვერვალი, ვრცელი ეპიკური პოემა "ლუზიადები", ავტორის ჩანაფიქრით, მიზნად ისახავს მითოსური ლუზუსის მემკვიდრეთა, ანუ პორტუგალიელთა, ვინაობისა და ისტორიული ადგილის გაგებას, მათი გმირული ამბების – ბრძოლებისა და დაპყრობების – განგებისმიერი მნიშვნელობის გააზრებას, ამ მეომარი და მოგზაური ხალხის წარსულის შეფასებასა და მომავლის განჭვრეტას, ხოლო გარდასულის ხლართებსა და მომავლის მისანიშნებლებში გზის ამგვარი გაკვალვა, ძიებაც და ძიების შედეგიც, ლიტერატურულ სიტყვად ქცეული, პორტუგალიელთა (და რამდენადმე, აგრეთვე, ბრაზილიელთა) ეროვნული ცნობიერების საფუძველმდებ ქვად დაიდება.

პოემა აღწერს კამოინშის ლეგენდური წინაპრის, ვაშკუ და გამას, მოგზაურობას, ოკეანეათა გავლით, საზღვაო გზის გასაკვალავად პორტუგალიიდან ინდოეთისაკენ, მაგრამ გზადაგზა პოეტი ლუზუსის შვილთა მრავალსაუკუნოვან საგმირო ამბებს მოუთხრობს მკითხველს, – უფრო ზუსტად, მოგზაურნი მოუთხრობენ გზად შეხვედრილ ადგილობრივ მკვიდრთ (ღირსშესანიშნავია, რომ პაულუ და გამა, ადმირალის ძმა, კალეკუტის მბრძანებელს უხსნის იმ ფიგურებისა და სიმბოლოთა რაობას, რაც პორტუგალიურ ალმებსა თუ ბაირაღებზეა გამოსახული, – მისი განმარტებანი არა მარტო წარმოაჩენს იმ ისტორიულ შინაარსს, რაც ნიშანდებულია, ანუ რაც ნიშნების სახითაა მოწოდებული, არამედ, შეფარულად, ნიშანთა ენის წაკითხვის ოსტატობასაც გადმოგვცემს და გვასწავლის!). მაშინაც, როცა პოემის სტროფები ხალხის ჰეროიკულ-

ლეგენდურ წარსულს აცოცხლებს და მაშინაც, როცა ნაწარმოების მსვლელობისას ზღვაოსანთა ცხოვრებაში ანტიკური ღმერთები მეტად ქმედითად ერევიან, – ხელს უშლიან, ამხნევებენ თუ მხარს უჭერენ ხომალდზე მყოფ მოგზაურთ, – პოეტის თხრობა, რა თქმა უნდა, მითოსურ სივრცეში მიედინება. მაგრამ თავად მგზავრობის აღწერილობა, და ამ გზაზე თავსგადამხდარი ფათერაკები რეალურ, კონკრეტულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ემყარება, – პოეტის პირად გამოცდილებას: კამოინშიც სწორედ ამ საზღვაო გზით გაემგზავრა ინდოეთისაკენ, – იმ გზით, რომელიც მისმა წინაპარმა, დომ ვაშკუმ, პირველმა გაკვალა. ამდენად, პოემის ფურცლებზე რეალური განზომილება მითოსურ განზომილებას ერწყმის, ხელშესახები არ იმიჯნება ჭვრეტისმიერისაგან, საზოგადო მონაპოვარს საკუთრივი მონაპოვარი ავსებს, რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ "ლუზიადების" მხატვრულ სამყაროში მკაფიოდ ირეკლება ნამდვილი სამყაროს ერთიანობა, – ერთობლივი, განუყოფელი და გაუსხლეჩელი მთლიანობა.

რაკი პოემის მანძილზე ანტიკური ღმერთები თვალმოუხუჭავად და დაუღალავად მონაწილეობენ გმირთა ცხოვრებაში, მაგრამ რაკი მთხრობელმაც თუ მკითხველმაც კარგად იციან, რომ არც ბაკქოსი არსებობს რეალურ ყოფაში, არც ვენუსი და არც იუპიტერი, – არ გაჭირდება იმის ამოცნობა, თუ რისი თქმა სურს იგავურად პოეტს: რომ ხილულ, მიწიერ ხდომილებებს უხილავი, მიღმიერი წყობა წარმართავს, ხოლო ჩვენს ცხოვრებას კი სწორედ ის განგებულება განაპირობებს, რომელიც არც თვალისათვისაა მისაწვდომი და არც ხელისათვისაა შესახებად მოსახელთებელი... ადამიანი თავად არ განაწესებს თავისი ცხოვრების სვლას, ან, უფრო სწორად, იგი არაა ის ერთადერთი, რომელიც თავად წყვეტს საკუთარ ხვედრს... სამყაროს წესრიგში ადამიანის ამგვარი – კამოინშისეული – ხედვა უჩვეულოცაა და გამორჩეულიც, რაკი პორტუგალიელი პოეტი, მეტ-ნაკლებად, მაინც რენესანსულ ფილოსოფიასა და ლიტერატურას ეფუძნება, ამ კულტურის კალაპოტშია ჩამოყალიბებული, ხოლო თავისი თვალსაზრისით კი იგი მკვეთრად ემიჯნება რენესანსულ მსოფლმხედველობას, რომელიც ქვეყნიერების ცენტრში

ადამიანს წარმოსახავდა, – საკუთარი ბედისწერის, საკუთარი აწმყოსა და მომავლის განმსაზღვრელ პიროვნებას, და, კიდევ მეტი, საკუთარი თავის შემოქმედს. კამოინში კი, ახლობელ წინაპართა და უფროს თანამედროვეთაგან განსხვავებით, არათუ არ უგულებელყოფს, არამედ თვალს არ აცილებს სამყაროს ვერტიკალურ ღერძს, რომელთან მიმართებაშიც ეძებს იგი ადამიანის ადგილს, და მას ისიც საღად გაუცნობიერებია, იმასაც გონივრულად მიმხვდარა, რომ ეული ადამიანი არ განაგებს თავის ბედს, რომ იგი არ დგას სამყაროს შუაგულში, რომ იგი არაა სამყაროს შეუცილებელი ბატონ-პატრონი.

ამიტომ ბუნებრივად ჩანს, რომ კამოინშის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი მის ლირიკაში, მტანჯველად და შეუფარავად გაცხადდა რენესანსული, ეგრეთ წოდებული "ტიტანური" ადამიანის ტრაგედია – მისი კოსმოსური გულდაჯერების მსხვრევა, ცხადად გამომჟღავნდა ადამიანური არსების მეტაფიზიკური სისუსტის აღიარება, ყოფითი გაწბილება და გულგატეხილობა თავს დამტყდარ თუ მოსალოდნელ განსაცდელთა გამო, იმის გამო, რომ ამ ქვეყნად დაუძლეველი ბოროტება ბატონობს და რომ მარტოხელა ადამიანი უძლურია მასთან გასამკლავებლად. პოეტის სტროფებს მოუშორებლად მსჭვალავს სევდა, – შედეგი მძაფრი განცდისა, თუ რამდენად გარდაუვალია ტკივილი, რომელსაც ატარებს დრო, წუთისოფელი, წარმავალობა, ადამიანის ხვედრი.

ამგვარი ზოგადი ხედვა კი არსებითად გადასინჯავს, გადაიაზრებს ადამიანის იმ ცენტრალურ და შეურყეველ ადგილს სამყაროში, რომელიც მას რენესანსმა მიანიჭა, აქედან გამომდინარე, რენესანსული – ხან გულუბრყვილო, ხან კი შეგნებული – ღმრთისმებრძოლური განაზრება-განზრახვანი ვერ პოვებს ვერანაირ გამოძახილს ვერც კამოინშის გონებასა და გულში, ვერც მის ლექსებსა და პოემაში. პოეტის ესოდენი ყურადღება სალმობისა და სიკვდილის, განგების ძალისა და ადამიანის შებოჭილობის მიმართ ბუნებრივად მეტყველებს, თუ როგორი გამოტანჯული დაეჭვებით აღიქვამს იგი ოდენ საკუთარ შეძლებას დაყრდნობილი პიროვნების – თითქოს დაუბრკოლებელ და თითქოს დაუსაზღვრავ – აღზევებას. კამოინ-

ში ამიტომაც უთუოდ სჯობნის თავის ლიტერატურულ და ფილოსოფიურ წინამორბედებსა თუ მასწავლებლებს საღი განსჯითაც, გონიერებითაც, შორსმჭვრეტელობითაც, სულიერი პატიოსნებითაც. არაა ძნელი ითქვას, რომ პოეტს ბევრი აღარაფერი აკავშირებს რენესანსულ კულტურასთან და რომ მისი ხედვაც, მისი პოზიციაც, მისი ესთეტიკაც მას ბაროკოს წინამორბედად ან, კიდევ მეტი, ერთ-ერთ მესაძირკვლედაც წარმოაჩენს, განსაკუთრებით პორტუგალიურ ლიტერატურაში. ბაროკოს კი, რენესანსისაგან განსხვავებით, უფრო მეტი სიღრმეც გამოარჩევს, უფრო მეტი მგზნებარებაც, რელიგიური განცდისა და აღქმის უეჭველად უფრო მეტი სიფაქიზეც.

ღირსშესანიშნავია, რომ კამოინშის პოეზიაში ასახული სატრფიალო გრძნობებიც განსხვავებულია რენესანსული სიყვარულისაგან, რომლის გზა ალეგორიულობიდან, ქარაგმულობიდან რეალიზმისაკენ მიემართება. ბაროკო კი თავის მხატვრულ სივრცეში სამყაროს გამოხატვის უმთავრეს იარაღად იყენებს სწორედ ალეგორიას, იგავს, ემბლემას, სიმბოლოს, რომელთაც სათქმელისათვის სახის მინიჭების განმსაზღვრელი დანიშნულება ენიჭება, – იმდენად და იმგვარად, როგორც მანამდე, ალბათ, არასოდეს სიტყვიერ თუ სახვით ხელოვნებაში. ის სატრფიალო ლირიკაც, რომელიც მრავლად შემონახულა ლუიშ დი კამოინშის სახელით (თუმცა მათი ავტორობის საკითხი – მნიშვნელოვანწილად – დღემდე დიდ კამათს იწვევს მკვლევართა შორის), შორსაა რეალური სიყვარულისა და რეალური სატრფოს აღწერისაგან, რაკიღა ის, უწინარეს ყოვლისა, მეტაფიზიკურ და მისტიკურ ფარულ შინაარსს ირეკლავს. ამიტომაც ეს გზა სხვაგვარ გეზს იღებს, – რენესანსულის საპირისპირო მიმართულებას მიჰყვება: რეალური მხოლოდ ბიძგად გამოდგება იდუმალის მისაწვდომად, რეალური მხოლოდ იმის გამოხატვას ემსახურება, რაც მის მიღმა შეფარულა...

გასაკვირი არაა, რომ პოეტმა – როგორც სულიერად, ისე პოეტიკურად – ნაყოფიერად ისაზრდოვა პლატონური თუ ახალპლატონური ფილოსოფიიდან ნასესხები მოტივებით: სწრაფვა სატრფოს სილამაზისაკენ სინამდვილეში იდეალური, უსხეულო სილამაზისაკენ სწრაფვაა; დაუოკე-

ბელი ვნება და მიდრეკილება იმის მიმართ, რაც სრულყოფილია, სულის აღზრდას ემსახურება; შეყვარებულს მოშორებული სამშვინველის წუხილი და ჭმუნვა არამიწიერი სამშობლოს მონატრების მინიშნებაა; ერთადერთი რჩეულის მოლოდინის, მასთან შეხვედრის, მასთან დაშორების სურათები – მისტიკისა და პოეზიის ენაზე – სულის მზადყოფნის, აღტაცებისა და დაცემის ასახვაა... ამ შემთხვევაში, შორეული სუფიურ-ბჰაკტიური პარალელების მოხმობის გარეშე (მიუხედავად იმისა, რომ ერთიცა და მეორეც, რომლებიც ისლამურ და ჰინდუისტურ ნიადაგზე ჩამოყალიბდა, იმავე პლატონურ-ახალპლატონურმა სულისკვეთებამ გააღვივა), უპრიანი იქნება ყურადღების მიპყრობა იმ შინაგანი ახლობლობისათვის, იმ ტრადიციისმიერი გადაძახილისათვის, რითაც პორტუგალიელი პოეტის თვალშისაცემი ნათესაობა მჟღავნდება ბერნარ კლერვოელთან, ხუან დე ლა კრუსთან, დავით გურამიშვილთან...

თავისთავად, კამოინშის პოეტური თუ პიროვნული გავლენა მოულოდნელად ფართო აღმოჩნდა, – მოულოდნელი პორტუგალიური ენის არცთუ ფართო გავრცელების გათვალისწინებით (თუმცა მცირე დრო დასჭირდა როგორც ლექსების, ისე "ლუზიადების" მრავალრიცხოვანი თარგმანების გაჩენას სხვადასხვა ევროპულ ენაზე). პოეტის, – ბედუკუღმართი მებრძოლისა და შთაგონებული მესიტყვის, – სახეში ერთმანეთს შეერწყა ლეგენდური ბიოგრაფია და დიადი პოეზია, მგზნებარე მგოსანი და დინჯი მთხრობელი, პორტუგალიური ეროვნული ცნობიერების მესაძირკვლე და ჰომეროსისა თუ ვერგილიუსის სადარი ევროპელი ეპიკოსი. ხოლო ეს სახე, – სიმბოლური ფიგურა ტანჯული და დევნილი პოეტისა, – კულტურულად შთამაგონებელი გახდა როგორც მის სამშობლოში, როგორც პორტუგალიურენოვან ბრაზილიაში, ისე იქიდან საკმაოდ შორსაც, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში – ვასილი ჟუკოვსკისათვის (დრამატული პოემა "კამოინში"), თუნდაც მეოცე საუკუნის გერმანიაში – რაინჰოლდ შნაიდერისათვის (ესეისტური ტრაქტატი "კამოინშის სალმობანი, ანუ პორტუგალიური ძალმოსილების დაცემა და სისრულე")...

კამოინში დარწმუნებული იყო, რომ მის სამშობლოს განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა მსოფლიოს მომავლისათვის, რომ სწორედ მის ქვეყანას უნდა უზრუნველეყო ქრისტიანული ცივილიზაციის გავრცელება დედამიწის შორეულ კუთხეებში: აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში... მაგრამ მომაკვდავი პოეტი თავად შეესწრო პორტუგალიის დიდების დაისს, მისი ისტორიული დანიშნულების მოლოდინთა სრულ გაცამტვერებას. მოახლოებული სიკვდილის პირისპირ, იგი ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ლუზუსის შვილთა საკაცობრიო როლი დროთა მსვლელობაში უკეთ გამოიკვეთებოდა და, ანაზდად და მოულოდნელად, სწორედ "ლუზიადების" შემქნელის პოეტური სტროფების წყალობით: პორტუგალიელთა ყველაზე ცოცხალი და ყველაზე ქმედითი გავლენა მსოფლიო კულტურაზე ლუიშ დი კამოინშის პოეზიის გავლენა აღმოჩნდა (ამ თვალსაზრისით, მეთექვსმეტე საუკუნის პოეტს შემდგომში, – მეოცე საუკუნეში, – რა თქმა უნდა, ფერნანდუ პესოაც ამოუდგა გვერდით). შეიძლება რიტორიკულად ითქვას, რომ კამოინში სხვადასხვა ქვეყნის მკითხველს უკვე მეხუთე საუკუნეა, – დღევანდლამდე, – პორტუგალიურად მიმართავს.

მაგრამ "ლუზიადების" ფურცელებიდან იგი გულწრფელად და მგზნებარედ იმდროინდელი მსოფლიოს მმართველებსაც მიმართავდა, ხოლო მისი ერთი ამგვარი მოწოდება ამჟამადაც (და ჩვენთვისაც) საგულისხმოა! მართალია, პოემის მოქმედების ასპარეზი მოიცავს აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, მაგრამ პოეტი არც მათ საზღვარს ივიწყებს, უფრო სწორად რომ ითქვას, მან კარგად იცის, სად გაატაროს მიჯნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ევროპასა და აზიას შორის: ეპოსის მეშვიდე სიმღერის მეცამეტე სტროფში პოეტი უსაყვედურებს ევროპელ ხელისუფალთ, რადგან ისინი ყურს არ ათხოვებენ დახმარებისათვის მხურვალედ მღაღადებელ, მეზობელ დამპყრობელთა ბატონობისაგან გატანჯულ ბერძნებს, თრაკიელებს, სომხებს, ქართველებს ("Gregos, Traces, Arménios, Georgianos")... პოეტი შეახსენებს ევროპის ძლიერი ქრისტიანული ქვეყნების მმართველთ, რომ მტარვალთა უღლისქვეშ მგმინავნიც, – თუნდაც მოშორებულნი, – ევროპელები არიან და ევროპელთა უთუო

მზრუნველობას იმსახურებენ; ამავე დროს, იგი მიმართავს – და თანაც არცხვენს – იმათ, ვინც საკუთარ თავკერძა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მცირე ხალხთა მჩაგვრელებთან გარიგებულან, რის გამოც განსაცდელში მიუტოვებიათ, მტრისათვის შეუტოვებიათ ევროპისაგან დახმარების მომლოდინე ერები, – მათ შორის, ქართველები... დასტური არ სჭირდება, რომ კამოინშის პოეზია, ამ თვალსაზრისითაც, ისევ მწვავე და ცოცხალია!

* * *

ყოველთვის ძნელი განსასაზღვრია, რამდენად ასახავს პოეტის შემოქმედება თავად შემოქმედის ცხოვრებას ან გარემოს. კამოინშის შემთხვევაში ამგვარი დასკვნის გამოტანა კიდევ უფრო რთულდება იმიტომაც, რომ, ჯერ თავისთავად, კულტურის დიადი ტექსტები თავიანთი დროისა და გარემოს გარეშეც აგრძელებს სიცოცხლეს, ხოლო ყველაზე სახელგანთქმული პორტუგალიელი პოეტის ბიოგრაფია ისედაც საუკუნოვან ვარაუდებსა და წარმოსახვას ემყარება. ამიტომაც ადვილი არაა, ითქვას, რომელი რომელს განაპირობებს, რომელი რომელს ირეკლავს: "ლუზიადების" ავტორის პოეტური ფურცლების სევდიანმა ქარგამ წარმოშვა ლეგენდა მისი შემქმნელის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ თუ, მართლაც, დევნილობამ, ტანჯვამ და გაუხარელმა ყოფამ მიანიჭა პოეტის სტრიქონებს ეგზომ ტრაგიკული ჟღერადობა.

ისიც არავინ უწყის, რამდენად შეესაბამება ცხოვრებისეულ სინამდვილეს ლეგენდური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, "ლუზიადების" წერას კამოინში გემბანზე, ინდოეთის გზაზე, ზღვის შუაგულში ყოფნისას შესდგომია: პოემა, რომელიც ზღვაოსანთა საგმირო ამბებს აღწერს, ამ თქმულების თანახმად, ზღვაში დაბადებულა. თუნდაც ყოფითი სიმართლე განსხვავებული იყოს, საქმის არსი ამ შემთხვევაში სწორადაა მოხელთებული: პოემა სუნთქავს ზღვით, პოემა გაჟღენთილია ზღვის სურნელებით, მაგრამ მისი სათქმელი, ზღვაზე და ზღვიდან წარმოშობილი, სიტყვაში პოვებს უკვდავებას. კამოინშის ცხოვრების კიდევ ერთი ლეგენდა მოგვითხრობს პოეტის მიერ პოემის ხელ-

ნაწერის, – ზღვის უწყების პოეტური ძეგლის, – ზღვისთვის გამოტაცების შესახებ... წიგნი, ზღვიდან და ზღვის გამოცდილებიდან გამოტანილი, პოეტის მშობლიურ ზღვისპირა მიწაზე ურყევ სამკვიდროთაკენ მოხმობის მოციმციმე შუქურად აღიმართა, – მეზღვაურთათვის, მოგზაურთათვის, გზის მაძიებელთათვის...

პორტუგალიელთა ეროვნული ეპოსი "ლუზიადები" – ამბავი იმისა, თუ ვინ არიან ლუზუსის შთამომავალნი, პორტუგალიელები, თუ რა უქნიათ და რა შეუქმნიათ მათ – პორტუგალიის მსგავსად, ზღვას გაჰყურებს, მაგრამ ნიადაგზეც მყარად დგას და მარადისობაშიც მოუცვლელად უდგას ფეხი.

2009

79

წერილი ფერნანდუ პესოას

ფერნანდუ პესოა
Fernando Pessoa
(Fernando António Nogueira de Seabra Pessoa)
1888-1935

ფერნანდუ პესოა უკვე რამდენიმე ათწლეულის გარდაცვლილი იყო, როცა ჟორჟი დე სენამ ბარათი მისწერა ამქვეყნიდან კარგა ხნის წინათ წასულ თანამემამულესა და კოლეგას. სენა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პორტუგალიური ლიტერატურის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, – პოეტი და ნოველისტი, რომანისტი და ესეისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და მკვლევარი, – თავისი ამ რიტორიკული უსტარით უფრო აღტაცებას გამოხატავს პესოას გენიის მიმართ და, როგორც ჩანს, თავის მადლიერებასაც ადასტურებს წინამორბედის ღვაწლის წინაშე. მაგრამ ამ არცთუ ვრცელ ტექსტში, რომელსაც "წერილი ფერნანდუ პესოას" ჰქვია და რომელიც უხვადაა გაჯერებული ბრწყინვალე განაზრებებით პესოას პიროვნებისა და პოეზიის შესახებ, – და ზოგადადაც, ცხოვრებისა თუ შემოქმედების შესახებ, – მოულოდნელ ყურადღებას იქცევს ფარული დაუნანებლობა იმის გამო, რომ უმცროსი პოეტი პირადად არასოდეს შეხვედრია უფროსს. ამგვარი განწყობა მკაფიოდ არსადაა გაცხადებული, – პირიქით, სიტყვიერად თავაზიანი გულდაწყვეტაც კი გამოითქმება ამ შეუხვედრებლობის გამო, – მაგრამ ეს განცდა მაინც მუღავნდება, სულაც იმ შენიშვნისა და მინიშნებისას, რომ შესაძლო პირისპირ შეყრას ოდენ უბრალო ადამიანური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება თუ ძალუძდა... და იქვე, თითქოს სასხვათაშორისოდ, ისიცაა გამხელილი, რომ, თუნდაც სცნობებოდა ჟორჟი დე სენას ფერნანდუ პე-

სოა (პესოას გარდაცვალებისას სენა თექვსმეტი წლისა იყო), იგი მაინც ვერასოდეს გაიცნობდა ვერც ალბერტუ კაეიროს, ვერც ალვარუ დე კამპოშუს და ვერც რიკარდუ რეისუს, და ეს იმ მარტივი მიზეზის გამო, – თუმცა საქმე მეტად უჩვეულოა, – რომ ერთის, მეორისა თუ მესამის ნაწარმოებთა ავტორი ფერნანდუ პესოაა და არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს არასოდეს ჰქონია ხელშესახები არსებობა ამქვეყნად, – ისინი პოეტის წარმოსახვამ შექმნა და მათ არა მარტო განსხვავებული ლიტერატურული ტექსტები მიანიჭა, არამედ – თავ-თავიანთი ბიოგრაფიები, შინაგანი ცხოვრება, მისწრაფებანი, ხედვის თვალსაწიერი თუ სამწერლო სტილი...

პორტუგალიურ სიტყვიერებას თუ, ფართოდ, პორტუგალიურ კულტურას პესოამ არა მარტო ოთხი განსხვავებული პოეტი შესძინა, რომელთაგან კაეიროს საკუთარ მოძღვრად აღიარებდნენ კამპოშუც, რეისუც და თავად პესოაც, არამედ კიდევ სხვა მრავალი მწერალი, პოეტი, ესეისტი, კრიტიკოსი. მკვლევართა დათვლით, მათი რაოდენობა ოთხმოცს უახლოვდება ან აჭარბებს, რომელთაც ჩვეულებრივ "ჰეტერონიმებად" მოიხსენიებენ, – ცნებაც და სიტყვაც პესოას შექმნილია. მათ ის განასხვავებს საზოგადოდ გავრცელებულ "ფსევდონიმთაგან", რომლებიც ამა თუ იმ მწერლის შეცვლილ ან ჩანაცვლებულ პირად სახელს წარმოადგენს, რომ "ჰეტერონიმები" დამოუკიდებელი ლიტერატურული არსებანია, ლიტერატურული შემოქმედნი, რომლებიც არა მარტო დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ, – თუნდაც მხოლოდ ლიტერატურულ სივრცეში, – არამედ ერთმანეთს ეკამათებოდნენ, უპირისპირდებოდნენ, განსჯიდნენ, მხარს უჭერდნენ.

და კიდევ, პესოა არა მარტო ამ მრავალრიცხოვან პორტუგალიელ ავტორთა ავტორია, მათი შემქნელი (სხვათა შორის, არაერთ ახსნათა შორის ამგვარი ვარაუდიც გამოთქმულა, რომ პოეტი თავისი "ჰეტერონიმებით" იმჟამად ღარიბი პორტუგალიური ლიტერატურის გამრავალფეროვნებას და მწერალთა გამრავალრიცხოვნებას ცდილობდა), არამედ ინგლისური პოეზიის ღირსშესანიშნავი წარმომადგენელიც. ამის დასტურად თუნდაც მისი ინგლისურენოვანი პოემა "ანტინოე" იკმარებს, რომლის

წარმტაცი სტრიქონები განმსჭვალულია ღრმა და იდუმალი განცდით, ტრაგიკული ჩაფიქრებით, წარსულისა და მომავლის წარმოსახვითი ჭვრეტით...

პოეტის მიდრეკილება ინგლისური ენისა თუ ბრიტანული კულტურის მიმართ მისი ბიოგრაფიითაც იყო განპირობებული: როგორც ამბობენ, იგი ინგლისურად უფრო ფიქრობდა (და, შესაძლოა, გრძნობდა და განიცდიდა კიდეც), ვიდრე პორტუგალიურად, რადგან სიყმაწვილე და მოწიფება ბრიტანულ სამხრეთ აფრიკაში გაეტარებინა და სწავლა-განათლებაც ინგლისურად ჰქონდა შეძენილი (მათ შორის, – კეიპტაუნის უნივერსიტეტში). ისიც უნდა ითქვას, რომ მისი პირველი ლიტერატურული თხზულებები ინგლისურადაა დაწერილი.

მიუხედავად ამისა, პესოა მაინც ლისაბონში დაიბადა და ლისაბონში გარდაიცვალა; მეტიც, ზრდასრულობაში იგი მტკიცედ გაურბოდა ამ ქალაქის თუნდაც მცირე ხნით დატოვებას (აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში სამოგზაუროდ იგი მხოლოდ თავის "ჰეტერონიმებს" აგზავნიდა), მაგრამ მანამდე, იგი რვა წლისა იყო, როცა, მამით დაობლებული, დედასთან და მამინაცვალთან ერთად (რომელიც კონსულად დანიშნეს), სამხრეთ აფრიკის კავშირში გადასახლდა. შემდგომ, ლისაბონში დაბრუნებული, ნახევრადშეშლილ ბებიასთან და ოკულტიზმით შეპყრობილ დეიდასთან ჩასახლებული, პესოა სხვადასხვა კომერციულ დაწესებულებაში მსახურობს და მთელი ცხოვრების მანძილზე ამ დაწესებულებათა საქმიან მიმოწერას წარმართავს უცხოურ ენებზე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იგი შეეცდება, გრაფ გიმარაინსის მუზეუმის ბიბლიოთეკარი გახდეს, მაგრამ მისი თხოვნა უგულებელყოფილი დარჩება.

თუმცა პესოას სამოხელეო ყოფა დღიური შემოსავლის მოპოვების საშუალება იყო და არა პოეტის – თუ პოეტური – ცხოვრების შეფარვის, შენიღბვის, გასაიდუმლოების ხერხი. იგი არც მალავდა თავის შემოქმედებას, – სხვადასხვა გამოცემებში აქვეყნებდა საკუთარ ლექსებს ინგლისურადაც, პორტუგალიურადაც, და კიდევ, ესეისტურ სტატიებს ლიტერატურის, კულტურისა და პოლიტიკის შესახებ; მან რამდენჯერმე ჟურნალიცა

და გამომცემლობაც დაარსა, თუმცაღა ამ საქმეში, როგორც მოსალოდნელი იყო, წარუმატებელი აღმოჩნდა; ამავე დროს, სიცოცხლის განმავლობაში მისი მხოლოდ ორი მომცრო პოეტური კრებული გამოიცა ინგლისურად, და ერთიც – პორტუგალიურად. რაც მთავარია, პოეტის უზარმაზარი, ლამის ამოუწურავი მემკვიდრეობა, ჩაწერილი ოცდახუთი ათას გვერდზე, იმ ვეებერთელა სკივრში ჩარჩა, რომელიც მეოცე საუკუნის ლიტერატურისათვის სიმბოლოდ, საიდუმლოდ, მითოსად იქცა: "პესოას კიდობანი".

პოეტს არც ჰქონია რამე განსაკუთრებული პოეტური ცხოვრება, – მისი ყოველდღიურობა არა იმდენად იდუმალებით (ან თუნდაც რომანტიკული ნისლოვანებით) იყო შებურვილი, რამდენადაც შეუმჩნევლობისა და უღიმღამობის ზღვარზე მიედინებოდა დუნედ და მდოვრედ; მარტოხელა კაცი თავის ძველ თუ ახალ მეგობრებს, ჩვეულებრივ, კაფეებში ან ქუჩებში ხვდებოდა; თავს სულაც არ იზღუდავდა უზომო სასმელისა და უზომო თამბაქოსაგან; ცნობილია მისი ერთადერთი, ხანმოკლე გატაცების შესახებ სავაჭრო დაწესებულებაში მომუშავე ახალგაზრდა ქალით, რაგვარი გრძნობაც, სრულიად არაა გამორიცხული, მხოლოდ წარმოდგენაში არსებულიყო; რაც შეეხება პესოას პოეზიაში გამკრთალ ცხად ჰომოეროტიკულ მოტივებს, არავინ უწყის, რამდენად გამოხატავს ისინი ავტორისეულ განწყობებს, თუ ესეც მხოლოდ მისი ერთ-ერთი განსხეულების – "ჰეტერონიმის" – ფარული სწრაფვებია... რაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, პოეტი გატაცებული იყო ოკულტიზმით, სპირიტიზმითა და ასტროლოგიით (ან სამივეთი ერთად) და თავის ცხოვრებას – სხვათა შორის, "ჰეტერონიმების" წარმოსახულ ცხოვრებასთან ერთად – ბუნებისმიღმიერ ძალებთან ათანხმებდა; პესოას რამდენჯერმე მოუხდა დაპირისპირებოდა ხელისუფლებასაც და საზოგადო აზრსაც: ერთხელ, როცა მხარში ამოუდგა იმხანად ახალგაზრდა პოეტ ანტონიო ბოტას, რომელსაც თავის ლექსებში "სოდომის ცოდვის" უხამსი განდიდება ბრალდებოდა; მეორედ, როცა ახალგაზრდულ კონსერვატიულ გაერთიანებას დაუპირისპირდა ლიტერატურის – და ლიტერატორის – დამოუკიდებელი არჩევანის

უფლების დასაცავად; მესამედ, როცა პოლიციამ მასაც მიაკითხა "ჯადოქრისა და სატანისტის" ალისტერ კროულის ლისაბონში ჩამოსვლისა თუ გაუჩინარების გამო (ისიც სათქმელია, რომ პესოამ არა მხოლოდ თარგმნა პორტუგალიურად კროულის "ჰიმნი პანს", არამედ ხელიც შეუწყო სახელგანთქმულ მაგს სიკვდილის გახმაურებულ ინსცენირებაში). მაგრამ უმეტესად იგი მაინც თავს არიდებდა გამომწვევი თუ გამორჩეული პოზიციის გამოხატვას. მთლად ნათელი და უყოყმანო დამოკიდებულება პოეტს არც პორტუგალიის ფაშისტური რევოლუციის მიმართ გამოუმჟღავნებია. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში სალაზარის ხელისუფლება დამყარდა, პესოას არ გამოუთქვამს თავისი მყარი და ჩამოყალიბებული თვალსაზრისი გამარჯვებული წყობილების შესახებ (როგორც ჩანს, სალაზარი მაინც არ იწვევდა მის სიმპათიებს), თუმცა მანამდე იგი თავის ნაწერებში შეუფარავად იცავდა მტკიცე დიქტატურის თუ "ინტელექტუალური ტირანიის" აუცილებლობას ქვეყნისთვისაც, ხალხისთვისაც, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვისაც...

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე პესოა აქვეყნებს თავის პირველ და ერთადერთ წიგნს პორტუგალიურად. ამ პოეტურ ნაკრებს, – სახელწოდებით "უწყება", – ბრძოლის ველზე გაუჩინარებული ჭაბუკი მეფის, სებასტიანეს, მოლოდინისა და მისი მისტიკური დაბრუნების შესახებ, გაჟღენთილს პორტუგალიის ისტორიითა და ეზოტერიკული სიმბოლიკით, სალაზარის მთავრობა – ეროვნულ პოეზიაში შეტანილი წვლილისათვის – მეორე (მხოლოდ მეორე!) ხარისხის ჯილდოს მიანიჭებს. მკითხველისათვის შესამჩნევია "უწყების" გადაძახილი კამოინშის ბიოგრაფიასთანაც, რომელსაც ისტორიული სინამდვილეც და ისტორიული გადმოცემებიც მეფე სებასტიანეს უკავშირებს და კამოინშის "ლუზიადებთანაც", სადაც, სხვათა შორის, ქვეყნის წარსული, ასევე, – მემკვიდრეობითი გერბების განსჯითა და მათი ფარული ნიშნების ამოკითხვით, – აღიწერება.

ორმოცდაშვიდი წლის პესოა 1935 წლის 30 ნოემბერს ლისაბონში გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვები აღმოჩნდა ჩანაწერი ინგლისურად: "მე არ ვიცი, რას მომიტანს ხვალინდელი დღე..."

დანარჩენი კი მის ლექსებშია ნათქვამი, რომლებიც, პოეტის ცხოვრებისაგან განსხვავებით, არც უღიმღამო, არც უფერული და არც უმნიშვნელო არ ყოფილა... დღეს უკვე აღარავინ დავობს, რომ ლუიშ დი კამოინშის შემდეგ პოეზიას აღარ მიუღწევია ამგვარი სიმაღლისა თუ სიღრმისათვის პორტუგალიურ ენაზე.

მაგრამ კითხვა მაინც რჩება კითხვად: რა უწყებაა, რა გულისთქმაა, რა გულის წადილია ჩადებული სხვადასხვა ავტორებად განსხეულებული და განტოტვილი პოეტის მრავალრიცხოვან, მრავალფეროვან ტექსტებში? ან ამოიკითხება კი მათში ამგვარი ერთიანი უწყება?

განმსაზღვრელი ისაა, პესოას არასოდეს სწამდა, რომ სამყარო ნამდვილად არსებობს, მას არც ის სწამდა, რომ პიროვნება არსებობს (ნუთუ მხოლოდ პარადოქსია თუ განგების ირონიაა, რომ "დეპერსონალიზაციის" მხურვალე მოციქულის გვარი – პესოა – პორტუგალიურად "პერსონას", "პიროვნებას" ნიშნავს?!)... როგორც ჩანს, მისი სწორედ ამგვარი თვალსაზრისიც განაპირობებს, რომ იგი საკუთარ თავსაც – თუნდაც როგორც ადამიანს, თუნდაც როგორც პოეტს – ვერ ხედავდა ერთ განუყოფელ მთლიანობად, და ამიტომაც დაანაწევრა მან თავისი მეობის სხვადასხვა წახნაგი თუ სხვადასხვა სათქმელი სხვადასხვა ავტორად, რომელთაგან ზოგი კლასიცისტი აღმოჩნდა, ზოგი – ფუტურისტი, ზოგი – აგნოსტიკოსი, ზოგი – ახალი წარმართი (სხვაგვარად, "ნეოპაგანიზმის" მიმდევარი); თვალსაჩინოა, რომ "თავად ფერნანდუ პესოაც" არ ემთხვევა რეალურ ადამიანს ფერნანდო პესოას, – თავისი ვინაობისაგან ამგვარი შემოქმედებითი გამიჯვნით იგი, საზოგადოდ, შეიძლება, დიდად არც გამოირჩევა სხვა შემოქმედთაგან, – მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისევ წარმოსახულ ავტორთან, მწერალ ფერნანდუ პესოას ოდენ ერთ-ერთი "ჰეტერონიმთან", რომელიც ლისაბონში მოსახლე მოქალაქე პესოასაგან გარეგანი და შინაგანი ცხოვრებითაც განსხვავდება.

პოეტმა ერთხელ თავისი ლიტერატურული დანაწილება თუ გახლეჩა საკუთარი ფსიქიკური მოუწესრიგებლობის გამოვლინებად მიიჩნია, მაგრამ არავინ უწყის (სხვა თუ არაფერი, შესაძლოა, ეს მხოლოდ ხუმრობა იყოს!),

როდის ამბობდა იგი იმას, რასაც სიღმისეულად თავად განიცდიდა, და როდის ცდილობდა სხვათა გრძნობები და შეგრძნებანი წარმოედგინა: ამ სხვათათვის ჯერ მეტ-ნაკლები სისავსის – თუნდაც წარმოსახვითი – სიცოცხლე მიენიჭებინა, ხოლო შემდეგ კი მათი სათქმელი შესაბამისი სიტყვით გადმოეცა. ალბათ, გასაკვირი არაა, რომ პესოას ყოველგვარი ხელოვნებისათვის სანიმუშო სახედ დრამატული თეატრი მიაჩნდა, ან, უფრო ზუსტად, სანიმუშო, სამაგალითო ხელოვანი მისთვის იყო მსახიობი, რომელიც არა გამოთქვამს (ანუ არ გამოთქვამს იმას, რასაც თვითონ ფიქრობს ან განიცდის), არამედ განასახიერებს (ანუ სახოვანებას ანიჭებს, განასახოვნებს სხვათა ნაფიქრსა და გამოცდილებას)...

"ანტინოეშიც" (პოემა, სხვათა შორის, თავად ფერნანდუ პესოას სახელით გამოქვეყნდა) პოეტი აამეტყველებს რომის იმპერატორს, ადრიანეს, რომელიც იმუამად, წვიმიან და მჭმუნვარე ღამით, მარტოა, – ტკივილით გაჟღენთილი, შეძრწუნებული და ათრთოლებული: მას მუხლი მოუყრია დაღუპული სატრფოს, ანტინოეს, გაცივებულ სხეულთან და ცდილობს, თავს დამტყდარი განსაცდელის საზრისს ჩაწვდეს. გულგანმგმირავი დატირებისას, მოთქმისას, გოდებისას იგი ნელ-ნელა, თითქოს ხელისცეცებით ეძებს გარდაცვლილი ჭაბუკისათვის უკვდავების მინიჭების საშუალებას, და ამ საშუალებათა წყება იმპერატორის ცნობიერებაშიც და, შესაბამისად, პოეტის ლექსის აგებულებაშიც თანდათანობით გამოიკვეთება: თუ თავდაპირველად ამგვარ უკვდავებად წარმოისახება იმქვეყნად გარდასული ანტინოეს ამქვეყნიურ ქანდაკებათა აღმართვა (ასეთი ქანდაკებებით ადრიანემ მართლაც მოჰფინა მთელი იმპერია), შემდგომ სასოწარკვეთილი კეისარი განიზრახავს, ნილოსის ტალღებში დანთქმული ყრმა ღმერთად გამოაცხადოს და ოლიმპელ ღმრთაებათა შორის დაუმკვიდროს სამყოფელი, რითაც იგი სამუდამოდ უნდა დარჩეს როგორც იმქვეყნიერთა, ისე ამქვეყნიერთა შორის (ეს გადაწყვეტილებაც რომის უმაღლესმა ხელისუფალმა – სარწმუნოებით წარმართმა – შეუჭოჭმანებლად განახორციელა, რის შედეგადაც ანტინოე ორ საღმრთო პანთეონს მიეკუთვნა: რომაულსაც და ეგვიპტურსაც);

ყოველივე ეს ისტორიული ანალებიდანაცაა ცნობილი, მაგრამ პოემის პერსონაჟი იმპერატორი – პესოას ნებით – აგრძელებს მსჯელობას და ხვდება, რომ უკვდავი არა მარმარილო და არა სპილენძია, არა იმ ღმრთაებათა შორის ყოფნა, რომელთა ნასახიც აღარ დარჩება სულ მალე (ქრისტიანობა უკვე აღმოცენებულია და მთელს იმპერიაში ვრცელდება!), არამედ მხოლოდ ის ღმობითი განცდა, რაც წარუვალია, წარუშლელია, დაუვიწყებელია, და კიდევ, იმ გაუცვეთელი სიყვარულის სურათი, რომელიც საუკუნეებს შორის გაიხიდება; მაგრამ ბოლოს და ბოლოს, უკვდავების ყველაზე სანდო სიმყარედ მხოლოდ ხსოვნა წარმოჩნდება, რომელმაც დროის წიაღ, დროის მიღმა უნდა შეინარჩუნოს მარადიული ქალაქის სევდიანი იმპერატორის გრძნობები... ისევ წვიმს, მაგრამ წყნარად დაუბერავს უშფოთველი ნიავი... დამშვიდებულ კეისარს ჩაეძინება...

პოემა მთავრდება, თუმცა მკითხველმა ხომ ზედმიწევნით კარგად უწყის, რომ უკვდავების ამგვარი სასოთი გულდაჯერება ვერ სცილდება პოეზიისა და რიტორიკის ფარგლებს, ხოლო რჩება ადამიანის დაუამებელი ტკივილიც მოუშუშებელი დანაკლისის გამო და დაუოკებელი მიდრეკილებაც, ჰყავდეს მოსიყვარულე ახლობელი, ეგულებოდეს თანამგრძნობი, იმყოფებოდეს თავისნაირთა შორის, ისევ რჩება ადამიანის სწრაფვა ბედნიერებისაკენ, და კიდევ, რაც მთავარია, ისევ ჩაუქრობლად გიზგიზებს, არ მინავლდება იმედი ნამდვილი ხსნისა და ნამდვილი უკვდავებისა...

ძნელი სათქმელია, სად ეგულებოდა პესოას მომავლის მოციაგე იმედი, ანდა რამდენად მიისწრაფვოდა იგი, გაწონასწორებული სიმშვიდით მიეღო, შეეთვისებინა გარემომცველი სამყარო თუ საკუთარი მეობა. როგორც ჩანს, მყუდროების საყრდენი მან ვერც სამყაროში და ვერც საკუთარ თავში ვერ მოიპოვა.

არც ის გარემოებაა უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ მისთვის, როგორც პოეტისათვის, როგორც ჩანს, მტკივნეულად მძიმე აღმოჩნდა შემოქმედის პიროვნული მეობის ტვირთი, რამაც განაპირობა კიდეც მისი უნდომლობა (და, ალბათ, უნდობლობაც), რათა თვითგამოსახა-

ტავად, გასაცხადებელი სათქმელის ასამეტყველებლად, გარეთ გამოსატანად საკუთარ პიროვნებას დაყრდნობოდა. პესოასათვის უცხო აღმოჩნდა ყოველგვარი ინდივიდუალურის, პირადის, კერძოს, განსაკუთრებულის, ერთადერთის ის კულტი, რასაც დასავლური კულტურა ამკვიდრებდა, სულ მცირე, რომანტიკოსთა თაობის შემდგომ, როცა უპირობო უპირატესობა მიენიჭა ახლისა და საკუთარის გამოხატვას, უფრო ზუსტად, საკუთარი ახლის გამოხატვას. ხოლო ამგვარი ხელოვნება უგულებელყოფს იმას, რასაც ის მანამდე ემსახურებოდა: საზოგადოსა და სანიმუშოს განსახოვნებას. პესოაც, ერთი შეხედვით, რომანტიკოსთა გზას გაჰყვა, – მანაც ჩააქრო თავის შემოქმედებაში ყოველივე საყოველთაო და ერთიანი, მაგრამ სინამდვილეში იგი მაინც, – თავისებურად, სრულიად განსხვავებულად, – დაუპირისპირდა ტრადიციულ კულტურას: ინდივიდუალური და პიროვნული არა განაზოგადა, არა გაამთლიანა, არა მრავალთა ერთიან ნიმუშად აქცია, არამედ ერთეული მრავლად აქცია, კონკრეტულ წახნაგებად დაშალა, განსხვავებანი ახირებად წარმოაჩინა, რითაც კიდევ უფრო გაუუცხოვდა, დაშორდა, მოსწყდა კლასიკური ხელოვნების მყარ და სანდო – უფრო იდეალურ – საფუძველს.

ჟორჟი დე სენა თავის წერილში მიმართავს გარდაცვლილ პესოას და უზიარებს მას თავის ვარაუდს, რომ მისი დეპერსონალიზაცია, – მრავალ პიროვნებად, მრავალ ავტორად დანაწევრება, – სინამდვილეში იყო პოეტის უიმედო და, როგორც ჩანს, უნაყოფო მცდელობა თავის დაცვისა, თავის გადარჩენისა იმ სიცარიელისაგან, რომელსაც იგი საკუთარ თავში გრძნობდა.

სიცარიელე კი – ყოველ შემთხვევაში, ევროპულ ცივილიზაციაში – არა მარტო შინაარსისაგან (და არსისაგან!) დაცლაა, არამედ სულის უმყოფობაც, სულის უქონლობაც.

იქნებ პესოას სწრაფვა წყვდიადისეული საწყისების მიმართ, მისი სიახლოვე დემონურ ძალებთან, სულის დათმობასაც ნიშნავდა... იქნებ ამიტომაცაა პესოა მოუხელთებელი, ამიტომაცაა უკიდურესად ძნელი (ლამის შეუძლებელი!) მასთან პირისპირ შეხვედრა, მისი ცნობა და შეცნობა, – და არამხოლოდ იმის გამო, რომ იგი რამ-

დენიმე ათეულ მწერალშია გაფანტული. საფიქრებელია, რომ ის – თუნდაც ფარული – დაუნანებლობა, რომელსაც სენა ამჟღავნებს იმის გამო, რომ იგი არასოდეს შეხვედრია უფროს თანამოკალმეს, რომ იგი პირადად არ იცნობდა ახალი პორტუგალიის ყველაზე დიდ პოეტს, ჩანს, აღიარებაცაა ამ შეხვედრის შეუძლებლობისა. მაგრამ განა მართლა პოეტ ფერნანდუ პესოას სწერდა თავის წერილს პოეტი ჟორჟი დე სენა? ან კი რატომ მისწერდა იგი იმქვეყნად იმას, ვისაც ამქვეყნადაც არ სჯეროდა არათუ უკვდავება პიროვნული სულისა, არამედ თვით არსებობაც პიროვნებისა, რომელიც პორტუგალიურად ასე ჟღერს: პესოა.

2005

ვინც ნორვეგიულად წერდა

ჰენრიკ იბსენი
სიგრიდ უნსეტი

80

ჰენრიკ იბსენი: დრამატურგის არადრამატული ცხოვრება

ჰენრიკ იბსენი
Henrik Ibsen
1828-1906

თანამედროვე ევროპული დრამის ფუძემდებელი, ჰენრიკ იბსენი, შეძლებული ნორვეგიელი კომერსანტის ოჯახში 1828 წლის 20 მარტს დაიბადა. თუმცა იმ ბანკის გაკოტრების შემდეგ, სადაც ოჯახის მთელი ქონება ინახებოდა, იბსენების სახლობა სრული სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდა. ამ გასაჭირს ექსცენტრიკული მამის ალკოჰოლიზმით დაავადებაც დაერთო, რის გამოც თხუთმეტი წლის ჰენრიკი, მოშორებით მყოფ ზღვისპირა დასახლებაში მეაფთიაქის ქარგალი გახდა. მედიცინის სიყვარული და ექიმობის სურვილი მას მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა (როგორც ამბობენ, შემთხვევითი არაა, რომ მისი პიესების ნათელი პერსონაჟები სწორედ ექიმები არიან ხოლმე). თუ ჭაბუკი მთელ დღეს აფთიაქში სამსახურს ახმარდა, გრძელი და ნათელი ჩრდილოური ღამეების განმავლობაში თვალმოუხუჭავად მეცადინეობდა, რათა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მომზადებულიყო. უჩვეულო ისაა, რომ იგი იმის დროსაც კი პოულობდა, რათა იშვიათ თავისუფალ წუთებში პიესის წერა მოეხერხებინა. სხვათა შორის, იბსენის პირველი დრამა, "კატილინა", იმ ლათინური ტექსტების დამუშავების შედეგად აღმოცენდა, რომელთა დასწავლა ჭაბუკს საუნივერსიტეტო გამოცდისათვის მოუხდა.

მალე იგი ქვეყნის დედაქალაქში, ქრისტიანიაში, გადადის საცხოვრებლად, სადაც, მართალია, სტუდენტურ კვარტალში დასახლდება, მაგრამ ძირითად დროს მეცადინეობას კი არა, ლიტერატურულ საქმიანობას ახმარს. მალე იგი იმასაც სვდება, რომ თეატრი მისი ცხოვრების განუყოფელი, უმთავრესი ნაწილია და ოცდასამი წლისა ბერგენის ახალ-

გახსნილი თეატრის დირექტორი და დრამატურგი გახდება. ორგანიზაციული საქმიანობის გარდა, მას ყოველწლიურად თითო ახალი პიესის დაწერა და წარმოდგენა ევალება. ამ მოვალეობას იგი თავდაპირველად სიხარულით ასრულებს, მაგრამ მალე აღმოაჩენს, რომ მისი თეატრალური იდეები და რიგითი მაყურებლის მოთხოვნები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ცოტა ხნის შემდეგ იგი ქრისტიანიის უფრო პრესტიჟულ თეატრში გადადის სამუშაოდ, მაგრამ იქაც გულისგაცრუება ელის. ასე რომ, როცა თეატრი გაკოტრდება, იგი თავს თავისუფლად იგრძნობს და, რაკიღა მცირე სახელმწიფო გრანტს მოიპოვებს, ოცდაშვიდი წლით ნებაყოფლობით მიატოვებს სამშობლოს, რათა თბილი, კონტინენტური სამხრეთისაკენ გაეშუროს. თავდაპირველად იგი რომში დასახლდება და თავის ხანგრძლივ მუშაობას განაგრძობს ისტორიულ ნაწარმოებზე იულიანე განდგომილის შესახებ, რომელიც 1873 წელს "იმპერატორისა და გალილეველის" სახელწოდებით, ათმოქმედებიანი დრამის სახით დაიბეჭდება. ბუნებრივია, დასადგმელად პიესა მეტად რთული აღმოჩნდა, განსხვავებით მისი სხვა ნაწარმოებებისაგან, რომლებიც წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო იპყრობდა ევროპის სცენას და რომელთა პერსონაჟები არა მარტო ეპოქის უნივერსალურ არქეტიპებად იქცნენ, არამედ, ამასთანავე, მაყურებლისა და მკითხველისათვის დაუვიწყარ ინდივიდუალობებად.

"ბრანდი", "პერ გუნტი", "თოჯინების სახლი", "მოჩვენებანი", "საზოგადოების ბურჯები", "ხალხის მტერი" "გარეული იხვი", "ჰედა გაბლერი" არამარტო მსოფლიო დრამატურგიის უეჭველ ღირებულებებს განეკუთვნა, რომელთაც, ანტიკური მემკვიდრეობისა და შექსპირის გვერდით, დედამიწის თითქმის ყველა თეატრში ეწერა დადგმა, – იბსენის ღვაწლის შეფასებისას ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ამ პიესებმა, ნიცშესა და დოსტოევსკის წიგნებთან ერთად, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, გადამწყვეტი როლი ითამაშა თაობების მსოფლმხედველობრივ ჩამოყალიბებაში. იბსენისეული მწვავე პათოსი, მიმართული ბურჟუაზიული ფასეულობების, ფარისევლობის, თვალმაქცობის, მორალური ორჭოფობის წინააღმდეგ, პიესები, აგრე ძუნწი მოქმედებით, მაგრამ ასე მწვავე და დაძაბული ფსიქოლოგიური შეჯახების სიმძაფრით, ზნეობრი-

ვი არჩევანის ტკივილითა და ტრაგიკულობით, მარტოობასა და გაუგებრობაზე ამაღლებით, არაერთხელ აღმოჩენილა შთაგონებისა და მხნეობის ის წყარო, რომლის დაწაფება – პიროვნული ჩამოყალიბების ხანაში – ცხოვრებისეულად ყოფილა გადამწყვეტი.

დღევანდელ ახალგაზრდებს, ალბათ, ეს ნაკლებად ეხებათ, მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს უკომპრომისობის, უანგარობისა და თავდადების პირველი გაკვეთილები სწორედ იბსენის დრამების კითხვისას თუ ცქერისას მიუღიათ.

ასაკმოწეულმა იბსენმა მიიჩნია, რომ მისი სიჭაბუკის-დროინდელი ოცნება, გამხდარიყო სახელგანთქმული პოეტი, განუხორციელებელი დარჩა. მისი ცხოვრება ნელ-ნელა რუტინულ ყოველდღიურობად იქცა, სადაც იშვიათად თუ შემოიჭრებოდა რამე ახალი და უჩვეულო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მას რამდენჯერმე მოუხდა საცხოვრებლის შეცვლა – რომშიც, სორენტოშიც, დრეზდენშიც, მიუნხენშიც იგი ავეჯით მოწყობილ ოთახებს ქირაობდა. მას ყოველთვის ჰქონდა გამოწერილი ნორვეგიული გაზეთები, თუმცა არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ცოტა ვინმესთან თუ მეგობრობდა და, თავის ოჯახსა და საქმეში ჩართული, თითქმის არაფერს კითხულობდა, იგი მხოლოდღა ფიქრობდა და დღეებს ხშირად სრულ და ღრმა დუმილში ატარებდა.

1891 წელს იგი მოულოდნელად ნორვეგიაში დაბრუნდა და დარჩენილი ცხოვრება ამდენი ხნის უნახავ სამშობლოში გაატარა. საუკუნის მიწურულს სამოცდათერთმეტი წლის დრამატურგი წერს თავის უკანასკნელ ქმნილებას – "როცა ჩვენ, მკვდრები, აღვდგებით", თავის 26 დრამათაგან უკანასკნელს, და თავის შემოქმედებას ტრაგიკულ მარცხად შეაფასებს. ორჯერ დამბლადაცემული, იგი ინვალიდის ეტლში გაატარებს ცხოვრების ბოლო წლებს.

ჰენრიკ იბსენი 1906 წლის 23 მაისს ნორვეგიის დედაქალაქში, ქრისტიანიაში, გარდაიცვალა, რომელსაც შემდგომში, უკვე ქვეყნის ყველაზე დიდი დრამატურგის სიკვდილის შემდეგ, ძველი ისტორიული სახელი – ოსლო დაუბრუნდა.

1998

81

სიგრიდ უნდსეტი:
მეოცე საუკუნის შუასაუკუნეობრივი საგა

სიგრიდ უნდსეტი
Sigrid Undset
1882-1949

სიგრიდ უნდსეტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნორვეგიაში სახელგანთქმული რომანისტი იყო, მაგრამ მისი შემოქმედება მისი სამშობლოს, მოსახლეობით მეტად მცირერიცხოვანი ქვეყნის, ფარგლებს გარეთაც იყო თარგმნილი და ცნობილი, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა მწერალი ქალისათვის 1928 წელს ლიტერატურის დარგის ნობელის პრემიის მინიჭებამ, – მართალია, პრემიას მეზობელი ქვეყნის აკადემია ანიჭებდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს ლაურეატად გახდომისათვის აუცილებელი იყო შერჩეული კანდიდატის შემოქმედება საკმარისზე მაღალი მხატვრული დონით ყოფილიყო გამორჩეული და თავად ავტორს – თავის წიგნებში თუ წიგნებს მიღმა – არაორჭოფულად დაეცვა მორალური თუ რელიგიური ფასეულობები. სამწუხაროდ, ეს კრიტერიუმები დღეს ბევრგან ყავლგასულადაა მიჩნეული, მათ შორის, ნობელის პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტშიც. მაგრამ ეს სულ სხვა თემაა...

სიგრიდ უნდსეტი კი, ასეა თუ ისე, მაინც წასულ ეპოქას, გარდასულ ეპოქას ეკუთვნოდა: იგი 1882 წლის 20 მაისს დაიბადა დანიაში, მაგრამ მთელი სიყმაწვილე და ახალგაზრდობა ნორვეგიის დედაქალაქ ქრისტიანიაში გაატარა, რომელსაც დღეს ოსლო ეწოდება. მართალია, არქელოგი მამა მაშინ გარდაიცვალა, როცა გოგონა თერთმეტი წლისა იყო, მაგრამ უნდსეტმა სწორედ მისგან იმემკვიდრა სიყვარული ისტორიისა და ლიტერატურის მიმართ. თუმცა მამის სიკვდილმა მას საგრძნობი ფინანსური დაბრკოლებები შეუქმნა, რის გამოც მან სწავლა

ბოლომდე ვერ მიიყვანა და ჩვიდმეტი წლის ქალიშვილმა ოსლოს ელექტრო-საინჟინრო ფირმაში დაიწყო სამსახური. სამოხელეო საქმიანობა ათი წელი გაგრძელდა, დაქორწინებამდე, შემდგომ კი სიგრიდ უნდსეტმა მთელი თავისი დრო და შთაგონება – სიცოცხლის ბოლომდე – მწერლობას მოახმარა. ლეგენდების, გადმოცემების, ფოლკლორული თქმულებების სამყარო, რომლითაც იგი თავის ოჯახში იყო გარემოცული, ამასთანავე, თავად ოჯახის ყოველდღიური ცხოვრების დინება, საფუძვლად დაედო მთელს მის მომავალ შემოქმედებას. თავის ერთ გვიანდელ წიგნში "თერთმეტი წელი", რომელიც უკვე სახელგანთქმულმა მწერალმა ქალმა დაწერა, მისი სიყმაწვილის დღეები და წლებია გაცოცხლებული.

თუმცა დიდება და აღიარება უნდსეტს იმ რომანებმა მოუტანა, რომლებშიც შუა საუკუნეების გარემოა აღბეჭდილი და რომლებშიც აშკარად ჩანს მისი ღრმა და საფუძვლიანი ისტორიული ჰორიზონტი. სხვათა შორის, როცა თავისი პირველი ნაწარმოებები მწერალმა ქალმა გამოსაცემად წარადგინა, გამომცემელმა დამწყებ მწერალს ურჩია, თავი დაენებებინა ისტორიული თხრობისათვის და თავისი შემოქმედებითი ყურადღება თანამედროვეებისაკენ მიემართა. იმჯერად უნდსეტმა ეს რჩევა ყურად იღო და მისი შემოქმედების მხოლოდ მოგვიანო ეტაპზე ჩნდება ისტორიული მოტივები, – არარომანტიკულ თანამედროვე გარემოში რომანტიკულ ქალთა ბედის წარმოჩენის შემდეგ, იწერება მოზრდილი ისტორიული საგები, რომლებშიც მოქმედება შუასაუკუნეობრივ ანტურაჟში გათამაშდება და რომლებიც მალე მსოფლიოს ბევრი ერის ენაზე ითარგმნა.

სიგრიდ უნდსეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში გარდატეხის წელი აღმოჩნდა 1924 წელი. სწორედ მაშინ შეაბიჯა მწერალმა ქალმა რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღში, რომელმაც მის ცხოვრებას, მის ნაწერებს ახალი განზომილება მიანიჭა. რელიგიური მოქცევის შემდეგ უნდსეტი ერთგული, თავდადებული კათოლიკე ხდება (რაც, სხვათა შორის, საკმაოდ გამორჩეული და არცთუ ჩვეულებრივი მოვლენაა ჩრდილოეთ ევროპის თუ სკანდინავიის ქვეყნების საზოგადოებისათვის). სწორედ ამ დროს

იწერება მისი ცნობილი ესეისტური წიგნი "კათოლიკური პროპაგანდა".

გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების მიერ ნორვეგიის ოკუპაციის შემდეგ მწერალი ქალი ტოვებს თავის სამშობლოს და – რუსეთისა და იაპონიის გავლით, მრავალი დაბრკოლების გადალახვით – ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადის. ეს თავგადასავალი აღწერილია მის წიგნში – "მომავალში დაბრუნება". სამშობლოში დაბრუნება კი მას ელოდა ამერიკულ უნივერსიტეტებში ლექციების კითხვის, ანტინაცისტურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისა და ემიგრანტული ნორვეგიული მთავრობისათვის მხარდაჭერის შემდეგ, – რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც ოკუპანტებმა დამარცხება განიცადეს. შინ ჩასულ მწერალ ქალს ნორვეგიის მეფემ წმიდა ოლაფის ორდენის დიდი ჯვარი მიანიჭა.

1949 წლის 10 ივნისს სინგრიდ უდნსეტი თავის სახლში, ნორვეგიაში, გარდაიცვალა.

უნდსეტის შემოქმედება დღეს, რა თქმა უნდა, მკითხველის ყურადღებას ნაკლებად იპყრობს. მისი წიგნები – რომანები, ნოველები, დრამები, ესეები – სადაც ხაზი ესმება ქალის განსაკუთრებულ, შეუნაცვლებელ როლს ოჯახში, საზოგადოებაში, სადაც განდიდებულია საოჯახო სიყვარული, ქალის ზრუნვა მეუღლის, შვილების მიმართ – რადიკალი ფემინისტების მიერ შეფასებულია როგორც მძაფრად რეაქციული და ფასდაკარგული. მაგრამ, ამასთანავე, უნდსეტის შემოქმედება მოძველებულად და ნაკლებღირებულად მიაჩნია მეოცე საუკუნის ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად ჩახედულ და მომთხოვნ მკითხველსაც. მისი ვრცელი ისტორიული რომანები, თავიანთი შინაარსით, სტრუქტურით, დიალოგებით, ერთმანეთზე გადაჯაჭვული მელოდრამატული ბიოგრაფებითა და ინტრიგებით, ხანდახან, შესაძლოა, იმ დღევანდელ ტელესერიალებს მიაგავს, რომლებსაც თვეების თუ წლების განმავლობაში თვალს ვერ წყვეტს მილიონობით მაყურებელი. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩამთავრებული მეოცე საუკუნის დასაწყისში (საუკუნის დასასრულისაგან განსხვავებით) თვით მასობრივი სერიალებიც კი – თუნდაც ლიტერატურული სერიალები – ბევრად უფრო

მაღალ დონეზე, ბევრად უფრო ოსტატურად, ბევრად უფრო გულისყურით სრულდებოდა და შეუდარებლად უფრო ახლოს იყო ნამდვილ ხელოვნებასთან. ამიტომაც, სიგრიდ უნდსეტის ისტორიული რომანების დღევანდელ ტელესერიალებთან შედარება, ალბათ, ცოტა არ იყოს, მკრეხელურად ჟღერს.

1999

ვინც შვედურად წერდა

აუგუსტ სტრინდბერგი
პერ ლაგერკვისტი

82

აუგუსტ სტრინდბერგის დაუნდობელი მრისხანება

აუგუსტ სტრინდბერგი
August Strindberg
(Johan August Strindberg)
1849-1912

იუჰან აუგუსტ სტრინდბერგი იმ საუკუნის, იმ ეპოქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი შვილი იყო, როცა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი სისტემა, ბურჟუაზიულ ფასეულობათა შკალა ადამიანებს შორის მტკიცედ და შეუპოვრად იმკვიდრებდა თავის განმაპირობებელ ადგილს და რომლის წინააღმდეგ აღდგომას ყველა გონიერი და ყველა მართალი ადამიანი თავისებურად – საკუთარი მონაცემებისა და საკუთარი ტემპერამენტის კვალობაზე – ცდილობდა.

მაგრამ ყველა ის, ვინც უარს ამბობდა, სამყაროს უკანონობისა და უსამართლობის მიღმა მარადიული წესრიგი და ღმრთაებრივი კანონზომიერება დაენახა, უკიდურესად მტკივნეულად იღებდა ღმერთდაკარგულობისა და სამყაროში მიტოვებულობის თავის მწველ გრძნობას. და, როგორც უმთავრესად ხდება ხოლმე, ამ შემთხვევაში ამგვარი ადამიანები თავს რევოლუციურ იდეებს, რევოლუციურ სულისკვეთებასა და მგზნებარებას აფარებდნენ, რასაც უთუოდ მოჰყვებოდა პროტესტი, აჯანყება, ამბოხი, – ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ: იქნებოდა ეს ტრადიციული მორალი, საზოგადოებრივი წყობა, რელიგია, აღზრდა თუ მიღებული და დამკვიდრებული პირობითობები. არჩევანი ფართო იყო (და არის): ბომბების აფეთქებით და მთავრობის დამხობის მცდელობებით დაწყებული მარტოობის ცივ კოშკში ამაყი განდგომით დამთავრებული. იმათთვის, ვისაც ყუმბარა, რევოლვერი ან ნაჯახი სამყაროს გარდაქმნის მაინცდამაინც შესაფერ

საშუალებად არ მიაჩნდა, ხოლო რევოლუციასა და ამბოხებას საკუთარ თავში ან გარემომცველი წრის მიმართ წამოიწყებდა, განსაკუთრებით ჩვეული იყო (და არის) ეგრეთ წოდებული ახალი სულიერების ძიება – ყველგან, ოღონდ არა ეკლესიის წიაღში, – თუნდაც მაგიაში, თუნდაც აღმოსავლურ სიბრძნეში, თუნდაც წარმართობაში, თუნდაც ბურუსისა და გაბრუების სამყაროში.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ამგვარი გრძნობებისა და მისწრაფებების ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ და გავლენიან წარმომადგენელად მიჩნეული იყო აუგუსტ სტრინდბერგი – პირობით ფასეულობათა და ჩვეულებათა კრიტიკოსი, მამხილებელი და გამანადგურებელი.

დღეს, მეოცე საუკუნის უკანასკნელი დღეების გადასახედიდან, სტრინდბერგი და მისი შემოქმედება, ბუნებრივია, უკვე საკმაოდ სხვაგვარად მჟღავნდება – მისი რევოლუციური საზოგადოებრივი იდეები ამჟამად სრულიად უფერულად და უღიმღამოდ ჩანს; მისი შემოქმედებითი, განსაკუთრებით კი, დრამატურგიული მიღწევები მის მოწაფეთა, მის მიმდევართა, მის გამგრძელებელთა მიერ იმგვარ სრულყოფილებამდე, ხშირად სრულ მეთოდურ აბსურდამდეც კი მისულა, რომ თავად სტრინდბერგის სტრიქონები მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტული თაობისათვის ხშირად ოდენ ღიმილისმომგვრელ ნოვატორობად ფასდება.

რაც შეეხება პოსტპოსტმოდერნისტებს და, კერძოდ, ფემინისტური მოძრაობის მრავალრიცხოვან მომხრეებს თუ ბევრად უფრო ნაკლებრიცხოვან მოწინააღმდეგეებს, სტრინდბერგი მათთვის დღემდე სრულიად თანამედროვე და საკამათო, კამათისაღმძღვრელ პერსონაჟად რჩება: თუნდაც იმიტომ, რომ სტრინდბერგი სქესთა ურთიერთობისა და ქალის როლის შესახებ იმგვარი რამეების განცხადებას ბედავდა, რის თქმასაც დღეს, – ბევრად უფრო ვეგეტერიანულ ხანაში, – ყველაზე თამამი პროვოკატორიც კი, ალბათ, ძილშიც ვერ გარისკავდა. რა თქმა უნდა, საქმე ეხება არა სტრინდბერგის უთუოდ ისტერიულ, შლეგ, მოუთოკავ მტკიცებებს, – საქმე ისაა, რამდენად უფრო თავისუფალი გარემო სუფევდა ევროპულ სივრცეში თვით

მეტისმეტად მიუღებელი აზრის გამოთქმისა და ამ თვალსაზრისის ხელოვნებაში ხორცშესხმისათვის, – თუნდაც ამ ასიოდე წლის წინათ.

აუგუსტ სტრინდბერგი მსოფლიო ლიტერატურის წარმომადგენელთა იმ ტალღას ეკუთვნის, რომლისთვისაც ცხოვრება და ხელოვნება ერთმანეთს კვეთდა, ერთმანეთს ირეკლავდა, ერთმანეთს ერწყმოდა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ხომ ლამის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრება უთუოდ და უპირობოდ ხელოვნებად უნდა ქცეულიყო.

* * *

ყველაზე სახელგანთქმული შვედი მწერალი, აუგუსტ იუჰან სტრინდბერგი, 1849 წლის 22 იანვარს დაიბადა სტოკჰოლმში. მამამისი, კარლ ოსკარი, გაღარიბებული არისტოკრატი იყო, დედამისი კი – მოსამსახურე ქალი. თავისი ბავშვობისდროინდელი შეჭირვება, ტკივილები, ფათერაკები და ხიფათები მწერალმა აღწერა თავის გახმაურებულ ავტობიოგრაფიულ წიგნში "მოსამსახურის ვაჟი", – წიგნში, რომელიც, ბევრი მკვლევრის აზრით, თვითგაშიშვლების სითამამით არაფრით ჩამორჩება ჟანჟაკ რუსოს "აღსარებებს".

რამდენიმე სკოლის არცთუ წარმატებული ჩამოვლის შემდეგ მომავალი მწერალი უფსალის უნივერსიტეტში შედის, მაგრამ მედიცინის სწავლას გულს ვერ დაუდებს და მალე მიატოვებს აკადემიურ სწავლა-განათლებას. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მწერალს როდისმე ხელი აეღო ცოდნის შეძენასა და გამდიდრებაზე – მთელი ცხოვრების განმავალობაში იგი მუყაითი მშრომელი იყო და, მხატვრული შემოქმედების გარდა, ბევრს წერდა, იკვლევდა და მუშაობდა სრულიად სხვადასხვა დარგში: იქნებოდა ეს კულტურის ისტორია, ფილოლოგია, ქიმია, სოციოლოგია თუ ეთნოლოგია. სხვათა შორის, მან შექმნა შვედეთის უზარმაზარი ისტორია, რომელიც 1880 წელს დაიბეჭდა.

მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოებიც, "ოსტატი ულუფი" ისტორიულ საფუძველზეა დაწერილი,

თუმცა, შექსპირისა და იბსენის გავლენით დაწერილი პიესა, რომელიც შვედური რეფორმაციის ხანას ასახავს და რომელიც დღეს თანამედროვე შვედური დრამის საფუძველმდებ ქმნილებადაა მიჩნეული, სტოკჰოლმის სამეფო თეატრმა იმჯერად დასადგმელად დაიწუნა და არ მიიღო.

მაშინ სტრინდბერგი ისევ თავისუფალი ჟურნალისტის ხელობას დაუბრუნდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პროზაული თუ დრამატურგიული შემოქმედებისათვის მას ზურგი არასოდეს შეუქცევია, ამ პირველ მარცხს შედეგად მწერლის სასოწარკვეთა და პესიმიზმი მოჰყვა, და, რაც უფრო გადამწყვეტი იყო, – მისი მძაფრი დაპირისპირება ოფიციალურ ჩვეულებათა, პირობითობათა, მიღებულ და დამკვიდრებულ ტრადიციათა მიმართ. ერთი მხრივ, შინაგანი უიმედობა და განწირულობის განცდა, მეორე მხრივ, გარეგნული აგრესიულობა და დაუნდობლობა საზოგადოებასთან ურთიერთობაში მწერლის ბედის განუშორებელი ნიშანი, განუყრელი ემბლემა გახდა. მაშინაც კი, როცა ასაკმოწეული სტრინდბერგი მსოფლიო აღიარებითა და აღტაცებით იყო გარემოცული, სამშობლოში მისი წიგნების დაბეჭდვასა და გავრცელებას არაერთი დაბრკოლება აღდგომია წინ, – რომ აღარაფერი ვთქვათ მის სრულ იგნორირებაზე შვედეთის აკადემიის თუ ოფიციალურ შემფასებელ-დამფასებელთა მხრივ.

ლიტერატორთა თუ კრიტიკოსთა მიერ უარყოფილი, იგი სამეფო ბიბლიოთეკაში იწყებს სამსახურს და მალე გვარდიის ოფიცრის სვეგამწარებულ მეუღლეს, ზირი ფონ ესენს, გაეცნობა. ორი წლის შემდეგ ისინი დაქორწინდებიან, და, მართალია, ოფიციალურად მხოლოდ თექვსმეტი წლის შემდეგ გაიყრებიან, მაგრამ ამ დროისათვის სტრინდბერგის წიგნებს არა მარტო მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე ქალთმოძულე წიგნებად აღიარებენ, არამედ ექიმები თავად მწერალს სულიერ ავადმყოფობასაც დაუდასტურებენ. მეორე და მესამე ქორწინებაც უიღბლო აღმოჩნდება და მხოლოდ სამ-სამ წელს გასტანს, – ქორწინების სამივე მცდელობამ მას ტანჯვა და შეშლილობა მოუტანა. შეიძლება ითქვას, რომ სტრინდბერგის თითქმის ერთადერთი გაწონასწორებული წიგნი, რომლიდანაც

სინათლე, სიმშვიდე და უშფოთველობა იფრქვევა, ნიშანდობლივ სათაურს ატარებს – "მარტოხელა". "ფრიოკენ იულის" ავტორი მთელი ცხოვრების განმავლობაში ზიზღითა და მძულვარებით წერდა ქალების შესახებ, რადგან ისინი შეურაცხად, თავკერძა და უზნეო არსებებად მიაჩნდა, მაგრამ მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი ვერ ახერხებდა შებრძოლებოდა ქალების დამატყვევებელ ხიბლსა და მიმზიდველობას.

თრობისა და სიშლეგის ტყვეობაში აღმოჩენილი მწერალი სიცოცხლის ბოლოს სულიერ გათავისუფლებას მაგიაში, ალქიმიაში, თეოსოფიაში ეძებს. სამოცდასამი წლის სტრინდბერგი 1912 წლის 14 მაისს მშობლიურ სტოკჰოლმში გარდაიცვალა.

სტრინდბერგის შესახებ, საუკუნეთა მიჯნისაგან განსხვავებით, დღეს ნაკლებად საუბრობენ, მის პიესებსაც ნაკლებად დგამენ, მის წიგნებსაც ნაკლებად კითხულობენ, მაგრამ მისი ნაწარმოებების მკითხველთა შორის, უნდა ვივარაუდოთ, უმრავლესობა მაინც კაცობრიობის იმ უკეთეს ნახევარს – ქალთა მოდგმას – განეკუთვნება, რომლის სიმშვენიერესა და სიღრმეს, სილამაზესა და სიფაქიზეს სტრინდბერგის სიძულვილმა, რა თქმა უნდა, ვერაფერი ავნო. შესაძლოა, იმიტომაც, რომ აუგუსტ იუჰან სტრინდბერგს ქალების გარეშე ცხოვრება არასოდეს შეეძლო.

1999

83

პერ ლაგერკვისტის შუალედური ბილიკი

პერ ლაგერკვისტი
Pär Fabian Lagerkvist
1891-1974

ვინც თვალს გადაავლებს ლიტერატურის დარგის ნობელის პრემიის ლაურეატების ქრონოლოგიურ ნუსხას, შესაძლოა, თვალში მოხვდეს, რომ პერ ლაგერკვისტის სახელი ბერტრან რასელსა და ფრანსუა მორიაკს შორისაა მოქცეული. ინგლისელი რასელი აღიარებული ათეისტი იყო, რომელმაც სიამაყით დაარქვა თავის ერთ წიგნს ამგვარი სახელი – "რატომ არა ვარ ქრისტიანი", ფრანგი მორიაკი კი რომის კათოლიკე ეკლესიას და მის ტრადიციას მიაკუთვნებდა თავს, რომლის ერთ-ერთ შესანიშნავ წიგნს (რომანებსა და ნოველებთან ერთად) ამგვარად ეწოდება – "ქრისტიანის ტანჯვა და ბედნიერება". როდესაც 1951 წელს (რასელის ლაურეატად დასახელებიდან ერთი წლის შემდგომ, და ერთი წლით ადრე, ვიდრე პრემია მორიაკს მიენიჭებოდა), ლიტერატურის დარგში ამ მეტად საპატიო ჯილდოს მიმნიჭებელმა კომიტეტმა შვედი თანამემამულე, პერ ლაგერკვისტი აირჩია, არჩევანის დასაბუთება ასე ჟღერდა: "მხატვრული ძალისა და ნამდვილი თვითმყოფადობისათვის, რითაც თავის მხატვრულ შემოქმედებაში იგი კაცობრიობის მარადიულ კითხვებზე ეძებს პასუხებს". ლაგერკვისტის სულიერი ძიებანი და პასუხებისაკენ მიმყვანელი გზები უეჭველად განსხვავდებოდა რასელის მტკიცე ურწმუნობისაგანაც და მორიაკის ღრმა რწმენისაგანაც. მისი ვიწრო ბილიკი სწორედ სადღაც ამათ შორის გადიოდა, რასაც მისი, ალბათ, ყველაზე გახმაურებული რომანიც – "ბარაბა" – მეტყველებს: წიგნის მთავარი გმირი ვერც მაცხოვრისეული მცნების მიღებას ახერხებს – "გიყვარდეს მოყვასი შენი" – და ვერც მის

უარყოფას. და ამიტომაცაა მთელი წიგნი განმსჭვალული ამბივალენტური სიმბოლიკით: ნათელი და ბნელი, სიცოცხლე და სიკვდილი, სიყვარული და სიძულვილი.

თავად პერ ლაგერკვისტი 1891 წლის 11 მაისს პროტესტანტურ ოჯახში დაიბადა. იგი მორწმუნე პიეტისტი მშობლების შვილი იყო და სიყმაწვილიდანვე რელიგიური აღზრდა მიიღო (რაც მწერალმა შემდგომში მკაფიოდ აღწერა თავის ავტობიოგრაფიულ რომანში – "სინამდვილის სტუმარი"). მაგრამ მომწიფების ხანაში, როგორც არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, უფროსთა ღირებულებების წინააღმდეგ აღმდგარი ჭაბუკი დარვინის თეორიას და სოციალ-დარვინიზმს მიემხრო. ამ დროს მისი შეხედულებები, შესაბამისად, რადიკალურად მემარცხენე, მძაფრად სოციალისტური იყო. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც მის თვალწინ, სადღაც 30-იან-40-იანი წლებისათვის აღმოსავლეთით თუ დასავლეთით რადიკალური სოციალიზმის ურჩხული მთელი თავისი შემზარავობით წამოიმართა – აღმოსავლეთში რუსული ინტერნაციონალური სოციალიზმის, ხოლო დასავლეთში გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის სახით, – ნეიტრალური, მშვიდი შვედეთიდან მეთვალყურე მწერალმა თავისი მხატვრული სიტყვით დაუფარავად გაილაშქრა ყოველგვარი ტოტალიტარიზმის, ძალადობისა და ადამიანური ღირსების დათრგუნვის წინააღმდეგ.

შემთხვევითი, ალბათ, არც ისაა, რომ სწორედ ამ დროიდან აშკარა და მკაფიო ხდება ლაგერკვისტის ძიებათა რელიგიური მიმართულება. აღიარებაც სწორედ ამ დროს მოდის. მეორე მსოფლიო ომისას დაწერილი რომანი "ჯუჯა", რომელიც შვედურად 1944 წელს გამოდის, ლაგერკვისტის პირველი ბესტსელერი ხდება. ისიც სათქმელია, რომ ხშირად სწორედ ეს ნაწარმოებია მიჩნეული მწერლის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშად თუ მწერვალად. იტალიური რენესანსის ეპოქიდან აღებულ სიუჟეტში, სადაც თავად ჯუჯა სულიერი სიმახინჯის სიმბოლოდ გვევლინება, მწერალი ბოროტების ყოვლისგამჭოლობის დადასტურებას ცდილობს, – ყველგან და ყოველ ადამიანურ არსებაში.

მწერლის პირველი წიგნი კი, უნივერსიტეტში ხანმოკლე, გაუსრულებელი სწავლის შემდეგ, 1912 წელს და-

იბეჭდა (სხვათა შორის, სტრინდბერგის გარდაცვალების წელს). ჯერ საერთოშვედური, ხოლო შემდგომ მსოფლიო სახელი მოგვიანებით მოდის, – მაშინ, როცა ინტენსიურად იქმნება ლაგერკვისტის ლექსები, რომანები, მოთხრობები, დრამები, ესეები. ყოველი მათგანი უსაზღვრო პესიმიზმითაა განმსჭვალული, როგორც, მაგალითად, 1920 წელს დაწერილი მოთხრობა "მარადიული ღიმილი", რომელშიაც ადამიანების ჯგუფი კითხვით მიმართავს სამყაროს შემოქმედს, თუ რა მიზნით შექმნა მან ისინი. და ღმერთიც მათ მხოლოდ იმას უპასუხებს, რომ განსაკუთრებული მას არაფერი ჩაუფიქრებია, მაგრამ ადამიანები იმგვარად შექმნა, როგორც შეძლო.

მსოფლიოში ცნობილი რომანების – "ჯალათის", "ჯუჯას", "ბარაბას", "სიბილას", "აჰასვერის სიკვდილის" – ავტორი თავის მკითხველს მხოლოდ ლიტერატურის ენით ესაუბრებოდა. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იგი მხოლოდ ორჯერ გამოვიდა საჯაროდ: პირველად, როცა 1940 წელს შვედეთის აკადემიის წევრად აირჩიეს, ხოლო მეორედ – 1951 წელს, ნობელის პრემიის მიღებისას.

პერ ლაგერკვისტი 1974 წლის 11 ივლისს სტოკჰოლმში გარდაიცვალა. მისი შემოქმედების მკვლევარნი საგანგებოდ აღნიშნავენ ხოლმე, რომ მას ლიტერატურაში მოწაფეები და გამგრძელები არ აღმოაჩნდა.

1999

ვინც რუსულად წერდა

ვლადიმირ სოლოვიოვი
ვასილი როზანოვი
ბორის პასტერნაკი
ვლადიმირ ნაბოკოვი
ალექსანდრ სოლჟენიცინი
იოსიფ ბროდსკი

84

ვლადიმირ სოლოვიოვის მისტიკური ხილვა

ვლადიმირ სოლოვიოვი
Владимир Соловьёв
(Владимир Сергееевич Соловьёв)
1853-1900

ვლადიმირ სოლოვიოვი საზოგადოდ მიჩნეულია რუსეთის ინტელექტუალურ ისტორიაში პირველ სისტემურ ფილოსოფოსად, თუმცა ამ დღეებში, როცა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში მისი გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი შეკრებები თუ სამეცნიერო კონფერენციები მიმდინარეობს, ისევ წამოიჭრება ხოლმე კითხვა, შეიძლება თუ არა, საერთოდ, ვლადიმირ სოლოვიოვის მიჩნევა ფილოსოფოსად – ამ სიტყვის ევროპულ კულტურაში დამკვიდრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით. სოლოვიოვი ხომ, ჯერ ერთი, უფრო მეტ დროსა და გარჯას ფილოსოფიურ პუბლიცისტიკას უთმობდა, ვიდრე აკადემიურ მეტაფიზიკურ მსჯელობებს, ამასთანავე, მისი აზროვნება ფილოსოფიისა და თეოლოგიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის, ფილოსოფიისა და მისტიკის მიჯნებზე მიედინებოდა. მაგრამ ამგვარი შემთხვევები სხვაც ხომ არაერთია თუნდაც იმავე ევროპული ფილოსოფიის ისტორიაში. ამიტომ, შესაძლოა, უპრიანი იყოს მისი მიკუთვნება მისტიკური ფილოსოფიის ანდა თეოლოგიური ფილოსოფიის სფეროსათვის.

და მაინც, ვლადიმირ სოლოვიოვი სათავეს უდებს არა მარტო რუსულ ფილოსოფიას, არამედ ახალი დროის თეოლოგიური აზროვნების განვითარებას, და არა მარტო რუსეთში, არამედ, საერთოდ, აღმოსავლეთქრისტიანულ სამყაროში, სადაც ისტორიულ მიზეზთა გამო ფილოსოფიური თუ თეოლოგიური განს-

ჯანი არაერთი საუკუნის განმავლობაში უსიცოცხლოდ იყო გაქვავებული. მაგრამ აქ ერთი ხაფანგი გველის: მთლად ადვილი არაა ვლადიმირ სოლოვიოვის მიკუთვნება აღმოსავლურქრისტიანული ტრადიციისათვის, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის აზროვნებაზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა ანტიკურმა წარმართობამ და ებრაულმა კაბალამ, გნოსტიციზმმა და პანთეიზმმა, არამედ იმიტომაც, რომ დღემდე არ წყდება კამათი იმის გამო, თუ ვინ იყო აღმსარებლობით ვლადიმირ სოლოვიოვი, – მართლმადიდებელი თუ კათოლიკე, თუ რომელ აღმსარებლობაში დალია მან სული ამ ასი წლის წინათ და მართლმადიდებელ მღვდელს თუ კათოლიკე პატრს ანდო მან თავისი უკანასკნელი აღსარება.

ცნობილია, რომ 1881 წელს, რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, მკვლელობის შემდეგ, მან, მოსკოვის უნივერსიტეტის ოცდარვა წლის პროფესორმა, თხოვნით მიმართა გარდაცვლილი ხელმწიფის ვაჟს, ალექსანდრე III-ს, ეპატიებინა მამამისის მკვლელთათვის, ხოლო როცა ამას სამეფო კარის დუმილი და მის მიერ უნივერსიტეტის დატოვება მოჰყვა, ვლადიმირ სოლოვიოვის ფილოსოფიურ თუ საზოგადოებრივ აზროვნებაში კარდინალური გარდატეხა მოხდა. მან მაშინ განაცხადა, რომ რუსეთის ეკლესია მკვდარია და რომ სამყაროს ქრისტიანული გარდაქმნის მისია, მთელი ქრისტიანული მსოფლიოს გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ რომის კათოლიკე ეკლესიის მეთაურმა – პაპმა – შეიძლება იტვირთოს. ბუნებრივია, სოლოვიოვის ამგვარ შეხედულებათა შემცველი წიგნების ბეჭდვა რუსეთში კარგა ხნის მანძილზე – სოლოვიოვის მთელი ცხოვრების განმავლობაში – აკრძალული იყო.

სიცოცხლის მიწურულისათვის მოხეტიალე ფილოსოფოსი და თეოლოგი, რომელსაც საკუთარი ჭერიც კი არ გააჩნდა, მისტიკურად ხედავდა სამყაროს დასასრულის მოახლოებას, ანტიქრისტეს ხელისუფლების გაბატონებას და მთელი ქრისტიანული სამყაროს – მართლმადიდებელთა, პროტესტანთა, კათოლიკეთა – გაერთიანებას ანტიქრისტეს წინააღმდეგ წმიდა პეტრეს მოსაყდრის, რომის პაპის, მეთაურობით.

პოეტი და მოაზროვნე, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა მთელი შემდეგდროინდელი რუსული აზროვნების, კულტურის, ლიტერატურის განვითარებაზე, მოსკოვის ახლოს, უზკოეში, ორმოცდაშვიდი წლისა გარდაიცვალა.

2000

85

ვასილი როზანოვი
ქრისტიანობის გალავანს მიღმა

ვასილი როზანოვი
Василий Розанов
(Василий Васильевич Розанов)
1856-1919

1919 წლის 5 თებერვალი. რუსეთში რევოლუციური სისასტიკე მძვინვარებს. ბოლშევიკურ ქარბორბალას ნგრევა და სისხლი, შიმშილი და სიკვდილი მოაქვს. მოსკოვის მახლობლად, ძველ რუსულ ქალაქ სერგიევ პოსადში, წმიდა სერგი რადონეჟელის მიერ დაარსებული მონასტრის ახლოს, სიცოცხლეს ემშვიდობება ვასილი როზანოვი, – მეგობრის გაუმთბარ სახლს თავშეფარებული, მშიერი, ჯანგამოცლილი, დათრგუნული.

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე იგი მეოცე საუკუნეს ახალ მძაფრ მეტაფორას – "რკინის ფარდას" – დაუტოვებს და თავისი უკანასკნელი წიგნის დაბეჭდვას მოასწრებს, რომელსაც ნიშანდობლივი სათაური აქვს – "ჩვენი დროის აპოკალიფსი". ამჯერადაც ყველა ის უბედურება, რისი დატრიალებაც ბოლშევიკურმა ძალებმა თავისი გაბატონების პირველსავე დღეებში მოასწრეს, ისევ ქრისტიანობას, ქრისტიანულ ტრადიციასა და კულტურას ბრალდება, – იმგვარადვე, როგორც აქამდე, ათწლეულების მანძილზე, როზანოვისავე წიგნებსა და სტრიქონებში (თუ სტრიქონებს მიღმა) ქრისტიანობას ბრალდებოდა არა მარტო კაცობრიობის ჭეშმარიტი გზიდან აცდენა, ადამიანთათვის ადამიანურ სიხარულთა უსულგულო წაგლეჯა, არამედ ერთი კერძო პირის, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო კონტროლის საგანგებო დავალებათა მეშვიდე კლასის მოხელის, ვასილი როზანოვის, საოჯახო, საზოგადოებრივი თუ შემოქმედებითი წარუმატებლობანიც: ყოფილ მეუღლესთან, დოსტოევს-

კის ყოფილ სატრფოსთან, აპოლინარია სუსლოვასთან, ოფიციალური გაყრის შეუძლებლობა; ამ გარემოებაში ფარული სატრფოს სახელმწიფოს მხრივ კანონიერ მეუღლედ არცნობა; იმპერიის კანონმდებლობის საფუძველზე მისი შვილების უკანონო შვილებად მიჩნევა; აკადემიურ წრეებში მისი ნაწერების სრული უგულებელყოფა; ნივთიერი შეჭირვება თუ სისტემური ცოდნის უქონლობის კომპლექსი.

იმგვარი რელიგიურ-მსოფლმხედველობითი მოძღვრების საგულდაგულო ძიება კი, სადაც ღმერთი არა მარტო სიცოცხლეს, არა მარტო საოჯახო კერასა და ქორწინებას აკურთხებდა, არამედ სადაც რელიგიური ცხოვრება სქესობრივ ცხოვრებას ერწყმოდა, ვასილი როზანოვს ქრისტიანობის გალავნის მიღმა გაიყვანს, – პირველ ყოვლისა, იუდაიზმისა და წარმართობის წიაღში. სწორედ იქ ახერხებს იგი ებრაული, ბერძნული თუ ეგვიპტური ყოველდღიურობის განცხრომაში ჩაძირვას, თუნდაც ეს ყოველდღიური ცხოვრება ოდენ წიგნებში ამოკითხული ან ოდენ ყურმოკრული იყოს. ამასთან ერთად აშკარაა ისიც, რომ როზანოვისეული განცხრომანიც წიგნისმიერი და კალმისმიერია, ისევე როგორც მისი სულიერი ძმების, ფრიდრიხ ნიცშესა და ზიგმუნდ ფროიდის, სახიფათო და საეჭვო ძიებანი თუ მიგნებანი.

თუკი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ვისმე რამე მარჯვედ და მახვილად უთქვამს ქრისტიანულ ფასეულობათა თუ თავად იესო ქრისტეს პიროვნების წინააღმდეგ, ერთ-ერთი პირველი, ერთ-ერთი ყველაზე უშეღავათო და მძაფრი ვასილი როზანოვი იყო; თუ იმავე ხანაში რამე მანამდე გამოუთქმელი და გაუმჟღავნებელი, უჩვეულო და მოულოდნელი დაწერილა ადამიანის სქესობრივი ცხოვრების, სქესობრივ თავისუფლებათა ანდა ჰომოსექსუალობის შესახებ, ერთ-ერთი პირველი როზანოვის წიგნებია; თუ რამე არაყალბი, გულახდილი და უშუალო ამოთქმულა ღმერთმიტოვებულობისა და ქრისტესმოძულეობის წყვდიადიდან, ერთ-ერთი ყველაზე სანდო "განმარტოებულის" ავტორის სტრიქონებია, თუმცა, შესაძლოა, როზანოვის შემდეგ ამ თვალსაწიერიდან, ამ ამოსახედიდან ბევრი არც არაფერი დაწერი-

ლა მნიშვნელოვანი, ჩასაფიქრებელი და გასათვალისწინებელი.

ალბათ, ამიტომაც იყვნენ მისი დაუღალავი და მღელვარე მკითხველები ლევ ტოლსტოი და ანტონ ჩეხოვი, პაველ ფლორენსკი და მიხაილ ბახტინი, ვიაჩესლავ ივანოვი და მარინა ცვეტაევა, ანდრე ჟიდი და ერნსტ იუნგერი. და კიდევ, ვასილი როზანოვის ქართული კონტექსტი: სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულიერად განმარტოებული, როზანოვივით ქრისტიანულ და წარმართულ ვნებათა შორის გახლეჩილი აკაკი გაწერელია სინანულითა და გულისტკივილით იხსენებდა, თუ მან, სტალინურ-ბერიული ტერორის მძვინვარების წლებში, მოახლოებული საშიშროებისაგან დამფრთხალმა, როგორ მისცა ცეცხლს დაწერილ-გამზადებული მონოგრაფიები კნუტ ჰამსუნისა და ვასილი როზანოვის – მისთვის ორი ყველაზე ახლობელი და ყველაზე ძვირფასი მწერლის – შესახებ. დღეს, რა თქმა უნდა, ძნელია ამ დაჩივლებაში მითოლოგიზაციის წილისა და კვალის განსაზღვრა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ აკაკი გაწერელიას პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის წარმოდგენა "დაცვენილი ფოთლების" ავტორის აჩრდილის შეუმჩნევლად ძნელად თუ მოხერხდება.

1919 წლის 5 თებერვალს, როცა მეოცე საუკუნის უთვალავი განსაცდელი ჯერ კიდევ წინ იყო, მოსკოვის მახლობლად, ძველ რუსულ ქალაქ სერგიევ პოსადში, ვასილი როზანოვის სარეცელთან მართლმადიდებელ მღვდელს უხმეს. მომაკვდავმა აღსარების თქმა და ქრისტეს ხორცთან და სისხლთან ზიარება ისურვა, – შესაძლოა, იმიტომაც, რომ მან, ბოლშევიკური რევოლუციის აბოგინების შემსწრემ, ანტიქრისტიანულ, ქრისტესმოძულე მოზეიმე ძალთა ნამდვილ სახეს მოჰკრა თვალი. ამჯერად ის სახე ხელშესახები და აშკარა იყო, – და არა წიგნებში, უძველესი ასოებით დაწერილ წიგნებში, ამოკითხული.

1999

86

ბორის პასტერნაკის მოპოვებული ნათელი

ბორის პასტერნაკი
Борис Пастернак
(Борис Леонидович Пастернак)
1890-1960

ბორის პასტერაკმა, მის მეგობართა და ახლობელთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, სიცოცხლე ისე დაამთავრა, რომ არასოდეს ყოფილა საბჭოთა დამსჯელ დაწესებულებათა პატიმარი, – ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი უფრო თავისი შეხედულებების, თავისი რწმენის პატიმარი იყო. ბევრ საბჭოთა თუ არასაბჭოთა ინტელექტუალთა მსგავსად, თავისი შემოქმედების მიზნად მას ახალი იდეოლოგიის სამსახური მიაჩნდა; იგი დარწმუნებული იყო, რომ ხალხის უმრავლესობა სტალინისა და კომუნიზმის ერთგული იყო, და თავადაც სურდა – სტალინისთვისაც და ხალხისთვისაც – ამ ერთგულების დამტკიცება; პოეტი ყოველმხრივ ცდილობდა, საკუთარი ხმა უმრავლესობის ხმასთან შეერწყა, თუნდაც დიდი მსხვერპლისა და დიდი ტკივილის ფასად, – თავისი არტისტული წარმოშობის, ფილოსოფიური განათლების, პირადი რომანტიკულ-მუსიკალური გამოცდილების დავიწყებით. მცდელობა კი მწარე დამარცხებით დამთავრდა, – დამარცხებით სოციალისტური სამშობლოს მოქალაქე პასტერნაკისათვის, მაგრამ გამარჯვებით სულისა და ხელოვნებისათვის.

სიცოცხლის ბოლოს პასტერნაკი თავის უკანასკნელ ლირიკულ კრებულებში, რომანში "ექიმი ჟივაგო" არამარტო შეინარჩუნებს და განაახლებს თავის ოდინდელ გენიალურ გაქანებასა და დიდოსტატურ მხატვრულ ხედვას, – მისი შემოქმედება, ამასთანავე, მოიპოვებს ინტელექტუალურ და ადამიანურ სითამამეს, სულიერ

სიღრმეს და, რაც მთავარია, მანამდე წარმოუდგენელ თავისუფალ სუნთქვას. პოეტის პიროვნული და შემოქმედებითი გათავისუფლება ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებამ და მიღებამ განაპირობა. წინ იყო განახლება და დევნა, მსოფლიო სახელი და მარტოობა, სიმშვიდე და რწმენა.

ბორის პასტერნაკის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, – უსწორმასწორო, და მტანჯველი, აღსავსე ტკივილითა და განცდით, – იესო ქრისტეს ნათლის მიღებით გვირგვინდება.

ბორის პასტერნაკი 1960 წლის 30 მაისს მოსკოვის მახლობლად, პერედელკინოში, თავის სახლში გარდაიცვალა.

2000

87

ვლადიმირ ნაბოკოვის ორი სარკე

ვლადიმირ ნაბოკოვი
Владимир Набоков
(Владимир Владимирович Набоков)
Vladimir Nabokov
1899-1977

ვლადიმირ ნაბოკოვს, ბორხესის მსგავსად, სარკეები და არეკვლა უყვარდა. იგი ორ სხვადასხვა სარკეში არეკლილი მწერალია: რუსი მწერალი სირინი, რომელიც იმთავითვე რუსეთსგარეთა რუსული ლიტერატურის საუკეთესო ავტორად იყო აღიარებული, და ამერიკელი მწერალი ნაბოკოვი, რომელსაც სკანდალური სახელი და ფინანსური კეთილდღეობა მისმა არცთუ ყველაზე უკეთესმა რომანმა "ლოლიტამ" მოუტანა, მაგრამ რომელიც სულ მალე – "ლოლიტას" გამო თუ "ლოლიტასაგან" დამოუკიდებლად – ოკეანისგაღმა ინგლისურად მწერალთა შორის დიდოსტატის პატივით იქნა აღჭურვილი. ჰესეს უკანასკნელი რომანის "რიოში მარგალიტებით თამაშის" გმირთა მსგავსად, ნაბოკოვიც მეტად სერიოზულ საქმედ მიიჩნევდა თამაშს და მთელი ცხოვრება ისე გაატარა, ახლობლებსაც კი უჭირდათ გარკვევა, როდის იყო იგი გულწრფელი და როდის ოდენ თამაშის ჟინს აყოლილი ხელოვანი. მართალია, მას იმთავითვე იმორალისტი ცინიკოსის სახელი ჰქონდა დაგდებული, მაგრამ ვისაც მისი თუნდ რუსულენოვანი, თუნდ ინგლისურენოვანი პროზა წაუკითხავს, ძნელად თუ იტყვის, სინამდვილეში რა იყო მისი ნიღაბი – სწორედ ეს აუღელვებელი, ცივი ცინიზმი თუ მის ყველა წიგნში გაჟონილი დაუძლეველი სევდა, მიუსაფრობისა და მარტოობის ტკივილი, განგებისა და ბედისწერის მიღება და აღიარება.

* * *

მაშინ, როცა ვლადიმირ ნაბოკოვის წიგნები მსოფლიოს თითქმის ყველა წარმოსადგენ ქვეყანაში ყველა წარმოსადგენ ენაზე იბეჭდებოდა, დედამიწის ზურგზე ერთადერთი ქვეყანა მისი სამშობლო იყო, სადაც ბოლშევიკური დიქტატურის დამყარების დღიდან არა მარტო მისი ერთი სტრიქონიც არ გამოქვეყნებულა, არამედ მისი ხსენებაცა და წაკითხვაც კი დანაშაულად იყო მიჩნეული, – ყოველ შემთხვევაში, მისი წიგნების გამჟღავნებული გავრცელებისათვის საბჭოთა მოქალაქეს, შესაძლოა, ციხეშიც კი ამოეყო თავი.

მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ნაბოკოვის ემიგრანტული ბიოგრაფიის მიუხედავად (რაც კომუნისტ იდეოლოგთა მიერ თითქმის მიუტევებელ ცოდვად იყო მიჩნეული), მწერალს არასოდეს მიუპყრია თავისი შემოქმედებითი ყურადღება პოლიტიკურად აქტუალური თემებისათვის და, კერძოდ, არც კომუნიზმი მოხვედრილა მისი სიტყვიერი ხელოვნების თვალსაწიერში. თუმცა, იგი, როგორც ყოველ გონიერ და წესიერ კაცს შეჰფეროდა, რა თქმა უნდა, დაუფარავი ზიზღით იყო განმსჭვალული ყოველგვარი ლენინებისა თუ ჰიტლერების, ყოველგვარი სტალინებისა თუ მაოების მიმართ.

და მაინც, ნაბოკოვის წიგნები, რომელიც მკითხველს სიყვარულის, ხსოვნის, ბედისწერისა და სევდის შესახებ მოუთხრობდა, კომუნისტურ სივრცეში მიუღებელი და აკრძალული იყო. წიგნის იმ ბედნიერ საბჭოთა მოყვარულს კი, რომელსაც ერთი ღამეში სულმოუთქმელად უწევდა გულკეთილი მეგობრისაგან ნათხოვარი "ლოლიტას" თუ "ძღვენის" გადაკითხვა, ერთი მხრივ, სახიფათო სივრცესთან მიახლოების მწვავე განცდა აღაგზნებდა, მაგრამ, მეორე მხრივ (რაც, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი იყო), აშკარად აჩვენებდა მას, რომ კომუნისტური აკრძალვა ვრცელდებოდა არა მხოლოდ ეგრეთ წოდებულ ანტისაბჭოთა თუ ნამდვილად ანტიკომუნისტურ წიგნებზე, არამედ ყოველივე იმაზე, რაც სიმშვენიერითა და ფიქრით იყო აღბეჭდილი. ხოლო თუკი მეოცე საუკუნის ლიტერატურაში რამე მშვენიერი და

გონიერი დაწერილა, ნაბოკოვის წიგნები უთუოდ განეკუთვნება ამგვართა წყებას.

ვლადიმირ ნაბოკოვი უეჭველად გამორჩეული პიროვნება და შემოქმედი იყო, გამორჩეული თავის თანამედროვეთა თუ წინამორბედთა შორის, მაგრამ ერთ რამეში იგი მაინც ერთადერთია: მსოფლიო ლიტერატურაში, შესაძლოა, დასახელდეს არა ერთი და ორი ავტორი, რომელიც ორ ან მეტ ენაზე ქმნიდა თავის შემოქმედებას, მაგრამ ძნელია მოიძებნოს მაგალითი, როცა ერთი და იგივე მწერალი ორი ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსი იყოს. ვლადიმირ ნაბოკოვი კი მეოცე საუკუნის რუსული და ამერიკული ლიტერატურების ნამდვილად აღიარებული დიდოსტატია. წარმოსახვით ნუსხაში, რომელიც იმ ნაწარმოებებს წარმოაჩენს, რაც ჩავლილი ასწლეულის განამავლობაში ღირებული და წარუვალი შექმნილა ინგლისურ ან რუსულ ენებზე, შეუძლებელია გამორჩენილი იყოს "ადა" ან "სხვა ნაპირები".

* * *

თუ რიცხვითი სიმბოლიკის მოყვარულებსა და მაძიებლებს ნაბოკოვის ლიტერატურული ტექსტები ფართო არჩევანისა და დაულეველი განცხრომის საშუალებას აძლევს, მისი ბიოგრაფია ყველა იმას, ვინც თარიღებსა და დროით მონაკვეთებში კანონზომიერებისა და ფარული მნიშვნელობის ამოცნობას ლამობს, იმედის გაცრუებას უქადის.

1899 წლის 22 აპრილს სანქტპეტერბურგში დაბადებულმა ვლადიმირ ნაბოკოვმა თავისი ცხოვრების პირველი ოცი წელი რუსეთში გაატარა, მაგრამ იქიდან მან ხსოვნის იმგვარი საგანძური წამოიღო, რომელიც შემდგომში თითქმის მთელი მისი შემოქმედების საზრდოდ, წყაროდ, შთაგონებად და ტკივილად აღმოჩნდა საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ რუსეთში ცხოვრებისას პატარა ნაბოკოვმა თავდაპირველად ინგლისურად აიდგა ენა, კემბრიჯული სწავლა-განათლების წლები ინგლისურის ენის სრულყოფასა და ევროპულ კულტურასთან სიღრმისეულ ზიარებას მოხმარდა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1922 წელს ბერლინში დასახლებას თხუთმეტწლიანი გერმანული პერიოდი მოჰყვება, რომელიც საბოლოოდ ნაციონალ-სოციალისტური მესამე რაიხის მიტოვებით მთავრდება, – თუნდაც იმიტომ, რომ ნაბოკოვს ებრაელი ცოლი ჰყავდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი იმდენად გაუცხოებულად გრძნობდა თავს გერმანულ გარემოში, თუ მის სიტყვებს ვენდობით, გერმანულის სწავლაც არ უცდია. მაგრამ ეს თითქმის ოცწლიანი მონაკვეთი მნიშვნელოვანია არა მარტო რუსი მწერლის სირინის ბიოგრაფიისათვის (ნაბოკოვი თავის რუსულენოვან წიგნებს ვ. სირინის ფსევდონიმით ბეჭდავდა), არამედ მთელი რუსული ლიტერატურისათვისაც, რადგან სწორედ ამ ხანას განეკუთვნება ნაბოკოვის მთელი რუსულენოვანი შემოქმედება. სამი წლით პარიზში ყოფის შემდეგ, როცა ნაბოკოვი ფრანგულად წერას და ფრანგ მწერლად გახდომას ცდილობს, იწყება ოცწლიანი ამერიკული პერიოდი, – 1940 წლიდან, ჯერ უნივერსიტეტის პროფესორისა და შემდგომ ამერიკული ლიტერატურის აღიარებული დიდოსტატის ცხოვრება.

1960 წელს მწერალი თავის ოკენისგაღმა სამშობლოსაც მიატოვებს: ახალ სამყაროში დიდებისა და ნივთიერი შეძლების მოპოვებისთანავე ევროპის ძველ ქვებთან დაბრუნებას ამჯობინებს, თუმცა თავისი ოდინდელი აღთქმა მას არც შვეიცარიაში დასახლებისას დაურღვევია და, რაკიღა თავისი ერთადერთი სახლი რუსეთში ეგულებოდა, ცხოვრების დარჩენილი წლები – 17 წელი – მან სასტუმროში, ფრანგულ შვეიცარიაში, მონტრეში, გაატარა, სადაც ყვავილების, პეპლებისა და წიგნების მოყვარულ ვლადიმირ ნაბოკოვს, რუსული წარმოშობის ამერიკელ მწერალს, 1977 წლის 2 ივლისს მშვიდი სიკვდილი ელოდა.

1997, 1999

88

"ნონსტოპ სოლჟენიცინი"

ალექსანდრ სოლჟენიცინი
Александр Солженицын
(Александр Исаевич Солженицын)
1918-2008

1999 წლის 18 აპრილს, კვირას, დღის სამ საათზე, პრაჰის მაცხოვრის ("სალვატორის") პროტესტანტულ ტაძარში დაიწყო სამდღიანი პროგრამა, რომელსაც "ნონსტოპ სოლჟენიცინი" ეწოდებოდა. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში კომუნიზმის დაცემის ათი წლისთავის აღნიშვნა აქციის ორგანიზატორებმა ალექსანდრ სოლჟენიცინის ტექსტების უწყვეტი კითხვით გადაწყვიტეს, სადაც დღისით თუ ღამით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მწერლის სახელგანთქმული ნაწარმოებების მოხალისე მკითხველები. კითხვის სამდღიანი მარათონი ქალაქის პრიმატორმა (ანუ ქალაქის მერმა), იან კასლმა, დაიწყო, რომელსაც წასაკითხად ნობელის პრემიის გადაცემისას მწერლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჰქონდა შერჩეული. თხუთმეტი წუთის შემდეგ მას ცნობილი ევანგელისტი მქადაგებელი, სვატოპლუკ კარასეკი, ჩაენაცვლა, რომლის ბიოგრაფია, სოლჟენიცინის მსგავსად, დისიდენტურ საქმიანობასაც მოიცავს და სამშობლოდან განდევნილობასაც. მოკლე შესავლის შემდეგ, რომელშიც მან ხაზი გაუსვა მწერლის რაინდულ პოზიციასა და თვალსაზრისს, ასე იშვიათს დღევანდელ საზოგადოებაში, კარასეკმა წაიკითხა ერთი მონაკვეთი "გულაგის არქიპელაგის" პირველი ტომიდან. ცოტა ხნის შემდეგ საკითხავ მაგიდას სენატის თავმჯდომარე, ლიბუშე ბენეშოვა, მიუჯდა, რომლმაც გაიხსენა ის გამაოგნებელი და დაუვიწყარი დღეები საშუალო სკოლაში სწავლისას, როცა მან პირველად წაიკითხა "ივან დენისოვიჩის ერთი დღე". შემდგომშიც, სამი დღისა და

ღამის განმავლობაში, მკითხველთა რიგი არ შეთხელებულა: სოლჟენიცინის ფურცლებს რუსულად და ჩეხურად, ინგლისურად და ფრანგულად, გერმანულად და იტალიურად, ესპანურად და პოლონურად კითხულობდნენ მისი ცხოვრებისა და ღვაწლის პატივისმცემლები: ფილოსოფიის სტუდენტი თუ საგარეო საქმეთა მინისტრი, პოეტი თუ მუსიკოსი, ვიცე-პრემიერი თუ მსახიობი, პენსიონერი თუ მხატვარი. ყოველი მათგანი ტექსტის წაკითხვამდე ცდილობდა, ორიოდ სიტყვით გამოეხატა მადლიერება მეოცე საუკუნის ამ უკამათოდ დიდი და შეუპოვარი ადამიანის მიმართ, რომლის შეხედულებებმა, რომლის პიროვნებამ, რომლის საიდუმლოდ და სახიფათოდ გადაღებულმა, გადაბეჭდილმა, გამრავლებულმა წიგნებმა მილიონობით ადამიანზე მოახდინა გადამწყვეტი ზეგავლენა.

რა დამოკიდებულებაც უნდა გვქონდეს ამჟამად ალექსანდრ სოლჟენიცინის, მისი საკამათო შეხედულებებისა თუ დღევანდელი პოზიციის მიმართ, ვისაც 60-იან, 70-იან, 80-იან წლებში კომუნისტური დიდაქტურის პირობებში უცხოვრია, – ოღონდ, რა თქმა უნდა, კომუნისტურ ძალადობასა და სიცრუესთან გულგრილი შეგუების გარეშე, – სადაც უნდა ყოფილიყო იგი, მოსკოვსა თუ ვარშავაში, პრაჰასა თუ ბუქურეშტში, ტალინსა თუ თბილისში, შეუძლებელია საკუთარი ბიოგრაფიის ფაქტებად არ აღბეჭდოდა "ივან დენისოვიჩის ერთი დღე" და "გულაგის არქიპელაგი", რუსი მწერალი ალექსანდრ სოლჟენიცინი და მისი უშიშარი, თამამი, მართალი და მგზნებარე წიგნები.

1999

89

იოსიფ ბროდსკის ხსოვნას

იოსიფ ბროდსკი
Иосиф Бродский
(Иосиф Александрович Бродский)
Joseph Brodsky
1940-1996

ქვემორე ესკიზი იოსიფ ბროდსკის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაიწერა, მისი გარდაცვალების გაგების შემდეგ, მისი პიროვნებისა და შემოქმედების ჩაწვდომის სახელდახელო მცდელობის შედეგად. ამ სტრიქონებში, ჩანს, აისახა ადამიანური სევდაც პოეტის სიცოცხლის დასრულების გამო და ცნობიერი სურვილიც, რუსული თუ მსოფლიო პოეზიის კონტექსტში გააზრებულიყო გასრულებული პოეტური გზა. იმჟამად ამ ჩანაწერის დაბეჭდვა ვეღარ მოხერხდა, მერმე თითქოსდა საჭიროდ აღარ ჩანდა; როცა – რამდენიმე თვის წინ – მისი გარდაცვალებიდან ათი წლისთავის თარიღი დადგა, მხოლოდ მაშინ ამოტივტივდა მეხსიერებაში ამ სტრიქონების არსებობა, მაგრამ გამოქვეყნება ამ თარიღისათვისაც ვეღარ მოესწრო... მივიჩნიოთ, რომ საგანგებო საბაბის გარეშეც, გარდაცვალების ათი ან თუნდაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც იოსიფ ბროდსკის გახსენება, მისი ხსოვნის ნიშანდება და მისი პოეზიის წვდომა საჭირო და ნაყოფიერი იქნება.

2006

ამ უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე რუსეთს ერთ რამეში აშკარად გაუმართლდა – უკვე ორი საუკუნეა, რუსეთის სულიერი ჰორიზონტი ერთი წუთითაც არ დარ-

ჩენილა დიდი პოეტის გარეშე. და ასე გრძელდება დერჟავინისა და პუშკინის დროიდან, იმ დროიდან, როცა დერჟავინმა ქრესტომათიული ჟესტით გზა დაულოცა სულ ახალგაზრდა პუშკინს. მემკვიდრის პოვნა და მისთვის კალმის სიმბოლური თუ არასიმბოლური გადაცემაც რუსული პოეზიის ტრადიციაა, მაგრამ პუშკინი რუსული კულტურის "ოქროს ხანაა", ხოლო როცა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში "ვერცხლის ხანა" მთავრდებოდა და ბედისა და საბჭოთა გამყინვარების წყალობით მეგობრებშემოცლილი, ეულად დარჩენილი ანა ახმატოვა თავის უკანასკნელ, შავი ალმასივით მოელვარე შედევრებს ქმნიდა, თითქოს ყველაფერი იმას მეტყველებდა, რომ ნამდვილი რუსული პოეზია წყვეტდა თავის არსებობას. მაგრამ სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე უკვე მსოფლიო დიდებით მოსილმა და ნობელის პრემიის მომლოდინე ახმატოვამ მის ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდა მელექსეებში პოეტი აღმოაჩინა – რუსულ პოეზიას, რუსულ ენას კიდევ ერთხელ ეძლეოდა საშუალება, თავისუფალი სუნთქვის დინებას მიჰყოლოდა, სამყაროს ხატი ლექსის სტრიქონებში მოექცია, დროსა და ბედისწერასთან ისევ გაეგრძელებინა დიალოგი. როცა დიდებულმა და ბრძენმა ახმატოვამ ოცი წლის იოსიფ ბროდსკის ლექსები წაიკითხა, მიხვდა, რომ სკოლადაუმთავრებელი ჭაბუკის რვეულები გენიალური პოეზიის საწინდარი იყო, როცა ოცდახუთი წლის ბროდსკიმ ელიოტის სიკვდილს მიუძღვნა ლექსი, ახმატოვამ დაიჩივლა, რომ გულდაწყვეტილი იყო, რადგან თავად არ იყო ამ ლექსის ავტორი, ხოლო როცა საბჭოთა სასამართლომ სამარცხვინო და ბრიყვული პროცესი გამართა ახალგაზრდა პოეტის წინააღმდეგ, ნიკოლაი გუმილიოვის ქვრივმა და მეოცე საუკუნის ყველა დიდი რუსი პოეტის ჭირისუფალმა ირონიულად შენიშნა, ხელისუფლება ზრუნავს მომავალი დიდი პოეტის დიდებული ბიოგრაფიისათვისო. ახმატოვამ ბროდსკისთან შეხვედრისას მასში საკუთარი მემკვიდრე ან, უფრო ფართოდ, რუსული პოეზიის კანონიერი მემკვიდრე დაინახა.

იოსიფ ბროდსკის პოეზია, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ, შეუჩერებლივ მიუყვებო-

და სრულყოფილების აღმართს, თავის თავში მოიცავს ტრედიაკოვსკის სიმძიმეს, დერჟავინის ოდურობას, პუშკინის გამჭვირვალობას, ლერმონტოვის ირონიულობას, ტიუტჩევის სიბრძნეს, ფეტის სევდას, ანენსკის სკეფსისს, ბლოკის იდუმალებას, კუზმინის ჰერმეტიზმს, ცვეტაევას ვნებას, პასტერნაკის მეტაფორულობას, მანდელშტამის მითოლოგიზმს, ახმატოვას ჭედურობას. ბროდსკიმ კარგა ხანია მოიპოვა კლასიკოსის პატივი, მაგრამ ეს მის ორიენტაციასაც ნიშნავს – კლასიკური და კლასიცისტური მემკვიდრეობის პრიორიტეტს. თავის მასწავლებლებად იგი დიდ ევროპელებს აღიარებდა: ოვიდიუსსა და ჰორაციუსს, დანტესა და ჯონ დონს, ელიოტსა და ოდენს. იგი მათ ჰგავდა კიდეც ან ცდილობდა დამსგავსებოდა – ოვიდიუსის მსგავსად, სიყვარულისა და სევდის პოეტი იყო და თავისი ცხოვრება განდევნილობაში დაასრულა; სიცოცხლის მიწურულს ორივე უცხო წყლის შორეულ სივრცეებს გაჰყურებდა: რომაელი პოეტი შავ ზღვას, რუსი პოეტი – ატლანტის ოკეანეს. დანტეს მსგავსად, არც მან ისურვა სამშობლოში დაბრუნება და ელიოტივით თავად აირჩია მოქალაქეობა და ტრადიციები. ყოველ შემთხვევაში, რუსულ ენაზე არასოდეს დაწერილა ასეთ გრძელ სუნთქვაზე გათვლილი, ასეთი გრძელი ლექსები. ეს იმ ინგლისურენოვანი პოეზიის გავლენაა, რომელიც მან თავის სულიერ სამშობლოდ ჯერ მანამდე აირჩია, სანამ ინგლისურენოვანი ქვეყნის მოქალაქე გახდებოდა. თავის დაკარგულ ქალაქსა და ქვეყანას იგი სევდითა და გარდაუვალობის შეგნებით იხსენებდა, ისევე როგორც დაუბრუნებელ ბავშვობას, დაუბრუნებელ სიყვარულს. სამყაროში მიუსაფრობას იგი, ადამის მსგავსად, ტრაგიკულად განიცდიდა, მაგრამ სტოიკურად უგდებდა ყურს მსოფლიო წესრიგის მდუმარე გულგრილობას. მას უყვარდა სევდა და იყო ძალიან მხიარული, უყვარდა მარტოობა და ჰყავდა უამრავი მეგობარი, უყვარდა მშვიდი და აუღელვებელი ცხოვრება და ემზადებოდა სიკვდილისათვის. იგი ახმატოვასავით ბევრს წერდა სიყვარულზე, მაგრამ სატრფოს სახე მის ლექსებში ისევე ბუნდოვანია, როგორც ოდენთან. ყველაზე შინაურულად იგი თავს ევროპულ კულტურაში გრძნობ-

და, მაგრამ ეამაყებოდა, რომ იყო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. მას ენატრებოდა სამშობლო, მაგრამ უარი თქვა ჩასულიყო იქ, როცა მას ამის საშუალება მიეცა. მან თხუთმეტი წლისამ მიატოვა სკოლა, მაგრამ ღირსეულად ატარებდა საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალის პატივს. მან იცოდა, რომ პოეზია ვერაფერს შეცვლის სამყაროში, მაგრამ თავად უკანმოუხედავად, შეუჩერებლად ქმნიდა ლექსებს. იგი არცთუ ხელგაშლილი იყო ლიტერატურული შეფასებებისას, მაგრამ დაუზარებლად უკვალავდა გზას მეგობრების წიგნებს. იგი ვერ იტანდა საბჭოთა და რუსულ უხამსობას, მაგრამ მონატრებით წერდა საბჭოთა საგნებში არეკლილი წარსულის შესახებ. მას მიაჩნდა, რომ პოეზიის მოყვარულს ცოტათი უფრო უჭირს კაცის მოკვლა, მაგრამ თავადვე იხსენებდა, რომ ლექსებს თხზავდნენ სტალინი და მაო ძე დუნი. მას უყვარდა ინგლისური პოეზია, მაგრამ ლექსებს წერდა რუსულად. იგი იყო ებრაელი და ყოველი წლის მიწურულს თითო ლექსს უძღვნიდა შობას. მან ერთხელ თქვა, რომ პოეზიასა და პოლიტიკას მხოლოდ ორი რამ აქვთ საერთო – ასო "პ" და ასო "ო", მაგრამ მისი ლექსები თუ ესეები ხშირად პოლიტიკით იყო დამუხტული და იგი ყოველთვის აშკარად გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას პოლიტიკურ გარეწართა ან პოლიტიკურ გარეწრობათა მიმართ. 1991 წელს თავისი ბრწყინვალე წერილით იგი მხარში ამოუდგა ქართველ ინტელექტუალებს, მხნეობისაკენ მოუწოდა მათ, მაგრამ იმასაც შეახსენებდა, რომ ჭეშმარიტება არასოდეს ყოფილა უმრავლესობის მხარეს.

რაც უფრო მტკიცედ ჰქონდა შეგნებული ახალგაზრდობიდანვე საკუთარი გენიალობა, მით უფრო მშვიდად და აუღელვებლად შეხვდა ბროდსკი დიდებას. მას არასოდეს შეჰპარვია ეჭვი თავის მისიაში, არასოდეს დაუფლებია არც სასოწარკვეთა და არც კმაყოფილება – არც მაშინ, როცა ლენინგრადში მოსამართლე საველიევა მუქთახორობისათვის ასამართლებდა ან როცა შვედეთის მეფე ნობელის პრემიას გადასცემდა სტოკჰოლმში, არც მაშინ, როცა კომაროვოში ახმატოვასაგან მისადმი მიძღვნილი ლექსის ხელნაწერს იღებდა ან როცა ოდე-

ნი აცილებდა მას ვენის აეროპორტში. იგი ყოველთვის უფრო და უფრო უკეთეს ლექსებს წერდა, იგი განუწყვეტლივ სჯობნიდა საკუთარ თავს. მის შემოქმედებაში, მის რუსულ ლექსებსა და ინგლისურ ესეებში არასოდეს გაფერმკრთალებულა აზრისა და სიტყვის დისციპლინა, კლასიკური წონასწორობა, სათქმელის მნიშვნელობა, ირონია და სევდა, სკეპტიკური ინტელექტით მოთოკილი ემოცია.

რუსეთის დატოვების შემდეგ ბროდსკი რუს პოეტად რჩებოდა, მაგრამ, ამასთანავე, მან ნაბოკოვის აქამდე ერთადერთი მაგალითი გაიმეორა და ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსად იქცა.

რუსეთში კი ისევ ბობოქრობს ძალადობა და სისხლი, სიბრიყვე და სისასტიკე, ოღონდ ამჯერად რუსეთი – პირველად ორასი წლის მანძილზე – დიდი პოეტის გარეშე აღმოჩნდა. დიდმა რუსულმა პროზამ რუსეთს გარეთ, ევროპაში, ამოწურა თავი – ბუნინმა და ნაბოკოვმა დევნილობაში დააამთავრეს სიცოცხლე, დიდი რუსული პოეზია ამერიკაში დასრულდა: სულ რამდენიმე დღის წინათ, 1996 წლის 28 იანვარს.

სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ბროდსკი წერდა:

“როგორც ამბობენ, უკვე მალე მოვიხსნი სამხრეებს,
და მაშინ გადავიქცევი უბრალო ვარსკვლავად,
მაშინ გავკრთები ზეცის ლეიტენანტად
გრძელ მავთულებში”.

იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე სამყაროსა და დროს უჩვეულო და უცნაურ კითხვებს უსვამდა. ახლა იგი ღმრთისა და უკვდავების პირისპირ დგას. ახლა იგი უკვე მარადისობას შეურთდა.

1996

ვინც პოლონურად წერდა

ჰენრიკ გრინბერგი
ჰანა კრალი

90

პოლონელი ებრაელი ჰენრიკ გრინბერგი

ჰენრიკ გრინბერგი
Henryk Grynberg
*1936

უკანასკნელ ხანებში პოლონეთში კიდევ უფრო იმატა ყურადღებამ ებრაელი ერის, მისი რელიგიის, წეს-ჩვეულებების, ცხოვრების წესის შესახებ, სულ უფრო მეტი იწერება ებრაელობის ომისდროინდელ თუ ომისშემდეგ ბედზე. მრავალი მწერლისათვის ეს თემა არა მარტო სიმართლეში გარკვევის საშუალება იყო და არის, არამედ გარკვეულად ვალის მოხდაც იმ ადამიანების წინაშე, რომელთაც დღევანდლამდე ვერ მოაღწიეს მეორე მსოფლიო ომის საშინელებათა გამო. ქვეყანაში უკვე ოცი წელია გრძელდება საუბარი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ისტორიული თვალის გასწორება ებრაული პრობლემისათვის. ამ თვითჩაღრმავებასა და თვითგაგებაში განზე არ რჩება არც პოლონური კულტურა, პოლონური ლიტერატურა. ცნობილია, თუ როგორი როლი ითამაშა ამ საკითხმა 1968 წელს: პოლონეთში გაჩაღებული მორიგი ანტიებრაული კამპანიისას მწერლები მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ დაპირისპირების ეს ზღვარი, ამავე დროს, შინმყოფ და ემიგრანტ მწერლებს შორის გადიოდა. გართულებული სიტუაციის გამო მოსალოდნელი რეპრესიების შიშით იმ დროს პოლონელ ებრაელ მწერალთა უმრავლესობამ პოლონეთი დატოვა.

1980-იანი წლების უეჭველი სიახლე იყო ებრაელთა ისტორიის განხილვა სხვა ევროპელ ერთა ისტორიისა და კულტურათა კონტექსტში. თუმცა ნამდვილად ღია დისკუსია, თემის სამეცნიერო და ბელეტრისტულ ჭრილში განხილვა მხოლოდ 1989 წლის შემდეგ გაიშალა. ებრაელები საზოგადოების თვალში ნელ-ნელა იქცნენ პოლონელი

ერის ნაწილად, ხოლო ებრაელთა კატასტროფა დღეს უკვე საზოგადოების მიერ ეროვნულ უბედურებად აღიქმება. უკვე არავის ეეჭვება, რომ მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს პოლონური კულტურისა და ეკონომიკის განვითარებაში. დღევანდელ დემოკრატიულ პოლონეთში, ფაქტობრივ, ჩვეულებრივი გახდა პოლონურ-ებრაული ნორმალური კონტაქტები. თუმცა კარგა ხანია, წელი ისე არ ჩაივლის, მაინც რამე გართულება არ აღმოცენდეს მათ შორის, – იქნება ეს ყოფილი პრეზიდენტის წინდაუხედავი განცხადება, მისი მეგობარი მღვდლის ანტიებრაული ქადაგება, ოსვენციმში ჯვრის დადგმის საკითხი თუ ახლომახლო კათოლიკური მონასტრის ამოქმედების მცდელობა. ამგვარი ექსცესები და დაძაბულობა, ალბათ, კიდევ კარგა ხანს გასტანს, მაგრამ მითოლოგიზაციასთან, უცოდინრობასა და ცრუ წარმოდგენებთან ბრძოლა ისევ გრძელდება, რაშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა პოლონელ ემიგრანტთა ლიტერატურულმა საქმიანობამ.

იმათ შორის, ვინც ამ ახლებურ ხედვას ამკვიდრებს, ვინც პოლონელებისა და ებრაელების ურთიერთობა თავისი შემოქმედების მთავარ თემად აქცია, უწინარეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ამერიკაში მცხოვრები პოლონელი ებრაელი მწერალი და პოეტი ჰენრიკ გრინბერგი, რომელსაც ხშირად უწოდებენ ჰოლოკოსტის მწერალს. იგი 1936 წელს დაიბადა ვარშავაში, მაგრამ შემთხვევით გადაურჩა თავისი ოჯახისა და თავისი ხალხის ტრაგიკულ ბედს, თუმცა ვერსად გაექცა ვერც მტკივნეულ განცდებს და ვერც მტანჯველ მოგონებებს. მან ცხოვრებისეულ მოვალეობად მიიჩნია, გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ადამიანური სისასტიკის უსაშინლეს გამოვლინებათა მიმართ და გადაეცა კატასტროფული გამოცდილება მათთვის, ვისაც ჰოლოკოსტის ტრაგედიაში გავლა არ ერგო.

მწერალს ჰოლოკოსტი ჩვეულებრივი, რიგითი, უიარაღო ადამიანების ტრაგედიად მიაჩნია. ნაციონალ-სოციალისტები ებრაელებს ანადგურებდნენ როგორც "კაცობრიობის მტრებს", რომელთაგან უნდა გაწმენდილიყო მიწა. მაგრამ ებრაელთა უბედურება ომის დამთავრებასთან ერთად არ დამთავრებულა – ცნობილია ებრაელთა ის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რაც უკვე გერმანელთაგან

განთავისუფლებულ პოლონეთში გაჩაღდა. ამიტომ ჰენრიკ გრინბერგის ავტობიოგრაფიული პროზა თავის გმირთა ბედს არა მარტო ომის გარემოში წარმოაჩენს, არამედ ომისშემდგომ სოციალისტურ პოლონეთშიც. ამდენად, მან შეძლო ებრაელთა ბედის მთელი ქრონიკა შეექმნა – ჰოლოკოსტიდან დღემდე.

გრინბერგის ოჯახის წევრთა უმეტესი ნაწილი ტრებლინკას ბანაკში გადაასახლეს, საიდანაც არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. თავად მწერალი მაშინ პატარა ბიჭი იყო და მშობლებთან ერთად დაჭერას გადაურჩა – მართალია, ისინი ესესელებს დაემალნენ, მაგრამ ტყეებში ხეტიალისას გზად გადაყრილ ხარბ პოლონელ გლეხს გრინბერგის მამა შემოაკვდა. უმცროსმა ძმამაც ვერ გაუძლო ტანჯვასა და შიმშილს და მალე ისიც გარდაიცვალა. ასე რომ, პატარა ჰენრიკი ომის ბოლომდე დედასთან ერთად მარტო აფარებდა თავს ტყეებსა და გამოქვაბულებს.

ომის შემდეგ გრინბერგი ლოძში ცხოვრობდა და იქვე სწავლობდა სკოლაში, უნივერსიტეტი კი მან ვარშავაში დაამთავრა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დიპლომის მოპოვების შემდეგ იგი ათი წლის განმავლობაში მსახიობად მუშაობდა სახელმწიფო ებრაულ თეატრში. 1959 წელს დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა – "ანტიგონეს გუნდი". შემდგომში, როცა 1963 წელს მან თავისი მოთხრობების პირველი კრებული გამოსცა, მთელ წიგნსაც იგივე სახელი დაარქვა. ხუთი წლის შემდეგ კი მისი პირველი პოეტური კრებული გამოვიდა – ლექსების წიგნი "ქვების დღესასწაული". 1967 წელს პოლონეთში გაჩაღებულმა ანტიებრაულმა კამპანიამ მრავალი უსიამოვნება მოუტანა მწერალს. ცენზურა კატეგორიულად არ იძლეოდა ნებართვას, დაბეჭდილიყო მისი მოთხრობა "გზებზე მოხეტიალე", პრესაში გრძელდებოდა თავდასხმები გრინბერგზე.

როცა ებრაული თეატრი საგასტროლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, მწერალი ჯერ კიდევ დასის წევრი იყო, მაგრამ ამერიკიდან იგი შინ აღარ დაბრუნებულა, – მან იქ პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსი მოიპოვა.

შეერთებულ შტატებში იგი ინტენსიურად თანამშრომლობს რამდენიმე ცნობილ გამომცემლობასთან. 1969 წელს მწერალი ბეჭდავს ახალ რომანს "გამარჯვება", რომელიც მისი ადრეული რომანის – "იუდეველთა ომის" – თავისუფალ გაგრძელებას წარმოადგენს ("იუდეველთა ომი" ჯერ კიდევ პოლონეთში დაიბეჭდა და საკმაო წარმატება ხვდა წილად). ამერიკაში მწერალმა გამოსცა რომანები: "იდეოლოგიური ცხოვრება", "პირადი ცხოვრება", "ყოველდღიური და არტისტული ცხოვრება", "კადიში", ლექსების კრებულები – "არმყოფთა შორის", "ქანდაკება პოტომაკის თავზე", "ვხატავ ხსოვნაში": ესეისტურ კრებულში "არაარტისტული სიმართლე" იგი, საკუთარი შემოქმედების ანალიზთან ერთად, სხვა ცნობილ თუ არაცნობილ მწერალთა პორტრეტებსაც ხატავს.

გრინბერგის გვიანდელ შემოქმედებაში აშკარად შეიმჩნევა სწრაფვა, უარი ეთქვას გამოგონილ ფაბულას და ხელოვნურ ფიქციას. მწერალი უკვე ოდენ ჟამთააღმწერლის როლს სჯერდება, უარყოფს თხზვას და ძირითადი ყურადღება დოკუმენტურ მასალაზე გადააქვს. იმ რომანებს, რომლებშიც ავტორი ოსტატურად ახერხებს ფაქტობრივი მასალა მეტად ფაქიზ, სტილისტურად ხშირად ვირტუოზულ თხრობას შეურწყას, პირველ ყოვლისა, განეკუთვნება 1993 წელს დაბეჭდილი "მარია კოპერის ქანდაკება", ანდა იმავე წელს გამოსული "მემკვიდრეობა", რომელშიაც მწერალი აღწერს ავტორისა და ფილმის შემოქმედებითი კოლექტივის ძიებებს მოკლული მამის საფლავის მოსაძიებლად. საკმაოდ გახმაურდა გრინბერგის რომანი – "სიონის შვილები", რომელიც ებრაელი ბავშვების ბედს აღწერს საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში და შემდგომ მათს გადასახლებას წინაპართა მიწაზე. ამ წიგნს, ისევე როგორც მის ადრეულ რომანს – "იუდეველთა ომი" – საფუძვლად უდევს მონათხრობი ბავშვების შესახებ ან ის, რასაც თავად ბავშვები ჰყვებიან. სწორედ ბავშვები ახერხებენ ყველაზე უკეთ და ყველაზე მიუდგომლად მოგვითხრონ ჰოლოკოსტის შესახებ, იმის შესახებ, რაც მათ ნახეს და განიცადეს. მათ არაფერი აქვთ გასახსენებელი მანამდე, რადგან მათი აკვნები ომმა დაარწია. მათთვის ჰოლოკოსტი, ისევე როგორც გრინბერგისათვის,

სამყაროს დასაწყისია. მამის დაკარგვა, ოჯახის ამოჟლეტა, შიმშილი და გლოვა ყოველი ომისდროინდელი ბავშვის მოუშორებელი, ღრმა ტრავმაა.

ომისშემდგომ პერიოდშიც საზოგადოებას დიდად არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება განსხვავებული ერის, განსხვავებული ქცევისა და შეხედულებების ადამიანთა მიმართ. პოლონეთში კიდევ ერთხელ შეეცადნენ თავიდან მოეშორებინათ არასასურველი უცხოები. მართალია, მათ უკვე სასიკვდილო საფრთხე აღარ ემუქრებოდათ და ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი აღარ იდგა, მაგრამ იგრძნობოდა გარემომცველი სიცივე და მოუშორებელი იყო გაუცხოების ქრონიკული განცდა. ემიგრაციას, რა თქმა უნდა, ექსისტენციური პრობლემების შემსუბუქების მოტანა არ შეეძლო და არც მოუტანია. ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობს ჰენრიკ გრინბერგის ნატიფი, მაგრამ მტანჯველი გრძნობებით აღსავსე შემოქმედება.

ისევე როგორც ყოველი ადამიანი განუწყვეტლივ უბრუნდება თავისი ბავშვობის მოგონებებს, გრინბერგიც მკითხველს უზიარებს თავისი ბავშვობის შთაბეჭდილებებსა და განცდებს, ომისდროინდელ მტანჯველ გამოცდილებას, მაგრამ ეს არის არა ოდენ მისი პირადი, არამედ მთელი ებრაელი ერის გამოცდილება.

ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთმა ებრაელმა, რომელმაც ასევე საკუთარ თავზე და საკუთარ ოჯახზე გამოსცადა ჰოლოკოსტი, მწერალმა, ჟურნალისტმა და პროფესორმა, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატმა ელი ვიზელმა განაცხადა: "ნუ ვაპატიებთ ბავშვების მკვლელებს!". ამ სიტყვებმა დიდი კამათი გამოიწვია ევროპულ საზოგადოებაში – ქრისტიანული ტრადიცია ხომ ყველასა და ყველაფრის პატიებას ერთ-ერთ უმთავრეს სათნოებად მიიჩნევს. ჰენრიკ გრინბერგი შურისძიებაზე არაფერს ამბობს, იგი დახოცილთა და, მათ შორის, გაჟლეტილ ბავშვთა საფლავების დარაჯად, ხსოვნის დარაჯად მიიჩნევს თავს: "მკვდართა მწერალი იმიტომ გავხდი, რადგანაც ცოცხლებს ისეც საკმარისი მწერლები ჰყავთ. მე გავხდი უდიდესი სასაფლაოს დარაჯი, – იმ საფლავებისა, რომლებიც ჩვენი მახსოვრობის მიღმა არსად არსებობს. ვდარაჯობ, რათა არავინ შეურაცხყოს ისინი და ვერ დავიჩივ-

ლებ, რომ საქმე ცოტა მაქვს. ასე მგონია, რომ სწორედ ამის წყალობით ვცხოვრობ. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ ამით გადავურჩი თვითმკვლელობას, რომელსაც ვაპირებდი იმგვარი სამყაროს მიუღებლობის გამო, როგორშიც იძულებული ვარ, ვიცხოვრო", – ასე ფიქრობს ჰენრიკ გრინბერგი, ამერიკაში მცხოვრები პოლონელი ებრაელი, მწერალი და პოეტი.

1996

91

ჰანა კრალის დასტური და მოწმობა

ჰანა კრალი
Hanna Krall
*1937

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი – ლიტერატორები და ჟურნალისტები – ამბობენ, უკანასკნელ ხანს თანამედროვე პოლონელ მწერალთაგან საზღვარგარეთ ყველაზე მეტად ჰანა კრალის წიგნებს თარგმნიან და კითხულობენ. შესაძლოა, იმიტომ, რომ თავის პროზაულ ნაწარმოებებში იგი მეოცე საუკუნის პოლონეთის ტკივილებისა და აღმაფრენის გააზრებას ცდილობს, თავისი ქვეყნის ტრაგიკულ ისტორიაში იმგვარი განცდებისა და გამოცდილების აღმოჩენას ახერხებს, რაც დღესაც და მომავალშიც მას და მის თანამემამულეებს საჭირო გამოცდილებად გამოადგება.

თავად მწერლის შემოქმედებითი და პოლიტიკური ჩამოყალიბება ადვილი და სწორხაზოვანი არ ყოფილა. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა მან ვარშავის გაზეთებში თანამშრომლობით დაიწყო. მის რეპორტაჟებს 60-იანი წლების მიწურულს მკითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ მათ აღფრთოვანებით ეგებებოდა პარტიული ნომენკლატურა. თუმცა 1972 წელს ქვეყნდება მწერალი ქალის პირველი წიგნი "არბატის აღმოსავლეთით", რომელიც მოიცავს ნარკვევებს საბჭოთა რუსეთის შესახებ. კრებულს რამდენადმე კონიუნქტურული იერი დაჰკრავდა, რითაც კრალმა ოდნავ დააშვიდა მახვილმზერიანი კომუნისტი ცენზორები.

მწერლის შემდეგ წიგნში "არ შევყოვნდეთ უფალი ღმრთის თვალთა წინაშე", რომელიც 1977 წელს გამოიცა, თავმოყრილია საუბრები ვარშავის აჯანყების ერთ-

ერთ მეთაურთან, მარკ ედელმანთან, იმ იშვიათ უკანასკნელთაგან, რომელიც პოლონეთის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ დღეებში დაუჯერებლად გადაურჩა სიკვდილს. წიგნი სულ მალე ოცდაორ ენაზე ითარგმნა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოიცა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არა საბჭოთა კავშირში, რადგან "უფროსი ძმის" ქვეყანაში გულდაგულ ცდილობდნენ თვალსაწიერიდან მოეშორებინათ წიგნის ფურცლებზე წამოჭრილი უსიამოვნო თემები: ებრაელები, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ჰოლოკოსტი, ვარშავის აჯანყება და ახლომახლო მდგომი წითელი არმიის რამდენიმეთვიანი გულგრილი უმოქმედობა, როცა გერმანელები ქალაქს მიზანმიმართულად ანადგურებდნენ.

ამის შემდგომ ჰანა კრალის წიგნები მხოლოდ უცხოეთში იბეჭდებოდა, სამშობლოში კი მხოლოდ რომელიმე გაბედული ჟურნალი ან გაზეთი თუ გამოაქვეყნებდა მის ნარკვევს, რეპორტაჟს ან მოთხრობას. მწერალი ქალის წიგნების გამოსვლა პოლონეთში მხოლოდ 80-იანი წლების მიწურულიდან განახლდა.

ჰანა კრალის მოთხრობების უკანასკნელი და საუკეთესო კრებული, – "ცეკვა სხვების ლხინში", – რომელიც 1993 წელს დაიბეჭდა, მწერლის მთელი პროზაული შემოქმედების ძირითად ნიშნებს იმეორებს და ინარჩუნებს.

მწერალს უყვარს თხრობა და ძირითადად იმგვარ ამბებს მოგვითხრობს, სადაც, ერთი შეხედვით, მარტივი, ბანალური შემთხვევებია გადმოცემული, რომელსაც სრულიად რიგითი, არაფრით გამორჩეული ადამიანი ყვება, მაგრამ ნელ-ნელა მოქმედება ისე ვითარდება, განიტოტება, გადაეჯაჭვება სხვა ამბებს, რომ მკითხველის თვალწინ გრაფიკულად წარმოჩნდება საზოგადო ბედისწერის მთელი ბადე, რის შედეგადაც ბუნებრივად იხატება მთელი ეპოქის სურათი. მწერალი ოსტატურად ახერხებს, შექმნას შესაბამისი ატმოსფერო და მკითხველში კონკრეტული შთაბეჭდილების განცდა გამოიწვიოს. იგი თითქოსდა არ ივიწყებს თავის რეპორტიორულ წარსულს და მიზნად ისახავს მკითხველი მომხდარის ცოცხალ მოწმედ აქციოს: იქნება ეს მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი თუ პოლონეთის გაყოფა ორ დიქტატურას შორის – ნაციონალ-

სოციალისტურ გერმანიასა და კომუნისტურ რუსეთს შორის; ოკუპაცია და ვარშავის გეტო, ებრაელთა აყრა და ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ; გერმანელების, რუსების, პარტიზანების, კომუნისტების, უსახელო ბანდების უსასრულო და სისხლიანი თარეში; ომის დასასრულს იმგვარი გამარჯვება, რომელიც დამარცხებისაგან დიდად არ განსხვავდება; მილიონობით გაძევებული და გადასახლებული; სამი მილიონი ებრაელი, რომელთა მაგივრად პოლონეთში მხოლოდ ცარიელი ადგილიღა დარჩა; აღდგენისა და იმედის წლები; 1956, 1968, 1970; მუშათა მოძრაობა და დემონსტრანტების ცინიკური დახვრეტა; "სოლიდარობა" და მას მოყოლილი საგანგებო წესები; გომულკა, გერეკი, იარუზელსკი, ვალენსა; კომუნიზმის დაცემა; დამოუკიდებლობა და გაურკვევლობა; თავისუფლების მტკივნეული და ორჭოფული არჩევანი... ამგვარი იყო პოლონეთის ისტორია უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, – სისხლითა და იმედით, თავგანწირვითა და სასოწარკვეთით, სისასტიკითა და მსახურებით აღსავსე ისტორია და სწორედ ამ მოვლენებს აღწერს მწერალი ქალის, ჰანა კრალის, მოთხრობების ბოლო წიგნი. მისი წაკითხვის შემდეგ რჩება შთაბეჭდილება, რომ დროთა განმავლობაში ფაქტები კარგავს ერთჯერადობას, კონკრეტულობას, სიმკვეთრეს და სულ უფრო მეტად აბსტრაქტული ხდება, სულ უფრო მეტ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს.

მწერლის ერთ-ერთი გმირი ამბობს: "დადგება დღე, როცა ანგარიშის ჩაბარება მოგვიწევს. მაშინ ჩვენი ანგარიში ორმაგი იქნება: ერთი მხრივ, ჩვენ მოგვეკითხება, როგორ ვიცხოვრეთ და, მეორე მხრივ, თუ როგორ შევასრულეთ ის მაცნეობა, რომელიც ჩვენ მოგვანდეს".

ჰანა კრალს მაცნის ტვირთი წამოუკიდებია, რათა მომდევნოებს ჩვენი ეპოქის ნამდვილი დასტური და მოწმობა დაუტოვოს.

1997

ვინც ჩეხურად წერდა

მილენა იესენსკა
ლუდვიკ ვაცულიკი
მილან კუნდერა

92

მილენა იესენსკას უწესრიგო ცხოვრება

მილენა იესენსკა
Milena Jesenská
1896-1944

1944 წლის 17 მაისს რავენსბრიუკის საკონცენტრაციო ბანაკში კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა: მიცვალებული იმდენად აუტანელი სანახავი იყო, რომ ყველას უნდოდა, ცხედარი უმალ მოეშორებინათ თავიდან, – ძნელი სათქმელი იყო, მოხუც ქალს ავადმყოფური სიმსუქნე აწუხებდა თუ იგი შიმშილისაგან გასიებულიყო, სხეული სრულიად დაკრუნჩხულიყო უმძიმესი რევმატიზმისა თუ სასიკვდილო ტანჯვისაგან, კანზე ერთი წერტილის პოვნაც გაჭირდებოდა, გამონაყარით რომ არ ყოფილიყო დაფარული.

პატიმართაგან ცოტა ვინმე თუ იცნობდა ამ ავადმყოფ, კოჭლ მოხუცს. მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იგი კომუნისტი იყო, თუმცა ბანაკის კომუნისტებმა მას ზურგი შეაქციეს, რადგან მან ერთხელ სტალინი ჰიტლერს შეადარა. მაგრამ არავინ იცოდა, რომ გარდაცვლილი ქალი მხოლოდ ორმოცდაშვიდი წლისა იყო. არც ის იცოდა არავინ, რომ ოდესღაც სწორედ მის შესახებ სწერდა ფრანც კაფკა თავის საუკეთესო მეგობარს მაქს ბროდს: "ეს ქალი ცოცხალი კოცონია, – იმგვარი, როგორიც ჯერ არსად შემხვედრია".

მილენა იესენსკას თანამედროვეთაგან – ნაცნობთაგან თუ უცნობთაგან – მრავალი ეპითეტი ჰქონდა მოპოვებული: ბოჰემური ცხოვრების მოტრფიალე, ზეპური საზოგადოების უძღები შვილი, ინტელექტუალური სნობი, სალონური კომუნისტი, ტროცკისტი, რენეგატი, კლასობრივ მტერთა თანამშრომელი. ძნელია ითქვას, რომ ან მაშინ, ან დღეს ეს ეპითეტები ერთმნიშვნელოვან აღტაცებას იწ-

ვევდეს, მაგრამ, ამავე დროს, ისიც ძნელია ითქვას, რომ რომელიმე მათგანი ამ მომხიბლავ და ჭკვიან ქალს არანაირად არ დაუმსახურებია.

მილენას მამა უნივერსიტეტის პროფესორი და ცნობილი ექიმი იყო, – დოქტორი იან იესენსკი ნამდვილ დენდად და სიბარიტად იყო ცნობილი. მას განსაკუთრებით ეამაყებოდა, რომ იგი იმ გამოჩენილი იესენის შთამომავალად მიიჩნეოდა, – იმ იესენისა, რომელიც ჭრაჰის უნივერსიტეტის რექტორი და ცნობილი მეცენატის, იმპერატორ რუდოლფ მეორის, პირადი ექიმი იყო. თავად აზარტული მოთამაშე, მოღალატე მეუღლე და მოღალატე საყვარელი, ქალიშვილისაგან საზოგადო წესრიგის ყველა განაწესის დაცვას მოითხოვდა. მაგრამ ქალიშვილი მამის კვალზე წავიდა, – მის დარიგებებსა თუ თეორიულ დამოძღვრებებს მან დიდი ყურადღება არ მიაქცია და მამის ცხოვრების წესს პრაქტიკულად გაჰყვა. მამას კი, როგორც, საერთოდ, ხდება ხოლმე, არ ესმოდა, ვის დაემსგავსა ქალიშვილი – რატომ აწყვეტდა მილენა მას ნერვებს და რატომ ჭრიდა თავს საზოგადოებაში. ქალიშვილი კი, რბილად რომ ვთქვათ, დიდ ყურადღებას არ აქცევდა "წესიერ საზოგადოებაში" მიღებულ და დადგენილ ჩვეულებებსა და ადათებს, ხოლო მძაფრი ემოციების ძიებაში იგი არცთუ იშვიათად კრიმინალურ სფეროებსაც შეეთამაშებოდა ხოლმე.

მილენა იესენსკა არასოდეს ყოფილა გენიალური მწერლის ანგელოსებრივი სატრფო, – ეს, შესაძლოა, სკოლის სახელმძღვანელოებში ან კაფკას საბჭოთა და გდრ-ულ გამოცემათა კომენტარებში ამოგეკითხათ. იგი იყო მკვეთრი, ექსტროვერტული, აღტაცებული, ვნებიანი, ნიჭიერი, ყურადღებიანი, გულუხვი, შესანიშნავი მთხრობელი და შესანიშნავი მსმენელი, ჰქონდა ბრწყინვალე იუმორი და უეჭველი მომხიბლაობა. მისთვის არასოდეს არსებობდა პირობითობები და არასოდეს არსებობდა "საზოგადოებრივი აზრი".

იგი ჯერ ოცი წლისაც არ იყო, როცა ერნსტ პოლაკის საყვარელი გახდა და მასთან ატარებდა დღეებსა და ღამეებს. ისინი ერთად დადიოდნენ პრაჰის კაფეებსა და სანაპიროებზე და არასოდეს აკლდებოდნენ ქალაქის არტისტული ბოჰემის თავყრილობებს. ახალგაზრდა სატრ-

ფოები მთელი შთაგონებით ჩაერთვნენ გერმანულენოვან პრაჰელ ებრაელ მწერალთა წრეში და მათი ყოველდღიურობა საკუთარ ცხოვრებად აქციეს. ყველაფერი სხვა, – სატრფოსა და ხელოვნების გარდა, – მილენას მოსაწყენად ეჩვენებოდა. პროფესორი იესენსკი უკვე სერიოზულად შეშფოთდა და შეფიქრიანდა და, უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, სახელგანთქმულმა ექიმმა გადაწყვიტა, თავაწყვეტილი ქალიშვილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოეთავსებინა. მაგრამ როცა ვერც მისმა კოლეგა ექიმებმა მოუხერხეს რამე საკმაოდ უჩვეულო გოგონას, იმედდაკარგულმა მამამ გადაწყვიტა, ქალიშვილის სატრფიალო გატაცებისათვის საზოგადოებისათვის მისაღები ფორმა მიეცა. შედეგი ის იყო, რომ მილენა თავისი საყვარლის მეუღლე გახდა. თუმცა პატივცემული პრაჰელი ექიმისათვის მთავარი იყო, მისი ქალიშვილი საერთოდ გასცლოდა ქალაქს და, ამდენად, ახალდაქორწინებულნი, მათდა უნებურად, ვენაში აღმოჩნდნენ. მამისეულ სახლში ჩვეულ ხელგაშლილ ცხოვრებას ვენური გაჭირვება მოჰყვა: თუკი საშუალება გამოჩნდებოდა, მილენა შეძლებულ ოჯახებში შინაურ აღმზრდელად მსახურობდა, და ხანდახან, – როცა საჭირო იყო ანუ დიდი გასაჭირიდან გამოსავალი არ ჩანდა, – იგი სადგურში მძიმე ჩანთების გადატანაშიც ეხმარებოდა მგზავრებს. ამ დროს კი მისი მეუღლე ვენის კაფეებში იჯდა, რომლებიც პრაჰის კაფეებს არაფრით ჩამოუვარდებოდა, შეღამებისას კი ცოლის საძებრად მიდიოდა და როცა იპოვიდა, მკაცრად აფრთხილებდა, მეტი აღარ გასულიყო სადგურზე, თუნდაც ჩემოდნების გადასატანად და მეორე დღისათვის ლუკმა-პურის მოსაპოვებლად.

მილენა კი, ქუჩებსა თუ სადგურებში ხეტიალისა და შემთხვევითი სამსახურების ძიების გარდა, სტატიების წერასა და თარგმნას შეუდგა. მის თარგმანთა შორის აღმოჩნდა ერთი პრაჰელი მწერლის, ფრანც კაფკას, რამდენიმე მოთხრობა. აქ კი მილენა იესენსკამ უკვდავებაში შეაბიჯა, – არა იმიტომ, რომ კაფკა თარგმნა ჩეხურად, არამედ იმიტომ, რომ კაფკა გაიცნო, იმიტომ, რომ მწერლის ყველა გამოცემის აუცილებელ ნაწილად იქცა "წერილები მილენას".

კაფკასა და მილენა იესენსკას ურთიერთობა და სიახლოვე მათ მსგავსებას არ ემყარებოდა, – კაფკა იყო უკიდურესად პასუხისმგებელი, ყურადღებიანი, პუნქტუალური, სევდიანი, პატიოსანი; მილენა – აზარტული, ცვალებადი, მხიარული, სპონტანური, – ქალი, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა არის წესრიგი.

თავის ერთ სტატიაში იესენსკა წერდა: "ადამიანები იმიტომ კი არ იწყებენ ერთად ცხოვრებას, რომ მათ ამას მხოლოდ სქესობრივი, სასიყვარულო, ფინანსური ან სოციალური მიზეზები აიძულებს. ერთად ცხოვრობენ იმიტომ, რომ ჰყავდეთ მეგობარი; იმიტომ რომ მარტოობაში მყოფებს ქვეყანაზე ეგულებოდეთ ვიღაც, ვინც გაამართლებს მათ არსებობას, – მთელი თავისი შეცდომებითა და ნაკლოვანებებით; იმიტომ რომ ჰყავდეთ ის, ვისთანაც დაზღვეული იქნებიან სასჯელისაგან, შურისძიებისაგან, სამართლიანობისაგან, სინდისის ქენჯნისაგან..." კაფკა, რომელიც, საერთოდ, ყოველთვის აქებდა მილენას ჟურნალისტურ საქმიანობას, ამჯერად ასე გამოეხმაურა თავისი სატრფოს შეხედულებებს: "ხშირად ვფიქრობ თქვენი სტატიის შესახებ. განა ისინი, ვინც ქორწინდებიან სასოწარკვეთილების გამო, რამეს მოიპოვებენ? როცა მარტოობა მარტოობას შეერწყმება, მისგან სახლი კი არა, კატორღა აღმოცენდება. ერთი მარტოობა მეორე მარტოობაში აირეკლება, ან კიდევ მეტი, უღრმეს, უბნელეს ღამეში".

კაფკამ და მილენამ ოჯახის სახელწოდებით კატორღის შექმნისაგან თავი შეიკავეს და არც კაფკას მარტოობა არეკლილა მილენას მარტოობაში, – მით უმეტეს, მილენა არც იყო მარტო. პოლაკთან გაშორებისა და განშორების შემდეგ იგი ისევ პრაჰას დაუბრუნდა, რა თქმა უნდა, ახალ მეგობართან ერთად, რომელიც, რა თქმა უნდა, უჩვეული და კურიოზული იყო. მისი ახალი სატრფო იყო ავსტრიელი გრაფი შაფგოჩე, – შთაგონებული კომუნისტი და მგზნებარე რევოლუციონერი. ამის შემდეგ იწყება მილენა იესენსკას ტყვეობის პერიოდი: იგი სიკვდილამდე აღარ გათავისუფლებულა კომუნიზმისა და ნარკოტიკების ტყვეობისაგან.

ამავე დროს ჩეხურ და გერმანულ პრესაში იბეჭდება მისი მრავალრიცხოვანი სტატიები, გამოდის ნარკვევების კრებული "გზა სიმარტივისაკენ", იგი ხელმძღვანელობს პოპულარულ გამოცემათა რამდენიმე სერიას, გამოიცემა მისი სამზარეულო წიგნი – "მილენას რეცეპტები", თუმცა თავად არასოდეს მოუმზადებია სადილი.

ვლტავის ნაპირას პოლიტიკურ და ესთეტიკურ რევოლუციონერთა წრეში იგი გაეცნო ავანგარდისტ არქიტექტორს იარომირ კრეიცარს, რომელიც მისი ახალი გატაცება გახდა. მასთან დაქორწინების შემდეგ, ფეხმძიმობის მიუხედავად, იგი მთებში გაეშურა სათხილამუროდ და ფეხი მოიტეხა. მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო – მილენა სამუდამოდ დაკოჭლდა და სამუდამოდ მიეჯაჭვა მორფიუმს.

ნახევრადდავრდომილი, შინ ჩაკეტილი თავის მორიგ ახალ სატრფოსთან, კომუნისტ ევჟენ კლინგერთან და ქალიშვილ ჰონზკასთან ერთად, იგი წერს სტატიებს გაზეთ "Lidové noviny"-სათვის, მაგრამ თუ ამ სოლიდურ გაზეთში მის ექსტრავაგანტულ სტატიებს ასე თუ ისე დიდხანს ითმენდნენ, ნარკვევს ნარკომანიის შესახებ მკითხველთა ისეთი მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა, რომ მილენას სამსახურზე რედაქციას უარის თქმა მოუხდა.

ამის შემდეგ იგი მემარცხენე-კომუნისტურ გამოცემებთან თანამშრომლობდა, რადგან დაუეჭვებლად სწამდა, რომ კომუნიზმი იყო ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, რომელიც კაცობრიობის ყველა პრობლემას ერთი ხელის მოსმით გადაჭრიდა. მაგრამ მისთვის ავტორიტეტად რჩებოდა ლევ ტროცკი და კრიტიკულად ეკიდებოდა ზოგიერთ შინაურ თუ არაშინაურ კომუნისტს. კომუნიზმი და თავისუფლადმოაზროვნეობა კი შეუთანხმებელი ცნებებია და მილენა იესენსკა კომუნისტური გამოცემებიდანაც დაითხოვეს. შემდგომ იგი მხოლოდ შემთხვევითი თარგმანებით თუ ირჩენდა თავს, მაგრამ ხშირად სინათლის ქირასაც ვერ იხდიდა და ქალიშვილს სანთლის შუქზე უკითხავდა ზღაპრებს. მორფიუმსაც უფასოდ არავინ იძლეოდა, და იგი ისევ წერდა – ამჯერად წერდა ქალთა გამოცემებისათვის, – იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაალაგონ სახლი, როგორ უნდა დაკრიფონ ხილი, როგორ უნდა დანამონ თეთრეული...

1937 წელს, მაშინ, როცა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა უკვე სულს ღაფავდა, მილენა იესენსკამ მეტად პრესტიჟულ ჟურნალ "Přítomnost"-ში დაიწყო თანამშრომლობა. გესტაპოს მიერ ჟურნალის რედაქტორის, ცნობილი ჩეხი ჟურნალისტის, ანტიფაშისტისა და ანტიკომუნისტის, ფერდინანდ პეროუტკას, დაპატიმრების შემდეგ, მილენა იესენსკა ცოტა ხნით ჟურნალს ჩაუდგა სათავეში. მერმე კი ცხოვრება იატაკქვეშეთში ინაცვლებს. 1939 წლის აგვისტოში იგი წერს მოწოდებას "ჩეხ ქალებს". "როგორც კი საქმეს დაიჭერთ რომელიმე გერმანელთან, უმალ მოკვეთილი აღმოჩნდებით ჩეხური საზოგადოებიდან", – ეწერა ამ პროკლამაციაში.

სამი თვის შემდეგ მილენა იესენსკა გესტაპოს საკანში აღმოჩნდა. მას ელოდა დაკითხვები და წამება პრაჰაში, სასამართლო და ავადმყოფობა – დრეზდენში, საკონცენტრაციო ბანაკი და სიკვდილი – რავენსბრიუკში. იქიდან კი მილენა იესენსკამ მარადიულ სამყოფელში გადაინაცვლა, და კიდევ – ლიტერატურის ისტორიაში, სადაც იგი ფრანც კაფკასთან ერთად, ფრანც კაფკას გვერდით აღმოჩნდა.

1996

93

ლუდვიკ ვაცულიკი: მწერლის გაბედულება

ლუდვიკ ვაცულიკი
Ludvík Vaculík
*1926

როდესაც 1962 წელს ლუდვიკ ვაცულიკის პირველი რომანი "ხმაურიანი სახლი" უნდა დაბეჭდილიყო, გამომცემლობის გულშემატკივარმა თანამშრომლებმა რამდენიმე ცნობილ მწერალსა და ლიტერატორს სთხოვეს, გავლენა მოეხდინათ დებიუტანტ პროზაიკოსზე, რათა იგი რამდენიმე უმნიშვნელო წინადადების ამოღებას ან შეცვლას დასთანხმებულიყო, რის გარეშეც წიგნის ბედი კომუნისტური ცენზურის პირობებში მეტად სათუო ხდებოდა. მაგრამ ახალგაზრდა მწერალმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, – იგი თანახმა იყო, წიგნი საერთოდ არ გამოსულიყო, მაგრამ ტექსტში ერთ მძიმესაც არ შეცვლიდა. უცნაური ის იყო, რომ ერთი წლის შემდეგ რომანი უკვე მაღაზიებისა და ბიბლიოთეკების თაროებზე იდო.

მანამდე ლუდვიკ ვაცულიკის სახელი მხოლოდ რადიოს მუდმივი მსმენელებისათვის იყო ცნობილი, სადაც მისი გადაცემები მკვეთრად გამოირჩეოდა ჩეხოსლოვაკიის რადიოს პროგრამებს შორის და იმ დროისათვის მათ აშკარად პროვოკაციული იერი დაჰკრავდა. "ხმაურიანი სახლი" კი არამარტო ავტორის პრინციპულობის საჯილდაო ქვა აღმოჩნდა, არამედ განმსაზღვრელიც მწერლის მთელი შემდგომი შემოქმედებისათვის. ამ წიგნში ყველა ის ნიშანია ხორცშესხმული, რაც შემდგომში ვაცულიკის შემოქმედების განმსაზღვრელ მახასიათებლებად იქცა: – ზნეობრივი უკომპრომისობა, საზოგადოებრივ მანკიერებათა დაუნდობელი მხილება, თხრობის ირონიული მანერა და განსაკუთრებული ენობრივი ტემბრი. არც ისაა დასავიწყებელი, რომ "ხმაურიანი სახლი" მხურვალე გუ-

ლითაა დაწერილი, რომ არა ვთქვათ, ცხელ გულზე, და წიგნის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ ავტორს თავისი პირადი აღშფოთების გამოხატვა სურდა საზოგადოების ზნეობრივი დაქვეითების გამო, იმ გაფურჩქნული ფარისევლობის გამო, რაც აშკარად მოიტანა პოლიტიკურ ცხოვრებაში გაბატონებულმა "ორმაგმა მორალმა" – სრულმა განხეთქილებამ ტრიბუნებიდან ხმამაღლა გამოცხადებულ მაღალ იდეალებსა და ყოველდღიურობის დაუფარავ ცინიზმს შორის.

ყველაფერი, რაც შემდგომში ვაცულიკმა დაწერა, მისი პირადი დამოკიდებულების ანარეკლია. იგი არასოდეს გამოხატავდა რომელიმე ჯგუფის იდეოლოგიას და ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც თავად მიიჩნევდა საჭიროდ. იგი დაუღალავ, მოუქანცველ მოკამათედ რჩებოდა, – მოკამათედ რეჟიმთან, დროსთან, საზოგადოებასთან, სამყაროსთან და, პირველ ყოვლისა, საკუთარ თავთან.

მაინც, საზოგადოებრივი სახელი და პოპულარობა ვაცულიკს მისმა შემდეგმა რომანმა – "ნაჯახმა" – მოუტანა, რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა. ინტელექტუალურ გარემოში გაზრდილი და ჩამოყალიბებული ადამიანისათვის საგანთა და მოვლენათა მიმართ კრიტიკული ან სკეპტიკური დამოკიდებულება უკვე თავად აღზრდის პრინციპებით იგულისხმება, ლუდვიკ ვაცულიკისათვის კი – მორავიელი პროვინციელისათვის – ამ გზის გავლა ზნეობრივ ვაჟკაცობასა და გამორჩეულ გამბედაობას მოითხოვდა. სწორედ ეს გზაა ასახული რომანში "ნაჯახი", სადაც გარეგნულ სიმარტივესა და პლებეურ თვალსაწიერს მიღმა შინაგანი კეთილშობილება ილანდება. ამავე დროს, რომანში აშკარად მჟღავნდება სისხარული იმის მტანჯველი გაცნობიერების გამო, რომ ცხოვრება გართობა არაა და საშიშროებასა და საფრთხეს პიროვნული თავისუფლება მოჰყვება.

1967 წელს ჩეხოსლოვაკიის მწერალთა მე-14 ყრილობაზე ლუდვიკ ვაცულიკმა თავისი ის გახმაურებული სიტყვა წარმოთქვა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამზადა ერთი წლის შემდეგ დამდგარი "პრაჰული გაზაფხულის" იდეოლოგია და რომელიც შემდგომში, ოცი წლის განმავლობაში, თვალში ეკლად ეჩხირებოდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტ ბელადებს. მომდევნო წელს ვაცულიკი აქვეყ-

ნებს თავის ცნობილ პროკლამაციას "ორი ათასი სიტყვა", რის შემდეგაც იგი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოფიციალური ჩეხური ლიტერატურისათვის მან არსებობა შეწყვიტა. "თავი ხაფანგში გავყავი და ხელებზე ბორკილები დავიდე, რათა უკან მოსაბრუნებელი გზა მომეკვეთა, რათა შიში დამეძლია", – "ნაჯახის" პერსონაჟის ამ სიტყვებით მწერალმა თითქოს საკუთარ თავს უწინასწარმეტყველა მომავალი. შორიდან მაცქერალი დამკვირვებლისათვის მაშინ ვაცულიკი გამოცდილ და თავის თავში დარწმუნებულ სახალხო ტრიბუნად წარმოდგა, მაგრამ სინამდვილეში იგი შინაგანი მერყეობით იყო მოცული და თავს იმხნევებდა: "კი, სუსტი ვარ, კი, მეშინია, მაგრამ, რა ვქნა, როცა ყოველი მხრიდან მეშინია".

შემდგომში ლუდვიკ ვაცულიკს მოჯანყისა და მეამბოხის სახელი აღარ მოჰშორებია, ამის გამო მისი მომდევნო რომანი – "ზღვის ღორები" – უკვე ოფიციალურ გამომცემლობაში აღარ დაბეჭდილა. ამ წიგნის "სამიზდატური" გამოცემით დაიწყო ვაცულიკისეული იატაკქვეშა ლიტერატურის გამოცემათა სერია – "Petlice" ("კაუჭი"), რომელიც, მართალია, მკითხველთა მხოლოდ შეზღუდულ წრეებამდე აღწევდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე მაინც "წიგნიერ" სახეს აძლევდა იმ ნაწარმოებებს, რომელთაც სხვამხრივ დაბეჭდვა არ ეწერათ კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში, სადაც, სხვათა შორის, 70-იან და 80-იან წლებში უფრო მკაცრი იყო იდეოლოგიური მარწუხები, ვიდრე იმავე პერიოდის საბჭოთა კავშირში. აღსანიშნავია, რომ ვაცულიკისეულ ამ იატაკქვეშა სერიაში, რომელიც აკრძალულ ავტორთა თავშესაფარი გახდა, თხუთმეტი წლის განმავლობაში 367 დასახელების წიგნი გამოიცა.

განუწყვეტელ პოლიციურ დევნა-მიყურადებას ხელი არ შეუშლია მისთვის შეექმნა თავისი საუკეთესო რომანი "ჩეხური სიზმრის წიგნი", რომელსაც დღიურების ფორმა აქვს და რომელშიც აღწერილია ჩეხური დისიდენტური მოძრაობის ყოველდღიურობა დროით მეტად შეზღუდულ მონაკვეთში, – 70-იანი და 80-იანი წლების გადაკვეთაზე, რამდენიმე თვის განმავლობაში. წიგნში დოკუმენტური

სიზუსტითაა აღწერილი ის პოლიტიკური სიბნელე და სულიერი ძალადობა, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში იყო გაბატონებული, თუმცა ეს არ გამორიცხავს უეჭველ ფაქტს, რომ თხრობა სტილიზებულია და მწერლის ჩანაფიქრი სარომანო სივრცეშია გაშლილი. მაგრამ ამ წიგნმა არამარტო იდეოლოგიურ სამმართველოთა გასაგები უკმაყოფილება გამოიწვია, აღშფოთებული იყო მწერლის მეგობარ დისიდენტთა წრეც. მწერალი კი არა მარტო მათ ედავებოდა, იგი საკუთარ თავსაც ეკამათებოდა: გასაგებია კი გარშემო მყოფთათვის ამ ცალკეულ ადამიანთა უკმაყოფილება? ხომ არ არის ეს უბრალო წუწუნი ან საკუთარი კომპლექსების გამოვლინება? ხომ არ არის ეს ამპარტავან, თავის თავზე გადამეტებული წარმოდგენის მქონე ადამიანთა არავისათვის საჭირო დონკიხოტობა? ვაცულიკი თავის პერსონაჟებს, მათ შორის მეგობრებს, ხატავს შესანიშნავი იუმორით, მკვეთრად, დაუფარავად, ყოველგვარი თვითცენზურის გარეშე, აჩვენებს თუ რამდენად არ არიან ისინი იდეალურნი, იმიტომ, რომ ადამიანები, საერთოდ, არ არიან იდეალურნი.

რომანს, რა თქმა უნდა, ოფიციალური კრიტიკა დუმილით შეხვდა, მაგრამ ჩეხ ინტელექტუალთა შორის დიდი გამოძახილი ხვდა წილად, – მწერალი ხომ ჩაკეტილი საზოგადოების ინტიმური, მანამდე გაუმჟღავნებელი დეტალების დანახვის საშუალებას იძლეოდა. სწორედ ეს გამოხმაურებანი დაედო საფუძვლად ვაცულიკის ახალ წიგნს, სინამდვილეში, მისი რომანის დამატებას – "სხვადასხვა ხმები ჩეხური სიზმრის წიგნის ხელნაწერის გამო". ესაა მწერლის მეგობართა ნამდვილი თუ შეთხზული წერილები, რომელშიაც ასახულია განსხვავებული დამოკიდებულება ნაწარმოების მიმართ: დაწყებული უსიტყვო აღფრთოვანებით და დამთავრებული იმ ბრალდებით, რომ ტექსტი, ფაქტობრივ, ინფორმაციას აწვდის საიდუმლო პოლიციას. დღეს კი, როცა დროის მიერ მოტანილი მღელვარებანი ეპოქათა ცვლამ თან წაიყოლა, დარჩა ნაწარმოები, – თანამედროვე ჩეხური პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში.

1993 წელს დაიბეჭდა ვაცულიკის ახალი რომანი "როგორ იქმნება ბიჭი", რომელიც მწერლისაგან ისევ გამბე-

დაობასა და გაბსნილობას მოითხოვდა. მრავალი მკითხველი გააოცა სატრფიალო ტანჯვათა და ეროტიკულ სიტუაციათა იმ გაშიშვლებამ, რასაც წიგნის ფურცლებზე შეხვდებით. მაგრამ მწერლისათვის, მისი ირონიული ხედვისათვის ყველაზე თამამი დეტალების აღწერაც კი მხოლოდ საშუალებაა, რითაც იგი საკუთარ თავს, თავისი არსების ყველაზე უღრმეს უფსკრულებს უღრმავდება. უკვე ასაკოვანი მამაკაცის გამაჩანაგებელი, მტანჯველი სწრაფვის აღწერა მეტად ახალგაზრდა პარტნიორი გოგონას მიმართ წიგნს ტრაგიზმის შუქით ავსებს.

ლუდვიკ ვაცულიკის უკანასკნელი წიგნი – "ძვირფასი თანაკლასელები" 1995 წელს დაიბეჭდა. ტექსტს საფუძვლად უდევს დღიურები, რომელიც ასახავს მწერლის სკოლის წლებს, შეგირდობას ბატიას ფეხსაცმლების ფაბრიკაში, ომისშემდგომ პრაჰას. დღიურებს კი თან მოსდევს დღევანდელი კომენტარები. წიგნს დამატებად ერთვის წერილები მეგობარი გოგონების მიმართ, მშობლებისადმი და, რაც მთავარია, "ძვირფასი ქალბატონი მასწავლებლის", – როგორც ჩანს, მისი მფარველი ანგელოსის მიმართ, რომელიც შორიდანაც კი ფხიზლობდა თავისი ყოფილი მოწაფის სულიერი ჩამოყალიბების გამო.

როგორც ამბობენ, მწერალს თითქმის დამთავრებული აქვს ახალი ტექსტი – "სამხედრო წიგნი".

დღევანდელი ჩეხური პროზის საუკეთესო წარმომადგენლები – მილან კუნდერა და იოზეფ შკვორეცკი ემიგრაციიდან შინ აღარ დაბრუნებულან: ერთი პარიზში ცხოვრობს, მეორე კი – ტორონტოში. ამ დღეებში ლიტერატურულ წრეებში აღინიშნება ჩეხეთში მცხოვრები საუკეთესო ჩეხი პროზაიკოსის – ლუდვიკ ვაცულიკის დაბადების სამოცდაათი წლისთავი.

1996

94

მილან კუნდერა
ძველ და ახალ სამშობლოში

მილან კუნდერა
Milan Kundera
*1929

დღევანდელი მსოფლიო რომანისტიკის ერთ-ერთი გამორჩენილი წარმომადგენელი, მილან კუნდერა, ჩეხი მწერალია, მაგრამ უკანასკნელ ხანს სხვადასხვა ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში იგი ჩეხური წარმოშობის ფრანგ მწერლად მოიხსენიება ხოლმე, და ეს, ალბათ, შემთხვევითი არაა, რადგან მას მეოცე საუკუნის სახელგანთქმული და სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ავტორის პატივი სწორედ ფრანგულმა ენამ, მისმა ფრანგულად გამოცემულმა თუ ფრანგულად დაწერილმა რომანებმა მოუპოვა, – ამ ენამ მისცა მას საშუალება, ღირსშესანიშნავი წვლილი შეეტანა, საერთოდ, ევროპული რომანის განვითარებაში. დაფასებაც და აღიარებაც, პირველ ყოვლისა, ფრანგ კოლეგათაგან მოვიდა: ჯერ კიდევ მაშინ, როცა მილან კუნდერა ჩეხოსლოვაკიის მოქალაქე იყო, მის პირველ რომანს – "ხუმრობა" – ლუი არაგონმა საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რომანი უწოდა.

ცნობილი მუსიკათმცოდნის, ლუდვიკ კუნდერას, ოჯახში დაბადებულმა მომავალმა მწერალმა პრაჰის კარლოსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლა ბოლომდე აღარ მიიყვანა და კომპოზიტორის პროფესიის ათვისება გადაწყვიტა, მაგრამ, საბოლოოდ, კინოფაკულტეტზე მოიპოვა უმაღლესი განათლების დიპლომი.

მისი ლექსების პირველი კრებული – "ადამიანი" – ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დაიბეჭდა და მისი შინაარსი და იდეური მიმართულება ადვილი წარმოსადგენია. 50-იან წლებში გახმაურებული პოემა – "უკანასკნელი მაისი" – ჩეხ ჟურნალისტს, იულიუს

ფუჩიკს, ეძღვნება, უფრო სწორად, იმ მითოლოგიურ-ლეგენდურ სახეს, რომელიც ამ მექალთანისა და სალონური სტალინისტისაგან შექმნეს კომუნისტმა იდეოლოგებმა. შესაძლოა, სინანულმა და გულისტკივილმა საკუთარი პოეტური წარსულის მიმართ განაპირობა კუნდერას შემოქმედების ერთ-ერთი თემა: დაუნდობელი პოლემიკა, საერთოდ, პოეზიის ფენომენთან, რომელსაც იგი, პლატონის მსგავსად, ილუზიური, არანამდვილი სამყაროს შექმნასა და მკითხველის შეცდომაში შეყვანას აბრალებს. გამოჩენილი რომანისტის პოეზიასთან განშორება თუ უკვე 60-იანი წლების დასაწყისში მოხდა, დრამატურგიას, ნოველისტიკას, ესეისტიკას მწერალი დღემდე არ ღალატობს, – მაგალითად, მის ვრცელ ესეის – "რომანის ხელოვნება" – ევროპული მასშტაბით ფართო გამოხმაურება ხვდა წილად.

ამგვარი საერთაშორისო მნიშვნელობა არ მიუღია, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა მისმა ესეიმ "ჩეხური ბედი", რომელიც საბჭოთა ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწერა. მწერალმა მეტად მაღალი შეფასება მისცა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ჩეხურ მენტალიტეტს, რომელიც დამპყრობლებთან ხელჩართულ შებრძოლებას პასიურ ბოიკოტსა და გულგრილობას ამჯობინებს, რაც, მისი აზრით, ერის არა მარტო გონიერებაზე, არამედ მის ვაჟკაცობასა და სიფხიზლეზე მეტყველებს. კუნდერას ამ სტატიას დრამატურგ ვაცლავ ჰაველის მწვავე კრიტიკა მოჰყვა, რომელმაც კოლეგას ილუზიონიზმსა და პროვინციულ მესიანიზმში დასდო ბრალი. იდეური დუელი ამით არ დამთავრებულა: კუნდერა ჰაველს დაუპირისპირდა ნარკვევით – "რადიკალიზმი და ექსჰიბიციონიზმი", რომლის შინაარსზეც მისი სათაურიც მეტყველებს.

1975 წელს მილან კუნდერა ტოვებს კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიას და საფრანგეთს მიემგზავრება, – რეიმსის უნივერსიტეტმა იგი ლიტერატურის პროფესორად მიიწვია. 1979 წელს, კომუნისტების მიერ 70-იან წლებში დამკვიდრებული ტრადიციის კვალობაზე, მწერალს ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეობა ჩამოერთვა.

მას შემდეგ, რაც 1989 წლის ნოემბერში პრაჰის კომუნისტური მმართველობა დაემხო და ქვეყანა ევროპული, ცივილიზებული, დემოკრატიული განვითარებას გზას შეუდგა, კუნდერა და მისი ნაწარმოებები ხანდახან ეწვევიან ხოლმე ჩეხეთს, – ჯერჯერობით ავტორი ნებას არ რთავს ჩეხ გამომცემლებს, მისი ყველა წიგნი დაბეჭდონ მის ყოფილ სამშობლოში (მაგალითად, კუნდერას საქვეყნოდ ცნობილი რომანი – "ყოფნის აუტანელი სიმსუბუქე" – ჩეხეთში დღემდე არ დაბეჭდილა).

თუ მილან კუნდერას შემოქმედებამ მეოცე საუკუნის ლიტერატურაში, ისევე როგორც ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის კანდიდატთა სიაში, მყარი ადგილი დაიმკვიდრა, ეს, უპირველეს ყოვლისა, მისი რომანების წყალობით მოხდა. მისი პირველი რომანი "ხუმრობა", რომელიც 1967 წელსაა დაწერილი, ჩეხური ომისშემდგომი ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებადაა მიჩნეული. ამ წიგნში მწერალმა თითქოს ანგარიში გაუსწორა თანამედროვეებსა თუ უფროს თაობებს, რომელთაც არცთუ სუფთა ბიოგრაფიები აღმოაჩნდათ ტოტალიტარულ სისტემათა პირობებში; დაუფარავია ავტორისეული სკეფსისი იმ ილუზიებისა და იმედების მიმართ, რომ შესაძლებელია ამაოდ ჩავლილი ცხოვრების გამოსწორება და მისთვის რამე ფასეულობის მინიჭება.

მისი მეორე რომანი – "ცხოვრება სხვაგვარია" – ჯერ ფრანგულად გამოიცა და მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ – ჩეხურად. რომანში მწერალი დაუნდობლად, შეუბრალებლად აანალიზებს ეგრეთ წოდებულ ლირიკულ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, პოლიტიკასადმი, ხელოვნებისადმი. კუნდერამ ერთგან თქვა: "ლირიკული პოზიცია ეს არის ახალგაზრდობის ხანა, როცა ადამიანი საკუთარი თავისათვის ამოცანას წარმოადგენს და მთელი მისი საქმიანობა იმაში გამოიხატება, რომ საკუთარი თავითაა დაკავებული, სხვები კი მისთვის მხოლოდ სარკეა, რომელშიც იგი საკუთარ მნიშვნელობასა და ღირებულებას ეძებს".

ასევე თავდაპირველად ფრანგულად დაიბეჭდა მწერლის შემდგომი რომანებიც "გამოსათხოვარი ვალსი" და "სიცილისა და დავიწყების წიგნი". ამ უკანასკნელში კუნ-

დერა თავისი შემოქმედების ერთ გამჭოლ თემას – დავიწყებას – უტრიალებს.

მილან კუნდერას შემოქმედების მწვერვალადაა მიჩნეული მისი სახელგანთქმული რომანი "ყოფნის აუტანელი სიმსუბუქე", რომელშიც შერწყმულია კონცეპტუალური ხედვა და მხატვრული ოსტატობა, რომელშიც ესეისტურ და მედიტაციურ მონაკვეთებს ყოფითი და ეროტიკული ეპიზოდებით დატვირთული თხრობა ენაცვლება. ამავე დროს, მწერალს არ დაუმალავს თავისი ნაწარმოების ფილოსოფიური ამბიციები. რომანისტმა თავის ქმნილებას საფუძვლად დაუდო ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, პარმენიდეს, მეტაფიზიკური ფრაგმენტები და ნიცშესეული მოძღვრება მარადიული დაბრუნების შესახებ. ახალგაზრდა, ნიჭიერი ექიმის ტომაშის, მისი ცოლის ტერეზასა და მხატვარი ქალის საბინას ბედი მწერალს საფუძველს აძლევს არა მარტო კომუნისტური ჩეხოსლოვაკიის უხალისო და ჩახუთული ცხოვრება ასახოს, არამედ, საერთოდ, ადამიანის ექსისტენციალურ სიტუაციას, ექსისტენციალურ შეჭირვებას ჩაუღრმავდეს და გაანალიზოს. შეურყვნელად ცხოვრების ვალდებულებიდან, გამოცდილების უქონლად გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობიდან იბადება სიმძიმის გრძნობა, რასაც უპირისპირდება ყოფნის სიცარიელისა და აბსურდულობის აუტანელი სიმსუბუქე. რომანის კითხვისას მკითხველს არ ტოვებს სევდისა და გამოუსავლობის, მიუსაფრობისა და მიტოვებულობის განცდა. რომანის ტრაგიკული ფინალი კი ამოსუნთქვისა და თავისუფლების მოპოვების გრძნობას ბადებს.

კუნდერასეული სკეფსისითა და ირონიით განმსჭვალული ორი ბოლო რომანი – "უკვდავება" და "აუჩქარებლობა" – არა მხოლოდ ფრანგულადაა დაწერილი, არამედ მთლიანადაა მოშორებული ჩეხურ გარემოს და მოქმედ გმირებადაც მხოლოდ ფრანგები გვევლინებიან.

მწერალმა, რომელიც პრინციპულად გაურბის მასმედიასთან ყოველგვარ ურთიერთობას, ამ ცოტა ხნის წინ გამონაკლისი დაუშვა და ჩეხეთის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოს მიღების შემდეგ, რომელიც მას ჰრადჩანის სასახლეში პრეზიდენტმა ჰაველმა გადასცა, ინტერ-

ვიუ მისცა ჩეხურ რადიოს, სადაც ადრე მისი მეუღლე მსახურობდა. თავის სამშობლოსთან ურთიერთობის შესახებ ამ საუბრისას მწერალმა თქვა: "კავშირი მშობელ ქვეყანასთან, სადაც აღარ ცხოვრობ, ყოველთვის მწვავე საკითხია. როცა სამშობლოს მოშორებული ხარ ორი, სამი, ხუთი წლის მანძილზე, დაბრუნება ადვილია, – ისევე, როგორც შვებულების ან ავადმყოფობის შემდეგ. მაგრამ ოცი წელი – ეს ხომ ცხოვრების ერთი მეოთხედი ან სრულწლოვანების ნახევარია. წარმოიშობა ახალი ვალდებულებანი, ახალი ურთიერთობანი, ახალი მეგობრობანი, ემიგრაციის ადგილი თანდათან იქცევა ახალ სამშობლოდ, და კიდევ მეტი – საყვარელ სამშობლოდ. დაბრუნებას, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური მიზეზები ართულებს. წარმოიდგინეთ, რომ შეეჩვიეთ ვიღაცასთან ყოველდღიურ შეხვედრას, შემდგომში კი ოცი წელი ვეღარ ახერხებდით მის ნახვას. თქვენი შეხვედრა ეჭვებით იქნება აღსავსე: საერთოდ, გაუგებთ კი ერთმანეთს? არის კი შესაძლებელი შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება? როცა ორ ადამიანს შორის გაუგებრობა ჩამოვარდება, უსიამოვნება შესაძლებელია იმავე დღეს მოგვარდეს, ხოლო როცა ამ ორს ერთმანეთთან შეხვედრის საშუალება აქვს წართმეული, გაუგებრობა მოუგვარებელი რჩება და მათ შორის იმგვარი დაბრკოლება აღიმართება, რომლის დაძლევა შემდგომ შეუძლებელი ხდება".

ფრანგ მწერლად ქცევა და სამწერლო ენად ფრანგულის არჩევა კუნდერამ ასე ახსნა: "ვერავინ შეძლებს სრულად იცხოვროს ორ ქვეყანაში, ორ კულტურაში. მართალია, მეუღლეს ჩეხურად ველაპარაკები, მაგრამ გარემოცული ვარ ფრანგული წიგნებით, რეაგირებას ვახდენ ფრანგულ სამყაროზე, ფრანგულ ფრაზებზე. ერთ მშვენიერ დღეს ეს უნდა ასახულიყო იმ ენის არჩევანშიც, რომელზეც ვწერ. უნდა გამოვტყდე, რომ მე თავად გაკვირვებული ვიყავი. დავუბრუნდები ისევ ჩეხურ ენას? დავუბრუნდები თუნდაც ნაწილობრივ ჩეხეთს? არ ვიცი. თავს ნებას ვაძლევ, გაკვირვების შესაძლებლობა დავიტოვო. ყველაფერი, რაც იმ წუთის მერმე მოხდა, რაც ჩეხეთი მივატოვე, ჩემთვის ერთი მთლიანი გაკვირვებაა, რომელშიც დღემდე ვიმყოფები".

ყოფილი ჩეხი და ამჟამად ფრანგი მწერალი მილან კუნდერა ზის კომპიუტერთან თავის კაბინეტში – შუაგზაზე პარიზის ლათინურ კვარტალსა და მონპარნასს შორის. იქ არ აღწევს არც ბავშვების ხმაური, არც დედაქალაქის გუგუნი და არც ტელეფონის ზარი. მაგრამ თავად ქუჩის სახელს, სადაც ეს კაბინეტი მდებარეობს, მწერალი საიდუმლოდ ინახავს...

1995

ვინც ბერძნულად წერდა

კონსტანტინოს კავაფისი
გიორგიოს სეფერისი

95

კონსტანტინოს კავაფისი: მეხსიერებით გამარადისებული გარდასული

კონსტანტინოს კავაფისი
Κωνσταντίνος Καβάφης
1863-1933

ახალი ბერძნული პოეზიის ყველაზე დიდი წარმომადგენლის, კონსტანტინოს კავაფისის, ცხოვრება ფაქტების სიმრავლით არ გამოირჩევა, – პირიქით, შეიძლება ითქვას, იგი საკმაოდ უღიმღამო შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს მწერალთა ბიოგრაფიების მოყვარულთათვის. მაგრამ მისი ლირიკა, რომელიც სევდისა და წადილის, მონატრებისა და ჟინის ამგვარი ინტენსივობით, მოლოდინისა და განშორების ამგვარი დაძაბულობითაა აღსავსე, ალექსანდრიელი პოეტის მძაფრ და დატვირთულ შინაგან ცხოვრებაზე მეტყველებს.

პროვინციელი მოხელის ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრების მიღმა, რომელიც კავაფისის პოეზიაში არსად ასახულა, მისი სტრიქონების კითხვისას მჟღავნდება, ერთი მხრივ, კლასიკური ისტორიის მკვეთრი განცდა, მიმქრალი ტრადიციისადმი მტკივნეული მისწრაფება, ხმელთაშუაზღვისპირული ძირების ნაღვლიანი ძიება, გაუცხოების საერთობერძნული ტრაგედია, – რომ მათი კულტურა და ცივილიზაცია, მათი ქვები და ხსოვნა აღარც ფიზიკურად და აღარც სულიერად მათ აღარ ეკუთვნის, ხოლო, მეორე მხრივ, ალექსანდრიას, კონსტანტინოპოლსა და ათენს შორის გახლეჩილი ყოფა და ცნობიერება, საკუთარი ეროტიკული მეობის მშვიდი მიღება, სიმშვენიერის ოდენ ხორციელ განხორციელებაში ჭვრეტა, მშვინვიერ გამოცდილებათა და აღტაცებათა მოპოვება სხეულის წიაღ, ხშირად – უცხო სხეულთან შეხების გზით...

ბერძენი პოეტისათვის, – მეოცე საუკუნის დიდ პოეტთა შორის დიადისათვის, – მეხსიერება ხდება შემოქმედების

წყარო და დასაყრდენი: მეხსიერება ისტორიული და მეხსიერება პირადი. თავის წარმოსახვასა და თავის ნაწერებში პოეტი ისევე ცდილობს აღადგინოს ოქტავიანეს შემოსვლა ალექსანდრიაში, ან კესარიონის, კლეოპატრასა და კეისრის ვაჟის, გარინდება ქალაქის აღების ღამეს, ანდა მანუელ კომნენოსის სამონაზვნო შემოსვა სიკვდილის წინ, სექტემბრის ღრუბლიან დღეს, როგორც შემთხვევითი სატრფოს გვერდით განცდილი განცხრომის ორიოდ საათი ან ზღვის სანაპიროზე, ყავახანაში თუ სამეძავო სახლის შესასვლელში შენიშნული მაცდური და მიმზიდველი მზერა...

კავაფისის ლექსებში წარსულის სინამდვილე ის ძნელადმოსახელთებელი, მაგრამ ნაყოფიერი ბიძგია, რომელიც აწმყოს პოეზიაში მარადიულ სიმყარედ გარდაისახება, – განცდის განახლებითა და სიტყვაში მისი განხორციელების წყალობით. ის, რაც შეწყვეტილი, მიტოვებული ან დამთავრებულია წარსულში, აწმყოში აგრძელებს ანდა ხელახლა მოიპოვებს სიცოცხლეს: მეხსიერება პოეზიაში ცოცხლობს. მაგრამ როცა პოეტი ჩქარობს, სიტყვამდე მიიტანოს განცდილი, რა განაპირობებს მის შინაგან მიზანსწრაფვას: ვნებიანი სურვილი იმისა, რომ გამუდმივება მიანიჭოს ნაგრძნობს ან ნახულს თუ დაუღალავი ზრუნვა, რათა სტრიქონებს შთაგონების ნაპერწკალი, მხურვალების წყარო არ შემოაკლდეს? მოვალეობა, რომ ყოველი ის, რაც დაუვიწყარია, აუცილებელ შენახვას საჭიროებს თუ მოფრთხილება, ვინძლო სათქმელის აღმგზნები ალი არ მინავლდეს?

მაგრამ მეხსიერება კავაფისისათვის სხეულის მეხსიერებაა და ის ისევ იმ შეგრძნებისა თუ გრძნობის გახანგრძლივებას ან, კიდევ უკეთეს შემთხვევაში, გამუდმივებას ემსახურება, რომელიც ოდესღაც – საუკუნეთა წინ თუ რამდენიმე საათის წინ – ხელშესახები და მისაწვდომი იყო... განცდა და აღმაფრენა ხორციელების ფარგლებში რჩება და არათუ სულს, სამშვინველსაც ოდნავ ეხება, რაც უცაბედად ააშკარავებს, თუ რატომ გაჟღენთილა განწყობა არამცთუ მოქანცვით ანდა გაწბილებით, არამედ ათარაქსიული მდგომარეობით პოეტის მოკლე, სადა, ყოველგვარი სამკაულისაგან დაცლილ ლექსებში. განსხვავებით

თუნდაც პლატონური ან ახალპლატონური აღტაცებული სწრაფვისაგან, – რომ აღარაფერი ვთქვათ ქრისტიანულ თვალსაწიერზე, რაკი კავაფისისთვის არცთუ ახლობელი იყო ქრისტიანული სედვა, – ლტოლვა მიწიერი სილამაზის მიმართ არ აღმოჩნდება არც ასასხლეტი საყრდენი, არც ასაფრენი მოედანი, არც ხიდი ან კიბე უმაღლესი სულიერების, უმაღლესი ჭეშმარიტების მისაწვდომად და საჭვრეტად.

მაგრამ ის, რაც სიტყვად იქცა, ქმნილების ბუნებრივი ძალით, სწყდება ოდენ ხორციელს, ოდენ ნივთიერს, რადგანაც სიტყვა ყოველთვის ძლევს ცალ განზომილებაში დარჩენის სიმარტოვეს. ხოლო რაკი სიტყვა მოლივლივე და წახნაგოვანია, რაკი სიტყვის წიაღში გადაძახილთა და ნიშნადობათა სიმრავლე ილანდება, რაკი სიტყვა ყოველთვის ირეკლავს იმას, რაც გრძნობადის მიღმა ილანდება, ამიტომაც ეხვევა, – თუნდაც უნებურად, – იდუმალების მკრთალ ბურუსში ბერძენი პოეტის თითქოსდა ეგზომ ადვილად მისაწვდომი და ეგზომ კონკრეტული ლექსები.

კავაფისის პოეზიაში ხორციელების მძაფრ ძახილს, მშვინვიერების ფაქიზი ჩურჩულის გარდა, სულიერების მტანჯველი დუმილიც თანსდევს. ესეცაა ერთი მიზეზი, რომ ეს თითქოსდა გაწონასწრებული, თითქოსდა თავშეკავებული პოეტური სტრიქონები ასე ძალუმადაა განმსჭვალული ტრაგიკული განცდის გარდაუვალი სულისკვეთებით...

2003

96

გიორგიოს სეფერისის დაკარგული მშობლიური ქალაქი

გიორგიოს სეფერისი
Γιώργος Σεφέρης
1900-1971

გიორგიოს სეფერისი პირველი იყო ბერძენ მწერალთა შორის, რომელსაც გამორჩეული ლირიკული შემოქმედებისათვის 1963 წელს შვედეთის აკადემიამ ნობელის პრემია მიანიჭა. ამ დროს სახელგანთქმულ პოეტ სეფერისს, ანუ ნამდვილი გვარით სეფერიადისს, უკვე დამთავრებული ჰქონდა პროფესიული დიპლომატის კარიერა, – უკანასკნელი და ყველაზე მაღალი პოსტი დიდ ბრიტანეთში ელჩის თანამდებობა აღმოჩნდა. მისმა დიპლომატიურმა გამოცდილებამ და ადამიანურმა ტაქტმა იმჟამად მშვიდობიანად მოაგვარა კვიპროსის პრობლემა, – პატარა კუნძულოვანმა ქვეყანამ, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას ბერძნები წარმოადგენდნენ, სწორედ ამ დროს მოიპოვა ბრიტანეთის გვირგვინისაგან დამოუკიდებლობა. მანამდე კი იყო სახელმწიფო მოღვაწეობის გრძელი გზა: ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას – დიპლომატიური სამსახური ალბანეთში; გერმანელთა მიერ საბერძნეთის ოკუპაციის შემდეგ – ექსორია ლტოლვილ მთავრობასთან ერთად ეგვიპტეში, სამხრეთ აფრიკასა და იტალიაში; შემდგომში სამსახური საელჩოებში – ლიბანში, სირიაში, ერაყში, იორდანიაში, ნიუ იორკში, – გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მაგრამ პოეტს თავი ისედაც მუდმივ ლტოლვილად მიაჩნდა: თურქულ იზმირში (ბერძნულად სმირნაში, ძველქართულად ზმირნაში) პროფესორის ოჯახში 1900 წლის 29 თებერვალს დაბადებული ჭაბუკი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას მშობლებთან ერთად ათენში აღმოჩნდება, სტუდენტობის წლებს იგი პარიზში გაატა-

რებს (სადაც სორბონის უნივერსიტეტში სამართალსა და ლიტერატურისმცოდნეობას ეუფლება), შემდგომში, ინგლისურის დასახვეწად იგი ორი წლით ლონდონში დასახლდება, მას შემდეგ კი, რაც თურქების მიერ სმირნიდან 1922 წელს ბერძნების სრული გამოძევების შედეგად ქალაქში ერთი ბერძენიც აღარ დარჩება, სეფერისს სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნია სამშობლო. ეგეოსის ზღვის პირას აღმართულ ამ ძველისძველ ქალაქში დაიწერა მომავალი პოეტის პირველი ლექსი, – როცა იგი თოთხმეტი წლისა იყო, მაგრამ მშობლიური ქალაქის სუნთქვა და ზღვის წვეთებთან ერთად ჰაერში გაბნეული სევდა სამუდამოდ დარჩება სეფერისის ლირიკულ ქმნილებებში, – სევდა წარსულის გამო, და ამ შემთხვევაში ქვეყნისა და საკუთარი, პირადი წარსული ერთმანეთისაგან ძნელი გასამიჯნავია. ასე იწყება პოეტის პირადი მითოლოგია, რომლის სიმბოლოდაც გამოკრთება "ნათელი, ანგელოსური და ბნელი", ხოლო ამ მეტაფიზიკურ და მეტაისტორიულ ძიებებში პოეტი თავის სათაყვანო მასწავლებლებს ეხმიანება – კონსტანტინოს კავაფისს, პოლ ვალერის, ეზრა პაუნდს, ტომას სტერნზ ელიოტს.

საბერძნეთის აკადემიის წევრი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე გიორგიოს სეფერისი ათენში, 1971 წლის 20 სექტემბერს გარდაიცვალა.

2000

ვინც რუმინულად წერდა

მიჰაი ემინესკუ
მირჩა ელიადე

97

მიჰაი ემინესკუს რომანტიკული მღელვარება

მიჰაი ემინესკუ
Mihai Eminescu
1850-1889

მიჰაი ემინესკუს შემოქმედებითი გზა არცთუ ხანგრძლივი აღმოჩნდა – მისი პირველი ნაბეჭდი ლექსები მაშინ გამოქვეყნდა, როცა იგი ოცი წლისა იყო, ოცდაცამეტი წლის პოეტი კი გონებრივი ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მას თექვსმეტი წლის შემდეგ, 1889 წლის 15 ივნისს, სრულ სულიერ და ადამიანურ განმარტოებაში ელოდა სიკვდილი. სიცოცხლის ამგვარი მიწურული და ამგვარი დასასრული მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოსთათვის უჩვეულო სრულიადაც არ ყოფილა, – გამორჩეული და განსაკუთრებულია მიჰაი ემინესკუს წვლილი და გავლენა რუმინული პოეზიის განვითარებაზე, და კიდევ, მითოსი, ლეგენდა პოეტის შესახებ, პოეტის აჩრდილი, რომელიც მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის განმავლობაში ირეკლებოდა რუმინულ ლიტერატურაში, კულტურაში, საზოგადოებრივ-ინტელექტუალურ ცნობიერაში. თუმცა ემინესკუს ცხოვრების გზა თუ მისი სიკვდილისშემდგომი ხვედრი ევროპული რომანტიზმის საზოგადო სულისკვეთებით იყო განპირობებული – რომანტიზმს ხომ ასე გულწრფელად სჯეროდა ცხოვრებისა და პოეზიის გაუმიჯნაობა, სინამდვილისა და ოცნების, ხელშესახებისა და წარმოსახულის, არჩევანისა და ბედისწერის შერწყმა...

მიჰაი ემინესკუ მიხაი ემინოვიჩის ფსევდონიმია, რომელიც 1850 წლის 15 იანვარს იპოტეშტში, მოლდავეთში (იმჟამინდელ ოსმალეთში და დღევანდელ რუმინეთში), დაიბადა, თუმცა დაწყებითი ცოდნა-განათლება მან გერმანულ-რუმინული კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ

მნიშვნელოვან ცენტრში, ჩერნაუციში, დღევანდელ უკრაინულ ჩერნოვციში, შეიძინა და მისი თავდაპირველი ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი თვალსაწიერიც კულტურათა გადაკვეთაზე მდებარე ამ ქალაქში ჩამოყალიბდა. საუნივერსიტეტო განათლება კი მან ვენასა და ბერლინში მოიპოვა, სადაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელმა გერმანულმა ფილოსოფიამ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ემინესკუ ჯერ სკოლის ინსპექტორია, შემდგომ კი იაშის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი, თუმცა მალე თავს ანებებს სახელმწიფო სამსახურს და კონსერვატული გაზეთის, "Timpul"-ის, რედაქტორი ხდება.

ამ დროს იქმნება მიჰაი ემინესკუს საუკეთესო პოეტური ქმნილებანი, – ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო ფურცლები, საერთოდ, რუმინული ლიტერატურის ისტორიაში. მისტიკური ხედვითა და მელანქოლიური განწყობით აღსავსე ნაწარმოებებში მჟღავნდება პოეტის მღელვარე, მტკივნეული კავშირი თავისი ქვეყნის შუასაუკუნეობრივ წარსულთან, რომელსაც ცოტა რამ ჰქონდა საერთო მის თანადროულ ყოფასთან. ამ მთრთოლვარე ლექსებში ძალუმად ჟღერს რუმინული ლეგენდების, თქმულებების, სიმღერების მოტივები და მელოდიები. მაინც, მიჰაი ემინესკუს ნაწარმოებებს შორის გამორჩეულია მისი ლექსი "Luceafărul" – "მწუხრის ვარსკვლავი", ლუციფერულ, ანუ დემონურ საწყისთან პოეტური შეთამაშების, დაახლოების, მოხიბლვის გამოხატულება, რომელიც სულ ცოტა ხნით ადრე დაიწერა, ვიდრე მგოსანი – რუმინელ პოეტთა შორის უდიდესი – შეშლილობის სამკვიდროში შეაბიჯებდა.

2000

კამოინში დარწმუნებული იყო, რომ მის სამშობლოს განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა მსოფლიოს მომავლისათვის, რომ სწორედ მის ქვეყანას უნდა უზრუნველეყო ქრისტიანული ცივილიზაციის გავრცელება დედამიწის შორეულ კუთხეებში: აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში... მაგრამ მომაკვდავი პოეტი თავად შეესწრო პორტუგალიის დიდების დაისს, მისი ისტორიული დანიშნულების მოლოდინთა სრულ გაცამტვერებას. მოახლოებული სიკვდილის პირისპირ, იგი ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ ლუზუსის შვილთა საკაცობრიო როლი დროთა მსვლელობაში უკეთ გამოიკვეთებოდა და, ანაზდად და მოულოდნელად, სწორედ "ლუზიადების" შემქნელის პოეტური სტროფების წყალობით: პორტუგალიელთა ყველაზე ცოცხალი და ყველაზე ქმედითი გავლენა მსოფლიო კულტურაზე ლუიშ დი კამოინშის პოეზიის გავლენა აღმოჩნდა (ამ თვალსაზრისით, მეთექვსმეტე საუკუნის პოეტს შემდგომში, – მეოცე საუკუნეში, – რა თქმა უნდა, ფერნანდუ პესოაც ამოუდგა გვერდით). შეიძლება რიტორიკულად ითქვას, რომ კამოინში სხვადასხვა ქვეყნის მკითხველს უკვე მეხუთე საუკუნეა, – დღევანდლამდე, – პორტუგალიურად მიმართავს.

მაგრამ "ლუზიადების" ფურცელებიდან იგი გულწრფელად და მგზნებარედ იმდროინდელი მსოფლიოს მმართველებსაც მიმართავდა, ხოლო მისი ერთი ამგვარი მოწოდება ამჟამადაც (და ჩვენთვისაც) საგულისხმოა! მართალია, პოემის მოქმედების ასპარეზი მოიცავს აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, მაგრამ პოეტი არც მათ საზღვარს ივიწყებს, უფრო სწორად რომ ითქვას, მან კარგად იცის, სად გაატაროს მიჯნა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ევროპასა და აზიას შორის: ეპოსის მეშვიდე სიმღერის მეცამეტე სტროფში პოეტი უსაყვედურებს ევროპელ ხელისუფალთ, რადგან ისინი ყურს არ ათხოვებენ დახმარებისათვის მხურვალედ მღაღადებელ, მეზობელ დამპყრობელთა ბატონობისაგან გატანჯულ ბერძნებს, თრაკიელებს, სომხებს, ქართველებს ("Gregos, Traces, Arménios, Georgianos")... პოეტი შეახსენებს ევროპის ძლიერი ქრისტიანული ქვეყნების მმართველთ, რომ მტარვალთა უღლისქვეშ მგმინავნიც, – თუნდაც მოშორებულნი, – ევროპელები არიან და ევროპელთა უთუო

დანვე – შესაძლოა, რომანტიკული დედის წყალობითაც – მას ყველაზე მეტად პოეზია და სამყაროს იდუმალება იზიდავდა. მისი გატაცება და აღტაცება ლიტერატურით, ფილოსოფიით, ბიოლოგიით, აღმოსავლური აზროვნებით, ალქიმიით, ეთნოგრაფიით, რელიგიათა ისტორიით ჯერ კიდევ ლიცეუმში სწავლისას იყო შესამჩნევი. წერაც მან მეტად ადრე დაიწყო: თოთხმეტი წლისამ ერთ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა მეცნიერების პოპულარიზაციისათვის და მისმა მოთხრობამ – "როგორ მოვიპოვე ფილოსოფიური ქვა" – პირველი პრემია დაიმსახურა (სხვათა შორის, კარგა ხნის შემდეგ ერთ, ამგვარსავე ანონიმურ კონკურსში უკვე ოცდაათს გადაცილებულმა, სახელმოხვეჭილმა მწერალმა ელიადემ პირველობა ახალშეღერებულ ლიცეისტს, ყველასათვის უცნობ იონესკოს დაუთმო, იმ ეჟენ იონესკოს, რომელმაც ოცდამეერთე საუკუნეს ელიადეს საუკუნედ ქცევა უწინასწარმეტყველა).

ელიადეს – მწერლისა და მეცნიერის – მემკვიდრეობა მრავალფეროვანი და უზარმაზარია, რადგან იგი სიყმაწვილიდანვე განუწყვეტლივ წერას იყო შეჩვეული და როდესაც იგი, თვრამეტი წლისა, ბუქურეშტის უნივერსიტეტის პირველკურსელის მერხს მიუჯდა, უკვე ასზე მეტი გამოქვეყნებული ტექსტის ავტორი იყო. სტუდენტობის წლებში მან მოძღვარიც აღმოაჩინა – ფილოსოფოსი ნაე იონესკუ და გატაცების ახალი სფეროც – იტალიური რენესანსის ფილოსოფია, მარსილიო ფიჩინო და ჰუმანისტური პლატონიზმი. ამ გატაცებამ მას პირველი მოგზაურობა შთააგონა, – იტალიაში, სადაც მისი სათაყვანო მწერალი, ჯოვანი პაპინი, ცხოვრობდა, რომელთან წერილობითი ურთიერთობა ათეულობით წლები გრძელდებოდა. თუმცა ეს პირველი მოგზაურობა იყო, წინ კი იყო სხვადასხვა კონტინენტები, სხვადასხვა ქვეყნები, ენები და კულტურები.

მაგრამ იმხანად განგებამ ელიადეს ერთი, გადამწყვეტი საჩუქარი უძღვნა – კასიმბაზარის მაჰარაჯა მის თხოვნას გამოეხმაურა და მას სამწელიწადნახევრიანი სტიპენდია შესთავაზა კალკუტის უნივერსიტეტში. თუმცა ოცდაერთი წლის ჭაბუკმა თავისი სატრფიალო თავგადასავლების დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის სუფთა აუდიტო-

რიებსა და დერეფნებს ჰინდუისტურ მონასტრებში – აშრამებში ყოფნა არჩია და ჰიმალაებისაკენ გაემართა, – რათა ექვსი თვის განმავლობაში მორჩილის სამოსი ეტარებინა და იქაურ მოძღვართა, გურუთა სწავლებისათვის დაეგდო ყური.

როდესაც ოცდახუთი წლის ელიადე რუმინეთს დაბრუნდა, რათა საუნივერსიტეტო კარიერას შესდგომოდა, მას უკვე სულიერი სამშობლო ჰქონდა მოპოვებული. მისი აკადემიური სანდოობა და მიუდგომლობა არავის გაუხდია სათუო, მაგრამ მისი ინდოლოგიური ძიებანი არასოდეს ყოფილა ოდენ მეცნიერული კვლევის საგანი. მას განგის სანაპიროზე არამარტო თავისი ცხოვრების ყველაზე მძაფრი გატაცება – თავისი იქაური მოძღვრისა და მასპინძლის, ფილოსოფოს სურენდრანათ დასგუპტას, თექვსმეტი წლის ქალიშვილი, მაიტრეი, ეგულებოდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ინდოეთშია დამალული სამყაროს საიდუმლოება და რომ სწორედ ინდოეთის სულიერ სივრცეში შეძლებდა იგი საკუთარი არსებობის საიდუმლოს ამოცნობასაც. მისი გახმაურებული და, შესაძლოა, საუკეთესო დასავლური წიგნი იოგას შესახებ ამგვარ ქვესათაურს ატარებს – "უკვდავება და თავისუფლება".

ელიადეს საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოს სულიერ მოძღვრებათა და ხელოვნებათა ყველა შტოს განახლება, სამყაროში განფენილ იდუმალ უწყებათა ამოხსნა, – იმ გარემომცველ სამყაროში, რომელიც მისთვის დაფარულ მნიშვნელობათა ამოუწურავი საუნჯე იყო. მოგვიანებით, ხანშიშესული ელიადე იხსენებდა, რომ იმხანად მისი ოცნება უნივერსალური ადამიანის მოდელის აღმოჩენას ეთამაშებოდა.

30-იან წლებში ბუქურეშტის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პედაგოგი ინტენსიურ სამწერლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთვება, ბეჭდავს სამეცნიერო ნაშრომებს, რომანებს, მოთხრობებს, იწყებს საერთაშორისო რელიგიათმცოდნეობითი ჟურნალის – "Zalmoxis"-ის – გამოცემას, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აფუძნებს რუმინელ ინტელექტუალთა საკრებულოს – "კრიტერიონს". თუმცა ეს ჯგუ-

ფი, რომლის მონაწილეთა შორის თუნდაც ემილ ჩორანის გახსენებაც კმარა, მალე დაიშლება, რადგან ფაშისტთა, კომუნისტთა და დემოკრატთა ერთ ჭერქვეშ ყოფნა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუძლებელი აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც რუმინეთში მონარქიულ-ფაშისტური დიქტატურა გამოცხადდება (უშიშროების სამსახური ამ დროს დააპატიმრებს ელიადეს მასწავლებელს, პროფესორ იონესკუს), ხოლო ევროპაში აგიზგიზებული მეორე მსოფლიო ომისას რუმინეთის სამეფო ნაცისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის მოკავშირე აღმოჩნდება, ელიადე თავს დიპლომატიურ სამსახურს შეაფარებს, – იგი კულტურის ატაშედ მსახურობს ჯერ ლონდონის საელჩოში, შემდგომ – ნეიტრალურ ლისაბონში (სადაც იგი გამოსცემს წიგნს "სალაზარი და პორტუგალიის რევოლუცია").

ომის დამთავრების შემდეგ რუმინეთში კომუნისტური გადატრიალება განხორციელდება. ფაშისტური წარსულის მქონე ინტელექტუალისათვის სამშობლოში დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა და იგი მარქსისტულ-ლენინური დოგმების მიღებას ემიგრაციას ამჯობინებს.

ოცდათვრამეტი წლის ელიადე ხელახლა ირჩევს ქვეყანას, ენას, კულტურას. მალე იგი სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება და ომისშემდგომ ათწლეულში ფრანგულად ბეჭდავს თავის ყველაზე გახმაურებულ, ყველაზე ღირებულ, ყველაზე შთაგონებულ ნაშრომებს. მოგვიანებით იგი ერნსტ იუნგერთან ერთად აარსებს ჟურნალს "Antaios"-ს (ჟურნალში თანამშრომლობენ ანრი მიშო, იულიუს ევოლა, ხორხე ლუის ბორხესი, როჟე კაიუა, ჩორანი, მარსელ ჟუანდო). თუმცა, როცა მას 1957 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორად იწვევენ, იგი კიდევ ერთ მობრუნებას გადაწყვეტს და ახალ კონტინენტზე გადასახლდება. თუ თვალს გადავავლებთ ელიადეს დღიურებსა და სხვა ნაწერებს, ადვილად შევნიშნავთ, რომ მას ძალუმად ჰქონდა განვითარებული ბედისწერის შეგრძნება, – სიჭაბუკის წლებიდან მოყოლებული ჩიკაგოში გატარებული უკანასკნელი დღეების ჩათვლით, – ბედისწერისა, რომელიც მას განუწყვეტლივ მოუხმობდა ცხოვრების ერთი ეტაპიდან – მეორისაკენ, მოუხმობდა

ახალი ქვეყნისაკენ, ახალი კულტურისაკენ, ახალი გამოცდილებისაკენ.

სიკვდილი მას 1986 წლის 22 აპრილს ჩიკაგოში ელის, სადაც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა მისი ბიბლიოთეკა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში – მოგზაურობასა და ძიებაში – მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში შეგროვებული ფასდაუდებელი საგანძური.

მანამდე კი, სამი ათეული წლის განმავლობაში, მირჩა ელიადე ჩრდილოეთი ამერიკის უნივერსიტეტებში რელიგიათა ისტორიის სწავლასა და შესწავლას მანამდე წარმოუდგენელ მასშტაბებს შესძენს, აარსებს საერთაშორისო ჟურნალს – "History of Religion", აარსებს რელიგიათა შესწავლის საერთაშორისო საზოგადოებას, სათავეში ჩაუდგება ამ დარგში დღემდე ყველაზე სოლიდური და ყველაზე ფართო ენციკლოპედიის – თექვსმეტტომიანი "რელიგიის ენციკლოპედიის" გამოცემას, თავად წერს "რელიგიურ იდეათა და შეხედულებათა ისტორიის" სამტომეულს, ხოლო გვიან ღამით ან შვებულებისას ისევ რუმინულ მოთხრობებს უზის, რადგან მიაჩნია, რომ თუკი მომავალი თაობები მას გახსენების ღირსად მიიჩნევენ, მათთვის იგი, პირველ ყოვლისა, მწერალი იქნება და არა სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

მაინც, მის აუხდენელ ოცნებად დარჩა, შეექმნა მოკლე და დამუხტული წიგნი რელიგიათა შესახებ, რომლის წასაკითხად მხოლოდ რამდენიმე საღამო იქნებოდა საჭირო, რადგან, მისი აზრით, რელიგიათა ძირეული ერთობა და მათი მუდმივი სიახლე ყველაზე აშკარად სწორედ შეუჩერებელი კითხვისას, თავისუფალ დინებაში გაცხადდებოდა. მას ეოცნებებოდა იმგვარი წიგნის დაწერა, რომლის მკითხველი, მას შემდეგ, რაც გაეცნობოდა პალეოლითელი ადამიანის, შუამდინარელთა და ძველ ეგვიპტელთა აზროვნებასა და სარწმუნოებას, შეხვდებოდა ინდოელ შანკარასა და ირანელ ზარათუშტრას, ბუდჰასა და იოაკიმე ფიორელს, მიყოლებით წაიკითხავდა გნოსტიკოსების, პირველი ქრისტიანების, ალქიმიკოსებისა თუ გრაალის რაინდთა შესახებ, გზად გადაეყრებოდა გერმანელ რომანტიკოსებსა და ჰეგელს, მაქს მიულერსა და ფროიდს,

კეცალკოატლსა და გრიგოლ პალამას, პირველ კაბალისტებს, ავიცენას და პარაცელსუსს. ამ არდაწერილ თუ ვერდაწერილ წიგნს იგი უწოდებდა "რომანს რელიგიის ისტორიის შესახებ" და ამგვარ წიგნს, ალბათ, მის გარდა ან მასზე უკეთესად ვერავინ დაწერდა.

იგი ბევრს წერდა და კიდევ უფრო მეტს კითხულობდა, და არა მარტო იმიტომ, რომ პროფესიონალი ჰუმანიტარი უწყვეტი კითხვის გარეშე ვერ წარმოედგინა, იგი ხედავდა კითხვის მითოლოგიურ ძირებსა და დანიშნულებას: მას მიაჩნდა, რომ კითხვას მითოლოგიური ფუნქცია აქვს არა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველყოფილ საზოგადოებებში მიღებულ ტრადიციას – მითოსის თხრობის კომპენსირებას ახდენს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კითხვა ადამიანს საშუალებას აძლევს, დროის ტყვეობას დააღწიოს თავი, – კითხვა ადამიანს საკუთარი დროითი განცდისაგან ათავისუფლებს და სხვა ცხოვრების რიტმს აზიარებს, საშუალებას აძლევს მას, სხვა ისტორიის მსვლელობაში, სხვა დროში იცხოვროს.

ელიადეს ბევრი რამ დაუწერია აღმოსავლური რელიგიების შესახებ, მაგრამ მისი წიგნები იოგასა და ექსტაზის მექანიზმის, შამანიზმისა და მაგიის შესახებ არასოდეს გამხდარა ეგზოტიკასა და ეზოტერიკას მოწყურებული მკითხველის საკითხავი, – შესაძლოა, იმიტომაც, რომ მას არასოდეს უქცევია რელიგია, რელიგიური მოძღვრებანი იდეოლოგიურ იარაღად. მას კარგად მოეხსენებოდა ყოველნაირ იდეოლოგიათა არა მარტო ფასი, არამედ მათი წარმოშობა და საფუძვლები – მარქსს, ნიცშესა და ფროიდს ირონიულად რედუქციონიზმის დიდოსტატებს უწოდებდა და სულ რამდენიმე გვერდი ჰყოფნიდა, რათა მარქსისტული მოძღვრების მითოლოგიური არსი აეხსნა, პროლეტარიატის დიქტატურის თეორიაში კი არქაული, პრიმიტიული ხანის მითოსი დაენახა.

მირჩა ელიადეს მოთხრობები და რომანები, რომლებშიც თითქმის უგამონაკლისოდ თვალშისაცემია ფანტასტიკური ნაკადი, უფრო კლასიკური რომანტიზმის ჯადოსნურ და იდუმალ თხრობას მოგვაგონებს, ვიდრე ეგრეთ წოდებულ სამეცნიერო ფანტასტიკას. მისი პროზაული ნაწარმოებების გმირია ადამიანი, რომელიც ბედის თუ

უბედობის წყალობით, გამორჩეული, უჩვეულო, არაჩვეულებრივი გამხდარა. ამას კი, როგორც მოსალოდნელია, ტკივილი, უპასუხობა და მარტოობა მოჰყვება ხოლმე.

სიცოცხლის მიწურულს, პალმ ბიჩში ყოფნისას, ელიადემ დაწერა მოთხრობა "დაიანი", რომლის გმირი, გენიალური ახალგაზრდა მათემატიკოსი კონსტანტინ ორობეტი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამთავრებს თავის სიცოცხლეს, მას შემდეგ, რაც – დროისა და სივრცის პირობითობების დაძლევის შემდეგ – სამყაროს დასასრულისა და, შესაბამისად, სამყაროს საწყისის ფორმულას აღმოაჩენს. მაგრამ იგი მტკივნეულად აცნობიერებს, რომ მისი სიკვდილი კანონზომიერია, რადგან მან, მათემატიკოსმა, ვერ ამოხსნა სამყაროს საიდუმლო, ვერ შეასრულა ის მოციქულობა, რაც მას, მოშე დაიანივით ცალთვალას, ხედვის გაფართოებისა და ახალი თვალსაწიერის მოპოვების შემდეგ ევალებოდა, ვერ შეასრულა იმიტომ, რადგან იგი მეცნიერი იყო და არა პოეტი.

ელიადეს ყველა მხატვრული ტექსტი რომანტიკოსთათვის ჩვეული მსუბუქი სევდითა და ირონიული პესიმიზმითაა განმსჭვალული. ამ მოთხრობასაც სევდა და ტკივილიანი ღიმილი გასდევს თან. შესაძლოა, თავად მირჩა ელიადეც, საქვეყნო სახელის მეცნიერი, რომელიც ისე იცნობდა მსოფლიოს ყველა რელიგიასა და მსოფლმხედველობრივ მოძღვრებას, როგორც ცოტა ვინმე მეოცე საუკუნეში, დაუამებელ სატკივრად განიცდიდა, რომ თავისი უკიდეგანო ცოდნა სამყაროს საიდუმლოს ამოსაცნობად ვერ გამოიყენა, რომ დროსა და სივრცეში მრავალწლიანი მსხემობისას მოპოვებული მისი გამოცდილება მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა თავისუფლებისა და უკვდავების გზის მისაგნებად.

1996, 1997

ვინც იაპონურად წერდა

იასუნარი კავაბატა

99

იასუნარი კავაბატა:
სიკვდილის ჩაწვდომის მცდელობა

იასუნარი კავაბატა
Yasunari Kawabata
川端 康成
1899-1972

იასუნარი კავაბატას ლიტერატურის დარგის ნობელის პრემია 1968 წელს მიენიჭა, ჟან-პოლ სარტრისა და მიხაილ შოლოხოვის შემდეგ, – იმ მწერალთა შემდეგ, რომელთა თუნდაც საზოგადოებრივი პოზიცია მეტად შორს იყო ალფრედ ნობელის ნება-სურვილისაგან, რომლის ანდერძის თანახმად, პრემია მას უნდა მიჰნიჭებოდა, ვინც კეთილშობილ იდეებს სიტყვიერად შეასხამდა ხორცს და ლიტერატურაში იდეალისტურ, ანუ იდეალურ ღირებულებებს დაამკვიდრებდა. რაც შეეხება კავაბატას შემოქმედებას, ის, საბედნიეროდ, მეტად შორს იყო კომუნისტური იდეებისაგან, – განსხვავებით სარტრისა და შოლოხოვისაგან. მწერალი თავის წიგნებში, რომლებიც ყოველთვის მელანქოლიური ლირიზმითაა განმსჭვალული, განუწყვეტლად ელოლიავებოდა მიტოვებულობის, მარტოობის, სიკვდილით მოცულობის თემებს. ნობელის პრემიის მიღებისას მწერალმა თქვა, რომ თავის შემოქმედებაში იგი ცდილობდა გაემშვენიერებინა, გაელამაზებინა სიკვდილი, მაგრამ, ამასთანავე, მოეძებნა ჰარმონია ადამიანს, ბუნებასა და სიცარიელეს შორის (რაშიც იგი ადამიანის ირგვლივ ჩამომდგარ სიცარიელეს გულისხმობდა) და რომ იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში მიისწრაფოდა სილამაზისაკენ და იბრძოდა სილამაზისათვის. კავაბატას წიგნებში კი სილამაზე ყველგან შეიძლება აღმოჩნდეს: არა მარტო ბუნებასა და ადამიანის ნაკვთებში, არა მარტო ჩაის სმის რიტუალსა და კედელზე დაკიდებულ მინიატურაში, არა-

მედ უმანკო გოგონას სიწმინდესა და გულითადობაში, ქალის სიყვარულის სითბოში, მეგობრის ერთგულებასა და თავდადებაში. და მაინც, კავაბატას შემოქმედებიდან შავი დიამანტივით აშუქებს დაუძლეველი მარტოობის განცდა.

როგორც ბიოგრაფები აღნიშნავენ, კავაბატას ცხოვრებისა და ნაწერების შინაგანი პათოსი მისმა ტრაგიკულმა სიყმაწვილემაც განაპირობა – ჭაბუკი ჯერ თოთხმეტი წლისაც არ იყო, როცა ყველა ნათესავი და ახლობელი დაკარგა და სრულიად მარტო დარჩა (მისი იმდროინდელი განცდებია არეკლილია მწერლის პირველ წიგნში – "თექვსმეტი წლის ბიჭის დღიური"). შემდგომ კი იყო სწავლა ტოკიოს საიმპერატორო უნივერსიტეტში, გატაცება ევროპული ლიტერატურის იმდროინდელი მიმდინარეობებით – დადაიზმით, ექსპრესიონიზმით, კუბიზმით, მეგობრებთან ერთად ეგრეთ წოდებული ნეოსენსუალისტური ჯგუფის დაფუძნება, ამ ჯგუფის ჟურნალის გამოცემა, პირველი რომანები, პირველი აღიარება, და შემდგომ კი, ისევ მიბრუნება ეროვნული ტრადიციებისაკენ, – იაპონური შუასაუკუნეობრივი მწერლობისაკენ, მრავალ ენაზე თარგმნილ წიგნებსა და მილიონიან ტირაჟებს მოყოლილი მსოფლიო სახელი, დაბოლოს, 1972 წლის 16 აპრილს, საკუთარი ხელით მირქმული სიკვდილი, – სიკვდილი, რომლის არსის ჩაწვდომას და აღქმას ცდილობდა მთელი თავისი ცხოვრებისა და მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იაპონელი მწერალი.

1999

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. **ერაზმუს როტერდამელის სიმშვიდე მღელვარე ხანაში**
   სათაურით "ერაზმუს როტერდამელი" გამოქვეყნდა პირველად: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 293-298.
2. **ჟან რასინი: სწრაფვა კლასიკური წონასწორობისაკენ**
   ქვეყნდება პირველად.
3. **რენე დე შატობრიანი – რომანტიკოსი დიპლომატიურ სამსახურში**
   ქვეყნდება პირველად.
4. **სიული პრიუდომი – პირველი ლაურეატი**
   ქვეყნდება პირველად.
5. **ემილ ზოლა და ინტელექტუალთა საუკუნე**
   ქვეყნდება პირველად.
6. **ანატოლ ფრანსის არამყარი სკეფსისი**
   ქვეყნდება პირველად.
7. **მორის მეტერლინკი – პოეტი, დრამატურგი, ესეისტი**
   ქვეყნდება პირველად.
8. **რომენ როლანის კეთილი თვალები**
   გამოქვეყნდა პირველად: *ჩვენი მწერლობა*, №11, 2006, გვ. 26-27.
9. **პოლ კლოდელის მყარი რიტმი**
   ქვეყნდება პირველად.
10. **მეამბოხე კლასიკოსი ანდრე ჟიდი**
    ქვეყნდება პირველად.
11. **მარსელ პრუსტი: უკვდავყოფილი წარსული**
    ქვეყნდება პირველად.
12. **ჟიულ სუპერვიელი: სიყვარული პამპებისა და სამყაროს მიმართ**
    ქვეყნდება პირველად.
13. **ჟორჟ ბერნანოსის რწმენა და სევდა**
    ქვეყნდება პირველად.
14. **გაბრიელ მარსელი – სოკრატელი ქრისტიანი**
    სათაურით "გაბრიელ მარსელი" გამოქვეყნდა პირველად: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 234-239.
15. **ანდრე ბრეტონი – სიურეალიზმის ფუძემდებელი**
    ქვეყნდება პირველად.

16. **ტრისტან ცარა: დადაიზმიდან სიურეალიზმამდე**
ქვეყნდება პირველად.
17. **ჟაკ პრევერი: პოეზია ყველასათვის**
ქვეყნდება პირველად.
18. **სენტ-ეგზიუპერი: კეთილშობილების შუქი**
ქვეყნდება პირველად.
19. **ჟულიენ გრინი: ქრისტიანი მწერალი ვნებასა და განწმენდას შორის**
სათაურით "ქრისტიანი მწერალი ვნებასა და განწმენდას შორის (ჟულიენ გრინის დაბადების დღის გამო)" გამოქვეყნდა პირველად: *ჩვენი მწერლობა*, №36 (114), 6-13 სექტემბერი, 2002.
20. **ანდრე მალროს ადამიანური ხვედრი**
ქვეყნდება პირველად.
21. **მარგერიტ იურსენარი: ერთგულება ხსოვნის მიმართ**
ქვეყნდება პირველად.
22. **სიმონ ვეილის შეწყვეტილი გზა**
სათაურით "ქრისტესკენ მავალი შეწყვეტილი გზა (სიმონ ვეილის გარდაცვალების 60 წლისთავის გამო)" გამოქვეყნდა პირველად: *საბა*, №8, 2003; სათაურით "სიმონ ვეილი" გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 268-270.
23. **ეჟენ იონესკოს აბსურდული სამყარო**
ქვეყნდება პირველად.
24. **ემილ ჩორანი: უიმედობის ფრაგმენტები**
ქვეყნდება პირველად.
25. **ალბერ კამიუ: ურწმუნო მორალის ძიება**
ქვეყნდება პირველად.
26. **მარგერიტ დურასი: ცხოვრება და მწერლობა შეულამაზებლად**
ქვეყნდება პირველად.
27. **რომენ გარი: რომანის მსგავსი ცხოვრება**
ქვეყნდება პირველად.
28. **მიშელ ტურნიე – ფილოსოფოსი პროზაში**
ქვეყნდება პირველად.
29. **ფრიდრიხ ნიცშეს ულვაში**
ქვეყნდება პირველად.
30. **ჰოფმანსტალის პოეზიის მიმქრალი მშვენიერება**
ქვეყნდება პირველად.
31. **თომას მანის დიადი სამწერლო საქმე**
ქვეყნდება პირველად.

32. **ჰერმან ჰესე – თამაშის ოსტატი**
ქვეყნდება პირველად.
33. **მარტინ ბუბერი – დიალოგის ფილოსოფოსი**
სათაურით "მარტინ ბუბერი", შესავალი ნაწილის გარეშე, გამოქვეყნდა პირველად: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 210-215; შესავალი ნაწილი ქვეყნდება პირველად.
34. **ალფრედ დებლინის ძიებანი და მოქცევა**
ქვეყნდება პირველად.
35. **რომანო გვარდინი თეოლოგიასა და ლიტერატურას შორის**
სათაურით "რომანო გვარდინი – მოძღვარი და ღმრთისმეტყველი" გამოქვეყნდა პირველად: *საბა*, №10, 2003; სათაურით "რომანო გვარდინი" გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 228-233.
36. **ჰერმან ბროხი: მწერლობა ჭეშმარიტების შესამეცნებლად**
ქვეყნდება პირველად.
37. **ფრანც ვერფელი პრაჰიდან ბევერლი ჰილზამდე**
სათაურით „ფრანც ვერფელი – პოეტი და რომანისტი" გამოქვეყნდა პირველად: *აფრა*, №16, 2010, გვ. 306-308.
38. **ერნსტ იუნგერის საუკუნეზე ხანგრძლივი სიცოცხლე**
სათაურით "ერნსტ იუნგერი" გამოქვეყნდა პირველად: *არილი*, 23-29 ივლისი, 1998; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"გზავნილი "არილის" მკითხველს"*, თბ., 2009, გვ. 134-141.
39. **ელიას კანეტის უცაბედი პრემია**
ქვეყნდება პირველად.
40. **კლაუს მანი – მწერლის მწერალი ვაჟი**
ქვეყნდება პირველად.
41. **პაულ ცელანის ენობრივი სამშობლო**
ქვეყნდება პირველად.
42. **სამშობლოსთან შეურიგებელი თომას ბერნჰარდი**
ქვეყნდება პირველად.
43. **ჯონ რესკინის გაუცვეთელი ქვები**
ქვეყნდება პირველად.
44. **ჯოზეფ კონრადი – ღირსებისა და ერთგულების კაპიტანი**
ქვეყნდება პირველად.
45. **იეიტსი, ირლანდია, ვარდი**
ქვეყნდება პირველად.

46. **კიპლინგი, აღმოსავლეთი და დასავლეთი**
ქვეყნდება პირველად.
47. **ჰერბერტ უელსის უხიფათო ოცნებები**
ქვეყნდება პირველად.
48. **ფორსტერის სამწერლო პაუზა**
ქვეყნდება პირველად.
49. **ლიტონ სტრეჩი – მშვიდი დამამხობელი**
ქვეყნდება პირველად.
50. **ტომას სტერნზ ელიოტი – მოდერნისტი კლასიკოსი**
ქვეყნდება პირველად.
51. **უილიამ ფოლკნერი თავის ქალაქში**
ქვეყნდება პირველად.
52. **სარწმუნოების სიხარულით გაოცებული კლაივ სტეიპლზ ლუისი**
სათაურით "კლაივ სტეიპლზ ლუისი" გამოქვეყნდა პირველად: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 246-251.
53. **უშიშარი ჯორჯ ორუელი**
სათაურით "ჯორჯ ორუელი" გამოქვეყნდა პირველად: *არილი*, 23-29 ივლისი, 1998; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"გზავნილი "არილის" მკითხველს"*, თბ., 2009, გვ. 148-153.
54. **ქრისტოფერ იშერვუდის უსწორმასწორო გზები**
ქვეყნდება პირველად.
55. **აიზაია ბერლინი ბეჯით შრომასა და ნებიერ განცხრომას შორის**
სათაურით "სერ აიზაია ბერლინი" გამოქვეყნდა პირველად: *არილი*, 26 თებერვალი, 1998; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"გზავნილი "არილის" მკითხველს"*, თბ., 2009, გვ. 112-114.
56. **ტომას მერტონი – მოწესე და მწერალი**
სათაურით "ტომას მერტონი" გამოქვეყნდა პირველად: *ლექტონი: ჰუმანიტარულ დისციპლინათაშორისი კვლევები*, №1, [2002], გვ. 61-63; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მეორედ: *საბა*, №12, 2003; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მესამედ: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 252-257.
57. **სელინჯერი: ცხენის შემრჩევის მონატრება**
ქვეყნდება პირველად.
58. **სალმან რუშდის ჩასაფრებული საფრთხე**
ქვეყნდება პირველად.

59. **ნიკოლო მაკიაველი – პოლიტიკოსი, თან მწერალი**
ქვეყნდება პირველად.
60. **ჯაკომო ლეოპარდი – უძლური პოეტი**
ქვეყნდება პირველად.
61. **გაბრიელე დ'ანუნციო – პოეტი და მეომარი**
სათაურით "გაბრიელე დ'ანუნციო" გამოქვეყნდა პირველად: *არილი*, 30 ივლისი, 1998; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"გზავნილი "არილის" მკითხველს"*, თბ., 2009, გვ. 154-159.
62. **ბენედეტო კროჩე: ლიბერალიზმის ქომაგი ფაშიზმის ხანაში**
ქვეყნდება პირველად.
63. **ლუიჯი პირანდელო – ქაოსის შვილი**
ქვეყნდება პირველად.
64. **ჯუზეპე უნგარეტი – ალექსანდრიელი იტალიელი**
ქვეყნდება პირველად.
65. **სალვატორე კვაზიმოდო: სირაკუზის სიახლოვიდან უკვდავების ახლოს**
ქვეყნდება პირველად.
66. **ჩეზარე პავეზე: შეხვედრა სიკვდილთან, რომელსაც სატრფოს თვალები ჰქონდა**
ქვეყნდება პირველად.
67. **ჯორჯო ბასანი – ფერარის მწერალი**
ქვეყნდება პირველად.
68. **უმბერტო ეკოს მიუწვდომელი კუნძული**
ქვეყნდება პირველად.
69. **სერვანტესიდან დონ კიხოტამდე**
ქვეყნდება პირველად.
70. **ტირსო დე მოლინა – თეოლოგი და დრამატურგი**
ქვეყნდება პირველად.
71. **კალდერონი: გამოცხადებისეულ ჭეშმარიტებათა გასცენიურების ცდა**
ქვეყნდება პირველად.
72. **მიგელ დე უნამუნო: ურწმუნოების ტვირთი**
სათაურით "მიგელ დე უნამუნო" გამოქვეყნდა პირველად: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 124-125.
73. **ანტონიო მაჩადო: ძმა ძმის წინააღმდეგ**
ქვეყნდება პირველად.
74. **გაბრიელა მისტრალის ერთგულება**
ქვეყნდება პირველად.

75. **ფედერიკო გარსია ლორკას სიკვდილის ახალი ვერსია**
ქვეყნდება პირველად.
76. **ხორხე ლუის ბორხესი და სამოთხე-ბიბლიოთეკა**
ქვეყნდება პირველად.
77. **კორტასარის უხმაურო მშფოთვარება**
ქვეყნდება პირველად.
78. **ლუის დი კამოინში: ზღვის უწყების პოეტური ძეგლი**
ქვეყნდება პირველად.
79. **წერილი ფერნანდუ პესოას**
ქვეყნდება პირველად.
80. **ჰენრიკ იბსენი: დრამატურგის არადრამატული ცხოვრება**
ქვეყნდება პირველად
81. **სიგრიდ უნდსეტი: მეოცე საუკუნის შუასაუკუნეობრივი საგა**
ქვეყნდება პირველად.
82. **აუგუსტ სტრინდბერგის დაუნდობელი მრისხანება**
ქვეყნდება პირველად.
83. **პერ ლაგერკვისტის შუალედური ბილიკი**
ქვეყნდება პირველად.
84. **ვლადიმირ სოლოვიოვის მისტიკური ხილვა**
სათაურით "ვლადიმირ სოლოვიოვი" გამოქვეყნდა პირველად: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 299-301.
85. **ვასილი როზანოვი ქრისტიანობის გალავანს მიღმა**
სათაურით "ვასილი როზანოვი" გამოქვეყნდა პირველად: *ჩვენი მწერლობა*, № 5 (135), 7-13 თებერვალი, 2003; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 264-267.
86. **ბორის პასტერნაკის მოპოვებული ნათელი**
ქვეყნდება პირველად.
87. **ვლადიმირ ნაბოკოვის ორი სარკე**
ქვეყნდება პირველად.
88. **"ნონსტოპ სოლჟენიცინი"**
ქვეყნდება პირველად.
89. **იოსიფ ბროდსკის ხსოვნას**
გამოქვეყნდა პირველად: *ჩვენი მწერლობა*, №15, 2006, გვ. 29-30.
90. **პოლონელი ებრაელი ჰენრიკ გრინბერგი**
ქვეყნდება პირველად.

91. **ჰანა კრალის დასტური და მოწმობა**
ქვეყნდება პირველად.
92. **მილენა იესენსკას უწესრიგო ცხოვრება**
ქვეყნდება პირველად.
93. **ლუდვიკ ვაცულიკი: მწერლის გაბედულება**
ქვეყნდება პირველად.
94. **მილან კუნდერა ძველ და ახალ სამშობლოში**
ქვეყნდება პირველად.
95. **კონსტანტინოს კავაფისი: მეხსიერებით გამარადისებული გარდასული**
ქვეყნდება პირველად.
96. **გიორგიოს სეფერისის დაკარგული მშობლიური ქალაქი**
ქვეყნდება პირველად.
97. **მიჰაი ემინესკუს რომანტიკული მღელვარება**
ქვეყნდება პირველად.
98. **მირჩა ელიადე: მსხემობა სამყაროს საიდუმლოთა საძიებლად**
სათაურით "მირჩა ელიადე" გამოქვეყნდა პირველად: *არილი*, 5-11 ივნისი, 1997; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მეორედ: ავტორისეულ კრებულში *"რწმენისა და იმედის გზაზე"*, თბ., 2003, გვ. 82-90; იმავე სათაურით გამოქვეყნდა მესამედ: ავტორისეულ კრებულში *"გზავნილი "არილის" მკითხველს"*, თბ., 2009, გვ. 26-34.
99. **იასუნარი კავაბატა: სიკვდილის ჩაწვდომის მცდელობა**
ქვეყნდება პირველად.

საძიებლები

პირთა საძიებელი

აგოსტინელი, ალფრედ 58, 63
ავგუსტინე 71, 119, 167, 317
ავიცენა 482
აინშტაინი, ალბერტ 171, 264
აკვავივა, ჯულიო 326
აკუტაგავა რიუნოსკე 225
ალექსანდრე II 414
ალექსანდრე III 414
ალექსანდრე VI 282, 283
ალექსანდრე მაკედონელი 200, 224, 302
ანაკრეონტი 306
ანაქსაგორა 224
ანდერსონი, შერვუდ 248, 308
ანენსკი, ინოკენტი 429
ანტელმი, რობერ 121
ანუი, ჟან 110
ანრიელი, პაულ *იხ.* ცელანი, პაულ
აპოლინერი, გიიომ 303
აუარი, ემილ *იხ.* გარი, რომენ
არაგონი, ლუი 78, 98, 99, 130, 458
არენდტი, ჰანა 171
არიოსტო, ლუდოვიკო 306, 311
არისტოტელე 224
არნოლდი, ტომას 241
არტო, ანტონენ 225
ახმატოვა, ანა 264, 265, 428-430

ბაირონი, ჯორჯ გორდონ 288
ბაკუნინი, მიხაილ 141
ბალთაზარი, ჰანს ურს ფონ 164
ბარათაშვილი, ნიკოლოზ 288
ბარბიუსი, ანრი 56
ბარე, ოგიუსტ 36
ბარნეტი, უით 273
ბასანი, ჯორჯო 311-313, 315
ბაურა, მორის 264
ბაშლარი, გასტონ 134
ბახი, იოჰან სებასტიან 71, 115
ბახმანი, ინგებორგ 203
ბახტინი, მიხაილ 418
ბეეთჰოვენი, ლუდვიგ ვან 48
ბემე, იაკობ 153, 219, 244
ბენეშოვა, ლიბუშე 425
ბენი, გოტფრიდ 184
ბერგსონი, ანრი 103, 244
ბერდიაევი, ნიკოლაი 164
ბერია, ლავრენტი 47
ბერლინი, აიზაია 263-265
ბერლინი, მენდელ 263
ბერნანოსი, ჟორჟ 66-68, 90
ბერნარ კლერვოელი 244, 376
ბერნჰარდი, თომას 205-210
ბერნჰარდი, ჰერტა 205
ბერჯესი, ენთონი 11
ბიზე, ჟორჟ 60
ბიოი კასარესი, ადოლფო 11, 352
ბლავატსკაია, ელენა 219
ბლანში, ლესლი 128, 129
ბლასკო იბანიესი, ვისენტე 340
ბლეიკი, უილიამ 219, 304
ბლერი, ერიკ *იხ.* ორუელი, ჯორჯ
ბლერი, რიჩარდ 256
ბლოკი, ალექსანდრ 429
ბლუა, ლეონ 66
ბობროვსკი, ტადეუშ 215
ბოდლერი, შარლ 71, 247
ბონაპარტი, მატილდა დე 60
ბონაპარტი, ნაპოლეონ *იხ.* ნაპოლეონი
ბორხესი, ფრანსისკო 350
ბორხესი, ხორხე გილელმო 349, 350
ბორხესი, ხორხე ლუის 114, 195, 349-355, 360, 421, 480
ბორჯა, ჩეზარე 282
ბოტა, ანტონიო 383
ბრაბჰავანდა, სვამი 261
ბრაკი, ჟორჟ 192, 303

საძიებელში შეტანილი არაა ლიტერატურულ და მითოსურ პერსონაჟთა სახელები.

ბრედლი, ფრენსის ჰერბერტ 245
ბრენდელი, ალფრედ 263
ბრეტონი, ანდრე 74-76, 78, 82, 84, 98, 99, 122
ბრეხტი, ბერტოლტ 159
ბრიტენი, ბენჯამინ 235
ბროდი, მაქს 183
ბროდსკი, იოსიფ 11, 115, 427-431
ბროხი, იოზეფ 169
ბროხი, ჰერმან 149, 162, 169-173, 178-181, 197
ბრუკი, პიტერ 225
ბრუნო, ჯორდანო 318
ბუბერი, მარტინ 11, 151-156
ბუბერი, სოლომონ 153
ბუდჰა 481
ბუნინი, ივან 431
ბუნიუელი, ლუის 74

გამსახურდია, კონსტანტინე 184
განდჰი, მაჰატმა 49, 213, 214
გარი, რომენ 126-131
გარიბალდი, ჯუზეპე 290
გარსია ლორკა, ფედერიკო 344-348
გარსია მარკესი, გაბრიელ 49
გაწერელია, აკაკი 418
გეორგე, შტეფან 142, 173
გერარი, როუე 17
გერეკი, ედვარდ 443
გვარდინი, რომანო 164-168
გიბონი, ედვარდ 353
გიტრი, საშა 123
გოდოი ალსაიაგა, ლუსილა *იხ.* მისტრალი, გაბრიელა
გოეთე, იოჰან ვოლფგანგ ფონ 136, 142, 225
გოია, ფრანსისკო 101
გოლდშმიდტი, კლარა 98, 100
გოლზუორთი, ჯონ 350
გომულკა, ვლადისლავ 443
გონგორა, ლუის დე 304
გონი, მოდ 219
გორდონი, ჩარლზ 241
გორკი, მაქსიმ 140
გრინბერგი, ჰენრიკ 435-440
გრინეუეი, პიტერ 123
გრინი, გრეემ 90, 269
გრინი, ედვარდ 88
გრინი, ჟულიენ 75, 88-96, 103
გროპიუსი, ვალტერ 186
გრუნდგენსი, გუსტავ 200
გუმილიოვი, ნიკოლაი 428
გურამიშვილი, დავით 371

დაისონი, ჰუგო 251
დალი, სალვადორ 74
დანტე ალიგიერი 52, 167, 244, 294, 300, 429
დ'ანუნციო, გაბრიელე 290-294, 342
დარვინი, ჩარლზ 408
დასგუპტა, მაიტრეი 479
დასგუპტა, სურენდრანათ 479
დებიუსი, კლოდ 43
დებლინი, ალფრედ 157-162
დე გოლი, შარლ 68, 100, 101, 122, 128
დეკარტი, რენე 107
დე მესტრი, ჟოზეფ 115
დერჟავინი, გავრილა 428, 429
დე სანტისი, ფრანჩესკო 296
დიაგილევი, სერგეი 63
დილთაი, ვილჰელმ 153
დიუამელი, მარსელ 81, 84
დიუშანი, მარსელ 76
დოდე, ალფონს 60
დონი, ჯონ 244, 429
დოს პასოსი, ჯონ 160, 308
დოსტოევსკი, ფიოდორ 167, 360, 394, 417
დრაიზერი, თეოდორ 46
დრეიფიუსი, ალფრედ 35-38, 60
დუ პარკი, ტერეზ 25
დურასი, მარგერიტ 121-125

ეგნატე ლოიოლა 140
ედელმანი, მარკ 442
ევოლა, იულიუს 480
ევრიპიდე 306
ეკო, უმბერტო 316-321
ელ-ადლი, მუჰამად 233
ელიადე, მირჩა 78, 109, 113, 193, 195, 477-483

ელიოტი, ტომას სტერნზ 95, 241-246, 247, 249, 428, 429, 471
ელიოტი, უილიამ გრინლიფ 243
ელკინი, პოლ 269
ელუარი, პოლ 78
ემერსონი, რალფ ვალდო 44
ემინესკუ, მიჰაი 475, 476
ეჟოვი, ნიკოლაი 47
ერაზმუს როტერდამელი, დეზიდერიუს 15-19
ესენი, ზირი ფონ 406
ესქილე 306

ვალე-ინკლანი, რამონ მარია დელ 340
ვალენსა, ლეხ 443
ვალენშტაინი, ალბრეხტ ფონ 159
ვალერი, პოლ 46, 95, 303, 471
ვალუა, იზაბელ 326
ვან გოგი, ვინსენტ 225
ვაშინგტონი, ჯორჯ 28
ვაშკუ და გამა 368, 372, 373
ვაცულიკი, ლუდვიკ 453-457
ვეგა კარპიო, ლოპე დე 330-332, 335
ვეილი, სიმონ 107, 108
ვერგილიუს მარონი, პუბლიუს 178, 287, 306, 372, 376
ვერთი, ლეონ 85
ვერლენი, პოლ 53, 247
ვერმეერი, იან 101
ვერფელი, ფრანც 146, 183-189
ვივეკანანდა 49
ვიზელი, ელი 439
ვიკო, ჯოვანი ბატისტა 296
ვინკლერი, პაულა 154
ვინოკი, მიშელ 36
ვიტგენშტაინი, ლუდვიგ 112
ვიქტორ ემანუელ II 290
ვიქტორია 241
ვო, ივლინ 90, 269
ვოლტერი 102
ვულფი, ვირჯინია 350

ზარათუშტრა 481
ზაქსი, ნელი 312
ზოლა, ემილ 35-38, 60

თაგორი, რაბინდრანათ 225
თომა აკვინელი 52, 317

იაგოდა, გენრიხ 46, 47
იანი, ჰანს ჰენი 159, 162
იარუზელსკი, ვიოცეხ 443
იასპერსი, კარლ 164
იაშვილი, პაოლო 37, 55
იბსენი, ჰენრიკ 393-395, 406
იეიტსი, უილიამ ბატლერ 218-220
იესენი 448
იესენსკა, მილენა 170, 447-452
იესენსკი, იან 448, 449
იესო ქრისტე 100, 135, 178-181, 248, 283, 337, 417, 418, 420
ივანოვი, ვიაჩესლავ 11, 418
იოაკიმე ფიორელი 480
იოანე III 369
იოანე ჯვრისა (ხუან დე ლა კრუსი) 244, 376
იონესკო, ეჟენ 11, 78, 109-111, 113, 477, 478
იონესკუ, ეუგენ *იხ.* იონესკო, ეჟენ
იონესკუ, ნაე 478, 480
იულიუს III 283
იულიუს კეისარი 468
იუნგერი, ერნსტ 115, 190-195, 418, 480
იუნგერი, ფრიდრიხ გეორგ 190
იუნგი, კარლ გუსტავ 95
იურსენარი, მარგერიტ 102, 104-106
იშერვუდი, ქრისტოფერ 260-262

კაეირო, ალბერტუ *იხ.* პესოა, ფერნანდუ
კავაბატა იუსანარი 487, 488
კავაფისი, კონსტანტინოს 233, 302, 467-469, 471
კავური, კამილო დი 297
კაიავე, ლეონტინ 40, 61
კაიუა, როჟე 480
კალდერონ დე ლა ბარკა, პედრო 330, 332-335
კალვინი, ჟან 351

კამიუ, ალბერ 47, 118-120, 315
კამპოშუ, ალვარუ დე *იხ.* პესოა, ფერნანდუ
კამოინში, ლუიშ დი 11, 367-378, 384, 385
კანეტი, ელიას 171, 196, 197
კანტი, იმანუელ 158
კარასეკი, სვატოპლუკ 425
კარლოს V 18
კარლოს X 30
კარნე, მარსელ 83
კასლი, იან 425
კაფკა, ფრანც 170, 183, 197, 360, 447-450, 452
კაცევა, ნინა 126, 127
კაცევი, რომან *იხ.* გარი, რომენ
კეისარი *იხ.* იულიუს კეისარი
კესარიონი 468
კესტლერი, არტურ 95, 108
კვაზიმოდო, სალვატორე 303, 305-307
კიპლინგი, რედიარდ 221, 222, 226
კირკეგორი, სიორენ 112, 167
კიტონი, ბასტერ 111
კიტსი, ჯონ 350, 359
კლაისტი, ჰაინრიხ ფონ 158
კლემანსო, ჟორჟ 36
კლეოპატრა 468
კლინგერი, ევჟენ 451
კლოდელი, პოლ 46, 51-53, 353
კოკოშკა, ოსკარ 186
კოკტო, ჟან 74, 90, 103, 123, 192
კონრადი, ჯოზეფ 215-217
კოჟენევსკი, იოზეფ კონრად *იხ.* კონრადი, ჯოზეფ
კორნელი, პიერ 25
კორტასარი, ხულიო 356, 357, 359-363
კრალი, ჰანა 441-443
კრეიანკური, მარგერიტ დე *იხ.* იურსენარი, მარგერიტ
კრეიცარი, იარომირ 451
კრიშნამურტი, ჯიდუ 225
კროული, ალისტერ 384
კროჩე, ბენედეტო 295-299
კუზმინი, მიხაილ 429
კუნდერა, ლუდვიკ 458
კუნდერა, მილან 11, 115, 457-463
კუროსავა, აკირა 225

ლაგერკვისტი, პერ 408-410
ლანგი, იოზეფ ბერნარდ 149
ლაფონტენი, ჟან 334
ლაფორგი, ჟულ 244
ლევი, ისააკ 143
ლევი-სტროსი, კლოდ 75, 134
ლენინი, ვლადიმირ 107, 228, 422
ლეონ X 283
ლეონარდო და ვინჩი 18, 101
ლეონტიევი, კონსტანტინ 11, 115
ლეოპარდი, მონალდო 286
ლეოპარდი, ჯაკომო 286-289, 291, 300
ლეჟე, ფერნან 303
ლერმონტოვი, მიხაილ 429
ლე ფორტი, გერტრუდ ფონ 11, 68
ლონდონი, ჯეკ 46
ლოურენსი, დევიდ ჰერბერტ 99
ლუთერი, მარტინ 16
ლუი XIV 25
ლუი XVI 28
ლუი XVIII 30
ლუისი, კლაივ სტეიპლზ 250-254
ლუისი, უორენ 251
ლუკრეციუსი, ტიტუს კარუს 33
ლუსი, კლეარ 269
ლუქსი, რობერტ 268

მაირინკი, გუსტავ 183
მაკიაველი, ნიკოლო 281-285
მალარმე, სტეფან 247, 303, 304
მალერი, გუსტავ 48, 186, 187, 189, 225
მალრო, ანდრე 95, 97-101, 477
მამარდაშვილი, მერაბ 58, 214
მანდელშტამი, ოსიპ 47, 345, 429
მანი, კლაუს 75, 90-94, 198-201

მანი, თომას 146-149, 162, 171, 189, 198, 201, 222, 223, 249, 318
მანი, ჰაინრიხ 198
მანუელ კომნენოსი 468
მაო ძე დუნი 284, 422, 430
მარია, ინფანტა 369
მარიამი 41, 187, 188, 345
მარიტენი, ჟაკ 90, 164
მარკი, ჯაკომო *იხ.* ბასანი, ჯორჯო
მარსელი, ანრი 70
მარსელი, გაბრიელ 69-73, 164
მარტენ დიუ გარი, როჟე 98
მარტინუ, ბოჰუსლავ 74
მარქსი, კარლ 107, 141, 264, 482
მარქსები, ძმები 111
მარჯანიშვილი, კოტე 184
მასოლი, დენის 121
მატისი, ანრი 225
მაჩადო, ანტონიო 338, 340-341
მაჩადო, მანუელ 338,340
მედიჩები 283
მელვილი, ჰერმან 235, 308, 350
მენინგი, ჰენრი ედვარდ 241
მენჟინსკი, ვიაჩესლავ 47
მერტონი, ოუენ 267
მერტონი, ტომას 266-270
მესიანი, ოლივიე 225
მეტერლინკი, მორის 43, 44
მილოში, ჩესლავ 115, 269
მილტონი, ჯონ 371
მირო, ჟოან 74
მისტრალი, გაბრიელა 342
მისტრალი, ფრედერიკ 342
მიტერანი, ფრანსუა 122
მიულერი, მაქს 481
მიქელანჯელო ბუონაროტი 48
მიშო, ანრი 480
მოლიერი, ჟან-ბატისტ 24, 306
მონტალე, ეუჯენიო 303, 306
მონტანი, ივ 83
მოჟუხინი, ივან 127
მორიაკი, კლოდ 122
მორიაკი, ფრანსუა 90, 93, 95, 103, 408
მორისი, უილიამ 219
მორუა, ანდრე 75
მოცარტი, ვოლფგანგ ამადეუს 71
მუზილი, რობერტ 11, 197
მუსოლინი, ბენიტო 290, 293, 297, 301, 314

ნაბოკოვი, ვლადიმირ 11, 362, 421-424, 431
ნაითინგეილი, ფლორენს 241
ნაპოლეონი 29, 30
ნახმან ბრესლოველი 154
ნიკოლოზ კუზელი 153
ნიცშე, ფრიდრიხ 98, 112, 113, 117, 139-141, 153, 158, 195, 219, 394, 417, 461, 482
ნობელი, ალფრედ 32, 253
ნორონია, ანტონიო დე 368

ოდენი, ჰიუ ვისტენ 11, 261, 429, 430
ოვიდიუს ნაზონი, პუბლიუს 306, 429
ოკამპო, ვიქტორია 352
ოკამპო, სილვინა 352
ომარ ხაიამი 350
ორტეგა ი გასეტი, ხოსე 340
ორუელი, ჯორჯ 95, 108, 255-259
ოქტავიანე 468

პავეზე, ჩეზარე 308-310
პავლე 225
პავლოვიჩი, პოლ 131
პაიმანი, კლაუს 208
პალამა, გრიგოლ 482
პანიოლი, მარსელ 123
პაპინი, ჯოვანი 478
პარაცელსუსი 482
პარმენიდე 461
პასკალი, ბლეზ 24, 71, 87, 92, 167
პასტერნაკი, ბორის 119, 264, 269, 419, 420, 429
პაულუ და გამა 372
პაუნდი, ეზრა 185, 225, 244, 471

პეგი, შარლ 11, 37, 66, 303
პერიკლე 223
პეროუტკა, ფერდინანდ 452
პეტრე 414
პესოა, ფერნანდუ 11, 377, 380-389
პიაფი, ედიტ 83
პითაგორა 224
პიკასო, პაბლო 63, 84, 185, 192, 264, 303
პირანდელო, ლუიჯი 300, 301
პიუს III 283
პლატონი 44, 70, 111, 165, 167, 195, 219, 237, 305, 317, 459
პლოტინე 111, 118, 224, 287
პო, ედგარ 358
პოლაკი, ერნსტ 448, 450
პოლინიაკი, ვინარეტა დე 60
პორტულანო, ანტონიეტა 300
პორფირიოსი 287
პრევერი, პიერ 81
პრევერი, უაკ 81-84
პრიუდომი, რენე ფრანსუა არმან *იხ.* სიული პრიუდომი
პრუსტი, მარსელ 26, 31, 46, 58-63, 95, 105, 213, 214, 249
პულენკი, ფრენსის 68
პუშკინი, ალექსანდრ 288, 428, 429

ჟენე, ჟან 11
ჟიდი, ანდრე 36, 37, 47, 54-57, 62, 90, 93, 95, 98, 100, 103, 119, 199, 418
ჟიროდუ, ჟან 90
ჟუანდო, მარსელ 480
ჟუკოვსკი, ვასილი 376

რაი, სატიაჯიტ 225
რამაკრიშნა 49
რაჟა, ჰამილ 130
რასელი, ბერტრან 408
რასინი, ჟან 23-26, 304
რეიშუ, რიკარდუ *იხ.* პესოა, ფერნანდუ
რეკამიე, ჟულ 30
რენანი, ერნსტ 45, 103
რენე, ალენ 123
რენუარი, ჟან 82
რესკინი, ჯონ 213, 214
რილკე, რაინერ მარია 71, 95, 142, 167, 183, 184
რიშელიე, არმან ჟან დიუ პლეს 102
რობ-გრიე, ალენ 122
როდიტი, ედუარ 75
როზანოვი, ვასილი 416-418
როზენშტოკი, სამუელ *იხ.* ცარა, ტრისტან
როზენცვაიგი, ფრანც 155
როლანი, რომენ 16, 37, 45-50, 55, 56, 345
როსეტი, დანტე გაბრიელ 214
როტი, იოზეფ 159
რუდოლფ II 448
რუისბრუკი, იან 44
რუსთველი, შოთა 368
რუსო, ჟან-ჟაკ 141, 405
რუშდი, სალმან 276-278

საველიევა, ე. 430
სავონაროლა, ჯიროლამო 243, 282
სალაზარი, ანტონიუ დი ოლივეირა 384
სალაზარი, კატალინა დე 327
სანტაიანა, ჯორჯ 244
საროტი, ნატალი 122
სარტრი, ჟან-პოლ 36, 37, 49, 119, 487
სებასტიანე I 370, 384
სებერი, ჟანა 129, 131
სელა, კამილო ხოსე 347
სელინი, ლუი ფერდინან 192
სელინჯერი, ჯერომ დევიდ 271-275
სენა, ჟორჟი დე 380, 381, 388, 389
სენტ-ეგზიუპერი, ანტუან 85, 87
სერგი რადონეჟელი 416
სერვანტეს საავედრა, იზაბელ დე 327
სერვანტეს საავედრა, მიგელ დე 325-328, 351

სერვანტეს საავედრა, როდრიგო დე 326, 327
სეფერისი, გიორგიოს 470, 471
სვედენბორგი, ემანუელ 44, 219
სიმონი, კლოდ 122
სირინი, ვ. *იხ.* ნაბოკოვი, ვლადიმირ
სიული პრიუდომი 32-34
სოდერინი, პიერო 283
სოკრატე 70, 165, 167, 223
სოლოვიოვი, ვლადიმირ 413, 414
სოლონი 224
სოლჟენიცინი, ალექსანდრ 339, 340, 425, 426
სოფოკლე 305, 306
სტავიანიცეკი, ჰედვიგა 207, 209
სტაინბეკი, ჯონ 308
სტაინი, გერტრუდ 308
სტალი, ჟერმენ დე 287, 291
სტალინი, იოსებ 49, 94, 140, 228, 284, 345, 419, 422, 430, 447, 458
სტენდალი 48
სტერნზი, შარლოტ 243
სტრავინსკი, იგორ 63, 264
სტრეჩი, ლიტონ 240, 241
სტრინდბერგი, აუგუსტ 11, 403-407, 410
სტრინდბერგი, კარლ ოსკარ 405
სუინბერნი, ალჯერნონ ჩარლზ 350
სუპერვილი, ჟიულ 64, 65
სუპო, ფილიპ 74
სუსლოვა, აპოლინარია 417
სუძუკი, დაისეცუ ტეიტარო 225

ტაბუკი, ანტონიო 344
ტანგი, ივ 81
ტელესი, გაბრიელ *იხ.* ტირსო დე მოლინა
ტენისონი, ალფრედ 221
ტერეზა ავილელი 244
ტირსო დე მოლინა 330-332
ტიტო, სანტი დი 284
ტიუტჩევი, ფიოდორ 429
ტოლერი, ერნსტ 159
ტოლკინი, ჯონ 251, 252
ტოლსტოი, ლევ 45, 48, 265, 325, 418
ტომაზი დი ლამპედუზა, ჯუზეპე 11, 312
ტრაუბერგი, ნატალია 250
ტრედიაკოვსკი, ვასილი 429
ტრიკოტი, ჟანინ 82, 83
ტრიოლე, ელზა 78
ტროცკი, ლევ 107, 451
ტუკოჯირაო III 233
ტურნიე, მიშელ 133-136

უაილდი, ოსკარ 58, 98, 219, 247, 351
უელსი, ჰერბერტ 56, 227-229, 350
უილიამსი, ჩარლზ 251
უმბერტო I 291
უნამუნო, მიგელ დე 336-337, 340
უნგარეტი, ჯუზეპე 302-304, 306
უნდსეტი, სიგრიდ 396-399

ფეტი, აფანასი 429
ფილიპე II 327
ფიროსმანი, ნიკო 101
ფინინო, მარსილიო 281, 478
ფიცჯერალდი, ედვარდ 350
ფლეტჩერი, ვალერი 245
ფლორენსკი, პაველ 418
ფოლკნერი, უილიამ 99, 247-249, 308, 350, 353
ფოლკნერი, უილიამ (პოლკოვნიკი) 247
ფორე, ფელიქს 35, 60
ფორსტერი, ედვარდ მორგან 230-239
ფრანკა დე როხასი, ანა 327
ფრანკო, ფრანსისკო 257, 336, 338, 339, 345, 347
ფრანსი, ანატოლ 39-42, 61, 103
ფრანჩესკო ასიზელი 94, 108
ფრანც ფერდინანდი 186
ფროიდი, ზიგმუნდ 187, 264, 344, 417, 481, 482
ფუჩიკი, იულიუს 458, 459

შანკარა 481
შატობრიანი, ფრანსუა-რენე დე 27-31
შაფგოჩე, გრაფი 450
შევასონი, ლუი 98
შელერი, მაქს 164
შელი, პერსი ბიშ 219, 350
შელინგი, ფრიდრიხ ვილმჰელმ იოზეფ 72
შექსპირი, უილიამ 43, 203, 215, 220, 244, 304, 306, 394, 406
შილერი, ფრიდრიხ ფონ 153
შინდლერი, ალმა 186, 187, 189
შკვორეცკი, იოზეფ 457
შნაიდერი, რაინჰოლდ 376
შო, ბერნარდ 353
შოლოხოვი, მიხაილ 38, 487
შოპენჰაუერი, არტურ 158, 225
შპენგლერი, ოსვალდ 98
შტაინერი, ანდრე 125
შტრაუსი, ჟენევიევ 60
შტრაუსი, რიხარდ 144
შუბერტი, ფრანც 288

ჩაბრინოვიჩი, ნედელეკ 186
ჩაიკოვსკი, პიოტრ 200
ჩაპლინი, ჩარლზ სპენსერ 111
ჩერჩილი, უინსტონ 264
ჩესტერტონი, გილბერტ კით 11, 251
ჩეხოვი, ანტონ 418
ჩორანი, ემილ 11, 78, 112-117, 480

ცარა, ტრისტან 78-80, 113
ცელანი, პაულ 113, 202-204
ცვაიგი, შტეფან 19, 46, 56, 186, 188
ცვეტაევა, მარინა 418, 429
ციმელი, გეორგ 153
ცუკმაიერი, კარლ 207

ძერჟინსკი, ფელიქს 47

ხელაბი, ლეილა 131

ხომეინი, რუჰოლა მუსავი 276, 277
ხუან დე ლა კრუსი *იხ.* იოანე ჯვრისა

ჯავახიშვილი, მიხეილ 54, 55
ჯეიმსი, ჰენრი 238
ჯენკინსი, რუთ 267
ჯენტილე, ჯოვანი 296, 298
ჯოისი, ჯეიმს 63, 159, 171, 247, 249

ჰაველი, ვაცლავ 459, 461
ჰაიდეგერი, მარტინ 98, 115, 191, 225
ჰაივუდი, ვივიენ 245
ჰამსუნი, კნუტ 49, 418
ჰასან ფაშა 326
ჰაქსლი, ოლდოს 199, 256
ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ 264, 296, 481
ჰელდერლინი, ფრიდრიხ 142, 158, 167, 173
ჰემილტონი, იენ 271
ჰემინგუეი, ერნესტ 308
ჰემპტონი, ქრისტოფერ 241
ჰენდელი, გეორგ ფრიდრიხ 48
ჰერტრიჯი, მერი ედელეიდ 89
ჰერცლი, თეოდორ 154
ჰესე, ჰერმან 16, 95, 149, 162, 225, 421
ჰეშელი, იოშუა 269
ჰიპოკრატე 224
ჰიტლერი, ადოლფ 156, 160, 184, 193, 284, 422, 447
ჰიუგო, ვიქტორ 103, 143, 215
ჰოთორნი, ნათანიელ 350
ჰოლროიდი, მაიკლ 241
ჰომეროსი 368, 371, 372, 376
ჰოპკინზი, ჯერარდ მენლი 11, 268
ჰორაციუსი, კვინტუს ფლაკუს 287, 429
ჰოფმანსტალი, ჰუგო ფონ 142-145, 171, 186

ადგილთა საძიებელი

აბრუცი 295
ავსტრალია 55
ავსტრია 142, 171, 196, 203, 208-210
ავსტრია-უნგრეთის იმპერია 153, 185, 186, 188, 202
ავღანეთი 100
ათენი 222, 237, 467, 470, 471
ალბანეთი 258, 470
ალექსანდრია 233, 302, 467, 468
ალკალა 330, 335
ალჟირი 118, 119, 122, 326
ამერიკის შეერთებული შტატები (ამერიკა) 28, 38, 52, 74, 89, 92, 93, 95, 100, 102, 104, 105, 129, 156, 160, 171, 172, 183, 188, 189, 198, 221, 243-245, 247, 248, 260, 266, 267, 270, 271, 274, 325, 340, 343, 353, 398, 430, 431, 436-438, 440, 481
არგენტინა 349, 350, 352, 353, 357, 360

ბავარია 206
ბაზელი 17, 19
ბანგკოკი 266
ბანფილდი 357
ბარსელონა 257
ბევერლი ჰილზი 183, 189
ბელგია 43, 102, 104, 357
ბელფასტი 250
ბენგალია 256
ბერლინი 30, 136, 143, 149, 153, 158, 167, 260, 424, 476
ბიზანტიის იმპერია 223
ბირმა 256
ბოლონია 311-313
ბომბეი 276
ბონი 165, 300
ბრაზილია 67, 304, 343, 376
ბრეტანი 27
ბრინდიზიუმი 173
ბრიუსელი 52, 105, 357
ბუენოს აირესი 349, 351, 353, 357, 360
ბუკოვინა 202
ბულგარეთი 196
ბუქურეშტი 114, 203, 426, 477, 478, 479

გალიცია 153
გარდონე რივიერა 290, 293
გერმანია 89, 133, 136, 147, 155, 156, 160, 161, 165, 184, 185, 190, 192, 196, 199, 202, 203, 205, 223, 244, 260, 261, 376, 443, 480
გვადალახარა 339
გოა 369
გრანადა 344-346

დალმაცია 293
დანია 353, 396
დევასი 233
დიდი ბრიტანეთი 171, 196, 219, 221, 234, 236, 237, 243, 245, 263, 265, 276, 470
დრეზდენი 395, 452
დუბლინი 219

ეგვიპტე 233, 470
ერაყი 470
ესპანეთი 64, 67, 74, 98, 100, 108, 184, 188, 196, 257, 327, 328, 331, 338, 339, 340, 343, 345, 347, 351, 357

ვაიმარი 139, 141, 149, 186
ვალადოლიდი 328
ვარშავა 426-437, 441-443
ვატიკანი 95

საძიებელში შეტანილი არაა კონტინენტთა სახელები.

ვაშინგტონი 52
ვენა 143, 152, 153, 170, 171, 172, 186, 189, 196, 203, 205, 207-209, 431, 449, 476
ვენესუელა 216, 248
ვენეცია 207
ვერონა 30, 165
ვერსალი 97, 293
ვესტ ინდოეთი 331
ვიეტნამი 266, 267, 270
ვილნიუსი (ვილნო) 126, 127
ვილფლინგენი 190, 193
ვისუნია 343

ზალცბურგი 206, 207, 209
ზიიკირხენი 206
ზმირნა *იხ.* იზმირი

თბილისი 49, 55, 58, 426
თებაიდა 224
თურქეთი 188, 470

იაპონია 100, 249, 398
იაში 476
იერუსალემი 156
იზმირი 470, 471
ინგლისი 29, 108, 216, 244, 245, 257, 258, 267, 276, 353
ინდოეთი 100, 216, 233, 256, 276, 369, 370, 372, 373, 378, 479
ინდოჩინეთი 98, 99, 121
იორდანია 470
იპოტეშტი 475
ირანი 100, 276, 278
ირლანდია 218-220
ისრაელი 353
ისტ ენდი 257
იტალია 74, 90, 108, 165, 193, 248, 282, 287, 290-293, 295-298, 303, 326, 344, 470, 478, 480
იტონი 256
იუგოსლავია 207

კალეკუტა 372
კალკუტა 123, 478
კალიფორნია 135, 146, 160, 161, 183, 261
კამბოჯა 99, 258
კანადა 248
კანი 94, 198
კასიმბაზარი 478
კასტილია 341
კეიპტაუნი 382
კემბრიჯი 232, 251, 267, 276, 423, 424
კენტაკი 268
კენტენბერი 215
კვიპროსი 470
კოიმბრა 368
კოლუმბია 268
კომაროვო 430
კონგო 216
კონექტიკუტი 171
კონსტანტინოპოლი 16, 326, 467
კოპენჰაგენი 52
კრაკოვი 215

ლაიფციგი 153, 191
ლენინგრადი 265, 430
ლვოვი (ლემბერგი) 153
ლიბანი 470
ლისაბონი 160, 368, 369, 370, 382, 384, 480
ლონდონი 29, 30, 196, 227, 245, 246, 257, 259, 263, 267, 471, 480
ლოს ანჯელესი 128, 129
ლოძი 437
ლუისვილი 268
ლურდი 188

მადრიდი 327, 328, 335, 335, 339, 340
მაკაო 369
მანჩესტერი 196
მარბურგი 244
მაროკო 369
მარსელი 216
მესინა 306
მექსიკა 343
მილანი 304, 306
მისისიპი 247

მიუნხენი 67, 167, 168, 395
მოდიკა 305
მოზამბიკი 370
მოლდავეთი 475
მონპარნასი 81, 463
მონტანიოლა 149
მონტრე 424
მოსკოვი 126, 228, 414-416, 418, 420, 426

ნეაპოლი 191, 295, 298, 299, 305, 326
ნიუ ელბენი 247
ნიუ იორკი 267, 268, 273, 274, 343, 470
ნიუ ჰეივენი 171
ნიცა 127
ნოვოჩერკასკი 339
ნორვეგია 74, 395, 396, 398

ოლსდორფი 208
ორთაჭალა 54
ორლეანი 268
ოსვენციმი 436
ოსლო *იხ.* ქრისტიანია
ოსმალეთი 186, 223, 475
ოქსფორდი (აშშ) 247
ოქსფორდი (დიდი ბრიტანეთი) 55, 244, 251, 261, 263

პალერმო 306
პალესტინა 154, 156
პალმა დე მალორკა 67
პალმ ბიჩი 483
პარაგვაი 161
პარიზი 24, 25, 33, 34, 52, 60, 61, 64, 65, 78, 81, 83, 88, 90, 91, 94, 97, 98, 101, 120, 121, 129, 130, 161, 192, 202, 203, 244, 248, 257, 292, 302, 303, 318, 341, 357, 358, 361, 424, 457, 463, 470
პენსილვანია 273
პერედელკინო 420
პესკარა 290
პოლონეთი 435-439, 442, 443
პორ-როიალი 23-25
პორტუგალია 184, 253, 331, 343, 367-370, 372, 377, 379, 384, 389, 480
პრაჰა 52, 82, 183, 185, 186, 188, 425, 426, 448, 450, 452, 457, 458, 460
პროვანსი 120
პრუსია 186, 192

ჟენევა 349, 351

რავენსბრიუკი 447, 452
რეიმსი 459
რეკანატი 286
რიგა 263
რიიეკა *იხ.* ფიუმე
რიო დი ჟანეირო 52
რომი 18, 30, 31, 52, 290, 291, 296, 300, 304-306, 312, 394, 395, 414
რომის იმპერია 173-176, 179, 287, 291, 386, 387
როსტოვი 339
როტერდამი 205
რუმინეთი 78, 109, 196, 203, 258, 475, 477, 479, 480
რუსე 196
რუსეთი 48, 106, 115, 186, 202, 215, 228, 258, 263, 376, 398, 414, 416, 423, 424, 427, 431, 441, 443

საბერძნეთი 98, 131, 222, 223, 237, 470, 471
საბჭოთა კავშირი 49, 56, 100, 119, 202, 258, 345, 442, 455
საიგონი 99, 121
სალამანკა 335, 336
სამხრეთ აფრიკა 382, 470
სან პაულუ 304
სანტო სტეფანო ბელბო 309
სანქტპეტერბურგი 263, 423
სარაევო 186
საფრანგეთი 25, 28, 30, 34-39, 52, 57, 68, 70, 71, 78-81, 84, 88, 89, 93, 95, 99, 101-104,

110, 111, 113, 114, 119, 124, 126-130, 133, 160, 161, 184, 190, 194, 250, 267, 282, 286, 320, 338, 343
საქართველო 54, 147, 184, 258, 459
სევილია 328
სენ ლუისი 243
სენ-მალო 27, 31
სერგიევ პოსადი 416, 418
სიდნი 55
სირაკუზა 305
სირია 470
სიღნაღი 55
სიცილია 207, 301, 305-307
სკანდინავია 397
სმირნა *იხ.* იზმირი
სოლომონის კუნძულები 319
სორენტო 395
სორია 332
სპარსეთი 222, 223
სტამბოლი 81, 326
სტოკჰოლმი 32, 197, 253, 405-407, 410, 430

ტაილანდი 266
ტალინი 426
ტერუელი 100, 339
ტიუბინგენი 165, 167
ტოკიო 52, 488
ტორინო 290, 309
ტორონტო 457
ტრაუნშტაინი 206
ტრებლინკა 437
ტრუვილი 124
ტულუზა 202
ტუნისი 68, 98, 305

უზკოე 415
უკრაინა 202, 476
უნგრეთი 80, 203
ურუგვაი 64
უფსალა 405

ფერარა 311-314
ფილადელფია 28
ფიუმე (რიიეკა) 293
ფიჯი 316
ფლანდრია 43, 104
ფლორენცია 234, 281-284, 305, 311, 312
ფრაიბურგი 19, 158, 165
ფრანკფურტი 52, 155, 196

ქაოსი 301
ქონისტონი 213
ქრისტიანია (ოსლო) 393-396

შამპანი 51
შვედეთი 71, 74, 353, 405, 406, 410, 430, 470
შვეიცარია 16, 78, 149, 150, 160, 196, 215, 351, 353, 357, 424
შტეტინი (შჩეცინი) 158
შტუტგარტი 190, 193

ჩერნაუცი (ჩერნოვცი) 202, 476
ჩეხეთი 143, 457, 460-462
ჩეხოსლოვაკია 67, 74, 93, 98, 452, 454, 455, 458, 459, 461
ჩიკაგო 480, 481
ჩილე 343
ჩინეთი 38, 52, 53, 100, 159, 258, 369, 370

ციურიხი 78, 79, 153, 196

ხო ში მინი 121

ჰაიდელბერგი 190
ჰამბურგი 52
ჰარლემი 268
ჰებრიდი 258
ჰეერლენი 205
ჰილეგერსბერგი 205
ჰოლივუდი 128, 160
ჰრადჩანი 186, 461

ნაწარმოებთა საძიებელი

აბესალომ, აბესალომ! (უილიამ ფოლკნერისა) 248
აგვისტოს ნათელი (უილიამ ფოლკნერისა) 248
ადა (ვლადიმირ ნაბოკოვისა) 423
ადამიანთა მიწა (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა) 86
ადამიანი (მილან კუნდერასა) 458
ადამიანური ხვედრი (ანდრე მალროსი) 100
ადრიანეს მოგონებები (მარგერიტ იურსენარისა) 106
ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი (ლუიჯი პირანდელოსი) 301
აზრები (ბლეზ პასკალისა) 87, 92
ალექსანდრე (კლაუს მანისა) 200
ალექსანდრე დიდი (უან რასინისა) 24
ალექსისი, ანუ მსჯელობა ამაო ბრძოლის შესახებ (მარგერიტ იურსენარისა) 106
ალფრედ ფრუფროკის სამიჯნურო სიმღერა (ტომას სტერნზ ელიოტისა) 244
ა-მინორული სონატა (ფრანც შუბერტისა) 263
ანა, სორორ (მარგერიტ იურსენარისა) 106
ანგელოსების აჯანყება (ანატოლ ფრანსისა) 41
ანდალუზიური ძაღლი (სალვადორ დალისა და ლუის ბუნიუელისა) 74
ანდრე ჟიდს, მოღალატეს (პაოლო იაშვილისა) 37, 55
ანდრომაქე (უან რასინისა) 24
ანტიგონეს გუნდი (ჰენრიკ გრინბერგისა) 437
ანტინოე (ფერნანდუ პესოასი) 380, 386
ანტიქრისტე (ფრიდრიხ ნიცშესი) 140
არა (ეუენ იონესკოსი) 109
არაარტისტული სიმართლე (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
არაბელა (რიხარდ შტრაუსისა) 144
არამზადობის საყოველთაო ისტორია (ხორხე ლუის ბორხესისა) 352
არბატის აღმოსავლეთით (ჰანა კრალისა) 441
არიადნა ნაქსოსზე (რიხარდ შტრაუსისა) 144
არმყოფთა შორის (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
არქტიკული ციალი (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 231
არ შეყოვნდეთ უფალი ღმრთის თვალთა წინაშე (ჰანა კრალისა) 441
ასე ამბობდა ზარათუშტრა (ფრიდრიხ ნიცშესი) 140
ასტრონომიის ისტორია (ჯაკომო ლეოპარდისა) 287
ატილა (ფრანსუა-რენე დე შატობრიანისა) 30
აუხქარებლობა (მილან კუნდერასი) 461
აფრიკული თამაშობანი (ერნსტ იუნგერისა) 190
აღსარებანი (უან-უაკ რუსოსი) 405
ახალი აღთქმა 18
ახალი ტევრი (ალფრედ დებლინისა) 161
ახლა ზაფხულია, ღამის თერთმეტის ნახევარი (მარგერიტ დურასისა) 122
აჰასვერის სიკვდილი (პერ ლაგერკვისტისა) 410

ბავშვების გამტაცებელი (უიულ სუპერვილისა) 65
ბაიაზეთი (უან რასინისა) 25
ბანანათევზის საუკეთესო დღე (ჯერომ დევიდ სელინჯერისა) 274
ბარაბა (პერ ლაგერკვისტისა) 408, 410
ბატონი უენი (უორუ ბერნანოსისა) 67
ბაღების უწყვეტობა (ხულიო კორტასარისა) 363
ბედისწერის მოკლე თეორია (ემილ ჩორანისა) 115
ბედნიერ დღეთა მოგონება (ჟულიენ გრინისა) 92
ბედნიერება (სიული პრიუდომისა) 33
ბედნიერი უფლისწული (ოსკარ უაილდისა) 351
ბერლინი, ალექსანდერპლაცი (ალფრედ დებლინისა) 158, 159
ბერნადეტის სიმღერა (ფრანც ვერფელისა) 188
ბერწი მიწა (ტომას სტერნზ ელიოტისა) 242
ბეჭედთა მბრძანებელი (ჯონ ტოლკინისა) 252
ბიბლია 52, 89, 90, 135, 147, 155, 160, 178
ბილი ბადი (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 235
ბორისის დღესასწაული (თომას ბერნჰარდისა) 208
ბრალს ვდებ (ემილ ზოლასი) 35, 36
ბრანდი (ჰენრიკ იბსენისა) 394
ბრიტანიკუსი (უან რასინისა) 24
ბრძოლა როგორც შინაგანი გამოცდილება (ერნსტ იუნგერისა) 191
ბუდენბროკები (თომას მანისა) 146, 148,189
ბუკოლიკები (ვერგილიუსისა) 174
ბურუსი (მიგელ დე უნამუნოსი) 336
ბჰაგავადგიტა 261

გადარჩენილი ენა (ელიას კანეტისა) 197
გაკვეთილი (ეჟენ იონესკოსი) 110
გალატეა (მიგელ დე სერვანტესისა) 325, 327
გამარჯვება (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
გამომშვიდობება ბერლინთან (ქრისტოფერ იშერვუდისა) 261
გამოსათხოვარი ვალსი (მილან კუნდერასი) 460
გამტაცებლები (უილიამ ფოლკნერისა) 249
განგელი ქალი (მარგერიტ დურასისა) 123
განდევნილობის უპირატესობა (ემილ ჩორანისა) 115
განთიადის აღთქმა (რომენ გარისა) 128
განმარტოებული (ვასილი როზანოვისა) 417
განსვენებული მატია პასკალი (ლუიჯი პირანდელოსი) 301
გარეული იხვი (ჰენრიკ იბსენისა) 394
გაქცევა ჩრდილოეთით (კლაუს მანისა) 200
გეორგიკები (ვერგილიუსისა) 174
გეპარდი (ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზასი) 312
გზა სიმარტივისაკენ (მილენა იესენსკასი) 451
გზებზე მოხეტიალე (ჰენრიკ გრინბერგისა) 437
გმირთა მოედანი (თომას ბერნჰარდისა) 209
გოგი და მაგოგი (მარტინ ბუბერისა) 150
გორდიას კვანძი (ერნსტ იუნგერისა) 193
გულაგის არქიპელაგი (ალექსანდრ სოლჟენიცინისა) 425, 426

გულისრევა (ჟან-პოლ სარტრისა) 37
გუშინდელი დღის კუნძული (უმბერტო ეკოსი) 316, 320, 321
გუშინდელი სამყარო (შტეფან ცვაიგისა) 188

დაბრმავება (ელიას კანეტისა) 196
დაიანი (მირჩა ელიადესი) 483
დაკარგული ბავშვების კუნძული (მარსელ კარნესი) 83
დაკარგული დროის საძებნელად (მარსელ პრუსტისა) 26, 58, 59, 214
დამარხული ნავსადგური (ჯუზეპე უნგარეტისა) 303
დამპატიჟე (მიხეილ ჯავახიშვილისა) 54
დამტვრეული ლარნაკი (სიული პრიუდომისა) 33
დამჭერი ჭვავში (ჯერომ დევიდ სელინჯერისა) 271, 274
დასავლურ-აღმოსავლური დივანი (იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთესი) 225
დაცვენილი ფოთლები (ვასილი როზანოვისა) 418
დემიანი (ჰერმან ჰესესი) 150
დიდი განხეთქილება (კლაივ სტეიპლზ ლუისისა) 252
დოქტორი ფაუსტუსი (თომას მანისა) 147, 162, 189
დროის გრძნობა (ჯუზეპე უნგარეტისა) 303
დროის მანქანა (ჰერბერტ უელსისა) 227
დუმილის ხმები (ანდრე მალროსი) 101
დღე იწყება (მარსელ კარნესი) 83
დღიურები (ჟულიენ გრინისა) 92, 95, 96

ევროპული აღზრდა (რომენ გარისა) 128
ელეაზარი, ანუ წყაროო და ბუჩქი (მიშელ ტურნიესი) 133, 135
ელექტრა (რიხარდ შტრაუსისა) 144
ემილ აჟარის ცხოვრება და სიკვდილი (რომენ გარისა) 130
ენეიდა (ვერგილიუსისა) 173, 175, 178, 182
ენრიკო მეოთხე (ლუიჯი პირანდელოსი) 301
ერაზმუს როტერდამელის ტრიუმფი და ტრაგედია (შტეფან ცვაიგისა) 19
ესეები თავისუფლების შესახებ (აიზაია ბერლინისა) 264
ესმეს, – სიყვარულითა და შეჭირვებით (ჯერომ დევიდ სელინჯერისა) 272
ეს უკვე დასასრულია (მარგერიტ დურასისა) 125
ექიმი ჟივაგო (ბორის პასტერნაკისა) 419

ვაგნერი და კლაინი (ჰერმან ჰესესი) 150
ვალენშტაინი (ალფრედ დებლინისა) 159
ვანგ-ლუნის სამი ნახტომი (ალფრედ დებლინისა) 159
ვარდის კავალერი (რიხარდ შტრაუსისა) 144
ვარდის სახელი (უმბერტო ეკოსი) 317, 318, 320
ვატიკანის სარდაფები (ანდრე ჟიდისა) 56
ველური პალმები (უილიამ ფოლკნერისა) 248
ვენეციის ქვები (ჯონ რესკინისა) 213, 214
ვერგილიუსის დაბრუნება (ჰერმან ბროხისა) 172
ვერგილიუსის სიკვდილი (ჰერმან ბროხისა) 162, 171-173, 180, 182
ვერდი (ფრანც ვერფელისა) 188
ვიცეკონსული (მარგერიტ დურასისა) 122
ვულკანი (კლაუს მანისა) 200

ვხატავ ხსოვნაში (ჰენრიკ გრინბერგისა) 438

ზაფხულის წვიმა (მარგერიტ დურასისა) 124
ზღარბი და მელა (აიზაია ბერლინისა) 265
ზღვის ღორები (ლუდვიკ ვაცულიკისა) 455

თავგადასვლის მაძიებელი გული (ერნსტ იუნგერისა) 191, 192
თაისი (ანატოლ ფრასისა) 40
თამაში რიოში მარგალიტებით (ჰერმან ჰესესი) 150, 162, 421
თებაიდა (უან რასინისა) 24
თერთმეტი წელი (სიგრიდ უნდსეტი) 397
თექვსმეტი წლის ბიჭის დღიური (იასუნარი კავაბატასი) 488
თვალებით თამაში (ელიას კანეტისა) 197
თივის სუნი (ჯორჯო ბასანისა) 312
თოჯინების სახლი (ჰენრიკ იბსენისა) 394

იგავი (უილიამ ფოლკნერისა) 249
იდეოლოგიური ცხოვრება (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
ივან დენისოვიჩის ერთი დღე (ალექსანდრ სოლჟენიცინისა) 425, 426
იმედი (ანდრე მალროსი) 100
იმორალისტი (ანდრე ჟიდისა) 55, 56, 119
ინდური სიმღერა (მარგერიტ დურასისა) 123
ინტელექტუალთა საუკუნე (მიშელ ვინოკისა) 36
იოგა: უკვდავება და თავისუფლება (მირჩა ელიადესი) 479
იორიოს ქალიშვილი (გაბრიელე დ'ანუნციოსი) 292
იოსები და მისი ძმები (თომას მანისა) 148
ისტორია როგორც ამბავი თავისუფლებისა (ბენედეტო კროჩესი) 298
იტალიის ისტორია (ბენედეტო კროჩესი) 298
იუდეველთა ომი (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
იფიგენია (უან რასინისა) 24

კაბარე (ბობ ფოსისა) 261
კადიში (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
კათოლიკური პროპაგანდა (სიგრიდ უნდსეტი) 398
კამოინში (ვასილი ჟუკოვსკისა) 376
კამოინშის სალმობანი, ანუ პორტუგალიური ძალმოსილების დაცემა და სისრულე (რაინჰოლდ შნაიდერისა) 376
კარინგტონი (ქრისტოფერ ჰემფტონისა) 241
კარმელელთა საუბარი (ჟორჟ ბერნანოსისა) 68
კასპარი, მელქიორი და ბალთაზარი (მიშელ ტურნიესი) 133, 135
კატილინა (ჰენრიკ იბსენისა) 393
კაშხალი წყნარი ოკეანისათვის (მარგერიტ დურასისა) 122
კაცი ვარდისფერი კაფედან (ხორხე ლუის ბორხესისა) 352
კლასობანა (ხულიო კორტასარისა) 360-362
კუბისტური აზროვნების საფუძვლები (ანდრე მალროსი) 97

ლევიათანი (ჟულიენ გრინისა) 91
ლეში (ჟაკ პრევერისა) 82
ლიტონ სტრეჩი (მაიკლ ჰოლროიდისა) 241
ლიტურგიის სული (რომანო გვარდინისა) 166
ლოენგრინი (რიხარდ ვაგნერისა) 314
ლოლიტა (ვლადიმირ ნაბოკოვისა) 421, 422

ლორდი ჯიმი (ჯოზეფ კონრადისა) 216
ლუზიადები (ლუიშ დი კამოინშისა) 370-373, 376-379, 384
ლურჯი ვეფხვი (ალფრედ დებლინისა) 161
ლურჯი ფრინველი (მორის მეტერლინკისა) 43

მავრის უკანასკნელი ამოსუნთქვა (სალმან რუშდისა) 277
მანდრაგორა (ნიკოლო მაკიაველისა) 284
მანქანა ჩერდება (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 238
მარადიული ღიმილი (პერ ლაგერკვისტისა) 410
მარია კოპერის ქანდაკება (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
მარმარილოს რიფებზე (ერნსტ იუნგერისა) 192
მარტორქები (ეჟენ იონესკოსი) 110, 111
მარტოხელა (აუგუსტ სტრინდბერგისა) 407
მარტოხელა კაცი (ქრისტოფერ იშერვუდისა) 262
მასა და ძალაუფლება (ელიას კანეტისა) 197
მაღლა ასწიეთ ჭერი, ხუროებო! (ჯერომ დევიდ სელინჯერისა) 274
მაცდურის წერილები (კლაივ სტეიპლზ ლუისისა) 252
მახვილგონიერი· იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი (მიგელ დე სერვანტესისა) 325, 327
მგზავრობა ინდოეთში (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 230, 233
მე და შენ (მარტინ ბუბერისა) 155
მე ვარ კამერა (ჰენრი კორნელიასისა) 261
მელოტი მომღერალი ქალი (ეჟენ იონესკოსი) 110
მემკვიდრეობა (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
მემფისის თეთრი ვარდი (უილიამ ფოლკნერისა, პოლკოვნიკისა) 247
მეოცნებე (ჟულიენ გრინისა) 91
მეტეორები (მიშელ ტურნიესი) 133, 135
მეფე სოლომონის ძრწოლა (რომენ გარისა) 131
მეფისტო (კლაუს მანისა) 200
მთავარი (ნიკოლო მაკიაველისა) 284
მთები, ზღვები და გოლიათები (ალფრედ დებლინისა) 159
მთვარე და კოცონები (ჩეზარე პავეზესი) 309
მთვარეულნი (ჰერმან ბროხისა) 171, 181
მიახლოება (ერნსტ იუნგერისა) 194
მიზეზი (თომას ბერნჰარდისა) 209
მითრიდატე (უან რასინისა) 24
მილენას რეცეპტები (მილენა იესენსკაისი) 451
მისი ვენეციური სახელი კალკუტის უდაბნოში (მარგერიტ დურასისა) 123
მოაგარაკე (ჰერმან ჰესესი) 150
მობი დიკი (ჰერმან მელვილისა) 308
მოგონებანი საფლავის მიღმიდან (ფრანსუა-რენე დე შატობრიანისა) 31
მოვა სიკვდილი და მას შენი თვალები ექნება (ჩეზარე პავეზესი) 309
მოვედ, მოსე! (უილიამ ფოლკნერისა) 248
მოირა (ჟულიენ გრინისა) 93
მომავალი ცხოვრება (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 231
მომავალში დაბრუნება (სიგრიდ უნდსეტი) 398
მომქანცველი შრომა (ჩეზარე პავეზესი) 309
მორისი (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 231, 235-237

მოსაბრუნი წერტილი (კლაუს მანისა) 90, 200
მოურიდებელი საუბრები (ერაზმუს როტერდამელისა) 18
მოჩვენებანი (ჰენრიკ იბსენისა) 394
მოწამეები (ფრანსუა რენე დე შატობრიანისა) 30
მოწყალების ტყვია (მარგერიტ იურსენარისა) 106
მსხემობა დილის ქვეყნისაკენ (ჰერმან ჰესესი) 150
მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი ათი წიგნის გამო (ნიკოლო მაკიაველისა) 284
მუსა-დაგის ორმოცი დღე (ფრანც ვერფელისა) 188
მუშა (ერნსტ იუნგერისა) 191
მუშეტის ახალი ისტორია (ჟორჟ ბერნანოსისა) 67
მშვიდობა (ერნსტ იუნგერისა) 193
მწუხრის ვარსკვლავი (მიჰაი ემინესკუსი) 476
მხიარული მეცნიერება (ფრიდრიხ ნიცშესი) 140

ნათება (ერნსტ იუნგერისა) 193
ნარნიას ქრონიკები (კლაივ სტეიპლზ ლუისისა) 252
ნარცისი და გოლდმუნდი (ჰერმან ჰესესი) 150
ნაცრის ოთხშაბათი (ტომას სტერნზ ელიოტისა) 242, 246
ნაჯახი (ლუდვიკ ვაცულიკისა) 454, 455
ნეშტის შემბილწველი (უილიამ ფოლკნერისა) 249
ნივთები და სხვა (ჟაკ პრევერისა) 84
ნოველები მთელი წლისათვის (ლუიჯი პირანდელოსი) 301
ნოსტრომო (ჯოზეფ კონრადისა) 216

ოთახი ხედით (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 234
ოთხი კვარტეტი (ტომას სტერნზ ელიოტისა) 242
ოლმეიერის საჰაერო კოშკი (ჯოზეფ კონრადისა) 216
ორი ათასი სიტყვა (ლუდვიკ ვაცულიკისა) 455
ოსტატი ულუფი (აუგუსტ სტრინდბერგისა) 405
ოქროს სათვალე (ჯორჯო ბასანისა) 313, 314
ოქროს წვეთი (მიშელ ტურნიესი) 133
ოქროს ხანა (სალვადორ დალისა და ლუის ბუნიუელისა) 74
ოქტავები ქვეყნიერების უსამართლო წყობის გამო (ლუიშ დი კამოინშისა) 368

პავლე იუდეველთა შორის (ფრანც ვერფელისა) 188
პათეტიკური სიმფონია (კლაუს მანისა) 200
პარასკევა, ანუ წყნარი ოკეანის ლიმბი (მიშელ ტურნიესი) 133, 134
პარიზული მოგონებანი (მარსელ კარნესი) 83
პასტორალური სიმფონია (ანდრე ჟიდისა) 56
პატარა უფლისწული (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა) 85
პატივი კატალონიას (ჯორჯ ორუელისა) 257
პელეასი და მელისანდა (მორის მეტერლინკისა) 43
პერ გუნტი (ჰენრიკ იბსენისა) 394
პერსილესისა და სეხისმუნდას მოგზაურობა (მიგელ დე სერვანტესისა) 325
პირადი ცხოვრება (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
პლოტინეს ცხოვრება (პორფირიოსისა) 287
პოეტის სისხლი (ჟან კოკტოსი) 74

ჟან-კრისტოფი (რომენ როლანისა) 46, 48

რადიკალიზმი და ექსპიბიციონიზმი (მილან კუნდერასი) 459
რა? მარადისობა (მარგერიტ იურსენარისა) 105
რატომ არ ვარ ქრისტიანი (ბერტრან რასელისა) 408
რეკვიემი მონაზვნისათვის (უილიამ ფოლკნერისა) 249
რელიგიურ იდეათა და შეხედულებათა ისტორია (მირჩა ელიადესი) 481
რენე (ფრანსუა-რენე დე შატობრიანისა) 30
რობინზონი (ჟიულ სუპერვილისა) 65
როგორ იქმნება ბიჭი (ლუდვიკ ვაცულიკისა) 456
როგორ მოვიპოვე ფილოსოფიური ქვა (მირჩა ელიადესი) 478
რომანის ასპექტები (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 230, 238
რომანის ხელოვნება (მილან კუნდერასი) 459
როცა ვკვდებოდი (უილიამ ფოლკნერისა) 248
როცა ჩვენ, მკვდრები, აღვდგებით (ჰენრიკ იბსენისა) 395
რუსეთი წყვდიადში (ჰერბერტ უელსისა) 228

საათის საიდუმლო გული (ელიას კანეტისა) 197
სადაც ანგელოსებს ეშინიათ შებიჯება (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 234
სავანე (უილიამ ფოლკნერისა) 249
საზოგადოების ბურჯები (ჰენრიკ იბსენისა) 394
სათუო შენივენებული (ტირსო დე მოლინასი) 332
საკვირაო დასვენება ტოლედოში (ტირსო დე მოლინასი) 331
სალაზარი და პორტუგალიური რევოლუცია (მირჩა ელიადესი) 480
სამართლიანობა (სიული პრიუდომისა) 33
სამთო რომანი (ჰერმან ბროხისა) *იხ.* ხიბლი (ჰერმან ბროხისა)
სამი მუშკეტერი (ალექსანდრ დიუმასი) 320
სამკვიდრო (უილიამ ფოლკნერისა) 248
სამოთხის შვილები (მარსელ კარნესი) 83
სამოცდაათის გადაბიჯების შემდეგ (ერნსტ იუნგერისა) 194
სამყაროთა ომები (ჰერბერტ უელსისა) 228
სამყაროს ლაბირინთი (მარგერიტ იურსენარისა) 106
სამყაროს მეგობარი (ფრანც ვერფელისა) 185
სამხედრო წიგნი (ლუდვიკ ვაცულიკისა) 457
სამხრეთის ფოსტა (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა) 86
სანიმუშო მოთხრობები (მიგელ დე სერვანტესისა) 325
სარდაფი (თომას ბერნჰარდისა) 206
სატანის მზის ქვეშ (ჟორჟ ბერნანოსისა) 67
სატანური ლექსები (სალმან რუშდისა) 277
საქონლის ფერმა (ჯორჯ ორუელისა) 258
საყვარელი (მარგერიტ დურასისა) 124
სახარება 108, 135, 141, 253, 284
სახელგანთქმული ვიქტორიელები (ლიტონ სტრეჩისა) 240, 241
სევილიელი ყალთაბანდი (ტირსო დე მოლინასი) 332
სელინჯერის საძებნელად (იენ ჰამილტონისა) 271

სვანის მიმართულებით (მარსელ პრუსტისა) 62
სვეტი (უილიამ ფოლკნერისა) 248
სიბილა (პერ ლაგერკვისტისა) 410
სიბრიყვის ქება (ერაზმუს როტერდამელისა) 18
სიზმართა სიზმრები (ანტონიო ტაბუკისა) 344
სიკვდილი ვენეციაში (თომას მანისა) 147
სიკვდილის ფუგა (პაულ ცელანისა) 203
სინამდვილის სტუმარი (პერ ლაგერკვისტისა) 409
სიონის შვილები (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
სირცხვილი (სალმან რუშდისა) 277
სიტყვები (ჟაკ პრევერისა) 84
სიყვარულის ალეგორია: შუასაკუნეობრივი ტრადიციის კვლევა (კლაივ სტეიპლზ ლუისისა) 251
სიცივე (თომას ბერნჰარდისა) 209
სიცილისა და დავიწყების წიგნი (მილან კუნდერასი) 460
სიცოცხლის ჩვევა (ჩეზარე პავეზესი) 309
სიხარულით გაოცებული (კლაივ სტეიპლზ ლუისისა) 252
სკამები (ეჟენ იონესკოსი) 110
სონეტები სიკვდილს (გაბრიელა მისტრალისა) 343
სოფლელი მღვდლის დღიური (ჟორჟ ბერნანოსისა) 67
სსრკ-დან დაბრუნება (ანდრე ჟიდისა) 37, 54, 100
სული ნუგეშინისმცემელი (მიშელ ტურნიესი) 133
სულის ფილოსოფია (ბენედეტო კროჩესი) 297
სუნთქვა (თომას ბერნჰარდისა) 209
სხვადასხვა ხმები ჩეხური სიზმრის წიგნის ხელნაწერის გამო (ლუდვიკ ვაცულიკისა) 456
სხვა ნაპირები (ვლადიმირ ნაბოკოვისა) 423

ტარკვინიელი ცხენები (მარგერიტ დურასისა) 122
ტკივილი (მარგერიტ დურასისა) 121
ტკივილი (ჯუზეპე უნგარეტისა) 303
ტოტალური მობილიზაცია (ერნსტ იუნგერისა) 191
ტრამალის მგელი (ჰერმან ჰესესი) 150
ტყის მეფე (იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთესი) 136
ტყის მეფე (მიშელ ტურნიესი) 133, 136
ტყის სილამაზე (ჟიულ სუპერვიელისა) 65
ტყის ჩეხვა (თომას ბერნჰარდისა) 209

უგრძელესი მოგზაურობა (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 234
უდანაშაულონი (ჰერმან ბროხისა) 171, 172
უვიცი და შეშლილი (თომას ბერნჰარდისა) 209
უკანასკნელი მაისი (მილან კუნდერასი) 458
უკვდავება (მილან კუნდერასი) 461
უნაპირო მდინარე (ჰანს ჰენი იანისა) 162
უსიკვდილო მიწა (ალფრედ დებლინისა) 160
უფალი (რომანო გვარდინისა) 167
უშობელთა ვარსკვლავი (ფრანც ვერფელისა) 188
უჩინარი კაცი (ჰერბერტ უელსისა) 228
უჩრდილო ქალი (რიხარდ შტრაუსისა) 144
უცნობი სიდიდე (ჰერმან ბროხისა) 171

უძლეველნი (უილიამ ფოლკნერისა) 248
უძღები შვილის დაბრუნება (ანდრე ჟიდისა) 56
უწყება (ფერნანდუ პესოასი) 384

ფაქიზი ნადირობანი (ერნსტ იუნგერისა) 194
ფედრა (ჟან რასინისა) 24
ფერარის ამბები (ჯორჯო ბასანისა) 312, 313
ფინცი-კონტინის ბაღი (ჯორჯო ბასანისა) 312
ფლორენციის ისტორია (ნიკოლო მაკიაველისა) 284
ფოლადის ქარიშხლებში (ერნსტ იუნგერისა) 191
ფრანჩესკა და რიმინი (გაბრიელე დ'ანუნციოსი) 292
ფრიოკენ იული (აუგუსტ სტრინდბერგისა) 407
ფუკოს ქანქარა (უმბერტო ეკოსი) 316, 320

ქალაქი (უილიამ ფოლკნერისა) 249
ქალაქი დაბლობში (ჯორჯო ბასანისა) 312
ქალის სიბრძნე (ტირსო დე მოლინასი) 331
ქანდაკება პოტომაკის თავზე (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
ქვების დღესასწაული (ჰენრიკ გრინბერგისა) 437
ქვევრი (ლუიჯი პირანდელოსი) 301
ქორწილი (ელიას კანეტისა) 196
ქრისტიანი მთავრის აღზრდა (ერაზმუს როტერდამელისა) 18
ქრისტიანი მსედრის ენქირიდიონი, ანუ დაშნა (ერაზმუს როტერდამელისა) 18
ქრისტიანის ტანჯვა და ბედნიერება (ფრანსუა მორიაკისა) 408
ქრისტიანობის გენია (ფრანსუა-რენე დე შატობრიანისა) 29

ღამის კარიბჭენი (მარსელ კარნესი) 83
ღამის ფრენა (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა) 86
ღარიბ შეყვარებულთა ამბები (ჯორჯო ბასანისა) 312
ღმერთების მეტამორფოზა (ანდრე მალროსი) 101
ღმერთებს სწყურიათ (ანატოლ ფრანსისა) 40
ღმრთაებრივი კომედია (დანტე ალიგიერისა) 252, 294
ღმრთისმშობლის ჟონგლიორი (ანატოლ ფრანსისა) 41

ყალბი ფულის მჭრელები (ანდრე ჟიდისა) 56
ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარებანი (თომას მანისა) 147, 318
ყინვა (თომას ბერნჰარდისა) 207
ყმაწვილი (თომას ბერნჰარდისა) 209
ყოველდღიური და არტისტული ცხოვრება (ჰენრიკ გრინბერგისა) 438
ყოფნის აუტანელი სიმსუბუქე (მილან კუნდერასი) 460, 461

შავი საქმე (მარგერიტ იურსენარისა) 106
შავი შაშვი (ჯაკომო ლეოპარდისა) 288
შავი ჭირი (ალბერ კამიუსი) 119
შეგრძნებადი ცხოვრება (მარგერიტ დურასისა) 123
შენი მიწა (ჩეზარე პავეზესი) 309
შეშლილი ორლანდო (ლუდოვიკო არიოსტოსი) 311
შვიდსართულიანი მთა (ტომას მერტონისა) 269
შუაღამის შვილები (სალმან რუშდისა) 277
შურდული (ერნსტ იუნგერისა) 194
შუშის ფუტკრები (ერნსტ იუნგერისა) 193

ჩეხური ბედი (მილან კუნდერასი) 459
ჩეხური სიზმრის წიგნი (ლუდვიკ ვაცულიკისა) 455
ჩეხ ქალებს (მილენა იესენსკასი) 452
ჩვენი დროის აპოკალიფსი (ვასილი როზანოვისა) 416
ჩირაღდანი ყურში (ელიას კანეტისა) 197

ცდუნება დასავლეთით (ანდრე მალროსი) 99
ცეკვა სხვების ლხინში (ჰანა კრალისა) 442
ცეცხლი და სისხლი (ერნსტ იუნგერისა) 191
ცის ფესვები (რომენ გარისა) 128
ციტადელი (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა) 86
ცხოვრება პითონის გვერდით (ემილ აჟარისა/რომენ გარისა) 130
ცხოვრება სიზმარია (პედრო კალდერონისა) 334
ცხოვრება სხვაგვარია (მილან კუნდერასი) 460
ცხოვრების პირისპირ (ემილ აჟარისა/რომენ გარისა) 130

ძველი აღთქმა 203
ძვირფასი თანაკლასელები (ლუდვიკ ვაცულიკისა) 457
ძმა ფრანჩესკო (ჟულიენ გრინისა) 94
ძღვენი (ვლადიმირ ნაბოკოვისა) 362, 422

წერილები მილენას (ფრანც კაფკასი) 449
წერილები მძევალს (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერისა) 86
წერილი ფერნანდუ პესოას (ჟორჟი დე სენასი) 380
წერო (ჯორჯო ბასანისა) 312
წვიმა და ხალისი (უაკ პრევერისა) 84
წიგნი ქვიშის საათის შესახებ (ერნსტ იუნგერისა) 193
წითელი ფსალმუნები (ხორხე ლუის ბორხესისა) 351
წითელი შროშანი (ანატოლ ფრანსისა) 40
წინასწარმეტყველთა რწმენა (მარტინ ბუბერისა) 156
წმიდათაწმიდა (უილიამ ფოლკნერისა) 248
წმიდა მანუელ კეთილი, მოწამე (მიგელ დე უნამუნოსი) 337
წყვდიადის გული (ჯოზეფ კონრადისა) 216

ჭეშმარიტების სკანდალი (ჟორჟ ბერნანოსისა) 68

ხალხის მტერი (ჰენრიკ იბსენისა) 394
ხელოვნების ფსიქოლოგია (ანდრე მალროსი) 101
ხიბლი (ჰერმან ბროხისა) 171
ხიროსიმა, ჩემი სიყვარული (ალენ რენესი) 123
ხმაურიანი სახლი (ლუდვიკ ვაცულიკისა) 453
ხმაური და მძვინვარება (უილიამ ფოლკნერისა) 248
ხუან დე მორენა (ანტონიო მაჩადოსი) 341
ხუმრობა (მილან კუნდერასი) 458, 460

ჯადოსნური მთა (თომას მანისა) 146, 147
ჯალათი (პერ ლაგერკვისტისა) 410
ჯარისკაცის საზღაური (უილიამ ფოლკნერისა) 248
ჯაყოს ხიზნები (მიხეილ ჯავახიშვილისა) 54
ჯილდოები (ხულიო კორტასარისა) 356, 360-362
ჯოკონდა (გაბრიელე დ'ანუნციოსი) 292

ჯუნგლების წიგნი (რედიარდ კიპლინგისა) 221
ჯუჯა (პერ ლაგერკვისტისა) 409, 410

ჰამლეტი, ანუ გრძელი ღამე დასასრულს უახლოვდება (ალფრედ დებლინისა) 161-163
ჰარუნი და ამბების ზღვა (სალმან რუშდისა) 277
ჰედა გაბლერი (ჰენრიკ იბსენისა) 394
ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი (მარკ ტვენისა) 351
ჰელიოპოლისი (ერნსტ იუნგერისა) 193
ჰეპვორთის 16, 1924 (ჯერომ დევიდ სელინჯერისა) 271
ჰიმნი პანს (ალისტერ კროულისა) 384
ჰოვარდს ენდი (ედვარდ მორგან ფორსტერისა) 234
ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ (კოტე მარჯანიშვილისა) 184

Cinque (ანა ახმატოვასი) 265
Moderato cantabile (მარგერიტ დურასისა) 122

1984 (ჯორჯ ორუელისა) 259
62. ასანყობი მოდელი (ხულიო კორტასარისა) 362
672-ე ღამის ზღაპარი (ჰუგო ფონ ჰოფმანსტალისა) 144

მერაბ ღაღანიძის წიგნები:

სინამდვილე და წარმოსახვა
დავით გურამიშვილის "მხიარულ ზაფხულში"
(2002)

რწმენისა და იმედის გზაზე
(2003)

წვდომისა და გამოხატვის ოსტატობა
(2004)

გზავნილი "არილის" მკითხველს
(2009)

ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე
(2010)